გივი ლობჟანიძე

ნარკვევები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან

I

ქუთაისის ბ. ტაბიძის სახელობის
საჯარო საზოგადოება „სტამბის“
საბამოძეგმლო ცენტრი

ქუთაისი
1998

ᲙᲔᲗᲘᲠᲬᲐᲮᲘ ᲓᲔᲓᲘᲚ-ᲐᲮᲛᲐᲗᲘᲡ
ᲜᲐᲗᲔᲚ ᲮᲚᲝᲕᲜᲐᲮ ᲔᲣᲫᲚᲕᲜᲘ
ᲐᲛ ᲬᲘᲒᲜᲘ
ᲐᲕᲢᲝᲠᲘ

წიგნში ქართული პოლიტიკურ-სამართლებრივი აზროვნების ისტორიაა განხილული და მოიცავს პერიოდს უხსოვარი დროიდან დღემდე. მასში ახლებური თვალთახედვითაა შეჯერებული და გაანალიზებული ამ პრობლემების თაობაზე მკვლევართა მიერ აქამდე გამოთქმული შეხედულებანი, დიდი ყურადღება აქვს დათმობილი XIX-XX საუკუნეების იმ პოლიტიკურ მოღვაწეთა საზოგადოებრივ და სამართლებრივ შეხედულებებს, რომელთა ღვაწლიც ამ თვალსაზრისით მანამდე არ ყოფილა შეფასებული.

წიგნი დიდ სამსახურს გაუწევს იურისტებს, ისტორიკოსებს, პოლიტოლოგებსა და ქართული პოლიტიკურ-სამართლებრივი აზროვნების ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

რედაქტორი: პროფესორი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

რეცენზენტები: პროფესორი ᲔᲚᲖᲔᲠᲓ ᲒᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
დოცენტები: ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲪᲘᲪᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲐᲗᲘᲐᲜᲓᲘᲚ ᲢᲣᲥᲕᲐᲫᲔ

წინასიტყვაობა

„როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლთმთხეველნი მამულისათვის რამღა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა?—მან, რომ ვიცოდით, იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა...ვიცით კი ყოველივე ეს?

არ ვიცით—რანი ვყოფილვართ, არა ვხედავთ, რანი ვართ, ვერ გამოგვისახნია—რანი ვიქნებით?"—წერდა ილია ჭავჭავაძე საუკუნის წინათ „ივერიის" სარედაქციო წერილში.

ისტორია, ძველიც და ახალიც, იმას გვასწავლის, რომ მემკვიდრეობის უნივერსალური კანონის გარეშე ვერც კაცი და ვერც ხალხი საწადელს ვერასოდეს მიაღწევს. შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზე გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს „თავისი ხვედრი უღლის წევა", მთავარი ისაა, რომ სწორად და უტყუარად დავადგინოთ, თუ ვისი და რისი მემკვიდრენი ვართ და რა საუნჯენი ინახება ისტორიის საგანძურში.

წინამდებარე მონოგრაფია იმისი მცდელობაა, ერთხელ კიდევ გავიაზროთ ჩვენი ისტორიული წარსული ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების ჭრილში.

თვალს თუ გადავავლებთ ჩვენი ცხოვრების წარსულ ეპოქებს, ვნახავთ, რომ შეჭირვების მომენტი ხშირად დასდგომია ჩვენს ქვეყანას და, როგორც წესი, ქვეყნის მომავალი ბედიც იმით განსაზღვრულა, თუ როგორ გადაჭრიდნენ ხოლმე ამ დილემას ერის ინტელექტუალური ძალები. ამ მხრივ სიმბოლურია საქართველოს ისტორიის „ოქროვანი ხანის" წინა პერიოდი, როცა მაშინდელი ჩვენი ერისკაცების წინაშე მთელი სიმწვავით დადგა სწორი გზის არჩევის საკითხი: გიორგი ათონელმა, გიორგი ჭყონდიდელმა, დავით აღმაშენებელმა, არსენ იყალთოელმა, იოანე პეტრიწმა და სხვა ჩვენმა გამოჩენილმა წინაპრებმა შესძლეს შეემუშავებინათ და განეხორციელებინათ ქვეყნის მომავალი განვითარების სწორი სტრატეგიული კურსი, რომლის გარშემოც გაერთიანდა იმდროინდელი საქართველოს ყველა ჯანსაღი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალა.

საკითხავია, რით შესძლეს ეს მათ? უპირველეს ყოვლისა, დიდი

ეროვნული თანხმობით, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა „ერთნებაობითა და თანადგომით ქვეყნის მართვა“, ამისათვის კი ნიადაგი მოამზადა „ათონური სკოლის“ მიერ შემუშავებულმა სახელმწიფოებრივ-ეროვნულმა იდეოლოგიამ.

დღესაც მხოლოდ დიდი ეროვნული შერიგება იხსნის ქვეყანას და გაიყვანს ერთადერთ სწორ გზაზე, მაგრამ აქაც, ბუნებრივია, დგება საკითხი, თუ რა საფუძველზე დაყრდნობით შეიძლება ამის მიღწევა? ეს საფუძველი და ეს იდეოლოგია ილია ჭავჭავაძის, ვახტანგ ორბელიანის, ნიკო ნიკოლაძის, არჩილ ჯორჯაძის და სხვათა მემკვიდრეობაა, მათი „წოდებათა შერიგების“ და „საერთო ნიადაგზე“ დგომის თეორიაა. ამის თაობაზე გამოკვეთილად მიუთითა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 1997 წლის 16 ნოემბერს ილია ჭავჭავაძის დაბადების 160-ე წლისთავის საიუბილეო სხდომაზე გამოსვლისას: „ილია ჭავჭავაძე ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს დამფუძნებელია. ნებისმიერ სახელმწიფოს სჭირდება მსოფლმხედველობა, იდეოლოგია, როგორც უმთავრეს ღირებულებათა ერთობლიობა, ძირითად სახელმწიფოებრივ და მოქალაქეობრივ პოსტულატთა სისტემა. ილიას მემკვიდრეობა ყველა ამ ღირებულებას შეიცავს“.

„საერთო ნიადაგის“ თეორია ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის ყველა ძირითად პრინციპს მოიცავს, მაგრამ დღეკანდელი მომენტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოწოდებას „საყოველთაო ეროვნული შერიგებისა“ და ამ გზით „ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში“ ჩაყენების შესახებ, რომელიც საქართველოსათვის იქნება ერის სულიერი აღორძინების, დანგრეულის აღდგენის, წართმეულის დაბრუნების, გათიშულის გამთლიანების და მტრადექცეულის შემორიგების საშუალება.

ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებაზე დღემდე არაერთი საინტერესო ნაშრომი და მონოგრაფიაა გამოქვეყნებული. განსაკუთრებით დიდია ამ სფეროში აწ გარდაცვლილი იურისტების და ღირსეული მამულიშვილების, ჩვენი და ბევრის მასწავლებლების, პროფესორების ივანე სურგულაძის და ვახტანგ აბაშმაძის დამსახურება, რომლებმაც შესანიშნავი გამოკვლევები შექმნეს ქართულ პოლიტიკურ და სამართლებრივ აზროვნებაზე, სწორედ მათმა ნაშრომებმა ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწია წიგნზე მუშაობის დროს. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ წინამდებარე მონოგრაფია უნაკლოა, დაზღვეულია შეცდომებისაგან, მაგრამ ვითვალისწინებდით პროფესორ ი. სურგულაძის შრომების იშვიათობას მცირე ტირაჟის გამო, პრობლემების თანამედროვეობასთან მიმართებაში ხედვის,

ზოგიერთ პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწის ქართულ ისტორიოგრაფიაში თავისი ადგილისა და როლის მიკუთვნების აუცილებლობას, თავს უფლება მივეცით ასეთი სახით გამოგვეტანა იგი მკითხველთა ფართო წრის წინაშე.

თუკი წიგნში განმეორებულია მსჯელობა ზოგიერთი ქართველი მოღვაწის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებების თაობაზე, ამისი მიზეზი ნაშრომის არქიტექტონიკაა, თუმცა ვეცადეთ კი თითოეული მათგანის სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები ახლებურად წარმოგვეჩინა. თუ რამდენად გავართვით თავი ამოცანას, ამისი შეფასების უფლება მკითხველის—სპეციალისტებისა და სტუდენტი-ახალგაზრდობისათვის მიგვინდვია.

ყველა სამართლიან შენიშვნას დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდებით და მადლიერების გრძნობით გავითვალისწინებთ მომავალ საქმიანობაში.

ავტორი

„ისტორია იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიან სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებულ და დიდ–ბუნებოვან კაცთა უწმინდესნი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი. ერი, რომელსაც ახსოვს ეგ თავისის ერთიანის სულის წირვა, ეგ თავის დიდ–ბუნებოვანნი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნევდება, ჰგულოვანდება და თავმოწონებულია ყველგან, ჭირია თუ ლხინი. ამ ღირსებათა პატრონი ერი არ დაუვარდება, არ დაუძაბუნდება არავითარს ზედმოსულს უბედურებასა და განსაცდელსა. იგი გულგაუტეხელად იბრძვის, იღვწის, გამხნევებული თავის მამა–პაპის მაგალითითა და ანდერძითა, და მარტო გულგაუტეხელი მებრძოლი დაინარჩენებს ხოლმე ბერსა და მოედანს ამ წუთისოფელში.

დიდ–ბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთნის ერსა, ზრდის, და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევებენ, თუ ნამეტნავად ის მაგალითები ერის საკუთარის ისტორიისანი არიან. ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს და აგრეც არის, საცა ერი ერობს. ამა შეხედეთ სხვა ქვეყნებს, ერთი იმისთანა სახელოვანი კაცი არა ჰყოლიათ, რომ მის სახსოვრად ძეგლი არა ჰქონდეთ აღმართული? რისთვის? სულ იმისთვის, რომ დიდმა თუ პატარამ დაიხსომოს თავისი სახელოვანი კაცი, სულ მუდამ თვალ–წინ იყოლიოს და მის მიბაძვას ეცადოს.“

ილია ჭავჭავაძე

შესავალი

ქართულ სახელმწიფოსა და სამართალს სამიათასწლიანი ისტორია გააჩნია. ქართული კულტურა საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა და ყალიბდებოდა. ჩვენამდე მოღწეულ ქართული სამართლის წიგნებში, სიგელ-გუჯრებსა თუ ჩვეულებით სამართალში წარმოჩენილი იურიდიული ინსტიტუტები ცხადყოფენ, რომ ცივილიზებული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი პოლიტიკურ-სამართლებრივი დაწესებულებები ქართველთა ტომებში ისახება ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის ბოლოს. ისტორიის დიდ შარაზე მოდიოდა ქართველი კაცი, როგორც მოაზროვნე-პოლიტიკოსი, სამართალმცოდნე, მანამდე კი „ქართველ კაცსაც უხსოვარი დროიდან შრომისა თუ ბრძოლის იარაღად უკეთებია: ქვა, სპილენძი, ბრინჯაო, რკინა, მასაც გამოუვლია ორივე გვარი—დედისეულიც, მამისეულიც, პრეისტორიის უხანგრძლივესი და უმძიმესი დრამატიზმით ნაწრთობი სულით და სხეულით შემოვიდა იგი მსოფლიო ცივილიზაციის კარიბჭეებში“.[1] ქართველური წარმოშობის ტომები (იბერები, კოლხები, ტიბერიანები, მოსინიკები, ხალიბები და ა.შ.) აყალიბებენ ადრეკლასობრივ სახელმწიფოს და სამართალს. მათვე შექმნეს საკუთარი სალაპარაკო ენა,

[1] ლ. სანიკიძე, საქართველოს ისტორია, თბ. 1994 წ. გვ. 3

თვითმყოფადი კულტურა და დამწერლობა, ამასთანავე, მრავალმხრივ ურთიერთობას ჩაუყარეს საფუძველი მეზობელ ხალხებთან. ანტიკური ხანის ბოლო პერიოდში საქართველო თავისი კულტურით უახლოესად იყო დაკავშირებული ელინურ-რომაულ სამყაროსთან, ანუ, უფრო ზუსტად, საკუთრივ ელინურ სამყაროსთან...ანტიკური ხანის ბოლოს საქართველო ტერიტორიულადაც უშუალოდ ესაზღვრება საბერძნეთს. ხოლო მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა ოფიციალურ სარწმუნოებად აღიარეს, ხდება ნაწილი დასავლეთის სამყაროსი. იმ დროიდან მოკიდებული, საქართველო, როგორც თავისი ძველი კულტურით, ისე ისტორიის მაგისტრალური ხაზით, სახელმწიფოს პოლიტიკური მიზანდასახულობითა და ცივილიზაციის იდეალებით არის განუყოფელი ნაწილი დასავლეთისა, ევროპის, მსოფლიოსი.

ელინურ მსოფლიოსთან საქართველოს სიახლოვეზე ლაპარაკობს ლეგენდა არგონავტების მგზავრობისა კოლხეთში, ოქროს საწმისის მოსაპოვებლად, ასევე ლეგენდა პრომეთე—ამირანისა, რომელიც კავკასიის ქედზე იყო მიჯაჭვული. ეს ლეგენდა ელინურმა სამყარომ საქართველოდან შეითვისა და მან განუმეორებელი მხატვრული ხორცშესხმა ჰპოვა ესქილეს გენიალურ ტრაგედიაში.

საქართველოს კავშირზე—ჯერ კიდევ უძველეს ეპოქაში—აღმოსავლეთის ქვეყნებთან, პირველ რიგში—მონათესავე ხეთურ მსოფლიოსთან, ასევე ბაბილონთან, ასურეთთან, ურარტუსთან, მეტყველებენ ხეთური იეროგლიფები და ლურსმული დამწერლობის ძეგლთა ისტორიული ცნობები, რომლებიც ეკუთვნიან მეორე-პირველ ათასწლეულებს ძველი წელთაღრიცხვისა.[1]

უხსოვარი დროიდან საქართველოში შეიქმნა სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებანი, რომლებმაც კავშირი დაამყარეს სხვა ქვეყნების ანალოგიურ ცენტრებთან. ამისი საუკეთესო მაგალითია III-VI საუკუნეებში ეგრის-ლაზეთში, ქალაქ ფაზისში (ფოთში) „აკადემია", სადაც მოღვაწეობდნენ არა მარტო ქართველი სწავლულები, არამედ უცხოელებიც, მათ შორის—ბერძენი და რომაელი მოქალაქენი; კოლხეთის აკადემიაში ისწავლებოდა ფილოსოფია, ასტრონომია, ასტროლოგია, გეომეტრია, ენათმეცნიერება, რიტორიკა, რომელიც, ფაქტიურად, იურიდიულ დისციპლინას წარმოადგენდა, კოლხეთის აკადემიაში განათლება მიიღეს სახელგანთქმულმა ბერძენმა ფილოსოფოსებმა, მამა-შვილმა ევგენიოსმა და თემისტიოსმა. ამის მაგალითია ძველი ქართული მწერლობის კერები ახლო აღმოსავლეთში: პალესტინა, საბაწმინდა, ჯვარი, გოლგოთა—უფლის საფლავი—აღდგომა—კაპპათა, დერტავი, დერფუ-

---

[1]. პ. ინგოროყვა, თხზ. ტ. IV, თბ. 1978, გვ. 10-11

თა, ბასილის მონასტერი, თეოდორეს მონასტერი, ნიკოლოზის მონასტერი, სამოელის მონასტერი, გეთსიმანია, შეპანი, სიპია, შავი მთა, სვიმონწმინდა, რომანწმინდა, კალიპოსი, კასტანა, ეზრას მონასტერი, ლერწმისხევი, თუალთა მონასტერი...

დასავლეთში: ბიზანტია ოლიმპი, რომანა, ათონი, კონსტანტინეპოლი, ხორა, ტრიანდაფლივი, მანგანა, კვიპროსი, პეტრიწონი.

„ამ კერების მეშვეობით ქართველობა თვალს ადევნებდა იმდროინდელი განათლებული მწიგნობრული წრეების საქმიანობას".[1]

ქართულ-ბერძნული კულტურული ურთიერთობა IV საუკუნიდან მოყოლებული ფართო მასშტაბებს ღებულობს. არა მარტო ბიზანტიელები სწავლობდნენ კოლხეთის აკადემიაში, არამედ ქართველი სწავლულებიც მიემგზავრებიან ბიზანტიაში. ამისი საუკეთესო მაგალითია უფლისწულ ბაკურის გადასახლება ბიზანტიაში, რომელიც სამეფო კარზე სეფე-ჯარის უფროსად დანიშნეს. ბერძენი მწერალი გელასი კესარიელი ბაკურს ხოტბას ასხამს და ახასიათებს როგორც „მეფის შთამომავალს, იბერთა შორის სახელოვანს".

ბაკურს ახლო მეგობრობა ჰქონია ფილოსოფოსებთან და რიტორებთან, კერძოდ, ლიბანიუსთან, რომლისთვისაც ეპისტოლე გაუგზავნია. მართალია, მას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ „ლიბანიუსის პასუხიდან ვგებულობთ, რომ ბაკურის ეპისტოლეს საგანი ყოფილა ის ფილოსოფიური საკითხები, რომლებიც აღელვებდნენ ნეოპალატონიკოსთა წრეებს, რომ ეს ეპისტოლე დიდი ცოდნით და უნაკლო ფორმით, მაღალი რიტორიკული ხელოვნებით ყოფილა დაწერილი".[2]

ქართველი სწავლულები იცნობდნენ სხვადასხვა ქვეყნების სამართალს, მათ შორის— რომის სამართალსაც.

კოლხეთის აკადემიის მდიდარ ტრადიციებზე აღზრდილმა ქართველმა სწავლულებმა დიდი როლი შეასრულეს ანტიკური და შემდეგი პერიოდის სამართლებრივი აზრის საქართველოში გავრცელებისა და დამკვიდრების საქმეში, მათი მეშვეობით საქართველოში დაიწყო მძლავრი ჰუმანისტური მოძრაობა, მომზადდა ნიადაგი ქართული რენესანსისა და მისი იდეოლოგიისათვის, რომელიც გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს მდიდარ მატერიალურ და სულიერ წინამძღვრებს ემყარებოდა.

დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა განამტკიცა ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა, აამაღლა მისი კულტურის დონე. სახელოვანი მეფის საგანმანათლებლო მუშაობამ

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ. 1966 წ. გვ. 305

[2] პ. ინგოროყვა, თხზ. ტ. IV თბ., 1978 გვ. 29

შეაკავშირა ერთმანეთს ქართველი სწავლულები; გარდა ამისა, სხვადასხვა ქვეყნებიდან მოიწვია მეცნიერები, აღორძინდა იყალთოსა და გელათის აკადემიები, დაიწყო ინტენსიური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. ქართული რენესანსის ეპოქის წყაროებში ფართოდ არის გამოყენებული ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური ქვეყნების მოწინავე მოაზროვნეების—სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, მო-ძის, ლაო-ძის და სხვათა პროგრესული ფილოსოფიურ-პოლიტიკური მოძღვრებები, რამაც ასახვა ჰპოვა რუსთაველის, შავთელის, ჩახრუხაძის, პეტრიწის, ქართველი ანონიმი ისტორიკოსებისა და იურისტების შრომებსა თუ ნაწარმოებებში, „რომლის წარმოშობა შემზადებულია მრავალსაუკუნოვანი კულტურით".[1]

ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი", რომელიც ემყარება ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური ქვეყნების ინტელექტუალურ ფენომენებს. ქართული რენესანსის ეპოქის წყაროებში გვხვდება საქართველოს სინამდვილის შესაბამისად ჩამოყალიბებული, ორიგინალურად გადამუშავებული პოლიტიკური მოძღვრება, რომელიც ცხადყოფს ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების მაღალ დონეს, საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკური სინამდვილის მიხედვით შემუშავებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების, მართალი სამართლის, სახელმწიფოებრიობის ერთიანობით და თანადგომით განხორციელების ორიგინალური პოლიტიკური იდეოლოგიის არსებობას.

აღსანიშნავია, რომ ბიზანტიის ჰუმანისტური მოძრაობის მოწინავეთა რიგებში ბერძნების გვერდით ქართველებიც იყვნენ. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურმა დაშლილობამ, დაქუცმაცებამ და აშლილობამ, რომელიც უმთავრესად საგარეო ფაქტორებით უნდა აიხსნას, დიდი ხნით შეაფერხა ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრება, მაგრამ იგი მაინც არ დაცემულა, გაუძლო გამოცდას. ჰუმანისტური მოძრაობის შედეგად მიღწეული დონე დიდი ხნის განმავლობაში, არ დაქვეითებულა.—მიუთითებს პროფ. ვ. აბაშმაძე ნაშრომში „ქართული ინტელექტუალური ფენომენები".

ქართული სამართლის განვითარებისა და კანონმდებლობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ვახტანგ VI-ს, რომელმაც XVIII ს. დამდეგს ჩაატარა უდიდესი საკოდიფიკაციო სამუშაო, შექმნა სამართლის შესანიშნავი წიგნი, სადაც შეტანილია მოქმედი ბერძნული, სომხური, ებრაული სამართლის წიგნები, ბექა-აღბულას სამართალი, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდება" და ა.შ. მისივე ბრძანებით

---

[1] ვ. აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, 1992 წ. გვ. 4

შეადგინეს ქართული სახელმწიფო სამართლის დიდებული ძეგლი „დასტურლამალი" და სხვა საკანონმდებლო აქტები.

ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების განვითარებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს და ბევრი საინტერესო საკითხი განიხილეს ვახუშტი ბაგრატიონმა, სულხან-საბა ორბელიანმა, იოანე და დავით ბატონიშვილებმა, რომელთა ნაშრომებს ქართული სამართლის ისტორიისათვის წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა აქვს.

დასავლეთ ევროპის მოწინავე ფილოსოფიურ-პოლიტიკურ აზრს დაუფლებული XIX საუკუნის ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები საქართველოში ავრცელებენ სპინოზას, ლოკის, ვოლტერის, რუსოს, მონტესკიეს და სხვათა მოძღვრებებს; ქართულად თარგმნიან მათ ნაშრომებს და მათში გადმოცემული იდეების მიხედვით საქართველოს სინამდვილის შესაბამის თეორიებს ქმნიან. ევროპაში ბურჟუაზიული რევოლუციებისა და XVIII საუკუნის ფრანგი განმანათლებლების პროგრესული იდეებით, აგრეთვე, ქართული რენესანსის ორიგინალური შეხედულებებით ხელმძღვანელობენ რუსეთთან შეერთების შედეგად გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში ს. დოდაშვილი, ი. ჭილაშვილი, დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, ა. ჯორჯაძე და სხვები.

ასევე მნიშვნელოვანია ჩვენთვის მ. ბროსეს, პ. იოსელიანის, დ. ბაქრაძის, დ. ფურცელაძის, ალ. ხახანაშვილის, ნ. ურბნელის ზ. ავალიშვილის, გ. ნანეიშვილის და სხვა ისტორიკოსთა, იურისტთა თუ საზოგადო მოღვაწეთა ნაშრომები.

XIX საუკუნის ბოლოს ქართული სამართლისა და პოლიტიკის საკითხებით დაინტერესდნენ უცხოელი და რუსი მეცნიერები; ამ მხრივ აღსანიშნავია მ. კოვალევსკის, რ. დჟრესტის, ფ. ჰოლდაკის, რ. კლუტმანის, ა. კარსტის და სხვათა შრომები, რომლებმაც, ამასთანავე, ქართული ჩვეულებითი სამართლის შესწავლაც დაიწყეს.

ქართული სამართლებრივი და პოლიტიკური ისტორიის კვლევის საქმეს ფასდაუდებელი სამსახური გაუწია აწ გარდაცვლილი იურისტების: ალ. ვაჩეიშვილის, ივ. სურგულაძის, ი. დოლიძის, ვ. აბაშმაძის და სხვათა შრომებმა და გამოკვლევებმა. ქართულ პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებას იკვლევენ პროფესორები: ვ. მეტრეველი, გ. ნადარეიშვილი, მ. ცაცანაშვილი, გ. დავითაშვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სამართლებრივი აზროვნების განვითარების საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის დიდ ქართველ ისტორიკოსსა და მეცნიერს ივანე ჯავახიშვილს. გოეთე წერდა: „გამოჩენილ ადამიანთა გახსენება დროდადრო ფიქრებს აგვიშლის ხოლმე, ისინი წამოიმართებიან ჩვენს თვალწინ, როგორც ანდერძი თაობებისა".

ბატონი ივ. ჯავახიშვილი სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, თავის წინამორბედებთან შედარებით მან მთელი ეპოქა შექმნა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში და საერთოდ—ქართველოლოგიაში.

პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის საგანი

ქართულმა პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიამ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში აიდგა ფეხი. დღეს მას უკვე თავისი ტრადიციები გააჩნია და ცალკე, დამოუკიდებელ მეცნიერებად და სასწავლო დისციპლინად ჩამოყალიბდა.

ისევე, როგორც სხვა იურიდიულ დისციპლინებს, საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიას გააჩნია თავისი კვლევის საგანი; მის საგანს წარმოადგენს პოლიტიკური და სამართლებრივი შემეცნების თეორიული საფუძველი ანუ შემეცნების ის ნაწილი, რომელიც გამოიხატა თეორიულად გაფორმებულ დოქტრინებში.

„პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია იურიდიული მეცნიერებაა, რომლის შესწავლის საგანი (ობიექტი) არის პოლიტიკური და სამართლებრივი იდეები, თეორიები, შეხედულებები, დოქტრინები, დებულებები და ა.შ.“[1]

შეხედულებებით სახელმწიფოსა, სამართალსა თუ პოლიტიკაზე, თითოეული პოლიტიკურ-სამართლებრივი დოქტრინა აბსტრაქტულობის სხვადასხვა ზომით ასახავს მის თანამედროვე სახელმწიფოს, სამართალსა თუ პოლიტიკას და, ამ თვალსაზრისით, საზოგადოების ყველა ფენის ინტერესებს ეხება. გარდა ამისა, ამ დოქტრინების შესწავლისას, საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკურ მოაზროვნეთა ბიოგრაფიულ ცნობებზე, მასობრივ მოძრაობებსა და ორგანიზაციებზე იმ თვალსაზრისით, რომ გაარკვიოს პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრების (დოქტრინის) შინაარსი და მისი საზოგადოებრივი როლი. უფრო ზუსტად საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია სწავლობს მოაზროვნეთა არა მარტო პოლიტიკურ პორტრეტებს, არამედ მათ ცხოვრებას იდეასთან, დოქტრინასთან თუ ნაწარმოებებთან კავშირში.

საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიამ იცის

---

[1] ვ. მეტრეველი, გ. დავითაშვილი, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, თბ. 1997 წ. გვ. 3

მსოფლმხედველობის სხვადასხვა ფორმები, როგორიცაა თეორიული ტრაქტატი, ფილოსოფიური თხზულება, პოლიტიკური პამფლეტი, კონსტიტუციის პროექტი და ა.შ., მაგრამ ყველა მათგანს საერთო ისა აქვს, რომ წარმოადგენენ სახელმწიფოსა და სამართლის ძირითადი თეორიული პრობლემის გადაწყვეტას; ამიტომ, პოლიტიკურ-სამართლებრივი დოქტრინა შეიცავს სამ კომპონენტს: 1) ლოგიკურ-თეორიულს, ფილოსოფიურ და სხვა (რელიგიურ) საფუძველს; 2) კატეგორიულ მოთხოვნას სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის, მათი განვითარების, ფორმების, სახელმწიფო წყობილების, სამართლის ძირითადი პრინციპების შესახებ; 3) პროგრამულ დებულებებს—არსებული სახელმწიფოსა და სამართლის შეფასებას, პოლიტიკურ მიზანს და ამოცანას.

პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია არ არის სახელმწიფოსა და სამართლის შემეცნების თანამიმდევრული პროცესი, არამედ იგი ურთიერთდაპირისპირებულ მსოფლმხედველობათა შორის ბრძოლაა, რომელთაგან თითოეული ცდილობს მონახოს საზოგადოებრივი აზრის დასაყრდენი, მოახდინოს გავლენა პოლიტიკურ პრაქტიკასა და სამართლის განვითარებაზე.

პოლიტიკურ მოძღვრებაში, სახელმწიფოზე შეხედულებებთან ერთად, შეიძლება გაერთიანდეს სხვა იდეოლოგიური მოვლენებიც, კერძოდ, პოლიტიკური ორგანიზაციის საკითხი, რელიგიური თუ ზნეობრივი ნორმების გავლენა ხელისუფლების მოწყობისა და სხვა საკითხებზე.[1]

პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიას მჭიდრო კავშირი აქვს ისეთ იურიდიულ დისციპლინებთან, როგორიცაა: სახელმწიფო სამართალი, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია.

სახელმწიფო სამართლის თეორია სწავლობს საზოგადოებრივ მოვლენებს, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და განვითარების საერთო კანონზომიერებებს, რომლებთანაც საქმე გვაქვს ადამიანთა საზოგადოების განვითარების მხოლოდ განსაზღვრულ ეტაპზე, კერძოდ, პირველყოფილი გვაროვნული წყობილების რღვევის, კერძო საკუთრების წარმოშობისა და საზოგადოების დაპირისპირებულ კლასებად დაყოფის შემდეგ.

სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია სწავლობს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და განვითარების კონკრეტულ პროცესებს.

პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია განიხილავს

---

[1] მ. ცაცანაშვილი, თეზისები საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიიდან თბ. 1996 წ. გვ.4.

სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ უმთავრესი იდეების, დოქტრინების, შეხედულებებისა და თეორიების განვითარებას უძველესი დროიდან დღემდე. პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრების ისტორია, გარდა იურიდიული დისციპლინებისა, კავშირშია არაიურიდიულ მეცნიერებებთან, როგორიცაა—პოლიტიკური ეკონომია და ფილოსოფია.[1] ამდენად, მან უნდა გამოიყენოს სახელმწიფოსა და სამართლის არსის შესახებ ის დებულებები, რომელთაც იძლევა სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, ასევე, დაიცვას ისტორიზმის პრინციპები, რასაც გვაძლევს სახელმწიფო და სამართლის ისტორია ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე. დასახელებული იურიდიული დისციპლინების მონაცემებისა და დასკვნების გარეშე შეუძლებელია პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრების ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრინციპების, დოქტრინების შესწავლა და პირიქით. პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, პროფ. ივ. სურგულაძის მიხედვით, არის იურიდიული მეცნიერების ერთ-ერთი დარგი და იგი შეისწავლის ისტორიაში არსებული სახელმწიფოების განვითარების ცალკეულ ეტაპზე კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში წარმოშობილ პოლიტიკურ და სამართლებრივ შეხედულებებს, რომლებიც გამოხატავს საზოგადოების სოციალური ჯგუფების ინტერესებს.[2]

ამრიგად, დასახელებული და სხვა იურიდიული დისციპლინების შესწავლის სათავე და მათი ისტორია დაკავშირებულია სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობასთან, რომელიც მოჰყვა პირველყოფილი თემური წყობილების რღვევას, კერძო საკუთრების გაჩენასა და სხვადასხვა სოციალურ ფენების წარმოშობას.

---

[1] ვ. მეტრეველი, გ. დავითაშვილი, დას. შრომა, გვ.7.

[2] ივ. სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ. 1936 წ. გვ. 31.

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში

სახელმწიფოს და სამართლის წარმოშობის საკითხი საკმაოდ კარგადაა განხილული და გაანალიზებული იურიდიულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით კი—სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის სახელმძღვანელოებში,

პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის და სახელმწიფოს წარმოშობის თაობაზე ქართულ სწავლულ იურისტებს თუ ისტორიკოსებს არაერთი საინტერესო მოსაზრება აქვთ გამოთქმული, მაგრამ ამ საკითხის განხილვის დროს გვერდს ვერ ავუვლით ამერიკელი ეთნოგრაფისა და მოგზაურის ლუის მორგანის დიდ დამსახურებას მსოფლიო მეცნიერების წინაშე, ასევე ფ. ენგელსის შრომას „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობას". ჩვენს მიზანს ამ შემთხვევაში შეადგენს, ამ საკითხზე მეცნიერთა მიერ შემოთავაზებული კონცეფციების გვერდით განვიხილოთ ზოგიერთი ქართველი მკვლევარის მოსაზრება პრობლემების სრულყოფილად შესწავლასთან მიმართებაში, რადგანაც სახელმწიფოს და სამართლის წარმოშობას უკავშირდება პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია.

როგორც ცნობილია, პირველყოფილი თემურ-გვაროვნული წყობილება ადამიანთა საზოგადოების პირველი და ყველაზე ხანგრძლივი ფორმაციაა კაცობრიობის ისტორიაში. მისი ქვედა ზღვარი დაახლოებით ერთნახევარი მილიონი წლის წინ გადის. მეცნიერთა გარკვეულ ნაწილს ზღვარი კიდევ უფრო შორს გადააქვს. პირველყოფილი თემური წყობისათვის დამახასიათებელია საწარმოო ძალების განვითარების უაღრესად დაბალი დონე. ამ პერიოდში ხელმისაწვდომი მხოლოდ პრიმიტიული იარაღი იყო, რომლის დასამზადებელ მასალას ქვა წარმოადგენდა. მაშინდელ ადამიანს არ შეეძლო, გონებრივი შეზღუდულობისა და ფიზიკური განუვითარებლობის გამო, საწარმოო იარაღების შექმნა, პირველყოფილი ადამიანები იძულებულნი იყვნენ, ერთად ეცხოვრათ, საერთო ძალებით მოეპოვებინათ სარჩო და ეწარმოებინათ ყველაფერი, რაც აუცილებელი იყო. ცხოვრებისათვის. არსებობის ასეთი წესი განაპირობებდა საერთო მფლობელობას შრომის იარაღებსა და პროდუქტებზე.

პირველყოფილი საზოგადოებისათვის უცხო იყო კერძო საკუთრება,

საზოგადოების დაყოფა ქონებრივი ცენზის მიხედვით. კოლექტიური, საზოგადოებრივი საკუთრება შეადგენდა პირველყოფილ თემურ-გვაროვნული წყობილების ეკონომიკურ საფუძველს.

პირველყოფილი საზოგადოების საერთო პერიოდიზაცია პირველად შექმნა გამოჩენილმა ამერიკელმა ეთნოგრაფმა ლუის ჰენრი მორგანმა, რომელიც ორმოცი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელ-ირიკეზების ტომში, კერძოდ—სენეკას გვარში. გაითვალისწინა რა მე-18 საუკუნეში ინდიელ ტომებში მიმდინარე ისტორიული პროცესები, პირველყოფილი თემური წყობილება შემდეგნაირად დაჰყო: ველურობის, ბარბაროსობის და ცივილიზაციის ეპოქებად. ძირითადად ემყარებოდა რა მწარმოებლური ძალების განვითარების დონის კრიტერიუმს, ლ. მორგანმა ველურობისა და ბარბაროსობის ეპოქები დაანაწილა ქვედა, შუა და ზედა საფეხურებად. ველურობის ქვედა საფეხური იწყება ადამიანის და დანაწევრებული მეტყველების გაჩენიდან, შუა—თევზჭერის წარმოშობისა და ცეცხლის გამოყენებიდან, ზედა—მშვილდ-ისრის გამოგონებიდან. ბარბაროსობის ქვედა საფეხურზე გადასვლა აღინიშნება მეთუნეობით; შუა საფეხური იწყება მიწათმოქმედებით და მეცხოველეობით, ხოლო რკინის ათვისებით—ბარბაროსობის უმაღლესი საფეხური. ანბანური დამწერლობის გამოგონებით დასაბამს იღებს ცივილიზაციის ანუ კლასობრივი საზოგადოების ეპოქა.[1]

თემური წყობილების პირველ საფეხურზე, ათასეული წლების მანძილზე, ადამიანები ცხოვრობდნენ ე.წ. პირველყოფილი ჯოგების სახით. ჯოგი წარმოადგენდა ადამიანთა მცირერიცხოვან მოხეტიალე ჯგუფს, რომელიც თავს ირჩენდა ბუნებრივი სიკეთეებით, პრიმიტიული ნადირობით, ღამეებს ათევდნენ ხეებზე ან გამოქვაბულებში.

შუა პერიოდიდან, მეთევზეობის და ნადირობის განვითარების შედეგად, ჩამოყალიბდა ადამიანთა უფრო ორგანიზებული, მრავალრიცხოვანი, სისხლის ნათესაობაზე დამყარებული გაერთიანება—გვარი. მანამდე არსებული მოუწესრიგებელი სქესობრივი ურთიერთობა, რომელიც ძალზედ უარყოფითად მოქმედებდა ადამიანთა განვითარებაზე, შეიცვალა სხვადასხვა გვარის წევრებს შორის ქორწინებით.

გვარის წარმოშობის პირველ საფეხურზე წამყვან როლს ქალი ასრულებდა და ნათესაობაც ქალის ხაზით გადადიოდა, ასეთ გვარს მატრიარქალური ანუ მდედრობითი ეწოდება. შემდგომში, როდესაც მიწათმოქმედება და მეჯოგეობა დაწინაურდა, შრომა მამაკაცის ძალას

---

[1] პირველყოფილი საზოგადოების ისტორია (ა. პერშიცი, ა. მონგატი, ფ. ალექსეევი), თბილისი, 1980 წ. გვ. 9.

მოითხოვდა. ქალის როლმა უკანა პლანზე გადაიწია და მატრიარქალური გვარი პატრიარქალურით, ანუ მამრობითით შეიცვალა და ნათესაობაც მამის ხაზით განისაზღვრებოდა.

„საგვარეულო წყობილებისათვის დამახასიათებელი იყო ის, რომ არ არსებობდა რაიმე საჯარო ხელისუფლება, სპეციალური აპარატი ან ორგანო სისტემატური ძალადობის, იძულების გამოყენებისა და ადამიანთა დამორჩილებისათვის. მართალია, გვარი საერთო კრებაზე ირჩევდა თავის მეთაურს, უხუცესს, ბელადს, წინამძღოლს, მაგრამ მათ არაფერი ჰქონდათ საერთო სახელმწიფო ხელისუფლებასთან. ისინი მხოლოდ პირველნი იყვნენ თანასწორთა შორის თავიანთი გამოცდილების ან ნიჭის წყალობით, მათ რჩევას ანგარიშს უწევდნენ და საერთო შეთანხმების საფუძველზე ასრულებდნენ. გვარის წევრთა კრებას ყოველთვის შეეძლო გადაეყენებინა ძველი და აერჩია ახალი უხუცესი, წინამძღოლი“.[1] ე.ი. თემური წყობილების საფუძვლად გვევლინება გვარი; გვარის შიგნით ქორწინება აკრძალულია, რადგანაც ისინი ნათესავებად ითვლებიან, ამიტომ ცოლი სხვა გვარიდან მოჰყავდათ და ქალებსაც სხვა გვარის წევრებზე აქორწინებდნენ. გვარის წევრის გარდაცვალების შემდეგ მისი ქონება გვარის საკუთრებად ითვლებოდა. გვარი იცავდა თავის წევრებს. ერთ-ერთი წევრის მოკვლის შემთხვევაში, ის ვალდებული იყო შური ეძია. გვარს შეეძლო ეშვილა გარეშე პირი. წინამძღოლის არჩევაში მონაწილეობდნენ როგორც მამაკაცები, ასევე ქალები და სრულწლოვანი წევრები. არჩევა ხდებოდა სრული თანხმობით და არა უმცირეს-უმრავლესობით. ასეთივე წესით გადაირჩევდნენ მათ. ამდენად, გვარში პიროვნების უფლებები არაფრით იზღუდებოდა.

გვარის შემდეგ, მეორე საფეხურზე, ყალიბდება ძმობა ან თემი (ფრატრია), რომელიც ორი ან სამი გვარის კავშირის საფუძველზე იქმნებოდა. მასაც ჰყავდა თავისი მამასახლისი და სარდალი.

მესამე საფეხური იყო ტომი და მასში ორი ან სამი თემი შედიოდა. ტომს საერთო ტერიტორია ჰქონდა და შიგ ერთ ენაზე მოლაპარაკე თემები ერთიანდებოდნენ. ტომი ამტკიცებდა გვარის მიერ არჩეულ ზახემს და სარდალს. აგრეთვე შეეძლო მათი თანამდებობიდან გადაყენება, ტომს საერთო საბჭო ჰქონდა, რომლის წევრები გვარის მიერ არჩეული მამასახლისი და სარდლები იყვნენ. საკითხები ყველას თანდასწრებით წყდებოდა, ამიტომ მათ მიერ მოწონებული გადაწყვეტილება იძულებით ხასიათს არ ატარებდა.

---

[1] გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, 1997 წ. გვ. 20

ლ. მორგანის მიხედვით, ირიკეზებმა თავიანთი საზოგადოებრივი წყობილება ახალ საფეხურზე აიყვანეს, კერძოდ, ერთ ენაზე მოლაპარაკე ხუთი ტომისაგან (სენეკა, კაიუგა, ონონდაგა, ონეიდა, მოგაუკ) შექმნეს განსაზღვრული ფედერაცია (ტომთა კავშირი). ეს იყო არა მარტო ტომების კავშირი, არამედ ეროვნების წარმოშობის დასაწყისი—წერდა ცნობილი ქართველი მკვლევარი არჩილ ჯორჯაძე. მისი აზრით, XVIII საუკუნეში მათ დააფუძნეს „საუკუნო კავშირი", რომელიც აღიარებდა თითოეული ტომის სუვერენიტეტს და სრულ დამოუკიდებლობას. კავშირის ძირითადი ნიშნები ასეთია: სათავეში იდგა 50 მამასახლისისაგან შემდგარი საბჭო; მას გამოჰქონდა საბოლოო გადაწყვეტილება კავშირის ყველა საქმეზე. გადაწყვეტილება ერთხმად უნდა ყოფილიყო მიღებული, საბჭო ყველას თანდასწრებით იმართებოდა, სადაც ირიკეზელთა თითოეულ წევრს შეეძლო გამოეთქვა აზრი, მაგრამ საკითხს საბჭო წყვეტდა. კავშირს არ ჰყავდა პერსონალური უმაღლესი მეთაური, აღმოსავლური ხელისუფლების სათავეში მდგომი პირი, სამაგიეროდ ირჩევდნენ ორ თანასწორუფლებიან სარდალს. ისინი არაფრით განსხვავდებოდნენ ირიკეზელთა თითოეული წევრისაგან, გარდა სახელისა—„სარდალი" და მათი გადაყენება ნებისმიერ დროს შეეძლო კავშირის საბჭოს.[1]

მსგავსი ნიშნებით ხასიათდებოდა ძველი ბერძნების საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც საგვარეულო მეთაურებს, არქონტებს ირჩევდა. მათ ცვლიდა გვარის წევრთა კრება. ხოლო გვარების გაერთიანებისაგან შემდგარი ტომი საკითხებს წყვეტდა სახალხო კრებაზე, რომელსაც აგორა ეწოდებოდა, მასში მონაწილეობას მხოლოდ მამაკაცები ღებულობდნენ. ტომის ყოველდღიურ საქმიანობას განაგებდა უხუცესთა საბჭო—ბულე. ასევე ირჩევდნენ სამხედრო მეთაურს—ბაზილევსს.

ძველ რომაელებს ჰქონდა თავიანთი სახალხო კრებები, უხუცესთა საბჭოები და ჰყავდათ არჩევითი ბელადი—რექსი, რომელიც უმთავრესად სამხედრო წინამძღოლისა და ქურუმის მოვალეობას ასრულებდა. რაც შეეხება აღმოსავლეთის სლავთა ტომებს, მათ მეთაურს Князь ეწოდებოდა, ხოლო სახალხო კრებას—ვეჩე.*

ირიკეზების ტომთა ფედერაციის მსგავს მოვლენებს ვხვდებით საქართველოში, კერძოდ—სვანეთში, ხევსურეთში, მთა-თუშეთში. რუსი მკვლევარი მ. კოვალევსკი განიხილავს პირველყოფილ საზოგადოებრივ

---

[1] გ. ლობჟანიძე, ნარკვევები არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივ-სამართლებრივი ნააზრევიდან, ქუთაისი, 1992 წ., გვ. 191

* გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ. 1997, გვ. 11

წყობას სვანეთში: „მესტიის საზოგადოებაში ხალხი იკრიბებოდა საჯარო კრებებზე (ჯან-ნაზურან) და ირჩევდა უხუცეს მამასახლისს (მახვშს). მახვშის გარდა კიდევ 12 კაცს ირჩევდნენ (მიბარებს), რომლებიც წესრიგს ადევნებდნენ თვალყურს. საერთო კრებას ესწრებოდა ყოველი სრულწლოვანი ქალი და კაცი. თითოეული გადაწყვეტილება დამსწრეთა სრული თანხმობით უნდა ყოფილიყო მიღებული".[1] არჩილ ჯორჯაძის აზრით, ამ მხრივ საყურადღებოა თუშების საზოგადოებრივი ორგანიზაცია. გვარები შეკავშირდნენ და შეადგინეს ოთხი თემი—წოვის, გომეწარის, პირიქითისა და ჩაღმისა, თემების წარმომადგენლები სოფელ ღელში იკრიბებოდნენ საქმეების გასარჩევად. თითოეული თემი თავის მხრივ პატარა ნაწილებად—ხევებად იყოფოდა, რომელთაც სათავეში ხევისბერები ედგნენ. ისინი განიხილავდნენ სოფლებს შორის დავას და თუ თემებს შორის გაუგებრობა მოხდებოდა, მაშინ მას თემების მიერ არჩეული კაცები არიგებდნენ. თითოეული თემი 3 მსაჯულს ირჩევდა.[2]

ამრიგად, პირველყოფილი საზოგადოებრივი წყობილების ძირითადი ნიშანია საერთო საკუთრებაზე დამყარებული დემოკრატია, რომელიც არანაირად არ ზღუდავს პიროვნებას. ურთიერთობანი ხორციელდებოდა ამხანაგურ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე. საზოგადოებრივ წევრებს შორის ურთიერთობა არ წესრიგდებოდა დაწერილი კანონებით და სამართლის ნორმებით, მაგრამ საზოგადოებაში მოქმედებდა სხვა სახის ნორმებიც. ქცევის ამ ფორმებს პირველყოფილ ადათებს, წესებს და ჩვეულებებს ვეძახით.

ქცევის ამ წესებს, ე.ი. პირველყოფილ ადათებს ასრულებდნენ არა საგანგებო აპარატის იძულებით, არამედ დამკვიდრებული ტრადიციების, გამომუშავებული ჩვევების გამო, გვარის უხუცესების და ბელადების ავტორიტეტის გავლენით. ადათის დამრღვევებს სჯიდნენ საზოგადოებრივი ზემოქმედების მკაცრი ზომებით (გვარიდან თუ ტომიდან გაძევება, გაკიცხვა ან სხვა).[3]

ადათების მიხედვით, გვარის ან ტომის წევრის მოკვლის ან რაიმე ზიანის მიყენების შემთხვევაში, გვარი ან ტომი ვალდებული იყო შური ეძია თავისი წევრისათვის.

თავიდან არ არსებობდა თანაზომიერება შურისძიების დროს, მაგალითად, ქურდი შეიძლებოდა დანაშაულზე წასწრებისას ადგილზევე მოეკლათ. შემდგომში მკვიდრდება ე.წ. ტალიონის პრინციპი (თვალი

---

[1] М. Ковалевский, Закон и обычай на кавказ, 1890, ст. 15.

[2] არჩ. ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი პირველი, 1911 წ., გვ. 17

[3] გ. იწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1962 წ. გვ. 18

თვალის წილ, კბილი კბილის წილ), როდესაც საპასუხო მოქმედება ანალოგიური უნდა ყოფილიყო.

კიდევ უფრო მოგვიანებით, დამნაშავე პირს შეეძლო თავი დაეღწია სასჯელისაგან, დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავებისათვის რაიმე ქონებრივი სასყიდლის გადაცემით, შემდეგ კი ფულის გადახდით.

ცალკე განხილვის საგანია კაცობრიობის განვითარების ზემოთ განხილული პერიოდების გვერდით ოჯახის თანმიმდევრული განვითარების გზა. ლუის მორგანმა აღმოაჩინა განსხვავება გვარში ნათესაური სისტემის განვითარებასა და ოჯახის ისტორიას შორის; მისი აზრით, ნათესაური სისტემა პასიურია, ოჯახი კი—აქტიური; ამიტომ, თუ ოჯახის ფორმები რადიკალურად იცვლება, იგი ზეგავლენას ახდენს და ცვლის გვარში ნათესაობის სისტემას, ე.ი. შესაძლებელია ისტორიულად შემონახული ნათესაობის ფორმებიდან აღდგეს შესაბამისი ოჯახური ფორმები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოუწესრიგებელი სქესობრივი ურთიერთობისაგან დაიწყო ოჯახის ისტორიული ფორმების ჩამოყალიბება: პირველი ოჯახის ფორმა სისხლით ნათესაობის პრინციპზეა აგებული. იგი ჯგუფობრივი ოჯახის ფორმაა, როცა ცოლქმრული ჯგუფები დაყოფილია თაობათა მიხედვით და ქორწინება აკრძალულია მხოლოდ წინაპრებსა და ჩამომავლებს შორის (მშობლებსა და შვილებს შორის).

ოჯახის მერე ფორმაა პუნალუა ოჯახი, ძველი ჯგუფობრივი ოჯახის თაობებად გათიშვის, დაშლის შედეგად წარმოშობილი (პუნალუა თანამოაზრეს ნიშნავს). ამ შემთხვევაში ცნობილია მხოლოდ მემკვიდრის დედა. ამიტომ ყალიბდება დედის უფლება. ჯგუფური ოჯახის ორივე ფორმა დაკავშირებულია ველურობის საფეხურებთან.

ბარბაროსობის ეპოქის დასაწყისიდან წარმოიშვა წყვილადი ოჯახის ფორმა, რომელიც ამ ხანისათვისაა დამახასიათებელი. ამ სახით აიკრძალა დაქორწინება არა მარტო ახლობელ, არამედ შორეულ ნათესავებთანაც. ამ პერიოდშიც ქალს კვლავ გაბატონებული მდგომარეობა უკავია.

ცივილიზაციის ეპოქის დასაწყისში ჩამოყალიბდა პატრიარქალური ოჯახი, რომელსაც მოჰყვა მონოგამიური ოჯახის შექმნა. ეს წყვილადი ოჯახის განვითარების ის ფორმაა, რომელმაც დედის გაბატონებული ადგილი მამის უფლებით შეცვალა, ქორწინების გაწყვეტა უკვე მამაკაცზე იყო დამოკიდებული; რადგან ქალი მამაკაცის საკუთრება გახდა, საბოლოოდ დაემხო დედის უფლება.[1]

საწარმოო ძალების ახალმა აღმავლობამ, ბუნებრივი სიკეთეების სულ უფრო მეტად ათვისების აუცილებლობამ, ლითონის საბრძოლო

[1] მ. ჭელიძე, ბარბაროსობიდან ცივილიზაციისაკენ, თბ., 1985 წ., გვ. 17-18

და შრომის იარაღის დამზადებამ და გაუმჯობესებამ განაპირობა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება. ადამიანთა ცალკეულმა ჯგუფებმა ხელი მოჰკიდეს თიხის, ლითონის ჭურჭლის, შრომისა და ბრძოლის იარაღების დამზადებას (ხელოსნობას), სხვებმა მესაქონლეობა გაიხადეს არსებობის წყაროდ, ან მიწათმოქმედებას მიჰყვეს ხელი. შედეგად ამას მოჰყვა კერძო საკუთრების გაჩენა. ე.ი. შრომის საზოგადოებრივმა დანაწილებამ და საწარმოო ძალების განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა შრომის ნაყოფიერება; ადამიანებს გაუჩნდათ საშუალება, იმაზე მეტი პროდუქცია ეწარმოებინათ, ვიდრე მათ სჭირდებოდათ არსებობისათვის. ამავე დროს, შესაძლებელი გახდა, ცალკე პატრიარქალურ ოჯახს მოეწყო თავისი მეურნეობა და მთელი ქონება ოჯახის წევრთა საკუთრება ყოფილიყო. კერძო საკუთრების გაჩენის პროცესთან ერთად ხდება შრომის კიდევ ერთი დანაწილება, ნამატი პროდუქციის ხარჯზე იწყება გაცვლა-გამოცვლა (ვაჭრობა). ფენა, რომელიც ამ საქმიანობას ეწეოდა, საწარმოო პროცესში არ იღებდა მონაწილეობას, ე.ი. ვაჭრობის გაჩენასთან ერთად მიმოქცევაში შემოდის ფულის ერთეული, იქმნება სავაჭრო ცენტრები, ქალაქები.

ოჯახებისა და ცალკეული პირების მიერ სიმდიდრის დაგროვების შესაძლებლობამ გაზარდა მისწრაფება, გამოეყენებინათ სხვისი შრომა და ექსპლუატაცია გაეწიათ სხვა ადამიანებისათვის, უპირველეს ყოვლისა, მონებისათვის. მათი რიცხვი სამხედრო ტყვეებით ივსებოდა. თუკი მანამდე ტყვეებს ხოცავდნენ ან თავისუფალ მეთემეებად ღებულობდნენ, ამიერიდან უკვე ამუშავებენ და მათი შრომის ხარჯზე სიმდიდრეს აგროვებენ. უფრო მოგვიანებით დაიწყო ღარიბი მეთემეების მონებად გადაქცევა, ესენი ის პირებია, რომლებიც ვალების გადახდას ვერ ახერხებდნენ.

ამრიგად, გარკვეულმა ეკონომიკურმა პროცესებმა და სხვა საზოგადოებრივმა მოვლენებმა განაპირობეს პირველყოფილი თემური ანუ გვაროვნული წესწყობილების დარღვევა და საზოგადოების დაყოფა მკვეთრად დაპირისპირებულ ფენებად, რომლებსაც შემდგომში სხვადასხვა თეორიებსა და საზოგადოებრივ მეცნიერებებში კლასები დაარქვეს.[1]

ბუნებრივია, პირველყოფილი გვაროვნული წყობილებისათვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი უკვე მიუღებელი და შეუთავსებელი აღმოჩნდა კლასობრივი საზოგადოებისათვის და საჭირო გახდა მანამდე უცნობი და სრულიად ახლებურად მოწყობილი ხელისუფლების ორგანოების შექმნა. ამის აუცილებლობა დააჩქარა მდიდარ კლასსა და

[1] გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, 1997 წ., გვ. 4-15

ღარიბებს შორის ჩამოვარდნილმა წინააღმდეგობამ. მდიდრების შიშმა, არ დაეკარგათ მათ ხელთ მოქცეული სიმდიდრე და პრივილეგირებული სოციალური მდგომარეობა, საჭირო გახადა ისეთი მექანიზმის მოფიქრება, რომელიც დაიცავდა მათ მდგომარეობას, და სწორედ ასეთი ძალების როლი შეასრულა სახელმწიფომ და სამართალმა.

მეცნიერები განიხილავენ სახელმწიფოს წარმოშობის სამ ძირითად ფორმას, რაც დამახასიათებელია პირველყოფილი თემური წყობილების რღვევისა და სახელმწიფოს წარმოშობის პროცესისათვის სხვადასხვა ქვეყანაში.[1]

სახელმწიფოს წარმოშობის ყველაზე კლასიკურ მაგალითად განიხილავენ ათენის სახელმწიფოს. მისი შექმნის აუცილებლობა განაპირობა კლასობრივმა ანტაგონიზმმა, ყოველგვარი შიდა და გარე ძალებისა თუ სხვა ზემოქმედების გარეშე.

სახელმწიფოს წარმოშობის მეორე ფორმად მიღებულია რომის სახელმწიფოს მაგალითი, რომლის შექმნა დააჩქარა უკიდურესად გამწვავებულმა წინააღმდეგობამ და ბრძოლამ გვაროვნულ არისტოკრატიასა და თავისუფალ მეთემეებს—პლებეებს შორის. შედეგად იშლება სისხლის ნათესაობის პრინციპზე დამყარებული გვარი და საფუძველი ეყრება საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც ემყარებოდა მოსახლეობის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ და წოდებრივ-კლასობრივ დაყოფას. ე.ი. რომის სახელმწიფოს წარმოშობას საფუძველი ჩაუყარა შინაგანმა წინააღმდეგობამ.

გერმანულ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობა სპეციფიურობით ხასიათდება. იმ დროს, როდესაც რომის მონათმფლობელური იმპერია თავის განვითარების უმაღლეს საფეხურზე იყო ასული, გერმანელი ტომები ჯერ კიდევ პირველყოფილი გვაროვნული წყობილების პირობებში ცხოვრობდნენ. ისინი გაერთიანდნენ, თავს დაესხნენ რომის იმპერიას და დაამხეს იგი. გერმანელებმა შექმნეს არა მონათმფლობელური, არამედ ფეოდალური სახელმწიფო.

ეს თავისებურება იმით აიხსნება, რომ აქ გვაროვნული წყობილების რღვევის პერიოდში საწარმოო ძალები შედარებით სწრაფად ვითარდებოდნენ და სანამ მონათმფლობელური სახელმწიფო შეიქმნებოდა, უკვე ჩამოყალიბებას იწყებს ფეოდალური წყობილებისათვის დამახასიათებელი წარმოების წესი. საგვარეულო თემის მეთაურები მდიდრდებიან, ხელში იგდებენ საუკეთესო მიწების დიდ ნაკვეთებს და თავიანთ გარშემო შემოკრებილი შეიარაღებული რაზმების მეშვეობით მორჩილებაში

[1] დაწ. იხ. ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, 1953 წ.

ჰყავთ თემის ყოველი რიგითი წევრი. ეს უკანასკნელები გადაიქცევიან ნახევრად თავისუფალ, მსხვილ მიწათმფლობელებისაგან ეკონომიკურად დამოკიდებულ გლეხებად, რომლებიც თავიანთ მცირე მიწის ნაკვეთებიდან მიღებული პროდუქტების ნაწილსაც მიწათმფლობელებს აბარებენ და ვალდებულიც არიან, მათ მამულში იმუშაონ. ასეთ პირობებში მონათმფლობელობა აღარ მყარდება, წარმოიშობიან ფეოდალთა და ყმა-გლეხთა კლასები და სახელმწიფოც ფეოდალური ტიპისა იქმნება.[1]

სახელმწიფოს ეს სამი ფორმა დამახასიათებელი იყო თითქმის ყველა ქვეყნისათვის და ამ თავისებურებების გათვალისწინებით იქმნებოდა სამართალიც, რადგანაც სამართალი სახელმწიფოსთან ერთად ყალიბდება. პირველი სამართალი დამყარებული იყო იმ ადათებსა და წესებზე, რომლებიც წლების მანძილზე ფორმირდებოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათ შემდეგ სავალდებულო ძალა მიენიჭა და ადათობრივი სამართალი ეწოდა. ილია ჭავჭავაძე მაღალ შეფასებას აძლევდა რა ჩვეულებით სამართალს, დაინტერესებული იყო მისი შესწავლით. ჩვეულება—წერს ილია ჭავჭავაძე—ერისათვის იგივე სჯულია, იგივე კანონია, მხოლოდ დაუწერელი კი.[2]

სამართლის წარმოშობის მიზეზებს იგი განიხილავს მიწათმფლობელობის ერთ-ერთ ფორმასთან—ხიზნობასთან კავშირში: ხიზნობა სხვისი მიწით სარგებლობას ნიშნავდა. მიწათმფლობელობის ანალოგიურ ფორმებს სხვადასხვა სახელწოდებით ვხვდებით გერმანიაში, პორტუგალიაში, რუსეთში, საფრანგეთში, ნიდერლანდებში, იტალიაში, ინგლისში.

ბუნებრივია, საზოგადოებრივი ურთიერთობა მიწათსარგებლობის პროცესში საჭიროებდა გარკვეულ სამართლებრივ ნორმებს. ხიზნობის დასაწყის ეტაპზე—წერს ილია ჭავჭავაძე—საზოგადოებრივი ურთიერთობა მიწათსარგებლობის პროცესში რეგულირდება ჩვევებით, შემდეგ კი ადათობრივი ნორმებით, ხოლო განსაზღვრული საფეხურის შემდეგ ადათობრივი სამართალი შეცვალა დაწერილმა კანონებმა, რამდენადაც კერძო საკუთრებას, რომელიც მომავალი საზოგადოების საძირკველი იყო, შეესაბამებოდა არა ადათი, არამედ კანონი.[3]

ამრიგად, წერს პროფ. გ. ინწკირველი, ადათების სანქციონირების შედეგად კლასობრივ საზოგადოებაში იქმნება პირველი სამართლებრივი ნორმები, მაგრამ მხოლოდ მათი მეშვეობით და სასამართლო გადაწყვე-

---

[1] გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1997 წ. გვ. 17

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად. ხიზნების საქმე, გვ. 154

[3] იქვე, გვ. 115-190

ტილებებით, რა თქმა უნდა, არ მოხერხდებოდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების რეგულირება და გაბატონებული კლასის ინტერესების დაცვა.[1] დროთა განმავლობაში კანონი კარგავდა ადათობრივ ხასიათს და იზრდებოდა განსხვავება ადათსა და კანონს შორის, უფრო სწორად, ერთიმეორეს უპირისპირდებოდა ადათის და კანონის შინაარსი, თანდათან იკვეთებოდა და ძლიერდებოდა ძველი სამართლის კანონისებური თვისებები, მასში ახალ იურიდიულ და პოლიტიკურ ნორმებს ვპოვებთ, რომლებიც არ იყო ჩვეულებითს სამართალში. მცირდება რა ადათობრივი სამართლის ნორმები, კანონი კიდევ უფრო მტკიცედ იცავს გაბატონებული კლასების ინტერესს. აქედან გამომდინარე, ადათის ბედი ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეესაბამებოდა იგი მეფეთა და მთავართა ინტერესებს; თუ მთავრობის გაძლიერებისათვის სასარგებლო იქნებოდა ადათის არსებობა, მის განვითარებას ხელს უწყობდნენ, ხოლო თუ ადათი მთავრობის პრესტიჟს ძირს უთხრიდა, მას დევნიდნენ და ავიწროებდნენ.[2]

დღესაც სადავო საკითხად რჩება, თუ სად, მსოფლიოს რომელ კუთხეში წარმოიშვა პირველი სახელმწიფო და სამართალი. ისტორიკოსთა და მკვლევართა შორის დისკუსია და კამათი ხშირად ცხარე ხასიათს ღებულობდა. ბაბილონისა და ეგვიპტის ისტორიის მკვლევარები ამტკიცებენ, რომ სწორედ ბაბილონსა და ეგვიპტეში წარმოიშვა პირველი სახელმწიფო და სამართალი. უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომებიდან გამომდინარე, პრიორიტეტი სამხრეთ შუამდინარეთში, შუმერებისკენ იხრება.[3]

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის მარქსისტულ-ლენინურ კონცეფციას სერიოზულად აკრიტიკებენ და გადაჭარბებულად თვლიან საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა განმაპირობებელ ფაქტორებს, პოზიციას, რომლის მიხედვითაც საწარმოო ძალები განსაზღვრავენ იმ ურთიერთობებს, რომლებითაც ადამიანები ერთმანეთს უკავშირდებიან თავიანთი მოთხოვნილებისათვის საჭირო საგნების დამზადების დროს; ამით უნდა აიხსნას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენა. მარქსისტული პოზიციიდან გამომდინარე, არსებობს ბაზისი, ხოლო პოლიტიკა და სამართალი ზედნაშენური მოვლენებია სხვა კატეგორიებთან ერთად. ეს, ჩვენი აზრით, სწორი შეფასებაა, ოღონდაც მიდგომაა ცალმხრივი, რადგანაც მთელი...მეცნიერება მოქცეული იყო პარტიულ „მარწუხებში“.

---

[1] გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, 1997 წ. გვ. 19

[2] არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი I, 1911 წ., გვ. 12

[3] დაწ. იხ. ს.ნ. კრამერი, ისტორია იწყება შუმერიდან, 1965 წ.

არ შეიძლება, არ დავეთანხმოთ პროფ. გ. ნადარეიშვილის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საბჭოთა პერიოდის ლექციებსა და გამოკვლევებში სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის, მათი განვითარების ისტორიის შესახებ, გადაჭარბებულად იყო შეფასებული სახელმწიფოსა და სამართლის ზედნაშენის წარმოშობაში ეკონომიკური ფაქტორის—წარმოებით ურთიერთობათა როლი და თითქმის უყურადღებოდ მიტოვებული, მნიშვნელოვან წილად, სულიერი კულტურის განპირობებულობა სამართალგანვითარებისა.[1] სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის საკითხის განხილვისას გვერდს ვერ აუვლით ივ. ჯავახიშვილის[2] მიერ სახელმწიფოს წარმოშობის თაობაზე განვითარებულ აზრს, რომელიც ემთხვევა პროფ. გ. ელინეკის[3] მოსაზრებას. ივ. ჯავახიშვილისა და გ. ელინეკის მიხედვით, პირველყოფილი თემური წყობილების მმართველობის სისტემა შეიცავდა სახელმწიფო ორგანიზაციის ნიშნებს.

აღნიშნული მოსაზრება რეალურ საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული, რადგანაც მეცნიერებაში დამკვიდრებულია აზრი სახელმწიფოს წარმოშობის სხვა გზის შესახებაც (რასაც მარქსისტებიც იზიარებდნენ). ერთ-ერთი გზა სახელმწიფოს წარმოშობისა იმაში მდგომარეობს, რომ პირველყოფილი თემურ-გვაროვნული წყობილების ბოლო პერიოდში ხდებოდა საზოგადოებრივ თანამდებობათა მემკვიდრეობით გადაცემა, ჯერ კერძო საკუთრების არარსებობის, ან მისი სუსტად განვითარების პირობებში, რაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში სდევდა თან სახელმწიფოს წარმოშობის პროცესს. ამიტომ იქ, სადაც ამ გზით წარმოიშობა სახელმწიფოებრიობა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთზე თემურ-გვაროვნული წყობილება (ცივილიზაციის მეორე და მესამე პერიოდში) და სახელმწიფო თანაარსებობენ.[4]

თანამედროვე მკვლევართა აზრით, საქართველოში სახელმწიფო სწორედ ზემოაღნიშნული გზით უნდა იყოს წარმოშობილი. მეცნიერებაში არის „ნახევარსახელმწიფოს" ცნება, ამიტომ, როგორც ვხედავთ, ამ არგუმენტებს აქვს რეალური საფუძველი, თუმცა ამ მოსაზრებამ ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა.

ამდენად, სახელმწიფოც და სამართალიც თანმხვედრი მოვლენებია. მაგრამ, გარკვეულწილად, მეცნიერებაში დღემდე განვითარებული სახელ-

---

[1] გ. ნადარეიშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, 1996 წ. გვ. 10

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1960 წ. ტ I გვ. 167-170

[3] გ. ელინეკი „სახელმწიფო იგივე საგვარეულო წყობაა...საგვარეულო წყობაში უკვე არსებობს სახელმწიფო".

[4] ჟურნალი „Народы Азии и Африки, " №1, 1990 წ.

მწიფოს, როგორც კლასობრივი პოლიტიკური ორგანიზაციის იდეა, მოძველებულია და არ შეესაბამება სახელმწიფოს წარმოშობის რეალურ სურათს. დღევანდელი გაგებით სახელმწიფო, კლასობრივი წარმონაქმნი „კლასის კლასზე ბატონობის იარაღი" კი არაა, არამედ ერის კონსოლიდაციის შედეგია. სახელმწიფოც წარმოიქმნა, იქ და მაშინ, როცა ამა თუ იმ ერის წიაღში მისი პოლიტიკური ერთობისა და კონსოლიდაციის მოთხოვნა გაჩნდება. ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიაში" თავდაპირველი ქართული სახელმწიფოების, ე.წ. „ხევების ქვეყნების" წარმოშობას სწორედ ქართული გვარ-ტომების ასეთი ერთობის ნიადაგზე განიხილავს.

ჩვენ განვიხილეთ სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა ზოგადად, რადგანაც პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია უკავშირდება სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობას და ის მოძღვრებები და დოქტრინები სწორედ მაშინ იღებენ სათავეს, როცა უკვე საქმე გვაქვს სახელმწიფოსა და სამართალთან.

ბუნებითი სამართალი და მისი განვითარების ეტაპები

ბუნებითი სამართალი თავის არსებობის სათავეს ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქიდან იღებს. სსრ კავშირში მას ფრაგმენტულად იკვლევდნენ, რადგან ამ მოძღვრებას ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობად თვლიდნენ. არსებითად კი, ადრეც და ამჟამადაც, შეუძლებელია ბუნებითი სამართლის გათვალისწინების გარეშე პოზიტიური, ჩვეულებითი თუ პრეცედენტური სამართლის საფუძვლიანი შესწავლა, თუმცა „სამართლის მეცნიერებაში მრავალი საუკუნის განმავლობაში გაბატონებული იყო მოძღვრება, რომელიც ამტკიცებდა, რომ მუდმივად ცვალებადი პოზიტიური სამართლისაგან ანუ კანონმდებლობისაგან დამოუკიდებლად არსებობს ბუნებითი სამართალი ანუ უზენაესი, საყოველთაო, მარადიული სამართალის პრინციპები, რომლებისკენაც უნდა ისწრაფვოდეს ყოველი ქვეყნის პოზიტიური სამართალი და რომლებიც წარმოადგენს მოქმედი კანონმდებლობის შეფასების კრიტერიუმს".[1]

ბუნებითი სამართალი სამართლის იდეალისტური გაგებაა, რომლის მიხედვითაც სამართალს განაპირობებს თვით ადამიანის ბუნება და ამიტომ დამოუკიდებელია კონკრეტული სოციალური პრობლემისა და სახელმწიფოსგან.[2] ბუნებითი სამართლის სკოლის მიმდევრებმა თავიანთი თეორია (ჰოლანდია—გროციუზი და სპინოზა; ინგლისი—ჰობსი და ლოკი; საფრანგეთი—ვოლტერი, მონტენსკიე, რუსო; გერმანია—ლაიბნიცი, ვოლფი, ჰუფენდორფი, კანტი, ფიხტე; რუსეთი—ალექსანდრე რადიშჩევი) თითოეულ სახელმწიფოში მოქმედ ანუ პოზიტიურ სამართალს დაუპირისპირეს, რომელიც, პოზიტიურისაგან განსხვავებით, საერთოა ყველა ხალხისა და ყოველი ადამიანისათვის. იგი მარადიული და უცვლელია და საყოველთაო სამართლიანობის გამოვლინებას წარმოადგენს. „მათი შეხედულებით, მოქმედი სამართალი მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს მისაღებად, თუ იგი ბუნებითი სამართლის პრინციპებს შეესაბამება".[3]

ბუნებითი სამართლის არსებობისა და განვითარების ისტორია პირობითად შეიძლება ოთხ ეტაპად დავყოთ:

---

[1] ბ. საეანელი, სამართლის თეორია, 1993, გვ. 177

[2] მ. ცაცანაშვილი, თეზისები საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრების ისტორიიდან. თბ., 1996, გვ. 5

[3] გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1997 გვ. 85

1. ანტიკური სამყაროს ხანა, რომელშიც მიმდინარეობს პირველყოფილი გვაროვნული წყობილების რღვევა და სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა მონათმფლობელურ საზოგადოებაში.

ძვ. ჩინელი მოაზროვნეები ლაო-ძი, მო-ძი (VI-V სს.) და სხვა ფილოსოფოსები ერთმანეთისაგან უკვე განასხვავებდნენ ბუნებით და ადამიანურ სამართალს. ლაო-ძის მტკიცებით—წერს პროფ. ვ. აბაშმაძე—სახელმწიფოს მართვა მხოლოდ ბუნებითი დაოს მიხედვით უნდა წარმოებდეს, ხანდახან უიმისოდ შეუძლებელია საზოგადოებაში სიმშვიდისა და ჰარმონიის დამყარება. საზოგადოებას შეუძლია არსებობა ბუნებითი დაოს ბატონობისას ყოველგვარი ბრძანებების გარეშე. „დაო მუდმივია და მას არა აქვს სახელი. მართალია, იგი მცირე არსებაა, მაგრამ სამყაროში მისი დამორჩილება არვის შეუძლია. თუ კეთილშობილნი და ხელმწიფენი შეძლებენ მის დაცვას, მაშინ ყველა არსება თავისთავად გახდება მშვიდი, მაშინ ზეცა და დედამიწა შეერთდება ჰარმონიულად, დამყარდება ბედნიერება და კეთილდღეობა, ხოლო ხალხი ბრძანებების გარეშე დამშვიდდება". უსახელმწიფო საზოგადრებაში, ლაო-ძის აზრით, ყველაფერი ბუნებითი დაოს მიხედვით იმართებოდა, სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ ბუნებითი დაოს გვერდით გაჩნდა ადამიანური დაო, რომელიც ავიწროვებს და ზღუდავს ბუნებითი დაოს მოქმედებას. ბუნებითი სამართლის მოძღვრება ძველ ჩინეთში შემდგომში განავითარეს ფაცის სკოლის წარმომადგენლებმა. ამ სკოლის ბევრ თვალსაჩინო წარმომადგენელთა შორის აღსანიშნავია ხან ფეის (ძვ. წ. 288-233 წწ.) მოღვაწეობა.

ხან ფეის აზრით, არსებობს ორი სახის კანონები: ა) ბუნებითი, ბ) ადამიანური. ბუნებითი კანონები უსწრებს ადამიანურ კანონებს. ის ჯერ კიდევ სახელმწიფოს წარმოშობამდე არსებობდა და სახელმწიფოს პირობებშიც მოქმედებს. რაც შეეხება ადამიანურ კანონებს, იგი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ ჩნდება, ამიტომ უპირატესობა ბუნებით კანონებს ენიჭება, რომლის მიზანია ბუნებასა და საზოგადოებაში დამყაროს წესრიგი, სიმშვიდე და წონასწორობა. ადამიანური კანონები იგივე სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონებია და გამოხატავენ ადამიანთა ინტერესებს. მაგრამ რადგანაც საზოგადოების უმაღლეს მიზანს წარმოადგენს ადამიანთა შორის წესრიგისა და სიმშვიდის დამყარება, სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონები უნდა შეესაბამებოდეს ბუნებით კანონებს, რომლებიც ყველაზე უკეთ უზრუნველოფენ ბუნებასა და საზოგადოებაში წესრიგის დამყარებას. სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონები ბუნებით კანონებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ, კერძოდ, პოზიტიური სამართალი თვითნებურად არ

უნდა ერეოდეს მოვლენათა ბუნებრივი განვითარების პროცესში, არამედ, საჭიროა, ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებზე მისი მოქმედება გამომდინარეობდეს ბუნებითი კანონების მოთხოვნებიდან.

ამიტომ, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ჩამოყალიბებული მოძღვრებით, სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართალი მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს ბუნებით სამართალს.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, პირველად ბუნებითი სამართლის მოძღვრებას საფუძველი ჩაეყარა ბერძენ ფილოსოფოსთა შეხედულებებში. მიგვაჩნია, რომ ბუნებითი სამართალი დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა საბერძნეთსა და რომში და მისი განვითარების მესამე ეტაპი დაკავშირებულია XVI-XVII სს-ების მოღვაწეთა, გროციუსისა და სხვათა სახელთან. ძველ ბერძნებში იგი რამდენიმე მიმართულებით განვითარდა: ა) ბუნებითი სამართალი, როგორც პოზიტიური სამართლის საფუძველი, ბ) როგორც ეთიკური სინამდვილის კრიტიკული ნორმა, გ) როგორც გონების ბატონობით განსაზღვრული მთელი კოსმოსის წესრიგი. ეს აზრი განავითარეს და ჩამოაყალიბეს ჰერაკლიტემ, დემოკრიტემ და პროტაგორამ. საზოგადოებაში ბუნებით კანონებზე დამყარებული ყველა ურთიერთობა წააგავს ყველას ომს ყველას წინააღმდეგ. ბუნებით მდგომარეობაში შეუძლებელია ადამიანთა ერთობლივი ცხოვრება. ამ მძიმე მდგომარეობიდან თავის დასაღწევად იქმნება სამოქალაქო საზოგადოება და შესაბამისად პოზიტიური სამართალი, რომელიც უნდა ისწრაფვოდეს თავისი სრულყოფისათვის ბუნებითი სამართლისაკენ. ასეთ დამოკიდებულებას ვხედავთ სოკრატესა და პლატონის მოძღვრებებში.

ბუნებით სამართალთან დაკავშირებით, საბერძნეთის მეცნიერული მემკვიდრეობის ზეგავლენით, ისინი შეეცადნენ აეხსნათ ბუნებითი სამართლის სავალდებულო ხასიათი, მისი მატერიალური წყარო, რაც, განსხვავებით მანამ არსებული მოსაზრებებისაგან, ბუნებით სამართალს უნივერსალურ ხასიათს ანიჭებს. მათ ბუნებითი სამართლის განმსაზღვრელი შინაარსი ღვთის ნებას დაუმორჩილეს. ამით ღვთაებრივი სამართალი გააიგივეს ბუნებით სამართალთან, რომლის ძალითაც ბუნებითი სამართლის ნორმების რეალიზაცია არ მოითხოვს იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას, იგი ღვთის ნებით განსაზღვრული ადამიანთა ბუნების შესაბამისია და ლოგიკური აუცილებლობით აღსრულდება. საბოლოოდ, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ადამიანური სამართალი უნდა შეესაბამებოდეს ღვთის ნებით განსაზღვრულ ბუნებით სამართალს.

ბერძნული ბუნებითი სამართლის მოძღვრებაში არისტოტელე შეე-

ცადა მთელი რიგი ახალი მომენტები შეეტანა. კერძოდ, იგი ბუნებით სამართალს აცხადებს უმნიშვნელოვანეს კრიტიკულ ნორმად ეთიკური სინამდვილის შესავსებად. მისი მტკიცებით, პოზიტიურ (ადამიანურ) და ბუნებით სამართალს შორის არსებული წინააღმდეგობების შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ მხოლოდ ბუნებითი სამართლის მოთხოვნები. ბუნებითი სამართალი მუდმივია, იგი არ იცვლება. მას ყველგან ერთნაირი ძალა აქვს, ცეცხლი ისევე წვავს საბერძნეთში, როგორც სპარსეთში. ბუნებითი სამართალი წარმოადგენს ეთიკურად სინამდვილის შესაფასებელ ერთადერთ კრიტიკულ ნორმას და ამდენად იგი ადგენს ზნეობაზე დამყარებულ ყველაზე უმაღლეს სამართლიანობას.

რომში ბუნებითი სამართლის თავისებური ფილოსოფიური საფუძველი შექმნეს ციცერონმა, მარკუს ავრელიუსმა, სენეკამ, ეპიქტეტემ, ულპიანემ და სხვებმა. ციცერონი შრომებში „სახელმწიფოს შესახებ“ და „კანონის შესახებ“ ამტკიცებს, რომ ბუნებითი სამართლის სფერო დაწერილ სამართალთან შედარებით ფართოა, იგი ვრცელდება არა ერთ რომელიმე ხალხზე, არამედ ყველა ხალხზე ერთნაირად.

რომაელი ფილოსოფოსები (სტოელები) ერთმანეთისაგან განასხვავებენ კოსმოსის მუდმივ კანონს და ადამიანურ სამართალს ცალკეული სახელმწიფოებისათვის. ბუნებითი სამართალი, მათი აზრით, არის ადამიანური სამართლის კრიტიკული საზომი.

დემოკრიტესა და პროტაგორის აზრით, ბუნებითი სამართალი არის იგივე ღვთაებრივი სამართალი და მას შესწევს ძალა მოაწესრიგოს ყველაფერი.

პროფესორ ვ. აბაშმაძის აზრით, ბუნებითი სამართლის მოძღვრება, რომელსაც ძველი ბერძენი მოაზროვნეების ნაშრომებში შედარებით აბსტრაქტული ხასიათი ჰქონია, რომის სახელმწიფოში კლასობრივი წინააღმდეგობის გამწვავების შედეგად თანდათანობით ძლიერ პოლიტიკურ ჟღერადობას იძენს და იგი გამოიყენება რომის მონათმფლობელური წყობილების შენარჩუნებისა და განმტკიცების იარაღად, მაგრამ ბუნებითი სამართლის როლი მარტო ამით არ ამოიწურება; ქრისტიანული რწმენის ფუძემდებელი სოფისტების, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, ციცერონის, რომაელი სტოელებისა და იურისტების მოძღვრებას ბუნებითი სამართლის შესახებ შუა საუკუნეებში ფართოდ იყენებენ ქრისტიანობის რელიგიური დოგმატების ჭეშმარიტების დასასაბუთებლად.[1]

2. ბუნებითი სამართლის მეორე ეტაპი ქრისტიანული იდეოლოგიის პოლიტიკაში დამკვიდრებით იწყება. ამ საფეხურზე ბუნებითი სამარ-

[1] ვ. აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, თბ. 1992 წ. გვ. 332

თალი კონკრეტიზაციას განიცდის. კერძოდ, პატრისტიკის წარმომადგენლები ბუნებით სამართალს აცხადებენ ბუნებრივი ღმერთის გონების გამოვლენად,[1] განსხვავებით მონათმფლობელური ეპოქისაგან, სადაც ბუნებითი სამართლის საფუძვლად და წყაროდ აღიარებული იყო არა პერსონალური, არამედ აბსტრაქტული მსოფლიო გონება. ბუნებით სამართალს ეკლესიის მამები უმაღლესი, ღმერთის ნებით განსაზღვრული მუდმივი სამართლის ერთ-ერთ სახედ მიიჩნევენ და ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ფართოდ იყენებენ ანტიკური ეპოქის მოძღვრებებს ბუნებით სამართალზე, განსაკუთრებით ეს ითქმის ქრისტიანობის პოლიტიკური დოქტრინის ფუძემდებელზე ავრელიუს ავგუსტიანეზე და პატრისტიკის ქრისტიანული პოლიტიკური იდეოლოგიის სხვა წარმომადგენლებზე (ორიგენე, გრიგოლ ნოსელი, ტერტულიანე, იოანე ქრისოსტომიესი),[2] რომლებმაც საფუძველი მოუმზადეს სქოლასტიკოსების ქრისტიანულ-პოლიტიკური იდეოლოგიის განვითარებას შუა საუკუნებში (რუვენიესი, როლანდ კრემონელი, ანსელმ ლიონელი, თომა აქვინელი). მათ დაუპირისპირდა რეფერმისტულ-ევანგელისტური მოძრაობის ლიდერი მარტინ ლუთერი. თუმცა ეს დაპირისპირება იმ რეფორმების ფარგლებში დარჩა, რომელიც რეფორმისტული მოძრაობის ლიდერებმა წამოაყენეს რომის პაპის წინააღმდეგ.[3]

3. მესამე ეტაპი დაკავშირებულია XVI-XVII ს.ს. ინგლისში, ჰოლანდიასა და საფრანგეთში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასა და ურთიერთდაპირისპირებულ სოციალურ-პოლიტიკურ და რელიგიურ ძალებს შორის უკიდურესად გამწვავებულ ბრძოლასთან, პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარ ძვრებთან, რაც ბუნებითი სამართლისაგან რელიგიური სამართლის ჩამოცილებაში გამოიხატა. აღნიშნული ეტაპი განავითარეს რევოლუციის ცნობილმა იდეოლოგებმა: ჰუგო გროციუსმა, სპინოზამ—ჰოლანდიაში, თომას ჰობსმა, ჯონ ლილბორნმა, ჯონ ლოკმა—ინგლისში, სამეულ ჰუფენდორფმა, ქრისტიან ვოლფმა, ლაიბნიცმა, ქრისტიან თომაზიუსმა გერმანიაში. ამ ეტაპზე ბუნებით სამართალს იდეების გადამუშავებით ახალი სახელმწიფოებრივი მოწყობის იდეოლოგიური საფუძველი შეექმნა. ეს იდეები სრულყვეს და შემდგომში კლასიკური ფორმით ჩამოაყალიბეს ფრანგმა განმანათლებლებმა: ვოლტერმა, მონტესკიემ, რუსომ, ჰოლბახმა, ჰელვეციუსმა, დიდრომ და სხვებმა.

ჯონ ლოკის აზრით, სახელმწიფოში ადამიანთა ბუნებითი თავისუფ-

---

[1] მ. ცაცანაშვილი, დას. შრ. გვ. 6

[2] ვ. აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, თბ. 1992 წ. გვ. 33

[3] მ. ცაცანაშვილი, დას. შრ., გვ. 7

ლების უზრუნველყოფისათვის ერთიანი სახელმწიფოებრივი ხელისუფ-ლება უნდა დანაწილდეს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სამო-კავშირო (ფედერაციულ) ხელისუფლებად.

ეს თეორია შემდგომ გამოიყენა მონტესკიემ თავის ნაშრომში „კა-ნონთა სულის შესახებ". მან ერთმანეთისაგან განასხვავა: ა) საკანონ-მდებლო ხელისუფლება, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს პარლამენტს, ბ) აღმასრულებელი ხელისუფლება—მეფეს, გ) სასამართლო—ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს.

ასე რომ, ბუნებითი სამართლის ტრადიციულ მოძღვრებაში მან შეიტანა სრულიად ახალი და უცნობი მომენტი—სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილება, როგორც ადამიანებისათვის თანდაყოლი-ლი ბუნებითი თავისუფლებისა და უფლებების საზოგადოებაში დაცვი-სა და უზრუნველყოფის საშუალება.

მაგრამ ამ ეტაპზეკე გამოჩნდა რადიკალურად განწყობილი მიმარ-თულება—ჟან-ჟაკ რუსოს იდეოლოგია. იგი ადამიანთა ბუნებითი უფ-ლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად რესპუბლიკური მმართველობის ფორმას მიიჩნევს საჭიროდ და ზედმეტად ეჩვენება ხელისუფლების დანაწილება. „ეს იგივეა,—ამბობს რუსო, ადამიანი შეადგინო რამდენიმე სხეულისაგან, რომელთაგან ერთს ექნება თვალი, მეორეს—ხელი, მესამეს—ფეხი და სხვა არაფერი". იგი ხელისუფ-ლების დანაწილების იდეას უპირისპირებს სახალხო სუვერენიტეტის იდეას. მისი აზრით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანთა ბუნებითი უფლებები და თავისუფლებები დაცული იქნება ხელისუფლებისაგან, თუ შეიქმნება ისეთი სახელმწიფო წყობილება, რომელიც გამოხატავს ხალხის საერთო ნებას და სახალხო სუვერენიტეტი განუსხვისებელი და დაუნაწილებელია. ასე რომ, რუსომ შეასწორა ლოკის და მონტეს-კიეს მოძღვრება ბუნებით სამართალში სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თვალსაზრისით და ეს დანაწილება მთლიანად დაუქვემ-დებარა ბუნებითი სამართლის მოძღვრებაში მანამდე უცნობ სახალხო სუვერენიტეტის იდეას.

ბუნებითი სამართლის მოძღვრების კრიზისი დაიწყო ჟოზეფ დე მესტრის, ბონალდის, თეოკრატიული სკოლის, კანტის პოზიტივიზმის და სამართლის ისტორიული სკოლის წარმოშობით. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან პრიორიტეტული გახდა პოზიტივიზმი, რომელიც ცდილობს შეარიგოს სამართლის ბუნებითი და ისტორიული მიმართუ-ლებანი. XX საუკუნის დასაწყისში ძალას იკრებს ნორმატივიზმი, რომელმაც დასრულებული სახე მიიღო კელმენის „წმინდა თეორიაში".

პროფ. ივ. სურგულაძის აზრით, ბუნებითი სამართლის თეორიები

სხვადასხვა ეპოქის მიხედვით სხვადასხვა შინაარსისა იყო, მაგრამ საერთო ნიშანიც ჰქონდა. ბუნებითი სამართლის სხვადასხვა ეპოქის წარმომადგენელთა შეხედულებებში საერთო იყო მის, რომ ბუნებითი სამართალი წარმოადგენს მარადიულ და უცვლელ იდეებს, ეს იდეები გამომდინარეობს თვით ადამიანის ბუნებიდან, ან ღვთის განგებიდან და არ შედის პოზიტიურ სამართალში, რომელიც ისტორიულად ცვალებადია. ბუნებითი სამართალი მაღლა დგას პოზიტიურ სამართალზე. უკანასკნელი პირველის იდეებით უნდა ხელმძღვანელობდეს. პოზიტიურ სამართალს ქმნის ხალხი. ბუნებითი სამართალი, თავის მხრივ, სამართლიანობას წარმოადგენს. რასაკვირველია, ეს სამართლიანობა კლასობრივი შინაარსისაა და სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირად არის გაგებული"[1].

ამრიგად, ბუნებითი სამართლის იდეები სათავეს იღებდა ანტიკური სამყაროს მოაზროვნეთა შეხედულებებში. ძველი რომის რიტორებმა იცოდნენ ბუნებითი სამართალი ბუნებიდან გამომდინარე ნორმებით, რითაც რეგულირდებოდა ადამიანთა და ცხოველთა ქცევის წესები. „ხალხთა სამართალი, რომელიც ბუნების მიერ ყველა ხალხისათვის არის დაწესებული და საერთოა ადამიანებისათვის; ცივილური სამართალი, რომელიც დაწესებულია ცალკეული ხალხისთვის (რომაელებისათვის)".[2]

შუა საუკუნეებში ბუნებითი სამართალი აღიარებული იყო ღვთის სამართლის სახეობად. ბუნებითი სამართალი შემდგომ განვითარებას განიცდის ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალისტური ურთიერთობების ჩამოყალიბების ხანაში.

4. მეოთხე ეტაპი ცნობლია „აღორძინებული" ბუნებითი სამართლის ანუ სამართლის ფილოსოფიის სახელწოდებით. იგი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნორმატივიზმის ადგილს იჭერს, აღორძინებული ბუნებითი სამართლის სკოლის ნახტომის სახელითაც მოიხსენიებენ და იურიდიული პოზიტივიზმის საპირისპირო მიმართულებაა. მისი კვლევის ობიექტი გახდა სამართლის იდეა. ბ. სავანელის აზრით, თანამედროვე სამართლის ფილოსოფიამ კვლევა იმით დაიწყო, რომ ეცადა დაედგინა სამართლის იდეის პირველწყარო და მიიჩნია, რომ საკითხი იმის შესახებ, თუ რა უდევს საფუძვლად სამართლის იდეას, დღესაც სადავოა[3].

სამართლის იდეის საფუძვლად აღიარებული ერთი პირველწყარო

---

[1] ივ. სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, 1986 წ. გვ. 86.

[2] იქვე, გვ. 87.

[3] ბ. სავანელი, სამართლის თეორია, 1993 წ. გვ. 128

არ არსებობს—არსებობს სხვადასხვა შეხედულებანი აღნიშნული საკითხებისადმი,

აღორძინებული ბუნებითი სამართლის მომხრეები აღიარებენ, რომ კაცობრიობის ისტორიაში მუდამ არის განსაკუთრებულად ფასეული მუდმივად მოქმედი და უცვლელი ნორმები. ადამიანები თავიანთ ურთიერთობებში ხელმძღვანელობენ სახელმწიფოს მიერ დადგენილი პოზიტიური სამართლით, მაგრამ თუ გვსურს, რომ პოზიტიური სამართალი იყოს მართალი სამართალი, მისი დადგენისას კანონმდებელმა უნდა იხელმძღვანელოს სოციალური ფასეულობების მქონე მუდმივი და აუცილებელი ბუნებითი სამართლის ნორმებით. ე.ი. არსებობს სამართლიანობის მუდმივი იდეა. მისგან განუყოფელია სამართლებლივი იდეა, რომელსაც ემყარება ბუნებითი სამართლის უმაღლესი პრინციპები.[1]

ამ თეორიას აქვს რამდენიმე მიმართულება. მათ შორის უფრო გავრცელებულია ნეოთომიზმი, ფენომენოლოგია, ეგზისტენციალიზმი და ჰერმენევტიკა.

ნეოთომიზმი (ჟ. დაბენი, ვ. კატრაინი, ჟ. მარიტენი, რ. მარჩიჩი, ი. მესნერი და სხვები) გავრცელდა საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ავსტრიაში, ბელგიაში, ესპანეთში, აშშ-ში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში, 1879 წელს რომის პაპმა თომა აკვინელის მოძღვრება კათოლიციზმის მიმართ ყველაზე უფრო ადეკვატურ მოძღვრებად გამოაცხადა. ნეოთომისტებმა შეიმუშავეს პოლიტიკურ-სამართლებრივი დოქტრინები, რომლებიც მოწოდებულნი არიან გააერთიანონ რელიგიური წარმოდგენები და თანამედროვე მეცნიერების მონაცემები. ღმერთი, როგორც პირველმიზეზი ყველაფრისა, არის ნეოთომისტური სამართლის ფილოსოფიის საფუძველი.

სამართლის ფენომენოლოგიური თეორიის წარმომადგენლები (ე. ჰუსერლი, ა. რაინახი და სხვები) პოზიტიური სამართლის საფუძვლებს ხედავენ ეგრეთ წოდებულ „ეიდოსებში", რომლებიც წარმოადგენენ „წმინდა არსებებს", „იდეალურ იურიდიულ ფორმებს", აპრიორულ „ნორმატიულ იდეებს". „ეიდოსური" სამართალი ბუნებითი სამართლის სპეციფიკური ანალოგია და წინ უსწრებს პოზიტიურ კანონმდებლობას.

სამართლის ეგზისტენციალური ფილოსოფია (ე. ფეხნერი, ვ. მაიხოფერი, გ. კოინგი და სხვები) ყოველდღიური, ემპირიული, განკერძოებული ყოფიერებისა და ადამიანის სიღრმისეული ცოცხალი არსებობის, მისი ეგზისტენციის დაპირისპირებას ეფუძნება. სამართალი ყოველდღიური ყოფიერების დონეზე, პოზიტიური სამართალი როგორც ასეთი, რაღა-

[1] მ. ცაცანაშვილი, დას. შრ. გვ

ცით ხელოვნურია. თავის სასიცოცხლო ძალას იგი იღებს ადამიანის ეგზისტენციიდან. ურთიერთკავშირი ეგზისტენციას, როგორც სამართლის საფუძველსა და ყოველდღიურ საზოგადოებრივ ყოფას შორის, გამოიხატება კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციების უწყვეტ სერიაში, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია „მოსაზღვრე სიტუაციებს". ამ სიტუაციებში ხდება ეგზისტენციის ზემოქმედება პოზიტიურ სამართალზე. შედეგად პოზიტიური სამართალი განიხილება როგორც შესაძლო ეგზისტენციალური სამართალი.

ბუნებითი სამართლის ჰერმენევტული თეორიის მომხრეები (ა. კაუფმანი, ვ. ჰასემერი და სხვები) გამოდიან აბსოლუტური, უძრავი ბუნებითი სამართლის, აგრეთვე ბუნებით და პოზიტიურ სამართალს შორის დაპირისპირებულობის წინააღმდეგ. ბუნებით სამართალს ისინი განმარტავენ, როგორც ისტორიულად განვითარებად „მოცემული დროისათვის სამართლიან სამართალს". ბუნებითი სამართალი გამომდინარეობს სამართლის იდეიდან, ანუ სამართლიანობიდან, რაც გულისხმობს ინდივიდთა ფორმალურ თანასწორობას, მათ უშიშროებას, თვითნებობის არარსებობას და ა. შ.[1]

სამართლებრივ თეორიებს შორის ბუნებითი სამართალი ყველაზე უძველესია, ადამიანთა საზოგადოებაში არსებობას იწყებს პირველყოფილი გვაროვნული წყობილების რღვევისა და სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისთანავე. ბუნებითი სამართლის თეორიას თავისი დასაყრდენი და ტრადიციები გააჩნია საქართველოში. როგორც ქვემოთ გახდება ნათელი, ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრების განვითარების საფუძველი ისტორიის ხანგრძლივ მონაკვეთში ქრისტიანული იდეოლოგია იყო, ხოლო სამართლის თეორიებს შორის—ბუნებითი სამართლის მოძღვრება. სწორედ ამ მიზნით განვიხილეთ ამ თეორიის განვითარების ეტაპები. როგორც ზემოთ ითქვა, საბჭოურ მეცნიერულ ლიტერატურაში მას ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობად მიიჩნევდნენ და არც იკვლევდნენ, მით უმეტეს საქართველოში. ამდენად, ჩვენი აზრით, ბუნებითი სამართლის მოძღვრება ქართულ პოლიტიკურ და სამართლებრივ აზროვნებაში ცალკე შესწავლის საგანია.

---

[1] იხ. ვ. მეტრეველი, გ. დავითაშვილი, დას. ნაშრ., გვ. 407-409.

ქრისტიანული იდეოლოგია—პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა საფუძველი საქართველოში

ბუნებითი სამართლის განვითარების ოთხი ეტაპიდან მეორე ქრისტიანული იდეოლოგიის პოლიტიკაში დამკვიდრებით იწყება. წინამდებარე თავი ამ თემას ეძღვნება—რატომ ითვლება ქრისტიანული იდეოლოგია პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა საფუძვლად საქართველოში.

„ადრინდელი შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე დაკავშირებულია რელიგიასთან. ყველა დასკვნა, რომელიც სახელმწიფო მოწყობისა და სამართლებრივ საკითხებს ეხება, ჭეშმარიტად არის მიჩნეული, თუ ის რელიგიურ ნორმებს ზუსტად შეესაბამება"[1].

ქართველი კაცის ეროვნულმა მისწრაფებებმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა ორიენტაციამ ვერ შეიგუა ძველი წარმართული სარწმუნოება და ქვეყანა ქრისტიანული ცხოვრების გზას დაადგა. ოფიციალურად სახელმწიფო რელიგიად ის 337 წელს გამოცხადდა. ამით საბოლოოდ უარვყავით ჯერ აღმოსავლური ცეცხლთაყვანისმცემლობა, ხოლო შემდეგ კი ისლამი და ევროპულ კულტურასა და ცხოვრების წესს დავუკავშირდით.

ქრისტიანული რელიგია აღმოჩნდა სწორედ ის სულიერი საზრდო, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ეძებდა ქართველი კაცი. „ღვთაების სიყვარული ადამიანურ სიყვარულში მეღავნდება, მოყვასია უდიდესი ღირებულება ამქვეყნად—„გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი"—აი, ქართველთა საარსებო ჭეშმარიტებად ქცეული ქრისტიანული მოძღვრების არსი"[2].

უძველესი წერილობითი ძეგლები საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებიდან მოგვეპოვება. ამიტომ სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი შეხედულებების განხილვა სწორედ ამ ეტაპიდან უნდა დავიწყოთ. საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის ფუძემდებელი პროფესორი ივანე სურგულაძე თავის გამოკვლევას „ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან" იწყებს იაკობ ცურტაველის „შუშანიკის მარტვილობით".

V საუკუნის II ნახევრის ამ ჰაგიოგრაფიული ძეგლიდან ნათლად ჩანს, რომ სპარსეთის შაჰებს მოსვენებას უკარგავდა ქრისტიანული საქართველო, ამიტომაც მის დამორჩილებას ცდილობდნენ, თუმცა ამ

---

[1] მ. ცაცანაშვილი, თეზისები საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრების ისტორიიდან, 1996.

[2] გ. მურღულია, გ. ალიბეგაშვილი, ე. მაღლაფერიძე, საუბრები ქართულ ლიტერატურაზე, 1992 წ. გვ. 12

მიზნის მიღწევა არცთუ ისე იოლი იყო. ეროვნული დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად დღის წესრიგში დადგა ქართველური სახელმწიფოების—კოლხეთისა და იბერიის გაერთიანება, რასაც ხელს უშლიდა ქართლის საპიტიახშო, რომელსაც იმ პერიოდში ირანული ორიენტაციის ვარსქენ არშუშაის ძე მართავდა. იბერიასა და კოლხეთს ქრისტიანული ბიზანტიისაკენ მიეპყროთ თვალი, ვარსქენმა კი სპარსეთთან ურთიერთობა ამჯობინა, ამიტომაც გაემგზავრა შაჰის კარზე.

იმ პერიოდში საქართველოში უკვე ჩამოყალიბებულია ფეოდალური წყობილება. მართალია, მეფის ხელისუფლება ძლიერი არაა და ვერ აკონტროლებს დიდ ფეოდალთა საქმიანობას, მაგრამ ფეოდალური საკუთრების განხილვით ნათლად იკვეთება იერარქიული კიბის არსებობა, რომელი ფეოდალი კიბის რომელ საფეხურზე დგას. „ფეოდალური საკუთრება თავისი ბუნებით დანაწევრებულია. ეს იმას ნიშნავს რომ ერთსა და იმავე მიწის ნაკვეთზე პრეტენზიას აცხადებს სენიორი, ვასალი, მისი ვასალიც, სუბვასალი და ა.შ.

„შუშანიკის წამების“ ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სპარსეთიდან მომავალ გამაზდეანებულ ვარსქენს ჰერეთის საზღვარზე მისივე მოთხოვნით წინ მიეგებნენ აზაურნი. ტექსტში მრავალგზის ვხვდებით: „აზნაურნი“ და „უაზნონი“, „დიდ-დიდნი აზნაურნი“, „ზეპურნი დედანი“ ე.ი. რადგან არიან დიდ-დიდნი აზნაურნი, იქნებოდნენ საშუალო და წვრილი აზნაურებიც: ისინი ერთმანეთთან ვასალურ დამოკიდებულებაში უნდა წარმოვიდგინოთ. ამასთან ერთად არსებობს მოსაზრება, რომ ქართლში დიდ აზნაურებზე დამოკიდებული აზნაურნი IX-X საუკუნეებიდან გაჩნდაო. ამ მოსაზრებას არ იზიარებს პროფ. ი. სულგულაძე და მიაჩნია, რომ „შუშანიკის მარტვილობის“ მიხედვით აზნაურთა ასეთი იერარქული დამოკიდებულება V-VII საუკუნეების ქართლში უკვე არსებობდა“.[1]

ფენებად დაყოფილ ფეოდალურ საზოგადოებაში ცალკე იდგა სასულიერო წოდება (ეპისკოპოსი, ხუცესი, ეკლესიის სხვა მსახურნი), რომელიც ჯერ კიდევ საკმაოდ მომძლავრებული არ იყო, მაგრამ მაინც გარკვეულ როლს ასრულებდა ქვეყნის პოლიტიკურ საქმიანობაში.

„შუშანიკის წამება“, დღემდე მოღწეული ეს უძველესი ლიტერატურული ძეგლი, სამართლებრივი თვალსაზრისითაც იპყრობს ჩვენს ყურადღებას. აქ დანაშაული და სასჯელი „საეკლესიო სამართლით“ განიზომება და, ჰაგიოგრაფთა აზრით, სწორედ ეს არის ყველაზე მართალი სამართალი.[2] ამ კუთხით გადავავლოთ თვალი ტექსტს და მივყვეთ დეტალებს.

---

[1] ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, 1973 წ. გვ. 175-176.

[2] რ. სირაძე, ქართული ჰაგიოგრაფია, 1987 წ. გვ. 24.

ქართლის პიტიახში მე-5 საუკუნის 60-70-იან წლებში სპარსეთის მეფის პოლიტიკის ერთ-ერთი დასაყრდენი ხდება ამიერკავკასიაში. ძნელია მისი გამართლება, იგი საკუთარი ქვეყნის მოღალატეა, პატივმოყვარეობით შეპყრობილი, თავისი ვერაგული მოქმედებით ხელს უშლის ვახტანგ გორგასალს ქვეყნის გაერთიანების საქმეში. როდესაც ახალგაზრდა მეფე თავდადებით იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და ქრისტიანობის შესანარჩუნებლად, ვარსქენმა თავისი ჯარი ჰონებთან საბრძოლველად გაგზავნა, სპარსელებს მიაშველა.

ძალაუფლებამოხვეჭილმა და განდიდებულმა ვარსქენმა ვერ გაითვალისწინა, თუ რა რეაქცია მოჰყვებოდა მის მოღალატურ ნაბიჯს, სარწმუნოების გამოცვლას, როგორ შეხვდებოდა მას ქართველი ხალხი, სულით ხორცამდე ქრისტიანი, ღვთის მოშიში და მოყვარული შუშანიკი.

მოვლენები სწრაფად და თანმიმდევრულად ვითარდება. სარწმუნოებისადმი ქმრის ღალატით შეძრულმა დედოფალმა მიატოვა სასახლე, ოჯახი, რაც საოჯახო სამართლით დაუშვებელი იყო. ვარსქენი თვითონ ადანაშაულებს მას—„შენ ჩემი ხატი დაამხუ და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ. და შენი ადგილი ტაგიტევებიეს და სხუად წარსრულხარ“ (IV თავი).

ქმრის ბრალდებას—ჩემი ოჯახი დაამხეო—დედოფალმა უშიშარი და პრინციპული პასუხი გასცა: „არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავამხუ! ხოლო მამამან შენმან აღჰმართნა სამარტვილენი და ეკლესიანი აღაშენა, და შენ მამისა შენისა საქმენი გაჰრყუნენ და სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი. მამამან შენმან წმინდანი შემოიხუნა სახიდთვისა, ხოლო შენ დევნი შემოიხუნენ, მან ღმერთი ცათაი და ქუეყნისაი აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უვარ ჰყავ და ცეცხლსა თაყუანის-ეც. და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ-ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხგყავ. და, თუ მრავალი ტანჯვაი მოაწიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა“.

ქრისტიანი ქალი არ უარყოფს, რომ შეურაცხყო „შჯულიერი“ მეუღლის ღირსება, მაგრამ ამის გასამართლებელი საბუთიც გააჩნია. ძნელია გამხეცებულ პატიახშზე ზეგავლენის მოხდენა. ის არავის და არაფერს უწევს ანგარიშს, ერთი-მეორეზე მძიმე დანაშაულს სჩადის, სიტყვიერად და ფიზიკურად შეურაცხყოფს ღირსეულ დედოფალს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა პურობის სცენა. ირკვევა, რომ იმ დროისათვის ქალს ეკრძალებოდა უცხო მამაკაცთან ერთად სუფრასთან ჯდომა. განხეთქილების შემდეგ დედოფალი ვარსქენს თავის „შჯულიერ“ მეუღლედ აღარ თვლიდა და ამიტომაც არ მიიღო მისი მიწვევა,

სუფრასთან კი დასვეს, მაგრამ გემოდ არაფერი იხილა. სასტიკი და თავშეუკავებელია ვარსქენი. მრისხანებისაგან წონასწორობადაკარგული კონტროლს ვეღარ უწევს საკუთარ მოქმედებას: „მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ვარსქენ და ფერხითა თვისითა დასთრგუნვიდა მას, და აღიღო ასტამი და უხეთქნა მას თავსა და ჩაჰფლა და თუალი ერთი დაუბუშტა. და მჯიღითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრევდა; ვითარცა მხეცი მძვინვარეი ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი“.—ამ საშინელი სცენის მოწმენიც ყოფილან იქ. რა მოიმოქმედეს მათ? „მაშინ შუელად აღდგა ჯოჯიკ, ძმაი მისი, და იბრძოდეს, ვიდრემდის გუემა იგიცა, და თავსა მისსა მოხეთქა... ვითარცა კრავი მგელსა, გამოუღო ხელსა მისთა. და ვითარცა მკუდარი, იდვა წმინდაი შუშანიკ ქუეყანასა ზედა, და აგინებდა ვარსქენ თელს-ტომსა მისსა და სახლისა მაოხრებლად სახელ-სდებდა მას, და უბრძანა შეკრვაი მისი და ბორკილთა შესხმაი ფერხთა მისთა“.

ვარსქენს, ქართლის პიტიახშს; სენიორიის სახლის მეთაურს, შეეძლო თავისი ოჯახის წევრების დასჯა, მათ შორის—დედოფლისაც, რომელიც მისი მეუღლე იყო და უფლებრივად ექვემდებარებოდა, მაგრამ, ამჯერად, მისი საქციელი, შეიძლება ითქვას, მიმართულია არა მხოლოდ კონკრეტულად შუშანიკის, არამედ ქვეყნისა და სარწმუნოების წინააღმდეგ და ეს განსაკუთრებულად ამძიმებს დანაშაულს, ზრდის ვარსქენის მოწინააღმდეგეებისა და შუშანიკის თანამგრძნობელთა რიცხვს, თუმცა ამ უკანასკნელთ სიბრალულის გარდა არაფერი შეუძლიათ.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ იმ დროისათვის დანაშაულიც და სასჯელიც „საეკლესიო სამართლით“ განიზომებოდა და მეისტორიის აზრით, ეს იყო ყველაზე მართალი სამართალი. ასე ფიქრობდა შუშანიკიც. იგი ფიქრით იმერ ქვეყანაში გადადის, „სადა არა არს რჩევაი დედაკაცისა და მამაკაცისა“, და სადაც უფლის წინაშე უნდა წარსდგნენ საკუთარი ცოდვა-მადლით ის და ვარსქენი. სწორედ უფალს შესთხოვს ქართლის დედოფალი განაჩენის გამოტანას, სჯერა, რომ სამართალი გზას იპოვის, დამნაშავე, ღმერთისა და ქვეყნის მოღალატე, საკადრისად დაისჯება. „მიაგის მას უფალმან, ვითარ მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააჭნო, შუენიერებაი სიკეთისა ჩემისა დააბნელა და დიდებაი ჩემი დაამდაბლა. და ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემს შორის“.

და ჰსაჯა კიდეც. ულმობელი და ტირანი პიტიახში ერისა და ქვეყნის ღალატისათვის ვახტანგ გორგასალმა მოაკვლევინა 482 წელს. ეს იყო ალბათ ღვთის განაჩენი და მეფე კი მისი აღმსრულებელი.

მართალია, იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ აგიოგრაფიუ-

ლი ნაწარმოებია და არ წარმოადგენს პოლიტიკურ ტრაქტატს, მაგრამ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ, სამართლებრივ მოწყობაზე და პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიისათვის არაპირდაპირი წყაროა[1]—წერს პროფ. ი. სურგულაძე.

ადრეული ფეოდალური მონარქიის ეპოქის საქართველოს ტერიტორია ბიზანტია-ირანის შემდეგ არაბების ურთიერთშორის ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, იმ პერიოდში ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდი პოლიტიკური და სოციალური ცვლილებები ხდება, რაშიც დიდ როლს ასრულებს ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, შემდგომში „საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელ დამპყრობთა ურთიერთბრძოლა და ამ ბრძოლაში ქართული სახელმწიფოების მონაწილეობა განაპირობებს სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ შინაარსით მრავალფეროვანი მოძღვრების ჩამოყალიბებას. განსაკუთრებით მაღალ დონეს აღწევს სახელმწიფოსა და სამართლის მოძღვრებები კოლხეთის სახელმწიფოში, სადაც IV საუკუნიდან არსებობდა აკადემია, იქ სწავლობდნენ ქართველების გარდა უცხოელებიც".[2]

ფაზისის აკადემიაში სწავლა-განათლება ბერძენმა და რომაელმა მოქალაქეებმაც მიიღეს, მათ შორის აღსანიშნავია მამა-შვილი ევგენიოსი და თემისტიოსი. ბერძენი ფილოსოფოსი და რიტორი (იურისტი) ევგენიოსი მოხიბლული დარჩა კოლხი მოსახლეობით და ქართველი სწავლულებით. სამშობლოში დაბრუნებული ერთ-ერთი გამორჩეული რიტორი გახლდათ, იგი ამაყობდა იმით, რომ განათლება სწორედ კოლხეთის აკადემიაში მიიღო. იმდენად კმაყოფილი იყო აკადემიაში სწავლების დონით, რომ სხვებთან ერთად საკუთარი შვილიც აქ გამოგზავნა. ამის თაობაზე თემისტიოსი წერდა: „რიტორიკის ნაყოფნი მოვწყვიტე გაცილებით უფრო უჩინარ ადგილებზე, ვიდრე ეს ჩვენი ადგილია, არა წყნარსა და ელინურ ადგილას, არამედ, პონტოს ბოლოში. ჩავედი მე არა საკუთარი მისწრაფებებითა და გადაწყვეტილებებით, არამედ იქ გამაგზავნა ისეთმა კეთილმოსურნე კაცმა, როგორიც შეიძლება იყოს მამა, და ისეთმა მართებულად მოაზროვნემ, როგორიც შეიძლება იყოს ფილოსოფოსი. იქნებ შენ ის სრულიად დაჰგმო იმისათვის, რომ მან თვითონაც თავისი განთქმული ფილოსოფია სწორედ იქ შეიძინა ან უფრო მეტად დამგმო მე, რომელიც ფილოსოფიის საიდუმლოებას ბავშვობიდანვე ვარ ნაზიარები".[3]

---

[1] ი. სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, 1986 წ. გვ. 32-33

[2] ვ. აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, თბ. 1992 წ. გვ. 9

[3] ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი, გეორგიკა, ტ. I გვ. 50-51

პროფ. ვ. აბაშმაძის აზრით, სავარაუდოა, რომ კოლხეთის აკადემიაში უნდა ესწავლათ ქართველ პოლიტიკოსებს, იურისტებს და შესანიშნავ ორატორებს აიეტს, ფარტაზს და კოლხეთის მეფის გუბაზ II-ის მკვლელობის ფაქტზე მოწყობილ სასამართლო პროცესზე ეროვნული ინტერესების დამცველად გამოსულ ანონიმ ქართველ სწავლულ იურისტებს, რომლებზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

იმ პერიოდის კოლხეთის ისტორიული მოვლენების თაობაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი (536-582 წწ.). ლაზების შესახებ იგი წერდა: „უძლიერესი და უმამაცესი ხალხია ლაზები და სხვა ძლიერ ხალხებზეც მბრძანებელობენ, კოლხთა ძველი სახელოვნობით ამაყობენ და არცთუ უსაფუძვლოდ. გვარიანადაც ქედმაღლობენ... მე არ მეგულება არცერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და ქველი ხალხი, როგორც თავის სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწაწყლის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სიმშვენიერითა და სიმკვირცხლობით".[1]

აგათია სქოლასტიკოსი თავის ნაშრომში აღწერს ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის ომებს. ორივე ამ ქვეყნისათვის საქართველო (იბერია, კოლხეთი) დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენდა, ამიტომ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს სჭირდებოდათ ქვეყნისათვის სასარგებლო-საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინათ. ამ მიზნით, კავშირს ხან ბიზანტიასთან და ხან ირანთან იჭერდნენ. VI საუკუნის შუაწლებში ბიზანტია-სპარსეთს შორის ომში კოლხეთი ერთმორწმუნე ბიზანტიის მოკავშირე იყო.

ბიზანტია-სპარსეთს შორის ომი დიდხანს მიმდინარეობდა და ხშირად ბრძოლები საქართველოს ტერიტორიაზეც იმართებოდა. ერთ-ერთი ბრძოლა მათ შორის 550 წლის ზაფხულში მდინარე ცხენისწყლის პირას გაიმართა. კოლხეთში ამ დროს გუბაზ მეორე მეფობდა, რომელიც უაღრესად ძლიერი მეფე, კარგი პოლიტიკოსი და მამაცი მებრძოლი ყოფილა, ამაზე მეტყველებს სწორედ ბრძოლის წინ ლაშქრის წინაშე წარმოთქმული მისი სიტყვა:

„არა მგონია, ვაუკაცებო, კიდევ საჭირო იყოს რაიმე გითხრათ საომარი ცეცხლის წასაკიდებლად. აკი ჩვენივე მდგომარეობა ისედაც აღანთებს ჩვენს გულს მტრებთან საომრად. განა შეიძლება დაგვავიწყდეს, რა საფრთხე ემუქრება ჩვენს ოჯახებს, სამშობლო ქვეყანას და ყველაფერს, რისთვისაც სპარსელები აღძრულან ჩვენს წინააღმდეგ? აკი ისედაც ბუნება უკარნახებს ყველას, უცხო მტერს არ დაუთმოს

[1] ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი, გეორგიკა, ტ. III, 1936

თავისი საკუთარი. თქვენ კარგად იცით სპარსელთა სიხარბე და გაუმაძღრობა. ისიც გახსოვდეთ, რას გვიპირებენ სპარსელები: თუ ისინი იმ ომში გაიმარჯვებენ, მარტო ხარკს არ გვაკმარებენ, ჩვენი სამშობლო ქვეყნიდან დედაბუდიანად აგვყრიან, ირანში გადაგვასახლებენ და გაგვფანტავენ. დაე, მარტო სიტყვად ნუ დარჩება ჩვენი ნათქვამი, არამედ საქმით დავამტკიცოთ ჩვენი გმირობა. დაე, ნუ აღიგვება მიწისაგან სახელი ლაზთა. ჩვენ არასოდეს გაგვჭირვებია სპარსელებთან ბრძოლა: ბევრჯერაც დაგვიმარცხებია ისინი ხელჩართულ შეტაკებაში. ჩვენ მივეჩვიეთ მათზე გამარჯვებას, ხოლო სირთულე წინდაწინვე ქრება მეცადინეობისა და გამოცდილების წყალობით. დაე, გძულდეთ მტრები, გეხილოთ ისინი თქვენგანვე დამარცხებულნი და არა თქვენებრ აღფრთოვანებულნი. გახსოვდეთ, ლაზებო, ერთხელ დაცემული სიამაყე ველარასოდეს აღორძინდება. მაშ იქონიეთ ყოველივე აწ თქმული მხედველობაში და კეთილი იმედით აღსავსენი მხნედ გავემართოთ მტერთა ჩვენთა დასამარცხებლად!".[1]

ქართულმა ლაშქარმა გუბაზ მეფის წინამძღოლობით სასტიკად დაამარცხა სპარსელები.

გუბაზ მეფისადმი მისი ხალხის რწმენას და ნდობას გამოხატავს ერთი პატარა ამბავი, რომელიც ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობასაც ასახავს. „მოხირისთან გუბაზის მორიგი გამარჯვების შემდეგ, გუბაზმა თავისი მხედრიონით გავერანებული სოფლები გაიარა, სადაც ადამიანების ჭაჭანებაც არსად იყო, რაც ლაშქარში უაღრესად დიდ წუხილს იწვევდა. პატარა მდინარის პირას გუბაზ მეფეს და მის ლაშქარს ვიღაც შაოსანი, ფეხშიშველი და ძვალ-ტყავად ქცეული ქალი შეხვდა. ქალი იგი გუბაზ მეფის ცხენს ფეხქვეშ ჩაუვარდა და შეღაღადა––ათი შვილი დავკარგე ამ ომში, დიდო მეფევ და მზად ვარ, რომ მყავდეს, კიდევ ათი შემოგწირო, ოღონდაც მტერს ნუ გაახარებ ჩვენზე, ოღონდ მტერს ნუ ათარეშებ ჩვენს მიწა-წყალზეო. დიახ, ეს იყო ხალხის გულისთქმა, ხალხი გუბაზ მეფეს სახავდა თავის მხსნელად, დამცველად, კოლხეთის ძველი დიდების მემკვიდრედ და გამაგრძელებლად".[2]

551 წელს ციხესთან კვლავ მოხდა ბრძოლა ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის, რა თქმა უნდა, ქართველები ამ შემთხვევაშიც ბიზანტიელების მხარეზე იბრძოდნენ, მაგრამ ამ ომში სპარსელებმა გაიმარჯვეს—დამარცხების მთავარ მიზეზად გუბაზ მეფემ ბიზანტიელთა მხედართმთავრების უნიჭობა და სიმხდალე მიიჩნია, ამის შესახებ მან აცნობა კონსტანტინოპოლში იმპერატორ იუსტინიანეს.

---

[1] ლ. სანიკიძე, საქართველოს ისტორია, თბ. 1994 წ. გვ. 17.

[2] ც. არდაშელია, ყვირილი გემართებს ღღისით მზისით, 1993 წ. გვ. 64-65.

გუბაზის საქციელი სარდლებს არ გამოპარვიათ და მის მიმართ სიძულვილით აღივსნენ. 554 წელს გუბაზ მეფის წინააღმდეგ შეთქმულმა სარდლებმა იგი ხობისწყლის პირას მიიწვიეს ვითომდა მოსალაპარაკებლად და მარტო მისული მუხანათურად მოკლეს.

აგათია სქოლასტიკოსი წერს, რომ ბიზანტიელი მხედართმთავრების მიერ კოლხეთის მეფის გუბაზის ვერაგულმა მკვლელობამ შელახა ამაყი კოლხების ეროვნული ინტერესები,[1] „ამიტომ ქვეყნის მმართველები ყველანი დაფიქრებულ მდგომარეობაში იყვნენ, არ იცოდნენ, რა ექნათ, რისთვის მიემართათ და აი, კავკასიის ერთ ხეობაში შეყარეს დიდძალი ხალხი ჩუმად, რომ რომაელებს არ შეეტყოთ, რისთვისაც აქ მოგროვდნენ და დასვეს საკითხი—სპარსელების მხარეზე გადავიდეთ, თუ ისევ რომაელებთან დავრჩეთო".[2]

აგათია სქოლასტიკოსის ნაშრომი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. კოლხეთის სახელმწიფო მონარქული იყო. ქვეყანას მეფე მართავდა, მაგრამ არსებობდა სახალხო კრება და სახალხო საბჭო, სადაც უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საკითხები წყდებოდა. კრებაზე დსწრების უფლება ყველა სრულწლოვან მოქალაქეს ჰქონდა.

„საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კოლხეთის სახელმწიფოში აზრის თავისუფლება ბატონობს, სახალხო კრებაზე, რომელთაც განსაკუთრებული ნიშვნელობის საქმეების გადასაწყვეტად იწვევენ ხალხის ფართო მასების მონაწილეობით, ადგილი აქვს ურთიერთდაპირისპირებულ შეხედულებათა შორის ბრძოლას, კერძოდ, პოლიტიკურ დავაში კრება ღებულობს ყველაზე გონივრულ და ქვეყნისათვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს კოლხეთში მოწვეული სახალხო კრება გუბაზ მეფის მკვლელობასთან დაკავშირებით".[3] აღნიშნულ კრებაზე აზრთა სხვადასხვაობა იყო, ბევრი ორატორი გამოვიდა საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტებით, მაგრამ ყველაზე ძლიერნი აღმოჩნდნენ რიტორი (იურისტი) ორატორები აიეტი და ფარტაზი.

---

[1] ვ. აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, თბ. 1992, გვ. 11-12.
[2] გეორგიკა III. გვ. 63.
[3] ვ. აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, თბ. 1992 წ. გვ. 13.

აიეტი

აგათია სქოლასტიკოსის მიერ ქართული იურიდიული აზროვნების ობიექტური შეფასებიდან ჩანს არა მარტო ცალკეული რიტორის მომზადების მაღალი დონე, არამედ საერთოდ ქართული მოსახლეობის სულიერი აღმატებულება. მისივე ცნობებით, კოლხეთის არისტოკრატიის ნაწილი ბიზანტია-კოლხეთის ე. წ. მეგობრული ხელშეკრულების წინააღმდეგია, რადგანაც ისინი გრძნობენ, რომ კოლხეთის სახელმწიფო სუვერენიტეტი შელახულია. გუბაზ მეფის მკვლელობით აღშფოთებული კოლხების სახალხო კრებაზე კოლხეთის წარჩინებულთა წარმომადგენლის აიეტის შესანიშნავი ორატორული სიტყვა ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს.

აიეტმა ისარგებლა კოლხი მოსახლეობის აღშფოთებით და სახალხო კრებაზე ხალხს მოუწოდა: „კოლხებო, არა მგონია, ჩვენს შორის არსებობდეს თუნდაც ერთი კაცი, რომელსაც ეჭვი ეპარებოდეს ბიზანტიის გამცემლურ და მოღალატურ დამოკიდებულებაში კოლხების მიმართ, ამიტომ შექმნილი მდგომარეობა საკამათო არ არის... ეხლავე საბოლოოდ უნდა გადავიდეთ სპარსელების მხარეზე“.[1]

აგათია სქოლასტიკოსი თვლის, რომ აიეტის ეს მოწოდება ნაჩქარევი, შეუფასებელი და ანალიზს მოკლებული იყო და მისი აზრით, ეს არაა მთელი კოლხეთის მოსახლეობის აზრი, რადგანაც მოწოდებას კრების მონაწილეები კრიტიკულად შეხვდნენ და უპასუხეს: „არ გვმართებს ეგრე უცბად ცხოვრების გეზი შევცვალოთ, სანამ ზედმიწევნით არ მოვითათბირებთ, თუ რა იქნება უფრო უმჯობესი“. სწორედ აქ ჩანს კრების მონაწილეთა პოლიტიკური აზროვნება, რადგანაც უნდა გადაწყვეტილიყო ქვეყნის ბედი, მისი პოლიტიკური ორიენტაცია მეზობელი ქვეყნის მიმართ. აგათია სქოლასტიკოსი, რა თქმა უნდა, წარმოშობით ბერძენია და მას არ მიაჩნია აიეტის აზრი სამართლიანად, შაგრამ იგი ობიექტურობას არ ღალატობს და მოვლენებს აბსოლუტური სიმართლით აღწერს. არ მალავს აიეტის მიმართ სიმპათიებს და ამბობს, რომ „მის აზრებს შველოდა მისი ბუნებრივი მოქნილობაც“.[2] აიეტი შეეცადა თავისი არგუმენტების მოშველიებით ხალხის აზრი შეეცვალა სპარსელების სასარგებლოდ.

აიეტი თავის სიტყვაში დაეყრდნო იმ პოლიტიკურ სვლებს, რასაც იგი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე აკეთებდა. გადავხედოთ გუბაზის მოღვაწეობას და ბიზანტიელთა დამოკიდებულებას კოლხეთის მიმართ.

---

[1] გეორგიკა, ტ. III თბ. 1936, გვ. 71.
[2] იქვე, გვ. 64.

გუბაზ მეფეს ოცნებად ჰქოდა ქვეყანაში მშვიდობის დამყარება. მას კარგად ესმოდა მეფის, ქვეყნის გამგებლის როლი ამ მიზნის განხორციელების საქმეში. იგი ფრთხილი დიპლომატიური ხერხებით ცდილობდა, ბიზანტია და სპარსეთი ერთმანეთისათვის შეერიგებინა და წინა აზიაში საერთო მშვიდობით ეგრისის სხეულზე ნაომარი ჭრილობები მოეშუშებინა, კარგად ესმოდა, რომ ამის გარეშე კოლხეთში მშვიდობა არ დამყარდებოდა. მისი მცდელობის წყალობითაც იყო გამოწვეული, რომ 531 წლის ბოლოს მათ შორის მოლაპარაკება დაიწყო და 532 წელს ბიზანტია-სპარსეთს შორის ე. წ. „მარადიული ზავი" დაიდო. ამ ზავით გუბაზ მეფემ თითქოს მიზანს მიაღწია, მაგრამ სრულიად მოულოდნელად ბიზანტიის კეისარმა კოლხეთში ჯარი გამოგზავნა და ციხე-ქალაქებში ჩააყენა. გუბაზ მეფეს ეეჭვებოდა, რომ ეს ზავი არ იყო მტკიცე გარანტი მშვიდობისა, ამიტომ მიხვდა, რომ მტერი მტერია და „ერთმორწმუნეობრივი ქრისტესმიერი ძმობით" შენიღბული ბიზანტიელებიც იგივე არიან, რაც სპარსელები. საზღვარი არ ჰქონდა ბიზანტიელი სარდლების პეტრე სტრატეგოსის და იოანე ციბეს ანგარებას, სიხარბეს, ვერაგობას, თავხედობასა და კაცთმოძულეობას.[1]

აიეტის მტკიცებით, მეგობრული ხელშეკრულებით დაკავშირებული სხვადასხვა ეროვნების ხალხები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად ასრულებდნენ იმ ვალდებულებებს, რომლებიც მათ ხელშეკრულებით იკისრეს ერთმანეთისადმი. არ შეიძლება ერთი მხარე სისტემატურად არღვევდეს პირობებს, მეორე დაზარალებული მხარე კეთილშობილურად ასრულებდეს. „აიეტის სიტყვაში განსაცვიფრებლად მოკლედ და ნათლად არის გამოხატული იმის დასაბუთება, რასაც დღეს ჰქვია პოლიტიკური ორიენტაცია—საქართველოსი თუ რომელიმე ეგრეთწოდებული პატარა ხალხის, რომელიც კი ანალოგიურ ვითარებაში იცავს თავის დამოუკიდებლობას ძლევამოსილ იმპერიათა მძლავრობისაგან"—წერდა ცნობილი იურისტი და პოლიტიკური მოღვაწე ზურაბ ავალიშვილი. ამ არგუმენტიდან გამომდინარე, აიეტი მოუწოდებს ხალხს: „სამაგიეროს გადახდის შემთხვევას ვკარგავთ იმაზე, რომ ვყოყმანობთ და ვთათბირობთ".[3] აიეტი სწორედ ზემოაღნიშნულ ისტორიულ ფაქტებს იშველიებს: „ხომ არავის შეუძლია იმის მტკიცება, რომ მტერი ბოროტ ქცევაში ჯერ არ იყოს შემჩნეული და თითქოს მხოლოდ ეჭვები არსებობდეს, რომ ის ამგვარ აზრებსა და ზრახვებს ატარებს;

---

[1] ლ. სანიკიძე, უქარქაშო ხმლები, თბ. 1993 წ. გვ. 143

[2] ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წ. საერთაშორისო პოლიტიკა, თბ. 1990, გვ. 4

[3] გეორგიკა, ტ. III. გვ. 64

არც საბუთების მოგონებაა საჭირო მისი, ვითომც დაფარული ვერაგობის დასამტკიცებლად".[1]

აიეტის ამგვარი შეფასება ბიზანტიელების მიმართ მარტო მისი პირადი აზრი არ იყო. ეს დამოკიდებულება დომინირებდა სამეფო კარზეც, არისტოკრატიის ზედა ფენებში. სხვათა შორის, ბიზანტიელების ასეთ მოქმედებას არ მალავდნენ ბერძენი ფილოსოფოსები აგათია სქოლასტიკოსი და პროკოფი კესარელიც, მათი აზრით, ეს არის მიზეზი, რომ კოლხეთის სამეფო კარი იძულებული გახდა სპარსეთის შაჰის ხოსროსათვის ელჩები გაეგზავნა და დახმარება ეთხოვა. ელჩებმმა ხოსროს აუწყეს: კოლხეთის „მეფეც მოსამსახურის ბედში იმყოფება და განმკარგულებელი სტრატეგის ეშინიან. უამრავი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ არა მარტო იმიტომ, რომ დაიცვან ქვეყანა შემწუხებლებისაგან, არამედ რათა დავემწყვდიეთ ჩვენ როგორც სადილეგოში და ჩვენს ქვეყანას დაჰპატრონებოდნენ".[2]

პროფესორ ვ. აბაშმაძის აზრით, აიეტი კოლხეთის სახელმწიფოს ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამოდიოდა, როცა გუბაზის მკვლელობის იურიდიულ შედეგს აფასებდა. რომაელებთან ურთიერთობის ყველა მოვლენის განსაზღვრისათვის იგი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ბერძენი სარდლების მიერ კოლხეთის მეფის მკვლელობას.

აიეტი ცდილობს, დაარწმუნოს კოლხეთის მოსახლეობა, რომ ბიზანტიის ხელისუფლებისადმი უსიტყვო და მონური მორჩილება დააკნინებს ერს და დაუკარგავს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის უნარს, გარდა ამისა, არსებობს მორალური პრინციპიც სამართლებრივთან ერთად—როდესაც თანასწორუფლებიანი მხარეები ხელშეკრულებას დებენ და ერთ-ერთი დანაშაულებრივად არღვევს თავის ვალდებულებას, მისი შეუფასებლობა მეორის მიერ იგივე დანაშაულებრივი მიდგომაა. ამიტომ რომაელებმა უნდა იგრძნონ მათ მიერ ჩადენილი ბოროტება. აიეტის აზრით, უგუნურებას წარმოადგენს ის, რომ ვზივარ და იმათ შესახებ, ვინც ეს ჩაიდინა, აქ ვმსჯელობთ. ვერ გადაგვიწყვეტია, ბიზანტიელები მტრებად ჩავთვალოთ თუ მეგობრებად? უნდა ვიცოდეთ, რომ მათი თავხედობა აქ არ შეჩერდება. თუ ჩვენ მეფე გუბაზის მკვლელობას და ამ ბოროტებას უყურადღებოდ დავტოვებთ, ისინი არ მოგვეშვებიან და გულხელდაკრეფილი რომ ვისხდებით, უფრო შეუპოვრად აგვხდიან ნამუსს. იმათ, ვინც ემორჩილება, ისინი, რა თქმა უნდა, უფრო თავხედურად ეპყრობიან".[3]

---

[1] გეორგიკა, ტ. III გვ. 64-65,
[2] იქვე, გვ. 50-51.
[3] იქვე, გვ. 65.

აიეტი თავის გამოსვლაში ყურადღებას ამახვილებს ამა თუ იმ ხალხის ტრადიციებზე, ცხოვრების ნირსა და იმ დამკვიდრებულ მორალზე, რითაც უცხოვრიათ საუკუნეების განმავლობაში. მისი მტკიცებით, ბერძნები ბუნებით მოღალატენი და გაუტანლები არიან, მათ იოლად შეუძლიათ, მომავალში უფრო დიდი ვერაგობა ჩაიდინონ.

აიეტის აზრით, სახელმწიფო ადამიანების მიერ შექმნილი დაწესებულებაა, რომელსაც სათავეში ჭკვიანი პოლიტიკური მოღვაწე უნდა ედგას და მოქალაქეთა კეთილდღეობისათვის ზრუნავდეს, მაგრამ სახელმწიფოთა ბედს ხშირად „ჟამთა ტრიალი" და „ბედის უკულმართობა" განაგებს. კარგადაა ცნობილი, რომ იმ პერიოდისათვის საქართველოში ქრისტიანული რელიგია უკვე საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული, იგი სახელმწიფო რელიგიად სულ ახალი გამოცხადებულია ეგრისში, ქრისტიანული მსოფლმხედველობა ჯერაც არაა აქ სახელმწიფოებრიობის ქვაკუთხედი, ამიტომ აიეტის სიტყვაში ღმერთს გადამწყვეტი როლი არ ენიჭება, თუმცა, იმასაც ვერ ვიტყვით, რომ მას უარყოფს, პირიქით, გამოსვლაში ცდილობს, თავისი არგუმენტაცია „უზენაესის სურვილით" განამტკიცოს.

სხვა მოვლენებზე მსჯელობისას აიეტი იქედან გამოდის,—წერს პროფ. ვ. აბაშმაძე, რომ ღმერთი „ყველაფრის გამგებელია", ღმერთი ანიჭებს ადამიანებს ინტელექტსა და გონივრული აზროვნების უნარს, ეხმარება რთული და წინააღმდეგობრივი მოვლენების გარკვევაში, ვინც „უზენაესის" ნებას არ მისდევს, მათ „ურისხდება" ღმერთი და პირიქით, გონივრული მოქმედება „უზენაესსაც ესიამოვნება". აიეტის მტკიცებით, თუ ღმერთის ნებით ვიხელმძღვანელებთ და გონივრულად მოვიქცევით, ვერაგ ბიზანტიელებს უნდა ვანაცვალოთ „კეთილი" სპარსელები.

„სპარსეთის მხარეზე გადასვლა ჩვენთვის ადვილი და სასარგებლოა და რომ ეს უზენაესსაც ესიამოვნება, ეს მტკიცდება საქმით და არა სიტყვით. ეს არ იქნება ჩვენი მხრით არც უსარგებლო საქციელი, არც იმის მაჩვენებელი, თითქოს ჩვენ ვერაგნი გამოვდექით. წინათაც ბევრჯერ მოუყენებიათ შეურაცხყოფა რომაელებს, მაგრამ ჩვენ საჭიროდ ვთვლიდით ძველ მდგომარეობაში დარჩენას, შეუფერებლად მიგვაჩნდა იოლი გადადგომა იმ სხვადასხვა მიზეზთა გამო, რომელნიც, თუმცა, საშინელნი იყვნენ, მაგრამ მაინც მოსათმენნი—ჩემის აზრით, არ შეეფერება გონიერ ადამიანებს, რომ სრულის მოდრეკით ავიტანოთ უდიდესი და აუნაზღაურებელი ზარალი, რომელთაც ჩვენ გვაყენებენ და არაფრით არ შეეებრძოლოთ ამ უწმინდურ და შეუფერებელ საქმეებს. ეს უფრო შეეფერება მხდალ და ლაჩარ ადამიანებს".[1] გამოსვლის ანალიზი გვაძლევს

[1] გეორგიკა, ტ. III. გვ. 68.

იმის თქმის უფლებას, რომ ეგრისის სამეფო ხელისუფლების პოლიტიკური იდეოლოგია საბოლოოდ ჯერ კიდევ არ ეფუძნება ქრისტიანულ რწმენას, ამიტომაც მოუწოდებს თამამად აიეტი თანამემამულეებს სპარსეთთან ურთიერთობის დამყარებას. ქრისტიანული რწმენისადმი არათანმიმდევრულობა ეტყობა ეგრისის მოსახლეობასაც, რადგანაც აიეტის ორატორული სიტყვით მოჯადოებული საზოგადოების ძირითადი ნაწილი მას ეთანხმება. პროფ. ვ. აბაშმაძე პარალელს ავლებს აიეტისა და თითქმის მისი თანამედროვის ი. ცურტაველის მსოფლმხედველობასთან და აღნიშნავს: „შუა საუკუნეებში გაბატონებული ქრისტიანულ-რელიგიური დოგმატების მიხედვით, ღმერთის ნებით ადიან სამეფო ტახტზე მეფენი, ღმერთი კი ქრისტიანულ რწმენაზე დამყარებული ამგვარი რელიგიური დოგმატის ნაცვლად ბუნებითი სამართლის მოძღვრების ერთ-ერთი ძირითადი დებულების, კერძოდ, ადამიანის ბუნებისათვის თანდაყოლილი, კუთვნილი თვისებებით ხსნის სოციალურ მოვლენებს და აიეტის გამარჯვების მიზეზად იარაღი კი არა, არამედ „სათნოება“ მიაჩნია.[1]

აიეტი სწორედ ბერძნებისადმი დამოკიდებულების შესაფასებლად იყენებს ადამიანისათვის თანდაყოლილ თვისებას––სათნოებას. იგი ამტკიცებს, რომ ბერძნებს ცუდი თანდაყოლილი თვისებები აქვთ. ისინი გაიძვერები, მზაკვრები და ვერაგები არიან, მათ მეფეც გაიძვერა ჰყავთ, რომელსაც ყოველთვის უხარია „ცხოვრების პირობების არეულობა“, ამიტომ ისინი მტერთან ბრძოლაში ხშირად მარცხდებიან. „ამ ბუნებით თანდაყოლილ ცუდ თვისებებს ემატება თავისი ნებით ჩადენილი ბოროტმოქმედება და უსამართლოდ სისხლის ღვრის გამო უზენაეს მფარველობას მოკლებულებს უორკეცდებათ უბედურება“.[2] თუნდაც ამის გამო არ უნდა გვინდოდეს მათი მეკავშირეობა, ასკვნის აიეტი.

მიუხედავად იმისა, რომ აიეტი ქრისტიანული რწმენისადმი ამჟღავნებს ეკლექტიკურ მიდგომას, იგი ფრიად განსწავლული რიტორია, იცნობს მისი ხალხის წარსულს და ისტორიას, დიდ გავლენას ახდენს მათზე საბოლოო შედეგის მისაღწევად.

აიეტის გამოსვლიდან რამდენიმე დასკვნის გაკეთება შეიძლება:

––აიეტი ცდილობს შუა საუკუნეების დასაწყისში ბუნებითი სამართლის მოძღვრების მიხედვით ქრისტიანულ-რელიგიური დოგმატების ახლებური გააზრება პოლიტიკის სამსახურში ჩააყენოს და ერთმორწმუნე ბიზანტიელებისაგან ეგრისის ჩამოშორება და არაქრისტიანული რწმენის სპარსეთთან დაახლოება თეორიულად დაასაბუთოს.

---

[1] გეორგიკა, ტ. III გვ. 65.
[2] იქვე, გვ. 65.

—აიეტის პოლიტიკურ-სამართლებრივ მსოფლმხედველობაში მთავარი ადგილი თავისუფალი და სუვერენული სახელმწიფოს პრობლემას უკავია. „მე ვინატრებდი, კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს მისი ძველი ძლიერება, რომ მას არ დასჭირვებოდეს უცხო და გარეშე დახმარება და რომ ყოველგვარ საქმიანობაში, როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს".

—იმდროინდელი კოლხეთის სამართალში ფართოდაა გამოყენებული სისხლის აღების ადათი, რომელსაც მკაცრად იცავდნენ კოლხები და მის შეუსრულებლობას საკუთარი ღირსების შელახვად მიიჩნევდნენ (ასე სწამდა აიეტსაც).

—მართალია, კოლხურ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ადათ-წესებისადმი პატიოსანცემა არსებობს, მაგრამ ძველი და ახალი წარმოდგენების ურთიერთბრძოლაში ახლისადმი, პროგრესისადმი, არა მარტო მხარდაჭერა, არამედ მისი პრაქტიკაში დანერგვა და სახელმწიფო პოლიტიკის სამსახურში ჩაყენების მცდელობა იგრძნობა.

ამრიგად, იურიდიულად დასაბუთებულმა და პრაქტიკულად დამაჯერებელმა „აიეტის სიტყვამ უდიდესი გავლენა იქონია კრების მონაწილეებზე" და ისინი უკვე მზად იყვნენ უარი ეთქვათ ბიზანტიის მოკავშირეობაზე, განედევნათ კოლხეთიდან და მოლაპარაკება დაეწყოთ სპარსეთთან.

ფარტაზი

აგათია სქოლასტიკოსი, მიუხედავად იმისა, რომ არ ღალატობს ისტორიზმის პრინციპს და ობიექტურად აღწერს კოლხეთში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, როგორც ბერძენი, კოლხებს ბარბაროსებად მოიხსენიებს, აიეტის მოწოდებას ნაჩქარევს და მოუფიქრებელს უწოდებს. კოლხების გადაწყვეტილებას იგი შემდეგნაირად ხსნის: „ესენი (ლაზები) ძალიან აღელდნენ არა მარტო იმიტომ, რომ ბარბაროსები იყვნენ, არამედ იმის გამოც, რომ მიზეზს საპატიოდ თვლიდნენ და აიეტის სიტყვამაც დიდ განცვიფრებაში მოიყვანა ისინი".[1]

აიეტის სიტყვით აღტყინებულ ხალხს დამშვიდებისაკენ მოუწოდა და მოსმენა თხოვა ფარტაზმა—„კოლხთა შორის გავლენიანმა, გონიერმა და თავისი ქცევით მეტად მდაბიურმა",[2] რომელიც დიდი ორატორი გახლდათ. მკვლევართა ერთი ნაწილი ფარტაზს განიხილავს, როგორც მდაბიო წარმოშობის პიროვნებას, სინამდვილეში აგათია სქო-

[1] გეორგიკა, ტ. III, გვ. 70-71
[2] იქვე, გვ. 71

ლასტიკოსი „ქცევით მდაბიურში", ალბათ, გულისხმობს, როგორც თავმდაბალ, ზრდილ პიროვნებას და ამას მის წარმომავლობასთან კავშირი არ უნდა ჰქონდეს.

თავისი გამოსვლა მან დაუკავშირა სიტყვისა და საქმის ურთიერთდამოკიდებულებას. ფარტაზმა გაითვალისწინა აიეტის გავლენა კრების მონაწილეებზე და სიტყვა გონივრულად მოიფიქრა. იცოდა, რომ აიეტის გამოსვლის შემდეგ ხალხის აზრის შეცვლა იოლი არ იქნებოდა, ისიც იცოდა, რომ ადრე სახელმწიფოებრივი ორიენტაციის საკითხი სახალხო კრებას არ გადაუწყვეტია. ფარტაზის მტკიცებით, აზრი და სიტყვა პირველადია, სიტყვას საქმე მოჰყვება, რომელშიც ადამიანთა მოქმედება გამოიხატება და მის გაგრძელებას, ხორცშესხმას წარმოადგენს. მისი მტკიცებით, „უძლეველი რაღაც არის მჭევრმეტყველება და ის თითქმის ყველას ამარცხებს, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც წინათ მისი ძალა არ გამოუცდია".[1]

ფარტაზის მტკიცებით, მხოლოდ იმ სიტყვას აქვს ფასი, რომელიც გააზრებულია და საქმეც შესაფერისი მოჰყვება, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საკითხი ქვეყნის ბედს და მომავალს ეხება. აიეტის სიტყვა, მაღალორატორული ნიჭით წარმოთქმული, სწორედ რომ მიუღებელია და მოსალოდნელ შედეგებს არ ითვალისწინებს. აიეტი „მაცდურსა და შემპარავ სიტყვებს მოგახსენებდათ" და „ყალბ რჩევა-დარიგებებს იძლეოდა".

ფარტაზის გამოსვლაში მეტი დამაჯერებლობით გამომჟღავნდა აიეტის საწინააღმდეგო პოლიტიკური ორიენტაცია. მისი თქმით, აიეტმა ხალხი შეცდომაში შეიყვანა და მათი აზრი სულ სხვა მიმართულებით წარმართა, „მან იმთავითვე წამოაყენა სულ სხვა საკითხი, სრულიად განსხვავებული იმ საკითხისაგან, რომელთა გამო ჩვენ აქ მოვსულვართ. მისი სიტყვებით ისე გამოდის, თითქოს თქვენ ყველანი ამტკიცებთ, რომ მომხდარი ამბავი არ იყო საშინელება, რომ ამ საზიზღარ მკვლელობას არ ჰკიცხავდეთ და მხოლოდ იმის შესახებ მსჯელობდეთ, დამნაშავენი არიან თუ არა გუბაზის მკვლელები. თვითონ კი მკვლელობას, დანაშაულს არ ეხება და უამრავ სიტყვას ხარჯავს იმაზე, რაც ცნობილია. მე კი ვამბობ, რომ წყეულნი და შეჩვენებულნი არიან ისინი და რომ მე უდიდესი სიამოვნებით ვუყურებდი მათ სასჯელს".[2]

ფარტაზმა დაადანაშაულა არა მარტო ის ბიზანტიელი სარდლები, ვინც უშუალოდ გამოასალმა გუზაბ მეფე სიცოცხლეს, არამედ მათი პასუხისმგებლობის საკითხიც დააყენა, ვისთვისაც ცნობილი იყო მკვლელობის ამბავი და არ მიიღეს ზომები მის აღსაკვეთად. დანაშაულის

[1] გეორგიკა, ტ. III, გვ. 72.
[2] იქვე, გვ. 72

თანამონაწილეებად მიიჩნია ისინი, „რომელთაც შეეძლოთ შეეფერხებინათ ეს მკვლელობა და არ შეაფერხეს“... და აგრეთვე ისინიც, „რომელთაც ეს მკვლელობა გაეხარდათ და არც თუ ისე აღშფოთდნენ“.[1]

ფარტაზი უმტკიცებს ყრილობის მონაწილეებს, რომ გუბაზის მკვლელობა არ იყო ჩვეულებრივი დანაშაული. იგი მას სახელმწიფოს წინაშე ჩადენილ დანაშაულად თვლის და ღრმად აქვს შეგნებული მისი მნიშვნელობა. პროფ. ვ. აბაშმაძის აზრით, „მეფის მკვლელობის, როგორც უმძიმესი დანაშაულის სუბიექტები ფარტაზს შედარებით ფართოდ აქვს წარმოდგენილი“.[2]

ფარტაზის აზრით, აიეტის პოლიტიკური პროგრამის განხორციელება ნიშნავს ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი ნორმების უგულვებელყოფას და „მშობლიური წესებიდან“ გადახვევას. გარდა ამისა, „არაეინ მიიჩნევს საჭიროდ მივიღოთ და გავიზიაროთ ის აზრი, თითქოს თუ იმათ (რომაელებმა) ჩაიდინეს უკანონობა, აუცილებელი იყოს ჩვენც გამოვეთხოვოთ მშობლიურ წესებს და იმ ვერაგებს არ გამოვუცხადოთ ჩვენი გულისწყრომა, არამედ თვითონ მოვიპოვოთ იმგვარივე სახელი“.[3]

ფარტაზი აანალიზებს ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობას. იგი თვლის, რომ ქვეყნის ბედისადმი ამგვარი მიდგომა არ შეესაბამება სახელმწიფოებრივ აზროვნებას და იგი ემოციებზეა დამყარებული, რაც კოლხებში საყვარელი მეფის მკვლელობამ გამოიწვია, მაგრამ, ნაჩქარევ გადაწყვეტილებას მომავალი არ გვაპატიებს: „უგუნური ადამიანები სულ მუდამ მისტირიან განვლილ უბედურებას, ხოლო გონიერნი შეიცნობენ ხოლმე ბედის უკუღმართ ტრიალს და მათ არ აშფოთებთ ცვლილებები და როდესაც წინანდელ მდგომარეობას კარგავენ, არ ისპობენ მომავლის იმედებს“.[4]

ფარტაზის აზრით, ერთპიროვნული გადაწყვეტილება, ისე, რომ იგი საჯარო მსჯელობის საგანი არ გახდეს, ყოველთვის მიუღებელია, ამიტომ მან კრების მონაწილეთ მიმართა, უკეთესი გადაწყვეტილება მხოლოდ კოლექტიური სჯა-ბაასით, საყოველთაო განხილვისა და მსჯელობის გზით შეიძლება მივიღოთ, რადგან წარმოუდგენელია, რომ ხალხი ცდებოდესო. ამიტომ კოლხეთის სახელმწიფოში დაარსებულმა სახალხო კრებამ განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს საჯარო განხილვის შედეგად უკეთესი გადაწყვეტილების მისაღებად. „აიეტი

---

[1] გეორგიკა, ტ. III გვ. 73

[2] ვ. აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, თბ. 1992, გვ. 31.

[3] გეორგიკა, ტ. III, გვ. 73-74

[4] იქვე. გვ. 74

მოუფიქრებლად გვიდგენს გეგმებს, არღვევს და ანგრევს კრების წესრიგს და ამ კრებას მიზანს უკარგავს. კრება ხომ ჩვეულებრივ, წინასწარ იხილავს მუდამ და მსჯელობს, რომ კარგად გასინჯოს ის, რაც არ არის ნათელი; ხოლო როგორც კი მიაგნებს იმას, რისი გაკეთებაც არის საჭირო, მაშინ გვმართებს გამოვიჩინოთ სურვილი და შევასრულოთ დადგენილება".[1]

ფარტაზი ხატოვნად აყალიბებს სახალხო კრების დანიშნულებას და საუბრობს იმ დიდ პასუხისმგებლობაზე, როდესაც იგი გადაწყვეტილებას ღებულობს. ამით იგი აკრიტიკებს აიეტის დამოკიდებულებას კრებისადმი და კრების ავტორიტეტის შესახებ კიდევ ერთხელ შეახსენებს კოლხებს.

აიეტი ცდილობს სახალხო კრებას თავს მოახვიოს თავისი აზრი და მისი საჯაროდ განხილვის გარეშე ყველაზე უკეთეს გადაწყვეტილებად გამოაცხადოს იგი. მეტიც, მისი პროგრამის განხორციელებას დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს კოლხი ხალხი. საკუთარი კანონზომიერად სვამს კითხვას ფარტაზი იმის შესახებ, რომ ასეთ ვითარებაში „რაღა აზრი აქვს კრებას, თუ ჯერ დადგენილება იქნება და მერე კრება?".[2]

ფარტაზის აზრით, ერთადერთი, რაც სწორად აღნიშნა აიეტმა, ეს იყო გუბაზ მეფის მკვლელობის ფაქტის დასახელება, რაც ყველასათვის ცნობილია. გარდა ამისა, ჩვენ არა გვაქვს უფლება, ამ მკვლელობაში დავადანაშაულოთ მთელი ბიზანტია, მისი მოსახლეობა და თვით იმპერატორი იუსტინიანე, რომელმაც არც კი იცის მომხდარი ფაქტის თაობაზე, გუბაზ მეფე პირადი მტრობისა და შურღლის გამო მოკლა რამდენიმე სარდალმა, რას ვერჩით მათ, ვინც დიდი მწუხარება და სინანული გამოხატა მეფე გუბაზის მკვლელობასთან დაკავშირებით.

ფარტაზმა კრებას და კოლხებს მოუწოდა: „უმართებულო იქნებოდა, ჩემის აზრით, და ამასთანავე ერთად, მიზანშეუწონილიც, ერთი და ორი კაცის დანაშაულის გამო შევსწყრომოდით საზოგადოებრივ კანონებს, რომელთა დაცვა აგვიღია ჩვენს თავზე და ასე იოლად შეგვეცვალა მთელი სახელმწიფო წყობილება და ცხოვრება, რომელსაც მშვენივრად შევეგუეთ".[3]

ფარტაზი თავის გამოსვლაში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბიზანტიელებს შორის მართლაც არიან მოღალატენი და მზაკვარნი, მაგრამ მან ხალხს შეახსენა ფაქტები, თუ როგორ უსწორდებოდნენ იგივე ბიზანტიელები კოლხეთის მტრებს, ქვეყანას ხიფათს აშორებდნენ. რას ვერჩით მათ, „რომლებიც ამ ქვეყანას სდარაჯობენ და მრავალნა-

---

[1] გეორგიკა, ტ. III, გვ. 74
[2] იქვე, გვ. 75.
[3] იქვე, გვ. 76.

ირ ხიფათში ვარდებიან იმის გულისთვის, რომ ჩვენ უდარდელი ცხოვრება მოგვანიჭონ".[1]

საინტერესოა ფარტაზის დამოკიდებულობა ქრისტიანულ რელიგიასთან. თუ აიეტი მომხრეა სპარსეთისა, რომელიც ებრძვის ქრისტიანობას და მათ მიმართ შემრიგებლური პოზიცია გააჩნია, პირიქით, ფარტაზის ბიზანტიური ორიენტაციის ერთ-ერთი ძლიერი არგუმენტი სწორედ მართლმორწმუნეობა იყო: „კოლხებს არ შეგვეფერება ვუღალატოთ ქრისტიანობას და მივეხმაროთ ამ წმინდა სარწმუნოების მტრებს; რითაც შევბღალავთ მართლმორწმუნეობის წმინდა საიდუმლეობათა უმწიკვლოებას. აბა, სხვას რას დაემსგავსება ჩვენი საქციელი, თუ მივემხრობით უზენაესი არსების სასტიკ მტრებს? აგვიკრძალავენ ჩვენ საღმრთო წესების შესრულებას და თავიანთ წესებზე გადაგვიყვანენ, ამაზე უფრო სამძიმო რა უნდა განვიცადოთ ჩვენ?".[2] გარდა ზემოაღნიშნულისა, ფარტაზის თქმით, ადამიანები ბუნებით ვერ ეგუებიან აზრთა სხვადასხვაობას და ეს ერთ-ერთი უდიდესი დაბრკოლებაა ნორმალური ურთიერთობებისათვის. განსხვავებული შეხედულებები ადამიანებს შორის უნდობლობასა და ეჭვს წარმოშობენ.

თუ კოლხები სპარსელების მოკავშირენი გახდებიან, ეს განსხვავება მათ შორის არ წაიშლება, ხელშეკრულება ფორმალური იქნება, გარეგნულად სპარსელები მეგობრები გახდებიან, არსებითად კი ისინი კოლხების მტრობას თავს არ დაანებებენ და აზრთა სხვაობის გამო მათ ფარულ მტრობას გაუწევენ. „ფარული მტრისაგან უფრო ძნელია თავის დაცვა, ვიდრე აშკარისაგან".[3]

ფარტაზის მტკიცებით, კიდევ არსებობს ერთი სერიოზული დაბრკოლება. თუ ჩვენ აიეტის პოლიტიკურ პროგრამას დავეთანხმებით და გავმართავთ მოლაპარაკებას სპარსელებთან, სად არის იმის გარანტია, რომ ეს გადაწყვეტილება საიდუმლო დარჩება, სპარსეთი კოლხეთისაგან საკმაოდ შორს არის, გვეყოფა კი ძალები, სანამ სპარსელები მოგვეშველებიან, კოლხეთში მყოფ ბიზანტიელებს გავუმკლავდეთ?

პროფ. ვ. აბაშმაძის აზრით, აიეტისა და ფარტაზის შეხედულებებს, საზოგადოებრივი მოვლენების შეფასებისას, ბევრი რამ აქვს საერთო, რაც, არსებითად, ქრისტიანული რწმენის კოლხეთში სახელმწიფოებრივ რელიგიად გავრცელების თავისებურებებით უნდა აიხსნას (კერძოდ, სახელმწიფოში გავრცელებული ქრისტიანული სარწმუნოების დოგმები ჯერ კიდევ განუყოფლად არ ბატონობს ადამიანთა შეგნებაზე,

---

[1] გეორგიკა, ტ. III გვ. 76.
[2] იქვე, გვ. 76
[3] იქვე, გვ. 76-77.

ქრისტიანობასთან ერთად იგრძნობა წარმართული რწმენის ძალა). აიეტის მტკიცებით, მეფეებისათვის გამარჯვება არც ღმერთს მოუტანია და არც იარაღს, არამედ გამარჯვებას სათნოება აძლევს, რაც შეეხება ფარტაზს, სოციალური მოვლენების შეფასებისას, იგი ღმერთთან ერთად სხვა ფაქტორებსაც ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას.

ფარტაზი აანალიზებს რომაელების წარუმატებლობის მიზეზებს და ამტკიცებს, რომ ისინი ყოველთვის არ დამარცხდებიან, მათაც უწარმოებიათ წარმატებული ომები. თუკი ისინი იმიტომ მარცხდებიან, რომ „მათ ღვთაება უწყრებათ" ჩაღენილი ბოროტებისათვის, მაშინ რაღა საჭიროა ღვთაებისათვის ჩვენი მიშველიება? პირიქით, ჩვენი საქციელი ღმერთსაც მოეწონება და მისი წყალობა არ მოაკლდება კოლხეთს, თუკი მამა-პაპათა წესს დავიცავთ, რაც გვევალება კიდეც.[1]

ფარტაზის აზრით, მომხდარი ფაქტით სარგებლობა და საკუთარი აზრის ხალხისათვის თავზე მოხვევა ღალატის ტოლფასია. „ნურავინ ცდილობს... მიცვალებული გუბაზი წარმოგვიდგინოს სრულიად არა ვაუკაცურად მოტირალი, რომელიც თითქოს თავის ჭრილობას უჩვენებს თვისტომთ და ევედრება მათ შეიბრალონ იგი, იქნებ ეს შეეფერებოდეს საცოდავ და სუსტ არსებათ, მაგრამ ეს არ შეეფერება მეფეს, ისიც ლაზთა მეფეს, მით უმეტეს—გუბაზს. ის რომ აქ იყოს, უეჭველია, როგორც ღვთისნიერი და გონიერი ადამიანი, გაგვკიცხავდა ჩვენ ამგვარი ზრახვებისათვის; მოგვიწოდებდა, არ მივცემოდით სასოწარკვეთილებასა და გულაჩუყებას და მონების მსგავსად კი არ გავქცეულიყავით, არამედ აღვჭურვილიყავით კოლხის თავისუფალი შეგნებით, ვაუკაცურად აგვეტანა უბედურება და არაფერი სასირცხვილო და მამაპაპური წესების შემბილწველი არ ჩაგვედინა".[2]

„მამაპაპური ადათ-წესებისადმი პატივისცემას ქვეშევრდომთა შორის ადგენს სამეფო ხელისუფლება, რომელიც მემკვიდრეობითია და ამ წესს მტკიცედ უნდა იცავდეს სახელმწიფო, მთელი ხალხი, როცა ქვეყანა დგას კრიტიკული მდგომარეობის წინაშე. გუბაზის მოკვლის შემდეგ სამეფო ტახტი თავისუფალი აღმოჩნდა. კოლხეთის სახალხო კრება, რომელიც სწორედ ამ მძიმე დღეებში შეიკრიბა, წყვეტს სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხს, სთხოვს იმპერატორ იუსტინიანეს, გუბაზის მკვლელები, ბერძენი სარდლები მკაცრად დასაჯოს".[3]

როგორც ვხედავთ, ფარტაზი დიდ ანაგარიშს უწევს მამა-პაპათა

---

[1] ვ. აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, 1993 წ. გვ. 34.
[2] იქვე, გვ. 34.
[3] იქვე გვ. 35.

წეს-ჩვეულებებს და მისი აზრით, ასეთი ნაბიჯის გადადგმა კოლხების მხრიდანაც ღალატად ჩაითვლებოდა. მან მოუწოდა კრების მონაწილეებს, მომხდარი ამბავი აცნობონ იმპერატორ იუსტინიანეს, მოსთხოვოს კრებამ, უმკაცრესად დასაჯოს სარდლები და თუკი ბიზანტიის ხელისუფალნი ამას არ გააკეთებენ, შემდეგ ეძებონ სხვა მოკავშირე.

„VI საუკუნის შუახანებში კავკასიის ხალხები იდგნენ ორიდან ერთის—აღმოსავლეთ რომის იმპერიის მოძალეობის ანდა ირანელი სასანიდების რეაქციის არჩევანის წინაშე, მაგრამ თუ უკანაც მოიხედავდნენ, იმ ეპოქის მოღვაწეებს შეიძლება მოჰგონებოდათ ორიენტაციის შეცვლის არაერთი შემთხვევა, რაც კი წარსულში მომხდარა. განა ჯეროვნად არჩეული მიმართულება არ იყო ერთობა და მოკავშირეობა ძლიერ და სასურველ შორეულ რომთან, რაც, ალბათ, ჯერ კიდევ ცოცხლად ახსოვდათ, და რასაც აქამდე გვიდასტურებს ლაპიდარული წარწერა ანგორის განთქმულ მონუმენტზე, რომელიც ავგუსტუსის საქმეთა შესახებ მოგვითხრობს. თავიანთი რწმუნებულების პირით იბერიელების ალანელების მეფეებმა გამოითხოვეს რომაელი ხალხის მეგობრობა, რომ არაფერი ვთქვათ მცხეთაში აღმართულ ვესპანსიანეს ცნობილ წარწერაზე".[1]

აქედან გამომდინარე, ფარტაზს კარგად ესმის ქართველი და საერთოდ—კავკასიის ხალხების წინაშე მდგარი მეტად რთული არჩევანის მნიშვნელობა.

მისი გამოსვლიდან შეიძლება რამდენიმე მომენტი გამოვყოთ:

თუ აიეტი მაზდეანური სპარსეთის მომხრეა, პირიქით, ფარტაზის ბიზანტიური ორიენტაციის ერთ-ერთი ძლიერი არგუმენტი სწორედ ქრისტიანობაა. ფარტაზის აზრით, რელიგიურად განსხვავებული შეხედულებანი აღარ მისცემს ადამიანებს დაახლოების საშუალებას, ასეთ ვითარებაში „დაახლოება და მეგობრობა ცარიელი სიტყვებია".

მართალია, როგორც აიეტი, ფარტაზიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ცხოვრებაში მამაპაპური ადათ-წესების დაცვას, მაგრამ ცდილობს, ჩვეულებითი სამართალი და სამეფო ხელისუფლების მიერ შემოღებული სამართლის ნორმები ერთ ჩარჩოში მოაქციოს და შესრულების გარანტად თვით სახელმწიფო გამოჰყავს, ამით უპირისპირდება სისხლის აღების ადათობრივ წესებს და დამნაშავეთა ცივილიზებულად, სამართლებრივად დასჯას მოითხოვს. ფარტაზის სახით საქმე გვაქვს მეტად განსწავლულ რიტორსა და პოლიტიკოსთან, რომელმაც საკუთარი სწორად შეაფასა რეალობიდან გამომდინარე შექმნილი ვითარება და ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი სწორად გა-

[1] ზ. აუალიშვილი, დას, შრ. გვ. 4.

დაწყვიტა. იგი დროულად შეახსენებს კრებას, რომ ირანელებმა უფრო ადრე განიზრახეს გუბაზ მეფის მოცილება და საამისოდ ერთი წარჩინებული ლაზთაგანი აურჩევიათ, „რომელსაც გუბაზისათვის შეურაცხყოფა მიუყენებია და მასთან ამის გამო დიდ შუღლში ჩავარდნილა".[1] ირანელების შერჩეულმა კაცმა გუბაზის მოკვლა ვერ შესძლო, ამიტომ მათ კვლავ შეარჩიეს წარჩინებული ლაზი ვინმე დარდეტე, რომელსაც მაგისტროსის თანამდებობა ეკავა, იგი „ლაზთა მეფე გუბაზთან წაჩხუბებული იყო და მასთან უკმაყოფილება ჰქონდა".

სახელდება კიდევ ერთი „ლაზებს შორის წარჩინებული" არქეოპოლისის მცხოვრები, რომელიც ირანელებს დახმარებას პირდება ომის შემთხვევაში. შემდეგ ვინმე თეოფობი, „კაცი არა უაზნო", რომელიც ღალატით ირანელებს ეგრისის ციხეს „უქიმერიონს" გადასცემს.

იხსენიებიან, აგრეთვე, წვრილი რენეგატები და შინაგამცემელნი. ს. ჯანაშიას აზრით, ამ პერიოდისათვის ეგრისის ფეოდალურ წრეებში არსებობენ სხვადასხვა ინტერესებისა და სხვადასხვა ორიენტაციის ჯგუფები.

„ეს განსაკუთრებით რეალურად სჩანს იმ ცნობებიდან, რომელნიც აღწერენ გუბაზ მეფის მოკვლისადმი დამოკიდებულებას".[2]

ფარტაზს არც ის გამორჩენია მხედველობიდან, რომ არ უნდა დაირღვეს მამა-პაპათა წეს-ჩვეულება და გუბაზის შემდეგ ეგრისის სამეფო ტახტი ღირსეულმა პიროვნებამ დაიკავოს.

კოლხეთის სახალხო კრებამ, ფარტაზის წინადადების შესაბამისად, თავისი გადაწყვეტილება აახლა ბიზანტიის იმპერატორს იუსტინიანეს. მართალია აიეტი და ფარტაზი სხვადასხვა ორიენტაციის ადამიანები იყვნენ, მაგრამ მათ აერთიანებდათ ქვეყნის სიყვარული და პატრიოტული გრძნობა. ორივეს სურდა ძლიერი, დამოუკიდებელი და სუვერენული კოლხეთი, ორივეს ღრმად სწამდა, სანამ კოლხეთი ისე არ გაძლიერდება, რომ მოკავშირის ძებნა აღარ დასჭირდებოდა, მანამ მათი სურვილი აუხდენელ ოცნებად დარჩებოდა.

ბიზანტიაში ჩასული ეგრისელი ელჩები სთხოვენ იმპერატორს, „დაუსჯელს ნუ დატოვებ ამ ბოროტმოქმედებს და მეფედ ვინმე უცხოელს, არათვისტომს კი ნუ დაგვიყენებ, არამედ წათე გამოგვიგზავნე, გუბაზის უმცროსი ძმა, რომელიც ამჟამად ბიზანტიაში ცხოვრობს, რათა დაცული იქნას მამაპაპური წესი და ძველი სამეფო გვარი შეურყვნელი დარჩესო".[3]

იუსტინიანემ შეისმინა ელჩთა თხოვნა, ეგრისში სწავლული იურის-

---

[1] გეორგიკა, ტ. III, გვ. 50
[2] იქვე, გვ. 89
[3] ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, თბ. 1936, გვ. 59

ტები მოავლინა საქმის გამოსაძიებლად, ხოლო მეფედ დამტკიცებული წათე დიდი ზეიმით გამოაცილა სამშობლოში. „რომაელთა მეფისაგან მიეღო მას, როგორც ეს ძველთაგანვე დაწესებული იყო, მამაპაპეული ხელისუფლება და საამისო ნიშნები. ჩაუდგა სამეფოს სათავეში, შეუდგა ამიერიდან საქმეების მოწესრიგებას და უელიდა თვისტომთა, როგორც მას სურდა და როგორც მას მამაპაპური წესი უკარნახებდა". ს. ჯანაშიას სამართლიანად ეეჭვება მეფის ხელისუფლების შეუზღუდველობა. წათეს არ შეეძლო ქვეყანა ისე ემართა, „როგორც მას სურდა", რადგანაც „წათეს ხელისუფლება ისეთ პირობებში დაიბადა, რომ იგი ბევრად უფრო ვიწრო მოცულობისა უნდა ყოფილიყო, ვიდრე გუბაზის ძალაუფლება–ერთი მხრით, იგი ბევრად უფრო დამოკიდებული უნდა ყოფილიყო რომაელებზე, ხოლო, მეორე მხრით—ბევრად უფრო შეზღუდული ეგრისის წარჩინებულებთან".

მიუხედავად ამისა, წათე რომაელებთან ერთად წარმატებით აწარმოებს ომს სპარსელების წინააღმდეგ. მორიგი ლაშქარობაც ფოთზე 555 წელს სპარსელების მარცხით დამთავრდა, აგათია სქოლასტიკოსის აღწერილობიდან ჩანს, რომ ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ფოთის აღებას, რადგან პეტრას წინააღმდეგ მრავალჯერ იერიშის მიტანის შემდეგ სპარსელები დარწმუნდნენ, რომ იქ ფეხს ვერ მოიკიდებდნენ. ექ. თაყაიშვილის აზრით, მათ სცადეს სხვაგან გაეჩინათ დასაყრდენი პუნქტი ზღვის სანაპიროზე. ამით სპარსელები შავ ზღვაზე გასასვლელ გზას დაიმკვიდრებდნენ, ამიტომაც ცდილობდნენ ლაზიკის ხელში ჩაგდებას. გარდა ამისა, სპარსელებისათვის ძალიან ძნელი იყო ბიზანტიელებთან ბრძოლა, თუ მათ შავი ზღვის სანაპიროზე ძლიერი დასაყრდენი პუნქტი არ ექნებოდათ. აგათია სქოლასტიკოსი ამის შესახებ აღნიშნავდა: სანამ ბიზანტიელებს თავისუფლად ეპყრათ ზღვა, მათთან ბრძოლა კოლხეთში ძნელი იყო, ვინაიდან მათ შეეძლოთ დაუბრკოლებლივ მოეწოდებინათ ჯარისათვის ყოველგვარი საჭირო საომარი მასალა და სურსათი". ასე რომ, რომელიმე ხელსაყრელი საზღვაო პუნქტის ხელში ჩაგდება აუცილებელ პირობას წარმოადგენდა სპარსელებისათვის ლაზიკაში საომარი ოპერაციების საწარმოებლად. და მას შემდეგ, რაც პეტრაში გამაგრება ვერ მოახერხეს, ისინი შეეცადნენ მეორე პუნქტის დაუფლებას. ასეთს კი, პეტრას შემდეგ, წარმოადგენდა ბერძნულ-რომაულ მსოფლიოში ცნობილი ნავსადგური ფაზისი (ფოთი). სწორედ მის აღებას შეაკლა ნახორაგანმა უდიდესი ნაწილი თავისი ჯარისა, რის გამოც შემდეგ სპარსეთის მეფემ ხოსრომ საშინლად აწამა ის—ცოცხლად გაატყავებინა კეფიდან ფეხებამდე.[1]

1. გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის რედ. გვ. 124.

გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლება*

რომაელებმა რომ ამ ომში გამარჯვება მოიპოვეს და საომარი მოქმედებები შეწყდა, უმალვე მიწყნარდა იარაღის ჟღარუნი, მაშინვე დადგა საკითხი წინათ გუბაზის წინააღმდეგ ჩადენილი საზიზღარი საქციელის შესახებ. ათანასი თავისი ღირსების შეგნებით დაჯდა ერთ მაღალ სავარძელზე, ქლამიდში გამოწყობილი, როგორც ეს სჩვეოდათ ბრწყინვალე მთავრებს, მასთანვე იყვნენ კაცნი, რომელთაც იცოდნენ სწრაფი წერა და დაწერილის წაკითხვა სხაპა-სხუპით; იყვნენ, აგრეთვე, სხვა მოსამსახურეებიც, მკაცრნი და ამაყნი და სასამართლოს ხლართების საუკეთესო მცოდნენი, ბოხხმიანი მაუწყებელნი და გამამათრახებელნი. ესენი ყველანი ბიზანტიიდან იყვნენ მთავრობის მიერ გამოგზავნილი. იმათ, ვისაც ეს დავალებული ჰქონდათ, მოიტანეს რკინის ჯაჭვები, კისერზე დასადები, აგრეთვე, ბადესაკრავები და ბორკილები და სხვა იარაღები საწამებლად, მე ვფიქრობ, იუსტინიანე შეუფერებლად და მოუფიქრებლად კი არ მოქცეულა, რომ ასეთი წესითა და გარეგნული მორთულობით ბრძანა სასამართლოს სხდომის მოწყობა, არამედ სრულიად გონიერად და მიზანშეწონილად მოიქცა; და ეს ბრძანა მან არა მარტო იმიტომ, რომ იქ მყოფ ბარბაროსებისათვის კვეხნით ეჩვენებინა რომაული წესები და გაეკვირვებინა ისინი, რათა ამით, უფრო მეტად შეეჩვეოდნენ რომაელთა მმართველობას, არამედ იმიტომაც, რომ, თუ დამტკიცდებოდა, გუბაზი სამართლიანად იქმნა მოკლული, როგორც სპარსელების მომხრე, კოლხებს თავი დაენებებინათ თავისი მწუხარებისათვის და აღარ ყოფილიყვნენ აღელვებულნი, თითქოს რაღაც საშინელი უბედურება განიცადეს, ხოლო თუ აღმოჩნდებოდა, რომ მკვლელებმა ყველაფერი ეს მოიგონეს და უსამართლოდ ჩაიდინეს მკვლელობა, და, ამრიგად, ისინი გამტყუნებული იქნებოდნენ, მათ შუა-ჯარში ჩაატარებდნენ მაუწყებლის თანხლებით, შემდეგ ყველას თანდასწრებით თავებს მოჰკვეთდნენ სასიკვდილო მახვილით და მაშინ ბარბაროსებს საქმის დასასრულიც უფრო მნიშვნელოვნად მოეჩვენებოდათ და სასჯელიც გაორკეცებულად. მან იცოდა, რომ, თუ საიდუმლოდ, ბარბაროსთა წესით, ბრძანებდა რუსტიკეს და იოანეს მოკვლას, კოლხები საკმარისად არ ჩათვლიდნენ ამას და, მათი აზრით, ეს შეურაცხყოფა არ იქნებოდა გამოსყიდული და მკვლელებსაც საკადრისი სასჯელი არ ექნებოდათ მიზღვეული. ხოლო, თუ სასამარ-

---

* ქვეთავები: „გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლება", „იუსტინიანეს წერილი", „კოლხთა წარმომადგენლების საბრალმდებლო სიტყვა", „გუბაზის მკვლელთა სიტყვა", „გუბაზის მკვლელთა დასჯა" პირდაპირაა გადმოღებული აგათია სქოლასტიკოსიდან (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III).

თლო შესდგებოდა და ორივე მხრით კამათი გაიმართებოდა, რომლის დროსაც სასამართლოს მოსამსახურენი აქეთ-იქით ივლიდნენ და თვალყურს ადევნებდნენ, რომ თითოეულ მომჩივანთაგანს წესრიგი დაეცვა და ისე ელაპარაკა, თუ სასამართლოს სიდიადეს დაანახვებდნენ კოლხებს და მჭევრმეტყველ სიტყვებს მოასმენინებდნენ, და ამით უფრო შემზარავად მოაჩვენებდნენ ჩადენილ მკვლელობას,—აი, თუ ყველაფერი ასე იქნებოდა მოწყობილი, მდგომარეობა უფრო მნიშვნელოვნად და უფრო საგრძნობლად მოეჩვენებოდათ კოლხებს და ბრალდების წონაც უფრო გაზვიადებულად. ასეთ რამეს ბიზანტიონის მოქალაქეებიც მოჰყავს განცვიფრებაში და თავზარს სცემს მათ, თუმცა იქ ხშირად ხდება ეს; მით უმეტეს, განაცვიფრებდა ბარბაროსებს, რომლებიც ამას ჩვეული არ იყვნენ. აი, ამ მოსაზრებებით იქმნა მოწვეული, ჩემის აზრით, რომაული—უკეთ რომ ვთქვა, ატიკური—სასამართლო კავკასიონის ძირში.

რუსტიკე და იოანე მოიყვანეს სატუსაღოდან და დააყენეს მარცხნივ, როგორც ბრალდებულნი. მეორე მხარეზე დადგნენ ბრალმდებელნი, დარბაისელი კოლხები, რომელთაც უკვე კარგა ხანია შეესწავლათ ელლინთა ენა, პირველ ყოვლისა, მათ მოითხოვეს საჯაროდ ყოფილიყო წაკითხული მეფის წერილი, რომელიც ამ საქმეს ეხებოდა და რომელიც იოანეს მოეტანა სტრატეგოსებისათვის.[1] მსაჯულმა შეიწყნარა ეს მოთხოვნა და ერთმა საგანგებო მოხელემ ხმამაღლა წაიკითხა ის წერილი, რომელშიაც შემდეგი ეწერა:

იუსტინიანეს წერილი

„დაუჯერებელი და უცნაურია ის, რაც მაცნობეთ, სახელდობრ, თითქოს გუბაზს სურდეს გადაუდგეს მამა-პაპის ადათს და თავის ძველ, ყველაფერში ერთაზროვნე წინამძღოლებს, ესე იგი, რომაელებს, და გადავიდეს მისდამი მტრულად განწყობილ, სრულიად უცხო და სხვა სარწმუნეობის მიმდევარ სპარსელთა მხარეზე, და ეს ჩაიდინოს იმ დროს, როდესაც მას ჩვენგან უსიამოვნო არაფერი შეხვედრია. მიუხედავად ამისა, რადგან ვიცით, რომ ადამიანს სჩვევია ცვალებადობა და მერ-

[1] როდესაც სტრატეგოსებმა გუბაზ მეფის მოკლა განიზრახეს, რუსტიკეს ძმა იოანე გააგზავნეს ბიზანტიაში, რომელმაც იუსტინიანეს მიუტანა ამბავი, თითქოს გუბაზი სპარსელების „მომხრეობას იჩენდეს". იუსტინიანე „გაშტერებული დარჩა ამ დაუჯერებელი ამბით". მაგრამ იოანემ დაარწმუნა იგი და ბოლოს სტრატეგოსებს წერილი მისწერა, რაზედაც ზემოთაა საუბარი.

ყეობა და გარემოებათა ნაირნაირობასთან ერთად თვითონაც სხვადასხვანაირად იქცევა ხოლმე, ამიტომ ჩვენ საჭიროდ არ ვცანით სრული უნდობლობით მოვპყრობოდით იმ ამბავს (გუბაზის განდგომის შესახებ) და არ გვეზრუნა თავის დაცვაზე მის მიერ განზრახულ თუ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებების წინააღმდეგ; ხოლო ჩვენ თვითონ მეტად გვაწუხებს და ყოველმხრივ გვაფიქრებს ეს საქმე, ვინაიდან არ არის ნათელი, თუ რით გათავდება ის. თუმცა შემაძრწუნებელი და ამაღელვებელია ის, რომ მტკიცედ ვერავის დაეყრდნობი და მუდამ ეჭვითა და შიშით უნდა იყო აღვსილი თვით ძალიან კარგი მახლობლების მიმართაც კი, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც მივყვებით ბუნების კანონს (და ეს არის, რომ ყველაფერში იმარჯვებს) და უნდობლობას ვიჩენთ. მაგრამ, რათა გუბაზის მიმართ აჩქარებულად არ გადავდგით მკაცრი და სასტიკი ნაბიჯი და არც სირბილე გამოვიჩინოთ რაიმე შეუფერებელ გარემოებათა გავლენით, ამიტომ, ორივე ამ შემთხვევაში, სინანულის თავიდან ასაცდენად, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ შუა გზა აგვერჩია და ის კაცი (გუბაზი) აქ დაგვებარებინა. ამიტომ გავალებთ გამოგზავნოთ ის, რაც შეიძლება მალე, ნებით ან ძალით, მაგრამ თუკი ის განზრახვას მიგიხვდებათ, წინააღმდეგობას გაგიწევთ და წამოსვლაზე უარს განაცხადებს, შეიპყარით და წამოათრიეთ (ამის ნებასაც გაძლევთ მე თქვენ ამ შემთხვევაში), ხოლო თუ ის გაგისხლტებათ და თქვენზე იერიშს მოიტანს და, მაშასადამე, ამათუიმ სახით ხელებს აღმართავს თქვენს წინააღმდეგ, მაშინ ჩვენ აშკარა საბუთები გვექნება მის განზრახვათა შესახებ და ამიერიდან შეგვიძლია ჩავთვალოთ მტრად, ისე რომ, თუ მას, ასე გათავხედებულს, ვინმე კიდევაც მოჰკლავს, ამას უკანონო საქციელად არ ჩავუთვლით; ამ საქმისათვის არა თუ დასჯილი არ იქნება ის, როგორც მკვლელობის ჩამდენი, არამედ ქების ღირსიც იქნება, როგორც ტირანის მომსპობი".

აი, ამას ბრძანებდა მეფე თავის წერილში, და ეს შეიტყვეს დამსწრეებმა.

ᲙᲝᲚᲮᲗᲐ ᲗᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲚᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

კოლხთა კაცები, რომელნიც ბრალმდებლებად იყვნენ დანიშნულნი, წამოდგნენ მაშინვე, როდესაც მსაჯულმა გამოუცხადა—თქვენი ბრალდებები წამოაყენეთ, თუ გსურთო—და, რადგან საბრალდებო ბევრი ჰქონდათ სათქმელი, თქვეს შემდეგი: „ჩვენ რომ კიდევაც არაფერი ვთქვათ, მსაჯულო, თვით ჩადენილი ბოროტმოქმედება საკმარისია იმისათვის, რომ მის ჩამდენთ უდიდესი სასჯელი მიეზღოთ: მაგრამ თქვე-

ნი კანონების მიხედვით თვით აშკარა და უდიდეს უკანონო მოქმედებათა შესახებაც კი მიღებულია, რომ განაჩენი არ იქნეს გამოტანილი, სანამ საქმე არ იქნება გარჩეული სიტყვიერი პაექრობის საშუალებით, და ამიტომ ჩვენ შევუდგებით საქმის ვითარების განმარტებას, ამრიგად, ჩვენ მიერ შესრულებული იქნება კანონით დაწესებული, თუმცა, ჩვენი სიტყვა მარტივი და გაუმართავი იქნება და, შესაძლებელია, ჩადენილი ბოროტმოქმედების მნიშვნელობა მან ვერც კი გადმოგცეთ. რა გამართლება შეიძლება ვუპოვოთ იმათ, რომელთაც ისე შეუპოვრად მოკლეს ასეთი დიდებული კაცი, თქვენი მეგობარი და მოკეთე, მოკავშირე ომიანობის დროს და მშვიდობიანი ცხოვრების და ზავის დროს, უზენაესის შესახებაც თქვენნაირად მოაზროვნე[1] და თქვენი წესების მიმდევარი, და რომელთაც უდიდესი მტრობა გამოიჩინეს თქვენ მიმართ, თქვენს მტრებს კი სამსახური გაუწიეს? მოკლული ხომ მეფე იყო, მსაჯულო, არა დაბალი გვარისა, და ვაჟკაცობით განთქმული, და რომაელთა საქმეებისათვის მუდამ იყო მკვლელებზე უფრო ერთგული.

„უკუღმა დატრიალდა კოლხთა საქმეები და დაინგრა, განსაკუთრებით სახელმწიფო საქმეები, თუმცა ჩვენ ქვეშევრდომი სახელმწიფოს ერთ, არა უმნიშვნელო, ნაწილს შევადგენთ. თქვენც აღარა გაქვთ თავისუფალი და ურყევი მდგომარეობა და საგრძნობლად დაგისუსტდათ საკუთარი ძალ-ღონე. თუ სახელმწიფო ყოველმხრივ არ არის გამაგრებული და ერთს რომელსამე ნაწილში მოდუნებულია, ვეღარ იარსებებს წესიერად; პირიქით, ის თავის სახელწოდებასაც ტყუილა ატარებს, ვინაიდან მოკლებულია თავისუფალი არსებობის საშუალებას.[2]

„რადგან ყველაფერ ამის ჩამდენნი ისინი არიან, ამიტომ გეუბნებიან: ამ—თუმცა საშინელს—საქმეს კი ნუ უყურებთ, არამედ მხოლოდ ის განზრახვა უნდა გამოიკვლიოთ და მხედველობაში მიიღოთ, რომლითაცა ვხელმძღვანელობდითო; და უფრო ამჯობინებენ ზოგიერთი ბუნდოვანი—თითქოს სინამდვილის შესაფერისი—საბუთების საშუალებით დაგისახონ თავისი მოქმედება, როგორც თქვენ საკეთილდღეოდ ჩადენილი, ვიდრე აღიარონ აშკარა ზარალი, საქმისათვის მიყენებული, ასეთ ტყუილებს ყბედობდნენ ისინი ხშირად სასამართლოს დანიშვნამდე და ფიქრობდნენ, რომ ბევრს შეაცდენდნენ. თუკი ისინი საქმის გარჩევის დროსაც ასეთსავე მოსაზრებებს წამოაყენებენ, დე, იცოდნენ მათ,

---

[1] ე.ი. ერთმორწმუნე, თქვენსავით ქრისტიანი იყო.

[2] ს. ყაუხჩიშვილის აზრით, კოლხებს ამით შემდეგის თქმა უნდოდათ: კოლხეთის საქმეები აირიე-დაირია და უკან-უკან მიდის, ხოლო კოლხეთი ბიზანტიის იმპერიის ერთს მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს და, ცნობილი დებულებაა, თუ სახელმწიფოს რომელსამე თავის ნაწილში არ აქვს დამშვიდებული და მტკიცე მდგომარეობა, ის, საზოგადოდ, არ ჩაითვლება მტკიცე და უზრუნველ სახელმწიფოდ.

მსაჯულო, რომ არც რომაელს და არც სამართლიანობას სჩვევია ასეთი ცხადი და აშკარად ჩადენილი უსამართლობა უყურადღებოდ დასტოვოს და თავი მოატყუებინოს ბუნდოვან მიზეზებს, რომლებიც უსაფუძვლოდაა მკვლელების მიერ შეთხზული. შეუწყნარებელია ამის ატანა: თვითონვე აშკარად ამბობენ, რომ მოკლეს ის კაცი, და თანაც სტყუიან, რომ ამით უდიდესი სარგებლობა მოუტანეს სახელმწიფო საქმეებს: როგორ თავსდება მათ თავში ეს წინააღმდეგობა, ან როგორ შეგვიძლია ჩვენ, რომლებიც ამ საქციელს საზიზღარს ვუწოდებთ, შევაქოთ მისი ჩამდენი და ვთქვათ, რომ მისი მიზანი იყო სახელმწიფოსათვის სარგებლობა მოეტანა? იმთავითვე ხომ სარგებლობა და უკანონობა ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებებს წარმოადგენს, სიმხეცე და სამართლიანობა ერთიმეორეს დაშორებული იყვნენ და შეურევნელი, მათი ერთად არსებობა არასდროს არ ყოფილა შესაძლებელი.

„თუკი მათ ზრახვებს გავაშიშვლებთ და გამოვიკვლევთ, აქაც ისინი გამოჩნდებიან უბოროტეს მტრებად, სპარსელთა სასარგებლო განზრახვების მქონეებად; ასე რომ, საკადრისიც არ არის ამ სისხლისმსმელებს რომაელების სახელით ვიხსენიებდეთ ან კეთილგანწყობილი ურთიერთობა ვიქონიოთ მათთან, როგორც თვისტომებთან; ისინი უნდა ჩავთვალოთ უკიდურეს მტრებად, რომლებიც ჩვენგან გამოთიშა ბუნების კანონმა, თუმცა ეს კანონი თქვენგან ხელმოწერილი არაა: მოწინააღმდეგესა და მტერს ხომ საქმის მიხედვით გამოიცნობ ადამიანი და არა სიშორის მიხედვით, ცხადია, მტრად უნდა ჩათვალო ის, ვინც იმას აკეთებს ხალისით, რაც მოწინააღმდეგეებს ესიამოვნებათ, თუნდაც ის შენთან იყოს და შენთან ერთად ლაშქრობდეს და ახლო ნათესაურ კავშირში იყოს შენთან. ახლა: ისინი ამბობენ, რომ მოკლეს არა მეგობარი, არა მეფე, არამედ მტერი, ტირანი და სპარსელების მომხრე. კიდევ მეტი: ისინი ისეთ უსამართლობამდე მივიდნენ, რომ განსვენებულს აბრალებდნენ მედიზმსაც.[1] საბრალო! სიკვდილის შემდეგაც ვერ განთავისუფლდა უბედურებისაგან, და ახლაც, როდესაც მას აღარ შეუძლია თავი იმართლოს, მოღალატეობაში ედება ბრალი. რომელი კანონი—თქვენი ან ბარბაროსებისა—მოიწონებს ასეთ მდგომარეობას, რომ ჯერ განაჩენი გამოუტანო ადამიანს და მერე წაუყენო ბრალდება? ისინი თვითონ არიან მსაჯულებიც, მტრებიც და ბრალმდებლებიც, ყველაფერი ერთად შეასრულეს და საქმის გაურჩევლად სრულიად უდანაშაულო კაცს ისეთი სასჯელი არგუნოს, როგორიც შეეფერებოდა მართლაც ტირანობაში გამტყუნებულს. ახლა კი, როდესაც თაკის გა-

[1] მედიზმი ეწოდება სამშობლოს (ბიზანტიის) ღალატს და მიდიელთა მხარეზე გადასელას.

მართლება სჭირდებათ, მოდიან და ბრალსა სდებენ უსამართლოდ დასჯილ კაცს; სანამ მას მოჰკლავდნენ, საჭირო იყო, თუკი ისინი დარწმუნებული იყვნენ ბრალდებათა სისწორეში, საქვეყნოდ მიეცათ ის სამართალში და თვით პირველნი გამოსულიყვნენ ბრალმდებლებად და არა ისე, როგორც ახლა მოხდა, როდესაც ისინი თვით არიან ბრალდებულნი, საპასუხო ბრალდებას აყენებენ. თუ ეს ყველასათვის ნებადართულია, რა გვიშლიდა ხელს ჩვენც საკუთარი ხელით მოგვეკლა ეს სისხლისმსმელები? ჩვენც, სამართალში მიცემულნი, უკვე მიცვალებულთ, ბრალდებად წავუყენებდით მათ მიერ წინათ ჩადენილ შეცდომებს, და ამით შევეცდებოდით, სრულიად სამართლიანად, სამაგიერო შეგვეცოდა: ჩვენ ხომ ძალიან აღელვებული ვართ წინათ მათ მიერ აშკარად ჩადენილი საქციელით და სამართლიანად ვიძიებდით შურს! დავაც წესიერად წარიმართებოდა, მაგრამ არც ჩვენ, არც სხვებმა ამგვარი რამ არ უნდა გავბედოთ, თუ სახელმწიფო კანონების საფუძველზე ვაპირებთ ცხოვრებას, წარმოიდგინეთ, თუ ყოველ მსურველს ასე ერთბაშად შეეძლება საკუთარი მტრების მოკვლა, ამგვარი საქციელის ჩადენა მიგვიყვანდა უსაზღვრო თავხედობამდე, და როგორღა შეგრჩებოდათ თქვენ შესაძლებლობა თავისუფალი და დაუბრკოლებელი განსჯისა? ყველა რომ ჟლეტას დაიწყებს და გაჟლეტილი იქნება და თამამად მიმართავს ერთმანეთის წინააღმდეგ მახის დაგებას, თქვენ ვეღარ შესძლებთ სასჯელის დადებას: უაზროდ დაიხოცება მთელი მოდგმა და გამოძიების საშუალებას წინასწარ მოსპობს იმათი უკანონო საქციელი, რომლებიც ყოველთვის სამაგიეროს გადახდას მიმართავენ.

„თუმცა—ამბობენ ისინი—განა უბედურებაა ის, რომ ერთი კაცის, ისიც მოღალატის, მოკვლით ყველა მოკავშირე უფრო გონიერად მოიქცევა? მოღალატეთა მართლაც რომ დიდი რაოდენობა იქნეს მოსპობილი, თუმცა ამით არავითარი სხვა სარგებლობა არა აქვთ მკვლელებს, მაგრამ თვით მოვლენა ამგვარი ხალხის მოკვლისა საკმაოდ სასარგებლოა. მაგრამ, თუკი, მიუხედავად იმისა, რომ მოღალატეობა დამტკიცებული არაა, ერთბაშად აქრობენ და ჰკლავენ ერთ-ერთ უაღრესად წარჩინებულ კაცს, თითქოს ის აშკარა ბოროტმოქმედებაში დაეჭიროთ, რანაირად შეუწყობს ხელს იმას, რომ მოკავშირეები თქვენ უფრო გონიერად მოგექცნენ? იქნებ მათ უფრო ხელშეკრულებათა დარღვევა დაიწყონ, რახან იფიქრებენ, რომ თქვენ ამ ბოროტმოქმედების მონაწილენი ხართ? ისინი დაასკვნიან, რომ, თუ თქვენიანებისა და მახლობლებისადმი არ იჩენთ ლმობიერებასა და სამართლიანობას, ძნელი საფიქრალია, რომ ერთგულნი დარჩებით უცხოელთა და გარე-

შეთა მიმართ, რომლებთანაც მხოლოდ აუცილებლობის გამო გაქვთ ურთიერთობა. მაგრამ თქვენ არ მიგიღიათ მონაწილეობა მკვლელთა გეგმაში, არც მთელ რომაელ ერს მიეწერება ეს ბოროტმოქმედება, კერძოდ ჩადენილი ამათ მიერ; ამათი ვერაგული საქციელი ვერც თქვენ შესახებ წინათ არსებულ აზრს მოსპობს,. სახელდობრ, რომ თქვენ ერთგულნი ხართ თქვენი ქცევით და ურყევნი, და სამართლიანი კანონებითაც ხელმძღვანელობთ. პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახლანდელი სამსჯავროც ხალხის საერთო დიდებისათვის მოაწყეთ, რათა ყველას გაეგო, რომ თქვენ არასდროს არ გნდომიათ კოლხებს ისეთი საშინელი ძალადობა განეცადათ. შესაძლებელია ახლა ბევრის აზრი ხან აქით იხრებოდეს, ხან იქით, გარკვეული და მერყევი იყოს, მაგრამ, მსაჯულო, როდესაც შენი მსჯავრის მიხედვით ისინი მალე მოკლულნი იქნებიან, უფრო გასაგები შეიქნება, რომ თქვენ (რომაელები) თავისიანების მოღალატენი კი არა ხართ, არამედ, უსამართლოდ მოქმედთა მომთვინიერებელნი. თუმცა ისინი, როგორც ჩანს, სიტყვით თავს იცავენ, მაგრამ საქმით საკუთარი თავის გამმტყუნებლად გამოდიან და აღიარებენ ამ მკვლელობის სისაძაგლეს. მეფის წერილი ხომ უბრძანებს სტრატეგოსებს ბიზანტიონში მიჰგვარონ გუბაზი, ჯერ დაიყოლიონ ის ბიზანტიონში წასვლაზე, ხოლო, თუ არ დაემორჩილება მათ განგებ და წინააღმდეგობას გაუწევს, ძალით გააგზავნონ; მისი მოკვლა კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა, სანამ ის საბოლოოდ არ გადაუდგებოდა რომაელებს და მტრულ მოქმედებას არ დაიწყებდა. ესენი კი არც სტრატეგოსები ყოფილან, არც ნება მიუცია მათთვის ვინმეს ჩაედინათ ის, რაც მოესურვებოდათ, უცბად მოეკლათ საცოდავი გუბაზი ისე, რომ არც წინასწარ ეთხოვნათ მისთვის ბიზანტიონში წასულიყო და არც ეცადათ იმას გასინჯვა, უდიერად შეხვდებოდა იმ მეფის განკარგულებას თუ არა, თუმცა ისინი ამაყობენ და ტრაბახობენ იმათ, თითქოს შეასრულეს მეფის დავალება, მაგრამ, პირიქით, როგორც ჩანს, მათ გვერდი აუარეს მის სურვილს, წინასწარ თავხედურად შეხანხლეს გუბაზის წინააღმდეგ ყალბი ბრალდებები და წინააღმდეგ მათთვის მეფისაგან მიცემული განკარგულებისა, საკუთარი სურვილის მიხედვით დაღუპეს კაცი; და, რაც ყველაზე უფრო უკანონოდ უნდა ჩაითვალოს, არც კი აჩვენეს მეფის წერილი, რომ ის გასცნობოდა მის შინაარსს და მოქცეულიყო საჭიროებისამებრ.

„ნუთუ, ამის შემდეგ, ის, რაც მათ გაბედეს, არ უნდა ჩაგვეთვალა ნამდვილ უბედურებად და უსაზიზღრეს მკვლელობად? ვინმეს მიმართ უსამართლობის ჩადენა ხომ აკრძალულია და ჩვენც უნდა ვერიდებოდეთ მის ჩადენას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს უსამართლობა ეხება

მეგობარსა და კეთილისმსურველს, იმ ადამიანს, რომელიც ხშირად გაბმულა საფრთხეში მახლობელთა გულისათვის. ვინ იყო, რომ სპარსელთაგან დანაპირებ სიმდიდრესა და ყოველნაირ სიკეთეს ამჯობინა თქვენდამი კეთილი განწყობილება? ვინ იყო, რომ ხოსროს მეგობრობა უკუაგდო და, იმ დროს, როდესაც ეს მეგობრობა უდიდეს სიმდიდრეს უმზადებდა მას, თქვენგან მცირედსაც დასჯერდა? ვინ იყო, რომ წინათ, როდესაც ეს ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში მიდიელების სათარეშოდ იყო გამხდარი და თქვენი დამხმარე ჯარები იგვიანებდნენ, მაშინვე გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი და თვით კავკასიონის მწვერვალებზე გადასახლდა, სადაც თითქმის ველურ ცხოვრებას ეწეოდა, და მან ეს უფრო ამჯობინა, ვიდრე მტრის მეგობრობა გამოეყენებინა, შინ ჩასულიყო და განცხრომით ეცხოვრა? ვინ იყო ეს? ეს იყო გუბაზი, რომელიც არ უშინდებოდა არავითარ გაჭირვებას, თუკი თქვენი გულისთვის იყო ეს აუცილებელი. სად ხართ კანონებო, სად არის სამართალი! მას აბრალებენ მედიზმს, ტირანობას, რომაელთა მოღალატეობას! ის მოკლეს რუსტიკემ და იოანემ, ამ საძაგელმა და საზიზღარმა კაცებმა მოკლეს მეფე! ის რომ მართლაც დამნაშავე ყოფილიყო, ამათ მიერ კი არ უნდა ყოფილიყო ის მაშინვე მოსპობილი, არამედ მისი საქმე დინჯად უნდა გაერჩია რომაელთა და კოლხთა საერთო მეფეს, როგორც უდიდესსა და ყოველთა უძლიერესს, და სათანადო სასჯელი დაენიშნა. მაგრამ, ვინაიდან ამათ არ ჰქონდათ არავითარი კანონიერი საბუთი მისი მოკვლისათვის, უფრო კი შურიანობით გამოწვეული უზომო მტრობა აღიზიანებდა მათ ბოროტება ჩაედინათ, სათანადოდ არ მოიფიქრეს, გონიერი მოსაზრება არ მოიხმარეს და არც გაითვალისწინეს, თუ რა იქნებოდა სასარგებლო, და ამაყურ ქცევასა და შურისძიებას რომ დაემორჩილნენ, ჩაიდინეს დიდი თვითნებობა. ის, რაც დიდი ხანია განზრახული და ზედმიწევნით დაგეგმილი ჰქონდათ, სისრულეში მოიყვანეს პირველ შესაძლებლობისთანავე ისე, რომ არც დროის ვითარებას მიაქციეს ყურადღება და არც კარგად მოიფიქრეს, რადგან ისეთ მძიმე ომში ვიყავით გახვეული, გონიერ კაცს მოეთხოვებოდა ეზრუნა იმაზე, რომ კარგი მოპყრობის საშუალებით თავისკენ მიეზიდა უცხო და ჯერ კიდევ უცნობი ერები. ამათ კი ისინიც რომაელების მტრებად გადააქციეს, რომლებიც წინათ მათი მახლობელი მეგობრები იყვნენ. და მათი ბრალია, რომ ჩვენ მტრის მხარეზე გადავედით, ძველ მეგობრებს მზაკვრულად ვეპყრობით, რომ ეს ქვეყანა სპარსელების ხელშია და მშობლიური წესები მივიწყებულია,—ერთი სიტყვით, ყველაფერი უწესრიგოდ მიმდინარეობს. აი, რამდენი ზარდამცემი ნიშანია აჯანყებისა და შინაური არეულობისა, ამიტომ რადგან ყველაფერი ეს

ნამდვილად ასეა და ჩვენი საქმეები ყოველმხრივ ანგრეულია, უნდა მივუყენოთ ამათ ისეთი ღირსეული სასჯელი, რომლის გამოძებნასაც კი შევძლებთ. თუ ჩვენ რომაელთა ერთგულნი ვართ ურყევად, არ იქნება სამართლიანი, მსაჯულო, რომ ამათ ჩვენი ჩვილი ხასიათით ისარგებლონ და უფრო ნაკლები სასჯელი მიიღონ, ვიდრე მათ მიერ ჩადენილ საქციელს შეეფერება".

ბრალმდებლები რომ ასეთ ბრალდებებს აყენებდენ, კოლხთა ლაშქარს, რომელიც იქვე იყო თავმოყრილი, არც ნათქვამი სიტყვები ესმოდა კარგად და არც აზრების მნიშვნელობის გაგება შეეძლო, მაგრამ იმას კი ხვდებოდნენ ისინი, თუ რის შესახებ იყო თითოეული მათგანი გამოთქმული, და მათი კამათის დროს თავიანთ გულისნადებსაც ურთავდნენ და მათთან ერთად მიხვრა-მოხვრასაც იცვლიდნენ: ისინი იცვლიდნენ გუნებას იმისდა მიხედვით, იმედს ამჩნევდნენ ბრალმდებლებს თუ სასოწარკვეთას. შემდეგ, როდესაც მათ ლაპარაკი დაამთავრეს და მსაჯული ცოტა ხნით შეჩერდა დაფიქრებული, იმათ ჩუმად დაიწყეს ბუზღუნი და უკმაყოფილების გამოცხადება, რატომ ახლავე არ მიჰყავთ მტრები დასასჯელადო. ხოლო, როდესაც მსაჯულმა მოუწოდა ბრალდებულებს ეთქვათ, რისი თქმაც სურდათ, მაშინ ხალხმა აშკარად იწყო ყვირილი და ბუზღუნი და ეს ხმები უკვე უფრო ნათლად ისმოდა. მაგრამ იმათ, რომლებიც ბრალმდებლებად იყენენ მოსული, ხელების დაქნევით გააჩუმეს და შეაწყვეტინეს ხმაურობა.

გუბაზის მძველელის სიტყვა

სიჩუმე რომ ჩამოვარდა, შუაში წარსდგა რუსტიკე თავის ძმასთან, იოანესთან ერთად და თქვა შემდეგი:

„ბედმა ერთბაშად შეცვალა და უკუღმა შეატრიალა ჩვენი განზრახვები; უნდა დავმტკბარიყავით უდიდესი საჩუქრებით და ამის ნაცვლად სიკვდილით დასჯა მოგველის. თუმცა ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა ეს სამსჯავრო და უდიდესი სიამაყის მომგვრელი: ამით ყველა კარგად გაიგებს, რომ მხოლოდ ჩვენი წყალობით მოხერხდა მოღალატისა და ტირანის მოსპობა და მეფის საქმეების ნაწილობრივ უზრუნველყოფა, ასე რომ, კიდევაც რომ სიკვდილი შეგვხვდეს, სიამოვნებით მივეგებებით მას, როგორც რაღაც საყვარელსა და სანუკვარ მძიმე ხვედრს: ჩვენ წავალთ ამიერ ქვეყნით, საუკეთესო ნუგეშის მქონენი, ვინაიდან გზაზე წაგვყვება იმის შეგნება, რომ კოლხების ბატონებად რომაელები დავტოვეთ და სხვებს არ ჩავაგდებინეთ ის ხელში. ეს სამსჯავრო რომ სპარსელებისა იყოს და ისინი არჩევდნენ ჩვენს საქ-

მეს, ჩვენ მთლიანად გვიხდებოდეს იმის უარყოფა, რაც ჩაგვიდენია, გვეშინოდეს აქ მოტანილი საბუთებისა, მაშინ ჩვენ—

ამ მომხდარ ამბავს მიაქციოთ ყურადღება, მაგრამ, მსაჯულო, უყურადღებოდ არ დასტოვებ, ალბათ, იმ ამბებს, რომლებიც ჩვენ საქციელს წინ უძღოდა, ასწონ-დასწონი იმ მიზეზებს, რომლებმაც გაგვაბედინეს ის საქმე, და სისწორით გაიგებ ჩვენი საქციელის ნამდვილ აზრს. ქალაქებში ხშირად ვპოულობთ ხოლმე მაწანწალებსა და ქურდ-ბაცაცებს ან სხვა ამგვარი უკეთური საქმის ჩამდენთ, რომლებისთვისაც ან თავი წაუგდებინებიათ, ან ფეხები მოუჭრიათ, მაგრამ ამ საქციელისათვის არავის ვდებთ ბრალს, თუმცა ესეც ძალიან უწყალო საქციელი ჩანს; არც იმ მმართველ მოხელეებზე ვიყრით ჯავრს, რომლებმაც დაუშვეს ასეთი შურისძიება, და არც უწმინდურ, საზიზღარ და ბოროტ საქციელად ვნათლავთ ამას: ჩვენ მხედველობაში ვღებულობთ ამ ბოროტმოქმედთა მიერ წინათ ჩადენილ უკეთურ საქმეებს, ვიგონებთ იმას, რომ მათ სასჯელი მიიღეს მათ მიერ ჩადენილი უსამართლო ქცევისათვის და მათდამი გამოჩენილი სისასტიკე სიამოვნებას გვგვრის. სანამ ბოროტმოქმედებები არ შეწყვეტილა, არც სასჯელის დადება უნდა იქნეს მიჩნეული შეუფერებლად!

„ამრიგად, გუბაზი ჩვენ მოვკალით. მერე რა მოხდა აქ საშინელი, თუ ჩვენ მოვკალით მოღალატე ადამიანი და ჩვენი მტერი? ბრალმდებლები სამართლიანად ამბობენ, რომ მტრის სახელწოდება შეეფერება არა იმას, ვინც მოშორებით, უცხოეთში ცხოვრობს, არამედ იმას, ვინც, თუმცა თვისტომია, მაგრამ მტრისთვის სასიამოვნო საქმეს აკეთებს; ჩვენის აზრითაც ასეთი განსაზღვრა საუკეთესოა და უჭეშმარიტესი და სინამდვილეს შეეფერება. და რახან ორივენი თანახმა ვართ ამაში, ვისარგებლებთ ამ საბუთით და დავამტკიცებთ, რომ გუბაზი ჩვენი მტერი იყო. ხოლო თუ ეს დამტკიცებული იქნება ამ გზით, ნათელყოფილი იქნება ისიც, რომ ის მოკლულ იქნა სრულიად მართებულად. მთელი ეს ბარბაროსული მოდგმა, თუმცა ის რომაელების ქვეშევრდომია, მაგრამ თავისი შეხედულებით ძალიან დაშორებულია მათ; რომაელთა კანონების სიმწყობრე ამძიმებს მას და ის ისწრაფვის გადატრიალებისა და აჯანყებისაკენ; სანამ სხვის ხელქვეით არის, მას არ შეუძლია მშვიდად ცხოვრება ისე, რომ უსამართლო საქმეებში არ გაერთოს. თუ ამას მარტო ვერ ახერხებენ, ცდილობენ თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ის ტომები, რომლებიც მათნაირივენი არიან და რომელთა ჩვეულებებიც მათ საკუთარ ჩვულებებს უახლოვდება. გუბაზი ყველა ამ თვისებით იყო აღჭურვილი: ის ხომ წარმოშობით ბარბაროსი იყო და ამ მოდგმისათვის დამახასიათებელი მზაკვრობით იყო დასნეულებული; გარდა ამისა, ჩვენს მიმართ ისეთი ბოროტებით იყო გამსჭვალული, რომ არც კი თვლიდა საჭიროდ ამის დაფარვას,—პირიქით,

ისწრაფოდა განეხორციელებინა თავისი მტრული ზრახვები, რომლებიც მანამდე გულში ჰქონდა ჩათხრობილი და დაფარული. ჩვენ რომ წვალებაში ვიყავით და ყოველგვარ ხიფათში ვებმოდით, რათა მტერს მისი გულისნადები არ ასრულებოდა, გუბაზი ამ დროს ამჯობინებდა შინ მჯდარიყო თვისტომებთან ერთად და საწვალებელ საქმეს მოშორებული ყოფილიყო. გარდა ამისა, ის ზედმიწევნით ადევნებდა თვალყურს ბრძოლის მიმდინარეობას და უთვალთვალებდა, თუ რით დამთავრდებოდა ეს ბრძოლა, თუ ვინიცობაა რომაელები ბრძოლაში წარმატებას მიაღწევდნენ და მართლაც რომ გამარჯვებულის ჭეშმარიტ სახელს მოიპოვებდნენ, ის მაშინვე თავის მტრობასა და შურს ამჟღავნებდა და ცდილობდა სასაცილოდ აეგდო ეს გამარჯვება, გაებათილებინა მიღწევის მნიშვნელობა; თვით საქმეს უმნიშვნელოდ ნათლავდა, შედეგსაც უმნიშვნელოდ თვლიდა და ამასაც ჩვენ კი არ მოგვაწერდა, არამედ ბრმა ბედს. თუკი მოხდებოდა ისე, რომ ფეხი დაგვიცდებოდა (და განა შესაძლებელია, რომ ადამიანის საქმე უკუღმა არ წავიდეს და მუდამ ერთ მდგომარეობაში იყოს?), ის, ვითარცა მომხდარი ამბის უეჭველი მსაჯული, მაშინვე პირწმინდად გაათავისუფლებდა ხოლმე ბედისწერას ყოველგვარი ბრალდებისაგან, თითქოს მისი მონაწილეობით არ ხდებოდეს ყველაფერი: მისთვის უკვე წინასწარვე იყო გადაწყვეტილი, რომ ჩვენი საქმის ცუდად წარმართვაში ბრალი მიუძღოდა მხოლოდ ჩვენს სულიერ სილაჩრეს, მარჯვენის სისუსტეს და გეგმის უვარგისობას. ბედის ცვალებადობას, უწესრიგობასა და მოუფიქრებლობას ის არასოდეს არ მიაწერდა მტერს (ჩვენ კი ყოველთვის ამას გვაბრალებდა), თითქოს ამ მიზეზით არ ყოფილიყოს, რომ მტერი გვაჯობებდა ხოლმე ჩვენ.

„და ამას ის გაჰკიოდა ხმამაღლა და აშკარად, და აცნობებდა ხოლმე არა მარტო სპარსელთა ჯარებს, რომელთაც ის ყოველგვარ საქმეში შველოდა, არამედ ის მაშინვე შიკრიკებს აფრენდა ხოლმე, რომ ცნობები მიეტანათ იბერიაში, სვანთა ტომისათვის, კავკასიის გადაღმა მცხოვრებ ბარბაროსთათვის, უფრო შორის იმათ იქითაც, თუკი შესაძლებელი იქნებოდა, დედამიწის კიდეზედაც. ცნობა კი ასეთი იგზავნებოდა: „რომაელები ცუდი მეომრები არიან, ბარბაროსები მათ ამარცხებენ“.და მისი ცდა მარტო ის კი არ იყო, რომ რომაელთა მოდგმისათვის ჩირქი მოეცხო (თუმცა ესეც საშინელი რამ არის და მტრულად განწყობილი ადამიანის სულისკვეთებას ამჟღავნებს), არამედ უფრო მეტს იღვწოდა, რაღაც სხვას, უფრო დიდს იზრახავდა და ამზადებდა, ის საჭიროდ თვლიდა შეერყია ბარბაროსთა შორის გაბატონებული აზრი ჩვენი დიდი მეფის შესახებ, რომელიც განთქმული იყო,

როგორც უძლიერესი და გამარჯვებათა შარავანდედით მოსილი მეფე: ამით მან გაათამამა ის, ვინც წინათ შიშით და გაკვირვებით შეგვყურებდა. განა უფრო სამართლიანი არ იქნება ასეთი რამეების ჩამდენს მტერი ვუწოდოთ, ვიდრე მეგობარი, კეთილისმსურველი, მეფე, მოკავშირე ან სხვა ამგვარი სახელები, რომლებსაც ბრალმდებლები თხზავენ ამ ტირანის შესახებ? თუმცა ორივეს—მტერსაც და მოყვარესაც—ერთნაირად ანიჭებენ ას სახელს, მაგრამ მოყვარის გარჩევა მტრისაგან მხოლოდ იმის მიხედვით შეიძლება, კეთილად არის ის განწყობილი მომხდარი ამბების შედეგების მიმართ, თუ მტრულად. მაშასადამე, ვინაიდან უკვე დამტკიცებულია, რომ გუბაზი ჭმუნვას ეძლეოდა, როდესაც ჩვენ ვიმარჯვებდით, და ხარობდა, როდესაც მარცხი მოგვდიოდა, რაღას გაჰკიკიან ბარბაროსები რომაული კანონების წინააღმდეგ, რომელთა მიხედვით ვსჯით ხოლმე, ან კიდევაც სრულიად ვანადგურებთ იმათ, ვინც არსებულ წყობილებას ერთგვარად არყევს და ზიანს აყენებს? თუ ეს ასეა, თავი დავანებოთ საბუთებს, მითითებებს და საეჭვო მტკიცებებს; ყურადღება მივაქციოთ მხოლოდ საქმეთა ვითარებას და ვნახოთ, სად მიგვიყვანს ის.

„სპარსელებს ჰქონდათ დაპყრობილი ონოგურისის ციხე, რომელიც მათ ჩამოეგლიჯათ არქეოპოლისის მიდამოებიდან, და ჩვენთვის აუტანელ სირცხვილს წარმოადგენდა ის, რომ მტრის ჯარი მტკიცედ ჩამჯდარიყო ზღუდის შიგნით ჩვენს მიწა-წყალზე. სტრატეგოსთა თათბირზე გაიმარჯვა იმ აზრმა, რომ მთელი ჯარით გავმგზავრებულიყავით იმათ წინააღმდეგ, გაგვენადგურებინა ისინი და ამრიგად, განვთავისუფლებულიყავით მეტად სახიფათო ჩასაფრებისაგან. ჩვენ, რასაკვირველია, გვჭირდებოდა კოლხთა ჯარიც, არა მარტო იმიტომ, რომ კოლხები, როგორც იმ ადგილების მცოდნენი უფრო მეტად, ვიდრე იმ ადგილთა არამცოდნენი, სასარგებლო რჩევა-დარიგებას მოგვცემდნენ, არამედ იმიტომაც, რომ, რადგან ბრძოლა მოგვიხდებოდა გამაგრებულ ადგილას ჩამჯდარ და კარგად შეიარაღებულ მებრძოლებთან და აგრეთვე, იმათთანაც, რომლებიც, ალბათ, მუხირისიდან მოვიდოდნენ მათ საშველად, კოლხებსაც გაეწიათ ჩვენთვის დახმარება, ჩვენთან ერთად ებრძოლათ, ასეთ პირობებში რა უნდა ექნათ სტრატეგოსებს? რასაკვირველია, უნდა მიემართათ ერის მთავრისათვის და მოეთხოვათ ბრძოლაში მონაწილეობა მიეღო, მის შემდეგ, რაც დაუმტკიცებდნენ ამ მოთხოვნის საბუთიანობას. და მართლაც, მიმართეს კიდეც და დაუმტკიცეს. იმან კი ისე წარმოადგინა თავი, თითქოს მართლაც მეფე ყოფილიყოს და თითქოს მის ხელთ ყოფილიყოს, თავისი ნებისაებრ ემართა, უარი თქვა ჩვენთან ერთად ელაშქრა ციხის წინააღმდეგ და არც კი მოვიდა ჩვენთან.

არავითარი მიზეზებიც კი არ დაასახელა, რომლებიც, თუმცა შეუფერებელი იქნებოდნენ, მაგრამ გარეგნულად მაინც გაამართლებდნენ მის უარს, მან გაცილებით უფრო ამაყად და უხეშად მოგვიგო უარი, ვიდრე ეს დაქირავებულ ქვეშევრდომს შეეფერებოდა. კიდეე მეტი; ის მუდამ სიძულვილით უცქეროდა სტრატეგოსებს და გაშმაგებით მტრობდა მათ, და ვაჟკაცობად და სამეფო ღირსების შესაფერისად მიაჩნდა ის, რომ ახდილად არცხვენდა სტრატეგოსებს მათ მიერ შესრულებული საქმეების გამო, და ყველაფერ ამის შემდეგ განა საჭირო იყო მეტის დაყოვნება ჩვენი მხრით? განა უნდა გვეცადა უფრო მეტი საბუთებისათვის და გვეჩვენებინა მეფის წერილი, რათა ბიზანტიონში წასულიყო, იმ დროს, როდესაც საკუთარი მიწა-წყლის ფარგლებში რაღაც მოკლე მანძილის გამოვლასაც კი არ ნებულობდა... მერედა, განა შესაძლებელი იქნებოდა მოგვეხერხებინა აგრე რიგად ჩვენ წინააღმდეგ განწყობილი გუბაზის გაგზავნა ბიზანტიონში ისე, რომ ამას არ გამოეწვია ათასნაირი შინაური აჯანყება, მრავალი ხოცვა-ჟლეტა, აშკარა გადადგომა, სპარსელთა მოულოდნელი შემოჭრა? მოწინააღმდეგე ხომ არ გვემორჩილებოდა და გვებრძოდა, ხოლო მთელი ერი აჯანყების მოყვარულია, მას, ბარბაროსული წესის მიხედვით, ახასიათებს მისწრაფება არსებული წყობილების შერყევისადმი, მით უმეტეს, რომ ახლოს ცხოვრობენ ისინი, ვინც მათ მხარს დაუჭერს, ამიტომ, ვერაგული ზრახვების მეთაური რომ მოვკალით, ამით ძალიან ადვილად მოვუღეთ ბოლო მთელ რიგ ასეთ უბედურებას, არსებულსა და მოსალოდნელს, ისე, რომ სრულიად დაუჯერებელია, რომ ასეთი რამ მომავალში განმეორდეს.

„ამიტომ, მსაჯულო, ნუ გვისაყვედურებ იმ წერილის გამო, ნურც გვაგინებენ, რომ არ შევასრულეთ წერილში მოხსენებული დავალება. განა ცხადი არ არის, რომ ის მოწერილობა—სამეფო ქალაქში გამგზავრების შესახებ—მხოლოდ მის გამოსაცდელად იყო გამოგზავნილი, რათა გამოგვეცადა, შეასრულებდა თუ არა ის თავისი ნებით ბრძანებას და კანონიერად მოიქცეოდა? რადგან ჩვენ მალე შევიტყეთ მისი შეუპოვრობა და ჯიუტობა და რადგან ის მცირე მოთხოვნასაც კი არ ასრულებდა, განა შევძლებდით მის დაყოლიებას უფრო დიდ მოთხოვნაზე და განა სასწრაფოდ არ უნდა მიგვემართა იმ უკიდურეს საშუალებისათვის, რომელსაც აუცილებლობის გამო მივმართეთ, რადგან ამასობაში ბევრი რამ საშინელი მოხდა? თუ ხელიდან გაუშვებ მოხერხებულ დროს და არ გამოიყენებ იმას საქმის მოსაგვარებლად, შემდეგში ვეღარ დაიბრუნებ იმას, რაც გამოგეპარა! იქნებ, როგორც ბრალმდებლები ამბობენ, ისღა დაგვრჩენოდა, რომ სამართალში მიგვე-

ცა გუბაზი, ფუჭი სიტყვიერი ბრძოლა გაგვეჩაღებინა და სახელმწიფო კეთილდღეობის უზრუნველყოფის მაგიერ სიტყვების რახა-რუხი გაგვემართა? მაგრამ ბედშავნო, ამის ნებას არ იძლეოდნენ სპარსელები, რომლებიც აქვე იყვნენ სამტროდ დარაზმულნი და გამზადებულნი იმისათვის, რომ მთელი კოლხეთი ეგდოთ ხელთ იმის (გუბაზის) დახმარებით. ვინაიდან ყოველმხრივ დამტკიცებულია, რომ გუბაზი მტერი და მოღალატე იყო და ტირანის ზრახვების მატარებელი, სულ ერთი არ იყო კოლხებისათვის, ჩვენ მოვკლავდით მას თუ სხვები? გონიერი მოსაზრება მარტო სტრატეგოსებსა და, საერთოდ, ძალაუფლების მქონეთ კი არ ებადებათ და მოუდით ხოლმე, არამედ ყოველ მსურველს, ჩემის აზრით, უფლება აქვს და შეუძლია გამოექომაგოს სახელმწიფოს, რომელშიაც ის მოღვაწეობს, და შეძლებისამებრ იზრუნოს საზოგადო კეთილდღეობისათვის. თუმცა ჩვენ, მათი აზრით, საზიზღარნი და საძაგელნი ვართ, მაგრამ სინამდვილეში მეფისა და რომაელთა ერთგულნი ვართ და თავზე არ მოვუსვამთ იმათ, ვინც ცდილობს, მახე დაგვიგოს. თუ კიდევ მეტის თქმაა საჭირო, კარგად იცოდე, მსაჯულო, რომ ჩვენ ამ ჭეშმარიტად კარგი და სამართლიანი საქმის ჩადენა გავბედეთ სწორედ დროზე, და მარტინეს თანხმობაც გვქონდა ამაზე."

გუბაზის მკვლელთა დასჯა

ეს რომ ითქვა, ათანასი ჯერ კარგად შეხვდა რუსტიკეს სიტყვებს, მაგრამ იმის წყალობით, რომ პაექრობა ორჯერ მოხდა და ათანასიმაც ყველაფერი გამოიკვლია და ასწონ-დასწონა, მას უკვე გუბაზის მიერ ჩადენილ საქციელში აღარაფერი მიაჩნდა მისი მოღალატეობისა და ტირანობის დამამტკიცებლად; პირიქით, მისი აზრით, მკვლელობა ჩადენილი იყო უსამართლოდ და კანონის წინააღმდეგ და ონოგურისზე ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებაზე მედიზმის გამო კი არ ამბობდა უარს გუბაზი, არამედ იმიტომ, რომ ის გაჯავრებული იყო სტრატეგოსებზე იმის გამო, რომ მათ დაკარგეს ონოგურისი თავისი უგუნურებისა და დაუდევრობის წყალობით, ყველაფერი ეს რომ გაიგო, მაშინ გადაწყვიტა მეფისათვის ეცნობებინა მარტინეს შესახებ თქმული, სახელდობრ, რომ ისიც მონაწილე იყო იმ გეგმისა. დანარჩენების შესახებ კი, რომლებმაც აშკარად აღიარეს, რომ მოკლეს გუბაზი, მან გამოიყენა მეფის წერილობითი განაჩენი, რომელშიაც მეფე ბრძანებდა, რაც შეიძლებოდა მალე დაესაჯათ ისინი და სასამართლოს მახვილით თავები მოეკვეთათ. ისინი შესხეს ჯორებზე და ისე ჩაატარეს ქუჩაში, რაც, როგორც ჩანს, უდიდესი და ამავე დროს შიშის მომგვრელ სა-

ნახაობას წარმოადგენდა კოლხებისათვის. განცვიფრებაში მოიყვანა ისინი გზირმაც, რომელიც შემზარავი ხმით გაჰკიოდა და რჩევას იძლეოდა: გეშინოდეთ კანონებისა და თავი შეიკავეთ უსამართლო მკვლელობათაგანო. როდესაც მათ ყელები გადასჭრეს, მაშინ ყველანი სიბრალულით აღიესნენ და ბრაზობას თავი დაანებეს. ამით დამთავრდა სასამართლო: კოლხები კვლავ ერთგულნი გახდნენ რომაელებისა და დაუბრუნდნენ ძველ გზას.

ამის შემდეგ რომაელთა ჯარები საზამთროდ დაბინავდნენ ქალაქებსა და ციხესიმაგრეებში, ისე, როგორც თითოეულს ჰქონდა დაწესებული.

VI–IX საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური მოძღვრებანი

საქართველოს ისტორიაში VI საუკუნე განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდებოდა. ს. ჯანაშიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „VI საუკუნე ნამდვილი ისტორიული მოსაბრუნია ჩვენი ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით“.[1]

ქართლი სპარსეთმა დაიპყრო, ვახტანგ გორგასლის შთამომავლობამ სამეფო ტახტი დაკარგა, „ვინათგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა, მით ჟამითგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა“.[2] ე.ი. ქართლში აზნაურები ბატონობენ, თავის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში თითოეული მათგანი თავს პატარა მეფედ თვლის. მეფობის გაუქმებისა და დაქუცმაცებულობის მიზეზი არ უნდა ვეძიოთ მარტო გარეშე ძალის, ამ შემთხვევაში—ირანის ძლიერებაში, არამედ მეორე დიდი მიზეზია სწორედ „ამ დიდი აზნაურების მეფის წინააღმდეგ მიმართული და ირანთან შეთანხმებული“ პოლიტიკა... გარდა ამისა, „დამპყრობლისათვის აუცილებელი გახდა, გამოენახა ისეთი ადგილობრივი ძალა, რომელზედაც დაყრდნობით იგი შესძლებდა თავის ამოცანების განხორციელებას, ასეთ ძალას კი სწორედ ეს ერთგული აზნაურობა წარმოადგენდა“.[3]

მაშინდელ თავადაზნაურობას ხელს აძლევდა სპარსეთთან ასეთი ურთიერთობა, საზღაურად ისინი ირანელებთან ერთად იყოფენ ნადავლს და სათანადო გასამრჯელოსაც ღებულობენ. შემთხვევითი არაა, რომ, როდესაც ვახტანგ გორგასალი ქვეყნის გაერთიანებისა და სპარსელების განდევნისათვის იბრძვის, ამ დროს ქვემო ქართლის პიტიახში ვარსქენი მაზდეანობას ღებულობს და თავის ჯარს ჰონების წინააღმდეგ აგზავნის სპარსელების დასახმარებლად.

მეფობის გაუქმება ქართლში სწორედ ასეთი დამოკიდებულების გამოძახილი იყო, რასაც ხელი შეუწყო VI საუკუნისათვის სასანიანთა ირანის პოლიტიკურმა დაწინაურებამ და ტერიტორიული ექსპანსიის მაქსიმალურად გაძლიერებამ.

ქართველ ხალხს ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მრავალ დამპყრობთან ჰქონდა საქმე,—წერს პროფ. ივ. სურგულაძე,—მაგრამ ისინი იშვიათ შემთხვევაში მიმართავდნენ უკიდურეს ზომას—ეროვნული ხელისუფლების გაუქმებას.

---

[1] ს. ჯანაშია, ფეოდალური რეფორმაცია საქართველოში, თბ. 1936 წ. გვ 1

[2] „ქართლის ცხოვრება“, მარიამისეული ნუსხით, გვ. 338

[3] ს. ჯანაშია, იქვე, გვ. 1

შავი ზღვის სანაპიროზე ბერძნული კოლონიების არსებობისას საქართველოში ადგილობრივი ეროვნული მმართველობა იყო, თუმცა, რომაელების ბატონობა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში სხვადასხვა იურიდიული რეჟიმით განისაზღვრებოდა.

ბიზანტიელებს დასავლეთ საქართველოში არ მოუსპიათ ეროვნული მთავრობა, მიუხედავად იმ შეკიწროებისა, რის გამოც ჯანყდებოდა ხოლმე დასავლეთ საქართველო.

არაბების ბატონობას საქართველოში სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ეროვნული მთავრობა საქართველოში ამა თუ იმ სახით მაინც არსებობდა.

თურქ-სელჯუკების ბატონობის ხანაში საქართველოს ეროვნული მთავრობა განაგებდა. მონღოლებს საქართველოში თავისი მოხელე ჰყავდათ, ისე, როგორც არაბებს, მაგრამ ეროვნული მთავრობაც არსებობდა.

ვერც თემურ ლენგმა მოსპო ეროვნული მთავრობა. უფრო მოგვიანებით, მის გაუქმებას და ქართველების გათათრებას ენერგიულად შეუდგა ოსმალეთი. მის მიერ ოკუპირებულ სამცხე-საათაბაგოში მათ ნაწილობრივ კიდევაც მიაღწიეს თავის მიზანს.[1]

გამონაკლისი ირანის ხელისუფლება იყო. V საუკუნიდან მოყოლებული, კერძოდ, ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდში, ქართლი ირანის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი გახდა, და ამ ბრძოლამ თითქმის მთელი ამიერკავკასია მოიცვა. იგი VI საუკუნეშიც გაგრძელდა, რის გამოც ირანმა მეფობა გააუქმა უფრო ადრე სომხეთში, ავღანეთში და შემდეგ ქართლში.[2]

სწორედ ასეთ რთულ პერიოდში იწერება ევსტათი მცხეთელის მარტვილობა—ანონიმური ჰაგიოგრაფიული თხზულება, რომელიც ასახავს VI ს. საქართველოს მდგომარეობას. იგი სრული სახითაა მოღწეული ჩვენამდე. ეს შესანიშნავი თხზულება დაწერილი უნდა იყოს VI საუკუნის 70-იან წლებში, მცხეთაში. მისი ავტორი ფრიად განსწავლული და განათლებული პიროვნება ჩანს. სამწუხაროა, რომ ავტორის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ იგი სარწმუნეობრივი და ეროვნული იდეალების ერთგული და მოჭირნახულე პიროვნებაა. ნაწარმოებს წითელ ზოლად გასდევს ეროვნული სულისკვეთება და სინამდვილის უშუალო განცდა. ავტორი საერო ფილოსოფიის, კერძოდ, ბერძნული ფილოსოფიის დიდ ცოდნას ავლენს.

---

[1] ივ. სურგულაძე. საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ. 1986 წ. გვ. 36.

[2] ქართლში მეფობა VI საუკუნის ბოლოს მაინც აღდგა.

საჭიროდ მიგვაჩნია ნაწარმოების შინაარსობრივი განხილვა, რადგან აქ. კარგად ჩანს საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი მოწყობის საფუძვლები. თხზულება მოგვითხრობს სპარსელი კაცის გვირობადაკის ამბავს. იგი, მაზდეანობის ჭეშმარიტებაში დაეჭვებული, 30 წლის ასაკში ჩამოსულა ირანიდან, კერძოდ განძაკიდან და მცხეთაში დასახლებულა. ამ ნაბიჯის გადადგმაში მას დაეხმარა ქრისტიანული რელიგიისადმი სიმპათიები, რაც ჯერ კიდევ ადრე, სამშობლოშივე გასჩენია. მცხეთაში გვირობადაკმა ქართველი ქალი შეირთო ცოლად, შეისწავლა მეხამლეობა და სამოელ კათალიკოსის კურთხევით მოინათლა, რომელმაც სახელად ევსტათი უწოდა. ამიერიდან იგი ქართველობასთან შეერთებული და გაქრისტიანებულია. „მას უთანხმოება მოსდის სარწმუნეობრივ ნიადაგზე სხვა მცხეთელ ხელოსნებთან—მეჯადაგეებსა და მეხამლეებთან, რომელნიც ევსტათის თანამეტომენი ყოფილან და თავის მამა-პაპეულ რელიგიას—მაზლკიზმს—შერჩენიან“.[1]

ნაწარმოების შინაარსიდან კარგად ჩანს, რომ მარზპანის შემდეგ უმაღლეს ადმინისტრაციულ პირს ციხისთავი წარმოადგენს, რომლის ხელქვეით მხედრები იმყოფებიან. ციხისთავს შეუძლია სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული ღონისძიებები განახორციელოს, მაგრამ მას არა აქვს ვინმეს გასამართლების ნება. როდესაც ციხისთავი ევსტათის და მის თანამოაზრეებს მარზპანს წარუდგენს, თან წერილს აახლებს, სადაც აღნიშნავს— „განკითხვა მათი თქვენ ხელგეწიფებისო“. მარზპანს ჰქონდა მათი გასამართლების და სასჯელის დადების უფლება. სასჯელის სახეებიდან არსებობდა ძელზე აღება (ჩამოხრჩობა, ჯვარცმა), დიდი ხნით პატიმრობა, გარდა ამისა, მარზპანს შეეძლო ადამიანის სხვაგვარად დასჯაც—ცემა, საჯარო შერცხვენა (თმა-წვერის მოპარსვა), მონად ქცევა, ცხვირის გახვრეტა, ბორკილების დადება, მაგრამ მასვე შეეძლო ეპატიებინა კიდეც—გაეთავისუფლებინა. მცხეთაში მცხოვრებმა სპარსელებმა გაქრისტიანებისათვის ამ სამსჯავროზე დაასმინეს ევსტათი, მან ექვსი თვე საპყრობილეში გაატარა თბილისის მაზპანის არვანდ გუშნასპის ბრძანებით. კათალიკოსი სამოელი, ქართლის მამასახლისი გრიგოლთან, ქართლის პიტიახშთან არშუშასთან და სეფეწულებთან ერთად ეახლა თბილისის მარზპანს და ევსტათი გაათავისუფლებინა.

პროფესორ ი. სურგულაძის აზრით, ქართლში ამ დროს ეროვნული მთავრობა გაუქმებულია და მას სპარსეთის მოხელე მარზპანი განაგებს, მაგრამ გაბატონებული კლასის უმაღლესი წრის წარმომადგენლები დიდი პატივით სარგებლობენ. ივ. სურგულაძე ამის დასამტკიცებლად

---

[1] ს. ჯანაშია, დას. ნაშ. გვ. 7

იშველიებს ციტატას ტექსტიდან, უფრო ზუსტად მარზპანის (გუშანსპი) დიალოგს ქართლის ეპისკოპოსთან, მამასახლისთან, პიტიახშთან და სეფეწულებთან, რომლებმაც მარზპანს სთხოვეს ევსტათთან ერთად დაპატიმრებული ქრისტიანების განთავისუფლება. მარზპანმა ასეთი პასუხი გასცა დიდებულთ: „მძიმეა ის საქმე, რასაც მთხოვთ, მაგრამ თქვენი ისეთი პატივისცემა მაქვს, უარსაც ვერ გეტყვით" და პატიმრები გაათავისუფლა,[1] მაგრამ დასმენის შედეგად ევსტათი კვლავ დაატუსაღეს ახალი მაზპანის—ვეჟან ბუზმირის განკარგულებით.

თხზულების ავტორი ყურადღებას ძირითადად ორ გარემოებას მიაპყრობს: ქრისტიანული რელიგიისათვის წამებასა და წამებულის არაქართულ წარმოშობას.

ევსტათის სარწმუნოებრივ პათოსს იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რაც კარგად ჩანს თავის მოკვეთის წინ წარმოთქმულ სიტყვაში: „უფალო, ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, რომელსა ყოველთა კაცთაჲ გნებავს ცხორებაჲ, რომელნი ესვენ სარწმუნოებით სახელსა წმიდასა შენსა, რომელმან ისმინე ლოცვაჲ პირველთა მათ მოწამეთაჲ, რომელნი პირთა მახვილისაჲთა მოსწყდეს, რომელნიმე ტბასა შინა ყინელითა და რომელნიმე ზღვასა შინა შთაყრითა მოსწყდეს, რომელნიმე ცეცხლითა და რომელნიმე მხეცთა მიერ შეიჭამნეს სახელისა შენისათვის და მოიღეს შენმიერი იგი აღთქმული, რომელი თვალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუხდა, რომელი იგი განუმზადე წმიდათა მათ მოწამეთა შენთა, მეცა, უფალო, ღირსმყავ მონაწილე მათ თანა და სამკვიდრებელსა მათ თანა, სიხარულსა მათ თანა, უოხჭნოსა შვებასა მათ თანა". უზენაესისადმი ამ მიმართვაში მოცემულია არა მხოლოდ თავდავიწყებული სიყვარულის განცდა, არამედ მარტვილის შინაგანი ყოფა მისივე სულიერ აღქმაში არეკლილ-გაცნობიერებული. თავს წამომდგარი სიკვდილის აჩრდილით შემკრთალი სული ევსტათისა ისტორიული ხსოვნის შორეთიდან გამოუხმობს ქრისტესათვის წამებულთა სულებს, რათა თავად განმტკიცდეს დიდი განსაცდელის წინაშე. სწორედ სიკვდილის შიშის დათრგუნვით მიიღეს მათ „იგი აღთქმული"—შეახსენებს მოწამის სული თავისსავე თავს. იმ მომენტში კი, როცა ევსტათი წარმოთქვამს „მეცა უფალო ღირს მყავ თანა მონაწილე მათ თანა, და სამკვიდრებელსა მათ თანა, სიხარულსა მათ თანა, უოხჭნოსა შვებასა მათ თანა"—მოწამე უკვე გაწონასწორებულია და ძალმოსილი, სულ ახლოს ჭვრეტს ნეტარების სხივმოსილ საუფლოს. რომელსაც აქ ენაცვლება სულის ღაღადისი თავის თავთან

[1] ი. სურგულაძე, დას. ნაშრომი, გვ. 39.

და ღმერთთან, გმირის აღქმა აქ უფრო გულის სმენაზეა, ვიდრე ხედვაზე.

თხზულება მდიდარია იმდროინდელი ისტორიული ხასიათის ცნობებით საქართველოზე: სახელმწიფოებრივი მოწყობის სტრუქტურა, პოლიტიკური და სამართლებრივი მდგომარეობა და ა.შ. იმ პერიოდის ქართლში გამგებლებად გვეელინებიან სპარსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები მარზპანები, თბილისში ზის მარზპანი, მცხეთაში კი ციხისთავი, ქვეყნის შინაურ საქმეებს განაგებენ სპარსელთა მორჩილი ქართველი დიდებულები, აზნაურნი, მთავარნი ქართლისანი, მამასახლისი ქართლისა, პიტიახში ქართლისა და ა.შ. თბილისსა და მცხეთაში საკმაოდ ცხოვრობენ სპარსელები, მათ აქვთ თავიანთი საკულტო ნაგებობანიც. ამავე დროს, ქართული ეკლესია საგრძნობ ზეგავლენას ახდენს სპარსელებზე და ისინი ინათლებიან, რისთვისაც ხელისუფლება სდევნის და სასტიკად სჯის მათ. თხზულებიდან ნათლად ჩანს, რომ ქრისტიანობა იმ დროს სპარსეთშიც საკმაოდ მომძლავრებული ყოფილა. გვირობადაკი ქართლში ჩამოსვლამდეც პატივს სცემდა ქრისტიანულ რელიგიას და მისი მცხეთაში ჩამოსვლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზიც სწორედ ეს იყო. „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში" შემონახულია საყურადღებო ფაქტი: ევსტათისა და მარზპანის დიალოგში მოცემულია ქრისტიანობის ფილოსოფიური დასაბუთება და ცეცხლთაყვანისმცელობის უარყოფა. ეს ადგილი ემყარება II საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსის არისტიდეს „აპოლოგეას", ოღონდ არისტიდეს ეს თხზულება თავისე-ბურად ქართული სინამდვილის შესატყვისად არის გააზრებული. თხზულების ავტორს გამოყენებული აქვს, აგრეთვე, ძველი და ახალი აღთქმის წიგნები და სხვ.[1]

როდესაც სასანიდების ირანმა დაპყრობილი სახელმწიფოები თავისი ქვეყნის პროვინციებად აქცია, მან თავისი იმპერია ოთხ ძირითად სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად დაყო, რომელნიც „ქუსტების" ანუ „ქუსტაკების" სახელწოდებას ატარებენ. ამათგან ჩრდილოეთის მხარე ადარბადაგანის კავკასიის ქუსტაკად იწოდება. იგი, ისევე როგორც სხვებიც, უფრო წვრილი ადმინისტრაციული ერთეულებისაგან „შაჰრ"-ებისაგან შედგებოდა. ასეთი შაჰრების სახით შევიდნენ კავკასიის ქუსტაკში სომხეთი, ალვანეთი და ქართლი, ამ ქვეყნებში მეფობის მოსპობის შემდეგ ქუსტაკების სათავეში „საპასპეტები" იდგნენ. როგორც არაბი გეოგრაფი იბნ-ხორდადბე გადმოგვცემს, შაჰრებს მარზპანები მართავენ. ისინი გვეელინებიან, როგორც უმაღლესი ადმინისტრატორები და შაჰის ადგილობრივი ნაცვალნი. ისინივე იყვნენ უმაღლესი

[1] ქართული მწერლობა, თბ. 1984 წ. გვ. 99-100

ერთპიროვნული მოსამართლენი და მსაჯულნი. მათი ხელისუფლება ირანულ შეიარაღებულ რაზმებს ეყრდნობოდა, რომელნიც ქვეყნის სხვადასხვა მნიშვნელოვან, სტრატეგიულ პუნქტებში (ციხეებში) არიან ჩაყენებული. ასეთი გარნიზონის სათავეშიც ირანელი ციხისთავები დგანან, რომლებსაც გარკვეული ადმინისტრაციული ფუნქციაც აქვთ დაკისრებული. სპარსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს ძალიან აღშფოთებთ ის ფაქტი, რომ მათი წარმომადგენლები ქრისტიანობას აღიარებენ და ინათლებიან, ისინი ამაში არა მარტო რელიგიური პოზიციების დათმობას ხედავენ, არამედ საერო ხელისუფლების შესუსტებასაც, ამიტომ რვავე მონათლულზე ცდილობენ გავლენა იქონიონ და დააბრუნონ საკუთარ სჯულზე. ამისათვის დაჯილდოვებასაც პპირდებიან. ქრისტიანობას ზიარებული რვა დასჯილიდან ორი მართლაც დაუბრუნდა მაზდეანობას, რისთვისაც უხვად დასაჩუქრდნენ და სასჯელისაგანაც გათავისუფლდნენ, ხოლო ექვსი კი, მათ შორის ევსტათიც, ერთგულნი დარჩნენ თავიანთი გადაწყვეტილებისა, რაც სიცოცხლის ფასად დაუჯდათ.

ნაწარმოების ანალიზის შედეგად პროფ. ივ. სურგულაძე საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს, კერძოდ: მისი აზრით, სარწმუნოების საკითხი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეროვნულ საკითხთან. რომ სარწმუნოების გამოცვლას შუა საუკუნეებში ეროვნების გამოცვლაც მოსდევდა. თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში" სარწმუნოების საკითხთან შეფარვით ეროვნული საკითხიც არის დაკავშირებული, რომ მაშინდელ ვითარებაში ქრისტიანობისათვის ბრძოლა ქართველობისათვის ბრძოლასაც ნიშნავდა, ამიტომაა, რომ მარზპანი ყველა ზომას ხმარობს, რათა დაარწმუნოს ევსტათი მის „შეცდომაში", მაგრამ როდესაც ამას ვერ ახერხებს, მას სიკვდილით დასჯის. ნაწარმოებიდან ჩანს, რომ მარზპანმა ევსტრათი დასაჯა როგორც სპარსელი, რომელმაც წარმართობა უარყო და გაქრისტიანდა. სწორედ ამაზე მეტყველებს მარზპანის საქციელი: დასასჯელად ევსტათთან ერთად მიიყვანეს სტეფანე, რომელიც წარმოშობით ასური იყო, მარზპანთან გამოცხადდნენ წარჩინებულნი ასურნი, მათ მარზპანს დაუმტკიცეს სტეფანეს ქრისტიანული წარმოშობა და გადაარჩინეს.

როგორც პროფ. ივ. სურგულაძე სამართლიანად დაასკვნის, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" ავტორის შეხედულებით, ქრისტიანული სარწმუნოებისათვის ბრძოლა განუყოფელია ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლისაგან. ეს ორი ელემენტი მჭიდროდ არის ერთმანეთზე გადაჯაჭვული და ამავე დროს, ეროვნებისათვის ბრძოლა

ნიშნავს დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლასაც ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად.[1]

ქრისტიანული მსოფლმხედველობითაა გამსჭვალული იოანე საბანისძის თხზულება „აბოს წამება". ეროვნული იდეალების დამკვიდრების თვალსაზრისით ივ. ჯავახიშვილს ის განსაკუთრებულ ნაწარმოებად მიაჩნდა. მასში ორი უმთავრესი იდეაა გამოკვეთილი—„ჩვეულებისამებრ მამულისა სლვაი" და „აღვერიენით ერსა უცხოსა". პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა საფუძვლების ძიებაც ამ ორ პრობლემას უნდა დაუკავშირდეს.

ნაწარმოები VIII საუკუნის დასასრულს, არაბების მძლავრობის ხანაში დაიწერა (786-790 წ.წ.). ქართლის კათალიკოსმა სამოელმა იოანე საბანისძეს სთხოვა აღეწერა ღვაწლი და მოწამეობრივი აღსასრული მისი მეგობრის—აბოსი. კათალიკოსს იოანე ამ საქმის შესასრულებლად ყველაზე ღირსეულ კანდიდატურად მიუჩნევია და მასაც პირნათლად შეუსრულებია ეს თხოვნა.

ვინ იყო ეს იოანე, არ ვიცით, მისი ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება. თუ გავითვალისწინებთ სამოელ ეპისკოპოსი როგორი პატივისცემით მიმართავს მას, უნდა ვიფიქროთ, რომ ის იმ დროისათვის ცნობილი, განათლებული და ღირსეული პიროვნება ყოფილა. ამას ნათელჰყოფს თხზულებაც.

დამკვეთიც და შემსრულებელიც კარგად გრძნობდა, რომ დაცვა „მამულისა ჩვეულებისამებ სლვისა" და დაძლევა დიდი საფრთხისა, რომ „აღვერიენით ერსა უცხოსა", უნდა განხორციელებულიყო ეროვნული თვითშემეცნების გზით, რომელიც აუცილებლად რწმენითს ცნობიერებაზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული სხვაგვარად ვერაფრით ავიცილებდით მოსალოდნელ უბედურებას.

როცა ქრისტიანულ რელიგიაზე ვსაუბრობდით, ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ სწორედ ის იყო სულიერი საზრდო, რომელსაც მანამდე, საუკუნეების მანძილზე ეძებდა ქართველი კაცი. ეზიარა რა ამ ჭეშმარიტებას, მთელი არსებით დაუკავშირდა და შეისისლხორცა იგი და იმ დღიდან ერის განვითარების მაგისტრალური გზა ქრისტიანობაზე გადის.

იოანე საბანისძის აზრით, ყველა ანტიქრისტიანული მოძღვრება, მათ შორის არაბობა, ბოროტებაა. ამდენად მას მხოლოდ უბედურების მოტანა შეუძლია. თხზულების შესავალში ავტორი გვიხატავს ქართველთა დაკნინებისა და გადაგვარების საშინელ სურათს: „ნაშობნი ქრისტეანეთანი გადაგვლარძნეს: რომელნივ მძლავრებით, რომელნივ

---

[1] ივ. სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, 1986 წ. გვ. 42

შეტყუვილით, რომელნივ სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნივ მზაკუვარებით. და სხუანი რომელნი ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა ქვეშე დამონებულნი... ხარკსა ქვეშე მათსა გვემულნი და ქენჯნილნი, ძვირძვირადი ზღვეულნი, შიშითა განილევიან და ირყევიან ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა."

„ერთადერთი, რაც კიდევ ანარჩუნებინებდა ქართველს ეროვნულ სახეს, იყო ჭირთა მოთმენით არ განშორება ქრისტიანული სარწმუნოებისა, ანუ ერთგულება „ჩვეულებისამებს მამულისა სლვისა". ამ ფრაზაში გააზრებულია ერის განვითარების უმთავრესი გზა, რომელიც ქრისტიანობასთან იყო შესისხლხორცებული. ეს გზა რომ არ გამრუდებულიყო, ამას ეწირებოდნენ ჩვენი ერის საუკეთესო შვილები.[1]

[1] იოანე საბანისძეს მტკიცედ სწამს, რომ მიუხედავად იმჟამინდელი უბედურებისა, საქართველო არ შეიძლება აღიგავოს მიწისაგან პირისა. ამ იმედით აღვსებს იგი მკითხველსაც და იმოწმებს ქრისტიანული სარწმუნოების თვალთახედვით გადამწყვეტი მნიშვნელობის არგუმენტებს, რომელთა ძალითაც ჩვენი ქვეყანა კვლავ წელში უნდა გაიმართოს, აღორძინდეს და ამაღლდეს. გავაანალიზოთ რამდენიმე არგუმენტი, რომ უფრო თვალნათლივ დავინახოთ ამ ნაწარმოების პოლიტიკური მნიშვნელობა. „ვართ ყურესა ამას ქვეყნისასა"—ნიშნავს, რომ ქართულ სახელმწიფოს აქვს თავისი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, ის ქრისტიანული სამყაროს განაპირა გოდოლის, ციხესიმაგრის როლს ასრულებს და მტკიცე ჯებირად უდგას მუსლიმანურ შემოტევას. ეს მნიშვნელოვანი არგუმენტია, რადგან ყველაფერი მანამდე არსებობს, სანამ ფუნქცია აქვს. ავტორი აკეთებს ლოგიკურ დასკვნას, რომ ქართველი ხალხი არ შეიძლება გადაშენდეს, რაკი მას თავისი დანიშნულება არ დაუკარგავს.[2]

საქართველო ტექსტში მოხსენიებულია „წმინდანთა დედად". აქვე ხაზგასმულია, რომ ქართულ მიწაზე ქრისტესთვის თავს დებდნენ არა მხოლოდ ქართველნი, არამედ უცხოელნიც. ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში არაერთხელ აღნიშნულა, რომ ქართლში მოხვედრა არნახული სულიერი ძალებით აღავსებდა უცხოელს და ხელს უწყობდა მის გაქრისტიანებას. „აბოს წამებაშიც" არაბი ჭაბუკის ქართლში მოსვლა არ არის შემთხვევითი მოვლენა, ის უფლის ნებაა და მისი სურვილით ხორციელდება. ქართლი იქცა აბოსათვის აღთქმულ ქვეყნად, სადაც ის ქრისტიანად მოინათლა და ჭეშმარიტ მორწმუნედ იქცა. „უღებყო შჯული

---

[1] გ. მურღულია, ე. ალიბეგაშვილი, თ. მაღლაფერიძე, საუბრები ქართულ ლიტერატურაზე, თბილისი, 1992 წ. გვ. 69.

[2] იქვე, გვ. 70.

იგი მაპმედისი. და წესი იგი მამულისა მის ლოცვისა დაუტევა და შეიყვარა ქრისტე ყოვლითა გულითა". ახალმა სარწმუნოებამ განაშორა რა მას ბნელი, მიანიჭა უდიდესი შინაგანი თავისუფლება და ძალმოსილება, რის შემდეგაც უცხო ტომის ჭაბუკმა სრულიად დათრგუნა შიში სიკვდილისა.[1]

ქრისტიანული მსოფლმხედველობისა და ეროვნული სულისკვეთების დამამკვიდრებელმა მწერალმა იოანე საბანისძემ შეაფხიზლა არაბთა უღლის ქვეშ ქედმოდრეკილი ქართველი ერი. ეროვნულ ღირსებათა ნათელსაყოფად ავტორს წამოყენებული აქვს ოთხი მოტივი: 1. ქართველები მარტონი ვიცავთ ქრისტიანობას კულტურული მსოფლიოს განაპირას. 2. ხუთას წელზე მეტი ხანია, რაც ჩვენ ქრისტიანობას ვეზიარეთ (ნაწარმოები დაიწერა 786-790 წლებში, ე.ი. ქართველები მონათლულან არა უგვიანეს 286-290 წლებისა. ე.ი. 337 წელი ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების წელია, მაგრამ ეს რელიგია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მანამდეც ვრცელდებოდა). 3. ჩვენი სარწმუნოება ბერძნებისას ეთანატოლება. 4. ქართლი წმინდანთა სამშობლოა.[2]

ასეთია ქართლის ღირსებანი. ასეა ჩამოყალიბებული „აბოს წამებაში" ქართველთა ეროვნულ-სარწმუნოებრივ ღირსებათა შეგნება. არაბი ჭაბუკის, ქართველთა „მეოხის", მათი სულიერად მხსნელის წამებით იწყება განახლება, „გაცნობიერება ეროვნული ღირსებისა, თავსდატეხილი იმდროინდელი უბედურებისა და სამომავლო გზებისა". ამიტომ გახდა აბო მაჩვენებელი იმ გზისა, რომლითაც უნდა წარიმართოს „მამულისა ჩვეულებისამებრ სლვაი". ეს გზა კი ქვეყნის გადარჩენის გზაა.

პოლიტიკური თვალსაზრისით, ტექსტში საინტერესოა ნერსე ერისთავის სახე. „მისი ოჯახი ერთგვარი ცენტრია მთელი იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისა. აქ აღიზარდა გრ. ხანძთელი და აქვე ჩაისახა საფუძვლები ქვეყნის მომავალი გაერთიანებისა".[3] მტერს შეუმჩნეველი არ რჩებოდა ერის თავკაცის საქმიანობა, ამიტომ ადარნასე კურაპალატთან ერთად ბაღდადს გაუწვევიათ და როგორც ქართული ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელები, სამ წელიწადს საპყრობილეში ჰყოლიათ. ერისთავს ეს დროც არ დაუკარგავს უქმად, მას დიდი გავლენა მოუხდენია არაბ ჭაბუკზე და ისიც შინდაბრუნებულს თან გამოჰყოლია. პატიმრობამ და მოსალოდნელმა საფრთხემ ვერ

---

[1] გ. მურღულია, ვ. ალიბეგაშვილი, თ. მაღლაფერიძე, საუბრები ქართულ ლიტერატურაზე, თბილისი, 1992 წ. გვ. 69

[2] რ. სირაძე, ქართული პაგიოგრაფია, 1987 წ. გვ. 55-63

[3] იქვე, გვ. 76

გატეხა ქართველთა ერისთავი. ხაზარეთს მისი გამგზავრებაც ქვეყნის მომავალზე ფიქრით იყო განპირობებული.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ნაწარმოების მიხედვით, —მიუთითებს ივ. სურგულაძე, —არაბობის „მძლავრობის ხანაში ქართული პოლიტიკური გაერთიანების სათავეში დგას ქართლის ერისმთავარი. ერისმთავარი იყო ქართული პოლიტიკური ერთეულის მეთაური არაბების შემოსევამდეც, მაგრამ იოანე საბანისძის შრომის მიხედვით, VIII საუკუნის მეორე ნახევარში იგი ამირაზე არის დამოკიდებული. ე.ი. ქართლის პოლიტიკური ერთეულის მეთაურის იურიდიული რეჟიმი შეცვლილია. მას იბარებენ ბაღდადში და ციხეში სვამენ. ქართლში მისი უფროსი არის თბილისში მჯდომი ამირა. მაშასადამე, არაბობის „მძლავრობის" ერთ-ერთი გამოხატულება ისაა, რომ ქართლი აღარ არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, ავტორის აზრით, არაბთა მთავრობა უნდა აილაგმოს, რომ ქართლი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდეს.[1]

ასეთ პოლიტიკურ ფონზე გვიხატავს ავტორი არაბი ჭაბუკის სახეს. ხაზს უსვამს, რომ ის ქრისტემ არაბთა შორის, „ვითარცა ვარდი ეკალთაგან" გამოარჩია, წამების გვირვინი დაადგა და ამით უკვდავებას აზიარა.

„აბოს წამება" გვასწავლის, რომ ადამიანი ჭეშმარიტ ბედნიერებას მხოლოდ მატერიალურ ცხოვრებაში არ უნდა ესწრაფვოდეს—უმთავრესი სულიერი ცხოვრებაა, რომელიც სიკეთესთან ურთიერთობაში მჟღავნდება, არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ხორცის გარდა მას სულიც აქვს და იგია მისი ჭეშმარიტი ბუნების გამოვლინება. პიროვნება მოწოდებულია ამაღლებული, კეთილშობილური ცხოვრებისათვის. სწორედ ასეთი არსებობაა ადამიანის ამქვეყნად ყოფნის გამამართლებელი, მისი ჭეშმარიტი და უტყუარი აზრი.

ხშირად უძველესი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებების გმირები არაქართველები, უცხოელები არიან: შუშანიკი სომეხია, ევსტათი მცხეთელი—სპარსი, აბო—არაბი. ეს არ არის შემთხვევითი—როდესაც სხვა ეროვნების ადამიანები შენს სამშობლოში შენივე ქვეყნის სასიკეთო საქმეს აკეთებენ, თავად შენ მოგეთხოვება, ღირსეული შვილი იყო მამულისა, პატიოსნად მოიხადო ვალი მშობელი ხალხისა და საკუთარი სინდისის, საზოგადოდ—ადამიანური ბუნების წინაშე.[2]

აქედან გამომდინარე, ავტორის მიზანდასახულება სწორედ ისაა,

---

[1] ივ. სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ. 1986 წ. გვ. 44

[2] გ. მურღულია, ვ. ალიბეგაშვილი, თ. მაღლაფერიძე, საუბრები ქართულ ლიტერატურაზე, 1992 გვ. 88.

რომ განამტკიცოს ქართველობა, უქადაგოს და ჩაუნერგოს მას სიმტკიცე, სიმამაცე, თავგანწირვა, შეურიგებელი ბრძოლა არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ, რისი საუკეთესო და მისაბაძი მაგალითიცაა აბო. მითუმეტეს, ქართველი კაცი მზად უნდა იყოს თავი გასწიროს ხალხისა და სარწმუნოებისათვის.

ქვეყნის დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" (951 წ.).

ამ ნაწარმოების ავტორი უცნობი იქნებოდა, თვით თხზულებაში რომ არ ყოფილიყო მის შესახებ ზუსტი მითითება. აქ აღნიშნულია, რომ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღმწერელი არის გიორგი მერჩულე, რომელსაც დახმარებიან ხანძთის მონასტრის წინამძღვარი თევდორე და მისი ძმა იოანე. ახლა ძნელია იმის მტკიცება—.რაში დაეხმარნენ ისინი ავტორს, მაგრამ ერთი კი ცხადია—გიორგი მერჩულეს დიდ ნიჭთან ერთად მრავალმხრივი განათლება ჰქონია, სცოდნია უცხო ენები.

„მერჩულე სჯულ ფუძიდან მე-ე აფიქსებით ნაწარმოები სახელია და აღნიშნავს არა გვარს ან სადაურობას, არამედ ხელობა-პროფესიას. ე.ი. მწერალი ყოფილა შჯულის, ანუ კანონიკური სამართლის მცოდნე, საქრისტიანო სამართლისა და მოძღვრების მეცნიერი, თეოლოგი. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ავტორი თავის თხზულებაში თამამად მსჯელობს ქრისტოლოგიის არსებით და მწვავე საკითხებზე—როგორიცაა სამების არსი, მწვალებლობა (ქრისტიანული წესებიდან გადახვევა), მღვდელთა და მონაზონთა უფლება-მოვალეობანი."[1] ფართო განათლების მქონე მწერალი და იურისტი თავისი შეხედულებების ჭეშმარიტებას რელიგიური ნორმების უპირატესობით განამტკიცებს, რაც კარგად ჩანს ეკლესიის წამყვანი როლის გამოკვეთით სახელმწიფოში.

გიორგი მერჩულეს ცხოვრების წლები ზუსტად არ არის ცნობილი (875-885-950, ჰ. ინგოროყვა). არის ვარაუდი, რომ მას „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" მოხუცებულობისას დაუწერია. იგი უნდა დაბადებულიყო მე-9 საუკუნის 80-იან წლებში და გარდაცვლილიყო მე-10 საუკუნის 60-იან წლებში.

ჩვენი ამოცანაა გავარკვიოთ, რა ადგილი უჭირავს ქრისტიანული მსოფლმხედველობით გამსჭვალულ ამ ნაწარმოებს ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში. ამ კუთხით უნდა მივუდგეთ მწერლის მიზანდასახულობისა და გრიგოლ ხანძთელის ღვაწლის განსაზღვრას.

---

[1] ზ. სარჯველაძე, კ. დანელია, ე. გიუნაშვილი, შუშანიკის წამება, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, 1986 წ. გვ. 133

გრიგოლ ხანძთელის ღვაწლის მთელი სისრულით წარმოსაჩენად რევაზ სირაძე წიგნში „ქართული ჰაგიოგრაფია“ საჭიროდ მიიჩნევს შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებების გათვალიწინებას:

„საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური ცენტრი ოდითგანვე იყო ქართლი. ამის გამო საქართველომ, მრავალი კუთხისაგან შემდგარმა ქვეყანამ, თავისი სახელწოდება ქართლისაგან მიიღო. სანამ სახელწოდება „საქართველო“ დამკვიდრდებოდა, მანამ საერო სახელწოდებად „ქართლი“ იყო.

VII საუკუნიდან დაწყებული, არაბებმა ქართლი დაიპყრეს, მეფობა მოშალეს და თბილისის საამირო დააწესეს. ქართლში ცხოვრება ჩაკვდა. ამ კუთხემ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, ხოლო მთელმა ქვეყანამ უმნიშვნელოვანესი ცენტრი. თუ ქართველ ერს სურდა თავისი პოლიტიკური და კულტურული სახე შეენარჩუნებინა, მას უნდა შეექმნა ქართლის ნაცვალი, იმგვარი ცენტრი, რომელიც ქართლის მაგივრობას გასწევდა“.

ამ უდიდეს ეროვნულ საქმეს ჩაუდგა სათავეში გრიგოლ ხანძთელი. მან თავის მოწაფეებთან ერთად მიაშურა ტაო-კლარჯეთს და მურვან ყრუსაგან აოხრებულ კუთხეში დაიწყო ეკლესია-მონასტრების მშენებლობა, რითაც საფუძველი ჩაუყარა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. მისი სახელი მთელ საქართველოში გახდა ცნობილი. ქვეყნის ყველა კუთხიდან მოეშურებიან მისკენ ადამიანები, რომ მონაწილეობა მიიღონ ამ საშვილიშვილო საქმეში.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ გრიგოლ ხანძთელი ნერსე ერისთავის ოჯახში არის გაზრდილი, ამიტომ მისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო ერის ინტერესებისათვის ბრძოლა. ამ დროს გაისმა იოანე საბანისძის გამაფრთხილებელი ხმაც: „აღვერიენით ერსა უცხოსა“, დავივიწყეთ „ჩვეულებისამებრ მამულისა სლვაი“ და გრიგოლიც მტკიცედ დაადგა ქვეყნის ხსნის გზას. ყველაფერი საიდუმლოდ და ფარულად უნდა გაკეთებულიყო. არაბები ვერ უნდა მიმხვდარიყვნენ საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობის ნამდვილ არსს—წერს რ. სირაძე. მომძლავრებულ მტერთან უშუალო დაპირისპირება შედეგს არ მოიტანდა. ქვეყანაში დაწყებული დიდი აღმშენებლობითი საქმიანობა, რომელსაც სათავეში ბერის სამოსში ჩაცმული გრიგოლ ხანძთელი ჩაუდგა, ერის გამოფხიზლების, ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობისა და კულტურული აღმავლობის გარანტი იყო. აი, რატომ უწოდებდნენ გრიგოლ ხანძთელს „ზეცისა კაცს“ და „ქუეყანისა ანგელოზს“.

ერთი-მეორეზე შენდებოდა არქიტექტურული თვალსაზრისითაც უმშვენიერესი ძეგლები. სიცოცხლე უბრუნდებოდა უდაბნოდქცეულ

ადგილებს. ხალხი შრომობდა, თავის დროზე ლოცულობდა, პირჯვარს იწერდა, ღმერთს ადიდებდა და ქვეყნის გადარჩენას შესთხოვდა.

განადგურების კარზე მისულ ქვეყანაში, სადაც რწმენაშერყეული, დაშინებული და დამონებული ადამიანები ახალ-ახალი უბედურების მოლოდინში „ირყეოდნენ ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“ („აბო თბილელის წამება“), იმძლავრა საღმა პოლიტიკურმა აზრმა, მოიძებნა გზა და საშუალება ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის გადასარჩენად. მოსალოდნელმა ეროვნულმა საფრთხემ შეაკავშირა ერი და ბერი. ხმალი და ჯვარი ჩადგა მამულის სამსახურში. ტაო-კლარჯეთი იქცა სრულიად საქართველოს პოლიტიკურ, რელიგიურ და კულტურულ ცენტრად, საიდანაც დაიწყო ქვეყნის გაერთიანებისა და მრავალსაუკუნოვანი მონობისაგან განთავისუფლების ცდა. საბოლოოდ სახელოვან წინა-პართა მიერ დაწყებული საქმე გამარჯვებით დააგვირგვინა დავით აღმაშენებელმა.

სამართლის სპეციალისტების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გიორგი მერჩულეს აზრი ეკლესიისა და სახელმწიფოს შესახებ, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ეკლესიას თავისი მიმართულება აქვს და სახელმწიფოს თავისი. შინაურ საქმეებში ჩაურევლობა უნდა იყოს მათი თანაარსებობის საფუძველი, მაგრამ მწერალი ამ თანაარსებობისას ზოგიერთ გამონაკლისს მაინც უშვებს ეკლესიის სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში სასულიერო პირები თვით მეფეებსაც კი აღარ ემორჩილებიან. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საბა იშხნელის სახე.

საბა ღრმად არის დარწმუნებული სასულიერო წოდების უპირატესობასა და ბერ-მონაზონთა უფლებების ერისკაცთაგან შეუცილებლობაში. ბაგრატ კურაპალატმა სასახლეში იხმო იგი, მაგრამ არ გამოცხადდა მანამ, სანამ გრიგოლ ხანძთელის მიწვევა არ მიიღო. მეფემ საყვედურით მიმართა: „ჯერ არს მეფეთა მორჩილებაი, რაისათვის არა მოხვედ პირველსა წოდებასა, წმიდაო მამაო?“ საბა იშხნელმა მტკიცე და კადნიერი ტონით დაუმტკიცა მეფეს ეკლესიის ავტონომიის უფლებების შეუვალობა. „დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა ხელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთაი, შენ ნათესავთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტე ყოველთა დაბადებულთა, შენ წარმავალთა ამათ ჟამთა მეფე ხარ, ხოლო ქრისტე საუკუნოი მეუფეი... არამედ აწ სიტყვითა ძმისა და მოძღვარისა ჩემისა გრიგოლისითა მოვედ წინაშე შენსა“.

მთელი ნაწარმოები განმსჭვალულია იმ აზრით, რომ „ჭეშმარიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არავისსა ხელმწიფებასა ქვეშე არიან“.

მართალია, ავტორის შეხედულებით, შინაურ საქმეებში ჩაურევლობა

უნდა იყოს ეკლესიისა და სახელმწიფოს თანაარსებობის საფუძველი, მაგრამ საოჯახო საქორწინო სამართალში საერო ხელისუფლება მარცხდება ეკლესიის წარმომადგენლებთან შეჯახების დროს. მერჩულე ავითარებს აზრს, რომ შეუღლება სოციალურად ერთ საფუძველზე მდგომ ადამიანებს შორის არის დასაშვები, ქორწინებისათვის კი მშობლებისა და ახლობლების თანხმობაა აუცილებელი. სწორედ ასეთ ქორწინებას ცნობს ეკლესია და ბოლომდე მხარს უჭერს მას, თუნდაც ის სიყვარულზე არ იყოს დაფუძნებული. მერჩულე იცავს ოჯახის ღირსებას, სიმტკიცეს, ერთიანობას, რაც სახელმწიფოს ძლიერებაზე ზრუნვით იყო განპირობებული.

აშოტ კურაპალატმა, რომელსაც კანონიერი მეუღლე ჰყავდა, „გარდარეული სიყვარულით" შეიყვარა სხვა ქალი და ახლოს რომ ჰყოლოდა, სასახლეში მოიყვანა საგანძურის მცველად.

ეს ამბავი შეუმჩნეველი არ დარჩენილა და დედოფალმა დახმარებისათვის გრიგოლს მიმართა. ისიც აქტიურად ჩაერია. ქალი მეფის დაუკითხავად გამოიყვანა სასახლიდან და დედათა მონასტერში მიაბარა. ამაოდ ცდილობს აშოტი დაიბრუნოს იგი უკან, მაგრამ ვერ ახერხებს და სასოწარკეთილი იტყვის: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს".

ავტორი ცდილობს, გვერდი აუაროს მეფის ადამიანურ სისუსტეს, ის მკითხველს არწმუნებს, რომ მეფე კი არ ცდება, არამედ აცდენს ეშმაკი, სატანა და ეკლესია მხარში უნდა ამოუდგეს მას ამ სატანის დათრგუნვაში. ესე იგი, ეკლესიას აქვს მისია—საჭიროების შემთხვევაში მხსნელად მოევლინოს ამქვეყნიური ცოდვებით დამძიმებულ ადამიანს და დაეხმაროს სულის გადასარჩენად. ასე დაემართა ადარნასე ხელმწიფესაც, რომელსაც აგრეთვე „სიძვის დიაცი" ჰყავდა.

ღრმად განსწავლული მწერალი ნაწარმოებში დამაჯერებლად აშუქებს საერო და სასულიერო წოდებათა ურთიერთთანამშრომლობასაც. მეფეებსა და ფეოდალებს ეკლესიის მხარდაჭერა სჭირდებოდათ არა მარტო ძალაუფლებისა და საზოგადოებრივი სისტემის შესანარჩუნებლად, არამედ სულიერი და რელიგიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ზნეობრივი სრულყოფილების მისაღწევად.

ბიბლიაც ხომ ამას გვასწავლის: „გეშინოდეს, შვილო, ღმრთისა და მეფისა და ნუ ეურჩები ორთავე მათ". კ. დანელიას აზრით, ეკლესიასაც თავისი ანგარიშები ჰქონდა, სასულიერო საქმეების საკეთებლად ქვეყნის სიმშვიდე და ეკონომიკური საშუალებები იყო საჭირო. ამის საუკეთესო მაგალითია გრიგოლ ხანძთელის ურთიერთობა ჯერ გაბრიელ დაფანჩულთან, ხოლო შემდეგ აშოტ კურაპალატსა და მის შვილებთან.

საყურადღებოა მერჩულეს შეხედულება დანაშაულის შესახებ. საქრისტიანო სამართლისა და მოძღვრების ღრმადმცოდნე თეოლოგი განიხილავს ქალის მოტაცების ფაქტს, დიდგვაროვანი ზენონის და ვინმე უკეთურმა კაცმა აცდუნა და გაიტაცა. ავტორი არ აზუსტებს, რა სიტუაციაში მოხდა ეს, მხოლოდ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ზენონი სახელოვანი ჭაბუკია, ესე იგი, დიდგვაროვანი ოჯახის შვილია, ხოლო კაცი, რომელსაც შურისძიებისათვის სდევს, „ფრიად შეურაცხ არს", ანუ არაფრად ჩასაგდებია, მდაბიოა. ამას ემატება ისიც, რომ ქალის ოჯახი არ არის თანახმა და ასეთი ქორწინება საეკლესიო სამართლით დაუშვებელია. „უკეთურმა" კაცმა დანაშაული ჩაიდინა და ზენონმა შური უნდა იძიოს, რომ ოჯახის ღირსება აღადგინოს. დაედევნა კიდეც უკან, მაგრამ გზაში ღვთისთვის მიცემული სიტყვა გაახსენდა და შეჩერდა. რომ დაეწიო და მოკლა, სულს წარვიწყმედ, არ მოკლა და ამაოდ მივბრუნდე შინ—ესეც სირცხვილია. სჯობია ღვთისათვის მიცემული აღთქმა შევასრულო—მონაზვნად შევდგეო. და შეასრულა კიდეც.

„მერჩულე ზენონის ღვთისმოსაობის ერთ-ერთ გამოხატულებად დედმამისეულ ქონებაზე ნებაყოფლობით უარის თქმას თვლის, რადგან დარწმუნებულია, რომ „მონაგებთა დატევებაი სისხლთა დათხევასა ემსგავსების". ავტორისათვის, რა თქმა უნდა, ნაცნობი და მისაღებია სახარებისეული სენტენციები იმის თაობაზე, რომ ნებაყოფლობითი სიღარიბე მუდმივი სასუფევლის მოპოვების გზაა. ახალ აღთქმაში სულით სიგლახაკე (სიღარიბე) ნიშნავს ამქვეყნიურ სიმდიდრეზე შინაგანი რწმენით უარის თქმას უმაღლესი სულიერი სიმდიდრის—ზეციური სასუფევლის მოპოვების მიზნით".[1] მერჩულეს აზრით, დანაშაული მძიმდება, როცა საქმე გვაქვს მოსყიდვით მკვლელობასთან, ე.ი. როცა სასყიდლით დაქირავებული მკვლელი ჩადის ამას. ივ. სურგულაძე ამ საკითხის გამოკვლევისას სვამს კითხვას—თუკი დაზარალებულს ან მოკლულს რაიმე ბრალი მიუძღვის, ე.ი., რაიმე დანაშაული ჩაუდენია, ეს გარემოება ხომ არ უმსუბუქებს მის მკვლელს დანაშაულს და თვითონვე აყალიბებს ვერსიას: საფიქრებელია, რომ ასეთ შემთხვევაში დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებასთან გვქონდეს საქმე. საეკლესიო სამართლით კი შურისძიება ნებისმიერ შემთხვევაში დიდ ცოდვად ითვლება. უფალი თვითონ განსჯის, ხოლოდ მოკვდავს ამის უფლება არა აქვს.[2]

---

[1] ზ. სარჯველაძე, კ. დანელია, ე. გიუნაშვილი—შუშანიკის წამება, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 153-154.

[2] ივ. სურგულაძე, დას. ნაშ. გვ. 54

თხზულებაში ამ თვალსაზრისით საინტერესოა აშოტ კურაპალატის მოკვლის ფაქტი, მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორი მკვლელებსა და მოკვლის მიზეზებზე არაფერს ამბობს, ორიოდე სიტყვით გვაუწყებს—„აშოტ კურაპალატი მოიკლა". მერჩულეს არ სურს აშოტი პოლიტიკურ მოღვაწედ დახატოს, ამიტომ ძუნწად გვაძლევს ცნობას მეფის მოღვაწეობის დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე, მის გამორჩეულ როლზე ქვეყნის ცენტრალიზაციის საქმეში. ჰაგიოგრაფი მწერლისათვის სრულიად საკმარისი იყო წარმოედგინა მეფე ქრისტიანობის განმამტკიცებლად და ღვთის მსახურ ხელმწიფედ.

თუ გავითვალისწინებთ, რა დაუნდობელი იყო IX საუკუნეში საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ საქმეს შეეწირა აშოტ კურაპალატიც. „მემატიანე სუმბატ დავითისძის ცნობით, სარკინოზთაგან შევიწროებული აშოტი ნიგალის ხევში შესულა ლაშქრის შესაკრებად. ნიგალელებს კი, დახმარების მაგიერ, მისი მოკვლა განუზრახავთ. ამ უკანასკნელს მცირე ლაშქრით წინააღმდეგობა ვეღარ გაუწევია, ამიტომ ეკლესიისათვის შეუფერებია თავი. ამ წყაროზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი წერს: „გაქცეულს კურაპალატს არაბები კვალდაკვალ დაედევნენ, მიეწივნენ და 29 იანვარს, 826 წელს, ეკლესიაში, ზედ საკურთხეველზე, მახვილით მოკლეს".[1]

მართალია, მწერალი ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში გვერდს უვლის ამ მკვლელობის სამართლებრივ შეფასებასა და სასჯელს (იმას კი აღნიშნავს, რომ ამ დანაშაულის ჩამდენნი უსამართლო და ბოროტი ადამიანები იყვნენ), მაგრამ ხაზს უსვამს უფლისწულების პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობას, სახელმწიფოებრივი მოვალეობის გრძნობას. „მერჩულის დაუფარავი კმაყოფილება ცხადდება იმ ფაქტის აღნიშვნაში, რომ მამის სიკვდილის შემდეგ ძმები ტახტის დაკავებისათვის კი არ ეცილებოდნენ ერთმანეთს, არამედ ხელს უწყობდნენ. უფროსი ძმა ადარნასე და უმცროსი გუარამი მხარში ამოუდგნენ მათზე ღირსებით აღმატებულ შუათანა ძმას—ბაგრატს, ტახტზე დასვეს იგი და ერთობლივად გააგრძელეს სახელოვანი მამის დაწყებული საქმე —დაქუცმაცებული სამთავროების ერთიანი სამეფო ხელისუფლების ქვეშ გაერთიანება, არაბთაგან მიტაცებული მიწების შემომტკიცება".[2]

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების,

---

[1] ზ. სარჯველაძე, ე. დანელია, ე. ვიუნაშვილი—შუშანიკის წამება, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 159

[2] იქვე გვ. 160

იმდროინდელი სხვა თხზულებების, ანონიმი სწავლული ისტორიკოსების და იურისტების ნააზრევის განხილვა-ანალიზი იძლევა პასუხს კითხვაზე: თუ რატომ გახდა ქრისტიანული იდეოლოგია პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ჩამოყალიბების ერთ-ერთი საფუძველი საქართველოში.

საქართველოს გაერთიანების პერიოდის პოლიტიკური მოძღვრება

ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის ხანგრძლივი და რთული იყო. VIII-IX ს.ს. საქართველოს ტერიტორიაზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ძლიერი პოლიტიკური ერთეულები არსებობდა, რაც ხელს უშლიდა ქვეყნის გაერთიანებას. ყველა სამთავროს კი გაერთიანების მოთავის პრეტენზია ჰქონდა, ამ გარემოებამ გაახანგრძლივა გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესი. იგი ჯერ ცალკეულ სამთავროებში მიმდინარეობდა, ხოლო შემდეგ საერთო მოძრაობაში გადაიზარდა და მთელ საქართველოს მოედო.

IX-X საუკუნეებში ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალის ზრდის ტენდენცია შეინიშნება, რაც განპირობებული იყო იმით, რომ მე-9—მე-10 საუკუნეებში, განსაკუთრებით, მე-9 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ქართველი ხალხი წარმატებით აგვირგვინებდა ომს, მტერი მარცხდებოდა და საქართველოს ტერიტორიიდან სწრაფად ქრებოდა, ამიტომაც, ამ პერიოდში ომები ვეღარ აბრკოლებდნენ მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და მშენებლობას.

მოსახლეობის გამრავლება და მისი მეურნეობის გაფართოება იწვევდა სხვადასხვა კუთხეების დაახლოების საჭიროებას. ერთი კუთხე ერთი საქონლით იყო მდიდარი, მეორე სხვა რამით. ერთნი თუ საუკეთესო ჭურჭელს აკეთებდნენ, მეორენი კარგ შალს ქსოვდნენ, მესამენი მადანს მოიპოვებდნენ და იარაღს ჭედდნენ.

განვითარდა ხელოსნური წარმოება, მთიელები ბარში ჩამოდიოდნენ პურისა და ღვინისათვის და მათ თავისი მეურნეობის ნაყოფი ჩამოჰქონდათ, მესაქონლეობაც ხელს უწყობდა მოძრაობას: მეჯოგეებს საქონელი სხვადასხვა საზამთრო და საზაფხულო საძოვრებზე გადაჰყავდათ.

ფართოდ იყო განვითარებული საგარეო ვაჭრობაც, ქართულ სამთავროებს მაშინ სავაჭრო კავშირი ჰქონდათ მეზობელ და შორეულ სახელმწიფოებთან. ბიზანტიური წყაროებით, მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში კლარჯეთის დედაქალაქი არტანუჯი ძლიერი და დიდი ქალაქი ყოფილა. აქ მოჰქონდათ საქონელი ტრაპიზონიდან, აბაზგიიდან, სომხეთიდან და სირიიდან. ამისი საუკეთესო საბუთია ის ფაქტი, რომ

რუსეთის ჩრდილოეთ რაიონებში და ბალტიის ზღვის ნაპირებზე ნაპოვნია მე-10 საუკუნეში ტაო-კლარჯეთში მოჭრილი ქართული ფული.

ასეთი გაცხოველებული საშინაო და საგარეო ურთიერთობისათვის დიდი დაბრკოლება იყო წვრილ სამთავროთა არსებობა საქართველოში. ყველა მათგანს საკუთარი საზღვრები და საბაჟო ჰქონდა. ამიტომ ვაჭრებს, ხელოსნებს და სოფლის მეურნეებს ბაჟი უნდა გადაეხადათ, როცა საკუთარი ნაწარმი მათ ტერიტორიაზე გაჰქონდათ, ეს კი ხელს უშლიდა ქვეყნის განვითარებას და უკმაყოფილებას იწვევდა მოსახლეობაში. აუცილებელი გახდა ერთიანი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც უფრო კარგად დაიცავდა თავს გარეშე მტრებისაგან, მოსპობდა დაქსაქსულობას და შინაგან მტკიცე წესრიგს დაამყარებდა.

საქართველოს ისტორიაში ასევე მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო პერიოდია XI-XII საუკუნეებიც. ესაა ფეოდალური საქართველოს მკვეთრი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური აღმავლობის ხანა. იმჟამინდელი საქართველოს მაღალი ეკონომიური დონე განპირობებული იყო ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებით, დაწინაურებული სოფლის მეურნეობით, რასაც ადასტურებს ის დიდი და მცირე სარწყავი არხები და საკომუნიკაციო სისტემა, რომლებიც მრავლად ჩანს იმდროინდელ საქართველოში. სარწყავი ფართობების არსებობა კარგ პირობებს ქმნიდა პურეული კულტურების თუ მევენახეობისა და მეხილეობის განვითარებისათვის.

მაღალგანვითარებულ სოფლის მეურნეობასთან ერთად XI-XII საუკუნეებში დაწინაურებული იყო ხელოსნური წარმოებაც და ორივე მათგანის განვითარება ვაჭრობის შემდგომი გაცხოველების საფუძველს წარმოადგენდა. ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებამ საქალაქო ცხოვრების აღმავლობა გამოიწვია, საქართველოს ქალაქებმა დიდი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინეს. „წვრილი ერი" ეკონომიკურად ფეოდალების მორჩილებაში მოექცა. გაქრა არსებითი განსხვავება „გლეხსა და ყმას" შორის, ამიერიდან გლეხი ფეოდალის მიწაზე იყო მიმაგრებული და მის სასარგებლოდ ბეგარასა და სხვა სამსახურ-ვალდებულებებს იხდიდა,[1] გლეხობა, როგორც სოციალური ფენა, რიცხობრივად იზრდებოდა.[2]

X საუკუნის ბოლოსათვის ძირითადად დასრულდა გლეხობისა და აზნაურობის კლასად ჩამოყალიბების ადრე დაწყებული პროცესი. გლეხთა ფენაში გაერთიანდა ქვეყნის მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II. თბ. 1956 წ. გვ. 49

[2] გ. ლორთქიფანიძე, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XII ს. საქართველოში კრებული „საქართველო რუსთაველის ხანაში". თბ. 1966 წ. გვ. 32-51

მიწათმოქმედი ნაწილი. ამ ფართო სოციალური ფენის საერთო დამახასითებელი ისაა, რომ ყველა გლეხი მებეგარეა, რადგან მიწა, რომელზეც იგი მუშაობს, ფეოდალის საკუთრებაა. უფლებრივი თვალსაზრისით, ყველა გლეხი არ წარმოადგენდა ერთფეროვან მასას, უმრავლესობა მკვიდრი იყო. მკვიდრი ეწოდება იმ გლეხს, რომლის მიმართ შვილამდე ერთი ფეოდალის ხელი რჩებოდა, იყვნენ გარეთმოსული გლეხებიც.

როგორც მკვიდრ, ისე გარეთმოსულ გლეხებში გამოირჩეოდა სხვადასხვა უფლებრივი კატეგორიები: ნებიერი, თავდაწერილი, თავდაუწერელი, სიგელოსანი, ნასყიდი, ნაწყალობევი, შეწირული და სხვა.

IX-X საუკუნეებში ყალიბდება აზნაურთა სხვადასხვა ჯგუფი, რომელთა შორის უმაღლეს საფეხურზე „დიდებული აზნაურები" იმყოფებიან, აზნაურებზე დაბლა მსახურნი დგანან. ესენი გლეხთა ფენას ეკუთვნიან, მაგრამ მეფის ან დიდებული აზნაურის სამსახურში მყოფნი, პირადად თავისუფალნი არიან, მსახურების მცირე ზედა ფენა აზნაურდება, ხოლო ფართო ფენა თანდათან გლეხის დონეზე ეცემა და გლეხდება.

ამგვარად, IX-X საუკუნეებში ჩამოყალიბდა ორი საპირისპირო ფენა (კლასი)—გლეხობა და აზნაურობა.

ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას თან დაემთხვა სამეფო ხელისუფლებისა და მსხვილ ფეოდალებს შორის, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის შინაკლასობრივი დაპირისპირება.

მართმა-გამგეობა

ქვეყნის ცენტრალურ მმართველობასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის. „საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა" ინსტიტუტიც თავისებურად გამასაშუალებელი რგოლი იყო. მაშინდელი საქართველოს პირობებში ცენტრალური უწყებები წარმოადგენდნენ ვერტიკალური მმართველობის ორგანოებს, რომლებიც საერთო-სახელმწიფოებრივ ფუნქციებს ასრულებდნენ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე", ხოლო „საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი" ახორციელებდნენ ჰორიზონტალურ მართვას ადგილობრივი მასშტაბებით. ივანე ჯავახიშვილი განარჩევს „საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა" შემდეგ კატეგორიებს: ერისთავთ-ერისთავი, ერისთავი, ციხისთავი, ხევისუფალი, მამასახლისი და გზირი.[1] მოხელეთა ამ დიფერენციაციას თუ დავუკვირდებით, აქ აშკარად ჩანს თავისებური „ჰორიზონტალური

1. ივ. ჯავახიშვილი, ტ. VI, გვ. 331

შრეები“: „ერისთავთ-ერისთავი“ საქართველოს დიდი მხარის, ვთქვათ, მესხეთის, აფხაზეთის, ანდა კახეთის მმართველი იყო. ისინი უშუალოდ ექვემდებარებოდნენ ქვეყნის ცენტრალურ მმართველობას და მეფის დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ თითოეულ მოცემულ მხარეში. „ერისთავები“ შედარებით უფრო მომცრო მხარეების, უფრო სწორად კი—მხარეებში შემავალი ცალკეული თემების გამგებელნი იყვნენ და „ერისთავთ-ერისთავს“ ემორჩილებოდნენ. იერარქიული თვალსაზრისით, ადგილობრივი მმართველობის მესამე რგოლს „ციხისთავნი“ და „ხევისუფალნი“ წარმოადგენდნენ. ივანე ჯავახიშვილის განსაზღვრებით, პირველი ქართული სახელმწიფოები ეს „ხევის ქვეყნები“ არიან. საქართველოს ტერიტორია ისეთია, რომ იგი თითქმის მთლიანად გარიყული ხეობებისაგან შესდგებოდა და შესდგება დღესაც. ამა თუ იმ დაწინაურებულ ხეობას შემდგომში გადამწყვეტი როლი შეუსრულებია არა მარტო მხარის, არამედ თვით მთელი ქვეყნის მასშტაბითაც. მაგალითად, არაგვის ხეობა ისე დაწინაურდა, რომ იგი შემდგომში ქართლისა და მთელი საქართველოს გამაერთიანებელ ძალად იქცა, ხოლო მცხეთა და „არმაზ--ციხე“ დედაქალაქად და უმთავრეს დასაყრდენად, ისე, რომ თემისა და ცალკეული ხეობების მართვა-გამგეობა თავისებურ მეორე საფეხურს შეადგენდა ქვეყნის ტერიტორიულ--ადმინისტრაციულ მართვაში, ხოლო პირველი და უმთავრესი საფეხური მაინც იყო თვითონ სოფლის მართვა--გამგეობა.

თვითონ ცნება „სოფლის“ორგვარი სემანტიკური გაგება ქართულ ენაში თავისებურად მიგვანიშნებს მის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში. ცნობილია, თუ რა გადამწყვეტ როლს აკუთვნებდა სოფელს და გლეხობას ილია ჭავჭავაძეც. იგი მათ ჩვენი ეროვნული იმედების სულსა და გულს უწოდებდა და მიაჩნდა, რომ სოფელი მარად უნდა დარჩეს ქართული ცხოვრების „ბალავრის ქვად“. აღსანიშნავია, რომ სოფლის მმართველის—„მამასახლისის“ ინსტიტუტი ყველაზე ძველია სამოხელეო იერარქიაში და მას „ქართლის ცხოვრების“ ავტორები ქართული ტომების სახელმწიფოებრივი გაერთიანების საწყის ეტაპებზევე მოიხსენიებენ. მამასახლისი და მისი თანაშემწე—„გზირი“ სოფლის მართვა-გამგეობასთან ერთად, სამართალდაცვის ფუნქციებსაც ასრულებდნენ და ამ მხრივაც აქტიურ ურთიერთკავშირში იმყოფებოდნენ ცენტრალური მმართველობის ისეთ მოხელეებთან, როგორებიც „მანდატურები“ და „მსტოვრები“ იყვნენ. „საურავის“ აკრეფაც, ისე, როგორც ჯარის შეკრება და საზღვრების დაცვაც, სახელმწიფო მართვა-გამგეობის ასეთ ორგანულ მთლიანობაზე იყო დაფუძნებული, რაც მთელ ქვეყანას ერთ მძლავრ ეროვნულ

ორგანიზმად კრავდა. სწორედ ეს შეადგენდა „ოქროვანი ხანის" საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული სიძლიერის უმთავრეს საფუძველს.

ივ. ჯავახიშვილი ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ე.წ. „საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებს". იგი სინანულით აღნიშნავდა, რომ სამწუხაროდ, სახელმწიფო მართვა-გამგეობის ამ დიდმნიშვნელოვან ფენომენზე წყაროები ნაკლებად შემოგვრჩა, მაგრამ მიუხედავად ამისა, საჭიროდ მიაჩნდა შემდგომი კვლევა, მმართველობის სტრუქტურებში მისი ადგილისა და როლის გარკვევა.[1] ეს იმიტომ, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობაში მაშინაც და დღესაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტერიტორიალურ-ადმინისტრაციული მართვის ეფექტურ სისტემას. ფაქტიურად, ეს აწონასწორებს უნიტარიზმისა და ფედერალიზმის, ცენტრალიზმისა და ადგილობრივი თვითმმართველობის თითქოს-და, ურთიერთგამომრიცხავ პრინციპებს.

ამ საკითხის სწორ გააზრებას და ამ მხრივ ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიული გამოცდილების გათვალიწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმირების თვალსაზრისით. დღეს დიდი კამათი მიდის, რას უნდა დაეფუძნოს ქვეყნის მართვა—უნიტარიზმისა თუ ფედერალიზმის პრინციპს. ჩვენი აზრით, საკითხის თვით ასეთი რადიკალური ფორმით დაყენება არასწორია. თუ თვალს გადავავლებთ ისტორიასაც და თანამედროვეობასაც, როგორც წესი, ნორმალურ პირობებსა და ნორმალურ ქვეყანაში, ორივე პრინციპი თავისებურ პოლიტიკურ კონსესუსს ქმნის: ქვეყნის ნორმალურ განვითარებას ერთიც სჭირდება და მეორეც. ვთქვათ, აშშ ფედერალიზმის პრინციპზე მოწყობილი ქვეყანაა, მაგრამ იქ უნიტარიზმიც საკმაო ძალით არის წარმოდგენილი ქვეყნის ცენტრალური უწყებების მმართველობის სახით. სწორედ ისინი განსაზღვრავენ საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ქვეყნის მთლიანობისა და უშიშროების სტრატეგიულ საკითხებს, მაგრამ ამასთან, გარკვეულ თვითმმართველობას აძლევენ ადგილობრივ ორგანოებს. ნათლად აჩვენა სახელმწიფო მართვა-გამგეობის ეს ორგანული მთლიანობა და ურთიერთგანპირობებულობა ილია ჭავჭავაძემ:

„ქვეყნიერებაზედ მმართველობას ორგვარი წყობა და აგებულება ჰქონდა და აქვს... მმართველობა არ შეიძლება, რომ ან ერთისაკენ არ იყოს მიდრეკილი, ან მეორისაკენ. ერთგვარი მმართველობა იგია, საცა

---

1. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VI, გვ. 328

სახელმწიფო საჭიროების საქმესაც თვით მთავრობა განაგებს და საზოგადოებისასაც—ყველგან და ყოველს ნაწილში. ამ შემთხვევაში მთავრობა ყოველგვარი საქმის დამწყები და მოთავეა, ყოველგვარი საქმის მწარმოებელია,—ყოველის მზრუნველი და გამგეა. ასე რომ, ყოველივე მისგან წარმოსდგება და ყოველივე მასვე ერთვის. ამგვარის გამგეობისათვის მას თავისი საკუთარნი მოხელე-კაცნი ჰყვანან, რომელთაც თვითვე ირჩევს, თვითვე ჰნიშნავს, თვითვე გადააყენებს და რომელნიც მხოლოდ მის წინაშე არიან პასუხისმგებელნი. ამგვარს მმართველობას ცენტრალიზაციას ეძახიან.

მეორეგვარი მმართველობა იგია, საცა მთავრობას ხელთ უპყრია მარტო სახელმწიფოს საჭიროების საქმენი, ყოველივე სხვა კი, საზოგადოებას დაუსაკუთრებია. მერე ისე, რომ ყოველს ნაწილს ქვეყნისას თვისნი ადგილობრივნი საქმენი აქვს ხელშეუვალად მინდობილნი. ერთის სიტყვით, ამგვარის მმართველობის დედა-აზრი იგია, რომ ადგილობრივნი... საქმენი თვით ადგილობრივ მცხოვრებთაგან განიგებოდეს.

ამგვარი მმართველობა მეტად ხელს უწყობს ქვეყნის კეთილდღეობასა: ხალხს აფხიზლებს, ჭკუასა და გონებას უხსნის... საზოგადო საქმისათვის სწურთნის და ავარჯიშებს. ამგვარი მმართველობა ისეთის თვისებისაა, რომ საცა კი სურს ადამიანს, ყველგან და ყოველს ხალხში იხეირებს... მთავრობასაც მძიმე ტვირთს ქვეყნის გამგეობისას შეუმსუბუქებს".[1]

X საუკუნის დასასრულისათვის საქართველო ფეოდალური განვითარების უფრო მაღალ ფაზაში შეეიდა. ამ საფეხურისათვის დამახასიათებელი იყო მძლავრი ეკონომიკური აღმავლობა, რომელიც ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას ემყარებოდა. სოფლის მეურნეობის იარაღები თანდათან დაიხვეწა, განვითარდა და გაუმჯობესდა, რამაც მეურნეობის წინსვლა განაპირობა.

მეურნეობის მაღალ დონეს განაპირობებდა ის დიდი სარწყავი არხები და წყალსადენები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, რუის-ურბნისის მიდამოებში, მუხრანში, სამგორში, კახეთსა და სხვა ადგილებში გაიყვანეს.

ალაზნის ველის სარწყავი არხი, რომელიც 119 კილომეტრზე მიედინებოდა, 53000 ჰექტარ ფართობს რწყავდა.

XI—XII საუკუნეებში დაწინაურებული იყო მემინდვრეობა, მებაღეობა-მებოსტნეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა და ა. შ.

ძლიერდებოდა ეკონომიური კავშირი ქვეყნის სხვადასხვა რაიონებს შორის, იქმნებოდა ახალი ხელსაყრელი პირობები შემდგომი ეკონომი-

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VI თბ. 1956 წ. გვ. 35-37

კური განვითარებისათვის, რაც გამოწვეული იყო სამეფო სამთავროების გაერთიანებით.

საქართველოს გაერთიანების პერიოდში დიდი ხვედრითი წონა ჰქონდა ხელოსნობას, ხოლო XI საუკუნიდან მოკიდებული—საქალაქო ცხოვრების მკვეთრი გამოცოცხლება შეიმჩნეეა. ხელოსნობა თანდათანობით გაემიჯნა სოფლის მეურნეობას. ხელოსნური ნაწარმი ფართო საზოგადოების მოხმარების საგანი გახდა. განსაკუთრებით დაწინაურებული ჩანს ხელოსნობის შემდგომი დარგები: მეთუნეობა, მეჭურჭლეობა, მჭედლობა, კალატოზობა, დურგლობა, მეხილეობა, ოქრომჭედლობა, მეპურეობა, წიგნების გადაწერა, აკინძვა და ა. შ.

XI-XII საუკუნეებში ფართოდ გავრცელდა სპილენძისა და ოქროვერცხლის ჭურჭლის წარმოება. ამავე საიუვილერეებში ჭურჭლეულს ამზადებდნენ მინისა და ბროლისაგანაც.

საქართველოს ქალაქები აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობაში. მათ მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ არაბებთან, ირანთან, ბიზანტიასთან, ძველ რუსეთთან, სომხეთთან, ეგვიპტესთან, ჩინეთთან და ა. შ.

ბიზანტიიდან შემოჰქონდათ ოქრო-ვერცხლი, სამღვდელთმსახურო ნივთები და სხვა. ძვირფასი ფარჩეულობა—სომხეთიდან, ალექსანდრიიდან, ჩინეთიდან ქსოვილები და კერამიკა.[1] ამასთანავე, საქართველოდანაც გაჰქონდათ უცხოეთში სხვადასხვა ნაწარმი და ნედლეული.

საქართველოს ქალაქების სავაჭრო ურთიერთობას მეზობელ ქვეყნებთან გვიჩვენებს, როგორც ზემოთაც ითქვა, უცხოური მონეტების გავრცელება საქართველოში და პირიქით, ქართული მონეტების გავრცელება სხვა ქვეყნებში.

საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური მონეტების ფართო გავრცელება და ქართული მონეტების სხვა ქვეყნებში აღმოჩენა მეტყველებს იმას, რომ საქართველოში საქალაქო ურთიერთობა კარგად იყო განვითარებული.

მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიური ძვრები და ცვლილებები გავლენას ახდენდნენ კულტურის განვითარებაზე, საზოგადოებრივ აზროვნებაზე, იდეოლოგიაზე, პოლიტიკაზე.

VIII-X საუკუნეებში ქართული ენის სალიტერატურო მნიშვნელობა ძალიან გაიზარდა. IX საუკუნეში ქართლში, ტაო-კლარჯეთში, კახეთში, ჰერეთსა და აფხაზეთის სამეფოში ქართული ენა იყო მწერლობის, სახელმწიფო მართვა-გამგეობის, სამოქალაქო ურთიერთობისა და ეკ-

---

1. ი. ჯაველიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, I. თბ. 1907. გვ. 33

ლესიის ერთადერთი ენა. იგი გავრცელდა ჩრდილო კავკასიაშიც—ჩერქეზებსა და ალანებშიც.

IX—X საუკუნეებში დაიწერა შესანიშნავი თხზულებანი „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ ბასილ ზარზმელისა, გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და ა. შ.

აღნიშნულ ეპოქაში ქართულ ენაზე მოგვეპოვება ნათარგმნი ჰიმნოგრაფია, ანუ სასულიერო პოეზია, რომელსაც ძირითადად ბერძნულიდან თარგმნიდნენ, მაგრამ ქართული სასულიერო პოეზია მდიდარია არა მარტო ნათარგმნი ძეგლებით, არამედ ორიგინალურითაც, რომელმაც თავისი განვითარების კულმინაციურ წერტილს მიაღწია X საუკუნეში. მთავარი წარმომადგენლები არიან: იოანე ზოსიმე, იოანე მინჩხი, იოანე მტბევარი, მიქაელ მოდრეკილი, სტეფანე ჭყონდიდელი და ა. შ.

მთარგმნელობითი შემოქმედების განვითარებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ქართველებს უკვე თავიანთი საკუთარი კულტურული ცენტრები ჰქონდათ საზღვარგარეთაც. VI საუკუნეში არსებობდა ქართული ეკლესიები პალესტინაში, საბაწმინდის განთქმულ ლავრაში, X საუკუნეში დაარსდა განთქმული ქართული მონასტერი ათონის მთაზე, საბერძნეთში. თვით საქართველოში სამონასტრო მოძრაობა დაიწყო VI საუკუნეში, მაგრამ ფართო ხასიათი მიიღო VIII საუკუნეში. ტაო-კლარჯეთში გაჩნდა ისეთი მნიშვნელოვანი საეკლესიო-კულტურული ცენტრები, როგორიცაა ხანძთა, შატბერდი, ოპიზა, იშხანი, ოშკი, წყაროსთავი და სხვები. შინაურ ცენტრებს ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ საზღვარგარეთულთან.

ამავე პერიოდის ფილოსოფიური აზროვნების შესანიშნავი ძეგლია „სიბრძნე ბალავარისა“, რომელიც ექვთიმე ათონელმა ბრძნულად თარგმნა, ხოლო შემდეგ ბერძნულიდან გადაიღეს ლათინურად.

XI–XII და XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს კულტურული ვითარება, მისი ეკონომიკური და პოლიტიკური წინსვლა შესაბამისი იყო. აღნიშნულ პერიოდში საქართველო აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო ცხოვრებაში და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან. გაერთიანებული საქართველოს ეკონომიკურმა და სახელმწიფოებრივმა ძლიერებამ ხელი შეუწყო ქართული კულტურის სწრაფ განვითარებას. ძველი კულტურის ცენტრების გვერდით აღმოცენდნენ ახლები, გამოჩნდნენ მწერლები და პოეტები, რომლებმაც ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ქართული კულტურა და უაღრესად დიდი როლი შეასრულეს ქვეყნის გაძლიერების საქმეში.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოში განვითარდა და დაწინაურდა მეცნიერული ცოდნის ისეთი დარგები, როგორიცაა იურისპრუდენცია,

მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მედიცინა, გრამატიკა, ისტორიოგრაფია, ფილოსოფია, ხუროთმოძღვრება, ფერწერა, ხელოვნება, მუსიკა და სხვა.

ამ პერიოდის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და მრავალმხრივ საზღვარგარეთულ ცენტრებად უნდა ჩაითვალოს: ივერიის მონასტერი ათონის მთაზე, შავი მთა (ანტიოქიის მახლობლად სირიაში), ჯვრის მონასტერი (პალესტინაში) და პეტრიწონის მონასტერი (დღევანდელ ბულგარეთში), მონასტერი სინას მთაზე და ა. შ.

საქართველოს გაერთიანების პერიოდში სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მწვავე კლასობრივი ბრძოლა, რთული საერთაშორისო მოვლენები საზოგადოების პოლიტიკურ აზროვნებას ზრდიდა და ამახვილებდა. ამ პერიოდის ქართულ საისტორიო მწერლობას აინტერესებდა საკითხები „ნათესავის" (ხალხის) რაობისა, ხალხთა მონათესაურობისა, ქართული ენის გაჩენისა და ქართული დამწერლობის შემოღებისა, სახელმწიფოს წარმოშობისა, წოდებათა გაჩენისა და სხვა. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ „მატიანე ქართლისაი" (ავტორი XI საუკ.), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის (XII საუკ.), თამარ მეფის ისტორიკოსების (XII—XIII ს.) თხზულებები. ეს ავტორები მეფის ერთმმართველობის იდეის მქადაგებლები იყვნენ და თავიანთ ნაშრომებში გვაძლევენ მეფეთა და დიდებულთა სახელმწიფოებრივი, სამხედრო და კულტურული მოღვაწეობის დახასიათებას. დაწვრილებით აღწერდნენ მათ მიერ გატარებული ამ ღონისძიებების მიზეზებს, მნიშვნელობასა და შედეგებს. ამ ისტორიკოსთა თხრობის მთავარ საგანს მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები და ომები შეადგენდა, ამიტომ აღნიშნულ პერიოდში ჩნდება მოთხოვნილება შეიქმნას უფრო ფართო, განმაზოგადებელი ხასიათის შრომები, რომლებშიაც საქართველოს ისტორიული წარსული მოთხრობილი იქნებოდა უძველესი ხანიდან.

ასეთ მიზანს ისახავდა XI საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა". XI საუკუნის ისტორიკოსის ჯუანშერის „ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასალისა" წარმოადგენს ლეონტი მროველის თხზულების გაგრძელებას, მასში მოთხრობილია ქართველი ხალხის ისტორია V საუკუნის შუა წლებიდან VIII საუკუნის 50-იან წლებამდე.

XI საუკუნეშია დაწერილი ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიკოსის სუმბატ დავითის-ძის ისტორიული ქრონიკა „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა", სადაც მოცემულია ისტორია და გენეალოგია ბაგრატიონთა დინასტიისა. მის მთავარ მიზანს შეადგენდა გამოერკვია, თუ

ვინ იყვნენ ბაგრატიონები, როდის მოვიდნენ ისინი საქართველოში.

„მატიანე ქართლისაის“ უცნობი ავტორი მოგვითხრობს საქართველოს ისტორიას VIII საუკუნიდან XI საუკუნის 80-იან წლებამდე. იგი ნათლად გვიჩვენებს ფეოდალური სამთავროების თანდათანობით გაერთიანების პროცესს ერთ მთლიან სახელმწიფოდ. „მატიანე ქართლისაის“ ავტორი წინამორბედი იყო XI-XII საუკუნეების ისტორიკოსთა ბრწყინვალე პლეადისა.

გაერთიანების პერიოდში ქართული მწერლობაც სწრაფად ვითარდებოდა. ქართველ მწერლებს ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ დასავლურ (ბიზანტიურ) და აღმოსავლურ (არაბულ-სპარსულ) ლიტერატურულ ცხოვრებასა და ფილოსოფიურ სკოლებზე. ორიგინალებიდან ეცნობოდნენ უცხო ენაზე შექმნილ თხზულებებს, თარგმნიდნენ ქართულად და საკუთარ ნაწარმოებებსაც წერდნენ. ასეთები იყვნენ: გიორგი ათონელი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი და სხვები.

საერო მწერლობიდან თუმცა ბევრი ძეგლი განადგურდა, მაგრამ რაც შემოგვრჩა, მაინც საკმარისია ქართული მხატვრული მწერლობის განვითარების მაღალი დონის ცხადსაყოფად. ეს ძეგლებია: პროზაში „ამირანდარეჯანიანი“ და „ვისრამიანი“, პოეზიაში—ჩახრუხაძის „თამარიანი“ და იოანე შავთელის „აბდულმესიანი“, შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“.

საქართველოს გაერთიანების პერიოდში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმავლობასთან ერთად განვითარების მაღალ საფეხურზე ავიდა პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნება. განსაკუთრებით საყურადღებოა ექვთიმე მთაწმინდელის მოღვაწეობა სამართლის თეორიის დარგში. მან თარგმნა „მცირე სჯულის კანონი“, რომელიც ქართულ ნიადაგზე გადაამუშავა, მასში შეიტანა ქართული მასალა და შექმნა სრულიად ახალი, ქართული რედაქცია სჯულის კანონისა. იგი წმინდა ქართული მოვლენაა. ამ შემადგენლობის სხვა კრებული არ იცის არც ბიზანტიური და არც ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების საეკლესიო სამართლის ისტორიამ. იგი ქრისტიანული საეკლესიო სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლია. კრებულს დართული აქვს თვით ექვთიმეს მოძღვრება ბოროტმოქმედების შესახებ, კერძოდ, მასში მოცემულია მკვლელობის სხვადასხვა სახეობის კვალიფიკაცია და ზოგადი იურიდიული ცნების განმარტება, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ექვთიმე ათონელი (მთაწმინდელი)
(955–1028)

ექვთიმე ათონელი მე-10 საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი საეკლესიო მოღვაწეა. იგი დაიბადა სამხრეთ საქართველოში, ცნობილი ქართველი დიდგვაროვანის ოჯახში. მამამისი იოანე, ათონის მონასტრის დამაარსებელი, ბიზანტიის სამეფო კართან დაახლოებული პირი ყოფილა და პატარა ექვთიმეც სწორედ აქ იზრდებოდა, ამიტომ თავიდან ეზიარა ელინურ კულტურას. შემდეგ მამამ იგი მცირე აზიაში, ოლიმპოს მთაზე წაიყვანა და ექვთიმეს სახელით ბერად აღკვეცა. 965 წელს იოანე თავის შვილებთან და მოწაფეებთან ერთად ოლიმპოს მთიდან საბერძნეთში, ათონის მთაზე გადასახლდა და ათანასე დიდის ლავრაში დამკვიდრდა. იოანე და მისი მოწაფეები აქტიურად ჩაებნენ სამონასტრო კომპლექსის მშენებლობაში და 983 წელს დაასრულეს ათონის მთაზე საკუთარი სავანის—ცნობილი ივერიის ღვთისმშობლის მონასტრის აგება. სწორედ აქ გაიშალა ექვთიმე ათონლის მოღვაწეობა. მამის გარდაცვალების შემდეგ ის აღნიშნული მონასტრის წინამძღვრად (1005—1019 წწ.) დაინიშნა. 1019 წელს წინამძღოლობას თავი დაანება და საფუძველი ჩაუყარა ათონის ქართულ სალიტერატურო სკოლას, სადაც შემდგომში ბევრი ქართველი მოღვაწე გაიზარდა.

ექვთიმე ათონელმა, როგორც საეკლესიო მოღვაწემ, მალე გაითქვა სახელი. 1001 წელს ათონის დიდი ლავრის წინამძღვრის ათანასე დიდის ანდერძის თანახმად, იგი დაინიშნა ამავე მონასტრის „სულიერ ეპიტროპად" და ეს თანამდებობა სიკვდილამდე ეკავა.

გარდა საეკლესიო მოღვაწეობისა, დიდია მისი დამსახურება სალიტერატურო საქმიანობაში. ამ თვალსაზრისით იგი ორი ერის სამსახურში იდგა და არა მარტო ქართულ, არამედ ბერძნულ ლიტერატურასაც დიდი სამსახური გაუწია.

ბერძნული ენის შესანიშნავად ფლობამ ექვთიმე ათონელს შესაძლებლობა მისცა ამ ენაზე ეწერა ლიტერატურული თხზულებანი. თარგმნიდა ბერძნულიდან ქართულად და პირიქით. დიდმა დამსახურებამ ბიზანტიური კულტურის წინაშე განაპირობა ის, რომ XI საუკუნის შუა წლებში შექმნილი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულება, რო-

მელშიც აისახა ექვთიმე ათონელის ცხოვრება და მოღვაწეობა, ითარგმნა ბერძნულ ენაზე.

მისი ფასდაუდებელი ღვაწლი ქართული კულტურის განვითარებაში გამოიხატა იმ მრავალრიცხოვანი თარგმანებით, რომელიც ბერძნულიდან ქართულად შეასრულა. ეს თარგმანები სასულიერო მწერლობის ყველა დარგს შეეხო: ბიბლიური, აპოკრიფული, ეგზეგეტიკური, დოგმატიკურ-პოლემიკური, ასკეტიკურ-მისტიკური, ჰომილეტიკური, ჰაგიოგრაფიული და სხვა.

საეკლესიო სამართლის ძეგლთაგან ჩვენთვის მნიშვნელოვანია ექვთიმე ათონელის თარგმანები—„კანონნი", „მცირე სჯულის კანონი მეექვსისა კრებისაი", და „მცნებაი და განგებაი მსოფლიო ხუცესთაი". ისინი ქართული სამართლებრივი კულტურის საეკლესიო ნიმუშებია და მათში მოცემულმა დებულებებმა კლასიკური ქვეყნების სამართლებრივ აზროვნებაში უფრო მოგვიანებით ჰპოვეს ასახვა.

თარგმანებიდან მნიშვნელოვანია „მცირე სჯულის კანონი". აქ ექვთიმემ თავისებურად დაალაგა მეექვსე კრების კანონები და ისეთი მასალა შემოიტანა, რაც ბერძნულ ტექსტში არ იყო ნახსენები.. კანონებს თან დართული აქვს აქტები, რომელშიც შემოკლებით მოთხრობილია მეექვსე მსოფლიო კრების ისტორია. ნაშრომში საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული ბრალის შესახებ.

„დიდი ხნის გამოცდილება, ცოდნა და განვითარება დასჭირდა კაცობრიობას იმისათვის, რომ ობიექტური შერაცხვიდან ბრალზე გადასულიყო. ბრალი ფსიქიკური დამოკიდებულებაა მოქმედი პირისა თავისი მოქმედებისადმი. ბრალი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი პასუხს აგებს მხოლოდ ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც მას ჩადენილი აქვს განზრახ ან გაუფრთხილებლად".[1]

„მცირე სჯულის კანონში" გამოყოფილია ბრალის ფორმები: განზრახვა და გაუფრთხილებლობა. დანაშაულებრივი ქმედებანი კი „მრავალ სახე და მრავალგვარია".

ძეგლში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პასუხისმგებლობის საკითხს. დანაშაულის ანალიზის დროს მკვლელობა მიჩნეულია უმძიმეს დანაშაულად, რისთვისაც დამნაშავემ იმის მიხედვით უნდა აგოს პასუხი, თუ როგორია მისი ნების მონაწილეობა ამ მოქმედებაში.

ექვთიმეს აზრით, დანაშაული არ არის მარტივი, ის თავისი ბუნებით რთულია და კანონის შეფარდებისას მსაჯულის დიდი სიფრთხილეა საჭირო.

---

[1] იე. სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ. 1986 წ. გვ. 68

ძეგლში ნების მონაწილეობის მიხედვით დანაშაული დაყოფილია შემდეგნაირად: 1) ნებისმიერი, ე. ი. განზრახვითი; 2) უნებური.

ნებისმიერი თავის მხრივ იყოფა: 1) სავსებით გამოკვეთილ განზრახვად 2) განზრახვასთან გათანაბრებულად.

უნებური მოქმედება თავის მხრივ შეიძლება დაიყოს მრავალ სახედ. უნებური მოქმედებისათვის პასუხისმგებლობა არ არის გათვალისწინებული, ამდენად იგი შემთხვევას შეესაბამება, მაგრამ თვით მოქმედების აღწერის მიხედვით შესაძლოა მასში გაუფრთხილებლობა დავინახოთ.

პროფ. ი. სურგულაძეს ექვთიმეს დიდ დამსახურებად ის მიაჩნია, რომ „მცირე სჯულის კანონში" ბრალის შესახებ მოცემულია რომის სამართლის დებულებები. მისი აზრით, ამისათვის საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ „მცირე სჯულის კანონის" და „დიდი სჯულის კანონის" სათანადო ადგილები.

ექვთიმე ათონელმა მის მიერ თარგმნილი ძეგლებით მიზნად დაისახა საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგება.

ამ ძეგლთა შორის აღსანიშნავია: „კანონი შეცოდებულთანი, აღწერილნი ნეტარისა მამისა ჩეუნისა იოანეს მიერ კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა, რომელსა მმარხველ ეწოდა". თხზულება სამი ნაწილისაგან შედგება: 1) კანონარი იოანე ბერისა და დიაკონისა, რომელსაც შვილი მორჩილებისა ეწოდა. ბ) კანონნი იოანე მმართველისა, რომელსაც დართული აქვს გ) კანონნი დღითი-დღეთა ცთომილთანი ბასილი დიდისა.

ექვთიმე ათონელი მკაცრად ილაშქრებს მემთვრალეობისა და სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ. მის მიერ თარგმნილი ბასილი დიდის ერთ-ერთ თხზულებაში ვკითხულობთ: „რამეთუ. ვითარცა წყალი მბრძოლ არს ცეცხლისა და დაშრტეს, ეგრეთვე მთვრალობა სიბრძნესა და გონებას კეთილსა დაშრეტს". იგი სამართლიანად თვლის ლოთობას სიბრძნის, სიკეთის, კეთილგონიერების დათრგუნვისა და ბოროტების წყაროდ.

მეცამეტე საუკუნის ერთ-ერთ კანონიკურ კრებულში მოთავსებულია „მცნებაი და განგებაი მსოფლიოთა ხუცესთა ბერძნული, რომელი გარდამოსცა ქართულად დიდმა ეფთვიმემ". ეს კრებული შეიცავდა დარიგებას სამღვდელოებისათვის მწყემსობრივი მოვალეობის კანონიერად და ჯეროვნად შესრულების შესახებ.

ამავე კრებულში მოთავსებული ყოფილა ექვთიმეს კანონიკურ-ლიტერგიკული შრომა, რომელშიც განმარტებულია დისციპლინარული ხასიათის საკითხები: მაგ. აკრძალულ წიგნთა შესახებ, მარხვათა,

მუხლისდრეკის, სულიერი მოძღვრის, სქემის კურთხევის, ცოცხალთათვის ჟამისწირვის, სამონასტრო დეკანოზისა და სხვათა შესახებ.

ექვთიმე ათონელის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ჩანს როგორც ძველი, ისე ახალი ტრადიციები. ის უფრო მთარგმნელია, მაგრამ თავისებური,—წერს კ. კეკელიძე—სათარგმნელი მასალის შერჩევისას და თარგმნის პროცესში მას მუდამ მხედველობაში ჰქონდა ინტელექტუალური მოთხოვნილებანი და განვითარების დონე თავისი თანამემამულეებისა, ამიტომ სათარგმნელ დედნებს ის ან უმატებდა, ან აკლებდა რამეს.[1]

ექვთიმე მთაწმინდლის უდიდესი დამსახურება ისაა, რომ მას არასოდეს ავიწყდებოდა თითოეული ნათარგმნი თუ ორიგინალური თხზულებისათვის ეროვნული სული შთაებერა, არსებული სინამდვილე რეალობად აესახა და ერისთვის მომავლის გზა ეჩვენებინა, რასაც კანონისა და სამართლის სახეს აძლევდა.

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ. 1980 წ. გვ. 213

გიორგი ათონელი (მთაწმინდელი)
(1009–1065)

გიორგი ათონელი XI საუკუნის გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, ათონის სალიტერატურო სკოლის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი, ექვთიმე მთაწმინდელის საქმის განმგრძობი და დიდი განმანათლებელია. იგი დაიბადა თრიალეთში 1009 წ. ექვსი წლისა ხახულის მონასტერში გადაიყვანეს, შემდეგ კონსტანტინეპოლში გააგზავნეს, სადაც 12 წელიწადს სწავლობდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ხახულის მონასტერში აღიკვეცა ბერად. მალე შავ მთაზე დაემოწაფა ქართველ ბერს გიორგი შეყენებულს. 30 წლისამ იერუსალიმის წმინდა მიწა მოინახულა და თავისი მოძღვრის შეგონებით 1040 წელს ათონის ივერიის ღვთისმშობლის მონასტერში მივიდა. იგი ჯერ ათონის ივერთა მონასტრის დეკანოზია, 1044 წლიდან კი—წინამძღვარი. 1056 წელს წინამძღვრობაზე ხელი აიღო, ანტიოქიაში გაემგზავრა და ლიტერატურული საქმიანობა დაიწყო.

გიორგი მთაწმინდელი მოღვაწეობდა იმ პერიოდში, როცა ბერძნულმა ეკლესიამ მიზნად დაისახა ბიზანტიაში ქართული სავანეების მიტაცება. აქ გამოჩნდა გიორგის დიდი ავტორიტეტი და განათლება. მან დაუმტკიცა ბიზანტიის ხელისუფალთ, რომ ქართველები უძველესი და მაღალი კულტურის ხალხია, რომ საქართველო IV საუკუნეში გაქრისტიანდა, და ჩვენც ისეთივე მართლმადიდებელნი ვართ, როგორც ბერძნები. ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია აქვს და საღვთო წიგნები IV-V საუკუნიდან მოგვეპოვება. ამ და სხვა ღონისძიებების გამოყენებით მან შეძლო ქართული სავანეების დაცვა. ამას კი საშუალო საუკუნეების პირობებში არა მარტო საეკლესიო, არამედ ზოგადად პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცების თვალსაზრისით.[1]

პროფ. ი. სურგულაძე ავითარებს აზრს, რომ გიორგი ათონელი ქართულ ეკლესიაში დემოკრატიული მიმართულების წარმომადგენელი იყო. და რადგან იმ დროს ეკლესიას სახელმწიფოში დიდი გავლენა ჰქონდა, მთაწმინდელის შეხედულებები საეკლესიო რეფორმების

---

[1] პ. ინგოროყვა, ტ. IV, 1968 წ. გვ. 368

შესახებ თავისი დროისათვის მეტად გაბედული ნაბიჯი იყო. როგორც ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „მან ქართული ეკლესიის წოდებრიობას შეუტია, წოდებრივი უპირატესობა საეკლესიო საქმეში უარყო და ადამიანის პირადი ღირსება წინ წამოაყენა, თანაც ეცადა, ქართული ეკლესიისათვის დემოკრატიული მიმართულება მიეცა“.[1]

ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ეკლესიაში გააუქმეს მანამდე არსებული წოდებრივი უპირატესობის პრინციპი და ღირსეულ ადამიანებს სასულიერო სფეროში დაწინაურების საშუალება მისცეს. ასე მომზადდა თეორიული საფუძველი რუის-ურბნისის ცნობილი საეკლესიო კრებისათვის.

ქართული სახელმწიფოებრიობის დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გიორგი ათონლის მიერ დამკვიდრებულ „წილნაყარობის“ პრინციპს. მართალია, ეს პრინციპი მან საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრებაში დაამკვიდრა, მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, იგი „ოქროს ხანის საქართველოს“ ერთ-ერთი წამყვანი და სახელმძღვანელო წესი გახდა, რაც კიდევ უფრო ზრდის მისადმი ჩვენს ინტერესს, მითუმეტეს, რომ ის რუის-ურბნისის კრების გადაწყვეტილების განმსაზღვრელ პრინციპადაც იქცა.

გიორგი ათონლის „წილნაყარობის“ არსი შეიძლება გავათანაბროთ თანამედროვე „არჩევნების“ ინსტიტუტთან. რა თქმა უნდა, მაშინ ეს არჩევნები საერთო ეროვნული გაგებით და მასშტაბით არ ხორციელდებოდა, მაგრამ ადგილობრივი თანამდებობის დასაკავებლად იგი შეუცვლელი პრინციპი გახდა. ცნობილია, რომ გიორგი ათონელმა პირველად სწორედ ათონის ივერთა მონასტერში აირჩია მონასტრის წინამძღოლი და შემდგომში სხვაგანაც „წილნაყარობის“ ამ პრინციპით ხდებოდა წინამძღვართა და მამასახლისთა არჩევა, რაც თავიდანვე გამორიცხავდა „კორუფციას“.[2] სწორედ ამ გზით მოუღო ბოლო შემდგომში მექრთამეობის სენს დაკით აღმაშენებელმაც.

გარდა ამისა, „წილნაყარობა“ ხშირად გამოიყენებოდა „დარბაზის“ მიერ სახელმწიფოს სხვადასხვა მნიშვნელოვან თანამდებობებზე მოხელეთა დანიშვნისას. სწორედ ამ გზით დამკვიდრდა „ოქროს ხანის“ საქართველოს ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი წესი—თანამდებობაზე გვაროვნუ-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია-, II, 1965 წ. გვ. 191

[2] კორუფცია ლათინური სიტყვაა, რომელიც ნიშნავს პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა, სამხედრო, საეკლესიო მსახურთა და თანამდებობის პირთა მოსყიდვას და ჩათრევას ჯგუფურ დანაშაულში, რასაც მოჰყვება მაფიოზურ-კლანური თანამდებობრივი იერარქია.

ლი ნიშნის ნაცვლად დამსახურებისა და პირადი ღირსების მიხედვით მოხელეთა დანიშვნა, რამაც თავისთავად აამაღლა სახელმწიფო მართვა-გამგეობის პრესტიჟი და ეფექტურობა. ივ. ჯავახიშვილი ხაზს უსვამს, რომ სწორედ ეს იყო უმთავრესი მიზეზი და საფუძველი XI-XII სს-ების ქართული სახელმწიფოს სიძლიერისა. ქვეყანაც მაშინ დაკნინდა და დაეცა, როცა ამ პრინციპს გადაუხვიეს.

გიორგი მთაწმინდელი ქრისტიანული მსოფლმხედველობის მოღვაწეა. მთავარი და მნიშვნელოვანი ისაა, რომ მისი შეხედულებანი სცილდება საეკლესიო ცხოვრების ფარგლებს და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას იძენს. აზრი ყოველი დებულებისა ასეთია: მიწიერი ცხოვრება მოსამზადებელი საფეხურია ზეციურისა. დედამიწა მოსაცდელია მარადიულ უსასრულობაში გასამგზავრებლად. ამიტომ მიწიერი უნდა დაითრგუნოს, ხორცი უნდა შეეწიროს სულს. ადამიანი ამქვეყნიურ სიმდიდრეს ისე უნდა უყურებდეს, როგორც ცდუნებას, რომელსაც შეუძლია ადამიანის სული ჯოჯოხეთისათვის შეამზადოს.[1]

ამ სულისკვეთებითაა დაწერილი მისი ორიგინალური ჰაგიოგრაფიული თხზულება „ცხოვრებაი ნეტარისა მამისა ჩვენის იოანესი და ეფთიმესი". მწერალი ხოტბას ასხამს წმინდა მამის ექვთიმეს მიერ შემოღებულ მკაცრ სამონასტრო წესებს, რომლის მიხედვითაც ყიდვა-გაყიდვა, გამდიდრება და მომხვეჭელობა აკრძალული იყო საეკლესიო პირისათვის.

ამასთან დაკავშირებით პროფ. ი. სურგულაძეს ერთი ეპიზოდი მოჰყავს აღნიშნული თხზულებიდან: ექვთიმეს მამასახლისობის დროს ერთ კაცს, როგოც ჩანს, დიდი ქონების მფლობელს, დიდძალი სიმდიდრე შეუტანია მონასტერში და ბერადაც შემდგარა, მაგრამ ძველ მდგომარეობას ბოლომდე ვერ შელევია და მდიდრული სამოსი უჩუმრად შეუნახავს მონასტერში. ექვთიმემ შერისხა ბერი და დაუწვა ტანსაცმელი. ავტორს მართებულად მიაჩნია ექვთიმეს ეს ქცევა.

გიორგი მთაწმინდელმა თავისებური მეთოდოლოგიით გააგრძელა ექვთიმეს მიერ დაწყებული ბიზანტიური მწერლობის ქართულად თარგმნის საქმე. იგი მისდევდა ე. წ. „კლება-მატების" პრინციპს. რაც შეეხება ბიბლიურ წიგნებს, მათ კი ზუსტად თარგმნიდა. იმ დროს და შემდგომ პერიოდშიც განსაკუთრებით პოპულარული იყო ბერძნულიდან ნათარგმნი ბასილი დიდის „ექვსთა დღეთაი", „წამება წმიდისა გიორგისა", „საწინასწარმეტყველო საწელიწადო", „თვენი ათორმეტნივე" და სხვა.

---

[1] მ. ცაცანაშვილი, თეზისები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან. 1996 წ. გვ. 14

გამოჩენილმა საეკლესიო მოღვაწემ და მწიგნობარმა გარკვეული წვლილი შეიტანა საეკლესიო სამართლის ფორმირების საქმეში. მან ქართულად თარგმნა მრავალი საინტერესო ნაშრომი, რომელშიაც ღვთისმსახურთა უფლება-მოვალეობანია ნაჩვენები. ასე, მაგალითად: 1) მცნებაი მღუდელთა მიმართ; რომელიც იწყება „ეკრძალე თავსა შენსა და იხილე მსახურებაი, რომელი მიიღე, რათა აღუსრულო იგი". 2) მცნებაი წმიდისა ჟამისა წირვისაი მღუდელთა მიმართ, რათა არა წარვიდნენ დღესა შინა ორგზის, არამედ ერთგზისა. 3) ბიოგრაფიაში აღნიშნულია „ეპისტოლენი წმიდისა კ... და სხუათა წმინდათა მამათნი განკვეთისათვის ნისტორ უსჯულოაისა". კ. კეკელიძის აზრით, ეს ადგილები შეიძლება ამოწერილი იყოს მესამე მსოფლიო კრების აქტებიდან.[1]

გიორგი მთაწმინდლის ლიტერატურულმა და პრაქტიკულმა მოღვაწეობამ მის სიცოცხლეშივე მოიპოვა აღიარება როგორც საქართველოში, ისე საბერძნეთში. მისმა მოწაფემ, ხუცეს-მონაზონმა გიორგი მცირემ, თხზულებაში „გიორგი მთაწმინდელის ‘ცხოვრება" დაწვრილებით აღწერა ყოველივე. „ყოველნი განაკვირვნა არა ხოლო თუ ქართველნი, არამედ ბერძენნიცა და ასურნი".

მისი საქმიანობა მარტო ლიტერატურული მოღვაწეობით არ ამოიწურებოდა. ბაგრატ IV-ის მოწვევით საქართველოში ჩამოსული ცნობილი საეკლესიო პირი და დიდი განმანათლებელი შეუდგა აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას, ის არავის ინდობდა, ამხილებდა ყოველგვარ უზნეობასა და უსამართლობას. გიორგი მცირე გადმოგვცემს, რომ მან „აღლესა მახვილი მხილებისა მეფეთა მიმართ მრავალთა უწესოებისათვის". პირველ რიგში, გაილაშქრა საეკლესიო ცხოვრების მანკიერი მხარეების წინააღმდეგ. მაგალითად, საეკლესიო თანამდებობის გაყიდვა, ამ ადგილებზე უმეცარი და მოუმზადებელი არსების მოსვლა, მსხვილი ფეოდალების მიერ მაღალი საეკლესიო თანამდებობის დაკავება და ა. შ.

გიორგი მთაწმინდელი, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, იყო გლახაკთა მოსარჩლე და ქომაგი. „ის მოითხოვდა გლახაკთა განკითხვას... მდიდართ ასწავებდა წყალობას გლახაკთა" (გიორგი მცირე). ცნობილია, რომ მან დაბალ წრეებში შეაგროვა 80 ობოლი ბავშვი და ათონში წაიყვანა აღსაზრდელად, რათა მომავალში უღირსი საეკლესიო მოხელენი უგვარო, მაგრამ ღირსეული პირებით შეეცვალა. „გიორგი მცირე ასე ამართლებს ბავშვების წაყვანას ათონში: იოსები მონა იყო და ეგვიპტის მეფე გახდა, ხოლო დავითი მწყემსი იყო და ისიც მეფე და

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1980, გვ 282.

წინასწარმეტყველი გახდა, ე. ი. ყველაფერი ადამიანის პირად ღირსებაზეა დამოკიდებული და არა სიმდიდრესა და შთამომავლობაზეო".[1]

კონსტანტინეპოლში წამოეწია გიორგი მთაწმინდელს ბედისწერა. მოტირალ ბავშვთა სამგლოვიარო პროცესიამ მისი ცხედარი ათონზე დაასვენა.

ასე დაასრულა ცხოვრება დიდმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ. მან შთამომავლობას მრავალი ორიგინალური და ნათარგმნი თხზულება დაუტოვა, ბედი პოეზიაშიც სცადა. აქტიურად იღვაწა საზოგადოებრივ სარბიელზე და საეკლესიო სამართლისა და პოლიტიკური მოძღვრების ისტორიის განვითარების საქმეშიც თქვა თავისი სიტყვა.

---

[1] ი. სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, 1986 წ. გვ 75.

ლეონტი მროველი

ლეონტი მროველი, რუისის ეპისკოპოსი, XI საუკუნეში მოღვაწეობდა. იგი ფრიად განათლებული საეკლესიო მოღვაწე, მწერალი, მწიგნობარი, ისტორიკოსია. იყო საერო, საისტორიო, საეკლესიო და აპოკრიფული მწერლობის ჩინებული მცოდნე, კარგად ფლობდა ბერძნულსა და სპარსულ ენებს.

მისი ნაწარმოებები ჰაგიოგრაფიული ხასიათისაა—„წამება არჩილ მეფისა," „ცხოვრება ნინოსი". თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მკვლევარს ამ ნაწარმოებთა აკტორად სულ სხვა, VIII ს-ში მოღვაწე ლეონტი მროველი მიაჩნია.

ვრცელ ისტორიულ ნაწარმოებში „მეფეთა ცხოვრება", რომელიც შესულია „ქართლის ცხოვრებაში," მოთხრობილია ქართველთა თავგადასავალი მსოფლიო ისტორიასთან კავშირში უძველესი ხანიდან V ს-მდე. მროველი აქ იყენებს ქართულ, ბერძნულ და სპარსულ წყაროებს. ეს თხზულება საინტერესოა ბელეტრისტული თვალსაზრისითაც, აკტორს მომარჯვებული აქვს გამონაგონზე დამყარებული მხატვრული თხრობის ხერხი, ნაწარმოებებში შემოაქვს საფალავნო-საგმირო და ფანტასტიური ამბები...

ლეონტი მროველს ბერძნულიდან აქვს ნათარგმნი მაგ. „თქმული წმინდისა მამისა ჩვენისა ეფრემისა, თარგმანი დაბადებისათვის ცისა და ქვეყნისათვის და ადამისათვის, ვითარ მისცვალეს გვამი მისი და დამარხეს გოლგოთას და ცვალება ნათესავთა". ესაა ერთ-ერთი რედაქცია ეფრემ ასურის „განძთა ქვაბისა", ეს აპოკრიფი მთარგმნელს ესაჭიროებოდა საქართველოს ისტორიის მსოფლიო ისტორიასთან დასაკავშირებლად და უხვადაც გამოიყენა „მეფეთა ცხოვრებაში".

ლეონტი მროველის შემოქმედება ემყარება ქრისტიანულ მსოფლმხედველობას. ჩვენთვის საინტერესოა სახელმწიფოს წარმოშობის მისეული გაგება. ამ საკითხთან მჭიდროდაა დაკავშირებული ლეონტის შეხედულება კავკასიის ხალხთა ნათესაობის იდეასთან, მეფის ხელისუფლებისა და მისი ადმინისტრაციის წარმოშობის ისტორიასთან.

ლეონტის თეორიით, ქართველები შთამომავლობით ბიბლიის მამამთავრებს ენათესავებიან, მათი მამამთავარი იყო თარგამოსი, შვილი თარშისა, ხოლო ეს უკანასკნელი შვილიშვილი იაფეტისა, იაფეტი,

სემი და ქამი ნოეს შვილიშვილები იყვნენ. თარგამოსს ჰყავდა შვილები: ჰაოს, ქართლოს, მოვაკან, ლეკოს, ჰეროს, კავკასოს, ეგროს. თარგამოსის თითოეული შვილიშვილი კავკასიის სხვადასხვა ხალხის ეთნარქი იყო. ქართლოს საქართველოში დამკვიდრდა. მას ჰყავდა ხუთი შვილი: მცხეთოს, გარდამოს, კახოს, კუხოს და გაჩიოს.[1] ლეონტი მროველისეულ მოსაზრებებს არ იზიარებს დიდი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი. იგი თავის შრომებში: „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები", ასევე „საქართველოს სახელმწიფო და სოციალური წყობილება"—წერს, რომ ლეონტი მროველის თეორიით მეფობის წარმოშობის შესახებ საქართველოში, ისე გამოდის, რომ უკვე ქართველთა პირველი მამამთავარი ქართლოს იყო თავისი ძმების „გამგე და უფალი" და მის მემკვიდრეთა ყოველ თაობაში უხუცესი შვილი უზენაესი უფლებით იყო მოსილი. მხოლოდ როდესაც მცხეთოს გარდაიცვალა და მის მაგიერ მისი უფროსი ძმა უნდა გამეფებულიყო, სახელად უფლოსი, მაშინ მას აღარ დაემორჩილნენ და არეულობა დაიწყო. ამ დროს, ლეონტი მროველის სიტყვით, ქართლში მეფის ხელისუფლება მოისპო. უმეფობა ვითომც ფარნავაზამდე გაგრძელდა, რომელმაც მეფის ხელისუფლება კვლავ აღადგინა და საქართველოში მტკიცე სახელმწიფო წესწყობილება შექმნა".[2] ივანე ჯავახიშვილის აზრით, ეს თეორია და სქემა, რომელსაც ლეონტი მროველი გვთავაზობს, თითქოს მეფობა დასაწყისისთაგანი დაწესებულება ყოფილა, ერთ ცოლ-ქმრიანი ოჯახის საფუძველზეა აღმოცენებული და პირმშობისა და პირდაპირი მემკვიდრეობის კანონზე დამყარებული, ქართული ისტორიული ცხოვრების სინამდვილის ანარეკლს არ წარმოადგენს, არამედ იმ დროს აღმოსავლეთში გაბატონებული თეორიების მიხედვითაა შეთხზული და ეფრემ ასურის თხზულების „განძთა ქვაბის" მიმბაძველობაა.

ანალოგიურ აზრს ავითარებს პროფ. ივანე სურგულაძე, რომელიც წერს: „აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლეონტი მროველის თხრობა თარგამოსის შთამომავლობის შესახებ ხელოვნურად არის შეთხზული და ლეგენდარულ ხასიათს ატარებს. მაგრამ ამ ზღაპრულ თხრობაში ავტორს კავკასიის ხალხები ერთმანეთის ნათესავებად გამოჰყავს. ეს კი ერთგვარი ქადაგებაა ამ ხალხების ძმობისა და მეგობრობისა".[3]

ივ. ჯავახიშვილი ასევე ეჭვის თვალით უყურებს ლეონტი მროველის მოსაზრებას საქართველოში წოდებრიობის გაჩენის საკითხზეც. მას სცოდნია, რომ წოდებრივი დანაწილება და უთანასწორობა მერ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 3-9

[2] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VI, თბ. 1982, გვ. 126

[3] ივ. სურგულაძე, საქართველოს პოლ. მოძღვრებათა ისტორიიდან, 1986, გვ. 76.

მინდელი და არა პირველადი მოვლენაა. მთელი ქართველი ერი „ქართლოსიანნი“ მას თანასწორად მიაჩნდა, აზნაურობა შემდეგშია გაჩენილი, ამასთანავე, ლ. მროველის სიტყვით, საქართველოს ცხოვრებაში უცხო ძალის შეჭრის შემდგომ, აზნაურნი იმ 1000 ბერძენი მხედრის შთამომავალნი არიან, რომელნიც ვითომც ალექსანდრე მაკედონელმა აზონს მცხეთაში დაუტოვა. როდესაც ფარნავაზი აზონს განუდგა, მაშინ ეს 1000 კაცი ფარნავაზს მიემხრო და მათი დახმარებით ფარნავაზმა აზონი დაამარცხა. ამიტომ, ფარნავაზს ეს მხედრიონი დაუწინაურებია და დაუსაჩუქრებია, მამული და სამფლობელო მიუცია და სახელად აზნაური უწოდებია. ივ. ჯავახიშვილი უპირატესობას ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის მიერ იბერიის შესახებ გადმოცემულ ცნობებს ანიჭებდა. სტრაბონის მიხედვით, იბერიაში თუ აღმოსავლეთ საქართველოში ოთხგვარი მოსახლეობა ყოფილა—პირველნი, ვისაც მეფეებად სვამენ, სახელდობრ, გარდაცვლილი მეფის ნაცვლად წლოვანებითა და მახლობელობით უხუცეს წევრს, ამავე წესით მეფის შემდეგ მეორე პირი მოსამართლეობდა და სარდლობდა. მოსახლეობის მეორე წრეს ქურუმები შეადგენდნენ, რომელთაც მეზობელ ქვეყნებთან საქმეების მოწესრიგებაც ებარათ. მესამე წრეს ისინი შეადგენდნენ, ვინც სამხედრო საქმეს და მიწათმოქმედებას მისდევდნენ. მეოთხე წრეს კი მეფის მსახურნი წარმოადგენენ და ემსახურებიან მას. ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად თვლის, რომ არც სტრაბონს აქვს სრულყოფილად აღწერილი მაშინდელი საქართველოს სოციალური ფენები, რადგანაც, როდესაც იგი საერთოდ იბერიას აღწერს, მიუთითებს, რომ საქართველო საქალაქო დაწესებულებებით, მშვენიერი შენობებითა და სავაჭრო მოედნებით, გზებითა და ხიდებით მოფენილი ყოფილა, ამდენად მას გამორჩენილი ჰყავს ქალაქის მცხოვრებთა და სავაჭრო მრეწველთა ფენები, რომლებიც მაშინ უკვე არსებობდნენ.

მიუხედავად ამისა, ლეონტი მროველის თხზულებები და თარგმანები საინტერესო მასალებს გვაწვდის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

ასევე საინტერესო მასალებს გვაწვდის ლეონტი მროველი ფარნავაზის შესახებ. მისი თქმით, იგი იყო „მამულად ქართველი“, ძმისწული მცხეთის მამასახლისის სამარის, ალექსანდრე მაკედონელის შემოსევის დროს სამარი მოკლეს, ხოლო დედამ სამი წლის ფარნავაზი მთებში გახიზნა, შემდეგ ფარნავაზი ათავისუფლებს ქართლს და მისი მეფე ხდება. ლეონტი მროველის აზრით, ქართლში ფარნავაზის დროს სპარსთა მიმსგავსებული სახელმწიფოა შექმნილი. მისი კონცეფციით, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება მამასახლისობის და მე-

ფობის პერიოდი საქართველოში. ივ. სურგულაძის გამოკვლევით, ფარნავაზის გამეფებამდე ჩვენ საქართველოში ვერ ვხვდებით ისეთ ნიშანდობლივ ელემენტს, რომელიც სახელმწიფოსათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ პერიოდის საქართველოში უკლასო საზოგადოებაა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში საუბარია სახელმწიფო ხელისუფლების შეცვლაზე, ახალი სამეფოსამოხელეო აპარატის შექმნაზე და არა სახელმწიფოს წარმოშობაზე საერთოდ.

ამ ბოლო ხანს ლეონტი მროველთან დაკავშირებით წარმოიშვა ზოგიერთი გაუგებრობა, რაც შეეხება სახელმწიფოებრიობის წარმოშობას და სომეხ-ქართველთა ურთიერთობას. რიგი მკვლევარები თავიანთი ინტერპრეტაციით იყენებენ ლეონტი მროველის გადმოცემას თარგამოსის უფროსი შვილის—ჰაოსის მიერ სომეხი ერისა და სახელმწიფოს დაარსებისა და ამით სომხური ეთნოსის და სომხური ენის კავკასიაში პირველობისა და გაბატონების შესახებ. როგორც ცნობილია, ლეონტი მროველის ეს ლეგენდა სამართლიანად უარყვეს ჯერ კიდევ XIX საუკუნეში. დიდი ილია ყოველთვის მოითხოვდა ასეთი ცნობებისადმი კრიტიკულ მიდგომას და მათი მეცნიერული ანალიზის აუცილებლობას ყოველთვის წინა პლანზე აყენებდა. ჯერ კიდევ მაშინ ზოგიერთ სომეხ ავტორს აქედან მეტად შორსგამიზნული დასკვნები გამოჰყავდა და ამტკიცებდა, რომ ქართული ენა და დამწერლობა სომხურიდან წარმოიშვა და საერთოდ, ლეგენდარულ ადამ და ევას—კაცობრიობის უპირველესი წინაპრები სომხები იყვნენ და სომხურად ლაპარაკობდნენ და ამიტომ, მსოფლიოს ყველა ხალხების ენები სომხურიდან წარმოიშვნენო. ასეთი ვულგარული, ანტიმეცნიერული მტკიცების წინააღმდეგ ჯერ კიდევ სოლომონ დოდაშვილი წერდა თავის ახლადდაარსებულ ჟურნალში—„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“: „თუმცაღა რომელნიმე მწერალნი, საკუთრად სომეხთაგანნი ამტკიცებენ, რომელ ქართველნი ძველს დროში ლაპარაკობდნენ სომხურს ენასა ზედა... და ლექსნიც (ე. ი. ანბანი, დამწერლობა—გ. ლ.) ქართულისანნი სომხურიდან არიან გადმოღებულნიო“...

და აქ სოლომონ დოდაშვილი, რომ იტყვიან, „იუმორისტულ სტილში“, მაგრამ უაღრესად ღრმა მეცნიერული და ლოგიკური სიღრმით ააშკარავებს ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის დამცირებისაკენ მიმართულ ამ თეორიის ავტორთა მთავარი არგუმენტის აბსურდულ ხასიათს: „ჩვენ არა ძალგვიძს ბაასი სომეხთა თანა, ვინაითგან იგინი უბნობენ, რომელ თვით ადამ ლაპარაკობდა სომხურს და სომხური ენიდან იწარმოა ყოველი ენა“. მართლაც რომ ძნელია, ასე-

თი, რბილად რომ ვთქვათ, ანტიმეცნიერული, საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებელი, გამოგონილი არგუმენტების წინააღმდეგ სერიოზული კამათი.

ლეონტი მროველს ახლაც და ადრეც ხშირად აბრალებენ და შეიძლება არცთუ უსაფუძვლოდ, არმენოფილობას, ისევე როგორც, სხვათა შორის, შუა საუკუნეების ცნობილ ისტორიკოსს ფარსადან გორგიჯანიძეს. მაგრამ ჩვენ აქ გვინდა მკითხველს შევახსენოთ ილია ჭავჭავაძის ერთი მეტად ნიშანდობლივი მეთოდოლოგიური მითითება: „ჯერ იმ დროების ქურქში უნდა ჩავჯდეთ და მერე განვიკითხოთ ამ დროების შვილნიცა". ლეონტი მროველი საქართველოს „ოქროვანი ხანის" იმ დროებაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, როცა, ერთი მხრივ, საქართველოს ძლიერი, ცენტრალიზებული ქართული სახელმწიფო ყალიბდებოდა, ხოლო მეორე მხრივ, სომხური სახელმწიფოებრიობა მოისპო და სომეხი ხალხი, ფაქტიურად, არაბულ-თურქული აგრესიის და მათი მუდმივი გენოციდური პოლიტიკის მსხვერპლი გახდა. ასეთ პირობებში საქართველოს მაშინდელ პოლიტიკურ ლიდერებს, საზოგადო მოღვაწეებს და მოაზროვნეებს არ შეიძლება არ გასჩენოდათ მეზობელი ხალხისადმი თანაგრძნობისა და დახმარების სურვილი. ცნობილია, რომ სომეხი ხალხი და მისი საუკეთესო წარმომადგენლები, მათ შორის მაშინდელი სომეხი ისტორიკოსებიც, დავით აღმაშენებელს „სომეხთა მხსნელსა და გადამრჩენს" უწოდებდნენ.

ისე რომ, ლეონტი მროველის თეორიაც თარგამოსის 8 შვილისა და მათგან ჰაოსის უფროსობის შესახებ, ბევრწილად, ალბათ, დროების ამ ფაქტორებითაც იყო გაპირობებული. რაც შეეხება ამ თეორიიდან ზოგიერთი ავტორის მიერ გამოყვანილ შორსმიმავალ პოლიტიკურ დასკვნებს, მათ შორის—ქართული ენისა და დამწერლობის სომხური წარმომავლობის შესახებ, იგი უდავოდ ანტიმეცნიერული, სუბიექტური ჰიპოთეზაა და მეტი არაფერი. მის გასაბათილებლად მარტო ისიც კმარა, რომ სომხური ენა ენათა სრულიად სხვა ჯგუფს (ინდო-ევროპულს) განეკუთვნება და აბსოლუტურად განსხვავდება ქართული და იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფის სხვა ენებისაგან. საერთო-კავკასიური ისტორიული ტრადიციითაც, კავკასიის ხალხებში სომხები და სომხური ენა, ისევე როგორც ოსები და ოსური ენაც, ინდო-ევროპულ ჯგუფში გაერთიანებული მკვიდრი, კავკასიური წარმოშობის აბორიგენულ ეთნოსს არ განეკუთვნება. სხვათა შორის, კავკასიურ ლიტერატურაშიც რელიეფურად არის ასახული ეს ეთნო-კულტურული სხვაობა, მაგალითად, ქართულ ლიტერატურაში იგი ყველაზე მკაფიოდ გამოკვეთეს ვაჟა-ფშაველამ და ალექსანდრე ყაზბეგმა.

ლეონტი მროველის „კავკასიური სახლის“ და კავკასიის ხალხთა „ძმობისა და ერთობის“ იდეა უაღრესად აქტუალური პოლიტიკური საკითხია დღეს და იგი ორგანულად ჯდება „მშვიდობიანი კავკასიის“ იმ კონცეფციაში, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა წამოაყენა, როგორც სამოქმედო პროგრამა. მან ფართო მხარდაჭერა ჰპოვა მსოფლიო პოლიტიკურ წრეებში, მათ შორის, კავკასიის ხალხებში. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ამ იდეის პრაქტიკულ განხორციელებას ბევრი წინააღმდეგობაც ხვდება როგორც თვითონ ჩვენს რეგიონში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ეს არც არის გასაკვირი: როგორც გლობალური, ისე რეგიონალური ინტეგრაციული პროცესები ყველგან და ყოველთვის წინააღმდეგობების გზით მიმდინარეობს და პოლიტიკური ხელმძღვანელობის არსი და მნიშვნელობაც იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ კავკასიაში მცხოვრებმა თითოეულმა ხალხმა და ქვეყანამ შესძლოს ამ წინააღმდეგობის გადალახვა და კავკასიის ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფა.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ შეხედულებათა შესახებ

მთელი XI საუკუნის მანძილზე საქართველო რთულ საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში იმყოფებოდა, რადგან მეზობელ დიდ სახელმწიფოებს არ სურდათ მათ გვერდით ყოფილიყო ერთიანი ძლიერი საქართველო. განსაკუთრებით მწვავე ბრძოლები წარმოებდა ბიზანტიის წინააღმდეგ.

ასევე შეუპოვრად იბრძოდა საქართველო თურქ-სელჯუკებთან, რომელნიც ინტენსიურად არბევდნენ ქვეყანას XI საუკუნის 60-იანი წლებიდან.

XII საუკუნის დასაწყისისათვის ქვეყანამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა ცენტრალიზირებული სახელმწიფოს განმტკიცებისა და უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ამას ხელს უწყობდა ევროპის ხალხთა ლაშქრობები აღმოსავლეთში. ჯვაროსანთა ომების გამო თანდათანობით შენელდა თურქებისა და ახლო აღმოსავლეთის მუსულმანთა ექსპანსია საქართველოს წინააღმდეგ.[1]

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უსწრებდა საეკლესიო გაერთიანება. იმ დროს, როდესაც ტაო-კლარჯეთი, კახეთი, ჰერეთი ჯერ კიდევ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ, ეკლესიურად ყველა ესენი მცხეთის ტახტს ექვემდებარებოდნენ, ხოლო დასავლეთ საქართველოს ეკლესია, რომელიც მანამდე ბიზანტიას ექვემდებარებოდა, X საუკუნის შუა წლებში მცხეთას დაექვემდებარა.

გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III (975-1014 წ.წ.) და მისი მემკვიდრეები—გიორგი I (1014-1027), ბაგრატ IV (1027-1072) და გიორგი II (1072-1089) თითქმის მთელი XI საუკუნის განმავლობაში შეუპოვრად ებრძოდნენ შინაურ მტრებს თუ უცხო დამპყრობლებს სახელმწიფოს ერთიანობის შესანარჩუნებლად.

სწორედ XI საუკუნის ბოლოს საქართველო ახალ ისტორიულ სიმაღლეს აღწევს, კერძოდ, ფეოდალიზმის განვითარების არნახული დაწინაურება იწყება, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის პოლიტიკური, სოცი-

[1] პ. ინგოროყვა, ტ. IV, გვ. 14

ალური და კულტურული აყვავების გარანტად იქცა. მართალია, წინაპართ უთქვამთ, „დრონი მეფობენ და არა მეფენიო", მაგრამ დროსთან ერთად მეფესაც და გამგებელსაც უდიდესი ადგილი უკავია ერის ცხოვრებისა და მისი მომავლის სამჭედლოში. ასეთი მეფის მოსვლა რეალურ ხელისუფლებაში იყო დავით IV აღმაშენებლის გამეფება საქართველოში (1089-1125). პროფ. ვ. აბაშმაძე პარალელებს ავლებს მაშინდელ მსოფლიო მეფეთა მოღვაწეობასთან და აღნიშნავს: ფეოდალიზმის ეპოქის დიდი თეორეტიკოსი და მოაზროვნე დავით აღმაშენებელი იმ დროს მოღვაწეობდა საქართველოში, როდესაც ძველ რუსეთში ვლადიმერ მონომახი (1113-1125) ცდილობდა ერთიანი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შექმნას, საბერძნეთში ალექსი კომნენოსს (1081-1112) უჭირდა ძალაუფლების შენარჩუნება, ინგლისში ჰენრიხ I-ის (1100-1135) ცდას ძლიერი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შესაქმნელად შედეგი არ მოჰყოლია, გერმანიაში ჰენრიხ V (1106-1125) ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების შექმნისათვის ბრძოლაში მსხვილ ფეოდალებთან დამარცხებული, იძულებული ხდება 1122 წელს კომპრომისული ხელშეკრულება დადოს რომის პაპთან, ხოლო საფრანგეთში ჯერ კიდევ ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდია, მეფე ლუი მე-6 (1108-1137) დამოუკიდებლად ვერ მართავს ქვეყანას და იძულებულია ხელისუფლება გაუნაწილოს აბატ სუ გერის, თანაც, მხოლოდ იმას ახერხებს, რომ იმორჩილებს ზოგიერთ ფეოდალს სამეფოს შიგნით.[1] კ. გამსახურდია წერდა: „დავით მეფის ბრწყინვალე ფიგურას არც ესაჭიროება „მონსტრუალობა". იგი თავისი ეპოქის უმამაცესი და უგანათლებულესი სუვერენი იყო ამ ძნელ საუკუნეებში, როცა გერმანიის იმპერატორები ითვისებენ წერა-კითხვას. ცნობილია: კარლოს დიდმა მიხრწნილობისას ძლივს ისწავლა თურმე ხელისმოწერა, ხოლო სელჯუკიანთა დიდი სულტანები თოღრულბეგი ალფასლანი და მალიქ-შაჰ სავსებით უწიგნურნი იყვნენ".[2]

დავით აღმაშენებლის გამეფებამდე საქართველო რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, რაც მომთაბარე და ველური ტომების სისტემატური თავდასხმებით იყო გამოწვეული. 1080 წ. დაწყებულმა „დიდმა თურქობამ" საქართველო ყოფნა-არყოფნის პირას დააყენა. თურქთაგან შევიწროებული და დაშინებული ხალხი მთებში და ტყეებში იყო გახიზნული, ვინც გასვლა ვერ მოასწრო, ციხეებში ჩაიკეტნენ, შიმშილითა და უწყლობით გაწამებულნი სულს ღაფავდნენ, სოფლები გაუკაცრი-

[1] ვ. აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, თბ. 1993 წ. გვ. 70
[2] კ. გამსახურდია, დავით აღმაშენებელი, წ. I, თბ. 1989, გვ. 454

ელდა, სასოფლო სამეურნეო სამუშაოები აღარ მიმდინარეობდა, სახნავ-სათესი ეკალბარდებმა გადაფარეს, კაცთა მაგივრად ნადირი მომრავ-ლდა. ამ მდგომარეობას ერთი დიდი უბედურებაც დაემატა—მოხდა დიდი მიწისძვრა და ხალხი უკიდურეს გასაჭირში ჩააგდო.

1089 წელს გახდა დავითი თექვსმეტი წლისა და მეფე გიორგი მეორემ საქართველოს სამეფო გვირგვინიც გადასცა მას.

დრო არ ითმენდა და მეფე დავითიც ამოქმედდა, მის წინაშე სას-წრაფოდ გადასაწყვეტი ორი ამოცანა იდგა: ქვეყნის საშინაო საქ-მეების მოგვარება და თურქ-სელჯუკებისაგან ქვეყნის გაწმენდა.

მეორე პრობლემის გადაწყვეტა პირველის მოუგვარებლად არ მოხერხდებოდა, ამიტომაც თავის გარშემო ერთგული და ქვეყნის პატ-რიოტი ადამიანების შემოკრება დაიწყო. შექმნა მცირე ლაშქარი და მოულოდნელად ესხმოდა თავს ქართლში მყოფ თურქებს, ანადგუ-რებდნენ და დევნიდნენ მათ საქართველოდან, ხალხი გამოჰყავდათ სამალავთაგან, ისევ სოფლად აბრუნებდნენ და ასახლებდნენ. ოთხი წლის განმავლობაში დავითმა ფეხზე დააყენა ქართველობა. ასე დაიწ-ყო ქვეყნის კულტურული და პოლიტიკური ძლიერება საქართველოში. ამის თაობაზე ილია ჭავჭავაძე წერდა: დავით აღმაშენებელმა, „ამ მართლა დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას, აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა და დღეს თუ ჩვენს ბინაზედ ვართ, ეს იქნება იმისი ღვაწლი".[1]

თვითონ მეფე დავითი უაღრესად განათლებული და განსწავლული პიროვნება გახლდათ, თუმცა თავის თავს „უსწავლელს" და „სწავლუ-ლებისა და მეცნიერებისაგან" დაშორებულს ეძახის. მას საკმაოდ კარგად ჰქონდა შეთვისებული საერო მეცნიერება, ვარსკვლავთმრიცხველობა, ისტორია, სისტემატურად კითხულობდა მაჰმადიან პოეტთა და მეცნი-ერთა თხზულებებს. საფუძვლიანად იცნობდა საეკლესიო მწერლობასა და ღვთისმეტყველებას, შესანიშნავად იცოდა ყურანი, უყვარდა წიგ-ნების კითხვა, განსაკუთრებით ჰყვარებია „წიგნი სამოციქულო", რო-მელსაც წელიწადში ოცდაოთხჯერ კითხულობდა, ყველაფერს აკე-თებდა, რომ ხელი შეეწყო ქვეყანაში სწავლა-განათლებისა და მწერ-ლობის განვითარებისათვის. გარდა ამისა საზღვარგარეთულ ქართულ-მონასტრებს, სადაც ქართული მწერლობა ღვიოდა, ის უხვ შეწირულო-ბებს უგზავნიდა. საქართველოში მან „მდიდრად შეკრიბა საღმრთონი წერილნი, რაოდენნი პოვა გარდმოღებულად ენასა ქართულისასა სხუათა ენათაგან ძველნი და ახალნი", ხოლო რუის-ურბნისის კრების შემდეგ,

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. IV, გვ. 182

1106 წელს „მოიგონა აშენება მონასტრისა და ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლელსა“, ააგო გელათის ტაძარი, „აღმატებული ყოველთა ქმნილებათა“, სადაც მოიწვია საქართველოსა და უცხოეთში მოღვაწე მეცნიერები და იგი აქცია საქართველოს კულტურის, მწერლობისა და სწავლა-განათლების უმაღლეს ცენტრად. დავითის მეცადინეობითა და ძალისხმევით აიხსნება ის მოვლენა, რომ მის მეფობაში ქართულ საეკლესიო მწერლობას ფართო ასპარეზი მიეცა და ამ მხრივ დავითის ეპოქას ბადალი არ ჰყავს ჩვენს ისტორიაში.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის შესწავლისათვის ძირითად წყაროებს წარმოადგენს უცნობი ავტორის თხზულება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, რუის-ურბნისის კრების დადგენილება, კრების მიერ მიღებული სამადლობელი ქებათა-ქება დავით მეფისადმი, 1123 წელს შიო მღვიმის მონასტრისადმი ბოძებული ანდერძი, გარდაცვალების წინ დატოვებული ანდერძი და მისი ორიგინალური ლექსი „გალობანი სინანულისანი“. რამდენადაც ზემოაღნიშნული ისტორიული ძეგლები შედგენილია უშუალოდ დავით აღმაშენებელის მითითებით, მათში ასახულია დავით მეფის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა. დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მოღვაწეობის ისტორიის უმთავრეს წყაროთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია თხზულება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ და „გალობანი სინანულისანი“.

ჩვენამდე მოღწეული ისტორიული წყაროები მოწმობს,—წერს პროფესორი ვ. აბაშმაძე,—რომ დავით აღმაშენებელის მიერ განხორციელებული ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმებით, რაც მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნას, იგი არა მარტო XI-XII საუკუნეების მეფეთა შორის ერთ-ერთი უნარიანი და ნიჭიერი მეფეა, იგი ფეოდალიზმის ეპოქის ერთ-ერთი თეორეტიკოსი და მოაზროვნეცაა. დავით აღმაშენებელი ერთი პირველთაგანია შუა საუკუნეების იტორიაში, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ფეოდალიზმის ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაციის სისტემის სრულყოფის საქმეში, მტკიცედ ჩამოაყალიბა საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიისათვის ფეოდალიზმის მმართველობის თითქმის უცნობი ფორმა—აბსოლუტიზმი და მეცნიერულ საწყისებზე დაასაბუთა მისი, როგორც ახალი პოლიტიკური წყობილების, უპირატესობა ფეოდალურ დაქუცმაცებულობასთან შედარებით. დავით მეფე საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამეფო ხელისუფლების განხორციელებისას ხელმძღვა-

ნელობდა სახელმწიფოს შესახებ მეცნიერებით, რომელიც ემყარებოდა წინა ეპოქების ცნობილ მეფეთა პრაქტიკული საქმინაობის გამოცდილებას.[1]

ახალგაზრდა მეფემ შესძლო ძლიერი ფეოდალების თავხედობის აღკვეთა, გარეშე მტრების არა მარტო განდევნა, არამედ მათში შიშის დანერგვა, მეზობელი ქვეყნები ცდილობდნენ საქართველოსთან კეთილგანწყობაში ყოფილიყვნენ. შედეგად დავითს საშუალება მიეცა დიდი რეფორმები განეხორციელებინა ქვეყანაში (საეკლესიო, სამხედრო, სახელმწიფო-პოლიტიკური, სამართლებრივი და ა. შ.). სამხედრო ძლიერების განმტკიცებამ მოითხოვა ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლებისათვის ახალი იდეოლოგიის შემუშავება. განიხილავს და აანალიზებს რა დავით აღმაშენებლის პერიოდს, დიდი ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი წერს: ცხადია, რაც უფრო და უფრო მეტად იზრდებოდა და ფართოვდებოდა საქართველოს მეფეთა საბრძანებელი, მით უფრო მეტი საჭიროება იქმნებოდა, მეფობის უფლებისათვის მტკიცე და შეურყეველი ნიადაგი მოეპოვებინათ, იმიტომ, რომ ქართველ მეფეებს თავიანთი ხელისუფლების განსამტკიცებლად ძლიერ ფეოდალებთან და აზნაურებთან უხდებოდათ ბრძოლა და ამ გამწვავებული ბრძოლის მოსაგებად მარტო მკლავ-ხმლის ძალა არ კმაროდა. ქართველ მეფეებს კარგად ესმოდათ, რომ ამისთვის ზნეობრივი ძალებიც აუცილებლად საჭირო იყო.[2]

დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მოძღვრება, ისე, როგორც ჩვენს მიერ განხილულ სხვა მოღვაწეთა მოძღვრებები, ეყრდნობა ქრისტიანულ იდეოლოგიას. დავით მეფე დიდი ღვთისმორწმუნეა და მისი ღრმა რწმენით, ღმერთი არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებსაც, ღვთის ნებაა მეფეთა ტახტზე ასვლა, ღმერთი აძლევს მეფეს ნიჭსა და უნარს, გაიმარჯვოს მტერზე, მართოს ქვეყანა და ა. შ. დავით მეფის მითითებით შედგენილ ყველა სამართლის ძეგლსა თუ დოკუმენტში იგრძნობა უაღრესად მოკრძალებული დამოკიდებულება ღვთისადმი: „პირველად შენ დაუსაბამოო და უსასრულო ღმერთო, მოაწიე რისხვაი შენი დაუსრულებლად მის ზედა".[3]

დავით აღმაშენებელი ღრმად არის დარწმუნებული, რომ სამეფო ხელისუფლების განხორციელებისას იგი ღმერთის თანაგრძნობითა და წყალობით სარგებლობს, თუმცა, რადგანაც, შუა საუკუნეების რელი-

---

[1] ე. აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, 1992 წ. გვ. 73
[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგ. II, ნაკ. II, თბ. 1929
[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 1965 (შიო მღვიმის მონასტრისადმი).

გიური მოძღვრების მიხედვით, ყოველი ადამიანი ცოდვილია, მასაც არ მიაჩნია თავი წმინდანად, მაგრამ თავისი დიდი სახელმწიფოებრივი საქმეების სამართლიანობასა და უძლეველობაში დარწმუნებულს სწამს, რომ ყოვლისშემძლე ღმერთი იხსნის მას ამქვეყნიური ცოდვებისაგან. დავით აღმაშენებელი ფეოდალური დაქუცმაცებლობის დაძლევის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა დათრგუნვისა და სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტის ამაღლების მიზნით თავის ამ ზოგადფილოსოფიური მსოფლმხედველობის განმსაზღვრელ მოსაზრებას მოხერხებულად იყენებს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების წარმოშობის ასახსნელად. მისი აზრით, სამეფო ხელისუფლება ღვთაებრივი წარმომავლობისაა, ღმერთი გადასცემს მეფეებს სახელმწიფოებს მართვა-გამგეობისათვის და ამავე დროს იგი უმაღლესი მეფეთა-მეფე და ამქვეყნიური გამგებელია.[1] „ბუნებითსა რაჲ პორფირსა თვითმფლობლობასა თანა, მეფობისაცა შარავანდედნი მარწმუნენ".[2]

დავით აღმაშენებელს რამდენადაც სწამს, რომ მეფენი ღვთის ნებას ასრულებენ დედამიწაზე და მხოლოდ ღმერთზე არიან დამოკიდებულნი, იმდენადაც სამეფო ხელისუფლებისადმი მიმართული უკანონო მოქმედება ღვთის ნების წინააღმდეგ გალაშქრებას ნიშნავს, ამიტომაც იგი ყოველთვის მკაცრია მათდამი, ვინც მახვილს აღმართავს სამეფო ხელისუფლებისა და ქვეყნის ინტერესების საწინაღმდეგოდ.

პროფ. ვ. აბაშმაძის განმარტებით, სამეფო ხელისუფლების ღთაებრივი წარმოშობის თეორია არსებითად განსაზღვრავს დავით აღმაშენებლის მოსაზრებას საერო და საეკლესიო ხელისუფლებას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების საკითხებში. დავითი დარწმუნებულია, რომ ეკლესიები და მონასტრები ფეოდალურ საზოგადოებაში ის უმთავრესი დაწესებულებებია, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეშევრდომთა სულიერი ცხოვრების ყველა მხარეს და მათ პოლიტიკურ დატვირთვასაც აძლევს. სწორედ ეკლესიები და მონასტრები ასრულებენ შუამავლის როლს ღმერთსა და სამწყოსს შორის, მაგრამ როგორც ქვეყნის მეფე და გამგებელი, დავითი დარწმუნებულია, საერო ხელისუფლება იმდენად ძლიერი უნდა იყოს, რომ ყოველთვის მაღლა იდგეს სასულიეროსთან შედარებით. დავითს შეგნებული აქვს, რომ როდესაც ძლიერია საერო ხელისუფლება, მეფემ უნდა იზრუნოს, ხელი შეუწყოს და გააძლიეროს სასულიერო ხელისუფლება, რადგანაც ქვეყნის სიმტკიცე, სიძლიერე დამოკიდებულია არა მარტო ძლიერ ჯარზე, არამედ ქვეშევრდომ-

[1] ვ. აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, თბ. 1992 წ.
[2] დავით აღმაშენებელი, „გალობანი სინანულისანი"

თა სულიერ სიწმინდეზე, რწმენაზე ღვთისადმი და თუ ეს ასე იქნება, ქვეშევრდომები ყოველთვის მოსარჩლე და მოწყალე იქნებიან სამეფო ხელისუფლებისადმი, რადგანაც მეფე გამოხატავს ღვთის ნებას და მოქმედებს მისი სახელით. დავით აღმაშენებლის კარნახით ჩატარდა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება. დავითი გრძნობდა, თურქ-სელჯუკთა ბატონობამ როგორ ძლიერ შეარყია მოსახლეობის რწმენა და ზნეობა. არც ის იყო შემთხვევითი, რომ მან მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობები გააერთიანა და ამით პოლიტიკურად განახორციელა საერო ხელისუფლებისადმი ეკლესიის დაქვემდებარების იდეა.

საქართველოში დავით აღაშენებლის მიერ განხორციელებული რეფორმები ეყრდნობოდა ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის სისტემას, რომელიც ამოდიოდა ქრისტიანული თეოლოგიიდან, მაგრამ უმთავრესი ადგილი საერო ხელისუფლების უმაღლესობის საკითხს ეკავა. „დამახასიათებელია, რომ დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ მოძღვრებაში საერო ხელისუფლების უმაღლესობის იდეა ფეოდალიზმის მმართველობის მანამდე უცნობი ფორმის—აბსოლუტიზმის პრინციპამდეა აყვანილი".[1]

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს განპირობებული იყო იმით, რომ ფეოდალური საქართველოს მეფის პიროვნება მთავრობის მომხრე წრეებმა გააღმერთეს, ხოლო მის უფლებას ზეციური ძლიერება და უცოდველობის თვისება მიანიჭეს.[2]

დავით მეფის მიერ შემუშავებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეფორმების განხოცრიელების შედეგად შეიქმნა აბსოლუტიზმის პრინციპებზე დამყარებული სახელმწიფოებრივი მმართველობის ყველა სისტემა, რომლის მექანიზმი სულია. დავითი სამეფო ხელისუფლების განხორციელებისას აბსოლუტიზმის იდეებით ხელმძღვანელობს, ცხოვრების ყველა დარგში ჩარევით და კონტროლით განამტკიცებს სახელმწიფოებრივ მმართველობას, რა თქმა უნდა, ქრისტიანულ იდეოლოგიაზე დაყრდნობით. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევით მან შესძლო ეკლესიიდან განედევნა მოწინააღმდეგე ღვთისმსახურნი და უმაღლეს საეკლესიო თანამდებობაზე აღაზევა ერთგული და ღირსეული პირები. ამ საქმეში მას უდიდესი დახმარება გაუწიეს გიორგი მწიგნობართუხუცესმა, იოანე კათალიკოსმა, მამა ევსტატემ, არსენ ბერმა. ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის სახელოების გაერ-

---

[1] ვ. აბაშმაძე, ინტელექტუალური ფენომენები, თბ. 1992 წ. გვ. 77-79

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, 2, ნაკ. II, თბ. 1929 წ.

თიანებით დავით აღმაშენებელმა მთლიანად კონტრლის ქვეშ მოაქცია ეკლესია, ეს იყო აბსოლუტიზმის პრინციპებზე დამყარებული მონარქია, რომლის მსგავსს თანამედროვენი არ იცნობდნენ. აბსოლუტიზმის პრინციპებზე დამყარებული ძლიერი ხელისუფლების შექმნის იდეები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში რენესანსის ეპოქაში ჩაისახა ისეთი დიდი მოაზროვნეების პოლიტიკურ მოძღვრებებში, როგორებიცაა ნ. მაკიაველი, ჟან შოლენი და სხვები—წერს პროფ. ვ. აბაშმაძე.

ბუნებრივია, დავით აღმაშენებელი ფეოდალიზმის იდეოლოგი და დამცველია, ამიტომ მონარქია სახელმწიფოს ყველაზე მისაღებ ფორმად მიაჩნია, მაგრამ მისთვის უცხო არ უნდა იყოს ტირანიის და რესპუბლიკური წყობილების სახელმწიფოები. იმ პერიოდისათვის სახელმწიფოების ტიპურ ფორმას მონარქია წარმოადგენდა, ამიტომ დავით აღმაშენებელი ნელ-ნელა იერთებდა რესპუბლიკურ პრინციპებზე მდგარ ქალაქებს.

იგი თავისი მოღვაწეობის პერიოდში, მართალია, ქმნიდა ძლიერ ცენტრალიზებულ და აბსოლუტიზმის პრინციპებზე აგებულ სახელმწიფოს, მაგრამ თამამად ამკვიდრებდა დემოკრატიზმის პრინციპებსაც. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა უმაღლესი სახელმწიფო მთავრობის—სავაზიროს შექმნა, რომელიც მთლიანად მეფეს ექვემდებარებოდა. სავაზირო 8 ვაზირისაგან შედგებოდა. პირველი ვაზირი გახლდათ მწიგნობართუხუცესი, რომელსაც ჭყონდიდელის ფუნქციაც გაუერთიანა, მის გარეშე სავაზიროში არც ერთი საქმე არ წყდებოდა. იყო უზენაესი მოსამართლეც და „უმაღლესი" მსაჯულიც, განაგებდა რელიგიურ საქმეებსაც და მასვე ეკითხებოდა მოაჯეთა ყოველი თხოვნის თუ საჩივრის განხილვა. საამისოდ დანიშნული ჰქონდა ყოველი ოთხშაბათი დღე.

დავით აღმაშენებლის რეფორმები შეეხო მართლმსაჯულებასაც, უმაღლესი სასამართლოს წარმოებას. მის სახელთანაა დაკავშირებული სასამართლო დაწესებულების „სააჯო კარის" გარდაქმნა, რომლის ხელმძღვანელობაც ჭყონდიდელ მწიგნობართუხუცეს ევალებოდა. „სააჯაო კარი" მუდმივმოქმედ უზენაეს ინსტანციას წარმოადგენდა დაბალი ინსტანციის სასამართლოსათვის, რომელიც განიხილავდა ქვედა საფეხურის სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მომჩივნის „აჯას". ოთხშაბათობით ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი თვითონ სჯიდა საქმეებს, თავისი უახლოესი ხელქვეითი მოხელეების—მეფის საწოლისა და ზარდახნის მწიგნობარების მონაწილეობით. დანარჩენ დღეებში საქმეებს სხვა მოსამართლენი განიხილავდნენ. როგორც ჩანს, ჭყონ-

დიდელ-მწიგნობართუხუცესისა და სხვა მოსამართლეთა კომპეტენცია გამიჯნული იყო.

ახალი სამართლის ინსტიტუტის შექმნა და სამართალწარმოების მაღალ დონეზე დაყენება დავით აღმაშენებლის მიერ იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო. თვით ის გარემოება, რომ მართლმსაჯულება სახელმწიფოს მართვა-გამგეობისაგან გამოყოფილია და განსაკუთრებულ დაწესებულებად ქცეული, ქართული სამართლის დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს.[1]

დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო ფეოდალური დაქუცმაცებულობის ლიკვიცადიისა და ცალკეულ სამთავროებზე სამეფო ხელისუფლების ამაღლებისაკენ, ძირითადად განსაზღვრავს მის სამართლებრივ შეხედულებებს, რომლებსაც იმ პერიოდისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და სწორედ ეს მომენტი დავითის სამართლებრივი განვითარების დიდ დონეზე მიუთითებს, რადგანაც ფეოდალური დაქუცმაცებულობის დროს არსებულ სამართლებრივ პარტიკულარიზმთან შედარებით იყენებს ბუნებითი სამართლის პროგრესულ მოძღვრებას. რუის-ურბნისის „ძეგლისწერაში" და რამდენადმე თვით დავით აღმაშენებლის ლიტერატურული თხზულებაში („გალობანი სინანულისანი") მოცემულია დავით მეფის ბუნებითი სამართლის მოძღვრების მწყობრი სისტემა.[2]

დავით აღმაშენებელი სამართლის ნორმებს ჰყოფს: ბუნებრივ, ღვთაებრივ და დადებით კატეგორიებად, მისი სამართლებრივი შეხედულებანი კარგად ჩანს „გალობანი სინანულისანში". თხზულება ძირითადად თვით დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის თვითკრიტიკული შეფასება, ღვთის წინაშე აღსარებაა. მისი აზრით, იგი ხშირად სურვილის საწინააღმდეგოდ აკეთებდა ბევრ რამეს, ერისა და ქვეყნის გადარჩენისათვის უგულვებელყოფდა როგორც ბუნებითი სამართლის, ასევე ღვთაებრივი სამართლის მოთხოვნებს, ემორჩილებოდა პოზიტიურ სამართლს და ქვეყნიურ გატაცებებს. დავით აღმაშენებელს მიაჩნია, რომ ბუნებითი სამართლის ნორმები ყველა სხვა სამართლის ნორმებზე მაღლა დგას და ყველაფერი მას უნდა ემორჩილებოდეს, შემთხვევითაც არ იყო ღვთისმორწმუნე და ღვთისმოშიში. „ბუნებითი სამართალი გამოხატავს იმ შემოქმედის ნებას, რომელმაც შექმნა სამყარო და ადამიანებს მიუჩინა თავისი ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამასთან ერთად შემოქმედმა,. ე.ი. „არა არსისგან არსებად მოყვარებულმან ღმერთმან" ადამიანებს დაუწესა სამართალი, რომელიც ემყარება არა

[1] რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბ. 1990, გვ. 259-260

[2] ვ. აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, თბ. 1992 წ. გვ. 78

მხოლოდ შემოქმედის ნებას, არამედ განსაზღვრავს მის მიერ შექმნილ სამყაროში ადამიანის ბუნებას"[1]

დავით აღმაშენებლის მიხედვით, დადებითი სამართალი იგივე სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დადგენილი პოზიტიური სამართალია, მაგრამ იგი დამოკიდებულია ღვთის ნებაზე, რადგანაც სამეფო ხელისუფლება ღვთის ნებას გამოხატავს და თვით მეფე ღვთაებრივი წარმოშობისაა, რაც შუა საუკუნეებში გაბატონებული რელიგიური იდეოლოგიის გამოხატულებაა. „დავით აღმაშენებელი ბუნებითი სამართლის იდეებს იზიარებდა და მასავე უფარდებდა თავის პროგრესულ ღონისძიებებს სახელმწიფოს მართვაში...ამ იდეებს ისეთი შინაარსი მისცა, რომელიც ქართველი ხალხის ყოველმხრივ განვითარებას შეუწყობდა ხელს",[2] —წერდა პროფ. ი. სურგულაძე.

...მაგრამ—წერს პროფ. აბაშმაძე—როდესაც ვეხებით დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის" მიხედვით მისი პოლიტიკური მოძღვრების სხვა შემადგენელ ნაწილებს, მხედველობაში უნდა მივიღოთ ამ ნაწარმოების მეტად თავისებური და ორიგინალური შინაარსი. დავით აღმაშენებელი არის არა მარტო ძლიერი ნებისყოფისა და მტრებისათვის შიშის მომგვრელი მეფე, არამედ იგი ამავე დროს ცნობილია, როგორც სჯულთშემწყნარებელი, მართლმსაჯული, ქვრივთა და ღარიბთა დამხმარე, სამართლიანობისა და მშვიდობის დამცველი, თავისი დროის დიდი ჰუმანისტი ფილოსოფოსი.

„აღმაშენებელი მხურვალე ქართველი ქრისტიანი, სომხებთან სულით და გულით დაახლოებული, მაჰმადიანთაც პატრონობს. იგი პირველ ყოვლისა ხელმწიფეა, პოლიტიკური მოღვაწე, შემაერთებელი, ზოგადზე და არა კერძოზე მოფიქრე"[3] —აღნიშნავდა ცნობილი ქართველი იურისტი და პოლიტიკური მოღვაწე ზურაბ ავალიშვილი.

ამრიგად, დავით აღმაშენებლის პოლიტიკური და სამართლებრივი იდეების ფუძე ბუნებითი სამართლის მოძღვრებაა, რომელიც ეყრდნობა ქრისტიანულ იდეოლოგიას. დავით აღმაშენებელმა შექმნა აბსოლუტიზმის პრინციპებზე აგებული ცენტრალიზირებული სამეფო ხელისუფლება, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ფეოდალური დაქუცმაცებულობის დაძლევა, უცხოელ დამპყრობთა განდევნა, კავკასიის უზარმაზარ ტერიტორიაზე მცხოვრებ_სხვადასხვა სარწმუნოების, ერებისა და ეროვნებების გაერთიანება და ქართული სახელმწიფოებრიობის ინიციატივით უძლიერესი სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

---

[1] ვ. აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, თბ. 1992 წ. გვ. 84

[2] ივ. სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ. 1986 წ. გვ. 87-90

[3] ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, თბ. 1989 წ. გვ. 7

რუის-ურბნისის „ძეგლისწერა“

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევა[1] დაკავშირებულია დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეფორმებთან. სანამ უშუალოდ ამ კრების „ძეგლისწერის“ პოლიტიკური და სამართლებრივი მნიშვნელობის განხილვას შეუდგებოდეთ, ერთ გარემოებაზე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ.

საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) სახელმწიფო ცხოვრებასა და, რა თქმა უნდა, სამართლის სფეროშიც, ორი უწყება ფუნქციონირებდა: ერთის მხრივ—სახელმწიფო ხელისუფლება და მეორეს მხრივ—ეკლესია. როგორც სახელმწიფო, ასევე ეკლესია ქმნიდა წერილობით სამართლებრივ ძეგლებს, აქედან გამომდინარე, საერო და საეკლესიო კანონმდებლობის ძეგლებს ეყრდნობა ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნება. „რამდენადაც მაშინ ეკლესია სახელმწიფო ყოფა-ცხოვრების ძლიერ ფაქტორად ითვლებოდა, ერის მთელ აზროვნებაზე დიდი გავლენა ჰქონდა... თანაც, საეკლესიო წეს-წყობილებას სახელმწიფო და სოციალურ წეს-წყობილებაზეც ხშირად თვალსაჩინო კვალი დაუმჩნევია, ამიტომ და ამდენად საეკლესიო სამართლის ძეგლების ცოდნაც საქართველოს სოციალური ისტორიის მკვლევარისა და მკითხველისათვის აუცილებლად საჭირო“.[2] ივანე ჯავახიშვილი უდიდეს შეფასებას აძლევდა საეკლესიო ძეგლების მნიშვნელობას, რადგანაც ქართული საეკლესიო სამართლის როგორც შინაარსობრივი მხარე, ასევე მისი მოქმედების ასპარეზი მარტო წმინდა ცხოვრების მოწესრიგებით არ განისაზღვრებოდა, რაკი ეკლესიას საქართველოში თავისი დროშა და საკუთარი ჯარი ჰყავდა, თავისი ყმები და სახელმწიფო, მართვა-გამგეობის წესებზე მოწყობილი მოხელეობა მოეპოვებოდა, თავისი

---

[1] მეცნიერ-მკვლევართა შორის რუის-ურბნისის კრების მოწვევის თარიღთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ბოლო პერიოდამდე ქართული ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული იყო რუის-ურბნისის კრების მოწვევის დროდ 1103 წელი. ი. გაბიძაშვილმა 1978 წლის გამოკვლევაში (ი. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, თბ. 1978 გვ. 14-18). კრების მოწვევის თარიღად 1105 წელი აღიარა. ისტორიული წყაროების გადასინჯვის შედეგად რ. მეტრეველმა დაამტკიცა, რომ „ქართლის ცხოვრების მიხედვით, დავით აღმაშენებლის თაოსნობით სრულიად საქართველოს დიდი (რუის-ურბნისის) საეკლესიო კრება გაიმართა 1104 წელს“

[2] ივ. ჯავახიშვილი, ტომი VI, თბ. 1982 წ. გვ. 23

ეკონომიკური პოლიტიკა ჰქონდა და თავისიავე სასამართლო, ამიტომ ბევრის მხრით, სახელმწიფოებრივი სხეულის თვისებები ეტყობოდა. ქართული საეკლესიო სამართალი საინტერესოა არა მარტო საეკლესიო თვისებებით, არამედ როგორც სახელმწიფოებრივი სხეულისა და ეკლესიის პატრონი, ამასთანავე, იმდენადაც, რამდენადაც საეკლესიო სამართლის მოძღვრებას სისხლისა და სამოქალაქო სამართალზე გავლენა ჰქონდა.

ქართული საეკლესიო სამართალი ეყრდნობოდა მსოფლიო ეკლესიის კრებების დადგენილებებს და ბერძნული სჯულის კანონებს. ამ მხრივ აღსანიშნავია შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებანი. თვით რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში ნათქვამია: „ქმნილ იყვნეს სხუანიცა ადგილობითნი კრებანი —პირველი ანკვრიას, რომელსაცა დაესხნენ კანონნი ოცდაოთხნი, მეორე ნეოკესარიას, დამსხმელი კანონთა ოცდაათ ოთხმეტთაი...ამის შემდგომად მეორე წმინდათ და მსოფლიო კრებათ კონსტანტინოპოლისა და ასერგასისთა წმინდათა მამათა, რომელთა კანონნი არიან რიცხჳთ შჳდ". ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსოფლიო საქრისტიანო ქვეყნებისათვის შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებანი ითვლებოდა სავალდებულოდ. ესენია: პირველი ნიკეის (325 წ.), მეორე კონსტანტინოპოლის (381 წ.), მესამე ეფოსის (431), მეოთხე ქალკედონის (451 წ.), მეხუთე კონსტანტინოპოლის (553წ.), მეექვსე კონსტანტინოპოლის (680 წ.) და მეშვიდე ნიკეის (787წ.).

ქრისტიანულ სამყაროში დამკვიდრებული ამ ტრადიციისათვის არც რუის-ურბნისის კრებას უღალატნია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კრება მოწვეული იყო დავით აღმაშენებლის მითითებით. მისივე პროგრამით განიხილეს კრებაზე საკითხები და ადგილიც დავითის შერჩეული ყოფილა. დავით მეფეს ამ კრების მოწვევის აუცილებლობა უკარნახა საქართველოში შექმნილმა სოციალურ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ. „იგი ჩვეულებრივი, მორიგი კრება კი არა, არამედ საგანგებო და განსაკუთრებული ყრილობა ყოფილა".[1]

აქედან გამომდინარე, კრების განხილვის ინტერესს არ წარმოადგენდა ქრისტიანული დოგმების გადასინჯვა, ან მათი რევიზია, არამედ იმ პერიოდში თურქ-სელჯუკთა ბატონობით ქართულ საეკლესიო ცხოვრებაში შეპარულ მავნე ზნე-ჩვეულებათა აღკვეთა, რომელიც მთლიანად ქვეყანაში არსებობდა; ამ კრებას იმიტომ ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ მისი დადგენილება შემობრუნების საწყისს წარმოადგენდა როგორც საეკლესიო,

[1] ივ. ჯავახიშვილი, ტ. VI, თბ. 1982 წ. გვ 54

ისე საერო ცხოვრებაში. რუის-ურბნისის ძეგლისწერა არა მარტო სამართლის წყაროთმცოდნეობის, არამედ დიდი პოლიტიკური ფასეულობის საეკლესიო ძეგლია. მის ასეთ მნიშვნელობას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ მეფის ბრძანებით კრების მუშაობაში მონაწილეობა მიუღია საეკლესიო და საერო ცხოვრებაში ცნობილ მოღვაწეებს, ერთი სიტყვით, ქვეყნის ჯანსაღ ძალებს, ვისაც გააჩნდა მორალური უფლება ემსჯელა საქართველოს ბედ-იღბალსა და მომავალზე. რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა" თავის დროზე შეისწავლეს ი. ჯავახიშვილმა, თ. ჟორდანიამ, კ. კეკელიძემ, ი. სურგულაძემ, ვ. აბაშმაძემ და სხვებმა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვით, ამ კრების შემადგენლობა გაცილებით უფრო მრავალფეროვანი ყოფილა—წერს ივანე ჯავახიშვილი.—მეფემ მოიწვია „ერი მრავალი, რამეთუ სამეფოსა თვისასა კათალიკოზი მღვდელმთავარი, მეუდაბნოენი და მეცნიერნი შემოიკრიბნა წინაშე მათსა ჟამსა და ადგილსა ჯეროვანსა, და მრავალდღე გამოწადილვითა ფრიადითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცდომილი განმართეს და კეთილწესიერებაი ყოველითურთ დაამტკიცეს, უღირსად გამოჩინებულნი გარდმოსთხივნეს საყუედურითგან".[1]

კრების მოწვევის ამბავს შემდეგნაირად აღწერს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი: „წმინდანი ეკლესიანი, სახლი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნულ იყვნეს, და უღირსთა და უწესოთა მამულობით უფროის, ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროისნი საეპისკოპოსონი, არა კარით მწყემსებრ, ურდოთ შესრულნი, და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინეს, რომელნი ნაცვლად სჯულითა ღმერთისათა პყრობისა უსჯულოებასა აწუთრიდეს მათ ქუეშეთა და თჯთ სახლით უფლისაით და მღვდელთაგან გამოვიდოდა უსჯულობაი, რომლითა თუალი ღმერთისაი, მხედველი ყოველთაი, ესე ოდნად რისხუად აღზრულიყო".[2]

მემატიანე მიუთითებს იმ სიძნელეებზე, რაც საეკლესიო რეფორმებს მოჰყვა. მართლაც, ადვილი არ იყო ეკლესიიდან გამოდევნა საკმაოდ დიდი გავლენისა და ქონების პატრონი ე. წ. „ღვთისმსახურებისა". ამის შესახებ დ. აღმაშენებლის ისტორიკოსი საგანგებოდ მიუთითებს. „ძეგლისწერა", მკვლევართა მოსაზრებით, შედგენილი უნდა იყოს არსენ ბერის მიერ და სამ ძირითად ნაწილს შეიცავს შესავალსა ერთად. შესავალსა და პირველ ნაწილში მოცემულია ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ფილოსოფიურ-სამართლებრივი და ისტორიული საფუძვლები.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დას. შრომა, გვ. 54

[2] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 290

აღწერილია ეკლესიის დაარსება საზოგადოდ და საქართველოში, ასე-ვე მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა საკანონმდებლო მოქმედება და მათ მსგავსად რუის-ურბნისის კრების მოწვევა. მეორე ნაწილი ეხება კრების მიერ მიღებულ კანონმდებლობას და მესამე ნაწილი სინოდიკონს, რომელშიც რედაქტორი ეუბნება ცოცხლებს (მეფე დედოფლებს, კათოლიკოს-მღვდელმთავრებს და ცნობილ სასულიერო მოღვაწეთ) „მრავალჟამიერს", ხოლო მიცვალებულებს—„საუკუნო ხსენებას".

„ძეგლისწერაში" დავით აღმაშენებლისადმი მიმართული სამადლობელი ქება-დიდებაა, სადაც გამოხატულია მადლიერება მის მიმართ იმ ღვაწლისა და წვლილისათვის, რაც გასწია რუის-ურბნისის კრების მოწვევის ორგანიზაციაში და მთლიანად თავის სახელმწიფო მოღვაწეობაში.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას „დაუსხამს" და დაუდგენია თხუთმეტი კანონი (მუხლი გ. ლ.) 1) უღირს მღვდელმთავართა განკვეთის აუცილებლობა; 2) ასაკი ხელდასხმათა და დრო მათი ხელდასხმისა; 3) გიორგი მთაწმინდელის „კურთხევანის" სანქცია; 4) ეგრეთწოდებული სიმონია ან ხელდასხმისათვის ქრთამის მიღება; 5) სამღვდელოთა ჭურჭელთა და ეკლესიისადმი შეწირულთა სიწმინდეთა თვინიერ მათი დანიშნულებისა მოხმარებისად დაუშვებლობა; 6) გვირგვინის კურთხევა; 7) ასაკი დასაქორწინებელთა; 8) იერარქიულ პირთა ჯეროვანი მომზადება; 9) მონასტრების მოძღვართათვის მათი რიცხვი და ხარისხი 10) მონასტერში ვაჭრობის უადგილობა; 11) სად, როგორ და როდის უნდა სრულდებოდეს მიცვალებულთა და ცოცხალთა მოსახსენებელი ჟამისწირვა და ლოცვა; 12) მართლმადიდებლობად მომავალნი სომეხნი უნდა ნათელღებულნი იქნენ, ვითარცა წარმართნი; 13) მართლმადიდებელთა და წარმართთა შეუღლება აკრძალულია; 14) კიდისკიდე და არა ერთგან კურთხევა გვირგვინისა დაუშვებელია; 15) სოდომის ცოდვის შესახებ. თავის დროზე რუის-ურბნისის „ძეგლისწერას" სამართლებრივი შეფასება მისცა ცნობილმა ქართველმა იურისტმა ნ. ურბნელმა. მისი აზრით, „ძეგლისწერა" მეტად საყურადღებო ნაშთია ქართული იურიდიული მწერლობისა და არა მარტო ქართულის, არამედ საზოგადოც, რამდენადაც ამაში აღიბეჭდა საზოგადო იურიდიული ნორმები.[1]

როგორც ვხედავთ, „ძეგლისწერა" ეპოქალური საეკლესიო სამართლებრივი ძეგლია და იგი სცილდება ეროვნული საეკლესიო ცხოვრების ჩარჩოებს. „ძეგლისწერით" „დასხმული" 15 კანონის ცხოვრებაში გატარება ზედმეტნაკლებად მოუხდებოდა მაშინდელი ცივილიზებული ქვეყნების საეკლესიო ცხოვრებას. პირველი, რაც გაკეთდა „ძეგლისწე-

[1] დაწ. იხ. ნ. ურბნელი, საეკლესიო სჯულმდებლობა. „ივერია", 1888 წ. №№38, 46, 75, 270, 271

რით", ეს იყო მართლმადიდებლური ეკლესიის განწმენდა უღირსი, შემთხვევითი და გამდიდრებას გამოდევნებული, ე.ი. რელიგიურად გაუცხოებული მღვდელმთავრებისაგან, ვისთვისაც ეკლესია და რელიგია მხოლოდ შენიღბვის ფორმა იყო. „ძეგლისწერამ" დააწესა, რომ ეპისკოპოსის თანამდებობა უნდა ეკავოს მხოლოდ და მხოლოდ ღირსეულ პიროვნებას, ჭეშმარიტ მორწმუნეს და „ღვთისმოშიშ" ადამიანს. გარდა ამისა, სამართლებრივად განისაზღვრა ეპისკოპოსის ასაკი –არანაკლებ 36 წლისა, მღვდელი—30 წლისა, ხოლო საეკლესიო წიგნის მკითხველი—არანაკლებ 8 წლისა. სამწუხაროდ, მაშინდელ საეკლესიო ცხოვრებაში ქრთამის აღება, ქრთამით საეკლესიო თანამდებობის დაკავება თითქმის წესად ქცეულა. ამიტომაც „ძეგლისწერამ" ამ დანაშაულებრივ მოვლენას წერტილი დაუსვა. ხელდასმა და კურთხევა დაუშვა მხოლოდ და მხოლოდ გიორგი მთაწმინდლის მიერ შექმნილი წესების მიხედვით. რუის-ურბნისის კრების გადაწყვეტილებით, ეკლესია-მონასტრებში ჩატარდა ქონების აღწერა და კატეგორიულად აიკრძალა მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენება. ძეგლისწერის 15 კანონიდან რამდენიმე მუხლი შეეხება ქორწინების და ჯვრისწერის მოწესრიგებას. ეს შემთხვევით არ იყო, ამით ძეგლისწერა აწესრიგებს ქორწინების სფეროში აღრეულ მდგომაროებას. როგორც კანონმდებელი ამბობს, იმ დროს გახშირებული ყოფილა ე. წ. „კიდის-კიდე და არაერთგან კურთხევა გვირგვინთა".

ქართველ წარჩინებულთა წრეებში, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევამდე,—წერს პროფ. გ. ნადარეიშვილი—მიუხედავად ქრისტიანული რელიგიის მიერ აღიარებული დებულებისა, ქორწინებას არა თუ რელიგიურ „საიდუმლოებად" არ თვლიდნენ, არამედ პირიქით, მასში წმინდა სამოქალაქო ხასიათის გარიგებას ხედავდნენ. ჩანს, რომ ქორწინების სფეროში ადგილი ჰქონია ე. წ. წარმომადგენლობას. რაში მდგომარეობდა „კიდის-კიდე" გვირგვინთა კურთხევა?

სხვადასხვა გარემოებათა გამო, ხშირად იქმნებოდა ისეთი ვითარება, რომ გვირგვინის კურთხევის დროს, დასაქორწინებელი სუბიექტებიდან ერთ-ერთი სახეზე არ იყო. „კიდის-კიდე" გვირგვინთა კურთხევა საშუალებას იძლეოდა, რომ „მეფე-დედოფალი" დაქორწინებულიყო ცალ-ცალკე, ანუ როგორც კანონი ამბობს, „კიდის-კიდე".

რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ სასტიკად აკრძალა ასეთი ქორწინება და ბრძანა, რომ ასეთი წესით შეუღლებულნი „სჯულიერად ცოლ-ქმრად ნუმცა შერაცხულ არიანო".[1]

---

[1] გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, 1996 წ. გვ. 23-24

„ძეგლისწერამ“ გარდა ამისა განსაზღვრა საქორწინო ასაკი ვაჟებისათვის 15-16 წელი, ქალებისათვის—12.

„ძეგლისწერიდან“ არ ჩანს, დასაქორწინებელთა წოდებრივი განსხვავებულობა ითვლებოდა თუ არა ქორწინების დამაბრკოლებელ მიზეზად. ივ. ჯავახიშვილი ამასთან დაკავშირებით სამართლიანად შენიშნავდა, რომ პატრონ-ყმობა, წოდებრივი განსხვავება და გვარიშვილობა იმდენად განმტკიცებული იყო მაშინ, რომ ამის შესახებ არც იქნებოდა საჭირო რაიმე კანონმდებლობითი აკრძალვაო. უამისოდაც იმდროინდელი საზოგადოებრივი და წოდებრივი პირობები და ვითარება დაუძლეველ დაბრკოლებას წარმოადგენდა და ქორწინება დაბალ და მაღალ წოდებათა გვარიშვილებს შორის, ალბათ, შეუძლებელი ან ძალიან იშვიათი იქნებოდა.[1] „ძეგლისწერამ“ შეზღუდა მოძღვართა რაოდენობა. მოძღვრები „მრავლისა შფოთისა და განხეთქილებისა“ მიზეზნი არიან და ამიტომ უნდა შევზღუდოთ მათი რიცხვი და მოქმედებაო. მოძღვარი მაშინდელი სწავლულია, მათ ხელმძღვანელს მოძღვართ-მოძღვარი ეწოდება. მოძღვრები, როგორც ჩანს, თავიანთი კრიტიკული აზრონებით „შფოთსა და განხეთქილებას“ იწვევდნენ საზოგადოებაში, ამიტომ აქცევდა მათ ასეთ ყურადღებას რუის-ურბნისის საეკლესიო კრება.[2]

„ძეგლისწერა“ კრძალავს ეკლესია-მონატრებში ვაჭრობას, რადგანაც ეკლესია-მონასტერი სამლოცველო ადგილია და არა სავაჭრო, ისინი არ უნდა გადაიქცნენ „ქვაბ-ავაზაკთა ადგილად...“

„ძეგლისწერამ“ განსაზღვრა—გამიჯნა დრო და ადგილი მიცვალებულთა „ჟამისწირვისა“ და ცოცხალთა ლოცვისა, აკრძალა მწვალებელზე ან წარმართზე მართლმადიდებელი ქალის გათხოვება და პირიქით, მართლმადიდებლის მიერ მწვალებელი ან წარმართი ქალის შერთვა.

„ძეგლისწერამ“ მკაცრად აუკრძალა ღვთისმსახურთ დაქვრივებული ქალის განმეორებითი ქორწინების კურთხევა. სამწუხაროა, რომ ქართულ ეკლესიაში ზემოაღნიშნული და სხვა ნეგატიური მოვლენის გარდა გავრცელებულა ისეთი მოვლენა, როგორიცაა მამათმავლობა, ამიტომაც „ძეგლისწერამ“ სასტიკად აკრძალა სოდომის ცოდვის ჩადენა და იგი უდიდეს ცოდვად გამოაცხადა.[3,4]

---

[1] გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, 1996 წ. გვ. 25

[2] ივ. სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, 1986 წ. გვ. 89

[3] ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ. 1970, გვ. 10-122

[4] სოდომური ცოდვისთვის იმ პერიოდში ზოგიერთი ქვეყანა (მათ შორის ბიზანტია) სიკვდილით სჯიდა. ასეთია კონკრეტული მითითებანი რუის-ურბნისის კრებისა.

დავით აღმაშენებლის ინიციატივით მოწვეული საეკლესიო კრების მიერ გამოთქმული მოსაზრებანი გამოხატავს დავით აღმაშენებლის შეხედულებებსაც, ამდენად მისი გამოყენება შესაძლებელია თვით აღმაშენებლის პოლიტიკურ და სამართლებრივ შეხედულებათა გასარკვევადაც.

„ძეგლისწერის" მიხედვით, ღმერთმა ადამიანს მისცა სჯული, მაგრამ, ეშმაკის წყალობით, პირველმა ადამიანმა დაარღვია იგი.

ღმერთმა სასჯელად მრავალი რამ აგემა ადამიანს, რათა სწორი გზით ევლო, მაგრამ ამაოდ. მაშინ ღმერთმა მოსეს სჯულის სახით დაწერილი კანონი მისცა ადამიანს. ღმერთმა კაცის სახე მიიღო, ადამიანთა ცოდვილი მოდგმა რომ ეხსნა. იესო ქრისტე განკაცებული ღმერთია. პირველად ადამიანმა ბუნებითი სამართალი მიიღო ხოლო შემდეგ—დაწერილი სჯული: „მოგუცნეს—აღნიშნულია „ძეგლისწერაში"—პირველად ბუნებითი და მერე დაწერილი სჯული" ბუნებითი სამართალი არ არის დაწერილი, იგი დაუწერელია და ღვთის განგებით არსებობს. დაწერილი სამართალი ღვთის სამართლის გამოვლინებაა, რომელიც შედგენილია ეკლესიის ხელისუფალთა მიერ და მიზნად ისახავს კონკრეტულად მიუთითოს ადამიანებს, თუ როგორ მოიქცნენ ერთმანეთთან ურთიერთობაში, როგორ გაიგონ ღვთის ნება ცალკეულ შემთხვევაში: ბუნებითი სამართალი და სამართალი „განკაცებული" ღმერთისა, ანუ დაწერილი სამართალი, პრინციპში, არ შეიძლება განსხვავებული იყოს ერთმანეთისაგან, რადგანაც ორივეს ღვთის ნება უძევს საფუძვლად.[1] ამრიგად, რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ, რომლის ძირითად მიზანს შეადგენდა თურქ-სელჯუკთა ბატონობით ქვეყანაში შერყეული ზნეობის აღდგენა და ცენტრალიზებული საერო ხელისუფლების განმტკიცება, თავისი დანიშნულება შეასრულა.

და ბოლოს, აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევის გეგმა კარგად იყო მოფიქრებული და მარჯვედ შეირჩა კრების ხელმძღვანელობა, პირველ მუხლში აღნიშნული დებულების განხორციელება გაძნელდა, მაგრამ სასურველ შედეგებს მაინც მიაღწიეს:

1. ქართული ეკლესიის სრული დემოკრატიზაციის პროგრამის მხარდამჭერ დიდგვაროვან აზნაურთა და ეპისკოპოსთა ძლიერი ჯგუფის შექმნით და 2. სახელმწიფო ხელისუფლების ძლიერი გავლენის წყალობით მოხერხდა დიდგვაროვან აზნაურთა წრიდან გამოსულ უღირს

---

[1] არჩევითობის პრინციპის შემოღება იმ პერიოდისათვის სრულიად ახალი ინსტიტუტია საერო და სასულიერო მმართველობის სფეროში და იგი გიორგი ათონელისეული „წილნაყრობის" გამოძახილს წარმოადგენს.

ეპისკოპოსთა გადაყენება და მათ მაგიერ შთამომავლობის მიუხედავად ისეთი პირების არჩევა, რომელთაც შესაფერისი სწავლა-განათლებაც ჰქონდათ და თავისი ზნეობრივი თვისებებითა და მსოფლმხედველობითაც მზად უნდა ყოფილიყვნენ.

ამრიგად ის, რისი ქადაგებაც პირველად გიორგი მთაწმინდელმა გაბედა, დავით აღმაშენებელმა განახორციელა. ქართული ეკლესიის დემოკრატიული წეს-წყობილება უკვე დამყარებული იყო,[1] გარდა ამისა, მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდლის თანამდებობის შეერთებით მოხერხდა საერო ხელისუფლებისადმი საეკლესიო ხელისუფლების დაქვემდებარება, რასაც შედეგად მოჰყვა ცენტრალიზებული ხელისუფლების განმტკიცება.

საბოლოოდ დავით აღმაშენებელმა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება ორი მთავარი სტრატეგიული მიზნის განსახორციელებლად მოიწვია: 1) დაემყარებინა წესრიგი სახელმწიფო მართვა-გამგეობაში და ამ გზით მოესპო „კორუფცია", რომელიც სულ უფრო და უფრო საშიშ ხასიათს ღებულობდა, როგორც საერო, ისე საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრებაში; 2) ერთიმეორესთან დაეკავშირებინა ეკლესია და სახელმწიფო, ამით კი შეექმნა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია და მასზე დაფუძნებული სახელმწიფო მართვის სისტემა. ეს უკანასკნელი მან განახორციელა იმით, რომ შექმნა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სახელო—მაშინდელი ქართული სახელმწიფოს უმთავრესი წარმმართველი უწყება, რომლის ხელში მოაქცია ქვეყნის ტერიტორიული მმართველობის სადავეები. სწორედ მასზე დაყრდნობით განახორციელა შემდგომი რეფორმები ეროვნული ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროში, ქვეყნის თავდაცვიდან დაწყებული და განათლებითა და კულტურით დამთავრებული. ამ რეფორმების იდეური სულისჩამდგმელი იყო გიორგი ჭყონდიდელი, ეროვნული სახელმწიფოს პირველი მწიგნობართუხუცესი, გიორგი ათონელის მოწაფე და ერთგული მიმდევარი.

---

[1] ივ. სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ. 1986 წ. გვ. 88

ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ შეხედულებათა შესახებ

მართალია, დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა რეფორმებმა განამტკიცა საქართველოში სამეფო ხელისუფლება და აბსოლუტურ-ფეოდალური ურთიერთობანი, მაგრამ ამ პროცესმა სამეფო ხელისუფლებასა და დიდგვაროვან აზნაურთა შორის წინააღმდეგობის გამწვავებაც გამოიწვია. საქართველოში დამყარებულმა პოლიტიკურმა რეჟიმმა შეზღუდა დიდგვაროვანთა უფლებები, რასაც ისინი ძნელად ეგუებოდნენ. საქართველოს გაერთიანებამდე თითოეული მათგანი თავის საუფლოში თავს პატარა მეფედ თვლიდა. შემდგომში ისევ შეექმნა საფრთხე დიდი დავით აღმაშენებლის დროიდან წამოსულ უკეთილშობილეს განასაჯს, რომლის ძალით ხელისუფალ თანამდებობაზე დაწინაურება უნდა მომხდარიყო არა შთამომავლობითი, გვაროვნული-წოდებრივი ნიშნეულობით, არამედ პირადი ღირსებებით, ნიჭიერებით, პატიოსნებით, მამულიშვილობით, თავდადებულობით. გიორგი მესამეც ხომ თავისი დიდებული პაპის მიმდევარი იყო და უმაღლესი „სახელოებიც" ღირსეულ და ერთგულ უგვაროებისათვის დაერიგებინა".[1] დავითის პოლიტიკა გიორგი მესამემ გააგრძელა და განავითარა. დიდგვაროვანი აზნაურნი ხელსაყრელ მომენტს უცდიდნენ არსებული რეჟიმის დამხობისათვის. გიორგი მესამის გარდაცვალებამ და ტახტზე ახალგაზრდა მეფე ქალის თამარის ასვლამ ასეთი მომენტიც გამოაჩინა. მათ მეფის წინაამდეგ შეთქმულება მოაწყვეს. „ხოლო რაც სასტიკსა და გულუძვრელ გიორგის ვერ შევბედეთ, ახლა დრო დაგვიდგა, „სუსტ-ქალს" უნდა დავათმობინოთო".[2] თამარ მეფე იძულებული შეიქმნა შეთქმულთათვის ზოგი რამ დაეთმო, მაგრამ ამით ყველაფერი არ დამთავრებულა, მზადდებოდა უფრო სერიოზული, ორგანიზებული და პოლიტიკური პროგრამებით აღჭურვილი შეთქმულება მეჭურჭლეთუხუცესის ყუთლუ-არსლანის მეთაურობით. იგი გიორგი მესამის დროს დაწინაურდა მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობაზე, ისიც „უგვაროთა".[3] წრიდან იყო და მანამდე პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის არაფრით გამოირჩეოდა, რადგანაც იმ

---

[1] ლ. სანიკიძე, უქარქაშო ხმლები, თბ. 1993 წ. გვ. 313

[2] იქვე

[3] უგვარო პირობითი გმონათქვამია. ისინი მხსვილი ფეოდალები არიან და მაღალი არისტოკრატული ფენებისათვის წარმოადგენდნენ „უგვაროთ" (იე. სურგულაძე)

სიაში არ იყო მოხვედრილი, ვის თანამდებობიდან განთავისუფლებასაც შეთქმულები თამარ მეფეს სთხოვდნენ (მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი ყუბასარ ნაყივჩაღარი და აფრიდონი—ძველად „აზნაურის ყმობაში“ ნამყოფი, მსახურთუხუცესის პოსტზე აღზევებული). თამარ მეფეს მოახსენეს შეთქმულთა პოლიტიკური დოქტრინის თაობაზე, რითაც მეფის ხელისუფლება, ფაქტობრივად, ნახევრდებოდა. „ვითარცა შვენოდა მისსა ხელმწიფობასა და სიბრძნესა და მეცნიერებასა, ეგრე ეწყინა და გაიკვირვა“,[1] ამიტომ მაშინვე გასცა ბრძანება და დააპატიმრებინა: „იძია ღონე შემსგავსებული სიბრძნისა მისსა, რათამცა ხელთ ეგდო მოქმედნი ამის საქმისანი... და შეიპყრა ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთ-უხუცესი“.[2]

ყუთლუ-არსლანის დაპატიმრებით დაიძაბა მდგომარეობა, რადგანაც მას საკმაოდ სერიოზული ძალები უჭერდნენ მხარს. „იცნეს ესე ლაშქართა მის თანაშემწეთა და თანაშეფიცულთა მისსა უკუთურებისათა, შეჰყარნეს და უკუაგდეს თამარს სახიერსა და ბრძენსა, ყვეს ახალი სიმტკიცე და ფიცი, რათა ყუთლუ-არსლან გააშვებინონ და არა მიუშვან ვნებად მისსა და განემზადეს ისინიცა შემოდგომად და ხელ ყვეს საქმესა შეუდარებელსა და საბრძოლოდ უბრძოლელსა“. ქვეყანა ძმათა ომის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. თამარ მეფემ გონიერება გამოიჩინა და მიმართა მანამდე არარსებულ დიპლომატიურ ხერხს—მოწინააღმდეგეთა ბანაკში წარჩინებული ქალბატონები გააგზავნა. ერთი ქართლის ერისთავთ-ერისთავის რატის დედა ხუაშაქი ცოქალი, მეორე კრავაი ჯაყელი, „დედა აწ მყოფთა სამძივართა“. „მშვიდობის მაძიებელმან მან წარავლინა ორნი პატიოსანნი დიოფალნი, უბრძანა ფიცით მინდობა და სხვისი არავისი ბრალობა“, მოციქულმა ქალებმა დააცხრეს „დასელების“ ავი ყარყარი, მათ გადასცეს თამარის ფიცი, რომ იგი ყუთლუ-არსლანის გარდა ბრალს არავის დასდებდა, არც ვინმეს დასჯიდა, ხუაშაქმა და კრავაიმ იარაღაყრილი „მოჯანყეები“ თამართან მიიყვანეს, მათ ხელმწიფის წინაშე მუხლი მოიყარეს, თაყვანი სცეს და სამარადჟამო ერთგულება შეჰფიცეს. მემატიანე წერს: „თანაშეფიცულნი“ მივიდნენ წინაშე თამარისა და დავრდომით თაყვანი სცეს და აღიღეს ფიცი პატრონისაგან და მისცეს პირი ერთგულებისა ნებისყოფისა მისსა“. გასაკვირი არ არის, რომ თამარის მეფობის პერიოდში ქალის სამართლებრივი მდგომარეობა საკმაოდ უმჯობესდება, ამას ქვეყნის მოსახლეობა უმტკივნეულოდ ღებულობდა, რადგანაც თამარმა იცოდა მისი ხალხის დამოკიდებულება ქალისადმი, ამიტომაც ამ კუთხით

[1] ლ. სანიკიძე, უქარქაშო ხმლები, თბ. 1992 წ. გვ. 314-315

[2] იქვე

გაბედულ ნაბიჯებს დგამდა. ამისი საუკეთესო მაგალითი ზემოაღნიშნული „მოციქულობაა", რამაც ერთ სირცხვილს კიდევ გადაარჩინა ქართველობა. მიუხედავად იმისა, რომ ყუთლუ-არსლანის შეთქმულების შესახებ საკმაო მასალაა გამოქვეყნებული და ამ პრობლემაზე იმუშავეს გამოჩენილმა მეცნიერებმა ი. ჯავახიშვილმა, ს. ყაუხჩიშვილმა, შ. მესხიამ, ა. კიკვაძემ, ს. მაკალათიამ, ი. პეტრუშევსკიმ, ს. ჯანაშიამ, ნ. ბერძენიშვილმა, შ. ნუცუბიძემ, ივ. სურგულაძემ, მ. ლორთქიფანიძემ, ვ. გაბაშვილმა, გ. სოსელიამ, გ. მჭედლიძემ, ილ. ანთელავამ და სხვებმა, საბოლოოდ მაინც არ არის ამოწურული საკითხი იმის შესახებ, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასი და მისი პროგრამა მაშინდელი საქართველოს თუ რომელი ფენის ინტერესებს გამოხატავდა. ნაწილი მეცნიერებისა თვლიდა, რომ ყუთლუ-არსლანის პროგრამა „მესამე წოდების" ინტერესებს წარმოადგენდა, ნაწილის აზრით კი—ესაა დიდგვაროვან აზნაურთა მორიგი გამოსვლა, რომლის მიზანი ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლების დასუსტება და შეზღუდვა იყო. ვ. აბაშმაძის სიტყვით, საკითხისადმი დამოკიდებულების სხვადასხვაობა გამოწვეულია იმით, რომ XII საუკუნის ამ დიდი პოლიტიკური მოვლენის თაობაზე ისტორიულ წყაროებს მეტად მშრალი და ძუნწი ცნობები აქვს შემონახული, არსებითად მხოლოდ ერთადერთი წყაროა, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს ყუთლუ-არსლანის და მისი მოდასეების პოლიტიკურ პროგრამასა და მიზნებზე. ესაა თამარის ანონიმი ისტორიკოსის შრომა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი".[1] გარდა ამისა, ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლაზე უნდა ჰქონდეს ლაპარაკი, აგრეთვე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" უცნობ შემავსებელს და ბასილ ეზოსმოძღვარს თავის თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი". ივ. ჯავახიშვილი გაკვირვებას გამოხატავს, რომ ასეთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენას თანამედროვე და შემდგომი პერიოდის ისტორიკოსებმა და მემატიანეებმა სათანადო ყურადღება არ დაუთმეს, მისი აზრით, ეს იყო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებში ძალიან დიდი მნიშვნელობის მოვლენა. დიდი ისტორიკოსი მას ინგლისის თავისუფლებათა ქარტიას ადარებს. „იმ ეპოქის მსოფლიო ისტორიაში ანალოგია შეიძლება მოეძებნოს მხოლოდ ინგლისის თავისუფლებათა დიდ ქარტიაში, სწორედ ამ მოწესრიგებულმა სოციალ-პოლიტიკურმა ბრძოლამ გახადა ამ პერიოდის საქართველოს ისტორია არაჩვეულებრივად ინტერესის მქონედ და საგულისხმოდ არა მარტო ადგილობრივი, არამედ ზოგადისტორიული თვალსაზრისითაც".[2]

---

[1] ვ. აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, თბ. 1992 წ. გვ. 92.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ. 1965 წ. გვ. 110

ამ მოვლენის ივ. ჯავახიშვილისეული ასეთი შეფასება სავსებით ასახავს ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას პოლიტიკურ ცხოვრებაში. ყუთლუ-არსლანს საკმაოდ სოლიდური თანამდებობა უკავია სამეფო ხელისუფლებაში, თანაც იგი „მდაბიო" წარმოშობისაა და მეფე გიორგის წყალობითაა „გაევზირებული", ერთი შეხედვით, თავისი პირადული ბედით კმაყოფილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი პირად კეთილდღეობაზე მაღლა დადგა და შეთქმულთა მოთავეობა იკისრა.

მართლაც, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამა, როგორც, საერთოდ, შუა საუკუნეებში დაწყებული მანამდე უცნობი მიმართულების გამოვლენა, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწევრების თეორიის შუქზე მსოფლიო კულტურის ისტორიის ახალი ფურცელია და ამდენად თავისი მნიშვნელობით სცილდება საქართველოს ისტორიის ფარგლებს.

ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას ისიც განაპირობებს, რომ შუა საუკუნეების ეპოქისათვის და უფრო ადრეც დამახასიათებელი იყო რელიგიური დოგმების ბატონობა ადამიანთა სულიერ ცხოვრებაზე. მეცნიერებაც, მწერლობაც და პოლიტიკაც ეყრდნობოდა რელიგიურ იდეოლოგიას. ყუთლუ-არსლანის და მისი პოლიტიკური დასის პროგრამა შედარებით თავისუფალია რელიგიური დოგმებისაგან და საერო მოძღვრებას ემყარება.

„ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ პროგრამაში მთელი ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილების გარდაქმნის იურიდიულ საფუძვლად მიჩნეულია სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების საერთო მოძღვრება.

რაც შეეხება იდეოლოგიას, რომლითაც სამეფო ხელისუფლება ხელმძღვანელობდა ყუთლუ-არსლანის დასის წინააღმდეგ ბრძოლაში, მის შინაარსს მთლიანად ღმერთის უძლეველობითა და სახელმწიფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის რელიგიური დოგმატებით განსაზღვრავენ".[1]

ყუთლუ-არსლანის დასის წევრები ერთმანეთთან „საძმო" ფიცით იყვნენ დაკავშირებული, ეს კი ფეოდალური საქრთველოსათვის უცხო და ახალი მოვლენაა. ივ. ჯავახიშვილი ამის თაობაზე წერდა: „პირველი შემთხვევა გვაქვს აქ, როდესაც პოლიტიკური საკითხების განსახორციელებლად ძველ საქართველოში ფიცზე დამყარებული შეთანხმებული პოლიტიკური დასი გვევლინება".[2]

---

[1] ვ. აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, თბ. 1992 წ. გვ. 95

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 376

ეს ნიშნავდა რელიგიური დოგმებისაგან განთავისუფლებას და პოლიტიკურ აზროვნებაში საერო თეორიების დამკვიდრებას. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ყუთლუ-ასლანის სოციალური წამოშობის, კერძოდ, მისი „მდაბიო“ ფენიდან აღზევების შესახებ, ამასთან რაკი შეთქმულნი საერო პრინციპებით იყვნენ გაერთიანებული, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დასში შედიოდნენ არა მარტო მაღალი წრის, არამედ ქალაქის დაწინაურებული დაბალი ფენის წარმომადგენლებიც. ალბათ, ამის ერთ-ერთ მიზეზადაც შეიძლება დავასახელოთ ყუთლუ-არსლანის და მისი დასის შეთქმულების პოლიტიკური პროგრამა შესახებ ძუნწი ცნობების არსებობაც. იმ დროის და შემდგომი პერიოდის მეისტორიენი და მემატიანენი ძლიერი ფეოდალური მონარქიის მომხრენი იყვნენ და, რა თქმა უნდა, ფართო გამოხმაურებას ეს დასი ვერ ჰპოვებდა. „ყუთლუ-არსლანის“ სოციალური წარმოშობისა და განსაკურთებით მის მიერ შექმნილი პოლიტიკური დასის სოციალური შემადგენლობის შესახებ ყველაზე ნათელ და გარკვეულ პასუხს გვაძლევს მისი პოლიტიკური იდეოლოგია, რომელმაც სრული გამოხატულება ჰპოვა ამ დასის პოლიტიკურ პროგრამაში“.[1] თავის დროზე იგივე მოსაზრება გამოთქვა ივ. ჯავახიშვილმა, რომელიც წერდა—ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასი შედგებოდა როგორც დაბალი სოციალური წარმოშობის საქალაქო წევრებისაგან, ანუ „სიმდიდრით აღზევებულთაგან“, ასევე ნიჭითა და უნარით სამეფო ხელისუფლებაში „აღზევებულთაგან“. „გვართა უაზნოთა აღამაღლებს სიმდიდრე“—ამბობს მემატიანე. რას წარმოადგენდა ყუთლუ-არსლანის და მისი მომხრეების პოლიტიკური პროგრამა? რა საკითხების გადაწყვეტას მოითხოვდნენ და რა პრეტენზიებს უყენებდნენ ისინი თამარ მეფეს?

როგორაც თამარ მეფის ისტორიკოსი გვამცნობს, მათ მოითხოვეს „კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა საღოდებლისასა და თქუა: დასხდომილნი მუნ შიგა, განმგებელნი მიცემისა და მიღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვაჰკადრებდეთ და ვაცნობდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა, მაშინღა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი“ და „მივსცემდეთ და მივიღებდეთო“. ტექსტიდან ირკვევა, რომ შეთქმულები მეფისაგან მოითხოვდნენ, შეექმნათ „კარავი“, რომელიც ხელში აიღებდა სასამართლო-საკანონმდებლო, ე.ი. უმაღლეს მართლმსაჯულე-ბასაც, ასევე ჩაერეოდა მნიშვნელოვანი საერო და საგარეო საქმეების გადაწყვეტაში.

მეფეს ძირითადად დარჩებოდა აღმასრულებელი ხელისუფლება. ყუთლუ-არსლანის და მისი დასის მიერ წამოყენებული პროგრამის შინა-

[1] ვ. აბაშმაძე, ქართველი ინტელექტულარი ფენომენები. თბ. 1992 წ. გვ. 100

არსი ერთგვარად სწორედ ხელისუფლების დანაწილებას გულისხმობდა, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა იმ პერიოდისათვის გამოყოფილი „მესამე წოდება". ამ აზრს არა მარტო იზიარებდა, არამედ ასაბუთებდა ივ. ჯავახიშვილი, რომლის მოსაზრებასაც ეყრდნობოდნენ კ. გრიგოლია, ვ. აბაშმაძე და სხვები.

რაც შეეხება ლ. სანიკიძეს, მას მიაჩნია, რომ ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკურ პროგრამაში „დიდი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი აზროვნებისა სიმწიფე გამოსჩანს... სრულიად აზიის მხცოვან ისტორიას ასეთი რამ არ მოსწრებია, ხოლო რა იცოდნენ ყუთლუ-არსლანმა და მისმა „თანამოდასეებმა", რომ მათი პოლიტიკური განასაჯი რაღაცნაირი წინამორბედი უნდა გამხდარიყო გვიანევროპული „პარლამენტისა", „გენერალური შტატებისა", გინდა კონსტიტუციონალური მონარქიისა".[1] გ. აბაშიძე წერდა: „ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლას, რომელიც იმ დროისათვის მართლაც დაუჯერებელსა ჰგავს და მთელი საუკუნით უსწრებს „დიადი ქარტიის" მიღებას ინგლისში, პირადად თამარის წინააღმდეგ პრეტენზია არ ჰქონდა და მხოლოდ მეფის უფლებების შეზღუდვას ისახავდა მიზნად".[2] პროფესორმა ვ. აბაშმაძემ საკმაოდ ვრცლად განიხილა ყუთლუ-არსლანისა და მისი დასის პოლიტიკური პროგრამის შესახებ უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებული შრომები, ამიტომ მათზე არ შეეჩერდებით. იგი ბოლომდე იზიარებს ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას და ასკვნის: „ნათელია, რომ ივ. ჯავახიშვილის კონცეფცია ყუთლუ-არსლანის დასის შესახებ, რომელიც მან წამოაყენა_ მთლიანად დასტურდება მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონის მიღწევათა მიხედვით. კერძოდ, ყუთლუ-არსლანის და მესამე წოდების (ბურჟუაზიის) ინტერესების შესაბამისად მოითხოვდა საერთო ხელისუფლების შეზღუდვას და ეს დასი თავის პოლიტიკურ პროგრამას ამყარებდა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიაზე. როგორც ყველგან, სადაც კი იგი გაჩნდა ფეოდალიზმის ეპოქაში, ბურჟუაზიის პოლიტიკური იდეოლოგიიის უმთავრესი შემადგენელი ნაწილი იყო".[3]

ჩვენი აზრით, ვ. აბაშმაძე, აჭარბებს, როდესაც „მესამე წოდებას" უკვე ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ ფენად აღიარებს. „ვ. აბაშმაძე საერთოდ მართებულად მიიჩნევს ივ. ჯავახიშვილის შეხედულებას,—წერს პროფესორი ი. სურგულაძე,—მაგრამ არ იქნება სწორი, ივ. ჯავახიშვილისათვის მიგვეწერა აზრი, თითქოს „ყუთლუ-არსლანის პროგრამა

---

[1] ლ. სანიკიძე, უქარქაშო ხმლები

[2] გ. აბაშიძე, წინაპრები და თანამედროვენი, თბ. 1979, გვ. 23

[3] ვ. აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, თბ. 1992 გვ. 113

თავისი შინაარსით მესამე წოდების ინტერესების გამომხატველი იყო". ივ. ჯავახიშვილი, მართალია, განასხვავებს ყუთლუ-არსლანის და მისი მომხრეების გამოსვლას დიდგვაროვან აზნაურთა გამოსვლისაგან, მაგრამ „მესამე წოდებას" ის არსად იხსენიებს, მას ასეთი ტერმინი არსად უხმარია".[1]

არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს გ. მჭედლიძის და ო. სოსელიას მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ იმ პერიოდის საქართველოში „მესამე წოდების" არსებობა საეჭვოა იმ სახით, როგორადაც წარმოდგენილია ვ. აბაშმაძესთან. იმის მტკიცება, რომ „მესამე წოდება" უკვე ჩამოყალიბებულია და საზოგადოებაში თავისი ადგილი უკავია (ბურჟუაზიას), არ იქნება მართებული, ვაჭარ-მრეწველთა არსებობა და მათი მოქალაქეობა არ ნიშნავს ბურჟუაზიის არსებობას. ისევე, როგორც სოციალისტური იდეების არსებობა საზოგადოებაში არ არის დაკავშირებული მარტო მუშათა კლასის არსებობასთან. გავიხსენოთ ქურუმული სოციალიზმის არსებობა. ყუთლუ-არსლანის და მისი დასელების იდეოლოგია არ არის დაკავშირებული მთლიანად „მესამე დასის" (ბურჟუაზიის) არსებობასთან. მართალია, სწორედ ყუთლუ-არსლანმა და მისმა დასელებმა თავიანთი იდელოგიით წინ გაუსწრეს ეპოქას, ივ. ჯავახიშვილის, ლ. სანიკიძის, გ. აბაშიძის და სხვათა აზრით, ამიტომ ჰქონდა მათ თეორიას მსოფლიო ისტორიული და საკაცობრიო მნიშვნელობა. ცნობილი ფაქტია—ჯერ თეორიები, დოქტრინები, იდეები ისახება და საკმაოდ დიდი დროის შემდეგ გვხვდება მათი განხორციელების მცდელობები, თუმცა ამის თაობაზე თვით ვ. აბაშმაძეც აღნიშნავს.

ასევე არ შეიძლება დავეთანხმოთ ვ. აბაშმაძეს, როდესაც ამტკიცებს XII საუკუნის საქართველოში ბურჟუაზიულ ურთიერთობათა და მისი შესაბამისი იდეოლოგიის (ბურჟუაზიული იდეოლოგიის) განვითარებას.

ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის ძირითად მოთხოვნად ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, რაც, აბაშმაძის აზრით, დამახასიათებელია მესამე წოდებისათვის (ბურჟუასიისათვის), არ მიგვაჩნია მართებულად, რადგანაც ხელისუფლების დანაწილების თეორია არ არის დამახასიათებელი მხოლოდ ბურჟუაზიული ფორმაციისათვის, მისი ფესვები საზოგადოებრივი ურთიერთობის გაცილებით ადრეულ პერიოდში ჩაისახა. ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის. მოვლენა იყო მაშინდელ საქართველოში და იგი წარმოადგენდა ხელისუფლების დანაწილების მცდელობას. „მოდა-

[1] ივ. სურგულაძე, საქართველოს პოლ. მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ. 1986 წ. 109

სეებში“ გაერთიანებული უნდა ყოფილიყვნენ როგორც დიდგვაროვნები, ასევე აღზევებული „უგვარონი“, რადგანაც მარტო „უგვაროები“ ვერ მოითხოვდნენ სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას... ისტორიაში ნაკლებადაა ცნობილი, რომელიმე ქვეყანაში ვაჭარ-ხელოსნები დამოუკიდებლად გამოსულიყვნენ მეფის ხელისუფლების განმტკიცების წინააღმეგ, რადგანაც „უგვაროების“ უმთავრესი მოწინააღმედგეები ცხოვრებაში სწორედ დიდგვაროვნები იყვნენ.

რაც შეეხება ყუთლუ-არსლანის და მისი მოძრაობის სოციალურ კუთვნილებას, ამის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გამოსვლის შემდგომ დამკვიდრებულ პოლიტიკურ რეჟიმს: „მეფის ხელისუფლება გარკვეულ დათმობაზე წავიდა, ეს დათმობა გააკეთა არა მესამე წოდების ზედა ფენის, არამედ დიდგვაროვან აზნაურთა სასარგებლოდ“—წერს გ. მჭედლიძე.[1]

იგივე აზრს ავითარებს ივანე სურგულაძე, რომელიც აღნიშნავს: „ყუთლუ-არსლანის ბრძოლის შედეგი მსხვილი ფეოდალების, დიდებულების უფლებებში გამოიხატა“.[2]

მკვლევართა ის ნაწილი (მათ შორის ვ. აბაშმაძეც), რომლებიც აღიარებდნენ „მესამე წოდების“ (ბურჟუაზიის) არსებობას XII საუკუნის საქართველოში, ეყრდნობოდნენ მემატიანის მიერ მითითებულ გამოთქმას „სიმდიდრით აღზევებულნი“ და მათ ვაჭარ-ხელოსანთა ფენასთან აიგივებდნენ. პროფ. ი. სურგულაძის აზრით, გამოთქმაში „სიმდიდრით აღზევებულნი“ შეიძლება ვიგულისხმოთ გაყოყოჩებული და გაზვიადებული მდიდარი დიდგვაროვანნი, ქალაქის მოსახლეობის ზედა ფენები და არა მარტო გამდიდრებული „მდაბიონი“. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკურ შეხედულებათა შესახებ, პროფ. ივ. სურგულაძეს მიაჩნია: ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამაში გათვალისწინებული პოლიტიკური შეხედულებანი დიდგვაროვან „სიმდიდრით აღზევებულთა“ ინტერესებს გამოხატავდა. მისივე მტკიცებით, სიმდიდრით აღზევებულებში შედიოდნენ: ქალაქის მოსახლეობის ზედაფენები, მსხვილ ფეოდალთა და ძირძველ აზნაურთა გარკვეული ნაწილი, ახლად გააზნაურებულები და მოხელეობით დაწინაურებული პირები. ბუნებრივია, ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლას მხარს უჭერდა ქალაქის მოსახლეობის მაღალი ფენა—დიდვაჭრები, და აგრეთვე, რამდენადაც დასის პროგრამა რესპუბლიკური წყობილების შემოღებით პროგრესულ ღონისძიებას ისახავდა მიზნად, ამდენად მას ემხრობოდნენ ვაჭრები, ვაჭარ-ხელოსნები, ხელოსნები და

[1] ჟურნალი „განთიადი“, 1977 წ., №6, გვ. 179

[2] ივ. სურგულაძე, საქართველოს პოლ. მოძღვრებათა ისტორიიდან. 1986, გვ. 109

გლეხები, ე.ი. „მესამე წოდება“ მთლიანად. „კარავში“ წარმოდგენილი იქნებოდნენ დიდვაჭრები, რომლებიც ისარგებლებდნენ „მესამე წოდების“ სხვა ფენების მხარდაჭერით, რადგანაც XII-XIII საუკუნეებში საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალაქის მოსახლეობა ანგარიშგასაწევი ძალა იყო.

და ბოლოს, სამეფო ხელისუფლებასა და ყუთლუ-არსლანის მომხრეთა შორის მომხდარი შეთანხმების თანახმად, სახელმწიფო დარბაზი გაფართოვდა მასში დიდვაჭართა შესვლით, ხოლო მეფის ხელისუფლება შეიზღუდა დარბაზის „თანაზიარობით“ და „ერთიანობით“, ე.ი. ქვეყნის მართვა-გამგეობას მეფესთან ერთად დარბაზიც ახორციელებდა.

ყუთლუ-არსლანის მომხრეთა გამოსვლაში დომინირებდა თუ არა ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნა?

ამ დასის გამოსვლამდე სამეფო სასახლეში იწვევდნენ „დარბაზს“, რომელიც შედგებოდა საერო და საეკლესიო დიდი მოხელეებისაგან, იგი ზღუდავდა მეფის ხელისუფლებას და ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის ხელისუფლების ცენტრალიზაციის საქმეს. ბუნებრივია, ყუთლუ-არსლანიც ამ დარბაზის წევრი უნდა ყოფილიყო, როგორც ვეზირი. „მოდასეთა“ პროგრამაში შემოდის „კარავი“, რომელიც მეფის სასახლესთან კი არა, მისგან მოშორებით უნდა გამართულიყო. თუკი „დარბაზს“ მეფე იწვევდა და მის სათათბირო ორგანოს წარმოადგენდა, „კარავი“ პირიქით, მეფის დამოუკიდებლად უნდა მოწვეულიყო და იქ მსხდომნი თვით უნდა ყოფილიყვნენ ქვეყნის გამგებელნი, ხოლო მეფეს ამ „გამგებლობაში“ ანუ კარვის მუშაობაში არ უნდა მიეღო მონაწილეობა.[1] მეფეს კარვის მიერ უმაღლესი გამგებლობის რომელიმე საკითხის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას აცნობებდნენ, ე.ი. მას მხოლოდ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის უფლება რჩებოდა, სხვა მხრივ, ქვეყნის მართვის საქმე „კარავს“ რჩებოდა.[2]

ყუთლუ-არსლანის „დასის“ პროგრამის ეს ნაწილი სხვა არაფერია, თუ არა „ხელისუფლების“ დანაწილების მოთხოვნა. ამიტომაა მეცნიერ-მკვლევართა მიერ შეფასებული ყუთლუ-არსლანის და მის „მოდასეთა“ გამოსვლა ეპოქისათვის წინსწრებად.

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის, რედ. გვ. 31.

[2] ივ. სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, 1986 წ. გვ. 98

პირველი სახელისუფლო პოლიტიკური დაწესებულება საქართველოში

პოლიტიკურად გაერთიანებულ საქართველოში ცენტრალური ხელისუფლების თანდათანობით გაძლიერება იწვევდა შესაბამისი სამოხელეო აპარატისა და საგარეო უწყების შექმნის აუცილებლობას.

ძველი სამოხელეო ინსტიტუტის გაუქმება, როგორც იყო ერისმთავრობა და საუფლისწულოთა სისტემა, ჯერ კიდევ ბაგრატ III-ის დროს დაიწყო და შემდეგ დავით აღმაშენებელმა გააგრძელა, რომელმაც რამდენიმე საღი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი ჩამოაყალიბა, მანამდე არსებულს კი ახალი ძალა და შინაარსი მისცა და ამით საფუძველი ჩაეყარა ცენტრალისტური სახელმწიფოსათვის შესაფერის სამოხელეო აპარატს. გიორგი III-ის დროსა და მის მომდევნო ხანებში თანდათანობითი დამატება-შესწორებებით ამ სისტემამ საბოლოოდ დასრულებული სახე მიიღო.

გაერთიანებული საქართველოს სათავეში მეფე იდგა. მეფე იყო ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი. საქართველოს გაერთიანებიდან შემდგომ დავით აღმაშენებლის ხანაში მეფის ხელისუფლება გაცილებით ძლიერია, მაგრამ, ამავე დროს, მეფეს ბრძოლა უხდება დიდგვაროვნებთან, რომელნიც მისი ძალაუფლების შეზღუდვას ცდილობენ. ორსაუკუნოვანი ბრძოლა მეფესა და დიდგვაროვნებს შორის XII საუკუნის დასასრულისათვის დიდგვაროვანთა ერთგვარი გამარჯვებით მთავრდება, რადგანაც მათ მიაღწიეს მეფის ძალაუფლების გარკვეულწილად შეზღუდვას და დარბაზის ძალაუფლების გაზრდას. ამიერიდან მეფე ყველა მნიშვნელოვან საკითხს მხოლოდ დარბაზის „თანადგომითა და ერთნებაობითა წყვეტს".[1] მეფის ხელისუფლების შეზღუდვა სცადა ყუთლუ-არსლანის დასმა. ეს გამოსვლა ერთგვარი მორიგებით დამთავრდა. ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია თამარის პირველი ისტორიკოსის ფორმულას: „ერთნებაობითა და თანადგომითა" და გამოთქვა მოსაზრება, რომ იგი მიუთითებდა თამარის ხელისუფლების შეზღუდვას დიდებულთა სასარგებლოდ, რომ მეფეს უცვნია დიდებულთა უფლება მეფესთან ერთად განეგოთ სახელმწიფო, რომ მეფე ამიერიდან სახელმწიფოს

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII, გვ. 111

მართავდა დიდებულთა „ერთნებაობითა და თანადგომით". ამრიგად, ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, თამარის მეფობის დროს საქართველოში შეზღუდული მონარქია დამყარებულა.[1]

ეს თვალსაზრისი საყოველთაოდაა აღიარებული მკვლევარების მიერ.[2] თუმცა-და ყველა მკვლევარი „ერთნებაობა-თანადგომის" ამ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ ფორმებში სხვადასხვა აზრსა და მნიშვნელობას ხედავს, ჩვენ სხვაგანაც მივუბრუნდებით ქართული სახელმწიფოებრიობის ამ დიდმნიშვნელოვან პრობლემას, აქ კი ვიტყვით, რომ ჩვენი აზრით, როგორც იდეური, ისე პრაქტიკული სახით, იგი საწყისს ჯერ კიდევ გიორგი მთაწმინდლიდან და „ათონური სკოლიდან" იღებს. სწორედ, გიორგი ათონელმა დაუდო სათავე ათონის მონასტრის შინაგანაწესში და მონასტრის მართვა-გამგეობაში ამ პრინციპს. ეს მან განახორციელა იმით, რომ ტრადიციად დაამკვიდრა მონასტრის ბერების მიერ „წილნაყრობით" (ე.ი. არჩევნების წესით) თავიანთი წინამძღვრის არჩევა „ყოველთა ერთნებაობათა და თანადგომითა". რატომღაც ამ ფაქტს სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ და ამის შესახებ თავისი შეხედულება პირველად შოთა მესხიამ გამოთქვა.

მან განიხილა „ისტორიანი და აზმანის" ცნობები ამ საკითხზე და ნათელყო, რომ ფორმულა „ერთნებაობითა და თანადგომითა" არ დამკვიდრებულა თამარის მეფობის ხანაში, რომ ეს ფორმულა არსებობდა გიორგი III-ის დროსაც და ალბათ, უფრო ადრეც. ეს სრულიადაც არ ნიშნავდა მეფის ხელისუფლების შეზღუდვას. იგი წარმოადგენდა ზოგად გამოთქმას იმის თაობაზე, რომ მეფეს „თანაუდგნენ", ე.ი. მხარს უჭერდნენ დიდებულები. შ. მესხიას დასკვნით, „მიუხედავად დიდგვაროვანთა არაერთი გამოსვლისა, თამარმა თავისი მეფობის განმავლობაში შეძლო ძირითადად შეენარჩუნებინა მეფის ხელისუფლების სამოხელეო წყობა და ამ მხრივ თავისი მამის გიორგი III-ის საშინაო პოლიტიკური კურსი გაეგრძელებინა.[3]

დარბაზი საქართველოს სახელმწიფო წყობილებაში განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო. იგი შედგებოდა დარბაზის ერისაგან. დარბაზის ერი გულისხმობდა ყველა ვაზირს და მის ხელქვეით მოხელეს, აგრეთვე—საქვეყნოდ გამრიგე დიდ მოხელეებსა და საეკლესიო მესვეურებს.

მის კომპეტენციაში შედიოდა კანონქმნა და უზენაესი მართლმსაჯულება, დიდ ხელისუფალთა არჩევა-დანიშვნა, ომისა და ზავის საკითხები და სხვა.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, თხზ. ტ. VI, 1982

[2] ვ. აბაშმაძე, ნარკვევები, საქ. პოლ. მოძღვრებათა ისტორია, თბ. 1969, გვ. 180-181

[3] შ. მესხია, საშინაო-პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII ს. საქართველოში, 1979 წ. გვ. 78

მართვა-გამგეობა საქართველოში სავაზიროს საშუალებით ხორციელდებოდა. „სავაზირო“ უწყებათა მეთაურების გაერთიანებას ერქვა და წარმოადგენდა ვაზირთა საბჭოს. ამ საბჭოში შემავალი თითოეული ვაზირი ცალკე უწყებას განაგებდა.

ვაზირი ქართულ-საისტორიო წყაროებში, როგორც მეფის მინისტრის აღმნიშვნელი, გიორგი III-ის დრომდე არ გვხვდება (მანამდე იხსენიება ვაზირი სპარსთა მეფისა).[1] ამ დროიდან იწყება ვაზირის—როგორც განსაკუთრებული უწყების მეთაურის აღმნიშვნელი ტერმინის ხმარება.

„თავდაპირველად ვაზირად იწოდებოდა მხოლოდ მწიგნობართუხუცესი“,[2] შემდეგ ამირსპასალარი და მეჭურჭლეთუხუცესი, თამარის მეფობის უკანასკნელი წლებიდან—ათაბაგი და ბოლოს რუსუდანის მეფობაში—მსახურთუხუცესი. ასე რომ, საბოლოო სახით საკაზირო 6 ვაზირისაგან შედგებოდა.

ამ ვაზირთა შორის ჭყონდიდელი—მწიგნობართუხუცესი ითვლებოდა პირველ ვაზირად, ანუ ვაზირთა შორის უპირველესად. დანარჩენები კი ორ მთავარ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. ერთი იყო „სამთა ვაზირთა“ ჯგუფი, მეორე „ორთა ვაზირთა“ ჯგუფი, „სამთა ვაზირთა“ ჯგუფში შედიოდნენ ათაბაგი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი, „ორთა ვაზირთა“ ჯგუფს კი მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი შეადგენდნენ.[3]

გაერთიანებულ საქართველოში ცენტრალური მმართველობის ძირითად უწყებათა მეთაურებს გარკვეული დროიდან ეწოდათ ვაზირები, ხოლო ვაზირთა საბჭოს—სავაზირო. როდის მოხდა ეს? როდის წარმოიქმნა სავაზირო? როდის იწოდნენ უხუცესები ვაზირებად? ივ. ჯავახიშვილი, „ხელმწიფის კარის გარიგებაზე“ დაყრდნობით, მიიჩნევდა, რომ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს, ამირსპასალარს, მანდატურთუხუცესს, მეჭურჭლეთუხუცესს თავიდანვე ეწოდებოდათ ვაზირები და მაშასადამე, სავაზირო ჩამოყალიბდა ამ სამოხელეო ინსტიტუტების წარმოქმნასთან ერთად. 1212 წლიდან სავაზიროში შევიდა ათაბაგი, ხოლო რუსუდანის მეფობის ხანაში—მსახურთუხუცესი.[4]

ივ. ჯავახიშვილის ეს თვალსაზრისი დამკვიდრდა ქართულ საისტორიო მეცნიერებაში.[5]

---

[1] მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, ს. პბ. 1882, გვ. 617

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს იტორიის საკითხები, თბ. VII, გვ. 79

[3] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

[4] იქვე, გვ. 121-124

[5] საქართველოს ისტორია, ნ. ბერძენიშვილის რედ. 1958 წ. გვ. 208-210.

შ. მესხიამ არ გაიზიარა და უარყო ეს შეხედულება, იგი XII ს. და XIII ს-ის დასაწყისის წყაროთა ცნობების ანალიზის საფუძველზე (თამარის ისტორიკოსების, XIII ს-ის დასაწყისის ქართული საბუთების და ეპიგრაფიკული მასალის გულდასმით განხილვის შედეგად) მივიდა იმ დასკვნამდე, რომ XII ს-სა და XIII ს-ის პირველ ათეულში საქართველოს სამეფო კარზე მხოლოდ ერთი ვაზირი იყო—ჭყონდიდელი მწიგნობართუხუცესი და მაშასადამე, ამ პერიოდში სავაზიროც არ არსებობდა. შ. მესხიას დასკვნით, ხელმწიფის კარის გარიგება, სადაც ვაზირებად გარდა ჭყონდიდლისა მოხსენებული არიან აგრეთვე ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, ასახავს თამარის მეფობის შემდგომი პერიოდის ვითარებას, როცა ვაზირთა რაოდენობა გაზრდილა ექვსამდე. შ. მესხიას დასკვნა ამ საკითხზე ასეთია:

„ამრიგად, ვაზირი XII საუკუნისა და XIII ს-ის პირველი ათეული წლების საქართველოს სამეფო კარზე მხოლოდ ერთი იყო—ეს თანამდებობა მეფის შემდეგ სამეფოს პირველ პირს, პირველ მოხელეს—მწიგნობართუხუცესს—ჭყონდიდელს ჰქონდა. რაკი სამეფო კარზე მხოლოდ ერთი ვაზირი იყო, ცხადია არ არსებობდა სავაზირო, როგორც დაწესებულება, ვაზირი, სათათბირო, საკრებულო ორგანო. საქართველოს მთავრობას თამარის დროს „დარბაზის რიგის", მაღალი რიგის მოხელეები შეადგენდნენ, რომელთა სათავეშიც იდგა მეფის უპირველესი მოხელე ვაზირი—მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში XII ს. საქართველოს სამოხელეო წყობის შესწავლა არსებითად დაემყარა შედარებით გვიანდელ ძეგლს „ხელმწიფის კარის გარიგებას". ეს ძეგლი XIV ს-ის პირველ ნახევარს ეკუთვნის და მაშასადამე, თითქმის საუკუნენახევრით არის დაშორებული თამარის ეპოქას. ამას გარდა, საუკუნენახევარი მრავალი ახალი, არსებითად განსხვავებული მოვლენებით აღინიშნა ქვეყნის არა მარტო საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკურ ცხოვრებაშიც, სამოხელეო წყობაშიც, რომელსაც არ შეიძლებოდა ასახვა არ ეპოვა ამ შედარებით გვიანდელ ძეგლში. აი, ამიტომ ვფიქრობთ, რომ „ხელმწიფის კარის გარიგებით" XII-XIII ს.ს. მიჯნის საქართველოს სამოხელეო წყობის მეტნაკლებად სწორი სურათის ასახვა შეუძლებელია. მით უფრო, რომ „კარის გარიგების" მონაცემები არსებითად ეწინააღმდეგება თამარის დროის თუ სხვა წყაროების მონაცემებს".[1]

შ. მესხიას ეს დასკვნა დამაჯერებლად უარყოფს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ხანგრძლივი დროის მანძილზე ურყევად მიჩნე-

---

[1] შ. მესხია, საშინაო-პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ. 1979 წ., გვ. 70-71

ულ თვალსაზრისს XII საუკუნეში სავაზიროს არსებობის შესახებ.

არსებული მასალების მიხედვით, საქართველოში დარბაზობის ორი წესი არსებობდა: 1. დარბაზობა „დიდი წესით“ და 2. დარბაზობა „მცირე წესით“. წინასწარ იცემოდა განკარგულება მეფის მიერ, თუ რომელი წესით უნდა მოეწვიათ დარბაზობა.

„დიდი წესით“ დარბაზობას საზეიმო ხასიათი ჰქონდა, ხოლო „მცირე წესით“ —საქმიანი.

ტერმინი „ვაზირი“, როგორც ზემოთ ვთქვით, ქართულ წყაროებში გიორგი III-ისა და თამარ მეფის დროიდან იხსენიება,[1] სწორედ ამ დროიდან იქცა, ალბათ, იგი მინისტრის შესაბამის სახელად.

ქართულ წყაროებში სავაზიროს შესახებ ვრცელ ცნობებს მხოლოდ „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ვხვდებით. ეს იმის მაჩვენებელია, რომ სავაზირო თანდათანობით ყალიბდება მე-12 საუკუნიდან და დასრულებულ სახეს ღებულობს საქართველოს გაერთიანების პერიოდში, მანამდე ქართულ წყაროებში ვხვდებით ცნობებს ვაზირების შესახებ. მაგალითად, ამირსპასალარის, ათაბაგის, მწიგნობართუხუცესის და სხვა. მაგრამ ისინი ვაზირებად როდი მოიხსენებიან, არამედ ზემოაღნიშნული სახელით. ამით დასტურდება ის გარემოება, რომ სავაზირო ჩამოყალიბებული სახით გვეელინება უფრო მოგვიანებით.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, სავაზირო სავსებით ჩამოყალიბებული დაწესებულებაა და მეფის სათათბირო ორგანოს წარმოადგენს. მას ხელმძღვანელობდა მწიგნობართუხუცესი—ჭყონდიდელი, მაგრამ სავაზიროს თუ მეფე ესწრებოდა, მაშინ მისი ხელმძღვანელი მეფე იყო. სავაზირო სხდომაზე ირჩეოდა სახელმწიფოს ყოველდღიური მმართველობის საკითხები. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, ვაზირობას ესწრებოდნენ: მწიგნობართუხუცესი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი, საწოლის მწიგნობარი, ამილახვარი და ამირეჯიბი. სხდომის მიმდინარეობის დროს შენობას გარედან მცველები ედგნენ.

დამტკიცებულია, რომ „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, სავაზირო ყოველდღიურად მოქმედი ორგანო ჩანს, რომელიც მთავრობის ფუნქციებს ასრულებს. თუ დღევანდელი ტერმინით ვიტყვით—სავაზირო გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს მინისტრთა საბჭოა, ხოლო ვაზირები—ცალკეული მინისტრები.

დასაბუთებულია, რომ სავაზიროს ჩამოყალიბება გამოიწვია გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს მართვის გართულებამ, რად-

---

[1] „საქართველოს ისტორია“, ნ. ბერძენიშვილის რედაქ. 1958 წ. გვ. 210

გან მმართველობას მეფე ასორციელებდა და მას არ შეეძლო ყველა ფუნქციის შესრულება. აუცილებელი ხდებოდა ტერიტორიული მართვის პრინციპიდან უწყებრივ მმართველობაზე გადასვლა. სწორედ უწყებრივი მმართველობის განხორციელების საშუალებას წარმოადგენდა საკაზირო.

საკაზიროს შესახებ ძირითადად ცნობებს იძლევა „ხელმწიფის კარის გარიგება", მაგრამ კაზირებისა და საკაზიროს შესახებ ცნობები მოცემულია სხვა ქართულ წყაროებშიც, მათ შორის—„ვეფხისტყაოსანშიც". პროფ. ივ. სურგულაძემ ამომწურავად შეისწავლა საკაზირო „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით და შემდეგ დასკვნამდე მივიდა:

1. კაზირი ყველა მოხელეზე უფროსია;

2. კაზირი ეწოდება მმართველობის რომელიმე დარგის ხელმძღვანელს, დაახლოებით ისეთს, როგორიც მინისტრია;

3. კაზირი ნიშნავდა მრჩეველს, აქედან—კაზირობა რჩევაა;

4. კაზირი იყო მეფის, ანუ მთავარსარდლის ამალის წევრი[1].

განვიხილოთ საკაზიროში შემავალი კაზირებისა და სხვა მოხელეების ფუნქციები და უფლება-მოვალეობანი:

1. მწიგნობართუხუცესი—ჭყონდიდელი

საკაზიროში შემავალ კაზირთა შორის პირველობა ეკუთვნოდა მწიგნობართუხუცესს—ჭყონდიდელს. მწიგნობართუხუცესი, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, მწიგნობართა უფროსია. მწიგნობარი ნიშნავს მდივანს, მწერალს. მდივანი, ანუ მწიგნობარი, ადგენდა საქმიან ქაღალდებს, ხელმძღვანელობდა ამა თუ იმ დაწესებულების შემოსავალ-გასავალს და ადგენდა სათანადო დოკუმენტაციას. მწიგნობართუხუცესს ჰყავდა 26 მწიგნობარი, ამათგან გამოირჩეოდნენ საწოლის და ზარდახანის მწიგნობარნი.

საწოლის მწიგნობარი მეფესთან დაახლოებული პირი იყო, ამასთანავე იგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის თანაშემწედაც ითვლებოდა. კაზირობის დროს საწოლის მწიგნობარი მწიგნობართუხუცეს—ჭყონდიდლის გვერდით იდგა საწერით ხელში და ასრულებდა მის ყოველ განკარგულებას. გარდა ამისა, იგი მწიგნობართუხუცესს თან ახლდა ხოლმე სასამართლო საქმეების განხილვისას საჯარო კარში.

რაც შეეხება ჭყონდიდელს, იგი საეკლესიო მოხელეც, ანუ ეპისკოპოსიც იყო. დავით აღმაშენებლამდე საეკლესიო ხელისუფალი არ

---

[1] ივ. სურგულაძე, საკაზირო „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით. ჟ. „მნათობი", 1957 წ. №12, გვ. 149

ემორჩილებოდა საერო ხელისუფლებას და დამოუკიდებლობით სარგებლობდა. დავით აღმაშენებელმა ჭყონდიდის ეპისკოპოსს მწიგნობართუხუცესობა ჩააბარა, რითაც საეკლესიო ხელისუფლება საერთო ხელისუფლებას დაუმორჩილა. ასე ჩამოყალიბდა „მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდლის“ სახელო, რომელიც შემდგომში ვაზირად იქცა.

ვაზირები ერთნაირი უფლებებით როდი სარგებლობდნენ, არც ერთნაირი პატივი მიეგებოდათ. ვაზირთა შორის უპირველესად ითვლებოდა მწიგნობართუხუცესი—ჭყონდიდელი. „დავით აღმაშენებელმა ფეოდალური საქართველოს ისტორიაში განუმეორებელი ღონისძიება გაატარა: მან ორი დიდი თანამდებობა—საერო (მწიგნობართუხუცესისა) და საეკლესიო (ჭყონდიდელი ეპისკოპოსისა)—ერთი პირის ხელში გააერთიანა, მწიგნობართუხუცეს—ჭყონდიდელის „სახელო“ შექმნა და მას ეკლესიის საქმეებიც ჩააბარა, დავითის ისტორიკოსის სიტყვით ამიერიდან „მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა... ყოველსა საეკლესიოსა განშენებისასა დარბაზის კარით (სამეფო აპარატიდან) მიიღებიან“. ამრიგად, მეფემ ეკლესია სამეფო ხელისუფლებას, მის ინტერესებს დაუმორჩილა და ქვეყნის სამსახურში ჩააყენა“.[1]

მეფის მწიგნობართუხუცესს სამეფო საქმეზე ყველა დარგში მიუწვდებოდა ხელი. დავით აღმაშენებლის დროიდან, როგორც ვიცით, მწიგნობართუხუცესი უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეც იყო და ჭყონდიდის ეპისკოპოსიც, მისი მეშვეობით მეფე მარჯვედ ერეოდა საეკლესიო საქმეებში. რადგან მწიგნობართუხუცეს—ჭყონდიდლის მნიშვნელობა მეტად დიდი იყო, საერო და საეკლესიო ფეოდალები შურის თვალით უყურებდნენ ამ თანამდებობას და მის მიტაცებას ცდილობდნენ.

მწიგნობართუხუცესს მეფე მამას უწოდებდა, ამიტომაც იგი მეფის შემდეგ პირველ კაცს წარმოადგენდა სახელმწიფოში, მეფის თანაშემწედ ითვლებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას რომელიმე დარგი კი არ ჰქონდა სპეციალურად მინდობილი, არამედ მმართველობის ყველა სფეროს ზედამხედველობდა და ხელმძღვანელობდა. „ჭყონდიდელი—მწიგნობართუხუცესი არის „მართლმსაჯული და ხელისამპყრობელი უღონოთა და ქურივთა“. ეამთაღმწერელი იმასაც უმატებს, რომ მწიგნობართუხუცესის მოვალეობას „სამეფოსა და სახლის განგება“ შეადგენდა. უფრო მეტიც, „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ნათქვამია, რომ მწიგნობართუხუცესი „ვითა მამა არს მეფისა, აგრე ყველა საურავი უმისოდ არ იქნების“. ზემოთ მოტანილი ცნობებიდან დასტურდება ის

[1] შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. III, 1986 წელი. გვ. 31

დიდი მნიშვნელობა და გავლენა, რომელიც მწიგნობართუხუცესს ჰქონია"—წერს რ. მეტრეველი.[1]

მწიგნობართუხუცესი—მჭყონდიდელი საკაზიროს მეთაური, პრემიერ მინისტრი, ანუ კანცლერი იყო. იგი, როგორც საკაზიროს უფროსი, სამხედრო საქმეების მოწესრიგებაშიც ღებულობდა მონაწილეობას და როგორც მონაზონი, ოთხ საპატიო მონაზონთან ერთად იყო გათვალისწინეული დარბაზობის დროს.

მას, როგორც საეკლესიო ხელისუფალს, ემორჩილებოდა საქართველოს ყველა მონასტერი და ეკლესია, გარდა გელათისა.

მწიგნობართუხუცესი—ჭყონდიდელი აქტიურად მონაწილეობდა ხელმწიფის საქმეებში. „საქართველოს სამეფოს პირველი მწიგნობართუხუცესი—ჭყონდიდელი ე.ი. პირველი ვაზირი იყო მეფე დავითის ძლიერ ახლობელი, მისი „თანააღმზრდელი და გამზრდელი", დიდი სახელმწიფო მოღვაწე გიორგი ჭყონდიდელი. აღსანიშნავია, რომ გიორგი ჭყონდიდლის გარეშე დავით აღმაშენებელი არ წყვეტდა არც ერთ დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს, მათ შორის, მეზობლებთან ურთიერთობას, ლაშქრის ორგანიზაციას თუ ამა თუ იმ ციხე-ქალაქის შემოერთებისა და სხვა მსგავს საკითხებს, რომელთაც თითქმის უშუალო კავშირი არც უნდა ჰქონოდა სამეფო კანცელარიის (მწიგნობართა) უხუცესისა და საეკლესიო მოღვაწის განსაგებელთან, მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ დავითმა თავისი რეფორმების წყალობით სამეფო კარზე საშინაო თუ საგარეო საქმეთა გასაგებლად შექმნილი ცალკეული უწყებები უშუალოდ ვაზირს, მწიგნობართუხუცეს—ჭყონდიდელს დაუქვემდებარა".[2]

ეს გარემოება „ხელმწიფის კარის გარიგების" გარდა სხვა ისტორიული დოკუმენტებითა და წყაროებითაც დასტურდება, ასე მაგ. თამარის ისტორიკოსის სიტყვით, მწიგნობართუხუცესი გამოსცემდა ბრძანებებს ჯარის შეკრების შესახებ და უშუალოდაც მონაწილეობდა ომში. საქართველოს ისტორიაში ცნობილია ფაქტები, როდესაც მწიგნობართუხუცესს მეფის არყოფნისას უკისრია უმაღლესი გამგებლობა.[3]

მწინობართუხუცესის სახელო განსაკუთრებული მოვლენაა ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებაში, პირველ რიგში, იმით, რომ მან სახელმწიფო მართვა-გამგეობაში პრიორიტეტული როლი მიანიჭა ერის ინტელექტუალურ ძალებს, ამიტომ თვითონ ცნება „მწიგნობართუხუცესობა" ჩვენ პირდაპირი გაგებით კი არ უნდა გავიგოთ, თუმცაღა თვითონ მაშინდელი ჟამთაღმწერლები მასში „მწიგნობრობას", „წიგ-

---

[1] რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბ. 1990, გვ. 135

[2] შ. მესხია, საისტორიო ‹იებანი, ტომი III, 1986 წელი. გვ. 32

[3] ქართლის ცხოვრება, II, 1959 წ. გვ. 253

ნების კაცს", წიგნის აღმწერსა და მწარმოებლებს გულისხმობდნენ. „ქართლის ცხოვრებაზე" დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ „მწიგნობართუხუცესი" იყო... მეფის „გამზრახი" და მეფის სახელმწიფო მოღვაწეობის „თანა-გამკაფელი". მწიგნობართუხუცესი უნდა ყოფილიყო „ბრძენი და გონიერი, პატრონთათვის სვიანი და ერთგული და შემმეცნებელი საურავთა". მას „საურავნი" ჰქონდა და საქმე სწორედ ამ საურავების გამორკვევა არის...

ამ მხრივ საყურადღებოა, რომ საისტორიო მასალების ცნობები საუცხოოდ მტკიცდება „კარის გარიგებით". იქ, მაგალითად, ნათქვამია: „მწიგნობართუხუცესი ვითა მამა არს მეფისა, ეგრე ყველა საურავი უმისოდ არ იქნების".[1]

დიდი ივანეს ეს აზრი სახელმძღვანელო მითითება უნდა გახდეს მწიგნობართუხუცესის უწყების არსის გაგებისათვის. ამით ცხადი ხდება, რომ „ოქროვანი ხანის" ქართულ სახელმწიფოებრიობაში იგი წარმოადგენდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, მისი მთლიანობისა და უშიშროების განმსაზღვრელს და ამასთან, პრაქტიკულად აღმასრულებელსაც. იგი, ამასთან, ქვეყნის ფინანსების—ეროვნული შემოსავლების მეურვეც იყო, რადგან „უმისოდ საურავი არ იქნებოდა"—ე.ი. მთელი საგადასახადო და საბაჟო სისტემა მას ემორჩილებოდა. ქვეყანაც მაშინ წახდა და საქართველოს „ოქროვანი ხანაც" მაშინ დასრულდა, როცა სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის ეს ქართული სისტემა მოიშალა თამარის მეფობის ბოლო წლებში, განსაკუთრებით კი, ლაშა-გიორგისა და რუსუდანის მმართველობის დროს, როდესაც მწიგნობართუხუცესობის უწყება თანდათანობით დაკნინდა და მას თანდათანობით ყველა მნიშვნელოვანი ფუნქცია ჩამოაშორეს. კერძოდ—„საურავის" ფუნქცია მალე ათაბაგობის ინსტიტუტმა დაისაკუთრა და იგი მხარგრძელთა კლანის ხელში ქვეყნის დაცემისა და დაქუცმაცების მთავარი მიზეზი გახდა. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ რომ მწიგნობართუხუცესის სახელო ფეოდალური სახელმწიფოს გაძლიერების დროს წარმოიშვა და გაუქმდა საქართველოს დაშლისა და დაქვეითების კვალობაზე. „ჭყონდიდელ—მწიგნობართუხუცესობის დაწესება ქრონოლოგიური თვალსაზრისით დაემთხვა ფეოდალური საქართველოს იმ პერიოდს, როცა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ქვეყანაში. თვით ამ თანამდებობის შემოღებაც XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს სამეფო ხელისუფლების რეფორმაციულ საქმიანობას უნდა მიეწეროს. ისევე, რო-

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VI, თბ. 1982 წელი, გვ. 172-174.

გორც ამ დროს გატარებული სხვა რეფორმები, ეს ღონისძიებაც გარკვეული აუცილებლობით იყო ნაკარნახევი და ფეოდალური ქვეყნის განვითარების კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა".[1]

ის არის პირველი მრჩეველი, „განმზრახი" მეფისა, მწიგნობართუხუცესი—ჭყონდიდელი არის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი, მთავრობის თავმჯდომარე.

—სამეფოს მართვა-გამგეობის საქმეში ყოველგვარი „საურავი" მას ექვემდებარება.

—მას ექვემდებარება სამეფო „სახლი" ე.ი. სამეფოს ქონება, მეფის მამულები.

—მეფის შემდეგ ის არის უმაღლესი სასამართლო ფუნქციების მფლობელი ხელისუფალი.

—მწიგნობართუხუცესი—ჭყონდიდელი განაგებს, აგრეთვე, საეკლესიო საქმეებსაც.

—მწიგნობართუხუცეს—ჭყონდიდელს, როგორც ვაზირთა უპირველესს, ცალკეული უწყებებიც ექვემდებარება.[2]

და ბოლოს:

„ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო სამართლის არც ერთს ინსტიტუტში კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლა ისე თვალნათლივ არ მოსჩანს, როგორც ჭყონდიდელი—მწიგნობართუხუცესის თანამდებობაში".[3]

2. ათაბაგი

ვაზირთა შორის, მწიგნობართუხუცეს—ჭყონდიდლის შემდეგ, „ხელმწიფის კარის გარიგებაში" მოხსენიებულია ათაბაგი.

ათაბაგობა ქართული ფეოდალური სახელმწიფო წყობილების მეტად საინტერესო ინსტიტუტია, იგი უცხოური წარმოშობისაა. საქართველოში მისი დამკვიდრება, ათაბაგის უფლება-მოვალეობა შესწავლილია სხვადასხვა მეცნიერთა მიერ. ამის თაობაზე ქართულ ლიტერატურაში მოსაზრებები გამოთქვეს: ვ. ბატონიშვილმა, დ. ბაქრაძემ, ნ. ურბნელმა, ივ. ჯავახიშვილმა, ვლ. გორდელევსკიმ.

დ. ბაქრაძე წერს: „სიტყვა ათაბაგი არის თურქული და ნიშნავს:

---

[1] რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბ. 1990, გვ. 132.

[2] ი. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ. 1965 გვ. 210

[3] რ. მეტრეველი, დას. ნაშ., გვ. 133

„ატტა“ გამზრდელს და „ბეგი“ ბატონსა მთავარსა“, „გამზრდელი ბატონისა, მთავრისა“. ათაბაგები თავდაპირველად სელჯუკების სასახლეში ათევდნენ.[1] დიმიტრი ბაქრაძის მითითებით, საქართველოს მოსაზღვრე აზერბაიჯანში, სელჯუკების დასუსტების შემდეგ, აზერბაიჯანის ათაბაგნი, რომელნიც პირველად იყვნენ სულჯუკების ხელისუფალნი, გაძლიერდნენ და სწორედ მათგან მიუთვისებიათ ქართველებსაც. საბოლოოდ კი ათაბაგობა სამცხე-კლარჯეთში გვარადაც გადაქცეულა. დიმიტრი ბაქრაძის აზრით, ათაბაგობა მაჰმადიანური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი თანამდებობაა, ისინი მეფის შვილების აღმზრდელები იყვნენ.

ქართული სამართლის მკვლევარმა იურისტმა ნ. ურბნელმა (ხიზანიშვილი) ათაბაგობის შესახებ შემდეგი მოსაზრება გამოთქვა: საქართველოში ძველი დროიდანვე ჩვეულებად ჰქონდათ, რომ დიდი და წარჩინებული ოჯახიშვილი სხვის სახლში აღეზარდათ. ამ ჩვეულებას მისდევდნენ მეფეებიც კი, მაგალითად, ვახტანგ გორგასლის აღმზრდელი იყო სპასპეტი საურმაგი. ასეთ ჩვეულებას ათაკილობა ეწოდებოდა, საქართველოში კი მამა-მძუძეობა ერქვა. შემდგომში მამა-მძუძეობის მაგივრად ათაბაგობა შემოიღეს. ათაბაგობა იმას ნიშნავდა, რასაც ქართული მამა-მძუძეობა. ისევე, როგორც დ. ბაქრაძე, ნ. ურბნელიც ადასტურებს, რომ საქართვლეოში ათაბაგობა შემოღებულია სელჯუკების მიბაძვით. და რომ ათაბაგობამ შვილის აღსაზრდელად გადაცემა შეცვალა და აღმზრდელი შინ იქნა მოყვანილი.[2]

ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია ათაბაგობის ინსტიტუტს: „ცნობილია, რომ ათაბაგობა ქართული ხელისუფლობა არ არის და უცხოეთიდან იყო შემოსული. ათაბაგობა 1212 წლამდე „არა ყოფილა საქართველოს მეფეთა წინაშე“. თვით ეს დაწესებულება „სულტანთა წესი არს“ და არა საქართველოს მეფეთა. თურქულად „მამად და გამზრდელად მეფეთა და სულტანთა იწოდების ათაბაგი“.[3]

ივ. ჯავახიშვილის აზრით საქართველოში ათაბაგობა შემთხვევით შემოვიდა, რადგან, იმ დროს, როდესაც თამარ მეფემ ათაბაგობა შემოიღო, აღსაზრდელი უფლისწული არავინ იყო, ლაშა-გიორგი უკვე თავისი სახელოვანი დედის თანამეცხედრედ იჯდა, თანაც დედა ცოცხალი ჰყავდა და ამის გამო „ახალ“ ათაბაგს, რასაკვირველია, არ შეეძლო ისეთი გავლენა მოეპოვა, როგორიც სელჯუკიანთა სამეფოსა და სპარსეთში ჰქონდათ. ივ. ჯავახიშვილი საქართველოში ათაბაგობის შემო-

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძის რედაქციით, 1885 წ. გვ. 191

[2] ნ. ურბნელი, ათაბაგობა, ბეკა, აღბულა და მათი სამართალი, 1890 წ. გვ. 6-10

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, თბ. 1982, გვ. 311

ღებას ივანე მხარგრძელის პატივმოყვარეობას მიაწერს, რომელმაც თამარს უარი უთხრა მისი ძმის ზაქარია ამირსპასალარის და მანდატურთუხუცესის სახელოზე, ამიტომ ათაბაგობა სთხოვა მეფეს. „ათაბაგობის წარმოშობა ჩვენს ისტორიოგრაფიაში სწორედ ერთ-ერთი ფეოდალური საგვარეულოს, მხარგრძელთა მცდელობასთან, მათ უფლება-მოვალეობათა გაზრდისათვის ბრძოლასთან არის დაკავშირებული".[1]

რაც შეეხება ივანეს მიერ ამირსპასალარობასა და მანდატურთუხუცესობაზე უარს, თითქოსდა მისი ამ თანამდებობისათვის შეუფერებლობის („მე უღირსი ვარ") შესახებ, ეს მეფის წინაშე თავის მოკატუნებას უფრო ჰგავს, ვიდრე თავმდაბლობას, რადგან, ფაქტობრივად, უფრო დიდი თანამდებობა მოითხოვა.[2]

ივ. ჯავახიშვილის აზრით, მართალია ათაბაგობა სელჯუკების სახელმწიფოში საპატიო თანამდებობა იყო, მაგრამ საქართველოში იგი ვერ ამაღლდებოდა იმ დონემდე, როგორზეც მწიგნობართუხუცესი—ჭყონდიდელი იყო. ე.ი. მწიგნობართუხუცესი—ჭყონდიდელი საქართველოში, როგორც პირველი ვეზირი, ათაბაგზე მაღლა იდგა. ათაბაგმა მის შემდეგ დაიკავა ვაზირებს შორის პირველი ადგილი.

ამასთან ერთად, ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ ათაბაგობის სახელოს შესახებ ყველაფერი დეტალურად არ არის გარკვეული: „ამაზე მეტი ცნობები ათაბაგობის შესახებ ჯერ არ მოგვეპოვება და ამის გამო მის უფლება-მოვალეობაზე არა ვიცით რა, როგორც ეტყობა, ათაბაგობა შემდეგშიაც იშვიათ და უცხო რამედ დარჩა საქართველოსათვის".[3]

ჩვენ გვინდა გავაგძელოთ და განვავითაროთ ბატონ ივანეს აზრი იმ მიმართებით, რომ ათაბაგობის ინსტიტუტზე ცნობების ნაკლებობა და აგრეთვე ის ფაქტი, რომ იგი ვერ ამაღლდა მწიგნობართუხუცესობის პოლიტიკურ მნიშვნელობამდე, გამოწვეული იყო თვით მაშინდელი ქართული სახელმწიფოებრიობის საერთო-პოლიტიკური კრიზისით, რის შედეგადაც თვით ძველმა სახელმწიფოებრივმა სტრუქტურებმა და მართვა-გამგეობის ერთიანმა სისტემამ დაკარგა თავისი როლი და მნიშვნელობა. გარნისის ტრაგედიამ ნათლად აჩვენა სახელმწიფოებრივი მექანიზმის დეგრადაცია. დაიკარგა მართვა-გამგეობის ის მწყობრი სისტემა, რომელიც ცენტრალურ და ადგილობრივ მართვას, უწყებრივ სტრუქტურებს და ტერიტორიალურ მმართველობას ერთიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმად კრავდა. მხარგრძელებმა, რომლებმაც ათაბაგობა

---

[1] რ. მეტრეველი, მეფე თამარი, თბ. 1991 წ. გვ. 275

[2] იქვე, გვ. 277

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, გვ. 313

გამოიყენეს, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს მოსწრებულად, „თავიანთ საგვარეულო-სამკაულად“, ბოლოს. და ბოლოს საქართველოს ცალკეული მხარეები დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებად დაშალეს. სამცხე-საათაბაგოს წარმოშობა და იქ, მხარგძელთა დინასტიის შექმნა ამის კლასიკური მაგალითია. ამით, ფაქტიურად, შეიქმნა „სახელმწიფო სახელმწიფოში“, დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკით, დამოუკიდებელი „საურავებით“—საგადასახადო და საბაჟო სისტემებით. ყველაფერი ეს ჯაჭვური რეაქციით გაგრძელდა ქვეყნის დანარჩენ მხარეებშიც და ერთიანი ცენტრალიზებული მართვა-გამგეობა სეპარატისტული მმართველობით შეიცვალა. ქვეყნის დაშლის ამ პროცესს ხელს უწყობდნენ და ახალისებდნენ გარეშე იმპერიული ძალები, მაშინდელ პირობებში—თურქეთი და სპარსეთი. ამ მხრივ 1212 წელს შემოღებული ათაბაგობა ეროვნული ტრაგედიის ტოლფასი აღმოჩნდა ჩვენთვის.

თავის წიგნში ათაბაგობის შესახებ ივ. სურგულაძეს მოაქვს ვლ. გორდელევსკის, ო. კოსვენის და სხვა ავტორების მოსაზრებები ათაბაგობის შესახებ. მათი აზრით, ათაბაგს სელჯუკების სახელმწიფოებში უფლისწულის აღმზრდელის მოვალეობა ეკისრებოდა, ათაბაგობა ათალიკობიდან წარმოიშვა, ათალიკობა კი გვაროვნული წყობილებისათვის იყო დამახასიათებელი, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ქალის მამაკაცის გვარში გადასვლის სამაგიეროდ, გაჩენილი ბავშვები ისევ ქალის გვარში უნდა დაბრუნებულიყვნენ და იქ აღზრდილიყვნენ.[1]

პროფ. ი. სურგულაძე აღნიშნავს, რომ რადგან საქართველო უშუალო ურთიერთობაში იყო სელჯუკიანების სახელმწიფოსთან, მაშინდელი საქართველოს მესვეურნი თვალყურს ადევნებდნენ სელჯუკიანების ცხოვრებას და კარგად ერკვეოდნენ მათ სახელმწიფო წყობილებაში, კარგად იცოდნენ სულთნების სასახლის ეტიკეტი. რაც შეეხება სელჯუკიანების ათაბაგებს, მათ ხშირად ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოს მთავრობასთან, მის მესვეურებთან, ხოლო თვით ივანე მხარგრძელი, რომელმაც თამარს ატაბაგობა სთხოვა, რა თქმა უნდა, კარგად ერკვეოდა ათაბაგობის საპატიო მოვალეობასა და ფუნქციებში.

რა უფლებები გააჩნდა ათაბაგს სელჯუკიანთა სახელმწიფოში? უპირველეს ყოვლისა, იგი უფლისწულის გამზრდელი და მეურვე იყო. თვალყურს ადევნებდა უფლისწულის ყოველგვარ საქმიანობას. პირველ რიგში, იმას ცდილობდა, რომ მას ტახტი არ დაჰკარგოდა. თუ უფლისწულს ტახტი წაერთმეოდა, ათაბაგის სახელიც დაეცემოდა, ხოლო თუ

[1] ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ. 1965, გვ. 12, 98

უფლისწული ტახტზე აკიდოდა, ათაბაგიც გაძლიერდებოდა. „ყოველივე ამის გამო სელჯუკიანების სამეფო კარზე ათაბაგობა საპატიო წოდებად იქნა შემონახული. გვაროვნული წყობილებიდან გამომდინარე, სელჯუკიანებისათვის განსაკუთრებით საყვარელი და მიმზიდველი იყო მათი მამა-პაპისათვის სანუკვარი მამობილობა. ათაბაგები იმიტომ არიან სახელმწიფოს მოხელეები, რომ ისინი უფლისწულების მაგიერ მოქმედებენ".[1]

პროფ. ივ. სურგულაძე აჯამებს რა ცნობებს სელჯუკიანთა სახელმწიფოში ათაბაგობის შესახებ, წერს: ისტორიულ განვითარებაში ჩვენ მივიღეთ სამი სახის ათაბაგობა:

1. სელჯუკიანების უფლისწულის აღმზრდელი, მამობილი, უფლისწულის მეურვე და მის მაგიერ მოქმედი.

2. დამოუკიდებელი ქვეყნის სუვერენი მეფის კარზე ათაბაგს აღარავითარი კავშირი არ აქვს მამაშვილობასთან.

3. ათაბაგობა, როგორც საპატიო ტიტული, წოდება, რომელსაც აძლევენ დიდ მოხელეს, მაგ. ვაზირს, რასაკვირველია, აქვს სრულიად გარკვეული ფუნქციები, მაგრამ იმის გამო, რომ მას ათაბაგობის ტიტული მისცეს, ამით მისი კომპეტენცია არ გაზრდილა, ახალი ფუნქციები არ მომატებია.[2]

ივ. სურგულაძე შემდეგ დასკვნამდე მიდის:

1. ათაბაგის სახელო საქართველოში წარმოიშვა მსხვილი ფეოდალების მიერ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. იგი მსხვილი ფეოდალების გამარჯვების ერთ-ერთი შედეგი იყო.

2. ათაბაგობა პირველ რიგში მწიგნობართუხუცეს—ჭყონდიდლის წინააღმდეგაა მიმართული. მწიგნობართუხუცეს—ჭყონდიდლის წინააღმდეგ მიმართული ეს ბრძოლა, საბოლოო ჯამში, მეფის ხელისუფლების დასუსტებას ისახავდა მიზნად, რადგან სწორედ მწიგნობართუხუცეს—ჭყონდიდლის სახელო იყო ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთი დასაყრდენი. ამიტომაც ათაბაგობის სახელოს წარმოშობა საქართველოს პოლიტიკურად დაშლის ხელშემწყობი პირობაა. საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილებისათვის ამ უცნობმა ინსტიტუტმა ჩვენში ფეხი მოიკიდა და გაძლიერდა.

3. ათაბაგს საქართველოში, ისე, როგორც უცხო სახელმწიფოებში, მეფის მემკვიდრის აღზრდის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. მწიგნობართუხუცეს—ჭყონდიდლის წინააღმდეგ ბრძოლაში ათაბაგს სა-

---

[1] ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ. 1965, გვ. 22.

[2] იქვე, გვ. 26

სახლეში გავლენის მოსაპოვებლად სწორედ ეს ფუნქცია ესაჭიროებოდა.

4. ათაბაგი დარბაზის და სავაზიროს წევრი იყო.

5. ათაბაგი ერთსა და იმავე დროს ცენტრალური აპარატის მოხელეა, როგორც ვაზირი და ადგილობრივი მმართველობის მოხელე, როგორც მთავარი. რასაკვირველია, ათაბაგი, როგორც სავაზიროს წევრი, აქტიური მონაწილე იყო იმ საქმიანობისა, რომელსაც სავაზირო ახორციელებდა, აგრეთვე—დარბაზის მუშაობისა, როგორც მისი წევრი, მაგრამ მმართველობის ცენტრალურ სისტემაში მას არ ჰქონდა რომელიმე დარგი მიჩენილი. მაშასადამე, ათაბაგი, როგორც ვაზირი, ცენტრალური აპარატის მოხელეა. მას საგამგებლოდ აბარია სახელმწიფოს ნაწილი, ერთ-ერთი თემი, იგი პირველხარისხოვანი ვაზირია. მწგნობარ-თუხუცესი ჭყონდიდელის შემდეგ ათაბაგი იხსენიება. მისი ასეთი ძალა და მნიშვნელობა ემყარება იმ თემებს, რომელიც მას საგამგებლოდ და საკუთრებად აქვს.[1]

როგორც ზემოთ აღინიშნა, სავაზიროს შესახებ ყველაზე სრული ცნობები მოცემულია „ხელმწიფის კარის გარიგებაში". ამ ძეგლის მიხედვით, ათაბაგის შესახებ დასტურდება ყოველივე ის, რაც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ. მას თანასწორი პატივი და ადგილი უკავია დარბაზობის დროს ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცესთან ერთად, ე.ი. ათაბაგობა „სამთა ვაზირთა" ჯგუფში შედის და ჭყონდიდლის ქვემოთაა.

ამასთანავე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ათაბაგობა ხშირად შეთავსებული იყო ამირსპასალარობასთან. მის ძირითად ფუნქციას, ზემოაღნიშნულის გარდა, საქართველოში უფლისწულის აღზრდაც წარმოადგენდა.

3. ამირსპასალარი

სრულიად მართებულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, რომ დავით აღმაშენებლის მიერ ჩატარებული ქართული ლაშქრის ორგანიზაცია, ჯარის ახალი სახეების შექმნა აუცილებელს ხდიდა სამხედრო საქმეთა განსაგებლის რეორგანიზაციასაც. ამ ახალმა მოთხოვნებმა განაპირობა საქართველოს სახელმწიფოში საგანგებო სამხედრო უწყებისა და მისი მეთაურის—ამირსპასალარის (მთავარსარდლის) თანმდებობის შექმნა.[2]

---

[1] ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1965, გვ. 49-50

[2] რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბ. 1990, გვ. 161

ვაზირთა შორის, მწიგნობართუხუცესი—ჭყონდიდელისა და ათაბაგის შემდეგ, „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ დასახელებულია ამირსპასალარი, საიდანაც ირკვევა, რომ მის ფუნქციას შეადგენდა სამხედრო საქმის, ლაშქრის ხელმძღვანელობა. „ლაშქრობა და ლაშქრობის ვაზირობა ამირსპასალარობის ხელთ არის“. იქვე მითითებულია იმაზე, რომ „ამირსპასალარი საპატიო ვაზირი არის და თავადი ლაშქართა“. ვაზირობის დროს თუ საკითხი შეეხებოდა სამხედრო საქმეს, ანუ ლაშქრობის საქმეს—აქ პირველი სიტყვა ამირსპასალარს ეკუთვნოდა.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, ამირსპასალარის ნებართვის გარეშე „ქვეყანა არ გაიცემის“.

რას ნიშნავდა ამირსპასალარის გარეშე ქვეყნის გაუცემლობა? პროფ. ივ. სურგულაძე აღნიშნავს, რომ ქვეყნის გაცემა ნიშნავდა მეფის მიერ მიწით და გლეხებით ვინმეს დაჯილდოებას,[1] რომ მეფე მამულებს ამირსპასალარის გარეშე არ გასცემდა, ეს ისე კი არ უნდა გაიგოთ, თითქოს მეფეს ამირსპასალარი ზღუდავდა, არამედ ამგვარად: ამირსპასალარს უნდა სცოდნოდა, რომელი მამული ვის გადაეცა, რათა საომარი მოქმედების ან მისთვის მზადების პერიოდში ვისგან მოეთხოვა სამხედრო გადასახადი თუ სხვა სახის გამოსაღები. ამდენად, „ხელმწიფის კარის გარიგების“ იმ ადგილში, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ მამული ამირსპასალარის გარეშე არ გაიცემოდა, ზემოაღნიშნული შინაარსი უნდა ვიგულისხმოთ და არა მეფის უფლებების შეზღუდვა. საქმე იმაშია, რომ სამხედრო გადასახადი მიწისა და გლეხების მფლობელობასთან იყო დაკავშირებული. გადასახადს იმ მამულზე, რომელიც მეფეს ეკუთვნოდა, სამართლის კერძო საწყისებით, მოსახლეობას მეფის მოხელე აწერდა, ხოლო ფეოდალების მიწაზე გადასახადებს მეფის მოხელე უშუალოდ არ ანაწილებდა. მეფეს ამ შემთხვევაში ფეოდალებთან ჰქონდა საქმე. აქედან ცხადია, ამირსპასალარს რატომ უნდა სცოდნოდა აუცილებლად მიწების წყალობის სახით გაცემის ამბავი, რომ სამხედრო გადასახადის აღრიცხვის, მისი გაწერისა და აკრეფის თადარიგი დაეჭირა. გარდა ამისა, მამულების წყალობა ხშირად დაკავშირებული იყო ლაშქრობის შედეგებთან: „ლაშქრობა თუ გამარჯვებით მთავრდებოდა, როგორც წესი, ომში წარჩინებული მონაწილეები უნდა დაეჯილდოებინათ და ეს საქმე ამირსპასალარის გარეშე არ უნდა მომხდარიყო, რადგან სწორედ ამირსპასალარს შეეძლო ყველაზე მეტი ცოდნოდა ომის მონაწილეთა საქმიანობაში“.[2]

ივ. ჯავახიშვილის მითითებით, ამირსპასალარი სახელმწიფო მხედ-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის რედაქციით, 1970, გვ. 25

[2] ქართული სამართლის ძეგლები, თბ. 1970, გვ. 25-26

რობის წინამძღოლი და სარდალი უნდა ყოფილიყო, იგი სამხედრო მინისტრს უდრიდა. ივ. ჯავახიშვილი გაკვირვებულია იმ გარემოებით, რომ ადრინდელ ძეგლებში ამირსპასალარის სახელო პირველად გიორგი III-ის და თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებებში გვხვდება, შემდეგ კი ლაშა გიორგის, რუსუდანის, დავით ლაშას ძის, დიმიტრი თავდადებულისა და ვახტანგ მეფის დროს ამირსპასალარი მრავალჯერ იხსენიება.[1]

ივ. ჯავახიშვილის მითითებით, „ამირსპასალარი" არაბულ-სპარსული სიტყვაა. პირველი არის არაბული „ამირ", ხოლო მეორე—სპარსული „სიფასლარ". მაგრამ თვით სპარსულში და არაბულში ამგვარი ორნაწილადი სიტყვა არ იხმარებოდა. არაბულ სამხედრო ტერმინოლოგიაში „ამირ" 10000 ჯარისკაცის მხედართმთავარს ნიშნავდა.

ტერმინოლოგიური ნასესხობა სრულებითაც არ ნიშნავს თვით ინსტიტუტის, თანამდებობის გადმოღებას, მით უმეტეს, რომ მთავარსარდლის („ლაშქრის თავი") ხელისუფლებას (ისე, როგორც სხვა სამოხელეო ინსტიტუტებს) საქართველოში დიდი ისტორია აქვს, ვიდრე სელჯუკური „ამირსპასალარის" ინსტიტუტებს—იზიარებს შ. მესხიას აზრს რ. მეტრეველი—საგანგებო სამხედრო უწყებისა და მისი ხელმძღვანელის ამირსპასალარის თანამდებობის შემოღებამ დიდი წვლილი შეიტანა ქართული ლაშქრის ორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელობის განმტკიცებაში.[2]

ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ საქართველოში, თამარის მეფობამდე, სამხედრო საქმეს თვით მეფე განაგებდა სპასალარების მეშვეობით, ასე იქცეოდნენ, მაგალითად, ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV და დავით აღმაშენებელი.[3]

ივ. ჯავახიშვილი ამირსპასალარის სახელოს შესასწავლად, გარდა „ხელმწიფის კარის გარიგებისა", სხვა წყაროებსაც იშველიებს. მაგ. თამარის ისტორიკოსის თხზულებიდან ჩანს, რომ ამირსპასალარის საზრუნავი უნდა ყოფილიყო ე.წ. „სალაშქრო საქმენი". „ლაშქრობათა მეცადინეობანი", „მხედართა განაწილებანი", „სპათა დაწყობათა ღონენი და მიმართულებანი".[4]

ისტორიულად ცნობილია, რომ ამირსპასალარის სახელო უფრო მნიშვნელოვანი გახდა თამარ მეფის დროს. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ თამარი ქალი იყო და თვით ვერ მიიღებდა ომში მონაწილეობას. ამის

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაწ. I გვ. 143.
[2] რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბ. 1990 გვ. 162-163
[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაწ. I, გვ. 143.
[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაწ. I, გვ. 143-144

გამო სამხედრო საქმე, კერძოდ—ჯარის წინამძღოლობა და ომების წარმოება, ამირსპასალარს ჩააბარა. თამარის დროს ამირსპასალარობა ხელთ ჰქონდა ზაქარია მხარგრძელს. ამირსპასალარს ევალებოდა ჯარის წინამძღოლობა და სარდლობა. იგი ომიდან შინ დაბრუნების დროს მეფეს წარუდგებოდა ანგარიშით.

საქართველოს სამეფოს მთელი ჯარი ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდა: 1. ქვეითი ლაშქარი, 2. მხედრობა. შემდგომში მხედრობა უდრიდა სპალაშქარს. დანიშნულების მიხედვით საქართველოს ჯარი და ლაშქარი ორი სახისა იყო. 1. ციხეებისა და ქალაქების მცველი ლაშქარი, 2. მეფისა და მთავარსარდლობის მხლებელი ლაშქარი. ეს უკანასკნელი საომარ ძალასაც წარმოადგენდა. რაც შეეხება პირველს—მაოი მოვალეობა იყო როგორც საკუთარი ციხე-ქალაქების დაცვა, ისე დაპყრობილი ქვეყნების დაკავება ომის შემდეგ.

ისტორიულად ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელმა დიდი ყურადღება დაუთმო სამხედრო საქმის მოწესრიგებას. მან არა მარტო მეფისა და მთავარსარდლების მხლებელი ლაშქარი გააძლიერა და გაწვრთნა, არამედ შექმნა მუდმივი ჯარი 40.000 ყივჩაღისაგან.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, საქართველოში თამარის დროს არსებობდა სამსახურად მყოფი მთიულთა ჯარი.

ამირსპასალარს თავისი სამხედრო თანამდებობის ნიშნად ჰქონდა ხმალი; ამასთანავე, მას როგორც საქართველოს სამხედრო უწყების ხელმძღვანელს, მეფის კურთხევის დროს განსაკუთრებული უფლება ენიჭებოდა, ორივე ხელით ეკავა ხმალი, რომელსაც მეფედ კურთხევის დამთავრებისთანავე შეაბამდა მეფეს წელზე.

შ. მესხიამ ნარიტიული და ეპიგრაფიკული წყაროების ღრმად შესწავლა —შეჯერების შედეგად მართებულად დაასკვნა: ა) „ამირსპასალარის“ არსებობა ეპიგრაფიკული მასალით დასტურდება. ივანე ლიპარიტისძე იყო მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი, გ) ამირსპასალარობა და მანდატურთუხუცესობა, დავით აღმაშენებლის მეფობის გარკვეული დროიდან, ორბელების ხელში იყო; დ) ორბელები ფლობდნენ ამ თანამდებობას დავით აღმაშენებლის ძის დემეტრე პირველის მეფობაშიც. ამ დროს საქართველოს სამეფოს მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი ჯერ ივანე, ხოლო შემდეგ სუმბატ ივანეს ძე ორბელი იყო; ე) დავით V-ის მეფობის დროს ორბელებმა დროებით დაკარგეს აღნიშნული თანამდებობანი, მაგრამ XII საუკუნის 60-იან წლებიდან ისევ დაიბრუნეს და შეინარჩუნეს 1178 წლამდე.

ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, ამირსპასალარის სახელოს შემო-

ღების ისტორია იწყებოდა XII საუკუნის მეორე ნახევრიდან, სინამდვილეში კი იგი შემოღებულია XII საუკუნის დასაწყისიდან.[1]

ამრიგად, ამირსპასალარის უფლებამოსილება ძირითადად სამხედრო უწყების გამგებლობაში გამოიხატებოდა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, საქართველოს ისტორიაში ხშირია მაგალითები, რომ ერთი და იგივე პიროვნება ამირსპასალარობასთან ერთად სხვა სახელოსაც ფლობდა. ასე მაგალითად, ივანე მხარგრძელს მეფე თამარმა ათაბაგობა უბოძა, მაგრამ ათაბაგობასთან ერთად იგი ამირსპასალარიც იყო.

ამირსპასალარს ჰყავდა თანაშემწეები: ამირახორი, მეაბჯრეთუხუცესი, ამირახორს ემორჩილებოდნენ მეაბჯრენიც და მეჯინიბეებიც.

ამრიგად, გაერთიანებულ საქართველოში ამირსპასალარი ერთ-ერთი საპატიო ვაზირია და დღევანდელი ტერმინოლოგიით თუ გამოვხატეთ, იგი სამხედრო მინისტრად გვევლინება.

4. მანდატურთუხუცესი

სავაზიროში შემავალ ვაზირთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვაზირია მანდატურთუხუცესი.

ივ. ჯავახიშვილის მითითებით, „მანდატურთუხუცესი" ქართულ საისტორიო წყაროებში პირველად გიორგი III-ის დროს გვხვდება, ხოლო შემდეგ მე-13 საუკუნეშიც ხშირად მოიხსენიება.[2] როგორც იგი ვარაუდობს, „მანდატურნი" საქართველოში უკვე მე-11 საუკუნეში იყვნენ—ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის დროს.

ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს თამარის ისტორიკოსის ცნობა იმის შესახებ, რომ დიდებულმა მეფემ „განაჩინა და უბოძა ჭიაბერსა მანდატურთუხუცესობა და მისცა არგანი ოქროსა ხელისა მისთა". ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის—„რაკი თამარს მანდატურთუხუცესისათვის ვაზირად დანიშვნის დროს ოქროს არგანი მიუცია, მაშასადამე, ოქროს არგანი მანდატურთუხუცესობის საგანგებო ნიშანი უნდა ყოფილიყო".[3]

ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება გაამახვილა ასევე თვით მანდატურთუხუცესის სახელის ორი ნაწილისაგან შედგენილობაზე. რომ ტერმინი „მანდატურ" ბერძნულ-ლათინურია, ხოლო მეორე—„უხუცესი" ქართული. მისი აზრით, საქართველოში არსებული „მანდატურთუხუცესობა" უახლოვდება ბიზანტიის „პროტომანდატორობას", რაც ნიშნავდა კეისრის სეფე ლაშქრისა და მონასპების უფროსს. მაგრამ თუ

---

[1] რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი თბ. 1990, გვ. 162

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნაწ. II, წიგ. I გვ. 137

[3] იქვე, გვ. 158

ბიზანტიელ პროტომანდატორს მანდატორები არ ჰყავდა, ქართველ „მანდატურთთუხუცესს“ მანდატურნი ემორჩილებიან. თუ ამ მხრივ „მანდატურთთუხუცესს ბიზანტიურ მოხელეებს შევადარებთ, იგი უფრო მეტად ემსგავსება სახელმწიფო ფოსტისა და მიმოსვლის უფროსს, რადგან სწორედ მას ექვემდებარებოდნენ მანდატურნი“.

„ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ ირკვევა, რომ მანდატურთთუხუცესს ექვემდებარებოდნენ მანდატურები, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში.

„მანდატურთთუხუცესი, ფაქტობრივად, მანდატურების უფროსი იყო და ხელმძღვანელობდა საპოლიციო უწყებას. მანდატურთთუხუცესს ხელმწიფის კარზე წესრიგის დაცვა და სხვა ადმინისტრაციული ფუნქციები ევალებოდა.[1]

გავარკვიოთ, თუ რა მოვალეობები ეკისრებოდა მანდატურებს საქართველოში. „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ ირკვევა, რომ მანდატურნი ვაზირობის დროს სავაზირო სახლს გარეთ დგანან და სპეციალური ნებართვის გარეშე არავის უშვებენ სავაზიროში.

სხვა ქართული წყაროებიდან ირკვევა, რომ მანდატურნი საპატიო კაცის გამყოლის მოვალეობასაც ასრულებდნენ. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, „აქ ქართველი მანდატური თითქოს ბიზანტიელ მანდატურს მიაგავს და მიმოსვლისა და სახელმწიფოს ფოსტის მოხელედ ჩანს.

„ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ ირკვევა, რომ მანდატურებს ეკალებოდათ ზედამხედველობა გაეწიათ ზვრების სამუშაოთა წარმოებისათვის, ბრძანებას გასცემდნენ, დაეწყოთ ამა თუ იმ საქმის კეთება.

ისევე, როგორც მანდატურთთუხუცესს, მანდატურებსაც არგანი ჰქონიათ ნიშნად. პროფ. ივ. სურგულაძე განიხილავს რა მანდატურთთუხუცესის სახელოს, ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „მანდატურთთუხუცესის და მისი უწყების მოხელეებისათვის არგანი სამოხელეო გარეგნული ნიშანი ყოფილა. ალბათ, იგი მათ საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. შემდეგდროინდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ, მანდატურთთუხუცესი საპოლიციო უწყების ხელმძღვანელად მოჩანს, დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, მისი უფლება შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებას უდრიდა.[2]

ივ. ჯავახიშვილის მითითებით, „რაკი მანდატურთთუხუცესი უფრო

---

[1] რ. მეტრეველი, მეფე თამარი, თბ. 1991 წ. გვ. 272.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, პროფ. ივ. სურგულაძის რედ. თბილისი, 1970, გვ. 28

სამეფო კარის ვაზირად მოსჩანს და სამეფო კარზე უნდა ყოფილიყო, ამის გამო იგი ომში და ლაშქრობაში არ მიდიოდა, არამედ სამეფო კარზე რჩებოდა, რასაკვირველია, თუ რომ მეფე ომში არ მიდიოდა".[1]

„იყო შემთხვევები, როცა მანდატურთუხუცესის და ამირსპასალარის თანამდებობებს ერთი პირი ფლობდა".[2]

ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ მანდატურთუხუცესს ექვემდებარებოდნენ არა მარტო მანდატურები, არამედ სხვა მოხელეებიც, კერძოდ—ამირეჯიბი და გამგეთუხუცესი.

ამირეჯიბი მანდატურთუხუცესის მსგავსად დარბაზობის წესის აღსრულებაში იღებდა მონაწილეობას. „ხელმწიფის კარის გარიგებაში" ნათქვამია: „ამირეჯიბს მართებს ოთხთა მონაზონთა და სამთა ვაზირთა წვევაო".

ამირეჯიბი დარბაზობის და პურობის დროს მანდატურთუხუცესის თანაშემწეა, მაგრამ მას, საზოგადოდ, დიდი უფლება ჰქონია: „ამირეჯიბს ყველგან გზა აქვს საურავისა, სადა გინ იყოს მეფე, სალაროს, საწოლს, საჭურჭლეს, ყველგან მივა და ყოველგან იერვის".

აკად. ივ. ჯავახიშვილი იკვლევს რა ამირეჯიბის შესახებ მოცემულ ცნობებს, დასძენს: „იმ გარემოებათაგან, რომ ამირეჯიბს ისეთი დიდიდა განსაკუთრებული უფლება ჰქონდა მინიჭებული და ყოველთვის და ყველგან მეფის ნახვა და მოხსენების წარდგენა შეეძლო, ნათლად ჩანს, რომ მას დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეები უნდა ჰბარებოდა. ამიტომ პირველი შეხედვით და მხოლოდ ეს ცნობა რომ გვქონოდა, შეიძლებოდა ამირეჯიბი დამოუკიდებელ ხელისუფლებად და ვეზირადაც კი მოგვჩვენებოდა, მაგრამ მის ვაზირობაზე ფიქრი მცდარი იქნებოდა, არსად იგი ვაზირად არ იხსენიება, არც საისტორიო წყაროებში, არც ქართული სამართლის ძეგლებში.[3]

ამირეჯიბის დიდი მოხელეობა და მისთვის მონიჭებული ფართო უფლებები იმითაც მტკიცდება, რომ იგი ვაზირობის დროს დარბაზშია. მართალია, მას არც საქმის გადაწყვეტის, არც თათბირში მონაწილეობის უფლება არ ჰქონია, მაგრამ ის ფაქტი, რომ ვაზირობას ესწრებოდა, ბევრის მთქმელია.

სახელწოდება გვიჩვენებს, რომ „ამირეჯიბი" ეჯიბების უფროსი უნდა ყოფილიყო. ეს სიტყვაც „ამირსპასალარის" მსგავსად ორი ნაწილისაგან შედგება: „ამირ" და „ეჯიბი". ქართული „ეჯიბი" არაბულ „ჰაჯბს" უდრის, ეს სიტყვა არაბულად მეკარეს ნიშნავს. მაგრამ

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია; წ. II, ნაწ. I, გვ. 161.

[2] რ. მეტრეველი, მეფე თამარი, თბ. 1991, გვ. 272

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ, II, ნაწ. I, გვ. 162.

სელჯუკების სახელმწიფოში არსებობდა დიდი ეჯიბის თანამდებობა, რომელიც სასახლის ყველა მსახურის უფროსად ითვლებოდა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართული ამირეჯიბი გარკვეულად უახლოვდება სელჯუკთა დიდი ეჯიბის თანამდებობას და საქართველოში აქედან უნდა იყოს შემოსული.

ეჯიბობას საქართველოში დიდი პატივი ჰქონია. ამაზე მეტყველებს არა მარტო „ხელმწიფის კარის გარიგება", არამედ „ვეფხისტყაოსანიც". პროფ. ივ. სურგულაძე აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში" ეჯიბი კარისკაცად ჩანს, რომელიც მეფეს მოახსენებს საჩივრების შინაარსის შესახებ.[1]

5. მეჭურჭლეთუხუცესი

„ხელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით, სავაზიროში ერთ-ერთ ვაზირად შედიოდა მეჭურჭლეთუხუცესი. იგი ქართულ საისტორიო წყაროებში მე-12 საუკუნიდან იხსენიება. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „მეჭურჭლეთუხუცესობა გაცილებით ადრე უნდა ყოფილიყო და საისტორიო წყაროებში მათი მოუხსენებლობა შემთხვევითი გარემოების ბრალი ჩანს.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში" აღნიშნულია, რომ მეჭურჭლეთუხუცესი ერთ-ერთი ძველი ვაზირია. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ის იგივე ფინანსთა მინისტრია, რომელიც ათაბაგობის შემოღებამდე მოხელეთა შორის მეოთხე ვაზირი იყო. მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი ერთნაირი რანგისანი არიან, ისინი „ორთა ვაზირთა" ჯგუფში შედიოდნენ და „სამთა ვაზირთა" ჯგუფის წევრებთან შედარებით, (ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი), ნაკლები უფლებით სარგებლობდნენ.

მეჭურჭლეთუხუცესის სახელოს გასარკვევად უნდა მივმართოთ თვით სახელწოდებას, საიდანაც ჩანს, რომ მეჭურჭლეთუხუცესი „მეჭურჭლეთა" უფროსი უნდა ყოფილიყო. „საჭურჭლე" სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა. თავდაპირველად „საჭურჭლე" ჭურჭლის საწყობს ნიშნავდა, ხოლო შემდეგ განძისა და სიმდიდრის საზოგადო მნიშვნელობა მიიღო. საჭურჭლე სახელმწიფო ხაზინასაც ნიშნავდა. საჭურჭლეში, როგორც სახელიდანაც ჩანს, სხვადასხვა ძვირფასი ჭურჭელი უნდა ყოფილიყო შენახული.

ივ. ჯავახიშვილის მითითებით, „საჭურჭლე და სალარო იმით განსხვავ-

[1] ივ. სურგულაძე, სახელმწიფოსა და ხელმწიფის საკითხები „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, თბ. 1977, გვ. 158

დებოდნენ ერთი ერთმანეთისაგან, რომ ჭურჭელში მხოლოდ სახმარებლად, სანიადაგოდ საჭირო და განკუთვნილი განძეულობა იყო შენახული, სალაროში კი პირიქით, ისეთი განძეულობა", რაც სწორედ „სახმარებლად სანიადაგოდ არ" იყო განკუთვნილი და უხმარებელი „შეკრული" იდო. „თუ გავიხსენებთ ამასთანავე, რომ სანიადაგო, ყოველდღიურ სახარჯავ ფულსაც, როგორც ვიცით, თურმე საჭურჭლიდან იღებდნენ, მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ საჭურჭლე სანიადაგო სახმარებელი და სახარჯავი ხაზინა ყოფილა, სალარო კი ერთგვარი ხელუხლებელი".[1]

ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით, საქართველოში სახელმწიფო ხაზინა სპარსულს უფრო მიაგავდა, რადგან სპარსეთშიაც ორი ხაზინა არსებობდა: ერთი სახარჯავი და მეორე თავნისათვის.[2] სახელმწიფო საჭურჭლეში მუშაობდნენ შემდეგი მოხელეები: 1. საჭურჭლის ნაცვალი, რომელსაც თამარის დროს მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალს ეძახდნენ, 2. მუშრიბი—არაბული სიტყვაა და ნიშნავს ზედამხედველს, მეთვალყურეს. „ხელმწიფის კარის გარიგებიდან" ჩანს, რომ საქართველოში მუშრიბი საფინანსო სამინისტროს, მეჭურჭლეთუხუცესის ქვემდებარე მოხელე იყო და ებარა შემოსავლის განსაკუთრებული დარგი, კერძოდ—ბაჟი და გადასახადი.

მეჭურჭლეთუხუცესს თავისი ბეჭედი ჰქონდა, მაგრამ ისტორიული წყაროებიდან არ ჩანს, თუ რა სახისა, ან ვინ აძლევდა, რაში გამოიყენებოდა და ა. შ.

ივ. ჯავახიშვილს მოაქვს სათანადო ადგილი „ხელმწიფის კარის გარიგებიდან " და დაასკვნის: მეჭურჭლეთუხუცესს, ვითარცა საქართველოს ფინანსთა მინისტრს, შემდეგი დაწესებულებანი და მის ქვეშეთი მოხელეები ექვემდებარებოდნენ და შემდეგი საქმეები ეკითხებოდა: „ძველნი ქალაქნი, ვაჭარნი, სავაჭრო და რაც მეფისა, სადაც წავად ანუ მოვა, და რაც... საჭურჭლეს ძეს და გარე საჭურჭლის ნაცვალი, მუქიფი, მუშრიბი, ქალაქის ამირნი, მეჭურჭლენი ქალაქისანი და თვით დარბაზს მყოფნი მეჭურჭლენი მისისა ხელისანი არიან."

მაშასადამე, საჭურჭლეს მოხელეებს გარდა მეჭურჭლეთუხუცესის ხელქვეითი ყოფილა: 1. ძველი ქალაქნი, 2. საზოგადოდ ყველა ქალაქის ამირნი, და „მეჭურჭლენი ქალაქისანი". 3. ვაჭარნი, 4. სავაჭრო გადასახადები და ბაჟი და 5. მეფის ყოველგვარი „სავაჭრო და საჭურჭლის შემოსავალ-გასავალი.[3]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ.II, ნაწ. I. გვ. 174

[2] იქვე, გვ. 175

[3] იქვე. გვ. 178

ისევე, როგორც ამირსპასალარს და ამირეჯიბს, მეჭურჭლეთუხუცესსაც შეიძლებოდა, რომ მეჭურჭლეთუხუცესობის გარდა ერისთავთ-ერისთავის, სპასალარის ან სხვა თანამდებობაც ჰქონდა.[1]

6. მსახურთუხუცესი

„ხელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით, მსახურთუხუცესი ერთ-ერთი უკანასკნელი მოხელეა და სავაზიროს შემადგენლობაში შედის რუსუდანის მეფობის პერიოდში. ისტორიული წყაროების მიხედვით, მსახურთუხუცესი არ არის ძველი ვაზირი, სავაზიროში უფრო მოგვიანებით შეიყვანეს, ისე კი ძველი ხელისუფლებაა, რომელსაც თავისი ქვეშევრდომები ანუ მსახურები ჰყავდა. მსახურთუხუცესი შედიოდა „ორთა ვაზირთა" ჯგუფში მეჭურჭლეთუხუცესთან ერთად. მისი უფლება-მოვალეობების შესახებ არც ერთ ქართულ წყაროში არ მოგვეპოვება ცნობები, გარდა „ხელმწიფის კარის გარიგებისა". „ხელმწიფის კარის გარიგებაში" აღნიშნულია, რომ მსახურთუხუცესს ექვემდებარებოდა: „სალარო, საწოლი, მესაწოლეთა უხუცესი, მოლარეთუხუცესი, ციცხვთა უხუცესი, მეხილეთუხუცესი, საწოლისა და სალაროსი." „მეფის შეკაზმამდის ამათი საურავი და ზღვენი მსახურთუხუცესისა არისო". ირკვევა, რომ მსახურთუხუცესს ემორჩილებოდა ორი-სამი დაწესებულება, მასში შემავალი მოხელეებითურთ. ერთი იყო სალარო, რომლის გამგეს მოლარეთუხუცესი ეწოდებოდა, ხოლო მეორე იყო საწოლი და მისი გამგე მესაწოლეთუხუცესია. მასავე ებარა მეფის კერძო მეურნეობა და სხვადასხვა „საფარეშონი", ამიტომაა, რომ ფარეშთუხუცესი, ციცხვთუხუცესი და მეხილეთუხუცესი მისი ხელქვეითი მოხელეები იყვნენ.[2]

როგორც პროფ. ივ. სურგულაძე აღნიშნავს, მსახურთუხუცესი მსახურთა უფროსი ყოფილა. თავისი წარმოშობით მსახურთუხუცესის სახელო ხელშინაური, კერძო საწყისებზე აღმოცენებული სახელოა. რამდენადაც სენიორი სამართლის საკარო ხასიათის ნიშნებს იძენს, ხდება მეფედ, იმდენად მისი მსახურებიც იძენენ სახელმწიფო მოხელის თვისებებს. მსახურთუხუცესი ერთ-ერთი უძველესი სახელო უნდა იყოს, რამდენადაც მსხვილი ფეოდალი, მთავარი და მით უფრო მეფე, მსახურებისა და მათი უფროსის გარეშე არ იქნებოდნენ.

მსახურთუხუცესი თავისი მდგომარეობით ძლიერ დაახლოებულია მეფესთან. თამარ .მეფის კარზე მსახურთუხუცესი ივანე მხარგრძელი

---

[1] რ. მეტრეველი, მეფე თამარი, თბ. 1991 წ. გვ. 273

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია; წ. I, თბ. 1982 ნ. I, გვ. 314-319

იყო. მან დიდი ნდობა მოიპოვა სასახლეში და შემდეგში ათაბაგობის სახელოც მიიღო. მსახურთუხუცესი ვაზირად რუსუდან დედოფალმა გახადა.[1]

„ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, მსახურთუხუცესს ექვემდებარებოდა სალარო.

სალარო დიდი დაწესებულება იყო. როგორც ზემოთ ვთქვით, მასში ინახებოდა ისეთი ძვირფასეულობა, რომელსაც ყოველდღიურად არ ხმარობდნენ.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ საქართველოში მუდმივ და უძრავ სალაროსთან ერთად, მოძრავი სალაროც ყოფილა, რომელიც გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, როცა მეფე სადმე გაემგზავრებოდა. ამ დროს იგი თან მიჰქონდა.[2]

სალაროს სათავეში იდგა მოლარეთუხუცესი. ალბათ, მას ყველა სალარო და მოხელეები ემორჩილებოდნენ. ისევე, როგორც მეჭურჭლეთუხუცესს, მოლარეთუხუცესსაც ბეჭედი ჰქონდა, რომლითაც სხვადასხვა სახის სიგელებსა და დოკუმენტებს ამოწმებდა.

როგორც აღვნიშნეთ, მოლარეთუხუცესს მოლარენი ექვემდებარებოდნენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი მოლარეები ბევრი იქნებოდნენ,—მოლარეთუხუცესის მოადგილეები და დამხმარენი.

ასეთია გაერთიანებული პერიოდის „ოქროვანი ხანის“ საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური სამოხელეო პოლიტიკური აპარატი შესაბამისი უწყებებით.

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, 1970წ. პროფ. ივ. სურგულაძის რედ. გვ. 29-30

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, გვ. 315

სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური შეხედულებანი

XVI საუკუნიდან მოკიდებული, საქართველო კვლავ დაშლილი და დაქუცმაცებულია. ბუნებრივია, ასეთ პირობებში დაქვეითებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნება, დასუსტებულია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. შექმნილი მდგომარეობით სარგებლობდნენ მეზობელი დიდი მაჰმადიანური სახელმწიფოები და ჩრდილოკავკასიური ტომები, რომლებიც სისტემატურად ესხმოდნენ თავს, ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ მას.

შეიქმნა აუცილებლობა იმისა, რომ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს ეფიქრათ ქვეყნის მომავალზე, მოეძებნათ გზები და საშუალებები ერთიანი, ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების აღდგენისათვის. „ეს თეორიული შეხედულებები ძირითადად პოლიტიკურ ორიენტაციებსა და სახელმწიფო მოღვაწეთა პროექტებში გამოიხატებოდა ხოლმე".[1]

ამ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის ერის სულიერი მოძღვარი სულხან-საბა ორბელიანი. „ის ქვემო ქართლის დიდი ფეოდალური სახლის—ორბელიან-ორბელიშვილების შთამომავალია, მაგრამ არაფერი აქვს საერთო XI-XII საუკუნეების ცნობილ ფეოდალურ გვართან, ქვეყნის მოღალატე ბაღვაშ-ორბელიანებთან, რომელთაც საბოლოოდ მოუღო ბოლო დავით აღმაშენებელმა, დარწმუნდა რა მათ გამოუსწორებელ ქვეგამხედვარობაში".[2]

სულხან-საბა დაიბადა 1658 წლის 24 ოქტომბერს გავლენიანი ფეოდალის ვახტანგ ორბელიანის ოჯახში. „ქვემო ქართლში, ბოლნისის მახლობლად, მაშავერას ხეობის აყოლებაზე, მთის ფერდობს შეჰფენია ორბელიანების სამკვიდრებელი „ტურფა ტანძია"...აქ გაატარა სულხანმა თავისი ბავშვობა და ყრმობა. ხშირი სტუმარი იყო ფიტარეთისა და სამშვილდესი. დავლილი ჰქონდა მაშავერასა და ქციის ხეობაში ჩაბუდებული ძველთაძველი ქართული სოფლები".[3]

სულხანის დედაც—თამარ ერისთავი, სპარსეთის წინააღმდეგ მოწ-

---

[1] მ. ცაცანაშვილი, თეზისები საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრების ისტორიიდან. თბ. 1996 წ. გვ. 20

[2] ს. ციციშვილი, მარადიული სახეები, 1981 წ. გვ. 82

[3] იქვე გვ. 83

ყობილი დიდი აჯანყების ერთ-ერთი მეთაურის ზაალ არაგვის ერისთავის ასული იყო.

ორბელიანთა წარჩინებული ოჯახი იმდროინდელ ქართლის მეფეს, ვახტანგ V-ს (შაჰ-ნავაზი) ენათესავებოდა. შაჰ-ნავაზს ცოლად ესვა სულხანის მამიდა, და ვახტანგ მდივანბეგისა—როდამი. ასე რომ, მომავალი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ბავშვობიდანვე ისეთ კულტურულ გარემოში მოხვდა, რომელიც ქართლის მეფისა და მისი სახელოვანი შვილების—არჩილის, გიორგისა და ლევანის გარშემო იყო შექმნილი. „არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თვით სულხანის მამა ვახტანგ მდივანბეგიც ცნობილი ყოფილა სიბრძნის მოყვარეობითა და მწიგნობრობით. ბიბლიური ტექსტების დიდ მცოდნესა და მეცენატს შვილისათვის ძველ-ქართული პალეოგრაფიის არაერთი საიდუმლოება გაუცვნია, რაც საბამ შემდგომში წარმატებით გამოიყენა ქართულ ბიბლიაზე მუშაობის ჟამს“.[1]

სულხან-საბას არამარტო ნათესაური კავშირი, არამედ სულიერი მეგობრობაც აკავშირებდა უფლისწულებთან. არჩილმა მისი დახმარებით მოაწესრიგა ბიბლიური ტექსტები. პოეზიის დიდმა სიყვარულმა დააახლოვა ლევან ბატონიშვილთან, მაგრამ განსაკუთრებით დაკავშირებია სახელგანთქმულ მეომარსა და უაღრესად განათლებულ პიროვნებას გიორგი შაჰ-ნავაზის ძეს, რომელიც შემდგომში გიორგი XI-ის სახელით მართავდა ქართლს. სწორედ მან ჩააგონა სულხანს ქართული ლექსიკონის შედგენა.

არც სულხანი დარჩენია ვალში თავის მოამაგეს. წლების მანძილზე მხარში ედგა და მასთან ერთად თავგანწირულად იბრძოდა სპარსელებისა და მათი მომხრე ქართველი ფეოდალების წინააღმდეგ. ალბათ, ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი მომავალში სულხანისა და მისი ოჯახის გამუდმებული დევნა-შევიწროებისა.

აქტიური ცხოვრებისათვის დაბადებული, მეფის კარზე აღზრდილი და განსწავლული, მომავალში კი ტახტის მემკვიდრის ვახტანგ ლევანის ძის აღმზრდელი, „სიჭაბუკიდანვე ჩაება პოლიტიკურ ცხოვრებაში და „ქართლის ჭირი“ ხან სად ამოაყოფინებდა თავს და, ხან სად. იგი ერთხანს იმერეთში იყო, სადაც თან ახლდა 1688 წელს აქ გადმოხვეწილ გიორგი XI-ს, ხან სამცხიდან იბრძოდა ქართლის გასათავისუფლებად.

და, აი, 1698 წელს, ორმოცი წლის სულხანი მოულოდნელად ბერად აღიკვეცა.

---

[1] ხ. ცაიშვილი, დას. შრომა, გვ. 83

საგულისხმოა ისიც, რომ მან „სულის საოხად“ შეარჩია გარეჯის უდაბნოს უმკაცრესი შემოგარენი, კერძოდ კი—იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერი.[1]

მკვლევარნი ამის მიზეზად სხვადასხვა ფაქტს ასახელებენ—მეუღლის გარდაცვალებას, კათოლიკობისაკენ გადახრას და ა.შ., მაგრამ საგულისხმოა სარგის ცაიშვილის მოსაზრება. სულხანის „ასეთ გადაწყვეტილებას პოლიტიკური მიზეზები უდევს საფუძვლად. სპარსეთის ხანმა ამ ხანებში ტახტი ჩამოართვა სულხან-საბას აღმზრდელსა და იდეურ თანამოაზრეს გიორგი XI-ს და გამაჰმადიანებულ ერეკლე ნაზარალიხანს (თეიმურაზ I-ის შვილიშვილს) გადასცა“. უშედეგოდ დამთავრდა ყველა ცდა ტახტის დაბრუნებისა. იმედდაკარგულმა მამულიშვილმა მიატოვა ყველა ასპარეზი, მასთან ერთად საერო ცხოვრება, თავისი კუთვნილი მამული ძმებს გაუნაწილა, თვითონ ბერის სამოსი ჩაიცვა და საბად იწოდა.

დიდხანს ვერც იქ გაძლო. როცა ქართლის გამგებლად მისი აღზრდილი ვახტანგ VI დაინიშნა (1703 წ.), სულხანი მონასტრიდან გამოვიდა და ბერის სამოსში ჩაცმული კვლავ ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში მოექცა.

1710-12 წლები—დიპლომატიური მისიით სპარსეთშია.

1713-16 წლები—შორეული და მომქანცველი მოგზაურობა ევროპაში. შეხვედრები რომის პაპ კლიმენტი მეთერთმეტესა და საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან. „მთელ საქართველოს მამად მიაჩნიაო“—ეს ხმა ადრევე დარხეულა დასავლეთ ევროპაში. „სიდარბაისლით, სიტყვა-პასუხითა და საქმიანი წინადადებებით, რომელნიც მეტყველებდნენ მის მაღალ დიპლომატიურ ნიჭზე, მას სასიამოვნო შთაბეჭდილება დაუტოვია არისტოკრატიული თავაზით განთქმულ საფრანგეთის სამეფო კარზე“.[2]

პირველ ხანებში დაინტერესებულან კიდეც მისი წინადადებებით, მაგრამ შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ და კონკრეტულ-ისტორიულმა პირობებმა ხელი შეუშალა სულხან-საბას მისიის წარმატებით დასრულებას. ევროპის ქვეყნებთან კავშირურთიერთობის დამყარება არ მოხერხდა. ამ ნაბიჯის განმახორციელებელი ქართველი პოლიტიკოსები არ აღმოჩნდნენ ევროპის შიდაპოლიტიკური ინტერესების სფეროში, ალღო ვერ აუღეს ევროპის მიზნებსა და ამოცანებს აღმოსავლეთში.

---

[1] ს. ცაიშვილი, დას. შრომა, გვ. 85

[2] იქვე

მრავალწლიანი მოგზაურობით ღონემიხდილი და იმედგაცრუებული სულხან-საბა 1716 წლისათვის დაბრუნდა თავის სამშობლოში.

ვახტანგ VI ამ დროს ირანში იმყოფებოდა. უმეფოდ დარჩენილ ქართლში დინასტიური შუღლი მძვინვარებდა, კათოლიკობამიღებულ სულხანს მართლმადიდებლური რისხვა დაატყდა, მაგრამ მისი დევნის უპირველესი მიზეზი მაინც ვახტანგ მეფისადმი ერთგულება და თავდადება იყო.

ქართლში მდგომარეობა თანდათან უფრო გართულდა. შინააშლილობამ იმძლავრა. ერთმორწმუნე რუსეთისაკენ ორიენტირებულმა ვახტანგ VI-მ მეზობელი მაჰმადიანური სახელმწიფოები აიმხედრა და საბოლოოდ იძულებული გახდა რუსთა ხელმწიფეს შეჰფარებოდა.

ამ საბედისწერო გზაზეც თან გაჰყვა მას სულხან-საბა. ეს იყო მისი უკანასკნელი მოგზაურობა. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გეგმები შეუსრულებელი დარჩა. 1725 წლის 26 იანვარს მოსკოვის მახლობლად სოფელ ვსესვიატსკოეში თავისი ახლობლის—დარეჯან ჯრჩილის ასულის სასახლეში აღესრულა.

პერიოდი, რომელშიც სულხან-საბა ორბელიანი და მისი თანამოაზრეები მოღვაწეობდნენ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. ახასიათებდა რა ვახტანგ VI-ის ეპოქას, ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: სწორედ გასაოცარი ხანა იყო. ასეთი დაუღალავი მედგარი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა და ფართო ნიადაგი ეპყრა, უფლებას გვაძლევს ქართული მწერლობის ამ ხანას ენციკლოპედიური ხანა დავარქვათ სახელად. თითქმის ყველა იმდროინდელი მოღვაწის ფიქრი და გონება იმ ფიქრისაკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალსაუკუნოვანი ნამუშევარი და ნაჭირნახულევი შეეკრიბა, შეესწავლა და შთამომავლობისათვის დამთავრებული ყოველმხრივი წარმოდგენა და ცოდნა გადაეცათ.[1]

იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის მამოძრავებელი ღერძი სულხან-საბა ორბელიანი იყო. შესანიშნავი აღმზრდელი, მწიგნობარი, პოეტი, პროზაიკოსი, ლექსიკოგრაფი, საეკლესიო მოღვაწე, პოლიტიკოსი, საზოგადო და სახელმწიფო საქმეებით მოუცლელი—ასე წარმოდგება იგი თანამედროვეთა წინაშე. წერს კიდეც თავის ანდერძში: „სოფლის საქმეთაგან უცალო ვიყავიო"—და შემოქმედებითი მუშაობისათვის დრო აღარ მრჩებოდაო.

საყურადღებო და მნიშვნელოვანია სულხან-საბას პოლიტიკური და

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, ტ. VI, თბ. 1982 წ

სამართლებრივი კონცეფცია. ჭეშმარიტ ქრისტიანსა და ღვთისმორწმუნეს სურს, რომ ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ მიმართული ბრძოლა ქრისტიანულ ნორმებთან შეათავსოს და ამით დანერგოს ჰუმანიზმის იდეები. სულხან-საბას აზრით, სწავლა–განათლების სურვილი ადამიანს უნდა გამოუმუშავდეს თავისთავად და კანონზომიერად და იგი ღმერთზე არ არის დამოკიდებული. ეს თვისება თითოეული ადამიანის თვითმიზანი უნდა იყოს. რაც მეტი განათლებული ადამიანია საზოგადოებაში, იგი უფრო ახლოს მივა სამართლიანობასთან. „ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სულხან-საბა აღგას განათლებული აბსოლუტიზმის პრინციპს. ის იცავს მეფის უფლებების უზენაესობას, ებრძვის პარტიკულარიზმს, თავადაზნაურულ გათიშულობას, შინაურულ შუღლს. ქადაგებს გაერთიანებისა და პოლიტიკური ცენტრალიზმის საჭიროებას, სამშობლოს სიყვარულს, პატრიოტიზმს. პიროვნულის წოდებრივ-ჯგუფური ინტერესებისადმი დაქვემდებარების იდეას... სულხან-საბა გრძნობდა, რომ ქვეყნის მთავარი უბედურება იყო შინააშლილობა, ფეოდალური კინკლაობა, დინასტიური ქიშპი. სულხანი აიდეალებს შეკავშირებულ, შემჭიდროვებულ, ორგანიზებულ და მონოლითურ სახელმწიფოებრივ ძალას“.[1]

თავისებურად განიხილავს სულხან-საბა საკითხს სახელმწიფო წყობილების შესახებ. ევროპაში მოგზაურობის დროს. ის ცდილობდა ახლოს გასცნობოდა იმ სახელმწიფოების სტრუქტურასა და თავისებურებას, სადაც კი ყოფნა უხდებოდა. იგი გაეცნო, ერთის მხრივ, საფრანგეთის აბსოლუტურ მონარქიას და მეორეს მხრივ—ენენევის მმართველობის ოლიგარქიულ წესს, რესპუბლიკურ წყობილებას, მაგრამ მისთვის უფრო მისაღები აღმოჩნდა „ძლიერი სამეფო ხელისუფლება“.[2]

სულხანი ძლიერი მეფის ხელისუფლების მოტრფიალეა, რომელიც იურიდიულად არ არის შეზღუდული, მაგრამ იმასაც ითვალისწინებს, რომ განათლებული მეფე ვაზირების რჩევასაც უნდა უგდებდეს ყურს: „ერთი ჭკუა და რჩევა უამხანაგოდ სწორედ არ იქნების, რაგინდ ბრძენი იყოს. ერთიც არის, საქმე არ დაიცდინოს და ერთის საქმის დაცდენითა ბევრი წახდება. ამისათვის ორისა და სამი კაცის რჩევა სჯობს“. სულხან-საბას მხედველობაში ჰყავს მეფის უახლოესი მრჩეველი-მოხელეები, ვეზირები. „ვაზირთა მეფისა და ქვეყნისა დაყენებაც შეუძლიათ და წახდენაც“.

---

[1] კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1987 წ. 375-376

[2] ივ. სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ. 1986, გვ. 178

სულხანის აზრით, მეფეს განსაკუთრებული თვისებები უნდა ახასიათებდეს. უპირველეს ყოვლისა, იგი უნდა იქნეს მოუსყიდველი, რომ „უქრთამო სამართალი ქმნას", გარდა ამისა, არ უნდა იყოს ამპარტავანი, გულზვიადი და სულმოკლე. ზემოდან არავის უყურებდეს, თუნდაც მდაბიოს. რამდენადაც მეფე უმაღლესი მოსამართლეა, უმართებულოდ არავინ უნდა დასაჯოს, არ უნდა დააშინოს ქვეშევდრომნი.

„მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა,—მეფე ესეთი ხამს: გლახაკთა, მონათა, მსახურთა, აზნაურთა, თავადთა, დიდებულთა, მეფეთა და ხელმწიფეთა წესი, რიგი, შრომა, ჭირი, მუშაკობა, საქმე, ვაჭრობა, სმა-ჭამა და მიცემა ოდეს".[1]

სულხან-საბა ორბელიანი ახასიათებს საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს: გლახაკი დეკლასირებული ელემენტია, მონა ამ პერიოდისათვის ტყვეს ეწოდება, მონის მდგომარეობაში იყო ფეოდალის კარზე გლეხი, რომელსაც საკუთრებად არაფერი გააჩნდა და ბატონის ოჯახის მსახურად ითვლებოდა. გლეხობა მწარმოებელი კლასია. ფეოდალურ საზოგადოებაში ძირითად კლასებს წარმოადგენდნენ გლეხები და ფეოდალები, რომელთა ბრძოლა განსაზღვრავდა ისტორიას. გლეხობასა და აზნაურებს შუა იდგა მსახური, რომელსაც ბატონის სასახლეში დაბალი სახელო ეჭირა. აზნაური ფეოდალთა კლასის უფრო დაბალ საფეხურზეა. მასზე მაღლა დგას თავადი, მსხვილი ფეოდალი, თავადზე მაღლა—დიდებული. ქართლში სულ ექვსი დიდებული იყო.

მეფე და ხელმწიფე, ქართული წყაროების მიხედვით, ერთი და იგივე ცნების გამოსახატავად იხმარებოდა და ნიშნავდა სახელმწიფოს მეთაურს.

მაგრამ „დასტურლამალის" მიხედვით, ქართლის მეფეს ბატონი ეწოდებოდა, ხოლო სპარსეთის შაჰს—ხელმწიფე.[2]

ჩამონათვალში სულხანი არ ასახელებს ვაჭრებს, როგორც სოციალურ ფენას. პროფესორ ი. სურგულაძის აზრით, „სულხან-საბა ორბელიანს შემთხვევით გამორჩა ჩამოთვლისას ვაჭარი".[3]

ვაჭართა ფენა ამ ჩამონათვალში შეიძლება მართლაც გამორჩა, მაგრამ თავის თხზულებებში იგი არაერთჯერ მოიხსენიებს დიდ ვაჭრებს, „ვაჭარს", რომელსაც მაინდამაინც არ წყალობს და მათ „ვერცხლისმოყვარულთ" უწოდებს. მისი აზრით, „ვერცხლითმოყვარულს" არა აქვს გონება სიმახვილისა ზედა, არამედ შეძინებისა ფასისა თავისისათა,

---

[1] ს.ს. ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა

[2] ივ. სურგულაძე, დას. შრ: გვ. 173-174.

[3] იქვე

არა აქვს ცნობა მადლთა გამრავლებისა, არამედ უნჯთა გამრავლებისა: რამეთუ საცნობელნი მისნი მის შორის არიან და მტერ არიან ყოვლისა ჭეშმარიტისა და მოძულენი ყოვლისა სიმართლისა; რამეთუ თხზეიან ზაკვასა და იქმან ვერაგობათა, რათა მოიგონ უმრავლესი და შეიგონონ ურიცხვი; ფიცვენ სიცრუით, უბნობენ ტყუილით, რათა დაფარონ სიმართლე უნჯთა თვისთა; მოყვარე ექმნებიან მდიდართა, რათა შემატონ საფასეთი თვისთა, და უგულებელს-ჰყოფენ გლახაკთა, რათა არა მისცენ ქველი საქმე".[1]

როგორც ვხედავთ, ვაჭრული საზოგადოებრივი წრის წარმომადგენლებს სულხან-საბა ორბელიანი ახასიათებს როგორც ძუნწებს, გაუმაძღრებს, ხარბებს, ზნეობადაკარგულებს. არ მოსწონს მათი ვიწრო პრაქტიციზმით შეზღუდულობა, კიცხავს მათ სიჯაბნეს და ფლიდობას. სულხანის აზრით, მოუწესრიგებელია ანგარებით გატაცებული ვაჭრების ოჯახური ცხოვრება.[2]

„ყველგან...სულხან-საბა ორბელიანი ადამიანის საღი აზრის, პატიოსნების, ლმობიერების, სამართლიანობის, ერთობის, გონიერების აპოლოგეტად გამოდის უგუნურობისა, უსამართლობისა, სისასტიკისა, შულლისა და უპატიოსნების წინააღმდეგ"[3]—წერდა გ. ქიქოძე. სულხან-საბა არა მარტო მეფისაგან, არამედ ყველა სოციალური წრის წარმომადგენლისაგან მოითხოვს თანაგრძნობასა და სიყვარულს მდაბიო ხალხის მიმართ. იგი, ბუნებითი სამართლიდან გამომდინარე, თვლის, რომ საერთოდ ადამიანი ამას იმსახურებს, როგორი სოციალური მდგომარეობაც უნდა ეკაოს საზოგადოებაში. იგი უფრო დაუნდობელია სასულიერო და სამოქალაქო ზედა ფენების წარმომადგენლების მიმართ, სადაც, მისი აზრით, უფრო მეტადაა გავრცელებული უზნეობა და უმსგავსობა.

სულხან-საბა ორბელიანის სამართლებრივი შეხედულებები განიხილა პროფ. ივ. სურგულაძემ, რომელიც თვლის, რომ, სულხანის აზრით, ღმერთი კი არის ყველაფრის საწყისი, მაგრამ ღმერთმა ადამიანს მისცა თვითმფლობელობა, ე.ი., თავისუფალი ნება, რომლის საშუალებითაც ამორჩევს კეთილს ან ბოროტს...ასეთი არჩევის შესაძლებლობა, უნარი მხოლოდ ადამიანს აქვს.

სიბრძნე საბასათვის სიმართლის, ჭეშმარიტების და სიკეთის მომცველი ცნებაა. მის მთელ ლიტერატურულ მემკვიდრეობას წითელ ზოლად გასდევს სიმართლის (სამართლიანობის) გამარჯვების სურვი-

---

[1] ს.ს. ორბელიანი, სიბრძნე-სიცრუისა

[2] კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, დას. შრომა, გვ. 379

[3] გ. ქიქოძე, საბა-სულხან ორბელიანი, 1945 წ. გვ. 14

ლი, რომელიც შემოსილია სიცრუის სამოსით და რომელიც იფარებს სიბრძნის ნიღაბს, რაც კრიზისული ეპოქისთვისაა დამახასიათებელი.

სულხან-საბა იცნობს განზრახვით და გაუფრთხილებლობით ბრალს. მისი აზრით, ადამიანის განზრახვითი მოქმედება მძიმე სასჯელს იმსახურებს. არსებობს პირველი—ადამიანის ნებაზე დამოკიდებული მოქმედება, მეორე—უნებური მოქმედება, რომელიც ადამიანის ნებაზე არ არის დამოკიდებული. განზრახვითს ანუ ნებსით ჩადენილ დანაშაულში გამოიყოფა პირდაპირი განზრახვა. სულხან-საბა ახდენს განზრახვის დიფერენცირებას. არის ბოროტი ნებით გამოწვეული განზრახვა, რომელიც ამძიმებს პასუხისმგებლობას და ჩვეულებრივი განზრახვა. ასეთ შემთხვევაში მოქმედება არ არის დამძიმებული.

განზრახვა უპირისპირდება უნებლიე მოქმედებას. იგი ცდილობს, ერთი მხრივ, განზრახვის დიფერენცირებას და, მეორე მხრივ, უნებლიე მოქმედების დახასიათებას. ბრძოლას უცხადებს ადამიანში სიხარბეს, მომხვეჭელობას, მექრთამეობას და სხვა სახის არასამართლისმიერ ქცევას.

„სულხანის აზრით, მანკიერება შორს არის წასული. დიდი კაცებისა და დიდი მოხელეებისათვის უმთავრესი მიზანი სიმდიდრე, გამორჩენაა“.[1]

სულხან-საბას სპეციალური ნაშრომი არ დაუწერია სამართლებრივ საკითხებსა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის შესახებ, მაგრამ სამართლებრივ საკითხებზე დასკვნებს ვაკეთებთ მისი შრომების ანალიზის საფუძველზე. ივ. სურგულაძე თვლის, რომ სულხან-საბასათვის „ადამიანის თვითმფლობელობა არის მისი განზრახ მოქმედების საფუძველი“.[2]

სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრება ეფუძნება ქრისტიანულ იდეოლოგიას, მისი „საქრისტიანო მოძღვრება“ თეოლოგიის თავისებური სახელმძღვანელოა, სადაც, ფაქტობრივად, ჩამოყალიბებულია ავტორის, როგორც პოლიტიკოსისა და დიპლომატის, მრწამსი.

საოჯახო სამართლის შესახებ მის თხზულებებში გაბნეულია რიგი მოსაზრებებისა. იგი, როგორც ქრისტიანული იდეოლოგიისა და ტრადიციების მატარებელი, იცავს ოჯახის სიძლიერეს და სიმტკიცეს, ილაშქრებს მეუღლეთა შორის ღალატის, საერთოდ, უკანონო და უქორწინო სქესობრივი ურთიერთობის წინააღმდეგ, ასეთ ურთიერთობებს

---

[1] ივ. სურგულაძე, დას. ნაშრომი, გვ. 178.

[2] ივ. სურგულაძე. სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბ. 1959, გვ. 197

თავის სახელს არქმევს და განსაკუთრებით დაუნდობელია ოჯახის მქონეთა მიმართ „ესე ბოზობა განიყოფებიან ორად: სიძვად და მრუშებად—განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი—სიძვა უკუე არს უმეუღლეოს ქმნილი, ხოლო მრუშება—მეუღლიანი ბოზობდეს“.[1]

ე.ი. დაქორწინებულთა მიერ ჩადენილ ღალატს მრუშობად მიიჩნევს და უფრო მძიმე ფორმად თვლის, იგი არ არჩევს, რომელი ღალატობს ურთიერთს, ცოლი თუ ქმარი. ორივეს საქციელს უმძიმეს დანაშაულად რაცხს.

სულხან-საბა ორბელიანი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ახალ დროში „შეუღლება—ანგარიშიანობისა და ანგარების საგნად გადაქცეულა“.[2]

სულხან-საბა იცნობს ჩვეულებით სამართალს, როგორც სამართლის წყაროს (ფორმას), მაგრამ გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ირღვევა ქართულ მამა-პაპურ ადათებზე დამყარებული სამართალი, რომელსაც ასაზრდოებდა გარკვეული სოციალური ყოფა.

საინტერესოა მისი შეხედულებანი სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის მიმართ. მწერლის აზრით, სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაული დამამძიმებელ გარემოებად ჩაითვლება. ამის თქმის უფლებას გვაძლევს მემთვრალეობაზე გამოთქმული მოსაზრებანი. სულხან-საბას მიხედვით, მემთვრალენი არა მარტო საზოგადოებრივ წესრიგს არღვევენ, არამედ პრობლემებს უქმნიან საკუთარ თავს და ოჯახს. „მემთვრალენი არცა თვით უყოფენ პატივსა მამა-დედათა და არცა ღა შვილთაგან პატივ-იცემიან“.[3] ლოთობას მოსდევს სიღარიბე, ლოთი არათუ რაიმეს ქმნის, პირიქით, რაც გააჩნია, იმასაც კარგავს და ვალებში ვარდება. ლოთს „სახლი ვახშითა აღევსებიან, საუნჯენი დაუცარიელდებიან, ღვინო და პური მოაკლდებიან და სახლეულნი მშიერნი დაუშთებიან და ესრეთ საკიცხელ იქმნებიან“.[4] გარდა ამისა, ლოთობას მოსდევს ბევრი ისეთი ბოროტება, როგორიცაა მკვლელობა, გაუპატიურება, ცილისწამება, ქურდობა და ა.შ.

მემთვრალეობას იმდენად დიდ ბოროტებად მიიჩნევს, რომ ამ საშინელ სენს, სხვა დანაშაულთა შორის უფრო დიდ დანაშაულად თვლის (დ. გვრიტიშვილი), რადგანაც ლოთობა ადამიანს „დააგლახაკებს, დაასნეულებს, მეფეთა და მოყვასთაგან განაშორებს. საყვარელთა ცოლსა და შვილებს მოაძულებს...აწ საწყალნო, ვინაითგან ესრეთ საძაგელი

---

[1] ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი, თბ. 1965, გვ. 112

[2] კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, დას. შრომა, გვ. 380

[3] ს.ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. III, 1963 წ. გვ. 215

[4] იქვე

არს სიმთვრალე, ამიერითგან ილტვოდეთ და ნულარა დაითრობით, რომლისგან არს ესოდენ სიბილწე და ისწავლეთ ზომიერი ჭამა-სმა".

სულხან-საბა ორბელიანი კიცხავს არა მარტო იმათ, ვინც ლოთობს, არამედ იმათაც, ვინც თავისი მოქმედებით, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელს უწყობს ლოთობას. არც ისეთი მასპინძელი მოსწონს, სტუმარს რომ ძალით ასმევს ღვინოს, იმაზე მეტს, რაც მას შეუძლია.. „მემთვრალე მიზეზობს და იტყვის სტუმართმოყვარეობასა და უცხოთ შეწყალებასა, არა, ძმაო, არა არს მემთვრალეობა სტუმართა და მოყვასთა მოყვარეობა...შეიყვან კაცსა ბრძენსა და კეთილად მხედველსა, პატიოსნად გონიერსა და ტკბილად მოუბარსა, დაუგებ ტაბლასა, არა ზომიერ ასმევ"... წართმევა სიბრძნე ღვთისაგან მინიჭებული და „აღურვის თვალნი კეთილად მხედველნი". სულხან-საბა ორბელიანს სამართლიანად მიიჩნევენ მაშინდელი საზოგადოების პროგრესული ნაწილის იდეურ ხელმძღვანელად და სახელმწიფო მოღვაწედ, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში.

ვახუშტი ბატონიშვილის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი

ვახუშტი ბატონიშვილი, ვახტანგ VI-ის „უკანონო" შვილი, დაიბადა 1696 წელს, თავდაპირველი განათლება მამამისის კარზე მიიღო დეკანოზ იესე გარსევანიშვილის ხელმძღვანელობით. შემდეგ სწავლობდა თბილისის კათოლიკე პატრებთან. პატრებმა იგი კარგად მოამზადეს. განისწავლა, როგორც სასულიერო, ასევე საერო ლიტერატურაში, თბილისში მან ევროპული განათლებაც მიიღო, კარგად იცოდა ლათინური ენა. 20 წლისაც კი არ იყო, რომ დაიწყო ქართული ისტორიული და გეოგრაფიული წიგნების კითხვა და საქართველოს წარსულის შესწავლა. 1717 წელს დაქორწინდა მარიამ გიორგის ასულ აბაშიძეზე.

1717 წლიდან ვიდრე 1724 წლამდე ვახუშტი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1717 წელს ბაქარმა თავის ძმას ვახუშტის აჯანყებული დათუნა ქსნის ერისთავის დამორჩილება მიანდო. ვახუშტიმ ეს მისია შეასრულა და საერისთავო დაიკავა. 1719 წელს ვახტანგ მეფემ ბაქარსა და ვახუშტის ისევ მიანდო უკუმდგარი შანშე ერისთავის დამორჩილება, აქაც წარმატება ძმებს ხვდათ და შანშე ერისთავი „მოდრიკეს". მომდევნო წელს ვახტანგ მეფემ ვახუშტი გაგზავნა იმერეთში ლაშქრით, მას ხელი უნდა შეეწყო ვახტანგის დისშვილის ალექსანდრე გიორგის-ძის გამეფებისათვის. 1721 წელს ვახუშტი საბარათიანოს სარდალი იყო, ახალქალაქში იჯდა. 1722 წ. მეწინავე საღროშოს სარდალია და ამავე წლის აგვისტო-ნოემბერში საქართველოს სამეფოს განაგებს, როცა ვახტანგ მეფე და ბაქარი განჯის მიდამოებში იდგნენ ლაშქრით პეტრე რუსთ ხელმწიფის მოლოდინში. ასევე აქტიურად მოქმედებდა ვახუშტი 1722-1723 წ. სპარსელების და მათი მომხრე კახთა მეფის კონსტანტინეს წინააღმდეგ.

1723 წელს ქართლი სპარსელებმა დაიპყრეს. დამარცხებული ვახტანგ მეფე 1724 წელს რუსეთში მიდის „თაკუერის" გზით. მას ემიგრაციაში 1208 კაცი გაჰყვა, მათ რიცხვში—ვახუშტიც თავისი ოჯახით. ვახუშტი თავიდანვე არ იყო ეკონომიურად უზრუნველყოფილი რუსეთში. 1737 წლიდან, ვახტანგ მეფის გარდაცვალების შემდეგ, კიდევ უფრო განიცდის ეკონომიურ სივიწროვეს, რუსეთის ხაზინამ 1737 წლიდან 1739 წლამდე, ე.ი. ორი წლის განმავლობაში, შეუწყვიტა დახმარების მიცემა. რუსეთმა

მათ აგრძნობინა, რომ ისინი ზედმეტნი იყვნენ, 1739 წელს ანნა იმპერატორმა გასცა განკარგულება დახმარების გაწევაზე, მაგრამ განახევრებული რაოდენობით. 1749 წელს ვახუშტი თხოვნით მიმართავს ელისაბედ იმპერატორს, რათა წყალობის თვალით მოხედოს და შევიწროებულს სარჩო მამული გაუჩინოს.

1755 წელს ვახუშტი ცოცხალია და მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევა, ბროსეს მიერ მოპოვებული ცნობით, 1770 წელსაც ცოცხალი ყოფილა და სამეცნიერო მოღვაწეობას განაგრძობდა. იგი 1770 წლის ახლო ხანში უნდა გარდაცვლილიყო. ბროსე დაურწმუნებიათ, რომ ვახუშტი დასაფლავებულია მოსკოვში, დონის მონასტრის ქართველთა „სამკვალეში".

როდის გარდაიცვალა ვახუშტი, დიდხანს არ იცოდნენ მკვლევარებმა, სხვადასხვა დროს ასახელებდნენ.

ყველაზე მეტად გავრცელებული იყო ვახუშტის გარდაცვალების წლად 1755 წელი.

ქრისტინე შარაშიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ვახუშტი გარდაიცვალა მაშინ, როდესაც შეწყვიტა მუშაობა საქართველოს ისტორია-გეოგრაფიის ტექსტებზეო. როგორც ცნობილია, ვახუშტიმ ის შრომა 1755 წელს დაამთავრა. ამგვარი ვარაუდის შედეგად, ვახუშტი 1755 წელს უნდა გარდაცვლილიყო, ამ საკითხს ახალი შუქი მოფინა ოთარ გვილავამ, მან აღმოაჩინა 1765 წლის 1 თებერვლით დათარიღებული მოხსენებითი ბარათი, სადაც ჩანს, რომ 1756 წლის 9 აპრილის ბრძანებულებით ვახუშტის ქვრივს მარიამს და მეფის ასულებს ანას და მარიამს, მისი ოჯახის წევრებთან ერთად, დაენიშნათ პენსია შესაბამისად 15000, 300-250 მანეთის ოდენობით. ამ დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ ვახუშტი გარდაიცვალა 1756 წლის აპრილამდე. ამ საბუთმა ო. გვილავას საფუძველი მისცა დაესკვნა, რომ ვახუშტი გარდაიცვალა 1755 წლის ბოლოს ან 1756 წლის დასაწყისში (აპრილამდე). გარდა ამისა ო. გვილავამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ 1755 წლის შემდეგ ვახუშტის სამეცნიერო მოღვაწეობის კვალი არ ჩანს, მაგრამ მეორე წყაროს მიხედვით, რომელიც გიორგი ლეონიძემ მოსკოვის არქივში აღმოაჩინა და გამოაქვეყნა ქართულ ენაზე, ვახუშტი ცოცხალია 1757 წლის მაისშიც, დოკუმენტი დათარიღებულია 1757 წ. 5 მაისით. მარიამი ბარონ ჩერკასკის მიმართავდა მოსკოვის პოლიციის ძალადობის შესახებ და ამასთან ერთად აღწერდა თავისი ოჯახის მძიმე მდგომარეობასაც: „განსაკუთრებით უეცარი დარდი დაგვატყდა თავს, რის გამოც შვილებთან ერთად დიდ მღელვარებაში ვიმყოფებით, ქმარი ჩემი, ბატონიშვილი, ავად გახდა მოულოდნელი სენით, რაც გრძელდება დიდ მარხვის პირველი კვირიაკიდან დღემდე და მდებარედ წევს იგი უხმოდ". ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ვახუშტი 1757 წლის მარტიდან დამბლადაცე-

მული იყო და „უხმოდ“ იწვა. ლეონიძის აზრით, ვახუშტის ავადმყოფობა უნდა დაეჩქარებინა მოსკოვის პოლიციის ძალადობას, რომელიც ადრეც აწუხებდა მის ოჯახს და სხვა ქართველ ემიგრანტებს.

გიორგი ლეონიძე წერდა: „დაძაბული შრომით დაჯაბნილი, სიღარიბით გატეხილი, თანამემამულეთა დევნით, ინტრიგებით მრავალტანჯული, იგი ვერ გაუძლებდა იმ ახალ უსიამოვნებას, რომელიც მას ახლა პოლიციამ დაატეხა“.

ვფიქრობ, უმთავრესად პოლიციას უნდა ედებოდეს ბრალი ვახუშტის დადამბლავებაში. ალბათ, პოლიციის სასტიკ მოთხოვნას მოთმინებიდან უნდა გამოეყვანა ისედაც დაქანცული, ნერვებაწეწილი დიდი მეცნიერი და ჩაეყენებინა სასიკვდილო მდგომარეობაში. ამ დოკუმენტის მიხედვით, ლეონიძეს მიაჩნდა, რომ „ვახუშტი ბაგრატიონი სწორედ 1757 წელს უნდა გარდაცვლილიყო, კიდევ იმიტომაც, რომ არავითარი კვალი ვახუშტის მეცნიერული მუშაობისა 1756 წლიდან არ ჩანს და არც არავითარი საბუთი, ფაქტი მისი ცხოვრებისა ამ წლის შემდეგ“.

ოთარ გვილავას, დოკუმენტური ცნობების მიხედვით, ვახუშტის გარდაცვალების წლად 1755 წლის ბოლო ან 1756 წლის დასაწყისი აქვს დასახელებული, ხოლო .გიორგი ლეონიძეს ასევე დოკუმენტის მიხედვით—1757 წელი.[1]

თ. გაბაშვილი ასკვნის, რომ ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს უნდა იყოს ვახუშტი ბაგრატიონის გარდაცვალების 1757 წლის მაისის თვით დათარიღება.

ვახუშტი ბაგრატიონი დასაფლავებულია მოსკოვში, დონის მონასტერში. 1912 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები შედგომიან ვახუშტის საფლავის ძებნას. იპოეს კიდეც და ამავე წელს გაზეთ „თემის“ კორესპონდენტი მოსკოვიდან იუწყებოდა: ვახუშტი დონის მონასტრის „შესავალ კარებთან დაუსაფლავებიათ, ზედ ფხვიერი რუსული ქვა დაუდვიათ შესაფერისი წარწერით, მაგრამ ბერების ზედსიარულს წარწერა წაუშლია და შარშან, რამდენიმე კაცს საფლავის პოვნისათვის ბევრი შრომა დაგეჭირდა, დღეს კიდევ ირჩევა თითოოროლა დარჩენილი ასოს წყალობით ძვირფასი სახელი, მაგრამ გაიკლის მცირე ხანი და მომავალი თაობა ამაოდ დაუწყებს ძებნას ძვირფას საფლავს... გული გიკვდებათ, როცა ხედავთ უცხო მონასტრის ნოტიო სარდაფში ობლად გაცივებულ სამარეს“.[2]

მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა დააყენეს

---

[1] პროფ. ფ. სიხარულიძე ვახუშტი ბატონიშვილის გარდაცვალების თარიღად 1758 წელს ასახლებს

[2] ვ. გაბაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, თბ, 1969 გვ. 186

საკითხი ვახუშტის ნეშტის გადმოსვენების შესახებ, მაგრამ სურვილი სურვილად დარჩა.

1929 წელს გიორგი ლეონიძემ უკანასკნელად ნახა ვახუშტი ბაგრატიონის საფლავის ქვა.

1934 წელს ქვა დაიკარგა.

დიდი დამსახურება მიუძღვის ვახუშტის მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტი 1755 წელს დაარსდა. თუ რამდენად დიდია ვახუშტის ავტორიტეტი რუსულ სამეცნიერო საზოგადებაში, ამას გვიჩვენებს ის, რომ ვახუშტი ბაგრატიონი გრაფ შუვალოვთან, ელისაბედ დედოფალთან და ლომონოსოვთან ერთად იხსენიება უნივერსიტეტის წევრ-დამფუძნებლებს შორის.

უნივერსიტეტში მარმარილოს დაფაზე ოქროს ვარაყით ამოძერწილი იყო ვახუშტის სახელი—დასძენს ვ. გაბაშვილი.

1912 წ. „სახალხო გაზეთის" მოსკოველი კორესპონდენტი იტყობინებოდა, რომ ვახუშტი ბაგრატიონის ბიუსტი, როგორც უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლისა, „უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში დგას შესავალშივე კედლის პირად".[1]

გაზეთ „თემის" კორესპონდენტი იმავე წელს წერდა: „დღესაც უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში რამდენიმე მარმარილოს დაფებში, რომელზედაც დაწერილია უნივერსიტეტის მომუშავეთა სახელები, ვახუშტის დაფას უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს".

სხვა ცნობების მიხედვით, ერთი ასეთივე დაფა ყოფილა მიკრული 1917 წლამდე ძველი უნივერსიტეტის ანატომიურ მუზეუმში (ნიკიტსკის კუთხე).

საერთო დაფებზე წარწერები უნახავთ ქართველ სტუდენტებს, რომლებიც იქ სწავლობდნენ 1909-1914 წლებში; ჩიტო კაპანაძეს და ლადო ჯაფარიძეს, ამასვე ადასტურებს აკადემიკოსი ალ. ჯავახიშვილი, რომელიც იქ სწავლობდა 1895-1900 წლებში.

ემიგრაციის ხანა ვახუშტის უმთავრესად მოსკოვში გაუტარებია, თავის ფასდაუდებელი თხზულების დაწერის თარიღი თვით ვახუშტის აქვს აღნიშნული: „სრულ იქნა შრომა ესე ქრისტეს—აქეთსა ქორონიკონსა წლისას 1745 მეფის შვილის ვახუშტის მიერ სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს, პრესნას". ე.ი. თავისი ისტორიის წერა 1745 წელს დაუმთავრებია. იქვე განაგრძობს, რომ „მას ზედა ვიშრომეთ კნინღა წელნი სამი"-ო.

ამ ცნობის შესახებ ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს: მაშასადამე, ვახუშტის

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დიმიტრი ბაქრაძის გამოცემა, გვ. 7.

მუშაობა 1742 წელს დაუწყია და 1745 წელს დაუმთავრებია, მაგრამ მისი შრომა იმდენად დიდია და მრავალმხრივი, რომ შეუძლებელია მას მარტო ამ სამი წლის განმავლობაში მოესწრო მისი შემუშავება და დაწერა, ამიტომ უეჭველია თავისი მასალები და საბუთები დიდის ხნითგან მოყოლებული უნდა ეგროვებინა, იქნებ როდესაც ჯერ კიდევ საქართველოში იყო. თვით წყაროების ღირსება-ნაკლოვანება წინდაწინვე გათვალისწინებული ექმნებოდა და ის სამი წელიწადი, რომელიც ჩვენს ისტორიკოსსა აქვს დასახელებული, მის სამეცნიერო კვლევა-ძიების მხოლოდ უკანასკნელ ხანს ეკუთვნის, როდესაც იგი უკვე თავის ნამუშაკევის აღწერას შეუდგა".[1]

რა თქმა უნდა, ივ. ჯავახიშვილის ეს შეფასება სამართლიანია—ვახუშტის თხზულებანი იმდენად შრომატევადია, რომ ყოვლად შეუძლებელია სამ წელიწადში ამის გაკეთება.

დაისახა რა ვახუშტიმ მიზნად საქართველოს მატიანის ცარიელი ადგილების შევსება სწორი და ნამდვილი ცნობებით, პირველ რიგში, ჩამოაყალიბა განსაზღვრება, თუ როგორ უნდა იქნას მატიანე აღწერილი. ვახუშტის აზრით, „მატიანე განიყოფება ოთხ ნაწილად: „ადგილის აღწერად, ნათესავმეტყველებად, წლის მრიცხველად და მოქმედების აღწერად".[2] სრული მატიანის შემადგენელ ნაწილებად ეს ოთხი ჩამოთვლილი დარგი თავის მხრივ კიდევ იყოფა საზოგადოებრივი დანიშნულების თვალსაზრისით ორ ნაწილად: „საეკლესიოდ და სამოქალაქოდ, საეკლესიო არს წმინდანთა ცხოვრება და ქმნილება მათნი, ხოლო სამოქალაქო—ქმნილება სოფელთა შინანი დიდთა და მცირეთა".[3] ვახუშტიმ შეამჩნია ის ნაკლი, რაც საერთოდ მემატიანეებს ახასიათებდათ. „არამედ წლის მრიცხველობასა და ნათესავმეტყველობასა მცირეთ, ხოლო მოქმედების აღწერას განავრცელებს, განა ამასაც ეკლესიის მატიანეს შეამოკლებს და სამოქალაქოსა მოგვითხრობს შესხმით და ვრცლად ადგილით ადგილად და ოდესმე შემოკლებით".[4] ვახუშტიმ დაისახა მიზნად, რომ ეს ნაკლი, რომელიც წინამორბედ მემატიანეებს ახასიათებდათ, გამოასწოროს, „ვინაიდან ორნი ნაწილნი იგინი გაუჩენელ არიან".

მან ეს ჩანაფიქრი ღირსეულად შეასრულა და დატოვა ისეთი თხზულებანი, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა და

---

[1] ივ. ჯავახიშვილი ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1945. გვ. 328

[2] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოს საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციის 1941, გვ. 3

[3] იქვე

[4] იქვე. გვ. 4, (ტექსტის სტილი დაცულია გ. ლ.)

ისტორიკოსებისა და იურისტებისათვის მნიშვნელოვან აზრთა კონას წარმოადგენს.

ვახუშტი გრძნობდა, რომ მარტო ისტორიული ჭეშმარიტების გამოკვლევა და დამტკიცება კი არა კმაროდა, არამედ საჭირო იყო მათი ქრონოლოგიური დალაგება, ამიტომაც გარჯილა იგი, რათა ეს ნაკლოვანი მხარე გამოესწორებინა და შეევსო.

„შრომა ჩვენი იმისათვის არს, ვინაიდან ორნი ნაწილნი იგი გამოუჩენელ არიან, რათა გამოვაცხადოთ". ვახუშტის საისტორიო შრომა ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი ქართლის ცხოვრების დამუშავება და შევსებაა, მეორე ნაწილი კი საქართველოს ისტორიის იმავე მხარეს ეხება, რომლის ისტორია მეფე ვახტანგ VI-ის მიერ შეყრილმა სწავლულმა კაცებმა შეადგინეს.[1]

ისტორიის პირველ ნაწილში მოქმედება და თხრობა მეტად გადაჭარბებულად ვრცელი იყო, ამიტომ ვახუშტიმ იგი შეამოკლა, შემოკლებული ადგილები კი „გაავრცელა", რა თქმა უნდა, სადაც საჭიროდ ჩათვალა და ამგვარად მკითხველისათვის „მოსაწყენი" არ გახდა. ისტორიის პირველ ნაწილში მთავარ მიზანს ვახუშტისა თარიღების გამორკვევა წარმოადგენდა და აი, როგორ ახერხებდა იგი ამ მეტად საპასუხისმგებლო და მძიმე საქმეს—პირველ რიგში, როგორც თვითონ აღნიშნავს, თარიღებს იწერდა როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ისტორიკოსების თხზულებებიდან. იქ, სადაც არ ხერხდებოდა თარიღის დადგენა, ვახუშტი მიმართავდა „გამოანგარიშებას". მაგალითად, იგი ამბობს: „ვინაიდან ალექსანდრეს მოსვლა ქართლსა შინა მოვიპოვეთ, ამით ადვილი გვექმნა გამეფება ფარნაოზ პირველისა მეფისა, ვინაითგან მოსვლასა ალექსანდრესასა რაოდენისა წლისა იყო, და რაოდენის გამეფდა და რაოდენ წელსა მეფე მუნვე წერილ არს".[2]

„ხოლო ადერკის მეფობა იქმნა პირველსა წელსა შობისა ქრისტესასა და მეფობაცა მისი ცხად არს, არამედ მის ქვეითნი მეფენი მირიანისადმე კეისართა სპარსთა და სომეხთა მეფეთავე მოწმობითა დავსხენითო".[3]

ასეთი გამოანგარიშებით არკვევდა ვახუშტი იმ წლებს, რომელნიც სხვადასხვა წყაროებში განსხვავებულად იყვნენ აღნიშნული და მცდარ ქრონოლოგიას მიუთითებდნენ.

ვახუშტის ისტორიის მეორე ნაწილი არის მეტად მნიშვნელოვანი მასალა, რომელიც ემსახურებოდა იმავე მიზანს, რა მიზნითაც ვახტანგ

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართ. საისტ. მწერლობა, თბ. 1945 წ. გვ. 331

[2] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ. 1941 წ. გვ. 6

[3] იქვე, გვ. 5

მეფემ „სწავლული კაცნი შეჰყარა“. ვახუშტი კარგად ხედავდა, რომ სწავლულ კაცთა კომისიას ბევრი შეცდომა ჰქონდა დაშვებული და საჭირო იყო მათი გამოსწორება. იმ შეცდომის გამოსწორებისათვის მან სწორი გზა აირჩია—სიგელ-გუჯრების მოშველიებით ისტორიული სინამდვილის დადგენა. სიგელ-გუჯრების არსებითი მნიშვნელობა XIV-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის მხოლოდ ვახუშტიმ გამოარკვია: „მხოლოდ მან სცნო საბუთები განსაკუთრებული ნდობის ღირსად, როდესაც სხვა წყაროების ცნობისას ცხადი შეუთანხმებლობა იტყობოდა“,[1] მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში იგი ცდებოდა ამა თუ იმ სიგელ-გუჯრის გარჩევაში, ნატყუარი იყო ის თუ უტყუარი, მაგალითად, ვახუშტი წერს: „მეფემან ალექსანდრემ ძემან გიორგი მეფისაგან განჰყარნა სამნი ძმანი“.[2] დადასტურდა ივანე ჯავახიშვილის სიტყვები: ალექსანდრე გიორგის შვილი კი არ იყო, არამედ, გიორგის ძმისშვილი. ამ დროისათვის რომ ბევრი საბუთი ყალბი ყოფილა, ეს თვით ვახტანგ VI-ის კანონებიდანაც ნათლად ჩანს: კანონში სწერია, რომ სასამართლოში მოტანილი საბუთები მოსამართლეებმა უნდა გულდასმით განიხილონ, საბუთს „გაუსინჯონ ბეჭედი, ქორონიკონი, დამწერი და მოწამე, ამიტომ რაიმე ბევრს ტყუილადაც მოიგონებენ“-ო.

ზემოთ აღნიშნული ცნობებიდან მტკიცდება, რომ ძველ საქართველოში გავრცელებული იყო ყალბი საბუთები, რომელთაც შეცდომაში შეჰყავდა როგორც მოსამართლე, ისე ისტორიკოსი. ასეთი შეცდომა ვახუშტისა თითზე ჩამოსათვლელია.

ვახუშტის ქართველი ერის ისტორიული წარსული სამ უმთავრეს ხანად აქვს დაყოფილი: 1. „პირველი განხეთქილება“, 2. „შემდგომად განყოფილებისა და განხეთქილებისა სამეფოსა“, 3. „აწინდელი“, ე.ი.

1. საქართველო პოლიტიკური ერთობის დროს.

2. საქართველოს სამ სამეფოდ და სამთავროებად დაყოფის შემდეგ და

3. ავტორის თანამედროვე.[3]

ეს დაყოფა გულისხმობს საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის ხანას, სამეფოებად და სამთავროებად დაშლის პერიოდს და XVII-XVIII საუკუნეებს.

საქართველოს ისტორიის სამივე პერიოდი განხილული და შესწავლილია წერილობითი წყაროების მიხედვით (მატიანეები, სამართლის ძეგლები, სიგელები).

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართ. საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1945 წ. გვ. 393

[2] ქართლის ცხოვრება II, 1945 წ. გვ. 5

[3] ივ. ჯავახიშვილი, ძვ. ქართ. საისტ. მწერლობა თბ. 1945

ყველაზე ვრცლად XVII-XVIII საუკუნეების სამოხელეო წყობილებაა მიმოხილული, რადგან ამ პერიოდში წერილობითი წყაროები მეტი იყო და ამასთან ერთად ვახუშტი თანამედროვე პერიოდის მოვლენებს უკეთ აფასებდა, რადგანაც ქვეყნის პოლიტიკური ამინდის ცვალებადობა მის თვალწინ ხდებოდა.

პირველად ვახუშტიმ აღწერა ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი წყობილება, ქართული ფეოდალური ინსტიტუტები. მას დახასიათებული აქვს სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენა.

„ა) პირველერისთავნი, ბ) მთავარნი, გ) აზნაურნი, დ) ვაჭარნი, ე) მსახურნი ვ) მუშაკნი, ზ) გლეხნი".[1] „სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ ამ შემთხვევაში ვახუშტის სოციალური ფენები და მოხელეები ერთ წყებაში, ერთ სიბრტყეზე აქვს წარმოდგენილი და მას თავისი პერიოდის სოციალური წყობილების ნიშნები გადააქვს გაერთიანების პერიოდის საზოგადოებაზე".[2]

ვახუშტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა იმ საკითხის გამორკვევას, თუ როდის და რატომ მოხდა „განყოფილება" ანუ ერთიანი ქვეყნის პოლიტიკური დაშლა.

იგი სათანადო ცნობების ანალიზმა იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ წინათ „ერისთავნი დაიდგინებოდნენ—მთავარნი და ძენი მათნი—შეცვლიდებით". მათ მეფის ხელისუფლება ნიშნავდა და ცვლიდა, მისივე დაკვირვებით, იმ დროიდან მოყოლებული, რა დროიდანაც ერისთავებმა და მთავრებმა დროებით მიცემული თანამდებობა განიმტკიცეს და მემკვიდრეობით თანამდებობად აქციეს, მეფის ხელისუფლება დაკნინდა და ქვეყანა „განყოფილების" ანუ დაშლის გზას დაადგა.

ვახუშტი საქართველოს დაშლასა და დაქსაქსულობას „შინაურ შფოთს" და „გარეშე მტრების" ფაქტორებს მიაწერდა. ქვეყნის დაშლის სათავეს VIII საუკუნეებში ნახულობდა, ხოლო მის გაორმაგებას—XIV-XVI საუკუნეებში. მართლაც, ამ დროს ძლიერდებოდა „შინაური შფოთიც" და „გარეშე მტრების" მოძალებაც, ორივე ამ ზემოქმედებამ XV-XVI საუკუნეებში ქვეყანა პოლიტიკურ დაშლილობამდე მიიყვანა. ეს დადასტურებულია 1490 წლის დარბაზის გადაწყვეტილებით. ვახუშტი ცდილობს სარწმუნოდ გახადოს პოლიტიკური არაბუნებრიობა, იგი ასაბუთებს საქართველოს პოლიტიკურ მთლიანობას უძველეს დროში და ამტკიცებს მისი აღდგენის აუცილებლობას თანამედროვე ისტორიულ სიტუაციაში. ასეთი მოქმედებით, თავადები, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობას გაუწევდნენ მეფეს, ვინაიდან მათი უფლებანი იკვეცებოდა და

[1] ივ. ჯავახიშვილი, ძვ. ქართ. საისტ. მწერლობა თბ. 1945 გვ. 15
[2] ვ. გაბაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, თბ. 1969, გვ. 96-97

მეფის ხელისუფლების კონტროლის ქვეშ ექცეოდა. ვახტანგი ენერგიული მოქმედებით ცდილობდა თავადების უფლებების შეზღუდვას, თავის მხრივ რეაქციონურად განწყობილი თავადები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, მფარველობას ეძებდნენ და „სულთანებისა“ და „შაჰინშაჰების“ ფირმანებით ხელშეუხებლობას პოულობდნენ.

თუკი მეფის ხელისუფლებას დაექვემდებარებოდნენ სათავადოები, ამით სპარსელთა და ოსმალთა დასაყრდენად აღარ გამოდგებოდნენ „რეაქციონური“ თავადები და საქართველოსაც ვერაფერს დააკლებდნენ ვერც დასუსტებული სპარსეთი და ვერც დაუძლურებული ოსმალეთი.

ეს კარგად ესმოდათ ფეოდალური საზოგადოების მოწინავე ძალებს, რომელთა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ვახუშტი ბაგრატიონი იყო.

როგორც აღვნიშნეთ, ვახუშტის „პროგრესული შეხედულებანი“ საქართველოს მთლიანობის აღდგენა-გაძლიერებაზე დიდ წინააღმდეგობას იწვევდა ქართველ რეაქციულად განწყობილ თავადებში. ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ ისინი მტრულად იყვნენ განწყობილნი როგორც ვახუშტის, ისე ვახტანგის მიმართ. არ ერიდებოდნენ არც ჭორს, არც ცილისწამებას, და ეს იქნებოდა მიზეზი, ალბათ, ვახუშტი რომ ამბობს: „ვითარცა განმაგრდეს და მომიძულეს ცუდად, მშობელი მეფის შვილი ვახუშტი“. თანამედროვე ისტორიკოსთა შორის წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, რომ ვახუშტის „საქართველოს ცხოვრების“ პირველი ნაწილი დამოუკიდებელი ნაშრომი არ არისო, თითქოს ქართლის ცხოვრების შინაარსის მოკლე განმეორებაა (თაყაიშვილი, გაბაშვილი).

პროფ. შ. მესხიამ გულდასმით შეისწავლა ვახუშტის საქართველოს ისტორიის პირველი ნაწილი, შეუდარა ქართლის ცხოვრებას და დაამტკიცა, რომ ვახუშტი „იყენებდა არა მარტო საისტორიო ხასიათის თხზულებებს, არამედ სახელმწიფოებრივი სამართლის ძეგლებს, გუჯარებს, საეკლესიო მოღვაწეთა ცხოვრებას, ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებსა და ქართული ეკლესიის ისტორიისათვის სხვა მნიშვნელოვან წყაროებს“.[1]

ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი და გადაუჭარბებელი დახასიათებით, ვახუშტის დიდი ღვაწლი საქართველოს და ქართული საისტორიო მწერლობის წინაშე თვალწინ წარმოგვიდგება. ქართულ საისტორიო მწერლობაში პირველმა მან შექმნა მძლავრი კრიტიკული მიმართულება. წყაროებისადმი წინანდელი სრული და განუსაზღვრელი ნდობის მაგიერ, იგი გაბედულად შეუდგა მათ კრიტიკულს განხილვას, სხვადასხვაგვარი

[1] შ. მესხია, ვახუშტი და ძვ. საისტ. მწერლობის ანალიზი, 1947 წ. გვ. 47

ნაკლი გამოააშკარავა და შეძლებისდაგვარად შეასწორა. ვახუშტის თამამმა და საფუძვლიანმა კრიტიკულმა მხილებამ ქართველ იმდროინდელ მეცნიერებასა და ისტორიკოსებს დაანახა, რომ ქართლის ცხოვრებაცა და ვახტანგის სწავლულ-კაცთა ნაშრომი არც ყოველის მხრივ იყო სრული და არც უაღრეს ჭეშმარიტების განხორციელებად ჩაითვლებოდა ყველგან და ყველაფერში, არამედ აქა-იქ ცნობებიც აკლდა და შევსებაც ესაჭიროებოდა, ბევრგან ისეთი შეცდომებიც იყო შეპარული გაგრძელებაში, რომელთა გაუსწორებლობა მიუტევებელ ცოდვად უნდა ჩათვლილიყო. თუ ამასთანავე გავიხსენებთ ვახუშტის სწორუპოვარს საქართველოს გეოგრაფიულს აღწერილობას და მის შესანიშნავს საქართველოს ისტორიულ-ფილოსოფიურ საზოგადო მიმოხილვას, მაშინ მისი სიდიადე აუცილებელი იქნება ჩვენთვის და XVIII საუკუნის ქართველ მწერლობაში ნამდვილ უებრო ბუმბერაზად წარმოგვიდგება.[1]

ასეთი შეფასება მისცა ქართული ისტორიის პატრიარქმა ვახუშტი ბატონიშვილის მოღვაწეობას და მის დამსახურებას ერის წინაშე.

„ვახუშტის მეცნიერული მემკვიდრეობა ეროვნული კულტურის კრიტიკულად შესწავლის შედეგად წარმოიქმნა. ვახუშტიმ შეისწავლა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი წარსულის ყველა მხარე: პოლიტიკური ისტორია, სოციალური ურთიერთობანი, მატერიალური კულტურა, სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, საწარმოო ძალები, ეთნოგრაფიული ყოფა, ყველა თავისი მრავალმხრივობით“.[2]

ვახუშტი ბატონიშვილი მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა, თარგმნიდა როგორც რუსულ, ისე ევროპულ ლიტერატურას. მისი დარგობრივი თარგმანები განეკუთვნებოდა ისტორიას, გეოგრაფიას, ფილოსოფიას, ლექსიკოგრაფიას. ვახუშტის დამსახურება დიდია რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენისა და მეცნიერული ტერმინოლოგიის დადგენის საქმეში.

ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში „საქართველოს ცხოვრება“ კარგადაა ჩამოყალიბებული და გამოკვეთილი მისი პოლიტიკური მოძღვრება, შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე. ამ მხრივ აღსანიშნავია „საქართველოს ისტორიის“ შესავალში „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“ გამოთქმული შეხედულებანი ქართული სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებზე.

ვახუშტი ბატონიშვილი შენატრის ისეთ პერიოდს, როდესაც იყო საქართველოში ერთობა, პირმტკიცობა, თავისუფლებისათვის ბრძოლა

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართ. საისტორი მწერლობა, თბილისი, 1945 წ. გვ. 351

[2] დ. გერიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1968 წ. გვ. 201

და თავდადება. ამით იგი აფხიზლებს ქართველ ხალხს და სურს, რომ მამა-პაპათა ანდერძის თანახმად, ბრძოლით დავიცვათ ეროვნული თვითმყოფადობა და მომავალ თაობებს გადავცეთ ბრძოლის ქარცეცხლში გამოვლილი თავისუფლება. წარსულის გაიდეალება ვახუშტი ბატონიშვილისათვის, აწმყოს სწორი შეფასების, მომავლის განჭვრეტის საშუალებაა, რასაც ზოგიერთ შემთხვევაში გადაჭარბებად უთვლიდნენ.

ვახუშტი ბატონიშვილი განიხილავს მეფის ინსტიტუტს და აღნიშნავს, რომ „მეფისა მორჩილება" გაერთიანებული ხანის ქართველი ხალხის „ზნე" ან „ჩვეულება" არ იყო; როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ „მორჩილებას" და ერთიანობას დიდი წინააღმდეგობა ხვდებოდა მსხვილი ფეოდალების მხრივ, რომლებიც ყოველთვის ებრძოდნენ მეფის ძლიერ ხელისუფლებას, რადგანაც თითოეული მათგანი თავის საბატონოში თავს „მეფედ" თვლიდა. ბუნებრივია, მათ არ აძლევდათ ხელს ცენტრალიზებული და ძლიერი მეფის ხელისუფლება და საბოლოოდ დაშლა და დანაწილება მივიღეთ. პროფ. ი. სურგულაძის აზრით, ამ საკითხს მეორე მხარეც აქვს, საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში ვახუშტი გამოთქვამს დადებით შეხედულებას საქართველოს ერთიანობაზე, საქართველოს ერთიან და ძლიერ სამეფო ხელისუფლებაზე და რომ ასეთი ხელისუფლება მტკიცედ იცავს სამშობლოს მტრებისაგან. მისი ამგვარი შეხედულება პროგრესულია. მაშასადამე, რამდენადაც ვახუშტისეულ გადმოცემაში ჩანს „თავისუფლებისათვის მხნედ მებრძოლის" პროგრესული შეხედულება, პატრიოტული შემართება ქართველი ხალხის პოლიტიკური გაერთიანებისა და ერთიანი მტკიცე სამეფო ხელისუფლების არსებობის შესახებ, იმდენად ასეთი შეხედულება დამახასიათებელია ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილის წარმომადგენლებისათვის, ამ შემთხვევაში, როგორც ვთქვით, ვახუშტის გადმოცემა არ ემყარება ისტორიულ სინამდვილეს, ფაქტიურ ვითარებას, მაგრამ ავტორის მოწინავე შეხედულებას კი ნათელყოფს.

იქვე ვახუშტი მიუთითებს, რომ გაერთიანების ხანაში მეფე ერისთავებს ნიშნავდა. გაერთიანების ხანაში ერისთავი ადგილობრივი ხელისუფალი იყო; ერისთავების გარდა არიან, აგრეთვე, ერისთავთ-ერისთავები; ისინი ადგილებზე მსხვილი ფეოდალები და ადგილობრივი მთავრები იყვნენ, მაგრამ გაერთიანების ხანაში, პირველ რიგში, მოხელეებს წარმოადგენდნენ, რადგანაც მეფე მათ ნიშნავდა და საჭიროების შემთხვევაში შეეძლო კიდეც მათი მოხსნა. გაერთიანების ხანაში მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობდა მსხვილ ფეოდალებსა და მეფის ხელისუფლებას შორის, რამდენადაც მსხვილი ფეოდალები იმარჯვებდნენ ხელისუფლ-ებაზე, იმდენად მოსახლეობაში იმარჯვებდა სამართლის კერძო საწყისი

საჯაროზე, ამით გზა ეკაფებოდა ფეოდალურ სეპარატიზმს, საბოლოო ჯამში კი—საქართველოს პოლიტიკურ დანაწილებას.[1]

ერისთაობა ვახუშტის დროს სამემკვიდრეოდ იყო ქცეული, ქართლის სამეფოში ორი ერისთავი იყო (ქსნისა და არაგვისა), ისინი მუხრანის ბაგრატიონებთან, ამილახვრებთან, ორბელიანებსა და ციციშვილებთან ერთად დიდებულებად ითვლებოდნენ. ამ პერიოდის ერისთავს, როგორც დიდებულს, როგორც მსხვილ ფეოდალს, ადგილობრივ მმართველობაში ფუნქციები ჰქონდა, მაგრამ ეს არ არის უმთავრესი საკითხი, საქმე ისაა, რომ ერისთავი დიდებული მსხვილი მიწათმფლობელია, ამასთანავე, ასეთი ფეოდალი ქართლში სულ ექვსი იყო. ამიტომ ვახუშტისეული ზემოთ მოყვანილი ჩამოთვლა ვახუშტის ეპოქის სოციალური წყობილების დასახასიათებლად არ არის სწორი, რადგანაც ქსნისა და არაგვის ერისთავების დაპირისპირება თავადების, აზნაურების ან გლეხობისადმი არ იქნებოდა მართებული. თუ საზოგადოებრივ კლასებზე ან ამ კლასის ფენებზე იქნება საუბარი, ერისთავი თავადობაში ან საერთოდ ფეოდალთა კლასში იგულისხმება—წერს თავის ნარკვევში პროფ. ივ. სურგულაძე.

ვახუშტი ბატონიშვილს ფართოდ აქვს განხილული საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილება, კერძოდ, სამეფო კარის სამოხელეო ინსტიტუტი. მისი აზრით, პირველი მოხელე კარზე იყო სპასალარი ანუ სპასპეტი. სხვადასხვა წყაროების მიხედვით, სპასალარი (სპასპეტი) ერთი და იგივე თანამდებობა არ არის და სპასალარი უფრო დაბალი საფეხურია სამოხელეო იერარქიის მიხედვით. სახელოებს ასახელებს შემდეგი თანმიმდევრობით: სახლთუხუცესი, მსახურთუხუცესი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი, მსაჯულთუხუცესი, მეჯინიბეთუხუცესი, „ამირიჯიბის" სახელო, ბაზიერთუხუცესი, მელვინეთუხუცესი, მესტუმართუხუცესი, მოლარეთუხუცესი. ვახუშტი ბატონიშვილს სამოხელეო იერარქიაში შემოყავს ისეთი სასულიერო თანამდებობები, როგორიცაა: მონათუხუცესი, ეზოს-მოძღვარი და იხსენიებს „ჩანჩურანს ანუ ჩუხჩარხს" (სამზარეულოსთან დაკავშირებული მოხელე), ხუროთმოძღვრის თანამდებობას, ფარეშთუხუცესს, ჯვარისმტვირთველს.

ვახუშტი ბაგრატიონის მოსაზრებანი ქართული სახელმწიფო სამართლის ამა თუ იმ ინსტიტუტის შესახებ ფრიად მნიშვნელოვანია,—აღნიშნავს ივ. სურგულაძე,—მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მისი დაკვირვება ადრეფეოდალურისა თუ გაერთიანებული პერიოდის ინსტიტუტების შესახებ ყოველთვის ვერ პოულობს დასაბუთებას. სამაგიეროდ... ვახუშტის, ალბათ, ჰქონდა მასალა მაგ. სახლთუხუცესისა

[1] ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1986, გვ. 97-139

და მონათუხუცესის შესახებ. საკვლევით დასაშვებია, რომ ასეთი სახელო, როგორიც არის სახლთუხუცესი, საქართველოში უძველესი პერიოდიდან არსებულიყო. ვახტანგის ეპოქაში, ალბათ, არსებობდა ისეთიც, როგორიცაა: ჩაჩნაგირი, ელიაღაჯი და სარდალი.[1]

ვახუშტი ბატონიშვილის შეხედულებით, ქართულ სახელმწიფო სამართალში დროთა განმავლობაში ხდებოდა ცვლილებები, რასაც იგი „შეძინებულ წესს" უწოდებდა. ამ წესის მიხედვით შეიქმნა მწიგნობართჭყონდიდელობა, ათაბაგობა. XVII საუკუნიდან (როსტომის დროს) მოხდა ცვლილებები სამოხელეო წყობილებაში, მსახურთუხუცესს ეწოდა ყორჩიბაში, მონათუხუცესს—ყულიარ აღა, სპასპეტს—სარდალი, მეჯურჭლეთუხუცესს—მოლარეთუხუცესი, ჩუხჩარახს—სუფრაჩი, ჩაჩნაგირს—სულსაქეში, მანდატურთუხუცესს—ეშიკალში, ბოქაულს—ელიაღაჯი, მსაჯულთუხუცესს—მდივანბეგი, ეზოსმოძღვარს—ნაზიმი, მწერალს—მუშრიბი, ხუროთმოძღვარს—სარაიღარი და ა.შ.

ვახუშტის ნაშრომის პირველ თავში „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანში" არის დასათაურება „სამართლისათვის". ამ ნაწილში მას საუბარი აქვს ორდალებზე. ავტორი ჩამოთვლის მტკიცების იმ სახეებს, რომლებიც ვახტანგის სამართლის წიგნშია მოთავსებული: ხმალში გატარება (ვახტანგის სამართლის წიგნი მუხ. 7), შანთი (მუხ. 6), მდუღარე (მუხ. 8), ფიცი (მუხ. 10), სისხლი. სისხლი ნიშნავს სისხლის ფასს, დაურვებას, სასჯელს და ამდენად, საკვლევით განსხვავდება კროცესში მტკიცების იმ საშუალებებისაგან, რომლებიც ჩამოთვლილია.

ვახუშტის მიხედვით, დაურვება შეიძლება თეთრით და საქონლით. იგი ითვალისწინებს დაურვების შემდეგ შემთხვევებს: 1) თანასწორმა მოკლა თანასწორი, ამისათვის გათვალისწინებული იყო „მეფისაგან შერისხვა ანუ სიკუდილი ანუ გუემა და პატიმრობა, ხოლო მკვლელისა მის თანამდებ იყო, რათა დაეურვა თეთრითა და საქონლითა პატივისა და წესისა მისისა სისხლი 1,2) თუ უმაღლესმან მოკლას უმცროსი უნდა დაეურვოს სისხლი 3) ხოლო თუ უმცირესმა მოკლას უფროსი, უნდა დაეურვოს სისხლი (დამნაშავემ) და გაძევებული იქნეს მამულისაგან რამდენიმე წელს". ვახუშტის აზრით, გარდა დაურვებისა, ე.ი. სისხლის ფასის გადახდისა, გათვალისწინებულია, აგრეთვე, საჯარო შინაარსის სასჯელი: სიკვდილი, გვემა, პატიმრობა, გაძევება. დაურვება შესაძლებელია, აგრეთვე, „დაწინდული" (დანიშნული) ქალის წართმევის ან დატოვების შემთხვევაში.

---

[1] იე. სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 1985 წ. გვ. 217

ვახუშტის აზრით, ხმალში გამოწვევა, როგორც მტკიცების საშუალება, გათვალისწინებული იყო მეფის ღალატისა და მკრეხელობისათვის ე.ი. სარწმუნოების წინაღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის.[1]

შანთი, როგორც მტკიცების საშუალება, ვახუშტის აზრით, გამოყენებული უნდა იქნეს ქურდობის დანაშაულის დასადგენად. მდულარით, შანთით გამოცდის დროს დანაშაული არ არის დასახელებული, მაგრამ საგულისხმოა, რომ ორივე შემთხვევაში დანაშაულის ერთნაირი სახეებია გათვალისწინებული.

ვახუშტის მიხედვით, ფიცი გამოიყენება მტკიცების საშუალებად ქურდობისა და ავაზაკობის შემთხვევაში. ავტორი ასახელებს „მცირედ ქურდობას", რისთვისაც შვიდმაგი ღირებულების გადასახადს აკისრებს დამნაშავეს, ასევეა გაძარცვის შემთხვევაში. მაგრამ თუ ქურდობა ან ძარცვა სამჯერაა ჩადენილი, დამნაშავისათვის თვალების დათხრა იყო გათვალისწინებული, ხოლო „მცირედისათვის", ფეხების მოკვეთა. ასე აყენებს საკითხს ვახუშტი ბატონიშვილი გაერთიანებული პერიოდის ქართულ სამართალში.

ვახუშტის მიხედვით, მახვილით მეფის ბჯეს ხელყოფა ერისთავის ან წარჩინებულის მიერ, ხელების მოკვეთას ითვალისწინებდა.

ივ. სურგულაძის აზრით, ვახუშტი ბატონიშვილი ერთ გამონაკლისს უშვებს ფიცთან დაკავშირებით, ის ჩერდება მამულის ცილობის საკითხებზე, ე.ი. ამ შემთხვევაში ეხება სამოქალაქო სამართლის პროცესის საკითხს. მამულზე საკუთრების უფლება სამოქალაქო სამართალს განეკუთვნება, ხოლო ცილობა ამ უფლებაზე—სამოქალაქო სამართლის პროცესს... ვახუშტი სრულებით არ ეხება სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლისა და სამოსამართლო პროცესის ძირითად ინსტიტუტებს.[2]

ასეთია ვ. ბაგრატიონის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი, მისი დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე. სამწუხაროდ, ვერც ის გადურჩა ბედის უკუღმართობას, სხვა ქართველ პატრიოტთა მსგავსად, არც მას ეღირსა მშობლიურ მიწაში დასაფლავება და ისტორიის ჩარხის ტრიალმა არ მისცა საშუალება, ერისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის ბოლომდე მოეხმარებინა ნიჭი, ძალა და ენერგია, რომლითაც იგი უხვად დააჯილდოვა განგებამ.

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, თბ., 1963 წ. მუხლი 39.
[2] ივ. სურგულაძე, იქვე, გვ. 208.

რუსეთ-საქართველოს სამართლებრივი ურთიერთობა და 1832 წლის შეთქმულება

თითქმის ორი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა რუსეთის მეფის, იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტი, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო (ცოტა მოგვიანებით—იმერეთის სამეფოც) საბოლოოდ შეუერთდა რუსეთის იმპერიას. ამიერიდან იწყება სრულიად ახალი ხანა არა მარტო ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის ცხოვრებაშიც. სამწუხაროდ, თავის დროზე არ დაწერილა ამ პერიოდის პირუთვნელი და მიუდგომელი ისტორია. შემდგომში შეიქმნა ა. ცაგარლის, მ. ჯანაშვილის, მ. ხელთუფლიშვილის, ზ. აკალიშვილის და ი. ჯავახიშვილის მონოგრაფიები, სერიოზული გამოკვლევები გამოაქვეყნეს ი. ცინცაძემ, თ. ტივაძემ, ზ. პაპასკირმა, დ. კაჭარავამ, ზ.ცქიტიშვილმა, ნ. ასათიანმა, ლ. ტუხაშვილმა, ხ. ახვლედიანმა, მ. სამსონიძემ, ლ. ალექსიძემ და სხვებმა. ამჯერად ამ პრობლემის დეტალურ გარჩევას არ ვაპირებთ, ჩვენი მიზანია, მკითხველს მივაწოდოთ ზოგიერთი მასალა, თუ როგორ მომზადდა და გამოქვეყნდა 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი, და ნაწილობრივ შეეხებით 1783 წლის ტრაქტატის იურიდიულ მხარეს.

ტრაქტატი პრეამბულისა, 13 მუხლისა და 4 საიდუმლო სეპარატიული არტიკულისაგან შეღგებოდა, ასევე დართული ჰქონდა ფიცის ტექსტი, რომელიც მეფე ერეკლეს უნდა მიეღო. იგი 1784 წლის იანვარში, სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ, შევიდა ძალაში. 1795 წელს ქართლ-კახეთი ააოხრა და გაანადგურა აღა-მაჰმად-ხანმა. ამ დროს საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მას არავითარი დახმარება არ აღმოუჩინა. ეს კი ხელშეკრულების სერიოზული დარღვევა იყო, რადგანაც რუსეთი ვალდებული იყო დაეცვა საქართველო გარეშე მტრებისაგან, ხელშეკრულების დადების მიზეზიც ხომ ეს გახლდათ. ტრაქტატის მიხედვით, საქართველოს მტერი რუსეთის მტრად ცხადდებოდა, არტიკულის მეექვსე მუხლის პირველ პუნქტში ჩაწერილი იყო: „ერთა მის სამეფოისათა შეჰრაცხს ყოფად მჯირსითა კავშირითა, სრულებით თანახმად იმპერისა თანა თვისასა, მაშასადამე, მტერთაცა მათთა შეჰრაცხს მტრად თვისისა“.[1]

[1] ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, თბ. 1970 წ. გვ. 199

1798 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა მეფე ერეკლე მეორე. მიუხედავად მისი პოლიტიკური გამჭრიახობისა და ნიჭისა, სახელმწიფო საქმეები დალაგებული არ დაუტოვებია. თავდაპირველად რუსეთთან კავშირმა საქართველოს გარეშე მტერი მოუმრავლა, შექმნილი სიძნელეები ერეკლეს შინაურმა მტრებმა მარჯვედ გამოიყენეს, მეამბოხე თავადებისაგან ნაწილი ახალციხის ფაშასთან გაიქცა, ლეკთა რაზმების მეგზური გახდა და მათთან ერთად ქართლის სარბევად წამოვიდა. სხვებმა კიდევ თვით ქვეყნის შიგნით თავი აიშვეს, მორიგ ლაშქრობებში აღარ მონაწილეობდნენ, მეფის მიერ გამოცემულ საგლეხო კანონებს აღარ ცნობდნენ, ;ჯარ-ხელოსნებს ავიწროებდნენ.

უკეთესი მდგომარეობა არც სამეფო კარზე იყო. ტახტის მემკვიდრე გიორგი სხვა დედის შვილი იყო (მეფე ერეკლე 1745 წელს დაქორწინდა ანა ზაალის ასულ აბაშიძეზე, რომელთანაც შეეძინა ორი შვილი, გიორგი და თამარი), დანარჩენი ვაჟები კი დარეჯან დედოფლისანი იყვნენ, ამიტომ მათ შორის უთანხმოება სუფევდა, თითოეულს თავისი დაჯგუფება ჰყავდა და ხელმწიფობას იჩემებდა. დარეჯან დედოფალმა და მისმა შვილებმა მეფე ერეკლეს 1791-92 წლებში ორი კანონი გამოაცემინეს: პირველი კანონით შეიცვალა ტახტის მემკვიდრეთა წესი. თუკი მანამდე სამეფო ტახტი მამიდან შვილზე გადადიოდა, ამ კანონით ტახტს დაიჭერდა გვარში ყველაზე უფროსი. ერეკლე მეფე მალე მიხვდა ამის უაზრობას და უმალვე გააუქმა იგი, სამაგიეროდ დარჩა მეორე კანონი: მეფემ ხუთი უფლისწულიდან თითოეულს 1003 კომლი ყმა მისცა, ხოლო მემკვიდრე გიორგის 4.000 კომლი. თავის საუფლისწულოებში ბატონიშვილებს თავი ხელმწიფეებად მიაჩნდათ, სამეფო ქონება ფეოდალების ხელში მოექცა და ისედაც დასუსტებული ქვეყანა კიდევ უფრო დაქუცმაცდა.[1] ენერგიული და შორსმჭვრეტელი მემკვიდრე კიდევ შეძლებდა საქმის მოგვარებას, მაგრამ უძლურს, ავადმყოფს და, ყოველგვარ პოლიტიკურ ხედვასა და ნიჭს მოკლებულ გიორგი მეთორმეტეს სახელმწიფოს მართვა და ერის წინ გაძღოლა არ ძალუძდა. ტახტზე ასვლისთანავე მან აცნობა რუსეთის იმპერატორ პავლე I-ს თავისი გამეფება. იმპერატორმა მას წერილით მოულოცა, მაგრამ ამასთანავე შეახსენა, რომ, თანახმად 1783 წ. ტრაქტატის მესამე მუხლისა, საჭიროა მან წარუდგინოს ფორმალური შუამდგომლობა დამტკიცებისათვის. თითქოს მანამდე მეფის რუსეთს არ დაერღვიოს ხელშეკრულების არც ერთი პუნქტი. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, „როდესაც რომელიმე ერი ხდება მეორე, უფრო

[1] საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის დამდეგამდე, ს. ჯანაშიას რედ. თბ. 1948 წ. 410

ძლიერი ერის პროტექტორატის ქვეშ, ან კიდეც დაექვემდებარება მას მფარველობის მისაღებად, და ეს უკანასკნელი არ გაუწევს ნამდვილ მფარველობას შემთხვევის დროს—აშკარა ხდება, რომ ის უყურადღებოდ სტოვებს ნაკისრ ვალდებულებას, და ამიტომ ჰკარგავს ყველა უფლებას, რომელიც ხელშეკრულებამ მიანიჭა, ხოლო მეორე მხარეც თავისუფლდება ყოველი მოვალეობისაგან, რომელიც თავის თავზე მიიღო, იბრუნებს ყველა თავის უფლებას და აღიდგენს თავის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას".[1] რა თქმა უნდა, საქართველოს სამეფო კარს აღნიშნული საკითხი არ დაუყენებია, არც უფიქრია, ესარგებლა საერთაშორისო სამართლის ამ ნორმით, პირიქით, სულ იმის ცდაში იყვნენ, როგორმე რუსეთი არ გაეჯავრებინათ, კავშირი არ გაწყვეტილიყო.

1798 წლის ნოემბერში მეფე გიორგიმ პეტერბურგში გაგზავნა თავადი ავალიშვილი პავლეს მიერ მოთხოვნილი შუამდგომლობის დამტკიცებისათვის. 1799 წლის 18 აპრილის უმაღლესი სიგელით მეფე გიორგი დამტკიცდა სამეფო ტახტზე და მისი შვილი დავითი კი მემკვიდრედ, ხოლო ნოემბერში გიორგიმ ფიცი მიიღო რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. ამავე დროს ჩამოვიდა თბილისში რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი.

1799 წლის დასასრულს ქართლ-კახეთის სამეფო ჯერ კიდევ ძველი სტატუსით არსებობს. იგი, თანახმად 1783 წლის ხელშეკრულებისა, მხოლოდ რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფება, მართალია აღარ არის მთლიანად დამოუკიდებელი სახელმწიფო, რადგანაც ნაწილობრივ შეზღუდულია მისი სუვერენიტეტი, მაგრამ ჯერ კიდევ ითვლება ცალკე სამეფოდ, არ არის გაუქმებული მისი საერთაშორისო პიროვნება, რომელსაც აქვს განსაზღვრული ტერიტორია, ჰყავს თავისი საკუთარი მეფე, გააჩნია ეროვნული სამართლებრივი ინსტიტუტები.

დავრდომილი და ავადმყოფი მეფე გიორგი მე-12 გზავნის პეტერბურგში გიორგი ავალიშვილს, ელიზბარ ფალავანდიშვილს და გარსევან ჭავჭავაძეს მოსალაპარაკებლად საქართველოს რუსეთთან უფრო მჭიდროდ შეკავშირების მიზნით. ზემოხსენებულმა პირებმა შეიმუშავეს ნოტა „სათხოვართა პუნქტები"[2] (თუ როგორ უნდა მომხდარიყო ეს შეკავშირება), რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო შევიდოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში (მუხლი 1), მაგრამ ისე, რომ გიორგი მეთორმეტეს და მის მემკვიდრეებს უნარჩუნდებოდათ სამეფო ტახტი (მუხ. 2).

---

[1] რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სამართლებრივი მხარე განიხილა გურამ შარაძემ თავის პუბლიკაციებში—კაზ. „კომუნისტი", 2, 10, 12 სექტემბერი, 1989

[2] ლ. ალექსიძე, საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა მე-16-18 საუკუნეებში, თბ. 1983 წ.

ე.ი. ამ ნოტით საქართველოს მეფეს რჩებოდა მხოლოდ აღმასრულებელი ძალაუფლება, ხოლო კანონმდებლობითი უფლება მთლიანად რუსეთის იმპერატორის ხელში გადადიოდა. იგი გარსევან ჭავჭავაძემ წარუდგინა იმპერატორ პავლეს 1800 წლის 17 ნოემბერს. იმპერატორმა მოიწონა, რაც ბარათით აუწყა მეფე გიორგის, მაგრამ რადგანაც ნოტა პეტერბურგში იყო შედგენილი, იმპერატორმა სურვილი გამოთქვა, ჯერ საქართველოში მიეღოთ და შემდეგ წარედგინათ პეტერბურგში. ამ მიზნით საქართველოში გამოაგზავნეს გ. აკალიშვილი და ე. ფალავანდიშვილი, რომ შემდეგ ისევ პეტერბურგში დაბრუნებულიყვნენ, როგორც მეფისა და ხალხისაგან წარგზავნილი დესპანები.

15 ნოემბერს (1800 წელს), ე.ი. ორი დღით ადრე საქართველოს წარმომადგენლების მიერ ნოტის წარდგენამდე, გენ. კნორინგს, რომელიც კავკასიის საზღვარზე იმყოფებოდა, იმპერატორი პავლე სწერდა: ქართლ-კახეთის სამეფომ განაცხადა დამორჩილების სურვილი, ამიტომ საჩქაროდ შემატყობინე, რა რაოდენობის ჯარის გაგზავნა შეგიძლია საქართველოში და შემდეგ: „მეფის გარდაცვალებისთანავე (რასაც დღე-დღეზე მოელოდნენ—გ.ლ.) გაგზავნე იქ ჩემი სახელით განცხადება, რომ ჩემი ნებართვის მიღებამდე მემკვიდრე არ დანიშნონ". ამასთანავე გრაფი პროსტოპჩინი იმავე კნორინგს წერდა: „როცა დესპანები ისევ პეტერბურგში დაბრუნდებიან (რაც, მისი აზრით, 1801 წლის აპრილში უნდა მომხდარიყო—გ.ლ.) გენერალს უკვე შეუძლია დაიკავოს ქართლ-კახეთის სამეფო ჯარებით".[1] 18 დეკემბერს ხელი მოაწერეს მანიფესტს საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ, რომელიც გაეგზავნა კნორინგს, რათა მას გამოექვეყნებინა იგი მეფე გიორგი მეთორმეტის სიკვდილის დღეს. მაგრამ მეფემ დაასწრო სიკვდილი: იგი გარდაიცვალა 1800 წლის 28 დეკემბერს, როცა კნორინგს მანიფესტი ჯერ კიდევ არ ჰქონოდა მიღებული. თბილისში ამ დროს იმყოფებოდა ლაზარევი, რომელიც ღებულობდა საჭირო ზომებს, მაგალითად, მან დააპატიმრა თავადი ლეონიძე, ვინც, მისი აზრით, ხალხს აღელვებდა. ჩქარა დესპანებიც დაბრუნდნენ პეტერბურგიდან. მათი აზრით, ქართლ-კახეთის სამეფო საბოლოოდ ჯერ კიდევ არ იყო შეერთებული რუსეთთან. ტახტის კანონიერ მემკვიდრედ მათ ბატონიშვილი დავითი მიაჩნდათ, თანახმად იმპერატორ პავლეს სიგელისა. 15 იანვარს ბატონიშვილმა დავითმა გამოსცა მოწოდება ქართლ-კახეთის მცხოვრებლებისადმი, რომელშიც იგი იუწყებოდა: „უმაღლესი ბრძანებით მე ვუახლოვდები საქართველოს ტახტს მემკვიდრეობით, როგორც მისი მმართველი და რადგანაც საჭირო იყო ეს მეცნობებია ჩემი ხალხის-

[1] გაზ. „კვალი", 1901 წ. №38.

თვის, ამით ვაცხადებ, რომ მე მივიღე სამემკვიდრო ტახტის გამ-
გებლობა".[1] მაგრამ სამი დღის შემდეგ, ე.ი. 18 იანვარს პეტერბურგში
უკვე გამოქვეყნდა მანიფესტი საქართველოს შეერთების შესახებ: ეს
მანიფესტი ერთი თვის შემდეგ, ე.ი. 16-17 თებერვალს, გენ. ლაზარევის
განკარგულებით, წაიკითხეს თბილისის ეკლესიებში. ამდენად, 1801 წლის
18 იანვარს ქართლ-კახეთის სამეფო გამოცხადდა უკვე რუსეთის ნაწი-
ლად, მაგრამ კიდევ რამდენიმე თვემ გაიარა, ვიდრე ეს გადაწყვეტი-
ლება სისრულეში მოვიდოდა. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ მანი-
ფესტის გამოცხადების შემდეგ იმპერატორ პავლეს დიდხანს აღარ
უცოცხლია. იგი მოკლეს 1801 წლის 11 მარტს, ამიტომ საქართველოს
რუსეთთან შეერთების საქმის საბოლოო გადაწყვეტა წილად ხვდა მის
მემკვიდრეს—იმპერატორ ალექსანდრე პირველს.

როდესაც იმპერატორი ალექსანდრე I ტახტზე ავიდა, საქართველო
ფორმალურად შეერთებული იყო რუსეთთან, ე.ი. სურვილი გა-
მოცხადებული იყო მანიფესტში. მაგრამ ამის განსახორციელებლად
კიდევ უნდა გაეტარებინათ საჭირო ზომები. ახალგაზრდა იმპერა-
ტორმა საქართველოს რუსეთთან შეერთებაში უსამართლობა დაინახა
ქვეყნისა და ტახტის კანონიერ მემკვიდრეთა მიმართ. „ალექსანდრე I-
მა იგრძნო საქართველოს შეერთების მთელი უკანონობა და ამიტომ
გადაწყვიტა გამოერკვია, რამდენად მართალია, რომ მთელ საქართვე-
ლოს თავის ნებით მოესურვოს რუსეთთან განუყოფლად შეერთება და
რომ მას თავის დაცვა გარეშე და შინაურ მტრებისაგან არ ძა-
ლუძს"[2]—წერდა ივ. ჯავახიშვილი. თუმცა ლ. ალექსიძეს ეჭვი ეპარება
ალექსანდრე I-ის გულწრფელობაში: „ალექსანდრემ პირველ ხანებში
ლიბერალისა და საერთაშორისო სამართლისადმი ერთგულების პოზა
მიიღო".[3] იმპერატორმა ეს საქმე გადასცა განსაკუთრებულ თათბირს,[4]
რომელმაც იგი 11 აპრილის სხდომაზე გაარჩია. თათბირის აზრით,
საქართველოს შეერთება ორი გარემოებით იყო განპირობებული: ერ-
თი—გრაფ მუსინ-პუშკინის მოხსენებით, საქართველო მდიდარი იყო
სხვადასხვა წიაღისეულით; მეორე—მეფე გიორგის სურდა, რომ სა-
ქართველო შეერთებოდა რუსეთს, რადგანაც დამოუკიდებელი არსებობა
აღარ შეეძლო და მას ფიზიკური განადგურება მოელოდა (გრაფმა

---

[1] გაზ. „კავალი", 1901 წ. №38

[2] ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში, თბ. 1919 წ. გვ. 61

[3] ლ. ალექსიძე, საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერ-
თობა მე-16-18 საუკუნეებში, თბ. 1983 წ. გვ. 236

[4] მკვლევართა ნაწილი განსაკუთრებულ თათბირს უწოდებს „სახელმწიფო საბჭოს", რაც არ არის სწორი, სახელმწიფო საბჭო შეიქმნა მეფის კარზე 1802 წლიდან.

მუსინ-პუშკინმა თვითონ იმოგზაურა საქართველოში, თავისი თვალით ნახა საქართველოს თვალწარმტაცი ბუნება, შეისწავლა, რამდენადაც შეძლო, ქვეყნის წიაღისეული და ბუნებრივი სიმდიდრეები, რამაც გააოცა იგი). ალექსანდრე I არ დაკმაყოფილდა თათბირის მსჯელობით და 15 აპრილს ხელახლა შეკრიბა იგი, თუმც გრაფი მუსინ-პუშკინი ისევ წინანდელ აზრს იცავდა, მაგრამ ამჯერად მან შესთავაზა იმპერატორს, გენერალ კნორინგს ებრძანოს საქართველოში წასვლა და ადგილზე შეისწავლოს: შეუძლია თუ არა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობა და ქართველ ხალხს სურს რუსეთის ქვეშევრდომობა თუ მარტო სამეფო კარს. იმპერატორი დათანხმდა ამ წინადადებაზე. კნორინგი თბილისში ჩამოვიდა 1801 წლის 22 მაისს და 28 ივლისს უკვე წარუდგინა იმპერატორს თავისი მოხსენება (რა თქმა უნდა, ხალხის სურვილი არ შეუსწავლია და არც იმის დადასტურებაზე შეუწუხებია თავი, მართლა შეეძლო თუ არა საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა), რომლითაც ურჩევდა და უსაბუთებდა მას საქართველოს სრულ შეერთებას, რაც უმაღლესად დამტკიცდა შემდეგ. საინტერესოა ის, რომ მეფის კარზე იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც საქართველოს რუსეთთან შეერთების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. მაგ. გრაფი ა. ვორონცოვი და გრაფი ვ. კოჩუბეი, რომლებმაც მიართვეს იმპერატორს თავისი მოხსენება ამ საკითხზე. მათი აზრით, საქართველოს რუსეთთან შეერთება სრულებით უსარგებლო და საზიანოც იქნებოდა ორივე ქვეყნისთვის.

8 აგვისტოს განსაკუთრებული თათბირის დასკვნით სხდომაზე მოთათბირეთა უმრავლესობამ დაადასტურა საქართველოს შეერთების მიზანშეწონილობა და იმპერატორმაც მისცა ამ გადაწყვეტილებას უმაღლესი სანქცია. 12 სექტემბერს, როგორც ვთქვით, ქ. მოსკოვში გამოიცა მანიფესტი, რომლითაც საქართველო საბოლოოდ შეუერთდა რუსეთს. შვიდი თვის შემდეგ, ე.ი. 1802 წლის 12 აპრილს ეს მანიფესტი გამოქვეყნდა თბილისში. იმავე დღეს სიონის საკათედრო ტაძარში დაფიცებული იქნენ ახალი წესწყობილების ერთგულებაზე ბატონიშვილები, კათალიკოსი და შემდეგ მთელი ერი.

ამით გაუქმდა ბაგრატიონთა მრავალსაუკუნოვანი სამეფო ტახტი, მოიშალა ეროვნული მმართველობის სისტემა, ქართული სამართლებრივი ინსტიტუტები, სამაგიეროდ საქართველოს რუსეთის მეფის მოხელეები მოევლინენ, ქართულმა ეკლესიამ დაკარგა ავტოკეფალია, კათალიკოს-პატრიარქის ადგილი რუსმა ეგზარქოსმა დაიკავა.

1802 წლის 8 მაისს თბილისში შეიქმნა საქართველოს უმაღლესი მთავრობა (Грузинское верховное правительство), რომელიც შედგებოდა ოთხი ექსპედიციისაგან.

საქართველოს პირველ მთავარსარდლად დაინიშნა გენ. კნორინგი, რომლის ხელში იყო უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო უფლება. სამოქალაქო უწყების მმართველად გამოცხადდა კოვალენსკი, რომელიც მეფე გიორგი მეთორმეტის დროს იმპერატორ პავლეს წარმომადგენელად ითვლებოდა ქართლ-კახეთში. ორივე ეს პირი ჩქარა დაითხოვეს თანამდებობიდან რუსეთის მთავრობის განკარგულებით.

რამდენიმე სიტყვა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის იურიდიულ მხარეზე.

1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების (ტრაქტატის) ირგვლივ, საერთაშორისო სამართლის ნორმათა თვალსაზრისით, აზრთა სხვადასხვაობაა, იგულისხმება ტერმინოლოგია, რითაც კვალიფიცირდება ხელშეკრულების შინაარსობრივი ბუნება.

ბრიუსელის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის პროფესორი ერნესტ ნასი რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ 1783 წლის ტრაქტატს მეგობრობისა და კავშირის ხელშეკრულებას უწოდებდა. დაახლოებით იგივე აზრს ავითარებენ ნ. ბერძენიშვილი, ი. ცინცაძე, მ. დუმბაძე, გ. პაიჭაძე და სხვანი.

ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორის ფონ ლისტიცის აზრით, ეს ხელშეკრულება „რუსეთის პროტექტორატს და სუვერენობას ამყარებდა საქართველოზე, რომელიც თუმც სრულებით დამოუკიდებელ, მაგრამ მაინც მის ვასალურ სახელმწიფოდ ხდებოდა". ისტორიკოსის და იურისტის ზურაბ ავალიშვილის აზრით, ის პოლიტიკური დამოკიდებულება, რომელიც საქართველოს და რუსეთს შორის 1783 წლის ხელშეკრულების ძალით შეიქმნა, არც ვასალურ დამოკიდებულებას წარმოადგენს, არც პროტექტორატს და მფარველობას. ერთსა და იმავე დროს იგი არის მფარველობაც, პროტექტორატიც და ვასალური დამოკიდებულებაც.[1]

მ. ხელთუფლიშვილი თვლის, რომ 1783 წლის ხელშეკრულებით, რუსეთს საქართველოს მიმართ წმინდა პროტექტორატის უფლება და მხოლოდ მფარველობა მიენიჭა,[2] ა. ცაგარელი ტრაქტატს „მფარველობის ხელშეკრულებას"[3] უწოდებდა.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს იყო მოკავშირეობის ხელშეკრულება, სადაც ლაპარაკი არ არის ქვეშევრდომობაზეც კი და ასკვნის—„მაშასადამე, 1783 წ. ხელშეკრულება თვით ხელშემკვრელ მხარეებს „მფარ-

---

[1] З. Авалов, Присоединение Грузии к России. Петербург, 1903 г. Ст. 143

[2] М. Хелтуплишвили, Вступление Грузии в состав Российской империи, 1901 г. ст. 82.

[3] А. Цагарели, Грамоты. Т. II, вып. ст. 30

ველობითი მოკავშირეობის“ ტრაქტატად მიაჩნდათ და ჩვენც არავითარი უფლება არა გვაქვს გვირდი ავუაროთ მათს ცხადად გამოთქმულ ამ ნებისყოფას“.[1]

რევოლუციამდელ იურიდიულ ლიტერატურაში ჩამოყალიბდა შეხედულება, რომ 1783 წლის ხელშეკრულება არის პროტექტორატის აქტი, რომლითაც საქართველო „არასუვერენულ“ და „დაქვემდებარებულ“ სახელმწიფოდ იქცა.

უცხოურ ლიტერატურაში 1783 წ. ხელშეკრულებით შექმნილი სტატუსი სხვადასხვაგვარადაა გაგებული: აქტი, რომელიც ამყარებს პროტექტორატის რეჟიმს, „რუსეთის უზენაესობა და სუვერენიტეტი“ და ვასალური დამოკიდებულება, „ხელშეკრულება მეგობრობისა და კავშირის შესახებ“ და ა.შ.

ამ საკითხს სხვაგვარად აშუქებს რუსული საბჭოთა ისტორიოგრაფია. ო. მარკოვა თვლის 1783 წლის ხელშეკრულებას ტრაქტატად პროტექტორატის შესახებ და მიაჩნია, რომ მისი ძალით ქართველი მეფე რუსეთის მეფის ვასალი გახდა.

საინტერესო დასკვნები გააკეთა პროფ. ლ. ალექსიძემ, რომელიც ზემოთ აღნიშნული და სხვა მკვლევართა კონცეფციების ანალიზის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ 1783 წლის ხელშეკრულებით ქართლ-კახეთის სამეფო დაექვემდებარა რუსეთის იმპერიას საშინაო ავტონომიის შენარჩუნებით და საგარეო პოლიტიკური ქმედითუნარიანობის, ე.ი. საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტუნარიანობის ნაწილობრივი შეზღუდვის პირობით...

ეს იყო „მფარველობა-დაქვემდებარების ხელშეკრულება“.[2]

საბოლოოდ ამ სახით ჩამოყალიბდა სატერმინოლოგიო ჯგუფი:

1. „მეგობრობითი ხელშეკრულება კავშირისა და მფარველობის შესახებ“.
2. „პროტექტორატი“
3. „პროტექტორატი-სიუზერენიტეტი“
4. „პროტექტორატი და ვასალიტეტი“
5. „პროტექტორატი ვასალიტეტის ფორმაში“.
6. „მფარველობა-დაქვემდებარება ხელშეკრულებით“.

საქართველოს რუსეთთან შეერთება, მალე 200 წელი გახდება, რაც კვლავ მწვავე, სრულიად საპირისპირო დავის საგანია მეცნიერებისა და პოლიტიკოსებისათვის. გვხვდება სრულიად უკიდურესი დასკვნები.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში, თბ. 1919, გვ. 32

[2] ლ. ალექსიძე, დას. ნაშრ. გვ. 197

1919 წელს პროფ. ა. ცაგარელი წერდა: „საქართველომ უნდა მიიღოს ანაზღაურება 100 წლიანი ტყვეობისათვის, როცა ამ ათასწლიანმა სახელმწიფომ დაკარგა არა მარტო სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა, არამედ გეოგრაფიული სახელწოდებაც."

ჩვენს დროში საქართველოს დამოუკიდებლობის ყოველი ხსენება სოლჟენიცინების თავში იმაზე მითითებით მთავრდება, თუ როგორ ემუდარებოდნენ ქართველი მეფეები რუსეთის იმპერატორებს მფარველობასა და გადარჩენას, ხოლო იმაზე არაფერს ამბობენ, რა სწრაფად სპობდა ცარიზმი ქართული სახელმწიფოებრიობის ყველა ნაშთს და რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ შეერთებას მთელს წინა აზიაში რუსეთის სამხედრო გაძლიერებაში.

რუსეთ-საქართველოს ამ ხელშეკრულების სამართლიანობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა განსაკუთრებით გამოიკვეთა უკანასკნელ ხანს. რუსეთთან შეერთებისათვის ნაბიჯის გადადგმას ჩვენს წინაპრებს შეცდომად უთვლიან; ძალიან ძნელი იყო კონკრეტული და ამომწურავი პასუხის გაცემა კითხვაზე: შეცდომა იყო თუ არა საქართველოს რუსეთთან შეერთება იმ პერიოდში და შემდგომ შექმნილი საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის გამო, ამიტომ ქართველ ისტორიკოსთა ნაწილმა ამ ფაქტს „მცირე ბოროტება" უწოდა, რადგან „საქართველო მეფის რუსეთის კოლონიად იქცა. რა თქმა უნდა, ეს იყო ბოროტება, რომელსაც ქართველი ხალხი დაუღალავად ებრძოდა...მაგრამ იმ ისტორიულ პირობებში ეს იყო მაინც უმცირესი ბოროტება; სამი მოქიშპე სახელმწიფოდან (რუსეთი, ირანი, ოსმალეთი) მხოლოდ რუსეთი, საქართველოსათვის მახლობელი რელიგიითა და კულტურით, იყო ერთადერთი პროგრესული ძალა, რომელსაც შეეძლო საქართველოს მიწა-წყლის გაერთიანება და ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა".[1]

პროფ. ს. ჯორბენაძე ამ საკითხზე წერს: „ჩვენის რწმენით, „უმცირესი ბოროტების" თეორია ყველაზე სწორად ასახავს ისტორიულ სინამდვილეს და საქართველოს რუსეთთან შეერთების რეალურ შედეგებს".

საერთაშორისო სამართლის სპეციალისტს პროფ. ლ. ალექსიძეს მიაჩნია, რომ: „გეორგიევსკის ტრაქტატი იმ დროის საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი პროგრესული და უჩვეულო აქტი იყო, რადგანაც პროტეჟეს საკმაო პრივილეგიებს აძლევდა, საგარეო-პოლიტიკური ქმედითუნარიანობის ნებაყოფლობით შეზღუდვა არ ნიშნავდა „ბორო-

[1] საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის დამდეგამდე, ს. ჯანაშიას რედ. 1948 წ. 418.

ტებას", რადგანაც მიზნად ისახავდა ქართლ-კახეთის პროგრესული ძალების მიერ დასმული ამოცანების განხორციელებას, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი იყო მაჰმადიანი აგრესორების მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნება...მისი პირუთვნელად შესრულების შემთხვევაში ქართლ-კახეთი იგებდა მეტს, ვიდრე რუსეთი, რადგანაც ეს ქვეყნის ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებასა და მთელი ერის ფიზიკური განადგურების საშიშროების თავიდან აცილებას მოასწავებდა. ასეთი მიზნების მიღწევისათვის „დაქვემდებარება" სავსებით გამართლებული იყო და „უმცირეს ბოროტებად" ვერ ჩაითვლებოდა".[1]

საბოლოოდ საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებით (რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით, იმ მდგომარეობიდან გამომდინარე, მისაღებად შედგენილი აქტი იყო) გათვალისწინებულ ვალდებულებებს შესრულება არ ეწერა და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავიდანვე ცალმხრივად დაირღვა, რადგანაც ტრაქტატში, შემდეგ კი მანიფესტში არ გაუთვალისწინებიათ ქართველი და რუსი ხალხის ნება, ხალხს არავინ არაფერს ეკითხებოდა, ამიტომაც რჩებოდა მოტყუებული და გაწბილებული, ხოლო სამეფო კარის მოქმედება წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის და მორალის სრულ უგულვებელყოფას, რამაც საქართველოს მიმართ მიიღო აშკარა ძალადობის სახე რუსეთის ფეოდალური იმპერიალიზმის ინტერესების შესაბამისად.

ცარიზმის რეაქციულმა პოლიტიკამ თავიდანვე ქართველი ხალხის წინააღმდეგობა გამოიწვია. „თუ დასაწყისში ცარიზმის უკმაყოფილო მხოლოდ ფეოდალური საზოგადოების მაღალი ფენების გარკვეული ნაწილი იყო, ის ნაწილი, რომელმაც ტახტი და მემკვიდრეობა დაკარგა, შემდეგ ეს წრე თანდათან გაფართოვდა. საქართველოს მმართველობაში მოხელეების მექრთამეობა და სხვა შეიქმნა უკმაყოფილების მიზეზი".[2] შემთხვევითი არ იყო 1802 წლის აჯანყება კახეთში, 1804 წლის აჯანყება ქართლის მთიანეთში, 1812 წლის აჯანყება ქართლში, 1819-1820 წლების აჯანყებები იმერეთსა და გურიაში.

გარდა ამისა, მოქმედებდა გარე ფაქტორებიც, რომლებმაც დიდი როლი შეასრულა 1832 წლის შეთქმულების მომზადებაში. ეს იყო ევროპასა და რუსეთში მიმდინარე ისტორიული მოვლენები. კერძოდ: 1789 წლის საფრანგეთის რევოლუცია, 1831 წლის აჯანყება პოლონეთში. დამტკიცებული ფაქტია, რომ დეკაბრისტების აჯანყებამ შემდგომში გავლენა იქონია პროგრესულად მოაზროვნე ქართველი საზოგა-

---

[1] ლ. ალექსიძე, საქართველო-რუსეთის საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობა მე-16-18 საუკუნეებში, თბ. 1983 წ., გვ. 195.

[2] იკ. სურგულაძე, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, 1986 წ. გვ. 325.

დოების მნიშვნელოვან ნაწილზე. „შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ დეკაბრისტ რილეევის ლექსი გრ. ორბელიანმა ქართულად თარგმნა. არ იყო შემთხვევითი, რომ რილეევის წერილი, ცოლისადმი მიწერილი და მისივე ლექსი, დოდაშვილს აღმოაჩნდა"—წერდა მ. გოზალიშვილი თავის გამოკვლევებში „1832 წლის შეთქმულება".[1] ისტორიკოსი მაქსიმე ბერძნიშვილი 1832 წლის შეთქმულების ანუ შემდეგ წოდებულ „ყაზარმობის" მონაწილეებს ორ ნაწილად ყოფს: „ფეოდალური მონარქიული ნაციონალიზმის წარმომადგენლები და მეორე, რომლებიც გამოხატავდნენ რუსეთში ნამყოფი ან კიდევ რუსული განათლება მიღებული ახალგაზრდობის სულიერ განწყობილებას და ნაზრევს, ვისაც სამშობლოს მომავალი პოლიტიკური წყობილება ფეოდალურ მონარქიად კი არ ეხატებოდათ, არამედ კონსტიტუციურ, ე.ი. უფლებაშეზღუდულ მონარქიად ან კიდევ—კონსტიტუციურად. მათ „სიმოკლისათვის შეიძლება ვუწოდოთ უფრო გვიან განმტკიცებული ჩვენში ტერმინი „თერგდალეული".[2]

1832 წლის შეთქმულებაზე სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვით იყო გამოწვეულიო, თანაც საქართველოში ყველანი დიდად უკმაყოფილონი იყვნენ (გულისხმობენ როგორც გლეხებს, თავად-აზნაურობას, ასევე ინტელიგენციას—გ.ლ.). თითოეულ წრეს და წოდებას თავისი მიზეზი ჰქონდა უკმაყოფილებისა, ხოლო საერთო საყოველთაო მიზეზებიც იყო. ყველასათვის აშკარა გახდა, რომ ახლად დამყარებულმა რეჟიმმა არ გაამართლა იმედები და ყველა მოტყუებული და სასოწარკვეთილი დარჩა. აი, ამ ნიადაგზე იშვა „შეთქმულება".[3]

ქართულ ისტორიოგრაფიაში 1832 წლის შეთქმულება შეფასებული იყო როგორც თავადაზნაურული ხასიათისა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, იგი არ გამოხატავდა მარტო რომელიმე კლასის ინტერესებს, არამედ მასში მონაწილეობდა ყველა ფენის წარმომადგენელი.

„შეთქმულება ძირითადად თავადებისაგან შედგებოდა, მაგრამ მასში მონაწილეობას ღებულობდნენ აზნაურებიც და საერთოდ დაბალი წრიდან გამოსულნი, გლეხი იყო სოლომონ დოდაშვილი, დაბალი წრიდან იყვნენ ავთანდილაშვილი, სოლომონ რაზმაძე და მღვდელი ტარასი, აზნაური ფილადელფოს კიკნაძე"[4] და ა.შ.

---

[1] 1832 წლის შეთქმულების შესახებ მასალები გამოაქვეყნეს პროფ. გ. გოზალიშვილმა და ისტორიკოსმა მ. ბერძნიშვილმა

[2] მ. ბერძნიშვილი, მასალები მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოების ისტორიისათვის, II, 1883 წ. გვ. 7

[3] ა. ჯორჯაძე, წერილები, დ. ყიფიანი, 1989 წ., გვ. 404

[4] გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, გვ. 254

კ. აბაშიძე, რომელმაც სპეციალური შრომა მიუძღვნა 1832 წლის აჯანყებას, მაღალ შეფასებას აძლევდა შეთქმულთა პოლიტიკურ მიზანს დამოუკიდებლობის აღდგენის მცდელობაში, მაგრამ არჩილ ჯორჯაძის მსგავსად, უკმაყოფილებას გამოხატავს თავადაზნაურობის ნაწილის გამო, რომ მათ მთლიანად დაივიწყეს მამული, ჩინ-მედლების მიღებამ გაიტაცათ და შეეგუენ არსებულ მდგომარეობას.

ი. ჯავახიშვილის აზრით, 1832 წლის შეთქმულების სათავეში იდგნენ უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლები, ბატონიშვილები დიმიტრი იულონის ძე ბაგრატიონის მეთაურობით. შეთქმულება იმთავითვე იყო განწირული, რადგან მისმა მონაწილე თავადებმა ვერ შეძლეს გლეხობასთან კავშირის დამყარება,[2] თუმცა დაბალი წრის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ შეთქმულებაში.

პ. ინგოროყვა წერდა, რომ სახელმწიფო მმართველობის მთელ სისტემაში არჩევითი წესები, სახალხო წარმომადგენლების პრინციპი ფართოდ უნდა ყოფილიყო გატარებული. შეთქმულების ხელმძღვანელია რადიკალობა იმდენად შორს მიდიოდა ამ მხრივ, რომ ისინი შესაძლოდ თვლიდნენ არჩევითი წესები დაეცვათ თვით რეგულარულ ჯარშიც კი და მოჰყავს სათანადო დოკუმენტიდან ცნობა იმის შესახებ, რომ ჯარის ხელმძღვანელი უფროსები არჩეული უნდა ყოფილიყვნენ.

ს. ხუნდაძის შეხედულებით, 1832 წლის შეთქმულებას ბატონიშვილები უდგნენ სათავეში, ეს შეთქმულება „ქართველ ლეგიტიმისტთა ოცნება იყო".[3] იგი უკანასკნელი გარდატეხა გამოდგა, რომლის შემდეგ ქართველ თავადაზნაურობასა და ცარიზმს შორის ხიდი გაიდო.

პროფ. გ. გოზალიშვილი წერს, რომ შეთქმულებას უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. ის საქართველოს ცხოვრების სინამდვილეზე აღმოცენდა. შეთქმულება სწორედ იმის დამადასტურებელია, რომ „საქართველო მსოფლიო პროგრესის ფერხულიდან გამორიცხული არ იყო".[4] მას მხედველობაში ჰქონდა რუსეთსა და ევროპაში მიმდინარე პროცესები, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

მ. ბერძნიშვილის აზრით, ყაზარმელებმა გავლენა იქონიეს ჩვენს მრეწველობაზე, პოლიტიკაზე, მწერლობაზე, ლიტერატურაზე, პერიოდიკაზე, თეატრზე და ა.შ. მათ წრეში დაიბადა იდეა დაქსაქსული ქართველობის გაერთიანებისა. ყაზარმელები იღვწიან, აგრეთვე, მრეწ-

---

[1] И. Джавахишвили, Политические и социальние движение в Грузии в XIX в. 1906 г. ст. 28

[2] ს. ხუნდაძე, ქართველი ინტელიგენციის პროფილი მე-19 საუკუნეში, 1927, გვ. 34

[3] გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, გვ. 31-32

ველობისა და მეურნეობის დარგში.[1] ყოველივე ეს იმას ადასტურებს, რომ 1832 წლის შეთქმულებამ შესამჩნევი კვალი დაამჩნია საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას.

აკ. გაწერელია უყურებს 1832 წლის შეთქმულებას როგორც პროგრესულ მოვლენას, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.[2]

პროფ. ი. სურგულაძე განიხილავს რა მეცნიერებაში 1832 წლის შეთქმულებისადმი გამოთქმულ მოსაზრებებს, მათ შორის ხაზს უსვამს საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ აზრს. იგი თვლის, რომ ამის განმსაზღვრელი იყო ი.ბ. სტალინის მოსაზრება, რომელიც გამოთქვა ეროვნული საკითხის განხილვასთან დაკავშირებით თავადაზნაურობათა „მოძრაობის" შესახებ. ი.ბ. სტალინის აზრით, შეთქმულებას ჰქონდა ფეოდალურ-მონარქიული „ნაციონალიზმის" ხასიათი.[3]

ფ. მახარაძის შეხედულებით, შეთქმულების მიზანი რეაქციული იყო, შეთქმულებს უნდოდათ ფეოდალურ-მონარქიული წყობილების აღდგენა, იმ წყობილების დამყარება, რომელიც საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე არსებობდა.[4]

პროფ. ი. სურგულაძე სამართლიანად მიიჩნევს, რომ შეთქმულების ასეთი შეფასება თითქმის სავალდებულოდ გადაიქცა ქართულ ისტორიოგრაფიაში. აქედან გამომდინარე, პროფ. ს. ბერაძის აზრით, 1832 წლის შეთქმულება „ანტიხალხური", „რეაქციული" იყო.

აკად. გ. ხაჭაპურიძის მიხედვით, შეთქმულებს განზრახული ჰქონდათ აღედგინათ ძველი ფეოდალური დაქუცმაცებული საქართველო, რომლის სათავეში იქნებოდნენ მეფეები და თავადაზნაურები.

შეთქმულება, მკვლევარ ა.კუციას აზრით, მიზნად ისახავდა ბაგრატიონთა დინასტიის და თავადაზნაურობის პრივილეგიის აღდგენას.

პროფ. ა. კიკვიძის აზრით, 1832 წლის შეთქმულება რეაქციული ხასიათისა იყო. პროფ. მ. გოცაძეც ამავე აზრისაა და შეთქმულება „ფეოდალური ნაციონალიზმის იდეოლოგიის მატარებლად მიიჩნია".[5]

საინტერესოა თვითონ პროფ. ივ. სურგულაძის მიერ 1832 წლის შეთქმულების შეფასება: „საქართველოს თავისუფლება მათ სხვადასხვა ფორმით ჰქონდათ წარმოდგენილი: შეთქმულთა ნაწილს საქართველოს განთავისუფლების შემდეგ უნდოდა საქართველოში რესპუბლიკური

---

[1] მ. ბერძნიშვილი, მახალები მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ხაზოვანდოების ისტორიისათვის, II, 1883 წ. გვ. 17.

[2] აკ. გაწერელია, რჩეული ნაწერები, ტ.II 1965 წ., გვ. 113

[3] იხ. ი.ბ. სტალინი, თხზ. ტ. I, გვ. 32-35

[4] Ф. Махарадзе, Грузия в XIX столетии, 1933, ст. 56

[5] ი. სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, 1986 წ., გვ. 367

წყობილების დაარსება, მეორე ნაწილი ესწრაფვოდა კონსტიტუციურ მონარქიას.

შეთქმულების როგორც რესპუბლიკური, ისე კონსტიტუციურ-მონარქისტული ნაწილის წარმომადგენლების შეხედულებები თავისი არსით პროგრესული იყო, რადგანაც ორივე ფრთა იბრძოდა ეროვნული განთავისუფლებისათვის, ერთი მხრივ, და რეაქციული ცარიზმის წინააღმდეგ—მეორე მხრივ".[1]

ზემოთ აღნიშნული ზოგიერთი ავტორის მიერ მჩაგვრელი და ჩაგრული ხალხების ნაციონალიზმი ერთნაირად, რეაქციულადაა გაგებული.

ჩაგრული და მცირე ხალხების ისტორიაში ეროვნული საკითხი წინა პლანზეა წამოწეული და რადგანაც თანამედროვე ისტორიოგრაფია ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეას პროგრესულად თვლის, ცხადია, მოძრაობაც პროგრესული იქნება, ეროვნული თავისუფლება ერის ბუნებრივი მოთხოვნილებაა. ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ მცირე, ჩაგრული ერისათვის ეროვნული საკითხი ყოფა-არყოფნის ტოლფასია, დიდი, მჩაგვრელი ერისათვის ის ჩვეულებრივი, რიგითი პრობლემაა.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, 1832 წლის შეთქმულება, თავისი პოლიტიკური დატვირთვით, წარმოადგენდა პროგრესულ მოვლენას, რადგანაც ლეიტმოტივი შეთქმულებისა იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და დამოუკიდებლობის მოპოვება და ეს იქნებოდა რესპუბლიკური თუ კონსტიტუციურ-მონარქიული ფორმით, ჩემი აზრით, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა.

არჩილ ჯორჯაძე ყოველთვის ხაზგასმით მიუთითებდა იმ როლზე, რომელიც რუსეთთან საქართველოს შეერთებამ შეასრულა ჩვენს ქვეყანაში სოციალური გარდაქმნების საქმეში. „რუსეთის შემოსვლით,—წერს ის,—ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა ჩვენში და საზოგადოდ მთელ კავკასიაში. მოეღო ბოლო ფეოდალობას".[2]

ამგვარად, მისთვის აშკარა იყო, რომ საქართველოში კაპიტალისტური გზით განვითარების დაჩქარების საქმეში არსებითი ხასიათის როლი შეასრულა რუსეთთან შეერთებამ. ამ გარემოებას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის წინსვლისათვის საერთოდ. ამიტომ, არჩ. ჯორჯაძე უარყოფდა რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფის იდეას და იბრძოდა საქართველოს პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის თვით რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ როდესაც ქართული პოლიტიკური აზრის განვითარებასა და მის განმა-

---

[1] ი. სურგულაძე, საქართველოს პოლ. მოძღვრებათა ისტორიიდან, 1986 წ. გვ. 368

[2] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი პირველი, 1911 წ. გვ. 75.

პირობებელ ფაქტორებზე მსჯელობს, იგი, პირველ ყოვლისა, წინა პლანზე წევს იმ რეაქციას, რომელსაც ქართველ ხალხში იწვევდა ეროვნული თავისუფლების დაკარგვა და იმ უხეშ პოლიტიკას, რომელსაც ცარიზმი მიმართავდა--განსაკუთრებით პირველ პერიოდში, რათა კავკასია, და კერძოდ საქართველო, ყოველმხრივ დაემორჩილებინა.

ამგვარი, ისტორიული სიტუაციით ხსნის არჩილ ჯორჯაძე იმ აჯანყებისა და შეთქმულების ორგანიზებას მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში და ამ შემთხვევაში იგი, შეიძლება ითქვას, არ ცდება, თუ არა ცარიზმის ადმინისტრაციული აპარატის უხეში პოლიტიკა კავკასიაში, ვითარება უდავოდ სხვაგვარი იქნებოდა.

„ეროვნულისა" და „რუსულ-სახელმწიფოებრივის" შეტაკების ხანაში,—წერს არჩილ ჯორჯაძე,—ირკვეოდა და ისახებოდა ქართველი ინტელიგენციის სულიერი ვითარება. და ამ სულიერ ვითარებას რომ დააკვირდეთ, არა ერთს და ორს დრამატულ ხასიათის ნაკვთს იპოვნით მასში. შეგნებული ქართველის გული თითქოს ორად გაიყო. ერთი ეგუებოდა და ემონებოდა გარემოებას, მეორე—თავისუფლებას ეძებდა, ოცნებით 'იკვებებოდა. ქართველის აზროვნება გაბრუებულ ყოფაში იმყოფებოდა".[1]

ამგვარი ვითარება, არჩილ ჯორჯაძის აზრით, განსაკუთრებით ოცდაათიან წლებამდე შეინიშნებოდა. ოცდაათიან წლებში კი მდგომარეობა თითქოს იცვლება: ერის სასიცოცხლო ძალებმა თავისი სიტყვის თქმა გადაწყვიტეს. ამის აშკარა მაჩვენებელია, უპირველეს ყოვლისა, სოლომონ დოდაშვილის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, რომელიც ერთგვარად აერთიანებდა ეროვნული თვითშეგნების ინტელიგენციას. მისი რედაქტორობით გამოსული „ტფილისის უწყებანი" (1828 წ.) და მისი „სალიტერატურონი ნაწილნი" (1832 წ.) ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იყო.

ს. დოდაშვილმა ახალ დროში პირველად დასვა რუსეთის იმპერიაში ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის ორი უმთავრესი პრობლემის, კერძოდ, სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სამართლებრივი გადაწყვეტის საკითხი, რომელმაც შემდგომი განვითარება ჰპოვა ქართველი სამოციანელების და მათი ბელადის—ი. ჭავჭავაძის საბრძოლო მოთხოვნაში: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს",—წერს პროფ. ვ. აბაშმაძე.

მაგრამ დუალიზმი, არჩ. ჯორჯაძის აზრით, მაინც აშკარად შეინიშნებოდა ჩვენს ინტელიგენციაში: „დუალიზმი მეტად მძიმე ფსიხიური მდგომარეობაა. პიროვნების ორად გაპობა ღრმა წყაროა ადამიანის

[1] ოხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეოთხე, 1911 წ. გვ. 151.

მწუხარებისა და სევდისა".[1] ამ მწუხარებისა და სევდის ატმოსფეროში მოღვაწეობდნენ, კერძოდ, თვით ს. დოდაშვილი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, გრიგოლ ორბელიანი და სხვები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ 1832 წლის შეთქმულებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდისათვის და შემდგომაც ამ შეთქმულებაზე წერა და საუბარი გარკვეულად შეზღუდული იყო. „დღეს 1832 წლის შეთქმულებას აეხსნა „რეაქციულ-თავადაზნაურული" მოძრაობის იარლიყი".[2]

არჩილ ჯორჯაძე არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ 1832 წლის შეთქმულებას თავადაზნაურული ხასიათი ჰქონდა, მაგრამ არც იმას ივიწყებს, რომ იგი გამოხატავდა არა მარტო ერთი კლასის თუ წოდების ინტერესებს. ამ შეთქმულების ორგანიზაციის განმაპირობებელ ძირითად ფაქტორად მას მიაჩნია ის საერთო უკმაყოფილება, რომელსაც ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვა და ახალი მართვა-გამგეობის სიტლანქე იწვევდა.

„ამბობენ—წერს იგი—1832 წლის შეთქმულება თავად-აზნაურული ხასიათისაა. თავადებს უკმაყოფილო ბატონიშვილებთან ერთად უნდოდათ ძველი რეჟიმის დაბრუნება, რათა ამ სახით კვლავ აღედგინათ თავიანთი კლასიური უპირატესობაო. ჩვენ არა. ერთხელ გვქონდა ამ საგნის შესახებ ბაასი და წინაც ვამბობდით და ეხლაც ვაღიარებთ, რომ საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობის საკითხი ყოველთვის არ იყო დაკავშირებული ამა თუ იმ კლასის ბატონობის თუ გაბატონების სურვილებთან. რუსების შემოსვლისთანავე თავად-აზნაურთა ინტერესი უფრო მორჩილებას და იარაღის დაყრას უკარნახებდა მათ. და თუ აჯანყებაში (1803 წ.) და შეთქმულებაში (1832) თავადაზნაურობას ყოველთვის პირველი ადგილი ეჭირა, ეს იმას მოასწავებდა მხოლოდ, რომ ხანგრძლივი ისტორიის მიერ შემუშავებული თავისუფლებისაღმი მისწრაფებას თავად-აზნაურობის ერთის ნაწილის გულშიაც ჰქონდა ადგილი და 1832 წლის ძიებასაც..." [3]

არჩილ ჯორჯაძე საგანგებოდ მსჯელობს იმ გარემოებაზე, რომ ამ შეთქმულებაში ჩაბმული იყვნენ არა მარტო თავადები, არამედ იმდროინდელი მოწინავე ინტელიგენცია საერთოდ და მათი სურვილი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშის აღმართვა.

არჩილ ჯორჯაძის აზრით, „ქართველთა აღშფოთებულმა სინდისმა „შეთქმულებაში" ჰპოვა შვება", მაგრამ, საუბედუროდ, შეთქმულთა „მთა-

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 153.
[2] გაზ. „კომუნისტი", 1987 წ. 11 ოქტომბერი.
[3] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. 153-154.

ვარი ძალა და მთავარი იმედი იყო მათი სურვილი და მათი ოცნება“,[1] ისინი მოკლებული იყვნენ გამარჯვების რეალურ შესაძლებლობას და შეთქმულებაც გასცეს. ამის გამო „ქართველ ინტელიგენტის გულში ისევ შიში, კრძალვა და ორჭოფობა შეიპარა, იმედი ხსნისა დაიკარგა და ხელმეორედ იწყება პროცესი შეგუებისა და თავმდაბლობისა. სევდა და კაშანი კი, ურვა და მწუხარება, გულის სიღრმეში იმალება...“[2]

1832 წლის შეთქმულების არჩილ ჯორჯაძისეული დახასიათება არ ეწინააღმდეგება მის შესახებ თანამედროვე ისტორიოგრაფიაში შემუშავებული შეხედულებების მთავარ აზრს. პირიქით, არჩილ ჯორჯაძის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან ამ მოძრაობაში კარგად შენიშნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სული და ტენდენცია, რომელიც კვლავ გააცოცხლეს და ახალ ისტორიულ საფეხურზე აიყვანეს ცნობილმა ქართველმა სამოციანელებმა. მაგრამ, სამწუხაროდ, არჩილ ჯორჯაძეც სრულად მაინც ვერ აფასებს მეცხრამეტე საუკუნის 30-იანი წლების ქართველ ინტელიგენციას, კერძოდ, ამ პერიოდში მოღვაწე ჩვენს გამოჩენილ ქართველ რომანტიკოსებს, რომლებმაც მთელი თავიანთი ფიქრი და გრძნობა, სურვილი და ოცნება საქართველოს ეროვნული განთავისუფლების ინტერესებს დაუმორჩილეს. მართალია, მათ არ ჰქონდათ ნათლად გარკვეული წარმოდგენა სამშობლო ქვეყნის მომავალ ეროვნულ ბედზე,—დამოუკიდებლობის აღდგენასა და მის გზაზე, მაგრამ თავიანთი პოეზიით მაინც იმ რწმენას ამკვიდრებდნენ, რომ „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს“, რომ „გულთ მაამი“ დრო კვლავაც იქნების და სხვა. ამგვარად, არჩილ ჯორჯაძე უდავოდ ამუქებს სინამდვილეს, როცა ამბობს: „ჩვენს ლიტერატურაში ჩიკილი და გოდება ისმოღა დაკარგული თავისუფლების გამო, მხოლოდ ამ ლიტერატურის უილაჯო, უიმედო და ურწმუნო კილო სასოწარკვეთილებაში აგდებდა ჩვენს გადაგვარების გზაზედ დამდგარ საზოგადოებას და მას თავის ეროვნულ ვინაობის აღდგენის სურვილს უკარგავდა“.[3] ამგვარ ბრალდებას, ცხადია, არ იმსახურებენ „კავკასიის“ (ალ. ჭავჭავაძე), „საღლეგრძელოს“ (გრ. ორბელიანი), „ფიქრნი მტკვრის პირას“, „მერნის“ და „ბედი ქართლისას“ (ნ. ბარათაშვილი) ავტორები.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურმა და კულტურულმა ვითარებამ, არჩილ ჯორჯაძის შეხედულებით, შექმნა ქართველი სახელმწიფო მოღვაწის ტიპი და

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 155.
[2] იქვე, გვ. 156-157.
[3] იქვე, გვ. 81

მისი მოღვაწეობის პრინციპებიც. ეს პრინციპები, მისი თქმით, უფრო მოგვიანებით მშვენივრად ჩამოაყალიბა ქართველ თავად-აზნაურთა წინამძღოლმა კ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ, რომელმაც ეგზარქოს პალადისადმი მისასალმებელ სიტყვაში თქვა: „ერს, რომელსაც ჰქონია მრავალსაუკუნოვანი და დიდებული წარსული, არ მოეთხოვება იგი წარსული დაივიწყოს, ანდერძი ჩვენთა მამა-პაპათა, ჩვენი ისტორიისა, ერთგულებაა ღმერთისა, ერთგული ქვეშევრდომობაა ხელმწიფე იმპერატორისა და გულმოდგინეობა მამულისათვის".[1]

„თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ ამ სიტყვებში,—შენიშნავს არჩილ ჯორჯაძე,—სავსებით გამოსთქვა პოლიტიკური კრედო, რომელსაც აღიარებდა არა მარტო ქართველი თავადაზნაურობა, არამედ ქართული ინტელიგენციის დიდი უმრავლესობაც 1832 წლის „შეთქმულების" შემდეგ ხანიდან თითქმის 1890 წლამდე",[2] მაგრამ მისივე შეხედულებით, „ეს ფორმულა არსებითად ოპორტუნისტული ხასიათისა იყო".

რაში მდგომარეობდა ამ ფორმულის ოპორტუნისტული ხასიათი? ამ კითხვაზე არჩილ ჯორჯაძე ასეთ პასუხს იძლევა: „საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრი და ოცნება, გარემოების მიხედვით, უკუაგდეს. მისი ადგილი დაიჭირა „ერთგულ ქვეშევრდომობის" გრძნობამ, ხოლო ამ გრძნობას თან სდევდა მეორე გრძნობა—გულმოდგინეობა მამულისადმი". რაც შეეხება „ღმრთისადმი ერთგულებას", შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს საზოგადოებაში რელიგიოზურ გრძნობას მე-19 საუკუნეში ცხოველი ძალა მოკლებული ჰქონდა. და თუ ღმერთსაც იხსენიებდნენ ხოლმე, ეს იმიტომ, რომ არ დაერღვიათ ფორმულის ჰარმონია—ღმერთი, ხელმწიფე, მამული... „მამულიშვილობა ერთგულ-ქვეშევრდომობას" გადააბეს და ამ შეუღლებას მისცეს რაინდული ხასიათი.

„მამულის ინტერესების დაცვისათვის არავითარ გარანტიას არ ითხოვდნენ. ერთგულ-ქვეშევრდომობის გრძნობა კი მუდამ ცხოველი ჰქონდათ გულში და თითქოს ამ გრძნობის ცხოველმყოფელობაში ჰხედავდნენ გარანტიას, ძალასაც ეროვნულ ინტერესების უზრუნველსაყოფად".[3]

არჩილ ჯორჯაძემ სრულიად გასაგებად ჩამოაყალიბა თავისი დამოკიდებულება მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში დაწყებული პოლიტიკური ტენდენციებისადმი. ქართულ ისტორიოგრაფიაში 1832 წლის შეთქმულება შეფასებული იყო როგორც თავადაზნაუ-

---

[1] გაზ. „იბერია", 1887 წ. №247

[2] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 157

[3] იქვე, გვ. 158

რული ხასიათის,[1] რასაც არც არჩილ ჯორჯაძე უარყოფდა, მაგრამ იმასაც კარგად ხედავდა, რომ იგი გამოხატავდა არა მხოლოდ ერთი რომელიმე კლასის ინტერესებს, ამიტომ სწორად ახსნა ძირითადი მიზეზები, რამაც, ფაქტობრივად, მოამზადა 1832 წლის შეთქმულება. პირველ რიგში, იგი ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვას გულისხმობს, შემდგომ კი მიაჩნია, რომ „საქართველოში ყველანი დიდად უკმაყოფილონი იყვნენ (გულისხმობს როგორც გლეხებს, ასევე თავად-აზნაურებსაც. გ. ლ.), თითოეულ წრეს და წოდებას თავისი მიზეზი ჰქონდა უკმაყოფილებისა, ხოლო საერთო საყოველთაო მიზეზებიც იყო. ყველასათვის აშკარა გახდა, რომ ახლად დამყარებულმა რეჟიმმა არ გაამართლა იმედები, რომელთაც მასზე ამყარებდნენ და ყველანი მოტყუებულნი და სასოწარკვეთილნი იყვნენ. აი, ამ ნიადაგზე იშვა „შეთქმულება“.[2] იგი იმაზეც აშკარად მიუთითებს, რომ დიმიტრი ყიფიანი ცდილობს გამოარკვიოს, რა იყო მიზეზი ქართველების უკმაყოფილებისა მე-19 საუკუნის დასაწყისში და რამ გამოიწვია შეთქმულება რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ,[3] მიაჩნია, რომ ის ისტორიული ეპოპეა, რომელსაც მე-19 საუკუნის ქართველი ეროვნების ისტორია ჰქვია, ამ საფუძველზე, ამ გულუბრყვილო რაინდობაზე იყო აგებული და ამ ეპოპეის ერთ-ერთი პირველი დიდი მოქმედი პირი დიმიტრი ყიფიანი იყო.[4]

---

[1] შეთქმულებაში მონაწილეობდა 145 კაცი, რომელთაგან გამოძიებამ 47 გაანთავისუფლა, 98 მონაწილე კი დასაჯა და იმპერიის სხვადასხვა ადგილებში გადაასახლა. მათი თითქმის ორი მესამედი თავადიშვილები და ბატონიშვილები იყვნენ (61 კაცი), დანარჩენები კი—აზნაურობა და ე. წ. რაზნოჩინელები. ამრიგად, შეთქმულთა სოციალური სახე მკაფიოდაა წარმოდგენილი, იგი არისტოკრატიულია, ამიტომ საკვლევით გასაგები და ადვილად ასახსნელია, თუ რატომ არ წამოჭრილა შეთქმულთა წრეში სოციალური საკითხები. როგორც ვხედავთ, მათი დიდი ნაწილი ფეოდალურ-მონარქიული „ნაციონალიზმის“ პრინციპებზე იდგა.

[2] არჩილ ჯორჯაძე, წერილები, დ. ყიფიანი, 1989 წ. გვ. 404.

[3] იქვე, გვ. 309.

[4] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 158.

სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი

ეროვნული თავისუფლების დაკარგვა და რუსეთთან შეერთება, სათანადო ობიექტური წანამძღვრების მიუხედავად, მაინც მოულოდნელი და მტკივნეული იყო ქართველი ხალხისათვის, რომელმაც მიუხედავად მძიმე ისტორიული პირობებისა, მაინც შეძლო საუკუნეების მანძილზე ქვეყნის დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა ურიცხვ მტერთან განუწყვეტელ და უთანასწორო ბრძოლაში.

ამ მნიშვნელოვანმა მომენტმა დაბნეულობა და გაურკვევლობა დაატყო მთელ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას, მმართველ წრეებს და მთელ ინტელიგენციას. ვითარებას უფრო მძიმესა და აუტანელს ხდიდა ის გარემოება, რომ აშკარად იკვეთებოდა წინააღმდეგობა და დაპირისპირება ახალ ადმინისტრაციულ მართვა-გამგეობის ინტერესებსა და ადგილობრივ ტრადიციებს შორის. ამ შეხლა-შემოხლას ბოლო თითქოს არ უჩანდა, რადგან გაურკვევლობამ და გაუგებრობამ მოიცვა არა მხოლოდ ჩვენი საზოგადოებრიობა, არამედ რუსეთის ის ადმინისტრაციული აპარატიც, რომელიც მოწოდებული იყო წესრიგი დაემყარებინა ახლადშემოერთებულ ქვეყანაში. ხალხის უკმაყოფილებას, გამოწვეულს ეროვნული თავისუფლების დაკარგვით, ემატებოდა ის უხეში პოლიტიკა, რომელსაც ცარიზმი მიმართავდა განსაკუთრებით რუსეთთან შეერთების პირველ პერიოდში, რათა კავკასია და, კერძოდ, საქართველო, ყოველმხრივ დაემორჩილებინა.

ამგვარმა ისტორიულმა პირობებმა ხელი შეუწყო იმ აჯანყებებისა და შეთქმულებების მომზადებას, რომლებიც დაფიქსირდა მე-19 საუკუნის საქართველოში.

„ეროვნული და „რუსულ-სახელმწიფოებრივის" შეტაკების ხანაში, —წერს არჩ. ჯორჯაძე—ირკვეოდა და ისახებოდა ქართველი ინტელიგენციის სულიერი ვითარება და ამ სულიერ ვითარებას რომ დააკვირდეთ, არა ერთს და ორს დრამატული ხასიათის ნაკვთს იპოვნით მასში. შეგნებული ქართველის გული თითქოს ორად გაიყო: ერთი ეგუებოდა და ემონებოდა გარემოებას, მეორე—თავისუფლებას ეძებდა, ოცნებით იკვებებოდა, ქართველის აზროვნება გაბრუებულ ყოფაში იმყოფებოდა"[1]

---

[1] არჩ. ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი მეოთხე, 1911 წ. გვ. 151

ასეთი მწუხარებისა და სევდის ატმოსფეროში მზადდებოდა 1832 წლის შეთქმულება, რომლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილეცაა ს. დოდაშვილი. მიუხედავად მისი ხანმოკლე ცხოვრებისა, იგი იყო მრავალმხრივ განათლებული ფილოსოფოსი, პედაგოგი, ჟურნალისტი, ლიტერატურის ისტორიკოსი და თეორეტიკოსი, პოლიტიკური მოღვაწემან, ისევე როგორც სულიერი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს, ქვეყნის პოლიტიკური აზროვნების განვითარებასაც დიდი სამსახური გაუწია.

სოლომონ დოდაშვილი. დაიბადა 1805 წლის 31 მაისს სიღნაღის მაზრის სოფ. მაღაროში. დაწყებითი განათლება სიღნაღის სასულიერო-სამრევლო სკოლაში მიიღო, სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ კი პეტერბურში წავიდა და უნივერსიტეტში შევიდა, სადაც გამოსცა თავისი „ლოგიკის“ პირველი ნაწილი. პეტერბურგში დაჰყო 1824-27 წლებში. იმ პერიოდში იქ ბევრი ქართველი ახალგაზრდა ღებულობდა განათლებას. ქართველ სტუდენტებზე გარკვეული გავლენა იქონია დეკაბრისტების აჯანყებამ. ბევრ ქართველში გაიღვიძა პატრიოტულმა სულისკვეთებამ. ეროვნული სუვერენიტეტის დაკარგვას არც ქართველი ერი შეჰგუებია. ამის გამოხატულება იყო 1802 წლის აჯანყება კახეთში, 1804 წლის აჯანყება ქართლის მთიანეთში. 1812 წლის აჯანყება ქართლში, 1819-1820 წლის აჯანყება იმერეთში, გურიაში და ა. შ. რომლებმაც ძირითადად მოამზადეს 1832 წლის შეთქმულება.

ასეთ ვითარებაში ყალიბდებოდა ს. დოდაშვილის მსოფლმხედველობა.

მან 1826 წელს წარჩინებით დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიული ფაკულტეტი, თბილისში დაბრუნდა 1827 წელს და პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო. იგი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის მასწავლებელი და დიდი გავლენა მოახდინა პოეტის სულიერ ფორმირებაზე. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, დიმიტრი ყიფიანთან, ვახტანგ ორბელიანთან, სოლომონ რაზმაძესთან, პლატონ იოსელიანთან და სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან. დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ჟურნალისტიკის განვითარების საქმეში, სხვებთან ერთად აღსანიშავია მისი თავდადებული ბრძოლა ეროვნული კულტურის და განათლების კერების შექმნისათვის. მის სახელთანაა დაკავშირებული ქართული ლიტერატურული საზოგადოების, ბიბლიოთეკისა და სტამბის დაარსება, დიდი ამაგი დასდო ქართული მეცნიერების, პედაგოგიური აზროვნების, პუბლიცისტიკის განვითა-

რების საქმეს. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ვიატკაში გადაასახლეს, სადაც იგი დიდ რუს მოაზროვნეს გერცენს გაეცნო. ს. დოდაშვილი 32 წლის ასაკში, 1836 წელს გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს. გერცენის სიტყვებით რომ ვთქვათ, მას ბედმა ორი უბედურება არგუნა: ერთი ის, რომ სრულიად ახალგაზრდას წაერთვა სიცოცხლე, მეორეც—სოლომონ დოდაშვილის ცხედარი მისმა მშობლიურმა მიწამ ვერ მიიბარა.

ს. დოდაშვილს, თანამედროვეთაგან განსხვავებით, ახლებურად ჰქონდა ჩამოყალიბებული რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს სამართლებრივი მდგომარეობა, ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობის ფორმა, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზები და საშუალებები. „ეროვნულ სახელმწიფოებრივ მოწყობასთან დაკავშირებული პრობლემები ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში პირველად ს. დოდაშვილმა დასვა და მეცნიერულად გააზრა მათი გადაჭრის საფუძვლები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დიადი დროშა ს. დოდაშვილისაგან მიიღეს ქართველმა სამოციანელებმა, რომლებმაც დიდი ქართველი მოაზროვნის მიერ დასახული პოლიტიკური მიზნები თავიანთ სამოქმედო პროგრამად გაიხადეს.

ს. დოდაშვილმა ახალ დროში პირველად დასვა რუსეთის იმპერიაში ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის ორი უმთავრესი პრობლემის, კერძოდ, სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სამართლებრივი გადაწყვეტის საკითხი, რომელმაც შემდგომში განვითარება ჰპოვა ქართველი სამოციანელების და მათი ბელადის—ი. ჭავჭავაძის საბრძოლო მოთხოვნაში: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“.[1]

პროფ. ვ. აბაშმაძის აზრით, ს. დოდაშვილის სოციალურ-პოლიტიკური და იურიდიული შეხედულების განმსაზღვრელ წყაროებს წარმოადგენს: საქართველოს გმირული ისტორიული წარსული და მისი იმდროინდელი სამართლებრივი მდგომარეობა მდიდარი მრავალსაუკუნოვანი კულტურით.

მართლაც, იმ პერიოდში არსებული ვითარების გამო, ქართულ ინტელიგენციაში გულგატეხილობისა და სამართლებრივი ნიჰილიზმის მომძლავრება შეიმჩნეოდა. ეროვნული და რუსული სახელმწიფოებრიობის შეტაკების ხანაში ირკვეოდა და ისახებოდა ქართველი ინტელიგენციის სულიერი ვითარება.

---

[1] სოლომონ დოდაშვილი, საიუბილეო კრებული, თბ. 1988 წ. გვ. 97

შეგნებული ქართველის გული თითქოს ორად გაიყო. ერთი ეგუებოდა და ემონებოდა გარემოებას, მეორე—თავისუფლებას ეძებდა.

ს. დოდაშვილი მათ რიცხვს ეკუთვნოდა, ვინც თავისუფლების გზებსა და საშუალებებს ეძებდა. ერთ-ერთ საშუალებად მას საქართველოს ისტორიული წარსულის სათანადოდ შეფასება მიაჩნდა. ერისთვის შეხსენება „რანი ვიყავით" და რა გზით უნდა ვიაროთ—ძალზე მნიშვნელოვანი იყო.

ს. დოდაშვილის სულიერ მდგომარეობაზე წარმოდგენას გვაძლევს მისი ჩვენებები 1832 წლის შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ. რაც შეეხება მისი ისტორიული მემკვიდრეობის ანალიზს („ლოგიკა", „ჟინერვა", „ელენა" „ანეკდოტი ანუ ღირსსახსოვარი შემთხვნეულება", „შენიშვნა დამარხვის წესსა ზედა უკანასკნელთა მეფეთა საქართველოისათა", დაუმთავრებელი თხზულება „რიტორიკა", შემოკლებული „ქართული გრამატიკა", მის მიერ შედგენილი „რუსულ-ქართული რიხლავორის წიგნი", აგრეთვე, „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა", ჟურნალში გამოქვეყნებული წერილები: „მეფობა ირაკლი მეორისა", ეპისტოლარული წერილები ფ. კიკნაძისადმი, ანა დედოფლისადმი, ოქროპირ ბატონიშვილისადმი, ი. ხელაშვილისა და სხვათა მიმართ...) გვაძლევს საშუალებას ვაღიაროთ, რომ იგი თანამედროვეთაგან გამორჩეული მოღვაწე იყო. შემთხვევითი არ არის, რომ მისი მოღვაწეობის სფეროს განსაზღვრავენ როგორც ფილოსოფოსის, პედაგოგის, ჟურნალისტის, პროზაიკოსის, ლიტერატურის ისტორიკოსის და თეორეტიკოსის, პოლიტიკოსისას და ა. შ.

ს. დოდაშვილის პოლიტიკურ და სამართლებრივ შეხედულებებზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა და გამოძიებისადმი მიცემული ჩვენებები, რომლებიც დაცულია 1832 წლის შეთქმულების დოკუმენტთა კრებულში.

ს. დოდაშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა არაერთგზისაა შესწავლილი. მის თეორიულ მემკვიდრეობას სხვადასხვა მიმართულებით შრომები მიუძღვნეს გ. გოზალიშვილმა, გ. გოცაძემ, პ. კარბელაშვილმა, ს. ხუციშვილმა, თ. კუკავამ, გ. აბზიანიძემ, კ. აბაშიძემ, ზ. ჭიჭინაძემ, ს. ხუნდაძემ, ა. გაწერელიამ, ლ. მჭედლიშვილმა, გ. რუსიამ, ვ. გაგოიძემ, ა. ამირხანოვამ, ს. ავალიანმა, ტ. სარიშვილმა, მ. მახარაძემ, კ. კაციტაძემ, ე. ბატიაშვილმა, დ. კალანდაძემ და სხვებმა.

რაც შეეხება პოლიტიკურ და სამართლებრივ შეხედულებებს, მეცნიერულად პირველად შეისწავლა პროფ. ვ. აბაშმაძემ, შემდგომში მის პოლიტიკურ შეხედულებებზე იმუშავა ჯ. ფუტკარაიამ. ასე რომ, ს. დოდაშვილს შეუსწავლელი მოღვაწე არ შეიძლება ვუწოდოთ, მაგრამ

იმდენად მდიდარია მისი თეორიული მემკვიდრეობა, რომ კვლევის ინტერესი მის მიმართ არც შემდგომში განელდება.

სოლომონ დოდაშვილი დაბალი ფენის წარმომადგენელი იყო, რის გამოც დიდგვაროვანი შეთქმულები ეჭვის თვალით უყურებდნენ და არის მასალები, რაც მისდამი უნდობლობას ასახავს. ალბათ, სწორედ წარმოშობა განაპირობებდა, რომ მან ეროვნული და სოციალური საკითხების გადაწყვეტა ერთმანეთს დაუკავშირა. იგი რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის შენარჩუნების გზით აპირებდა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებას, ამუშავებდა საქართველოს პოლიტიკურ-სამართლებრივი მოწყობის ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს. რა თქმა უნდა, მასაც ჰყავდა მომხრეები შეთქმულთა შორის, მაგრამ უმრავლესობა მის მოსაზრებებს მაინც არ იზიარებდა, რადგანაც 1832 წლის შეთქმულებას თავადაზნაურული ხასიათი ჰქონდა, თუმცა იგი გამოხატავდა არა მხოლოდ ერთი კლასის თუ წრის ინტერესებს, მასში მონაწილეობდა ქართველი ინტელიგენციის ძირითადი ნაწილი, რომელიც ხალხის საფიქრალს განასახიერებდა. „შეთქმულთა შორის ყურადღებას იქცევდა სოლომონ დოდაშვილი, მამამთავარი ინტელიგენტურ აღფრთოვანებისა და უანგარობისა"—წერდა არჩილ ჯორჯაძე ნაშრომში „თავადაზნაურული ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება მე-19 საუკუნეში". განიხილავს რა ს. დოდაშვილის პოლიტიკურ შეხედულებებს, მიუთითებს მის წინააღმდგობრივ ხასიათზე, რაშიც არჩ. ჯორჯაძე არ ცდება, მაგრამ მის დამსახურებას ერისა და ქვეყნის წინაშე მაინც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს: „სოლომონ დოდაშვილი, პირველი ქართველი ინტელიგენტი ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით, მეტად საყურადღებო პიროვნებაა"[2] შემთხვევითი არ იყო, რომ ს. დოდაშვილის პოლიტიკური შეხედულებების განხილვას იგი შემდგომშიც არაერთგზის დაუბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ არჩ. ჯორჯაძე და ს. დოდაშვილი სხვადასხვა პერიოდში მოღვაწეობდნენ, მათ ძალიან ბევრი რამ ჰქონდათ საერთო. სამწუხაროდ, ორივე ადრეულ ასაკში გარდაიცვალა, მაგრამ საკმაოდ დიდი თეორიული მემკვდირეობა დაგვიტოვეს. რაც შეეხება მათ პოლიკურ შეხედულებებს, ორივე მათგანი საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებას რუსეთთან ურთითერობის გაწყვეტის გარეშე ფიქრობდა.

ს. დოდაშვილის პოლიტიკური შეხედულებების არათანმიმდევრულობისა და ზოგიერთ შემთხვევაში—მერყეობის მიუხედავად მო-

---

[1] არჩ. ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 152

[2] იქვე, გვ. 152

ნარქისტულ და რესპუბლიკურ იდეებს შორის, მან დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის ქართულ პოლიტიკურ და სამართლებრივ აზროვნებაზე. ამ საზოგადო მოღვაწის პოლიტიკური პოზიცია თავიდან მონარქისტული იყო. იგი თაყვანს სცემდა ბაგრატიონთა გვარს და ეს დამოკიდებულება გამოხატა თავის ნაშრომებში. ბოლო პერიოდში კი რადიკალურად იხრება სახელმწიფოს მოწყობის „რესპუბლიკური" იდეისაკენ, რაც გამოწვეულია 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებთან დაახლოებითა და მათი პოლიტიკური პროგრამების გაცნობით. „შეთქმულების მონაწილე თავადაზნაურობის იმ ნაწილის მოსაზრებათა საწინააღმეგოდ, რომელიც ოცნებობდა საქართველოს რუსეთისაგან ჩამოშორებაზე და მონარქიის აღდგენაზე, ს. დოდაშვილს განსხვავებული პოლიტიკური პროგრამა ჰქონდა. მისი აზრით, საქართველო თუ რუსეთს ჩამოშორდებოდა, გაბატონებული თავადაზნაურობა განუყოფლად დაეუფლებოდა სახელმწიფოს და, რა თქმა უნდა, მონარქიულ წყობილებას დაამყარებდა. პროფს. ვ. აბაშმაძე წერს—„მომავალი საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში უნდა მონაწილეობდეს არა მხოლოდ თავადაზნაურობა, არამედ მთელი ხალხი. ამიტომ ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობის ყველაზე მიზანშეწონილ ფორმას რესპუბლიკა წარმოადგენს, მაგრამ ეს რესპუბლიკა უნდა ჩამოყალიბდეს რუსეთის სახელმწიფოში".[1]

შეთქმულების დასაწყისში–წერს პ. რატიანი —ს. დოდაშვილსაც არ ჰქონია საკმაოდ ნათელი და გარკვეული საზოგადოებრივი შეხედულებანი, მაგრამ მისი გონებრივი განვითარება სწრაფად მიდიოდა წინ და მისი შეხედულებებიც თანდათან გარკვეული ხდებოდა, სწორედ ისევე, როგორც თანდათანობით ხდებოდა იმ ხანაში ქართველი გლეხობის კლასობრივი გათვითცნობიერება. ს. დოდაშვილმა მალე იგრძნო, რომ გლეხობის ინტერესები ძირფესვიანად განსხვავდებოდა თავადაზნაურთა ინტერესებისაგან. ის მიხვდა, რომ თავადაზნაურობის მიერ დასმულ „ნაციონალურ საკითხს" არაფერი აქვს საერთო ქართველი ხალხის ნამდვილი სოციალური და ეროვნული განთავისუფლების ამოცანასთან. ამით აიხსნება, რომ ის შემდომში ჩამოშორდა თავადაზნაურულ შეთქმულებას (თავადაზნაურულ ნაწილს და არა მთლიანად შეთქმულებს, გ. ლ.).

აღსანიშნავია, რომ ს. დოდაშვილს გარკვეულ პერიოდში მართლაც არ ჰქონია გამოკვეთილი და პრინციპული მსოფლმხედველობა პოლიტიკაში. როგორც არჩილ ჯორჯაძე წერს, „დოდაშვილი უნივერსიტეტ-

---

[1] ვ. აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, თბ. 1992 წ. ეგ 17

ში ყოფნის დროს წერს ლოდიკის სახელმძღვანელოს რუსულად, რა თქმა უნდა, პირველი ქართველი ინტელიგენტი თავდაპირველად რუსი მეცნიერ-მწერალია... წინასიტყვაობაში ავტორი მიმართავს რუსეთის ხელმწიფეს, ივერიის მფლობელს და ამბობს: ახლა თქვენის მეოხებით მას მზის შუქი ამოუბრწყინდება და გარს განათლების შარავანდედი მოეფინება, თქვენი მეოხებით აღმოცენდება სწავლა-განათლება და სიბრძნე-მეცადინეობაო". არჩილ ჯორჯაძეს ციტატის ეს მონაკვეთი მოჰყავს ს. ჭიჭინაძის ნაშრომიდან „სოლომონ დოდაშვილი" და აგრძელებს მსჯელობას: „ქართველი ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება" თანდათან ირკვევა. 1827 წელს იმპერატორს ქებას უწერს, 1831 წელს კი შეთქმულების სამზადისშია და პროპაგანდის მიზნისათვის გაზეთსაც აარსებს 1832 წელს. ამავე დროს ს. დოდაშვილი ადგენს ქართული ენის გრამატიკას და ქართულ-რუსული ენის „რაზღავორის წიგნს". ასეთ სახელწოდებას აძლევს თავის შრომას. ასე რომ, „რაზღავორის წიგნის" ავტორი ერთსა და იმავე დროს მწერალიც არის, რედაქტორიც, რევოლუციონერიც და (ნუ გაგიკვირდებათ), თიანეთის მაზრის უფროსის თანაშემწეც, ინტელიგენტიც. (ს. დოდაშვილის) პიროვნების ფიზიონომია თითქმის დამთავრებულია".[1]

ამით არჩილ ჯორჯაძეს სურს თქვას, რომ არა მარტო სოლომონ დოდაშვილი, არამედ ქართველი ინტელიგენცია ბოლოსდაბოლოს გონს მოდის, მაგრამ ძალიან ძნელად. იგი უდავოდ ამუქებს სინამდვილეს (ამაზე ადრეც მივუთითებდით), როცა ამბობს: „ჩვენს ლიტერატურაში ჩაყვილი და გოდება ისმოდა დაკარგული თავისუფლების გამო, მხოლოდ ამ ლიტერატურის უილაჯო, უიმედო და ურწმუნო კილო სასოწარკვეთილებაში აგდებდა ჩვენს გადაგვარების გზაზედ დამდგარ საზოგადოებას და მას თავის ეროვნული ვინაობის სურვილს უკარგავდა".[2]

მე-19 ს. 30-იანი წლების ეროვნული ინტელიგენცია, კერძოდ, ამ პერიოდში მოღვაწე ქართველი რომანტიკოსები, რომლებმაც თავიანთი ფიქრი და გრძნობა, სურვილი და ოცნება, პრაქტიკული საქმიანობა საქართველოს ეროვნული განთავისუფლების ინტერესებს დაუმორჩილეს, როგორც ვთქვით, თავიანთი პოეზიით ამკვიდრებენ რწმენას „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს", რომ „გულთ მაამი" დრო კიდევაც იქნება და ა. შ. „მხედველობაში გვაქვს ალ. ჭავჭავაძის „კავკასია", გ. ორბელიანის „სადღეგრძელო", ნ. ბარათაშვილის „ფიქრი მტკვრის პირას", „მერანი", „ბედი ქართლისა" და ა.შ. ს. დოდაშვილს

---

[1] არჩ. ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 155

[2] გ. ლობჟანიძე, ნარკვევები არჩ. ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივი და სამართლებრივი ნააზრევიდან, ქუთ. 1992 წ. გვ. 70-71

არასოდეს უღალატნია იმ მიმართულებისათვის, რაც მე-19 საუკუნის 30-იან წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარ ძარღვს წარმოადგენდა დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა იცვლება და ეს გასაკვირიც არ არის იმდროინდელ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო. 1832 წლის შეთქმულთა უმრავლესობის პოლიტიკურ აზროვნებაზე დიდი გავლენა იქონია რუსეთში 1825 წელს დეკაბრისტთა გამოსვლამ და მათმა პროგრამამ. ს. დოდაშვილიც თავიდან აბსოლუტური მონარქიიდან კონსტიტუციურ მონარქიამდე, ხოლო შემდეგ მონარქიზმიდან „რესპუბლიკური ნაირსახეობის" სახელმწიფო მმართველობის იდეამდე მიდის, თუმცა იგი საბოლოოდ ამ უკანასკნელის საქართველოში დამკვიდრების პრინციპულ პოზიციებზე არ დგას. მას დასაშვებად მიაჩნია მონარქიულ და რესპუბლიკურ ფორმათა თავისებური შერწყმით წარმოშობილი სახელმწიფოებრივი მმართველობის შერეული ფორმის დანერგვა. თუმცა თვითონ ს. დოდაშვილსაც არ ჰქონდა გამოკვეთილი ამ შერეული ფორმის სიცხადე, მაგრამ მისი პოზიცია სიახლეს წარმოადგენდა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. საბოლოოდ იგი 1832 წლის შეთქმულთა შორის „რესპუბლიკელთა" ფრთის ლიდერად გვევლინება.

ჩვენი აზრით, გარკვეულ გადასინჯვას თხოულობს ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულება სოლომონ დოდაშვილის „რესპუბლიკანიზმის" შესახებ. ჩვენამდე საკითხის ასეთი დაყენება გვხვდება ქართული საზოგადოებრივი აზროვნების რიგ მკვლევარებთან—მიხეილ გაფრინდაშვილთან, რევაზ გრძელიძესთან, ელბერდ ბატიაშვილთან. მათ სავსებით სამართლიანად უარყვეს სოლომონ დოდაშვილის მსოფლმხედველობის რესპუბლიკური მიმართულება შემდეგი არგუმენტაციით: მისი რესპუბლიკანიზმი, როგორც წესი, ემყარება 1832 წლის შეთქმულების შესახებ გიორგი გოზალიშვილის მიერ მოძიებულ ერთ დოკუმენტს, რომელიც ეხება 1829 წელს საქართველოში ოქროპირ ბატონიშვილის მიერ წამოყენებულ პოლიტიკურ მოთხოვნას: შეთქმულების წარმატების შემთხვევაში, ოქროპირ ბატონიშვილს მიაჩნდა, რომ საქართველოში მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლების ნაცვლად უნდა დამყარებულიყო „ერთგვარი რესპუბლიკა". მაშასადამე, ცხადია, რომ „ერთგვარი რესპუბლიკის" იდეა ეკუთვნის ოქროპირ ბატონიშვილს და აქ სოლომონ დოდაშვილის მსოფლხვდელობა არაფერ შუაშია. მეორეც, არავინ დაინტერესდა, თუ რას ნიშნავს კონკრეტულად თვითონ ეს დეფინიციაც—„ერთგვარი რესპუბლიკა". თ. კუკა-

ვა, მ. აბზიანიძე, ს. ხუციშვილი და სხვები რატომღაც მასში რესპუბლიკურ წყობილებას ხედავენ, რაც ძირშივე მცდარია შემდეგ გარემოებათა გამო:

1. 1832 წლის შეთქმულების წინა პერიოდში რესპუბლიკური სახელმწიფო წყობილება ფაქტიურად არ არსებობდა არათუ ახლომახლო რეგიონებში, არამედ მთელ ევროპაშიც. იყო მხოლოდ კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფოები. ამის კლასიკურ ქვეყნად მიაჩნდათ და დღესაც მიაჩნიათ ინგლისი, რომლის დიდი თაყვანისმცემლები იყვნენ ოქროპირ ბატონიშვილი და სოლომონ დოდაშვილიც. მაგრამ მაშინ ცნება—„კონსტიტუციური მონარქია" არ არსებობდა და ამიტომ წარმოიშვა ეს თავისებურად სიმბოლური სახელწოდება—„ერთგვარი რესპუბლიკა", რომელიც სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა წარმომადგენლობითი მმართველობით მეფის ხელისუფლების შეზღუდვას და კონსტიტუციის საფუძველზე ქვეყნის მართვას.

ისე რომ, ო. ბატონიშვილმა და ს. დოდაშვილმა 1832 წლის შეთქმულების პოლიტიკურ პროგრამად საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფო ფორმირება წამოაყენეს.

2. ეს საკუთარი ლოგიკურია იმიტომაც, რომ ეს იდეა, როგორც პოლიტიკური პროგრამა, მანამდეც არსებობდა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში. ჯერ კიდევ „ოქროვანი ხანის" საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც ცნობილია, სცადეს პარლამენტის მსგავსი დაწესებულებით მეფის ხელისუფლების შეზღუდვა. ცნობილია ისიც, თუ რა მაღალ შეფასებას აძლევდა ივ. ჯავახიშვილი ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლას: „ამგვარად ცხადია, რომ საქართველოში პარლამენტის მსგავსი დაწესებულება უნდა დაარსებულიყო... მეფის უფლება საქართველოში სრულებით უნდა შეზღუდულიყო. მას მხოლოდ აღმასრულებელი უფლება რჩებოდა. საქართველოში ბუნებრივი სახელმწიფოებრივი განვითარება გარეშე ძალას რომ არ შეეფერხებინა, საუკუნეთა განმავლობაშიც თანდათან შეიძლება შეცვლილიყო".[1]

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგაც დადგა საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის წეს-წყობილების დამკვიდრების საკითხი. მისი მქადაგებლები იყვნენ იოანე ორბელიანი, ალექსანდრე ამილახვარი, სოლომონ ლეონიძე, დუცალ ბარათაშვილი, როსტომ ბეგთაბეგიშვილი და სხვები. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, „ქართველ რესპუბლიკელთა" ეს ჯგუფი შემდეგში რეპრესირებული იქნა რუსეთის ხელისუფლების მიერ.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. II, თბ. 1948 წ., გვ. 251

ზ. ჭიჭინაძე ასე გადმოსცემს ამ პროცესს მისი უშუალო თვითმხილველების მოგონებათა საფუძველზე:

„მეფე ერეკლეს სიკვდილის შემდეგ საქართველოს მართვა-გამგეობა სასტიკათ აირია, ყველა თავისკენ იწევდა, ანუ, თავისი მომხრის გასამეფებლად და ამას რა შედეგი მოჰყვებოდა, ამაზე კი არავინ ფიქრობდა. გამოჩნდნენ ისეთი პირნიც, რომელნიც რესპუბლიკური წესების დამყარებას ღაღადებდნენ. ესენი იყვნენ შემდეგნი პირნი: სოლომონ ლეონიძე, კაცი გონიერი, დუცალ ბარათაშვილი, ცნობილი პირი, როსტომ ბეგთაბეგიშვილი, თავისი დროის გონიერი კაცი, ელიზბარ თუმანიშვილი, კაცი ცნობილი, პატრი ნიკოლა, იყო ერეკლე მეფის მრჩეველი".[1]

ცნობილია, რომ ივ. ჯავახიშვილიც ცნობდა „რესპუბლიკური წყობილების" ფაქტს ძველ საქართველოში. ამის მაგალითად ითვლება პირველად საზღვარგარეთის ქართულ მონასტრებში წინამძღოლთა არჩევა გიორგი ათონელი—მთაწმინდელის მიერ დამკვიდრებული „წილნაყრობის" პრინციპით. სწორედ ეს განაპირობებდა „ერთნებაობითა და თანადგომით" ქვეყნის მართვას, რაც „ოქროვანი ხანის საქართველოს" სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის უმთავრესი პრინციპი გახდა. ივანე ჯავახიშვილსაც და სხვა ქართველ მოღვაწეებსაც, სრულიად სამართლიანად, „რესპუბლიკური წეს-წყობა" გაიგივებული აქვთ არჩევნებთან და წარმომადგენლობით მმართველობასთან, რაც თავისთავად და ორგანულად თავსდება დღეს დამკვიდრებულ კონსტიტუციური მონარქიის იდეასთან. ასე ესმოდათ სწორედ „ერთგვარი რესპუბლიკის" იდეა ო. ბატონიშვილსა და ს. დოდაშვილსაც.

ს. დოდაშვილს დიდი სიმპათია ჰქონდა ბაგრატიონების სამეფო გვარისადმიც. საკმარისია გავიხსენოთ მისი არაერთი და ორი წერილი ერეკლე II შთამომავლებისადმი. მაგალითად, 1827 წლისა დავით ბაგრატიონისადმი (თუმცა ეს ბარათი შედარებით ადრეა დაწერილი და იმას არ ნიშნავს, თითქოს ს. დოდაშვილი საქართველოში მონარქიული წყობილების აღდგენის მომხრედ დარჩენილიყოს):

„უკეთილშობილესი სისხლი ეგე შენი აღევლინების ღირსებისა ხარისხად... მიხედე ერთმოსახელესა შენსა დავითს (იგულისხმება დავით IV აღმაშენებელი), რომელი უწინარეს ჩვენსა იყო კაცთა თანა და აწ არს ღვთისა თანა. აღასრულე მსგავსად მისსა სჯული და სარწმუნოება, რათა მოგეცეს მადლი და შეგემოსოს ძლევა მისი... ტირილი და

[1] ზ. ჭიჭინაძე, ქართველთ მეფის დროის ქართველი რესპუბლიკელები, თბ., 1917 წელი, გვ. 4

გლოვა შესცვალო სიხარულად და ბნელი ივერიისა—ნათლად.

მე და ყოველნი სხვანი ერნი ივერიისანი არიან ერთხმობით მღაღადებელნი და იქმნებიან მთხოვნელნი, რათა ძველათ მომდინარებული მეფობა თქვენი განახლდეს თქვენ მიერ და ჰყოს კურთხეულ უკუნისამდე".[1]

ამ წერილის ავტორი რომ არ შეიძლებოდა საქართველოში ბაგრატიონთა ხელისუფლების დამხობის მომხრე ყოფილიყო, ცხადზე ცხადი უნდა იყოს ჩვენთვის. ეს თუნდაც იმიტომ არ უნდა სურვებოდათ ს. დოდაშვილს და მაშინდელ სხვა ჩვენს მოღვაწეებს, რომ ეს ხელისუფლება ქართველმა ხალხმა კი არ დაამხო, არამედ რუსეთის ცარიზმმა, რომლის წინააღმდეგაც მოეწყო 1832 წლის შეთქმულებაც. აღსანიშნავია ამ შეთქმულების წინა პერიოდში უდიდესი ემოციური ძალით დაწერილი სოლომონ დოდაშვილის მოწოდება ქართველი ერისადმი, რომელიც ეროვნული. მოძრაობის ჩვენამდე მოღწეულ პირველ პოლიტიკურ პროკლამაციად შეიძლება ჩაითვალოს:

„ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისნი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა და თვისი ჩვეულება. ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებული სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი. და ჩვენი ხმა, სახელი და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყლული იყო და დამხობილ მათგან!

ხოლო, აწ ჰხედავთა დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა? ჰგრძნობთა შეიწროებასა ყოვლისა კაცისასა?!

რაჲსათვის არს ესე ესრეთ?

ნუ უკვე ჩვენ არღარა ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი?!

ნუ უკვე ჩვენ არ ძალგვიძს შენახვა საკუთარისა მამულისა ჩვენისა?!

ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესეოდენი, რაოდენიც ჩვენს მამა-პაპათა?!

მაშ, რაჲსათვის-ღა ცოცხალ ვართ?!".[2]

სოლომონ დოდაშვილის რესპუბლიკური იდეებიდან გამომდინარეობს ის, რომ მისთვის უცხო არ ყოფილა ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია. მართალია, თვითონ უშუალოდ არაფერს ამბობს ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო, აღ-

---

[1] ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961 წელი, გვ. 229-230

[2] იქვე., გვ. 228-229

მასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად დანაწილების გზებსა და პრინციპებზე, მაგრამ იგი კარგად იცნობს ანტიკური ეპოქის ცნობილი ფილოსოფოსების—პლატონის, არისტოტელეს, ციცერონის შრომებს. მისთვის უცნობი არ ყოფილა ჟან-ჟაკ რუსოს და ვოლტერის პოლიტიკური იდეები, სახალხო მმართველობის თეორია, ასევე რესპუბლიკური პოლიტიკური პროგრამა, აქედან გამომდინარე, არ შეიძლება არ ვივარაუდოთ, რომ სოლომონ დოდაშვილს გაცნობიერებული ჰქონდა სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებად დანაწილების თეორია, რაშიც სრულიად ვეთახმებით ვ. აბაშმაძეს და ჯ. ფუტკარაიას.

საქართველოს სრულ დამოუკიდებლობამდე მისვლის გზა ს. დოდაშვილს ხანგრძლივ პროცესად მიაჩნია, ამიტომაც თავდაპირველად ის იცავდა რუსეთის შემადგენლობაში ავტონომიის მოპოვების აზრს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, მხედველობაში არ ჰქონოდა საბოლოოდ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ს. დოდაშვილისეული ავტონომიის საკითხი გავრცელდა ი. ჭავჭავაძისა და საერთოდ, თერგდალეულთა მოთხოვნებში და შემდგომში განვითარდა არჩ. ჯორჯაძისა და სხვათა პოლიტიკურ მოძღვრებაში. მომავალი საქართველოს რესპუბლიკური წყობილება ს. დოდაშვილს ასე წარმოუდგენია: საქართველო რჩება რუსეთის შემადგენელ ნაწილად, რადგან მას ურუსეთოდ არსებობა არ შეუძლია, მაგრამ საქართველოში არ იქნება მონარქიული წყობილება, არ იქნება მეფე. თუ თავადაზნაურობას სურს რუსეთის სახელმწიფოს შევიწროებისაგან მდგომარეობის შემსუბუქება, მას შეუძლია რუსეთის ხელმწიფეს მიმართოს საჩივრით და სთხოვოს —რომელიმე ბატონიშვილი კი არ მეფობდეს, არამედ ის გახდეს რესპუბლიკურ საქართველოში მაღალი თანამდებობის პირი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სამოქალაქო მმართველობის განხორციელებაში. „სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით—წერს პროფ. ვ. აბაშმაძე,–ს. დოდაშვილის მიერ შედგენილი რესპუბლიკური წყობილების პროექტში რომელ ორგანოებს უნდა განეხორციელებინა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებები“,[1] მაგრამ ერთი კი ჩვენთვის ცხადია,—დოდაშვილს სურდა, ხალხის წრიდან არჩეულ თანამდებობის პირებს (განურჩევლად მათი წოდებრივი წარმომავლობისა) ემართათ რესპუბლიკური საქართველო.

საბოლოო ჯამში, ს. დოდაშვილი, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი წარმომადგენელი, საქართველოს

[1] ვ. აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, თბ. 1992 წ. გვ. 175

მომავალს, მისი ცხოვრების პოლიტიკური მოწყობის ორგანიზაციას ქართველი ხალხის ფართო მასებს უკავშირდება.

არანაკლებ საინტერესოა მისი სამართლებრივი შეხედულებანი. ს. დოდაშვილის სიტყვით, კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე სამართალს სარგებლობა მოჰქონდა ადამიანებისათვის. კანონებით რეგულირდებოდა ადამიანთა ურთიერთობანი საზოგადოებაში, კანონით მყარდებოდა გარკვეული წესრიგი, ამიტომ მათ ცოდნა ყველას მოვალეობა იყო. მას ძალიან აწუხებდა ის ფაქტი, რომ რუსულმა ადმინისტრაციამ საქართველოში შემოიტანა თავისი კანონები, რომლებიც თავისი შინაარსით უპირისპირდებოდნენ ქართულ სამართალს. ამას ემატებოდა მოსახლეობის მხრიდან რუსული ენის უცოდინარობა, რაც ამა თუ იმ პირს, კანონის დარღვევის შემთხვევაში, არ ათავისუფლებდა პასუხისმგებლობისაგან. ამიტომ ს. დოდაშვილმა მიზნად დაისახა და დიდი მონდომებით შეუდგა რუსულიდან ქართულ ენაზე კანონების თარგმნას.

„რუსული კანონების თარგმნა მარტო იმიტომ კი არ იყო აუცილებელი, ქართველ ხალხს სცოდნოდა მეფის რუსეთის კანონთა მოთხოვნები, ს. დოდაშვილი იმასაც ცდილობდა, ყველასათვის დაენახვებინა ის დიდი წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა, ერთი მხრივ, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქართულ სამართალს და მის ერთ-ერთ უმთავრეს იურიდიულ წყაროს, ეროვნულ ზნე-ჩვეულებებსა და მეორე მხრივ, მეფის თვითმპყრობელობის კანონმდებლობას შორის“.[1]

ვითარებას კიდევ უფრო მძიმესა და რთულს ხდიდა ის გარემოება, რომ ჩინოვნიკურ აპარატს ეძნელებოდა ქართული კანონმდებლობით და ტრადიციებით აღზრდილ ხალხთან ურთიერთობა და რუსული კანონმდებლობით წესრიგის დამყარება.

კანონმდებლობის თარგმნის პარალელურად ს. დოდაშვილი თავს უყრიდა ზნე-ჩვეულებებსა და ადათებს, ერთმანეთს უდარებდა რუსული და ქართული სამართლის ნორმებს, აანალიზებდა მათ და ხედავდა მათ შორის იმ დიდ უფსკრულს, რომელსაც არა მარტო ტერიტორიული, არამედ ისტორიული დაშორიშორება ქმნიდა ქართულ და რუსულ კანონებს შორის. ს. დოდაშვილს თავისი დამოკიდებულება ამ მომენტისადმი არ დაუმალავს თავის ჩვენებაშიც, რომელიც ჩამოართვა გამოძიებამ შეთქმულებასთან დაკავშირებით. მან ბრალი დასდო რუსულ ჩინოვნიკურ აპარატს არაკომპეტენტურობაში, მექრთამეობაში, უსა-

[1] ვ. აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, თბ. 1911 წ. გვ. 177

მართლობაში და ა.შ. მისი აზრით, ოფიციალურ სახელმწიფო დაწესებულებაში საქმეებს უხარისხოდ და ნელა არჩევენ, არ უყურებენ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ადათებს, ზნე-ჩვეულებებს, არასწორად განმარტავენ კანონებს და აქედან გამომდინარე, საქმეებიც უსამართლოდ წყდება, ისიც მხოლოდ და მხოლოდ ღერბიან ქაღალდზე, რომლის მოპოვება არც თუ ისე იოლი საქმეა. ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა შეიძლება სიტყვიერად, მაგრამ ხალხს აიძულებენ ყველაფერზე სასამართლოს მიმართონ, სადაც საქმის განხილვა უსაშველოდ ჭიანურდება. მომჩივანთაგან, როგორც მართალი, ისე მტყუანი მხარე ხარჯავს გაცილებით მეტს, ვიდრე საქმე ღირს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არავინ მოისმენს და გაარჩევს. პატიოსანი და და ყველასაგან პატივცემული კაცი ხშირად ისჯება, თუ უნებლიედ მოუხდა დანაშაულის ჩადენა. ეს კი ძალიან ხშირად ხდება გულუბრყვილობით, ახლად შემოტანილი კანონების უცოდინარობით და ქართველი კაცის ბუნებით, რომელსაც უყვარს თავისუფალი ლაპარაკი, თუმცა ამით არავისთვის ზიანის მიყენება არ სურს, მაგრამ კანონით ეს აკრძალულია და ითვლება დანაშაულადაც, რასაც სასჯელი მოსდევს და ა.შ.

ს. დოდაშვილის დიდ მამულიშვილობაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ იგი აქტიურად იცავდა ქართულ კანონმდებლობას, ადათებსა და ზნე-ჩვეულებებს გაყალბებისაგან, ყოველივე ამას აკეთებდა რუსულ კანონმდებლობასთან მიმართებაში, რაც არ იყო ადვილი. ეს მაშინ, როცა რუსული კანონმდებლობით, გარკვეულ თემებზე საუბარიც კი აკრძალული იყო. მან აქტიურად გაილაშქრა 1832 წელს გაზეთ „ტიფლისსკიე ვედომოსტში“ გამოქვეყნებულ გრ. გორდეევის წერილის წინააღმდეგ, რომელიც ეხებოდა მეფეთა დამარხვის წესებს („უკანასკნელ ქართველ მეფეთა დამარხვის წესები“). „ ს. დოდაშვილის მიერ ქართული კულტურის გამყალბებლებისაგან დაცვამ ხელი შეუწყო ქართველთა შორის პატრიოტიზმისა და ეროვნული თვითმყოფობის ამაღლებას“.[1]

ს. დოდაშვილი დაინტერესებული იყო ქართული ჩვეულებითი სამართლის ისტორიის შესწავლით. მართალია, მას სამართლებრივ საკითხებზე სპეციალური ნაშრომი არ დაუწერია, მაგრამ მისი ლიტერატურული ნაწარმოებები, ეთნოგრაფიული მასალები, პირადი ბარათები გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს მის სამართლებრივ შეხედულებებზე. იგი ეხება სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო, საოჯახო და საქორწინო სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ ნორმებს.

---

[1] ს. დოდაშვილი, საიუბილეო კრებული, თბ. 1986 წ. გვ. 109

ამ მხრივ აღსანიშნავია ლიტერატურული ნაწარმოებები, საღაც ფაქტობრივად განიხილავს პოზიტიური (ფორმალური) სამართლის ნორმათა გამოყენება-შეფასების საკითხს.

მხატვრული ნაწარმოებების ფორმით გადმოცემული სამართლებრივი ურთიერთობანი მეტყველებს ს. დოდაშვილის, როგორც სამართალმცოდნის, მაღალ დონეზე. „ავტორს გამოყენებული და დამუშავებული აქვს ქართული იურიდიული ტერმინები და ცნებები (გარდახდომა, ბრალეულობა, ჭეშმარიტების ცხადყოფა, გამამართლებელი გარემოებანი კანონისა და საზოგადოების წინაშე, განჩინებულყოფა, ნებით გარდამხდომელი, წინააღმდეგობა ფორმალურ, პოზიტიურ სამართალსა და ჯანსაღ საზოგადოებრივ აზრს შორის და ა.შ.), რომელთაგან ბევრი ორიგინალურია".

ს. დოდაშვილს ყურადღება გამახვილებული აქვს სასამართლო საქმიანობასა და მოსამართლის უფლება-მოვალეობებზე. მას მიაჩნია, როცა მოსამართლე საქმეს განიხილავს და პიროვნებას განაჩენი უნდა გამოუტანოს, მან ყველა გარემოება უნდა გაითვალისწინოს, ანგარიში გაუწიოს სამართალში მიცემულის წარსულსა და მის ირგვლივ შექმნილ საზოგადოებრივ აზრს, რაც, სამწუხაროდ, მაშინდელ სასამართლო პრაქტიკაში არ ხდებოდა.

პროფ. ვ. აბაშმაძის აზრით, „ს. დოდაშვილმა მხატვრულ ნაწარმოებში (მხედველობაშია „ელენა", გ.ლ.) დასვა სახელმწიფოს არსებობის ყველა ეპოქის სამართლის ფილოსოფიის ურთულესი საკითხი, კერძოდ, კანონის მოთხოვნებსა და საზოგადოებრივ აზრს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს სამართლის ნორმის შემფარდებელი მოსამართლე". ს. დოდაშვილის უდიდესი ჰუმანიზმი გამოსჭვივის მისეულ სამართლის ფილოსოფიაში. საკითხისადმი ასეთი მიდგომა იშვიათობას წარმოადგენდა. იგი მოსამართლისაგან მოითხოვს უმკაცრესი იყოს იმათ მიმართ, ვინც ავაზაკია, ქურდია, ვინც განზრახ ჩაიდენს დანაშაულს, საზოგადოებას ანგარიშს არ უწევს და უფლის შიში არ აქვს.

ს. დოდაშვილი მომხრეა ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე დაფუძნებული ოჯახისა. მისთვის მთავარი არ არის სოციალური მდგომარეობა. კარგად ესმის, რომ ამ სფეროში ადათობრივ წეს-ჩვეულებათა დაძლევა ურთულესი პრობლემაა, მაგრამ ხედავს რა პიროვნული ინტერესების გაუთვალისწინებლად მშობელთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, რაც საფუძვლად ედება ქორწინების უმრავლეს შემთხვევაში ტრაგედიებით დამთავრებას, თავის ნაწარმოებებში ასეთ ქორწინებას პროტესტს უცხადებს და ცდილობს ამ სფეროში რადიკალური

ცვლილებების შეტანას, მის ამ მცდელობას უკვალოდ არ ჩაუვლია. შემდგომი პერიოდის საქორწინო-საოჯახო სამართალმა ბევრი რამ გაითვალისწინა მეწყვილეთა ინტერესების სასარგებლოდ.

ამრიგად, „ს. დოდაშვილი—წერს არჩ. ჯორჯაძე—პირველი ქართველი ინტელიგენტი, რომელმაც უმაღლესი განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო... მამამთავარია ინტელიგენტური აღფრთოვანებისა და უანგარობისა“.[1] ჭეშმარიტად, ის ინტელიგენტი იყო, რომელიც ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების ჩამოყალიბების სათავეებთან იდგა და დიდი სამსახური გაუწია შემდგომი პერიოდის პოლიტიკური აზროვნების განვითარების საქმეს. თავისი პრაქტიკული საქმიანობით თუ თეორიული მემკვიდრეობით სწორი მიმართულება მისცა მე-19 საუკუნის ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. სოლომონ დოდაშვილის უდაო დამსახურებაა, რომ მან ქართული პოლიტიკური მსოფლმხედველობა მჭიდროდ დაუკავშირა ევროპის მოწინავე ქვეყნების განმანათლებელთა იდეებს, რითაც მყარი ნიადაგი მოუმზადა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებას, კერძოდ—თერგდალეულთა შემდგომ მოღვაწეობას.

---

[1] არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი მეორე, გვ. 152

ვახტანგ ორბელიანი
(1812–1890)

ვახტანგ ორბელიანი დაიბადა 1812 წელს ქ. თბილისში ვახტანგ ორბელიანის ოჯახში. მისი დედაა თეკლე ბატონიშვილი—მეფე ერეკლეს და დარეჯან დედოფლის უმცროსი ქალიშვილი (ვ. ორბელიანი იყო ტყუპისცალი დასთან, რომელიც დაბადებისათანავე გარდაიცვალა).[1]

თეკლე ბატონიშვილის შესახებ ზ. ჭიჭინაძე წერდა: „ბატონის ქალი სამეფო სახლში იყო აღზრდილი, თავის დედის დარეჯან დედოფლის გავლენის ქვეშ. სწავლა ისე ჰქონდა მიღებული, როგორც იმ დროს საქართველოს ქალებს ასწავლიდნენ საქართველოში და სწვრთნიდნენ. მან იცოდა ქართული წერა-კითხვა, მშვენივრად ლაპარაკი, მწიგნობრობა და სუყველა ის კრძალული და სათნოებითი მხარეები, რასაც მის დროს ასწავლიდნენ ქართველ ქალებს. მწიგნობრობის მოყვარეც იყო და ხშირად ლექსებსაც სწერდა".[2]

წყაროებიდან ცნობილია, რომ ერეკლე მეფეს გამორჩეულად უყვარდა თავისი ქალიშვილი მისი დიდი სიკეთისა და გამჭრიახობის გამო. იგი თურმე ხშირად ამბობდა: „ჩემს ვაჟიშვილებს ჩემი თეკლეს სიკეთე რომ სჭირდეთ, ბედნიერი ვიქნებოდი". დედისაგან გადმოეცა ვახტანგ ორბელიანს „... მამულის უზომო სიყვარული და ზედმიწევნით ცოდნა ქართულისა", ამასთან, დიდი სიბრძნეც და „თვალსაწიერის სიღრმეც", „დედამ გამოუნასკვა ჩვენს მგოსანს იგი სიყვარული სამშობლოსი, იგი სიყვარული და ნაღველი წარსულ დროთა მიმართ, რომელიც დედა-ძარღვად შეექმნა ვახტანგ ორბელიანის პოეზიას"—აღნიშნავს ილია ჭავჭავაძე.

დედის წყალობით ვ. ორბელიანმა წერა-კითხვა სკოლაში შესვლამდე ისწავლა. თავიდან იგი მიუბარებიათ კალოუბნის დაწყებით სკოლაში, სადაც სხვადასხვა დროს სწავლობდნენ გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი, შემდეგ კი (1820-1827) თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. იგი თავიდანვე ძალიან ბევრს მუშაობდა თვითგანვითა-

---

[1] ზ. ჭიჭინაძე, ვახტანგ ორბელიანი, 1892 წ. გვ. 12-15

[2] ი. ჭავჭავაძე, მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ორბელიანისა, თხზ. ტ. V, გვ. 562-573.

რებისათვის. განსაკუთრებით პეტერბურგის პაჟთა კორპუსში სწავლის პერიოდში, კითხულობდა და ეცნობოდა რუსულ და ევროპულ ლიტერატურას. ამაში მას ხელს უწყობდა რუსული და ფრანგული ენების ცოდნა. 1829 წელს იგი თბილისში ბრუნდება და აქტიურად ებმება 1832 წლის შეთქმულებაში, რისთვისაც სხვებთან ერთად დააპატიმრეს და როგორც მესამე კატეგორიის დამნაშაკე, 1833 წელს გადაასახლეს კალუგაში. გადასახლების პერიოდში მუშაობდა კალუგის სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიაში დაბალი რანგის მოხელედ. 1838 წლიდან, გადასახლების შემდეგ, მსახურობდა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში პრაპორშიკად, რადგანაც სამშობლოში დაბრუნების ნება არ მისცეს.

1842 წელს ვ. ორბელიანმა ცოლად შეირთო „სუდა ი რასპრავის" ექსპედიციის უფროსის ვასილ ივანეს ძე ილინსკის ქალი—მარიამი, რომელთანაც შეეძინა ორი შვილი. ვაჟი ნიკოლოზი დაიბადა 1845 წელს. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, საიდანაც გარიცხეს არეულობაში მონაწილეობისათვის, შემდეგ წარმატებით დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და დანიშნეს ქუთაისის პროკურორის თანაშემწედ. ქალიშვილი მარიამი (მაშო) დაიბადა 1852 წელს, მისთხოვდა ალექსანდრე ივანეს ძე ორბელიანს.

ვ. ორბელიანი მონაწილეობდა არაერთ სამხედრო ლაშქრობაში, სადაც თავი გამოიჩინა როგორც სამხედრო საქმის კარგმა მცოდნემ. 1885 წელს ღებულობს პოლკოვნიკის წოდებას და ინიშნება ყაბარდოს პოლკის უფროსად. იმდენად იყო მონატრებული მშობლიურ მიწას, რომ აღტაცებული წერს: „ცა გაიხსნაო, ისე მესახებოდა სამშობლო ქვეყნისაკენ დაბრუნება".[1] 1863 წლიდან იგი თერგის მხარის უფროსის თანამდებობაზეა და ღებულობს გენერალ-მაიორის ჩინს, ბოლოს კი მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობს.

ვ. ორბელიანი თავისი პოეზიით რომანტიკოსთა სკოლის წარმომადგენელია. „ვ. ორბელიანი ნამდვილი ლირიკოსია რომანტიული სკოლისა, ეგრეთ წოდებულ „რომანტიზმს" იგი ჰყავს ჩვენში თითქმის ერთადერთი წარმომადგენელი. ერთადერთს ვამბობთ იმიტომ, რომ მისი პოეზია ამ მხრით თითქმის შეურეველია და აუჭრელებელი".[2]

ჯერ კიდევ ბატონყმობის პირობებში „ვ. ორბელიანი თავის ყმებში ირიცხებოდა ერთ უსუფთავეს მებატონედ. ერთ ყმასაც არ ახსოვს ამისგან წყენა და დაჩაგვრა. ამ პირს ერთი ყმის ოჯახიც კი არ

---

[1] ზ. ჭიჭინაძე, დას. ნაშ. გვ. 16.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. V, გვ. 572

დაუწიოკებია, ერთი გოგო ან ბიჭიც კი არ გაუყიდნია, ისე, როგორც სხვა მისი დროის მებატონენი შვებოდნენ".[1]

ვ. ორბელიანის შემოქმედებაში აღსანიშნავია ლექსები „გამოსალმება", „წიგნი მიწერილი რუსეთიდამ", „მოგონება", „ძველი დმანისი", „ორი სიზმარი", „არის ადგილი", „ჯვარი ვაზისა", „ორი შენობა", პოემა „განკითხვა", კაცი ის არის", „გალია", „სამშობლო ქვეყნის პასუხი", „ხმა სამშობლო ქვეყნისა", „პოეტს" და სხვა.

მისი შემოქმედების უმთავრესი თემები იყო სამშობლო, ბუნება, სიყვარული, მომავლის იმედი და რწმენა. მიუხედავად თავისი პოეზიის ერთგვარი პესიმისტურობისა, იგი აფხიზლებდა საზოგადოებას, აღძრავდა გარდასულ დროთა პათოსს, უღვივებდა სამშობლოს სიყვარულს. მის პოეზიას ახასიათებდა მკვეთრად გამოხატული მორალისტური ტენდენცია, რომელიც რელიგიურ მოტივებს იყო შერწყმული.[2]

საგლეხო რეფორმის მოშზადების და განხორციელების პროცესს დ. ყიფიანთან ერთად თვალყურს ადევნებდა ვ. ორბელიანიც, რომელიც ძალზე უკმაყოფილო იყო და უსამართლობად მიაჩნდა გლეხთა უმიწაწყლოდ „განთავისუფლება". მან მოუწოდა ქართველ მემამულეთ: „ნუ ვიქნებით უმადურნი. ეს ერი (იგულისხმება გლეხობა, გ. ლ) ჩვენ ყმებად გვყავდნენ და გვემსახურებოდნენ ერთგულად, ჩვენც გვემსახურებოდნენ და ჩვენს ქვეყანასაც. მათი საუკეთესო ნაწილი ყოველთვის ბრძოლის ველზედ წვებოდა... ამ ერს ჩვენი სამსახურებისაგან ათავისუფლებენ და ათავისუფლებენ ცარიელს... მოდით და ჩვენდა სასახელოდ ამ ჩვენ უმცროს ძმებს თითო სახლის და ეზოს მიწები დავუთმოთ და ვაჩუქოთ ჩვენს სამახსოვროდ".[3]

ამ მოთხოვნას აჟიოტაჟი გამოუწვევია თავადაზნაურობაში და ლამის მტრად გადაეკიდნენ ვ. ორბელიანს. იგი გულისტკივილით იხსენებს და საყვედურობს თანამემამულეთ, რომ მათ მიწების განიავება, ჩალის ფასად გაყიდვა დაიწყეს, ბუნებრივია, გლეხებს მათი შესყიდვის უნარი არ გააჩნდათ უსახსრობის გამო და ქართული მიწები ხელში უვარდებოდა არაქართული წარმოშობის ბობოლა ვაჭრებს. „ამგვარად კიღაც წურბელას 50 მ. მეოხებით ჩაუგდია ისეთი მამული ხელში, რომელიც ჩვენ ძველ ქველ დიდებულ მამა-პაპათა სისხლით მორწყული ყოფილა, აქ ფეხი შემოუდგამს და გამაგრებულა".[4] იგი გულისტკივილით აღნიშნავდა: „რაკი ჩვენ ველარ ვიჭერთ თავსა და ჩვენი მამუ-

---

[1] ზ. ჭიჭინაძე, დას. ნაშ. გვ. 36.
[2] ქართული მწერლობა, 1987 წ. გვ. 377.
[3] ზ. ჭიჭინაძე, იქვე, გვ. 24.
[4] იქვე, გვ. 23-24.

ლები სხვების ხელში გადადის, ის მაინც მოვახერხოთ, რომ ჩვენი მამული პირდაპირ ჩვენს გლეხკაცების ხელში გადავიდეს, რომელნიც რამოდენიმე საუკუნე ჩვენს ყმებად იყვნენ და მათ ეს მიწა-მამული არა აქვთ. ჩვენ უნდა ვეცადოთ და ისინი ეკონომიურად წამოვაყენოთ ფეხზე. იმედია, რომ ეგენი თუ წინ წავლენ და დაწინაურდებიან, მაშინ ჩვენ ქართველობას დიდს დახმარებას მისცემენ... ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა ქართველები ვართ, ერთი სისხლისა და ერთი ოჯახის შვილები და ამიტომ...დახმარებაც გვმართებს ერთმანეთის".[1]

ქართულ ისტორიოგრაფიაში ვ. ორბელიანი ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი და დაფასებული. ეს განსაკუთრებით ითქმის მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობის თაობაზე. ამიტომ დავისახეთ მიზნად ნაწილობრივ მაინც შევავსოთ ეს ხარვეზი.

ვ. ორბელიანის მოღვაწეობასა და შემოქმედებაზე თავის დროზე ნაშრომები გამოაქვეყნეს ი. ჭავჭავაძემ, ზ. ჭიჭინაძემ, პ. უმიკაშვილმა, კ. აბაშიძემ, მ. ზანდუკელმა, ა. მახარაძემ, გ. ელენტმა, ნ. ალანიამ, მ. ბერძნიშვილმა და სხვებმა. ეს მის ერისკაცობასა და დატოვებული მემკვიდრეობის ღირებულებაზე მიგვანიშნებს.

პირველი, ვინც ხაზი გაუსვა ვ. ორბელიანის დამსახურებას ამ მიმართებით, ილია ჭავჭავაძე იყო. 1892 წელს მან გამოაქვეყნა ვ. ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბიოგრაფიული ნარკვევი. იშვიათად ღირსებია ქართველ მოღვაწეთაგან ვინმეს ის, რომ მისი ბიოგრაფი თვითონ ილია ყოფილიყოს. ეს ვ. ორბელიანმა დაიმსახურა იმით, რომ იგი იყო არა მარტო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, არამედ მისი ერთ-ერთი იდეოლოგიც.

„თ. ვახტანგ ორბელიანს, ვითარცა მამულის სიყვარულის მადლით მოსილს პოეტს, დიდი წილი უდევს, რომ ამ გრძნობამ ჩვენში ფეხი მოიკიდა და ფრთა აისხა. დედა მის წარსულის სიყვარულისა—მამულის-შვილური სიყვარულია და პირველი გაზრდილია მეორეს ძუძუთი. იგი წარსული უყვარს, როგორც ფუძე ჩვენის მომავლისათვის: „დიდ წარსულს დიდი მომავალიც ექმნება"—ამბობდა იგი.[2]

ვახტანგ ორბელიანის პოლიტიკური მსოფლმხედველობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში. მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი ზეგავლენა ჰქონდა სოლომონ დოდაშვილს, რომელმაც „ბევრ ყმაწვილს ჩაუნერგა გულში ქართველობის სიყვარული,

[1] ზ. ჭიჭინაძე, დას. ნაშ. გვ. 27

[2] ი. ჭავჭავაძე თხზ. ტ. V, გვ. 572

ვინც კი 1835 წ. გამოვიდნენ სასწავლებლიდან და თავი ისახელეს, ყველა ესენი იმ პირის გაწვრთნილნი და აღზრდილნი არიან: დ. ყიფიანი, ნ. ბარათაშვილი, ვ. ორბელიანი და სხვანი".[1]

როგორც კი საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII გარდაიცვალა, აშკარა გახდა რუსეთის მიზანი—საბოლოოდ გაეუქმებინა და დაემხო ქართული სახელმწიფოებრიობა, დაეპყრო საქართველო და იგი რუსეთის ჩვეულებრივ გუბერნიად გადაექცია. ამ მიზნით მან მზაკვრულ ხერხს მიმართა: ერთმანეთს დაუპირისპირა სამეფო ტახტის მაძიებელი სხვადასხვა წარმომადგენლები, რითაც მათ შორის შეურიგებელი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამართა. ამ დროს თბილისში, ერეკლე II-ის კარზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა რომის პაპის კათოლიკე მისიონერი პატრი ნიკოლა, რომელიც ხედავდა რა რუსეთის ამ მზაკვრულ იმპერიულ მიზანსწრაფვას, ურჩევდა სოლომონ ლიონიძეს, პაპუნა ორბელიანს და სხვა ქართველ პატრიოტებს, ხელში აეღო ძალაუფლება და საქართველოში დაეარსებინათ კონსტიტუციურ მონარქიაზე დაფუძნებული ინგლისის მსგავსი საპარლამენტო მმართველობა. რუსეთმა შეიტყო ქართველ პატრიოტთა ეს განზრახვა და ყველა ისინი დააპატიმრა.

ასეთი პროგრესული პოლიტიკური იდეების ზეგავლენით იზრდებოდა ვახტანგ ორბელიანი. ეს იყო უაღრესად ტრაგიკული ეპოქა საქართველოს ისტორიაში.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარს ჩვენს სინამდვილეში მხოლოდ დიმიტრი ყიფიანები არ შეუქმნია. იყვნენ როგორც სრულიად საწინააღმდეგო ადამიანები, ასევე ისეთი მოღვაწეები, რომლებსაც სხვაგვარად ესახებოდათ ქვეყნის მომავალი და მისდამი სამსახურის ხასიათი. ამ უკანასკნელთა გამოჩენა, პირველ ყოვლისა, განაპირობა მართვა-გამგეობის იმ ახალმა მიმართულებამ, რომელსაც 40-იან წლებიდან დასაბამი მისცა მეფისნაცვლის თანამდებობაზე მ. ვონორცოვის დანიშვნამ.

რა ნაყოფი გამოიღო, როგორც პოლიტიკური, ასევე კულტურული მიმართულებით მ. ვორონცოვის მართვა-გამგეობის კურსმა?

პირველ ყოვლისა, მ. ვორონცოვმა მიაღწია იმას, რისთვისაც იღვწოდა მეფის რუსეთი: დაამყარა მშვიდობა და ადგილობრივ მოსახლეობაში გააღვივა ერთგულების გრძნობა რუსეთისადმი. ამასთან ერთად, შესაძლებლობა მისცა ადგილობრივ მკვიდრთ, რომ თავიანთი ნიჭი გამოეჩინათ ეროვნული კულტურის განვითარების სამსახურში,

[1] ზ. ჭიჭინაძე, იქვე

რაც არავითარ საფრთხეს არ უქმნიდა რუსულ მართვა-გამგეობას. პირიქით, ყველგან და ყველაფერში აშკარად მჟღავნდებოდა ქართველი ხალხის უდიდესი მადლიერების გრძნობა.

რა სიკეთე მოუტანა მაინც საქართველოს და ქართველ ხალხს მ. ვორონცოვის პოლიტიკურმა კურსმა, რომლის გამო მაშინდელი ინტელიგენცია კმაყოფილებას გამოთქვამს?

პირველ ყოვლისა, ეს იყო ის მხარდაჭერა, რომელიც მან ქართული თეატრისა და ქართული სალიტერატურო ჟურნალ „ცისკრის" დასაარსებლად გამოიჩინა. ქართული თეატრი და ქართული ჟურნალი კი იყო ის აუცილებელი წინამძღვრები, რომელთა წყალობითაც შესაძლებელი გახდა ქართული ენის, ქართული მწერლობის და, საერთოდ, ქართული კულტურის განვითარება. მათი საშუალებით იქმნებოდა პირობები წმინდა ეროვნული მნიშვნელობის საკითხებზე დასაფიქრებლად, ეროვნული სახის შესანარჩუნებლად და ეროვნულ თავისუფლებაზე ზრუნვისათვის.

ქართულმა თეატრმა დიდი ბიძგი მისცა ქართული რეალისტური დრამატურგიის განვითარებას, ამ უკანასკნელმა კი მაყურებელსა და მკითხველს აშკარად დაანახა იმდროინდელი ქართული სოციალური ყოფის მანკიერება, წოდებრივი ურთიერთობების გამწვავება, ბატონყმური ინსტიტუტის დრომოჭმულობა, სასამართლოსა და სხვა ადმინისტრაციულ უწყებებში მექრთამეობისა და თვითნებობის დამკვიდრება, რაც მცირე მნიშვნელობის მოვლენა არ ყოფილა.

ქართულ თეატრს მხარში ამოუდგა ქართული ჟურნალი „ცისკარი",[1] რომელმაც გააცოცხლა ინტერესი ქართული მწერლობისადმი და დაიწყო პოლემიკა, რაც უაღრესად საყურადღებო მოვლენა გახდა საზოგადოებრივი აზრის შექმნისა და განვითარებისათვის.

მართალია, მ. ვორონცოვის პოლიტიკა არ ყოფილა მეფის რუსეთის ადმინისტრაციული აპარატის მიერ შემუშავებული მტკიცე პოლიტიკა. ხელისუფლება თავისი წარმომადგენლებისაგან კავკასიაში მშვიდობის დამყარებას მოითხოვდა, მაგრამ სათანადო გზებისა და მეთოდების გამონახვას თვით ანდობდათ. ამის გამო ბევრი რამ იყო დამოკიდებული პიროვნებაზე, ადმინისტრაციული მართვის ნიჭსა და გამოცდილებაზე. ამიტომაც ვერც ვორონცოვამდე და ვერც მის შემდეგ ვერ დამყარდა ურთიერთგაგება რუსულ მართვა-გამგეობასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. მ. ვორონცოვამდე უკვე ვითარდებოდა ქართველი ხალხის ის სულიერი განწყობილება, რომელიც მოსკოვისთანავე

[1] ე. ორბელიანის პირველი ლექსები სწორედ ჟურნალ „ცისკარში" იბეჭდებოდა.

ოსტატურად გამოიყენა ვორონცოვმა თავისი პოლიტიკური გეგმის განხორციელებისათვის და ამდენად ადვილად ასახსნელია ქართული თავადაზნაურული წრეების აღფრთოვანებაც, გამოწვეული მთავრობის უმაღლესი წარმომადგენლის მხრივ დროისა და მოთხოვნების შესაფერისი მოქმედებით.

ამრიგად, თითქმის ხორცშესხმული იყო ის მიზნები და სურვილები, რომლებიც, ერთი მხრივ, ქართველ ხალხს ჰქონდა, როცა რუსეთთან მტკიცე ურთიერთობის დამყარებას ცდილობდა, მეორე მხრივ, რომელიც მეფის რუსეთს უნდა ჰქონოდა, როცა ერთმორწმუნე ქვეყანას იერთებდა.

მ. ვორონცოვმა ალღო აუღო ქართველი ხალხის, მისი მოწინავე წარმომადგენლების ეროვნულ–კულტურულ შესაძლებლობებსა და სურვილებს. ამასთან, თავის მხრივ, ხელი შეუწყო მის გამოვლენას და პრაქტიკულ განხორციელებას, ვინაიდან ყოველივე ამას რუსეთის ინტერესებისათვის მოჰქონდა სარგებლობა, ქართველ ხალხში აძლიერებდა რუსეთისადმი პატივისცემისა და ერთგულების გრძნობას.[1] ასეთი განწყობა ნათლად იკვეთება ვახტანგ ორბელიანთან დამოკიდებულებაში, რომელიც პირადად იცნობდა მას და უდიდეს პატივს სცემდა განსწავლულობის გამო. ზ. ჭიჭინაძე იხსენებს, თ. ვორონცოვს ისე უყვარდა ვ. ორბელიანი, „თავისი ფეხით მიდიოდა ხოლმე იმ დროს ორბელიანთ გვარის ოჯახში“.[2]

ვახტანგ ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა, მისი მთავარი მრწამსი და სამომავლო იმედი არის „ოქროვანი ხანის“, „საქართველოს დიდების დღენის“ აღდგენისა და განახლების მიზანი და გზა. „ ამ გზაზედ ისე გადაუხვევლად ჩვენში არცერთს ერისკაცს არ უვლია, როგორც ვახტანგ ორბელიანს“. მას მტკიცედ სწამდა, რომ „დიდს წარსულს დიდი მომავალიც ექნება“. ეს არის ახალი საქართველოს და მისი ახალი „ოქროვანი ხანის“ დიდი რწმენით და ემოციური ძალით დამუხტული ფორმულა, პოლიტიკური დოგმა და პროგრამა, რომელიც ყველა თაობას გამოადგება სამომავლო გზის სანათად.

„დიდს წარსულს დიდი მომავალიც აქვს,“– აი, რა გასდევს წითელ ხაზად ვ. ორბელიანის მთელ პოლიტიკურ მსოფლმხედველობასა და პოეტურ შემოქმედებას. მისი ეს დიდი ოპტიმიზმი ნათლად გამოსჭვივის ისტორიულ პოემაში „იმედი.“ იგი არა მარტო ვ. ორბელიანის

---

[1] დაწ. იხ. გ. ლობჟანიძე, ნარკვევები არჩ. ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივი და სამართლებრივი ნააზრევიდან, ქუთ. 1992 წ. გვ.91–102

[2] ზ. ჭიჭინაძე, დას. ნაშ. გვ. 17

პოეზიის შედეგრი, არამედ მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობის პოეტური ასახვაცაა. ეროვნული დაცემისა და დაუძლურების ფონზე აქ დიდი იმედია გაცხადებული ისე, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემაში „ბედი ქართლისა“ და ილია ჭავჭავაძე „აჩრდილში“ ღვთიური ძალით და ნათელხილვით განუმტკიცებენ ხალხს და ქვეყანას იმედს „მზიანი დილის გამობრწყინებისა“ და „ძველი საქართველოდან ახალი საქართველოს აღმოშობისა,“ ვახტანგ ორბელიანიც საქართველოს მფარველი ანგელოზის პირით გვაიმედებს: „გვწამდესო, ღვაწლი მამა-პაპათ არ განჰქრებიან, გწამდეს, ეს შთენნი დიდებულად კვლავ აღსდგებიან და თქვენი ერი წამებული, კვლავ გამრავლდება, თქვენი სამშობლო დანგრეული კვლავ აღეცვადება!“

დიდმა ილიამ ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებას, კერძოდ კი პოემა „იმედს“ ქართული პოეზიის მარგალიტი უწოდა.[1]

უნდა აღინიშნოს ვახტანგ ორბელიანის, როგორც დიდი მოაზროვნისა და ერისკაცის, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „კიდევ ერთი დიდბუნოვნება“: პოლიტიკურ მსოფლმხედველობაშიც და პოეტურ შემოქმედებაშიც იგი ზნეობრივ და რელიგიურ სიწმინდეს და ამ საფუძველზე მთელი ქვეყნის ზნეობრივ განწმენდას მოითხოვდა. ეს მიაჩნდა მას ერთადერთ ჭეშმარიტ გზად, რადგან უზნეობა და უკეთურება არც კაცს და არც ქვეყანას ბედნიერებას არასოდეს მოუტანს. ბედნიერების წყარო და გზის გამნათებელი ის „წმინდა ლამპარია,“ რომელსაც ღმერთი თავის რჩეულ ხალხსა და კაცს უგზავნის დედამიწაზე. ეს მარად უნდა ახსოვდეს ქართველობას, რადგან „ ...თუ აქამდე ჯერეთ კიდევ არ დავკარგეთ ჩვენი გონება, ...იგი მადლია იმ ნათლისა წმინდის ლამპრისა!“

ამიტომ ეს ჩვენი უკანასკნელი დიდი სიმდიდრეც—გონებაც რომ არ დავკარგოთ და სულ მთლიანად და ერთიანად „არ გადავჯიშდეთ“, ღვთის გზას და მის მცნებას არასოდეს არ უნდა ვუღალატოთ. მთელი მისი იმედიც „ძველის დიდების აღდგენისა და ახალი ოქროვანის ხანის დადგომისა“ ამაში მდგომარეობდა. იგი თვითონაც დიდ პიროვნულ მაგალითს იძლეოდა ზნეობრივი სიწმინდისა და კეთილშობილებისა, მოყვასის შენდობისა და სიყვარულისა. ყველაფერს ამას კი იგი, საბოლოო ჯამში, მსოფლმხედველობრივ სახეს აძლევდა. მისი სახელმწიფოებრივ-ეროვნული იდეოლოგიაც, ერთი მხრივ, ძველი საქართველოს ისტორიულ მემკვიდრეობას, მეორე მხრივ კი—მართლმადიდებლობის რელიგიურ დოგმებს ეფუძნებოდა. იგი ხშირად მოუწოდებდა შემოქმედს „განეცოცხლებინა ერთიც და მეორეც ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში, რადგან

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. V, გვ. 570

„...დღევანდელს ქართველებს ძველი ქართული გული გამოცვლილი და გარდაცვლილი აქვთ“.[1]

ეს უფრო მეტად უკლავდა გულს პატრიოტ პოეტს, ვიდრე ქვეყნის სხვა უბედურებანი, რადგან, უპირველეს ყოვლისა, სწორედ „ამან დასცა და იავარქმნა საქართველო.“—„აქ დაბლა მე ვარ მოწამედ და იქ, მაღლა ცა, როგორ ამაღლდა საქართველო—როგორ დაეცა“. ქართველთა ახალი თაობების ამოცანას ვახტანგ ორბელიანი იმაში ხედავს, რომ თავისი მაღალზნეობრიობით და სამშობლო ქვეყნისადმი ერთგულებით გამოვისყიდოთ ის „ცოდვანი და შეცოდებანი“, რომლებმაც ქვეყანა ძირს დასცა და ამით კვლავ „ავამაღლოთ ჩვენი ქვეყანა“. მის „...გულსა და სულს ცეცხლი ედება, როს საქართველო დამხობილი მოაგონდება“, მისთვის საქართველოს გარეშე სიცოცხლეს ფასი არა აქვს.

ვახტანგ ორბელიანი თავისი პატრიოტიზმით XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელია. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის თვალსაზრისით იგი ყველაზე ახლოს დგას ილიას „წოდებათა შერიგების“ და არჩილ ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის“ თეორიასთან. ილიას მსგავსად, ისიც ყოველთვის იმას უსვამდა ხაზს, რომ საქართველო მხოლოდ მაშინ მიაღწევს თავის სანუკვარ მიზანს, როცა საზოგადოების ყველა შემადგენელი სოციალური ფენები ერთ ეროვნულ ძალად შეკავშირდებიან, ეს კი შესაძლებელი გახდება ისეთი ერთიანი ეროვნული იდეოლოგიის ფორმირების პირობებში, რომელიც ყველა ეროვნულ ძალას თავის გარშემო გააერთიანებს.

ვახტანგ ორბელიანი თავისი იდეებით და ეროვნულობით ძალიან ახლოს იდგა ილია ჭავჭავაძის და არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობასთან, ამიტომ მისი თეორიული მემკვიდრეობა თუ პრაქტიკული საქმიანობა არ უნდა დარჩეს მეისტორიეთა ყურადღების მიღმა. ჩვენთვის განსაკურებული მნიშვნელობა აქვს ვ. ორბელიანის სამართლებრივ და სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებს.

ზ. ჭიჭინაძე გადმოგვცემს ერთ მეტად საინტერესო ფაქტს მისი ვახტანგ ორბელიანთან ურთიერთობიდან: როდესაც მე მორიდებით შევახსენე მას, რომ მის იდეალში ძველ საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ არასწორად მიმაჩნია სოციალური დაპირისპირებისა და წინააღმდეგობების შეუფასებლობა, მან მეტად საინტერესო მოსაზრება წამოაყენა „ოქროს ხანის საქართველოს“ პატ-

---

[1] ზ. ჭიჭინაძე, დას. ნაშ. გვ. 6

რონ-ყმური წყობილების შესახებ: „ყმას ჰყავს პატრონი და არ ბატონი, ორნივ ერთნი არიან ყმა და პატრონი".[1]

პატრონ-ყმობა იძულებაზე კი არა, ნებაყოფლობით ურთიერთობაზე დამყარებული წყობილება იყო თავდაპირველად. მერე და მერე მოხდა პატრონ-ყმობის გაუკუღმართება ბატონყმობითო.

ეს მართლაც საინტერესო მოსაზრებაა. როგორც ცნობილია, ეს დებულება შემდეგ გაიზიარა და განავითარა ივ. ჯავახიშვილმა და მას სპეციალური თავიც უძღვნა „ქართული სამართლის ისტორიაში".

ვ. ორბელიანი თავისი წარმომავლობით არისტოკრატიის წრიდან იყო გამოსული, ამიტომ შეთქმულთა დიდ ნაწილთან ერთად იბრძოდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, რომლის მმართველობის ფორმა კონსტიტუციური მონარქიის პრინციპზე იქნებოდა აგებული.

მისი ნაწარმოებების ანალიზი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ განვსაზღვროთ ავტორის სამართლებრივი შეხედულებანი. ვ. ორბელიანი თვლის, რომ სარწმუნოება, ღვთის სამართალი არის ბუნებითი სამართალი. იგი წინა პლანზე წევს ადამიანთა შორის მეგობრობასა და სიყვარულს, უგულებელყოფს სოციალურ განსხვავებებს. ადამიანთა ურთიერთობა, ცხოვრება, რთული და გაძნელებულია სიყვარულის, ურთიერთისადმი პატივისცემის გარეშე—რომელ საზოგადოებრივ ფენასაც უნდა ეკუთვნოდეს ადამიანი. ბუნებითი სამართლის პრინციპით, სიძულვილი და მტრობა არ უნდა არსებობდნენ. ვ. ორბელიანი ხაზგასმით მიუთითებს, რომ, სამწუხაროდ, ბუნებითი სამართლის ნორმები დარღვეულია, სამართლიანობა იმ შემთხვევაში აღდგება, როცა საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდება და კანონები ბუნებითი სამართლის ნორმების შესაბამისნი გახდებიან.

---

[1] ზ. ჭიჭინაძე, დას. ნაშ. გვ. 21

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოლიტიკური შეხედულებანი

ცივილიზებული მსოფლიოს ერთერთმა უძველესმა ქართველმა ერმა თავისი არსებობის მანძილზე ბევრი ღირსეული მამულიშვილი აღზარდა და მნიშვნელოვანი ღირებულობები დააგროვა საზოგადოებრივი ყოფის ყველა სფეროში, მათ შორის—ლიტერატურაში.

ასეთ გამორჩეულთა რიცხვს მიეკუთვნება ნ. ბარათაშვილი, რომელმაც თავისი ხანმოკლე ცხოვრებითა და ლიტერატურული მემკვიდრეობით სრულიად ახალი ბრწყინვალება შემოიტანა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში.

„ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულისთქმას, ჩვენს ჭკუაგონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველი თანამოაზრედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა."—ასეთი შეფასება მისცა ნ. ბარათაშვილის პოეზიას ქართული მწერლობის თხუთმეტსაუკუნოვან ისტორიაში ილია ჭავჭავაძემ.

ნ. ბარათაშვილის პოლიტიკურ და მსოფლმხედველობრივ შეხედულებათა ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად განაპირობა მისმა წარმომავლობამ.

პოეტი დაიბადა ქ. თბილისში, იმ დროისათვის ცნობილი პიროვნების მელიტონ ბარათაშვილის ოჯახში. დედა ეფემია, ერეკლე მეორის შვილიშვილი, გრიგოლ ორბელიანის ღვიძლი და იყო. ბარათაშვილებისა და ორბელიანების შთამომავალმა შესანიშნავი ოჯახური აღზრდა მიიღო.

სასწავლებლად ჯერ კალოუბნის სკოლაში მიუბარებიათ, შემდეგ კი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ჩაურიცხავთ (1827-1835 წლები). მისი პედაგოგი იყო 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი თვალსაჩინო მონაწილე სოლომონ დოდაშვილი: „სოლომონ დოდაშვილის ბიოგრაფიის ერთ-ერთი ნათელი ფურცელია ის, რომ იგი მასწავლებლობდა თბილისის გიმნაზიაში. კერძოდ, იყო მასწავლებელი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილისა".[1]

ამ პერიოდთან არის დაკავშირებული ნიკოლოზ ბარათაშვილის აქტი-

[1] მ. გაფრინდაშვილი, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები, III, 1988 გვ. 30

ური მოღვაწეობის დასაწყისი. აპოლონ მახარაძის აზრით, იმდროინდელი ლექსები არსებული წყობილებისადმი პროტესტის გამომხატველი უნდა ყოფილიყო.

სხვანაირად არც შეიძლებოდა—1832 წლის შეთქმულებასთან დაახლოებული, სოლომონ დოდაშვილის იდეებით აღზრდილი, ალ. ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის პოეზიის თაყვანისმცემელი, თბილისის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების შუაგულში მყოფი პოეტი ქვეყნის უკეთეს მომავალზე ფიქრობდა, მამულის ხსნის გზებს ეძებდა.

ხანმოკლე იყო მისი ცხოვრება, 1845 წელს განჯაში გარდაიცვალა, მაგრამ ძვირფასი პოეტური მემკვიდრეობა დაგვიტოვა და სრულიად ახალი სიტყვა თქვა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ილია ჭავჭავაძის აზრით, ნ. ბარათაშვილმა ევროპეიზმი შემოიტანა ქართულ მწერლობაში, რაც დაკავშირებული იყო აღმოსავლური (სპარსული) პოეზიის გავლენის უარყოფასთან. პოეტმა ზოგადსაკაცობრიო იდეალების დამკვიდრების ფონზე ახლებურად გააშუქა ეროვნული საკითხი, ფილოსოფიურ ასპექტში წარმოგვიდგინა ადამიანის სულის პრობლემა, მოგვცა ბედისწერის კავშირი ბუნებასთან, მისი როლი და დანიშნულება საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ნ. ბარათაშვილის მსოფლმხედველობრივ-პოლიტიკური შეხედულებების კვლევისათვის საუკეთესო მასალას იძლევა პოემა „ბედი ქართლისა", ლექსები: „ხმა იდუმალი", „ფიქრნი მტკვრის პირას", „სულო ბოროტო", „შემოღამება მთაწმინდაზედ", „მერანი", „სუმბული და მწირი", „საფლავი მეფის ირაკლისა" და სხვები, აგრეთვე პირადი წერილები.

პოემაში „ბედი ქართლისა" მწვავედ დგას პრობლემა პატარა ერისა—განაგრძოს რიცხობრივად ჭარბ მტერთან უთანასწორო ბრძოლა და ამით სასწორზე შეაგდოს თავისი არსებობა, თუ უარი თქვას საკუთარ თავისუფლებაზე, დაემორჩილოს უძლიერესს და ამით შეინარჩუნოს ფიზიკური სახე. დიალოგებში—ერეკლე მეფისა და სოლომონ მსაჯულის, სოლომონ მსაჯულისა და სოფიოს—ხელახლა ცოცხლდება ძველი კოლხეთის ტყეში შეფარულ პატრიოტთა კრებაზე გამართული კამათი, აიეტისა და ფარტაზის დისკუსია ორი უკიდურესობისაგან შედარებით უკეთესის არჩევის თაობაზე, კამათი, რომელიც თოთხმეტი საუკუნის მანძილზე არაერთხელ განხილულა ქართველთა მოდგმის მრავალი თაობის ცხოვრებაში.

პოემაში მემატიანის ობიექტურობითაა დახატული მე-18 საუკუნის მიწურულის საქართველოს ტრაგიკული სურათი, ქვეყნის მოწინაკე

ადამიანთა გულწრფელი ზრუნვა უკეთესი მომავლისათვის და ის საბედისწერო ჩიხი, რომელშიც საქართველო იმ დროისათვის მოექცა.[1]

კრწანისის ბრძოლაში ქართველთა დამარცხებამ ერეკლეს საბოლოო გადაწყვეტილება მიაღებინა—შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში ქვეყანას აღარ შეეძლო დამოუკიდებლად არსებობა. ამიტომ პირდაპირ ეუბნება სოლომონ მსაჯულს: „ახლა კი დროა, სოლომონ, რომა მშვიდობა ნახოს საქართველომა". მაგრამ ეს მშვიდობა თავისუფლების დათმობის ფასად უჯდება ქვეყანას. სწორედ ამ აზრს ვერ შერიგებია მეფის ერთგული მსაჯული.

მათი პაექრობა არის ნიმუში განსხვავებული პოლიტიკური პოზიციების მქონე ორი ადამიანის აზრთა ჭიდილისა, ერთმანეთისადმი ნდობით განმსჭვალულნი რომ ცდილობენ საკუთარი შეხედულებების დამტკიცებას.

ძნელია მსაჯულისათვის იმის დაჯერება, რომ ერეკლე თავისი სურვილით თმობდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში სისხლით მოპოვებულს. გულს ულრნიდა ეჭვი—„ივერნი იქნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?" მარტო სჯულის ერთობა არაფერს ნიშნავს, როცა თვისება ერთა შორის სხვადასხვაობს. იცის მეფემ ეს ყველაფერი, მაგრამ ქვეყნის გადასარჩენად სხვა გზა ვერ მოძებნა. ამიტომ ივიწყებს საკუთარ დიდებას და როგორც მშობელი მამა, თავის სიცოცხლეშივე ფიქრობს ერისათვის საიმედო თავშესაფარის პოვნას.

„ორი დიდი პიროვნების—ერეკლესა და სოლომონ მსაჯულის დაპირისპირებით ნ. ბარათაშვილი ნათლად გვიხატავს იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრის მოძრაობას, მის ძიებას, ჭიდილსა და დრტვინვას სამშობლოს ბედზე. მეფე ერეკლე და სოლომონ მსაჯული ქვეყნის უსაზღვროდ ერთგული არიან. მათი საქმე და ოცნება საქართველოს ბედნიერებაა. ისინი ამ ბედნიერებისათვის ზრუნავენ... მაგრამ ერთი ხსნას რუსეთთან შეერთებაში ხედავს, ხოლო მეორე საქართველოს დამოუკიდებლად დარჩენაზე ამყარებს იმედს".[2]

ისევე, როგორც სხვებს—იმ დროის მწერლებსა და პოლიტიკურ მოღვაწეებს, ნიკოლოზ ბარათაშვილსაც მოუხდა ღირებულებათა გადაფასება. როგორც მ. გაფრინდაშვილი წერს,—„ის ბრძოლას თუ ამბოხებას მიუღებელი სინამდვილის წინააღმდეგ გონიერი კომპრომისით ცვლიდა ხოლმე. კერძოდ, ქართლის ბედის გადაწყვეტისას რომანტიკულ ამბოხს ამჯობინა რეალისტური კომპრომისი... პრინციპულად იგი ეროვნული თავისუფლების და დამოუკიდებლობის იდეის მომხრე და მქადაგებელია,

---

[1] გ. აბაშიძე, წინაპრები და თანამედროვენი, თბ. 1982

[2] აპ. მახარაძე, ქართული რომანტიზმი, თბ. 1990 წ. გვ. 328

პრაქტიკულ-პოლიტიკურად კი ამ იდეის ხორცშესხმის ერთადერთ რეალურ გზად რუს ხალხთან ქართველი ხალხის მეგობრობა მიაჩნდა.“

ნ. ბარათაშვილი თვითმხილველია იმ პოლიტიკური ბატალიებისა, რაც საქართველოში ხდებოდა. მართალია, იგი მძიმედ და მტკივნეულად განიცდიდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას, მაგრამ საბოლოოდ მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ ქართველი ხალხი დამოუკიდებელი ვერ გახდება რუსეთის ხელისუფლების გარეშე, ქვეყანას ვერ უპატრონებს მათთან კეთილმეზობლური დამოკიდებულების უგულვებელყოფით.

„დიდი პოეტი შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსიც იყო. ნ. ბარათაშვილის ისტორიული პოზიცია მით ღირებულია, რომ იგი უშუალოდ ერეკლე მეორის შემდგომი პერიოდის საქართველოს მოქალაქის მსოფლმხედველობის გამოხატულებაა“.[1]

ქვეყნის ბედით დაინტერესებული პოეტი გონების თვალით აკვირდებოდა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ პერიოდს. კრწანისის ბრძოლის მერე შეწყდა ჩვენი ქვეყნის რბევა-დაწიოკება და მშვიდობიანი ცხოვრების პირობები შეიქმნა. ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ პოეტი ასე მიმართავს თავის სახელოვან წინაპარს: „აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი... და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენი... სადაც აქამდის ხმლით და ძალით ფლობდა ქართველი, მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი...“ და ა. შ.

პოეტის გული და გრძნობა სოლომონ ლეონიძის ეროვნულ-პატრიოტულ თვალსაზრისს ემხრობოდა, მაგრამ გონებით ერეკლე მეფის მიერ გადამდგმული პოლიტიკური ნაბიჯი უფრო რეალისტურად მიაჩნდა. ასე ფიქრობდა, მაგრამ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვის ფასად მოპოვებული მშვიდობა მაინც არ ესალბუნებოდა მის სულს. „ჩვენმა უხეირობამ დაგვღუპა, ვაი ჩვენო ქართლის ბედოო“—თვალცრემლიანი იტყოდა ხოლმე.

ჭაბუკი პოეტი ცხოვრების გამოცდილებით დაბრძენებული კაცის თვალთახედვით მსჯელობდა წუთისოფლის ამაოებაზე, აღუსებელ საწყაულზე, დაუკმაყოფილებელ ფიქრსა და ოცნებაზე, უკუღმართ ბედისწერაზე, რომელმაც მის ახალგაზრდულ გატაცებებს ფრთები შეკვეცა და სულიერი ობლობისათვის გასწირა.

ეს არ არის მარტო გზააბნეული კაცის ჩივილი. „მისნი გულისთქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი... მისი კვნესა კაცობრიობის

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1982, №251

კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის ულონობაა" (ი. ჭავჭავაძე).

„მერნის" ავტორი თავისი იდეებით მართლაც სცილდება ეროვნულ ინტერესებს და ზოგადსაკაცობრიო სიმაღლეებს აღწევს. მისი თავგანწირული გმირი, ფრთოსან მერანზე ამხედრებული, კეთილშობილური რაინდული თვისებებით შემკული, პროტესტს უცხადებს დამკვიდრებულ სოციალურ-პოლიტიკურ ყოფას, უსამართლობას და სხვა არაადამიანურ სინამდვილეს, მაგრამ ეს არ განიხილება როგორც ცხოვრებიდან გაქცევა, არამედ „ბედის საზღვარს" გაცილებული, იგი კაცობრიობის ისტორიის საარსებო აზრს შეიცნობს და მომავალს უტოვებს იმ რწმენით, რომ თუმცა ფრთოსანი მერნით მქროლავი ამ ერთი მხედრის იდეალი მიუღწეველია, მისი ჭენება განწირულია დასაღუპავად, მაგრამ გაიმარჯვებს მაღალი ჰუმანისტური და დემოკრატიული იდეალებისათვის ამ მხედარივით ტიტანურად მებრძოლი მთელი კაცობრიობა"[1]

პოეტის ღრმა რწმენით, „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის, ეს განწირული სულისკვეთება და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება; და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს".

აქ თვალნათლივ ჩანს მომავლისადმი პოეტის ოპტიმისტური განწყობილება. სულით გაუტეხელს ღრმად სწამს, „რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს", ამიტომ ეძებს გზებს თავის დახსნისას, „ეძიე, ყრმაო, შენ მხვედრი შენი, ვინძლო იპოვო შენი საშვენი!".

ნ. ბარათაშვილისათვის მთავარია ადამიანთა საყოველთაო თავისუფლება და ამ საყოველთაობაში წარმოუდგენია ქართველი ერიც. „ნ. ბარათაშვილს ხშირად მოსდიოდა ფიქრად საყოველთაო საკითხი, რომლის პასუხსაც იგი ეძებდა მარტო გულში კი არა, მთელს კაცობრიობის გულში. მაინც რა არის ჩვენი ყოფა წეთის-სოფელი, ჰკითხულობს იგი: თუ არა ოდენ საწყაული აღუსებელი? ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს, და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს"[2].

მართალია, მის შემოქმედებაში ნაკლებადაა საუბარი სოციალური პრობლემების გადაჭრის გზებსა და საშუალებებზე, მაგრამ იგი მონარქიული წყობილების აღდგენის მომხრეა და მისი რწმენით, განათლებული მეფე მონარქი „მთელი ხალხის მამა და მეთაურია, ამ თვალსაზ-

---

[1] მ. გაფრინდაშვილი, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები III, თბ. 1988, გვ. 32

[2] გ. აბაშიძე, წინაპრები და თანამედროვენი გვ. 44

რისით განიხილავდა ქართველი ერის თავისუფლების საკითხს" (მ. გაფრინდაშვილი), რასაც სოციალური პრობლემის გადაჭრაც უკავშირდებოდა. სამართლიანობა, საკუთარი ხალხისადმი მზრუნველი დამოკიდებულება გადაარჩენს და აცოცხლებს ქვეყანას. პ. ინგოროყვას აზრით, „კეთილ მეფის" სახელით იგულისხმება პატარა კახი, გმირი მეფე ერეკლე, ხოლო „ბოროტ მეფეს" უწოდებდა „მეფე მებრძოლს", რომელიც ფიქრობს, რომ „ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება" თუ არა თავისუფალ ხალხთა ქვეყნის მიტაცება.[1]

მართალია, ნ. ბარათაშვილს სპეციალური ნაშრომი ან მხატვრული ნაწარმოები არ მიუძღვნია სამართლის საკითხებისათვის, მაგრამ პოეტის პირადი ცხოვრება და ნაწილობრივ ლირიკა იძლევა ამ კუთხით მსჯელობის გარკვეულ შესაძლებლობას.

იგი ახალგაზრდობიდანვე სამხედრო კარიერაზე ოცნებობდა, მაგრამ ფიზიკურმა ნაკლმა და ცხოვრების სიდუხჭირემ აიძულა სამოქალაქო სამსახურში შესულიყო, ამდენად პირადად უხდებოდა უსამართლობასთან ბრძოლა და რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა,—სამართლიანობის აღდგენა. თუ როგორი ატმოსფერო იყო შექმნილი სასამართლო უწყებაში, ეს ჩანს გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ ბარათში, სადაც გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „круг нравственности чиновников не выгоден для образования," მაგრამ იქვე მიუთითებს,—„ბევრი რამ თავზედ არის დამოკიდებულიო".

ძნელი იყო პოეტური სულის ადამიანისათვის კანცელარიის პირქუშ სინამდვილესთან შეგუება. იქ გაბატონებულ უსამართლობასთან პირისპირ შეჯახება, მაგრამ გულს იმით იმშვიდებდა, რომ ასეთ პირობებში საჭიროა სამართლიანმა ადამიანებმა იბრძოლონ ბოროტებისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ, რათა ცხოვრების ბედუკუღმართობით გაწამებულებს მდგომარეობა შეუმსუბუქონ.

სამართლებრივი თვალსაზრისით საინტერესოა ნ. ბარათაშვილის დამოკიდებულება დედათა სქესის მიმართ. ქალი მიაჩნია მას უდიდეს ძალად ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და სამომავლო გეგმების განხორციელების საქმეში.

ამ თვალსაზრისით შემოჰყავს პოემაში სოლომონ მსაჯულის მეუღლე, უსათნოესი და უსაჩინოესი ქალბატონი სოფიო. „უწინამც დღენი დამელევა მე, უცხოობაში რაა სიამე"—აცხადებს ის და ამით თავის პოლიტიკურ სიმწიფესა და ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვისათვის მზადყოფნას გამოხატავს. სოფიო ქართლის დედად გვევლინება და პოეტის იდეალს განახორციელებს. აი, როგორი ქალები სჭირდება

[1] პ. ინგოროყვა, ქართული ლიტერატურის ფუძემდებელნი, თბ. 1983, გვ. 17

მამულს! „რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ სულიცა თქვენი გამოჰ-ყოლოდათ“—ნატრობს პოეტი და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქალის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მისიას.

„სოფიოს სახეში,—მიუთითებს ა. მახარაძე,—ბუნებრივად წარმოგ-ვიდგება ტიპიური ძველი ქართველი პატრიოტი მანდილოსანი, რომე-ლიც ქმარსა და შვილებს მამულისათვის ბრძოლის წყურვილს უღ-ვიძებდა“. სოფიო განსახიერებაა ქართველი დედისა, რომელიც მის მიერ შობილს მამულისათვის თავდადებასა და თავგანწირვას აკვანში-ვე ნანასთან ერთად უმღეროდა“.[1]

ნ. ბარათაშვილთან ქალი ბუნების სრულყოფილი ქმნილებაა. მას შეუძლია სიყვარული, მეგობრობა, ერთგულება, პოეტის პირადი წერი-ლების უმრავლესობა მაიკო ორბელიანისადმია მიძღვნილი. ყრმობის მეგობარს, ლამაზსა და ჭკვიან ქალს უზიარებდა პოეტი თავის ინტი-მურ გრძნობებს და პოეტური შემოქმედების ნიმუშებსაც აცნობდა ხოლმე. „სად განისვენოს სულმა, სად მოიდრიკოს თავი“—ამ საჭირბოროტო კითხვასაც სწორედ მისდამი გაგზავნილ წერილში სვამდა პოეტი.

ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა“ იგი აყენებს ქალის ფიზიკური და სულიერი სილამაზის საკითხს და უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებს. მისი აზრით, „სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების“ და ყვავილივით სწრაფად ჭკნება, მასზე დამყარებული გრძნობა ცვალებადია, წარმავალი... „თვით უკვდავება შვენიერსა სულში მდგომარებს“, მას დრო და ჟამი ვერაფერს აკლებს, „და უკვდავებით აგვირგვინებს ჭეშ-მარიტება“.

დროებით გატაცებაზე დამყარებული გრძნობა ვერ მოუტანს ადამი-ანებს ბედნიერებას, ვერ წარმოშობს სიყვარულს და მშვენიერ სულსა კავშირიც შეუძლებელი გახდება. „ნ. ბარათაშვილმა განაწმინდავა სიყ-ვარული და სიყვარულში სულიერებას უფრო თაყვანს სცემდა, ვიდრე ხორციელებასა“ [2]—წერდა ილია ჭავჭავაძე.

პოეტური ნიჭით მიგნებული, თუ პირადი ცხოვრებით ნაკარნახევი ეს უტყუარი ჭეშმარიტება მყარი ოჯახის საფუძვლად არის მიჩნეული. ნიკოლოზ ბარათაშვილს გარკვეული შეხედულებები გააჩნია საქორწი-ნო და საოჯახო სამართლის მიმართ. იგი იცნობს იმ წეს-ჩვეულებებს, რაც ქართულ ქორწინებას ახასიათებდა ჩვეულებითი სამართლის მიხედ-ვით. ეს კარგად ჩანს ზაქარია ორბელიანისადმი 1844 წლის სექ-ტემბერში გაგზავნილ ბარათში, სადაც წერს: „ახალგორს შევედით, სასახლე ჭრაქებით იყო გაჩახჩახებული, მეიდანი მაშხალებით.

---

[1] ა.ბ. მახარაძე, ქართული რომანტიზმი, 1990 წ. გვ. 331-332

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. III, გვ. 211

...დეკანოზი შემოსილი და ჯვარით მოგვეგება გალავნის კარებში. დაჰკრეს ზურნას. სათარას სიმღერა თან გვყვანდა, თოფის სროლა, ხალხის ჭედვა და ყვირილი საუცხოო სანახავს წარმოადგენდა.[1] ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით პატარძალი მესამე დღემდე საძინებლიდან არ გამოდიოდა, შემდეგ დედამთილი ან ახლო ნათესავი ქვეშაგებს შეამოწმებდა (საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოში მკაცრად იყო დაცული ქალწულობის ინსტიტუტი), მოტანილ მზითვს გასინჯავდა, სიძე-პატარძლის დალოცვა და სტუმრების მხრიდან დასაჩუქრება იწყებოდა.

რაც შეეხება პატარძლის ნიშნებს, მეოთხე დღეს მოართმევდნენ, ოჯახის წევრები (დედამთილი, მამამთილი, მულები, რძლები, ბიძები და ა. შ.). ნ. ბარათაშვილის მიერ აღწერილი ქორწინების ცერემონიალი გამოხატავს ჩვეულებითი სამართლით მიღებულ საქორწინო წესებს.

ნ. ბარათაშვილის აზრით, ქალი ყოველთვის ბედნიერი იქნება, თუ მას სასურველი მეუღლე და ოჯახი შეხვდა.

კონკრეტულ შემთხვევაში პოეტი კმაყოფილია მისი დის კატოს ქორწინებით: „კატო თავის მოსაწონს, ეხლანდელს დროში, სანატრელ ოჯახშია". ამით იმის თქმა სურს, რომ გათხოვილი ქალის ბედნიერებისათვის მარტო მეუღლესთან ურთიერთობა არ კმარა, საერთოდ, ოჯახის წევრებს შორის უნდა იყოს ურთიერთგაგება, იმ წესებისა და ტრადიციების დაცვა, რამაც შეადუღა და გააძლიერა ეროვნული სული, რადგანაც ყველა დროში, ეპოქაში თუ სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციაში სახელმწიფოს სიძლიერის საფუძველი ჯანსაღი ოჯახი იყო: „მე ეს მეამა, რომ მტერი ვერ გაიხარებს, თუ ღმერთი გვაღირსებს ერთად შეყრას"—წერს პოეტი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა ასახავს საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას XIX საუკუნის 30-40-იან წლებში, რამაც დიდი სამსახური გაუწია შემდგომი პერიოდის ქართული პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებას.

თავისი პოეტური მემკვიდრეობით იგი უკვდავი შეიქმნა „და უკვდავთათვის არც რაიმეა ქვეყნიერებაზე გვიან და არც რაიმეა ადრე"[2]—წერდა ნ. ბარათაშვილის შესახებ ილია ჭავჭავაძე. თვითონ მისი გენიის წარმოჩენაც ხომ ილია ჭავჭავაძის ღამსახურებაა—მას რომ ეკატერინე ჭავჭავაძესთან სტუმრობისას შემთხვევით ხელში არ ჩავარდნოდა ნ. ბარათაშვილის ხელნაწერი რვეულიო, ვინ იცის, შეიძლება ამ გენიოსი

---

[1] ნ. ბარათაშვილი, კრებული, 1953 წ. გვ. 43

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. III, გვ. 251

პოეტის შემოქმედება სამუდამოდ დაკარგულიყო ჩვენთვის, ისე, როგორც დაიკარგა მისი ვრცელი ეპოქალური პოემა—„ივერიელნი". ამის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ზაქარია ჭიჭინაძე, რომელმაც ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთელი მაშინდელი ეპოქის შესახებ მნიშვნელოვანი და საყურადღებო მასალა შემოგვინახა. ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დიდი ილიას შემდეგ, ზაქარია ჭიჭინაძეს ამ მხრივ პირველი ადგილი ეკუთვნის. 1885 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში იგი წერს:

„კ. მამაცაშვილი (ნიკოლოზ ბარათაშვილის თანაკლასელი და მეგობარი—გ.ლ.) წერს, რომ ერთხელ კრება გვქონდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლში... რადგანაც იმ დროს საქართველოს ხეირიანი ისტორია არ გვქონდა, ჩვენ განვიზრახეთ მისი დაწერა. გავიყავით რამოდენიმე ნაწილად. პლატონ იოსელიანისათვის ქრისტეს წინარე დროების ისტორიის დაწერა მიუნდვიათ, სხვებსაც ასევე დაუნაწილებიათ".[1]

სამწუხაროდ, მამაცაშვილი არ ასახელებს, თუ საქართველოს ისტორიის რა ნაწილის დამუშავება დაავალეს ნიკოლოზ ბარათაშვილს, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს იყო X-XI-XII საუკუნეები, რადგანაც სწორედ ეს ეპოქა ყოფილა ასახული მის დაკარგულ პოემაში. საინტერესო ცნობას გვაწვდის ამ მხრივაც ზ. ჭიჭინაძე:

„კ. მამაცაშვილი წერს, რომ ნ. ბარათაშვილს ერთი პოემა ჰქონდა, რომელსაც სახელად „ივერიელნი" ერქვოო. ეს პოემა ნიკოლოზ ბარათაშვილს ჩემთანაც წაუკითხავს რამდენჯერმე. ამ პოემაში აღწერილია საქართველოსა და ქართველების მდგომარეობა X, XI და XII საუკუნეებში. ამ პოემის შესახებ ჩვენ შემდეგი ვიცით:

1878 წელს თბილისში გაიყიდა გიორგი ჩიქოვანის (ესეც ნიკოლოზ ბარათაშვილის თანაკლასელი იყო—გ.ლ.) მდიდარი ბიბლიოთეკა... ეს წიგნები მეც ვნახე, საიდანაც ამოვარჩიე რამოდენიმე და ვიყიდე...

ამ ძველს წიგნებში ერია ერთი ძველი რაღაც პოემა, რომელიც „ივერიელთა" სახელით იწყებოდა, მაგრამ ბოლოზე კი არ ჰქონდა დამწერის სახელი... მე ფული აღარ მეყო და ვიდრე მეორედ მოვიდოდი საყიდლად, ის უკვე სხვას ეყიდნა. ვინ იცის, იქნება ბარათაშვილისაც იყო, იქნება არა".[2]

საინტერესო მოგონებით ვხვდებით ამ მხრივ ნ. ბარათაშვილს გრიგოლ გურულთან, შემდგომში ცნობილ გენერალთან და საზოგადო მოღვაწესთან:

„ნიკო ბარათაშვილი და მე ერთ სკოლის მერხზედ ვიჯექით. ნ.

---

[1] ზ. ჭიჭინაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბ. 1885 წ. გვ. 15.

[2] ზ. ჭიჭინაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გვ. 16.

ბარათაშვილმა შეიტყო, რომ შენ გაგჩხრიკავენო (1832 წლის შეთქმულების გაცემისა და სოლომონ დოდაშვილის დაპატიმრების შემდეგ—გ.ლ.). მას ბევრი ლექსები აქვნდა რუსის მთავრობის წინააღმდეგ ნაწერი, იგი მალე წავიდა სახლში, მეც თან წამიყვანა. ყველა ეს ნაწერები ბუხარში შეყარა და ცეცხლს მისცა. ის იყო ეს დაიწყო და გამჩხრეკვნიც მოვიდნენ. სასტიკად გაჩხრიკეს ყოვლისფერი. მერე ნ. ბარათაშვილს სხვადასხვა ლექსებს უჩვენებდნენ და ჰკითხავდნენ, რომ ეს ლექსები შენი დაწერილიაო. ნიკო ბარათაშვილი ყველაფერზე უარს ამბობდა.

ჩხრეკა დამთავრდა და ნიკო ბარათაშვილს უთხრეს, რომ შენ დაპატიმრებული ხარ როგორც სოლომონ დოდაშვილის მეგობარიო... მალე წავიდნენ და ნიკო ბარათაშვილიც თან წაიყვანეს. ამის შესახებ სკოლაშიც იყო გამოკითხვა. ორი კვირის შემდეგ ნიკო ბარათაშვილი გაათავისუფლეს. ასე და ამგვარად ნიკო ბარათაშვილი გადარჩა".[1] გამორიცხული არ არის, რომ 1832 წლის დეკემბრის ამ ტრაგიკულ დღეებს ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ბევრი ნიმუშიც შეეწირა, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ მისი გარკვეული ნაწილი შეიძლება მოხვდა იმპერატორის III განყოფილების საგამოძიებო დეპარტამენტში, სადაც თავს უყრიდნენ შეთქმულებასთან დაკავშირებულ ყველა მასალას. ალბათ, მომავალში ამ მხრივაც არის საჭირო ნ. ბარათაშვილის მემკვიდრეობის ამსახველი მასალების კვლევა.

საინტერესო მემუარულ მასალებს გადმოგვცემს ზ. ჭიჭინაძე თავის მონოგრაფიაში „სოლომონ დოდაშვილი და ნიკო ბარათაშვილი". ცნობილია, რომ როცა ს. დოდაშვილი 1827 წელს თბილისში დაბრუნდა, აქ მას დახვდა სრული იდეური ნიჰილიზმი და დეგრადაცია. როგორც ვახტანგ ორბელიანი იხსენებს, დროსტარებისა და ქეიფის გარდა, მაშინდელ საზოგადოებას არაფერი ახსენდებოდა. ინტელექტუალური ცხოვრება ჩამკვდარი იყო. მან ჩვენი ქვეყნის ეს ტრაგიზმი პოეტურადაც გამოხატა:

„სული მიკვნესის,
გული ჩემი მწარედ ღონდება,
როს საქართველოს
მწარე ბედი მომაგონდება".[2]

ვახტანგ ორბელიანი იგონებს, რომ ნ. ბარათაშვილი თავდაპირველად ასეთ დარდიმანდულ და უაზრო ცხოვრებას მისდევდა და მისი თავდაპირველი ლექსებიც თავშესაქცევი ხასიათისანი იყვნენ. სოლო-

---

[1] ზ. ჭიჭინაძე, სოლომონ დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბ.1886 წ. გვ. 17
[2] ზ. ჭიჭინაძე, ვახტანგ ორბელიანი, თბ. 1892 წ. გვ. 6

მონ დოდაშვილთან ურთიერთობამ ძირფესვიანად შეცვალა იგი და შეგნებულ მამულიშვილად აქცია... ნიკოლოზ ბარათაშვილი გამოიწვრთნა სოლომონ დოდაშვილთან.[1] ნიკოლოზ ბარათაშვილი აქტიური წევრი იყო სოლომონ დოდაშვილის მიერ შექმნილი „ამხანაგობისა". როგორც ზ. ჭიჭინაძე წერს, მასში გაერთიანდნენ მაშინდელი მოწინავე ახალგაზრდობა—დიმიტრი ყიფიანი, პლატონ იოსელიანი, სოლომონ რაზმაძე, ფილადელფოს კიკნაძე, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები და „ბევრი სხვანიც". კრებები იმართებოდა სოლომონ დოდაშვილის სახლში, ანდა სტამბაში. სოლომონ დოდაშვილი მოუწოდებდა მათ, რომ საქართველო დაწინაურდეს და ამაღლდეს ისე, როგორც დაწინაურებული ყოფილა „ოქროვანს საუკუნეში".[2]

ამ „ახალგაღვიძებული ქართული სულის" მეოხებით ნელ-ნელა მოისპო აზიური ანუ სპარსული კილოთი ბაიათების წერა და მღერა, მის მაგივრად გაცხოველდა საქართველოზედ ფიქრი... ასეთი იყო შედეგი ს. დოდაშვილის „ამხანაგობის" წრისა. ამის შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილი „ფარულს საზოგადოებაში დიდის პატივით მიულიათ".[3] იგი ერთადერთი გიმნაზიელი იყო 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს შორის და ალბათ, ახალგაზრდობის გამოც ასცდა კატორღაში გადასახლება.

ნ. ბარათაშვილის ოცნება იყო, რომ სამხედრო კარიერა მოეხვეჭა, რომ ამით მომავალში შესაძლებლობა მისცემოდა იარაღით ხელში ებრძოლა სამშობლოს გათავისუფლებისათვის. მან რამდენიმეჯერ სცადა სამხედრო სასწავლებელში სწავლის გაგრძელება, მაგრამ ბავშვობაში მოტეხილი ფეხი ყოველთვის უშლიდა ხელს ამ ოცნების განხორციელებაში და ბოლოს კავკასიის სამოქალაქო მმართველობის სამსახურში არგუნა ბედმა შესდგომოდა ჩინოვნიკურ საქმიანობას. იგი აქაც მალე დაწინაურდა თავისი მეტად განვითარებული კაცთმოყვარეობისა და სამართლიანობის გამო. ამასთან დაკავშირებით ზაქარია ჭიჭინაძე წერდა:

„ძველი ხალხი იგონებს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი „სუდაი რასპრავაში" მსახურობდა და სიკეთეს თესავდა ყველგანაო... სამმართველოში ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთობ სამართლიანად განაგებდა საქმეებს, არა საქმეს არ გააჩერებდა დიდხანს. მის დროს კი ერთობ მოდებული იყო მექრთამეობა საქართველოში. ხალხი ახალ სამართალს და მმართველობის წესებს არ იცნობდა და იმ დროის მოხელენი

---

[1] ზ. ჭიჭინაძე, სოლომონ დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, გვ. 15
[2] ზ. ჭიჭინაძე, დას. ნაშ. გვ. 12
[3] ზ. ჭიჭინაძე, დას. ნაშ. გვ. 15

კი, რასაც მოისურვებდნენ, იმას სჩადიოდნენ. განსაკუთრებით ქრთამების აღება და გლეხთა შევიწროება ბატონობდა. ნიკოლოზ ბარათაშვილი კი ყოველს ამაებისაგან ერთობ შორს მდგარა და როგორც გამიგია, ამან არც ქრთამის აღება იცოდა და არც სხვა რამ ამისთანაო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აი, სწორედ ასეთი ერთგულება უნდა გამხდარიყო მიზეზი ბარათაშვილის მალე დაწინაურებისა"...[1]

თუმცაღა, მისი „მერნის" უცნაური და თავგანწირული ბედისწერით, სწორედ ეს დაწინაურებაც გახდა გენიოსი პოეტისათვის ერთ-ერთი მიზეზი ნაადრევად შეეწყვიტა თავისი ცხოვრება-მოღვაწეობა, მაგრამ როგორც ილია იტყოდა, ნუგეშად კი დაგვიტოვა ამოუწურავი სიბრძნე კაცობრიული ნათელხილვისა.

[1] ზ. ჭიჭინაძე, ნ. ბარათაშვილი, გვ. 9

დიმიტრი ყიფიანი
(1811–1887)

დიმიტრის მამა ქოჩო ყიფიანი სააბაშაოდან გადმოსახლებული აზნაურიშვილი ყოფილა. იგი ჩასიძებულა ქართლში მცხოვრებ ფურცელაძიანთ ოჯახში, სოფელ მერეთში, არბოსა და ტყვიავის გვერდით. ცოლად შეურთავს ფურცელაძის ქალი ბარბარე... ქოჩო ყიფიანს და მის მეუღლეს ბარბარეს სამი ვაჟი და ორი ქალი ჰყავდათ. უფროსი ვაჟი იყო ქაიხოსრო, უმცროსი დიმიტრი, რომელიც დაიბადა 14 აპრილს 1814 წელს.[1]

დიმიტრი ყიფიანის დაბადების თარიღი კარგა ხანს სადაო რჩებოდა. არჩ. ჯორჯაძე, „დ. ყიფიანი", ნ. ყიფიანი, „დ. ყიფიანის ცხოვრება", 1893 წ. გვ. 1, ს. ხუნდაძე, „დ. ყიფიანი", 1936 წ. გვ. 19, შ. ჩხეტია, „მასალები დ. ყიფიანის მკვლელობაზე", 1947 წ. გვ. 329, თ. სახოკია, „ჩემი საუკუნის ადამიანები", 1984 წ. გვ. 9—თვლიან, რომ დ. ყიფიანი დაიბადა 1814 წლის 14 აპრილს, ხოლო მაქსიმე ბერძნიშვილს „მასალები მე-19 ს-ის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის" (გვ. 209), კორექტივი შეაქვს, იშველიებს დ. ყიფიანის ჩვენებას, რომელიც მას 1833 წელს პოლიციამ ჩამოართვა 1832 წ. შეთქმულების საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით, სადაც ნათქვამია, რომ ის ამ დროს 22 წლისა იყო. ამ დოკუმენტის მიხედვით დ. ყიფიანი უნდა იყოს დაბადებული 1811 წელს. 1990 წლის 27 აპრილს „ლიტერატურულ საქართველოში" დ. ყიფიანის დაბადების თარიღთან დაკავშირებით თამაზ ჯოლოგუა, არსებული საარქივო მასალებით, ისტორიული დოკუმენტებითა და მათი ანალიზით ამტკიცებს, რომ სინამდვილეში დ. ყიფიანი დაბადებულია 1811 წლის 14 აპრილს.

დიმიტრის მამა ადრე გარდაიცვალა და მასზე მზრუნველობა უფროსმა ძმამ ქაიხოსრომ იკისრა. ქართული წერა-კითხვა, ლოცვები და ანგარიში პატარა დიმიტრის დედის კალთაშივე შეუთვისებია, რუსული კითხვა კი შემთხვევით ისწავლა. ყიფიანის სახლობას ესტუმრა ერთ დღეს სამხედრო რევიზორი ფიოდოროვი (პორუჩიკი ნიკიფორე ფიოდოროვი, გ.ლ.), რომელიც ქართლში დაბინავებულ კარანტინის რაზმის დასათვალიერებლად იყო ამოსული. ფიოდოროვს მოეწონა პატარა დი-

[1] არჩილ ჯორჯაძე, წერილები, დ. ყიფიანი, 1989, გვ. 393

მიტრი, ერთი კვირის განმავლობაში ხუმრობით რუსული კითხვა შეასწავლა, დიმიტრის ძმას, ქაიხოსროსაც ურჩევდა, ეს ყმაწვილი უსწავლელი არ დააგდოთ, ძლიერ ნიჭიერიაო. ქაიხოსრომაც რჩევა შეისმინა და ერთ მშვენიერ დღეს შეჯდა ცხენზე, შეასკუპა დიმიტრიც ღონიერ ყმის მხარ-ბეჭებზე, გაიძღოლია წინ და ჩაიყვანა თბილისში, სადაც მიაბარა კეთილშობილთა სასწავლებელში... იქ იუკადრისეს დიმიტრის მამის, ქოჩოს სახელი და ივანედ გადააკეთეს. ბინა პატარა დიმიტრის ჰქონდა ფიოდოროვის ოჯახში, მისი ცოლი „მარია ივანოვნა მეგრელ საგნაძის ქალი იყო, შემდეგში, როცა დაქვრივდა, ყიფიანთ ოჯახს ძლიერ დაუხალოვდა და დედობილადაც შეეფიცა დიმიტრის“.[1]

იმ პერიოდისათვის საქართველოში არსებულ ყველა სკოლასა თუ სასწავლებელში ზედმეტნაკლებად ერთნაირი მკაცრი რეჟიმი იყო გამეფებული. და, რა თქმა უნდა, დიმიტრიც ვერ აცდა უსიამოვნებებს,—წერს არჩილ ჯორჯაძე. ამ მომენტის აღწერისათვის ავტორს დახმარება გაუწია თვითონ დიმიტრი ყიფიანის მოგონებებმა სათაურით: „школа духа, Казарменное дело“, სადაც აღწერილია სკოლაში არსებული რეჟიმი, „საგნებს უაზროდ, მექანიკურად აზეპირებინებდნენ, გონებას სრულიად არ უხსნიდნენ, და ამასთან ცემა-ტყეპა შეგირდებისა უფროსების მიერ დაკანონებული და ჩვეულებრივი მოვლენა იყო“.[2]

16 წლის იყო დ. ყიფიანი, სასწავლებელი რომ დაამთავრა და მუშაობა დაიწყო სამაზრო სასამართლოში, მაგრამ იქიდან მალე გამოუშვეს, რადგანაც თავადაზნაურობის დამამტკიცებელი საბუთები არ აღმოაჩნდა. ბევრ თავადაზნაურს წერილობითი საბუთი არა ჰქონდა თავიანთი უფლებების დასამტკიცებლად—მიუთითებს არჩილ ჯორჯაძე, ამის შემდეგ „დეპუტატთა საკრებულოს შეაფარა თავი დიმიტრიმ და იქ თარჯიმნის ადგილი დაიჭირა,“ მაგრამ ამასობაში კეთილშობილთა სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა და იქ მიიწვიეს მასწავლებლად, ოღონდ „ეგზამენი კი დააჭერინეს“ პედაგოგიურ საბჭოში მასწავლებლის უფლების მოპოვებისათვის“.

მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან ახალი გამოცოცხლება დაეტყო საქართველოში ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას. მომზადდა 1832 წლის შეთქმულება, რომელმაც, არჩ. ჯორჯაძის აზრით, „სხვაგვარი მიმდინარეობა მისცა დიმიტრის ცხოვრებას“, შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდა საუკეთესო ნაწილი იმდროინდელი ახალგაზრდობისა და ამ ქსელში თავისდაუნებურად გაება დ. ყიფიანი.

---

[1] ა. ჯორჯაძე, წერილები, დ. ყიფიანი, 1989 წ. გვ. 395

[2] იქვე

შეთქმულების სხვა მონაწილეებთან ერთად ვერც იგი გადაურჩა სასჯელს და 1834 წელს გადაასახლეს ქ. ვოლოგდაში, სადაც გუბერნატორის კანცელარიაში სამსახურის უფლება მისცეს. „ვოლოგდაში, მიღებული ჩემს შესახებ ქაღალდის წყალობით,—ამბობს დიმიტრი, —ზოგიერთნი ისე მიყურებდნენ, როგორც ნადირს, რომელიც იკბინება, თუმცა მეორეთა თვალშიაც ნადირი ვიყავი, მხოლოდ ნადირი ჭაბუკი და სამხრეთიდან მოსული, რომელსაც მოფერება ესაჭიროებოდა, მაგრამ მე ისე გულმოდგინედ შეუდექი ჩემს სამსახურს, რომ გუბერნიის სამმართველოში დილა-საღამოობით დავდიოდი და ყურადღებას არ ვაქცევდი არც იმათ, ვისაც ჩემი მოფერება სწადდათ. ვმუშაობდი და სამი წლის განმავლობაში გუბერნიის მმართველობის მდივნის ხარისხამდე მივაღწიე“.[1]

არჩ. ჯორჯაძე დ. ყიფიანის უშიშრობას, გამბედაობას და გულახდილობას უსვამს ხაზს, მიაჩნია, რომ მისი ავტორიტეტი ქ. ვოლოგდაში არა მარტო პირადად იყო სასარგებლო, არამედ მის გამო სხვა ქართველებსაც პატივით ეპყრობოდნენ.

დ. ყიფიანმა „რაპორტით“ მიმართა გუბერნატორს და ითხოვა პეტერბურგში გამგზავრების ნებართვა, რაზედაც დადებითი პასუხი მიიღო და 28 დღით ჩავიდა კიდეც, იქ კი შეძლო სამშობლოში გამგზავრების უფლების მიღება და 1837 წელს ისევ საქართველოში ბრუნდება.

„სამშობლოში დაბრუნებისთანავე დიმიტრი ყიფიანი განაგრძობს სახელმწიფო სამსახურს. ამ სამსახურს ის მნიშვნელობა ჰქონდა რომ აქ... ზედმიწევნით ეცნობა ჩვენს ქვეყანას და აქ, ამ სარბიელზე, რომელიც ჰკლავს სუსტ პიროვნებას და უკარგავს პირადობის ნიშანწყალს, გამოიჯექა და გაფოლადდა ხასიათი და პოლიტიკურ-ეროვნული აზროვნება დიმიტრი ყიფიანისა“.

დ. ყიფიანი ცოტა ხანს ქ. თბილისის სტატისტიკურ სამმართველოში მუშაობდა, მაგრამ სულ მალე მთავარმმართველ როზენის განკარგულებით გადაიყვანეს ქ. ქუთაისში იმერეთის მმართველის, გენერალ ესპეხოს კანცელარიის მდივნად. „ესპეხო, ჩამომაკლობით ისპანელი, ძლიერ სუსტი იყო რუსული ენის ცოდნაში და დ. ყიფიანის ხელში იყო არამარტო საქმის წარმოება, არამედ გამგებლობაც“.[2] წერს არჩ. ჯორჯაძე. დ. ყიფიანი უაღრესად მოწესრიგებული, საქმის მოყვარე და პრინციპული პიროვნება გახლდათ, „პირადი ღირსების გრძნობა საკმაოდ ჰქონდა განვითარებული. პატივს სცემდა ადამიანის პიროვნებას და ამგვარსავე პატივისცემას მოითხოვდა თავისთავისადმი.“

---

[1] ა. ჯორჯაძე, წერილები, დ. ყიფიანი, გვ. 411-412

[2] იქვე

იგი მხოლოდ 1839 წელს ახერხებს თბილისში დაბრუნებას. ამ პერიოდში მთავარმმართებელი იყო თავადი ვორონცოვი. არჩ. ჯორჯაძის შეხედულებით, „ვორონცოვის ხანა განსაკუთრებული ხანა იყო ჩვენში. არც წინათ, არც შემდეგში მის მსგავს მოვლენას არა ვხედავთ. ვორონცოვის პოლიტიკა იყო სწორედ ის პოლიტიკა, რომელსაც... ამაოდ ეძებდა რუსეთის მმართველობის წრეში ქართველთა პოლიტიკური აზროვნება. ერთგულება და მჭიდრო კავშირი რუსეთთან, ხოლო ნაცვლად ამისა ქართველების ეროვნულ-კულტურული აღორძინების უზრუნველყოფა რუსეთის მფარველობის ქვეშ".[1] თავადი ვორონცოვი დიდად აფასებდა დ. ყიფიანის აზროვნებას, ამან შეუწყო ხელი ქართული თეატრისა და სალიტერატურო ჟურნალ „ცისკრის" დაარსებას, რაშიაც ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის დ. ყიფიანს. როგორც ზემოთაც ითქვა, ქართული თეატრი და ქართული ჟურნალი იყო ის აუცილებელი წანამძღვრები, რომელთა წყალობითაც შესაძლებელი გახდა ქართული ენის, ქართული მწერლობის და საერთოდ—ქართული კულტურის განვითარება, ერთი სიტყვით, შეიქმნა ის ტრიბუნები, საიდანაც ქართველ მოღვაწეებს შეეძლოთ თავიანთი სათქმელი გაეზიარებინათ თანამემამულეებისათვის და ქართულ შემოქმედებით აზრს თავისი შესაძლებლობა ეჩვენებინა. დ. ყიფიანმა დიდი ამაგი დასდო ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების საქმეს. „ვორონცოვის დროს დიმიტრი სამასწავლებლო ოლქის მზრუნველის საბჭოს წევრია. იგი უახლოვდება სწავლა-განთლების საქმეს და არც ერთი საკითხი ქართული ენის პროგრამის შესახებ ოლქის გიმნაზიებში დიმიტრის დაუკითხავად არა წყდება".[2]

დიმიტრი ყიფიანი 1845 წლის 22 იანვარს დაქორწინდა 1827 წლის 12 მაისს დაბადებულ ნინო იაგორის ასულ ჭილაშვილზე. ნინოს მამა იაგორ ჭილაშვილი (იგივე ჩილაევი) საქართველოში ცნობილი კაცი იყო, წერს არჩილ ჯორჯაძე, 1839 წლამდე, ე. წ. საქართველოს უმაღლეს მთავრობაში (верховно грузинское правление) მმართველობის გავლენიანი წევრი. ბოლოს ცხოვრობდა დუშეთში, სადაც ჰქონდა მამულები და ძველი ციხე-დარბაზი. მართლაც იაგორ ჭილაშვილი ცნობილი იყო, როგორც სოციოლოგი, სამართალმცოდნე, რომელმაც იურიდიული განათლება პეტერბურგში მიიღო. მის ნაწერებს შორის მნიშვნელოვანია რუსულ ენაზე შესრულებული ნაშრომი „ბუნებითი სამართლის მოხაზულობა", რომელიც ქართულად თარგმნა ი. სურგულაძემ. მას სხვადასხვა დროს მაშინდელ ხელისუფლებაში მართლაც ეკავა მნიშვნელოვანი თანამდებობა, ხოლო 1832 წლის შეთქმულებაში მო-

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეხუთე, თბ. 1914, გვ. 9

[2] არჩილ ჯორჯაძე, წერილები, დ. ყიფიანი, 1989 წ. გვ. 426.

ნაწილეობისათვის იგიც ვერ ასცდა გადასახლებას. არჩილ ჯორჯაძე აქ ერთ უზუსტობას უშვებს—ი. ჭილაშვილი 1838 წელს გარდაიცვალა ლენქორანში და 1839 წლამდე, რა თქმა უნდა, ვერ იცხოვრებდა დუშეთში. დ. ყიფიანს და ნ. ჭილაშვილს ჰყავდათ ორი ვაჟი და ერთი ქალი (ნიკოლოზ, კოტე და ელენე). არჩ. ჯორჯაძე დიმიტრი ყიფიანის პიროვნებას განიხილავს არა მარტო როგორც პატრიოტისა და ეროვნულ მოღვაწისას, არამედ მისი ხასიათის ბოლომდე წვდომისათვის წარმოგვიდგენს მოსიყვარულე მეუღლის და მამის ამპლუაშიც. „დიმიტრი ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელი იყო, ცოლ-ქმრობასაც ისე უყურებდა, როგორც კავშირს ღვთით დაკანონებულს. ცოლ-ქმრობა განუყელი შეკავშირებაა და ამ შეკავშირების განმტკიცებისათვის ურთიერთს უნდა ეხმარებოდნენ ცოლიც, ქმარიც. თუ მათ შორის უსიამოვნება ჩამოვარდება, ამ უსიამოვნებას ერთმანეთისადმი სიყვარული და პატივისცემა მოსპობს“.[1]

მას სწამდა, რომ მამაკაცი უხეშია, დედაკაცი—ნაზი, კაცი ღონიერია, ქალი—სუსტი, იგი მკაცრია, ის მოქნილი, კაცი მძიმე და მაგარია, ქალი მსუბუქი და უძლური. ამ წინააღმდეგობათა შეერთებიდან გამომდინარეობს ბუნებრივი აუცილებელი ჰარმონია, ნამდვილი ბედნიერება... იგი ამ ფორმულას მტკიცედ იცავდა და მიაჩნდა, რომ „თუ ცოლქმარნი პირველ ცოლქმრობაში არ იყვნენ ბედნიერნი, აშკარაა ისინი არასოდეს არ იქნებიან ბედნიერნი“. ზემოთ თქმულიდან ნათლად ჩანს, რომ დ. ყიფიანი წინააღმდეგია განქორწინებისა და იცავს ქართული ოჯახის სიმტკიცეს.

1846 წლიდან დ. ყიფიანი იწყებს ლიტერატურული წერილების ბეჭდვას „кавказ“-ში. ამის შემდეგ მისი ისტორიული ნარკვევები, მეცნიერული ხასიათის ნაშრომები, თარგმანები ქვეყნდება „ცისკარში“, „საქართველოს მოამბეში“, „მოამბეში“, „დროებაში“, „ივერიაში“, „ქართულ ბიბლიოთეკაში“, „Юридическое образование“-ში, „Русская история“-ში და სხვა. აღსანიშნავია საქართველოს ისტორიისა და კულტურისადმი მიძღვნილი შრომები: „თამარ მეფის საუკუნე“, „რამდენიმე აზრი საქართველოს ისტორიის მასალებზე“, „მოგონებები“, რომელიც 1886 წელს გამოქვეყნდა რუსულად, არაერთი თხზულება ეძღვნა ქართული გრამატიკის საკითხებს.

დ. ყიფიანი ინგლისური, გერმანული, ფრანგული ენების ფლობის წყალობით მშვენივრად იცნობდა დასავლეთ ევროპულ ლიტერატურასაც. თარგმნა ფრანგული და ინგლისური ლიტერატურის არაერთი ნიმუში, მათ შორის—შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, „ვენეციელი

[1] ა. ჯორჯაძე, წერილები, დ. ყიფიანი, 1989 წ. გვ. 480.

ვაჭარი", „რომანი ერთის ღარიბის ყმაწვილი კაცისა", მოლიერის „ცოლის შერთვევინება", „სიყვარული მკურნალობს", „სიყვარული მხატვრობს", „ჩინებული სასიძონი", მიტჩელის „ზეციური მნათობი", ბომარშეს „სევილიელი დალაქი", ვიქტორ ჰიუგოს „ოთხმოცდაცამეტიდან".

„თითონ თხზულებათა აღმორჩევა, რომელთაც დ. ყიფიანი სთარგმნის ხოლმე, ცხადად გვიმტკიცებს, რომ მას სცენა მიაჩნია იმ დიდ სკოლად, საცა ოსტატად მოწვეულნი უნდა იყვნენ იმისთანა სახელოვანნი კაცნი, როგორც შექსპირი და მოლიერი და სხვა მრავალი მათი მომდევარი გამოჩენილი მწერალი. იმედია, რომ დ. ი. ყიფიანის ხელში სცენა თავის-დღეში ისე არ დამდაბლდება, რომ იგი შეიქმნეს გულისა და ენის გამრყვნელად".[1]—წერდა ი. ჭავჭავაძე.

დ. ყიფიანი კარგად ერკვეოდა ქართულ და რუსულ სამართალსა და კანონმდებლობაში, ამიტომ იყო, რომ უშუალო მონაწილეობას იღებდა 60-იანი წლების საგლეხო რეფორმის პროექტის მომზადების საქმეში და რეფორმის საფუძვლების დამდგენი კომიტეტის მუშაობაში. იგი აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოში სასამართლო რეფორმის განხორციელებას, მისი აზრით, ამ უწყებაში გამეფებულმა მექრთამეობამ და ბიუროკრატიამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია.

არჩილ ჯორჯაძე ჯეროვან შეფასებას აძლევს მის მთელ მოღვაწეობას. „ჩვენთვის ნელ-ნელა ირკვევა ფსიხიური ფიზიონომია დ. ყიფიანისა, იგი უკვე ისახება, როგორც გამბედავი, პირდაპირი და ღირსების გრძნობით გამსჭვალული ადამიანი, ხოლო ჩვენი დახასიათება თანდათან გაფართოვდება და გართულდება, ვეხებით რა დ. ყიფიანის მოღვაწეობის იმ მხარეს, საცა იგი ცხოვრების სოციალ-პოლიტიკური საკითხების გარკვევას და განმტკიცებას სცდილობს".

ამ მხრივ კი მისი ცხოვრება მეტად რთული და მდიდარია. აღიძვრებოდა თუ არა რაიმე ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური საკითხი, დ. ყიფიანია პასუხის გამცემი. მის აზრს აფასებენ და მის რჩევას ეძებენ. მან „უნდა სთქვას 1861 წელს, თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს საბოლოოდ მუსულმანთა პროვინციებში, 1841 წელს უკვე მწესრიგებული ბეგების და აღალარების უფლება-მოვალეობანი. დიმიტრიმ უნდა სთქვას თავისი სიტყვა ბატონ-ყმობის შესახებ. დიმიტრიმ უნდა მოუაროს აფხაზეთის საქმეებს. დიმიტრის ჰკიდებენ ზურგზე მძიმე ტვირთს სამეგრელოს მთავრის „ოპეკისა". არ არის სერიოზული საგანი, პასუხსაგები დავალება, რომ დ. ყიფიანი არ შეაწუხონ. მართალია, მთავრობა ყოველთვის ბრმად არ მისდევდა მას, ხშირად არ ეთანხმებოდა, ბატონ-ყმობის საკითხში უფრო პროგრესულ ნიადაგზეც

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ V, გვ. 41.

იდგა, მაგრამ მაინც საჭიროდ მიაჩნდა მასთან თათბირი, მისთვის ანგარიშის გაწევა".[1]

დ. ყიფიანი იმ დროის ერთ-ერთი მოწინავე პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე იყო, აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1864-1870 წლებში იგი გახლდათ თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, 1876-1879 წლებში თბილისის ქალაქის თავი, 1885-1886 წლებში ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალი. ილია ჭავჭავაძე დ. ყიფიანს წერდა: „მოწყალეო ბატონო, დიმიტრი ივანეს-ძევ, სიხარულით მომილოცნია თქვენი მარშლად დამტკიცება. მომილოცნია მარტო თქვენთვის კი არა, იმერეთისათვის ცალკე ღა ჩვენის ქვეყნისათვის საერთოდ."

დ. ყიფიანის და მისი თანამოაზრეების იდეა იყო დაქსაქსული საქართველოს გაერთიანება, ქვეყნის მრეწველობის და მეურნეობის აღდგენა-განვითარება, იგი ახალ თაობასთან ერთად შექმნის ეკონომიკურ ბაზას, ქართველების პოლიტიკური და კულტურული წინსვლისათვის დააარსებს საადგილმამულო ბანკს.[2]

დ. ყიფიანის ინიციატივით და მისივე თავმჯდომარეობით 1879 წელს დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება," რომელსაც შემდგომში თავმჯდომარეობდა ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანსკი, ხოლო 1884 წლიდან—ი. ჭავჭავაძე. საზოგადოებამ 41 წლის არსებობის მანძილზე მეტად მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა გასწია. 1879 წ. დ. ყიფიანმა ნიკ. ავალიშვილთან, ალ. სარაჯიშვილთან, ი. ბაქრაძესთან და გ. თუმანიშვილთან ერთად შეიმუშავა დრამატული საზოგადოების წესდება, რომელიც მოიწონეს და დაამტკიცეს, მის საფუძველზე დაიწყო საზოგადოებამ ფუნქციონირება. დ. ყიფიანის დამსახურებაა ვორონცოვის დროს ქალაქ თბილისის კერძო სამკითხველოს დაარსება, რომელიც მისსავე ბინაში იყო განთავსებული და რამაც შემდგომში საფუძველი დაუდო საჯარო ბიბლიოთეკის წიგნსაცავის შექმნას. დ. ყიფიანს აქტიური დახმარება გაუწიეს ვახტანგ ორბელიანმა, ზაქ. ორბელიანმა, კონსტ. დადიანმა, ლევან მელიქიშვილმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა, მიხ. თუმანიშვილმა, დიმ. ჯორჯაძემ, გრ.. ორბელიანმა და სხვებმა.

დ. ყიფიანი ასევე მოღვაწეობდა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო

---

[1] არჩილ ჯორჯაძე, წერილები, დ. ყიფიანი, 1989 წ. გვ. 433

[2] მ. გაფრინდაშვილი, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბ. 1988, გვ. 68.

საზოგადოების მუშაობაში. მთელი თავისი ცხოვრება მან ქართველი ერის ინტერესების და მშობლიური ენის დაცვას შეალია.

„სულ სხვა საკითხია—წერს შ. ჩხეტია, თუ როგორ ესმოდა დ. ყიფიანს თავისი სამშობლოს ინტერესები, მაგრამ ის კი უდავოა, რომ მას თავისი ქვეყნისათვის სარგებლობის მოტანა გულწრფელად სურდა და დიდად იღვწოდა ამისათვის, დ. ყიფიანის პატრიოტიზმი სუბიექტურად არასოდეს ყალბი პატრიოტიზმი არ ყოფილა. დ. ყიფიანის გულწრფელობასა და უანგარობაში, სამშობლოსადმი სიყვარულსა და ერთგულებაში არასოდეს არავის ეჭვი არ შეუტანია“.[1]

1886 წ. 24 მაისს თბილისის სასულიერო სემინარიიდან გარიცხულმა იოსებ ლაღიაშვილმა სატევრით მოჰკლა სასულიერო სემინარიის რექტორი პავლე ჩუდეცკი. საქართველოს ეგზარქოსი პავლე ჩუდეცკის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში, სწყეველის მკვლელს და მასთან ერთად მთელ ქართველ ერს. დ. ყიფიანმა ვერ აიტანა ერის შეურაცხყოფა და ეგზარქოსს ასეთი შინაარსის წერილი მისწერა:

„თქვენო მეუფებავ

მიიღეთ ჩემზე მწყემსმთავრული მოწყალება და თუ გავრცელებული ხმებით ვცოდავთ, შემინდეთ ჩემი დიდი შეცოდება. ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიაც სამწყსოდ ხართ მოწოდებული და რომელიც მარტოოდენ სიყვარულსა და მოწყალებას მოელოდა თქვენგან, როგორც ქრისტეს მსახურისა და მისი წარმომადგენლისაგან. იგივე ხმა არ კმაყოფილდება თქვენის ღირსების შეურაცხყოფით. იმასაც ამბობენ, ვითომ თქვენ განზრახვა გქონდეთ ბოდიში მოიხადოთ სამწყსოს წინაშე იმ უცოდვილეს სიტყვების გამო, რომელნიც ვითომ წარმოსთქვით. თუ ყოველივე, მეუფეო, მართალია, თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ შეურაცხმყოფელი ადამიანი შეურაცხყოფილი ქვეყნიდან დაუყონებლივ გავიდეს. ამას მოგახსენებთ წრფელის გულით თქვენი სამწყსოს ერთი წევრი, რომელმაც უნდა თავიდან ააცილოს ქვეყანას ახალი დიდი შეცოდება. ხოლო თუ ყოველივე ეს მართალი არ არის, შემინდეთ და მოიღეთ მწყემსმთავრული ლოცვა-კურთხევა თქვენი ჩემზედა.

თქვენი მეუფების მორჩილი მსახური დიმიტრი ყიფიანი.

8 ივნისს, 1886 წ. სადგური მიხაილოვო“.

„როგორც გინდათ დააფასეთ და განსაჯეთ ეს წერილი. პირადად მე ამ წერილში ერთ იმ ისტორიულ დოკუმენტთაგანს ვხედავ, სადაც ძველს დროში, ასე მჭევრმეტყველურად, ასე სადად, გამარჯვებულად

[1] შ. ჩხეტია, მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლელობაზე. გვ. 336.

აღიბეჭდებოდა ხოლმე სამშობლოს სახელის პატივის და ღირსების დამცველ გმირთა სიტყვები"[1]—წერს არჩილ ჯორჯაძე.

ამ წერილის გამო საქართველოს მთავარმართებელმა დონდუკოვ-კორსაკოვმა ღრმად მოხუცი დ. ყიფიანი ჩრდილო კავკასიაში, ქ. სტავროპოლში გადაასახლა, სადაც დაქირავებული მკვლელის ხელით 1887 წლის 24 ოქტომბერს სიცოცხლეს გამოასალმეს. „ივერია" იტყობინებოდა: „გამოძიება ერთ საოცარს ამბავს მიადგა. დიმიტრისთან ხშრად დაიარებოდა უკანასკნელ დროს ერთი საეჭვო კაცი, ნაცრის-ფერის პალტო ეცვა. ეს კაცი გადაეკიდა დიმიტრის და მოსვენებას აღარ აძლევდა. მოხუცის მკვლელობის შემდეგ ეს საეჭვო კაცი სადღაც გაქრა".[2]

არჩ. ჯორჯაძეს მოპყავს ვალერიან გუნიას მოგონებიდან ადგილები, სადაც ნათლად ჩანს, თუ როგორ განიცადა ქართველმა ხალხმა და მისმა საუკეთესო შვილებმა დ. ყიფიანის გარდაცვალება. სწორედ კვირას, 25 ოქტომბერს, როცა თეატრში გაცხარებული მუშაობა იყო, გაერცელდა ხმა დიმიტრი ყიფიანის მოკვლისა. ვანო მაჩაბელი მთლად გაფითრებული, ხელებაკანკალებული, ნერვიულად წამდაუწუმ გაიძახოდა: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო", თითქოს სული შეეხუთაო, ბოლოს ვანო მაჩაბელი ბანკისაკენ გაექანა. ჩვენც გავყევით, მაშინვე კაცი აფრინა ილია ჭავჭავაძესთან... მალე მოვიდა თვითონ ილიაც წარბშეკრული და პირმოკუმული... ვანო მაჩაბელს ნერვიული ქვითინი აუვარდა. ილიას ჯერ ქვემო ტუჩმა დაუწყო თრთოლვა და მერე გაწითლებულ თვალთაგან ცრემლები წამოსცდა, მე არასოდეს არ მინახავს ასეთი ჩუმი, მუნჯი და იმავე დროს უაღრესად მეტყველი მწუხარება.[3]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის დ. ყიფიანის ილიასეული შეფასება: „ერთმა ჩვენმა მეგობარმა გვითხრა: „იგი (დ. ყიფიანი) იყო კაციო, რომელიც თავის დღეში არ იტყოდა „ჰოს", როცა მისი გული ამბობდა „არას". ძნელია უკეთესად გამოთქვა ადამიანის ღირსებისა; დიახ დიმიტრი ყიფიანი იყო მართალი კაცი".[4]

ი. ჭავჭავაძე, დ. ყიფიანის მკვლელობის გამო, 30 ოქტომბერს გაზეთ „ივერიაში" წერდა: „ყველა სწუხს, ყველა ჰგლოვობს, ყველა მისტირის უკან დ. ყიფიანსა: დიდი თუ პატარა, ყრმა თუ ხნიერი, სწავლული თუ უსწავლელი, მაღალი თუ მდაბალი, ნაცნობი თუ უცნობი, მახლობელი თუ შორეული—ყველანი ერთად და თვითოეული ცალ-ცალკე ჰგრძნობს, რომ რაღაც დააკლდა, რაღაც დაეკარგა, რაღაც ძარღვი ჩასწყდა გულში.

---

[1] არჩილ ჯორჯაძე, წერილები, დ. ყიფიანი, 1989 წ. გვ. 575
[2] იქვე, გვ. 581
[3] იქვე. გვ. 584
[4] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. V, თბ. 1991 გვ. 393-395

რა არის ყოველ ამისი მიზეზი?

...მით, რომ იგი იყო კაცი, რომელსაც გულში ჩაჭდეული ჰქონდა,

რომ უნებურს გემოს სჯობია

ნებითა უგემებანი.

იგი იყო კაცი, რომელსაც სიყმაწვილის დღიდანვე ბოლოს ჟამამდე სამართალი მიუძღოდა ეთქვა:

ჩემი ნავი ნაღვლის ზღვასა

შევაცურე სარგებელად,

ან დავითქმი, ან მარგალიტს

ამოვიღებ, ვიგდებ ხელად.

იგი იყო კაცი, რომელიც, როცა ბედნიერი იყო, ვერც ბედნიერებამ წაიცდინა, ვერც უბედურებამ დაიტყვეა, რადგან იცოდა, რომ

ბრძენი არც იშვების ფრიადა,

არც დია შეწუხდებისა.

იგი იყო კაცი, რომელსაც რჯულად ჰქონდა შეთვისებული, რომ

სჯობს სიგლახაკე სიმართლის,

ცრუს დიდსა გამდიდრებასა.

იგი იყო კაცი, რომელსაც ცხოვრების საგზაოდ ერთი საჭირნახულო მცნება ჰქონდა:

სჯობს ტყუილით ქვეყოფნასა,

ზე სიმართლით ავიბარგო.

აღარ არის დ. ყიფიანი, აღარ არის ის, ვისაც

ფეხი მთებრ ედგა ქვეყანად,

ტინურად განმტკიცებული".[1]

მიუხედავად იმ პერიოდის ცენზურისა, ი. ჭავჭავაძემ ამ მწერილის გარდა, კიდეც შეძლო დ. ყიფიანის მკვლელობის გამო „ივერიაში" 3 და 7 ნოემბერს ორი წერილი მოეთავსებინა, სადაც ქართველი ხალხის დიდი მწუხარება იყო გამოხატული. ვის შეეძლო მაშინ იმის წარმოდგენა, რომ ზუსტად 20 წლის შემდეგ უკეთურნი კვლავ ააცრემლებდნენ სრულიად საქართველოს, ვერაგულად მოკლავდნენ მის უპირველეს შვილს, დიდ ილიას, ამ წერილების ავტორს.

მადლიერმა ერმა დ. ყიფიანის ცხედარი თბილისში გადმოასვენა. „ძვირფას ცხედარს ზღვა ხალხი მოსდევდა—წერს თ. სახოკია,—მრავლად იყვნენ ჩამოსულები ქუთაისიდან. დ. ყიფიანის, როგორც საქართველოს და ქართველთათვის წამებულის და ცარიზმის მსხვერპლის დასაფლავება ეროვნულ დემონსტრაციად უნდა გადაქცეულიყო".

სწორედ ამის ეშინოდა დონდუკოვ-კორსაკოვს და დიდხანს ყოყმა-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. V, თბ.1991 გვ. 393-395

ნობდა, დათანხმებულიყო თუ არა დ. ყიფიანის ნეშტის ჩამოსვენებაზე სტავროპოლიდან საქართველოში. მართალია, უარის თქმა ვერ გაბედა, მაგრამ მოინდომა დ. ყიფიანის ნეშტი ჩამოესვენებინათ ქვიშხეთში და იქ დაეკრძალათ. ამაზე ქართველი საზოგადოების დიდ წინააღმდეგობას წააწყდა და იძულებული გახდა დათანხმებულიყო, რომ დ. ყიფიანის ნეშტი სტავროპოლიდან მცხეთაში ჩამოესვენებინათ, ხოლო აქედან სასწრაფოდ უნდა დაეკრძალათ მთაწმინდაზე, ისე, რომ ჭირისუფალს ეკლესიაში დასვენების უფლებაც არ მიეცა პანაშვიდის გადასახდელად. ქალაქში აკრძალული იყო ცხედრის გატარება, დამკრძალავ პროცესიას ნება ჰქონდა მხოლოდ ჭავჭავაძის, გრიბოედოვის და დავიდოვის ქუჩებით გაევლო.

დ. ყიფიანის დაკრძალვამ მიუხედავად პოლიციის მიერ მიღებული ზომებისა, პოლიტიკური დემონსტრაციის ხასიათი მიიღო, ხალხმა დ. ყიფიანის ცხედარი გამოატარა გოლოვინის პროსპექტით (მთავარმართებლის სასახლის წინ), სასახლის ქუჩით, ერევნის მოედნით, სოლოლაკის ქუჩით და ლაბორატორიის ქუჩით (გუბერნატორის სახლის წინ).

თბილისის გუბერანტორი ზისერმანი მოხსენებაში 8 ნოემბერს დონდუკოვ-კორსაკოვს წერდა: „... თქვენი ინსტრუქციის თანახმად, მაშინვე ვუბრძანე პოლიცმეისტერს განკარგულება გაეცა, რათა პროცესიას არამც და არამც არ შეეცვალა მიცემული მარშრუტი... მაგრამ, ამისდა მიუხედავად, პროცესია მუსიკითა და ნაციონალურ კოსტუმებში გამოწყობილი ახალგაზრდობით გაემართა“...

ქართველმა ხალხმა გულწრფელად დაიტირა დ. ყიფიანი, მის მკვლელობას კი ასეთი შეფასება მისცა არჩილ ჯორჯაძემ:

„დ. ყიფიანის სიკვდილი სწორედ ის ღერძი იყო, რომელმაც გარდაქმნა და განაახლა ქართველი ინტელიგენციის თვითშეგნება და შემეცნება. იმ მოხუცის წყალობით, მთაწმინდაზე რომ მიწას აბარია, გადაჭრით და სამუდამოდ გამოვერკვიეთ ძილისა და ბურანისაგან, მაშ, განისვენე მშვიდობიანო და დიდო მოხუცო, შენი სახელი კი აღბეჭდილია ქართულ ეროვნულ შემეცნების ისტორიაში“.[1]

დიმიტრი ყიფიანის, როგორც პოლიტიკოსის მიღვაწეობა, ცარიზმის წინააღმდეგ ფარულ შეთქმულებაში მონაწილეობით დაიწყო და საქართველოში თვითმპყრობელობის ხელისუფალთა წინააღმდეგ აშკარა გალაშქრებით დამთავრდა. პირველად მას ციხე და გადასახლება ერგო წილად, მეორედ სიკვდილი. ორჯერ დამარცხდა იგი, მაგრამ ეს ფიზიკური დამარცხებანი გაცილებით უფრო დიდი მორალური გა-

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 153.

მარჯვებანი იყო, ვიდრე მისი უდიდესი წარმატებანი მეფისა და თავადაზნაურობის სამსახურში.[1]

დ. ყიფიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე ენერგიულად ეწეოდა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი სამსახურის მძიმე ტვირთს, ამას გარდა, შეიძლება ითქვას, საქართველოში არ წამოწყებულა არც ერთი ცოტად თუ ბევრად ეროვნული მნიშვნელობის საქმე, რომლის მოთავე ან მონაწილე ის არ ყოფილიყო, ამიტომაა, რომ ხალხმა სამართლიანად შეადარა დიმიტრი თავდადებულს.

დიმიტრი ყიფიანის პიროვნებისა და მისი პოლიტიკური რწმენის დახასიათებით არჩილ ჯორჯაძემ გვაჩვენა გასული საუკუნის 30-იანი წლების სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული გარემოს მიერ შექმნილი ქართველი მოღვაწე-ინტელიგენტის სახე. იგი შეგუებულია ახალ ისტორიულ სინამდვილეს და ერთგულად ემსახურება მეფის რუსეთს, რადგან ამგვარ პოლიტიკაში ხედავს თავისი ერის სამსახურის ყველაზე გამართლებულ გზას. მაგრამ, როგორც ვნახეთ, თვით ცხოვრების სინამდვილემ გამოამჟღავნა ამ გზის სუსტი მხარეები, რამაც დიმიტრი ყიფიანის მსგავსი ადამიანების სრული გულგატეხილობა გამოიწვია.

ამიტომაა, რომ არჩილ ჯორჯაძე მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე საგანგებოდ იყო დაინტერესებული დიმიტრი ყიფიანის პიროვნებით, მისი მოღვაწეობის ობიექტური და სუბიექტური მხარეებით, როგორც თვითონ შენიშნავს, „მისი რთული და მრავალფეროვანი ცხოვრება შუქს ჰფენს ქართული საზოგადოებრივ განვითარების აზროვნების ისტორიას".[2]

დიმტრი ყიფიანის ხასიათი და განწყობილება, არჩილ ჯორჯაძის აზრით, ჯერ კიდევ 1832 წლის შეთქმულების პროცესში გამოვლინდა. იგი ამ შეთქმულების მონაწილე იყო, მაგრამ „როდესაც საქმე მოქმედებამდე მივიდა, დიმიტრიმ შეთქმულებათა წრეს თავი დაანება. გრძნობდა. რომ დიდი სისხლის ღვრა უნდა მომხდარიყო და შეღრკა. დიმიტრი მშვიდი და ჩაფიქრებული ბუნების კაცი იყო. მეამბოხეობა მის გულს არ ეთვისებოდა".[3] დიახ, ა. ჯორჯაძის წარმოდგენითა და შეფასებით, დიმიტრი ჭეშმარიტი ინტელიგენტი და პატრიოტია, მაგრამ მისი სული ბრძოლის რადიკალურ მეთოდებს ვერ ეგუებოდა, თუმცა სწამდა, რომ შეიძლებოდა ერთმანეთთან მოერიგებინა მეფის რუსეთის ადმინისტრაციის ერთგული სამსახური და სამშობლო ქვეყანაზე ზრუნვა. იგი დიდად აფასებდა რუსეთის როლს საქართველოს გამოხსნის და გაერ-

---

[1] მ. გაფრინდაშვილი, დას. ნაშ. გვ. 67

[2] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ 158

[3] იქვე, გვ. 158-159

თიანების საქმეში.[1] მართლაც, თავისი მოღვაწეობის საკმაოდ გრძელ გზაზე დიმ. ყიფიანი ამ პრინციპის ერთგული დარჩა. „იგი შემთხვევითი მსხვერპლი იყო „შეთქმულებისა". მართალია, ჩვენში დამყარებული წესები არ მოსწონდა, მაგრამ რუსეთისადმი ღალატი ფიქრადაც არ მოსდიოდა. რუსეთს ჩააბარეს საქართველო ქართველმა მეფეებმა (ასე სწამდა დიმიტრის). „რუს მეფეებმა მიიღეს საქართველო თავიანთ ქვეშერდომობაში".[2] დიმიტრი ყიფიანის პოლიტიკური აზრის ასეთი ფორმირება შემთხვევითი არ იყო. როგორც მ. გაფრინდაშვილი წერს, „დიმიტრი ყიფიანი იმ სოციალურ წრეში აღიზარდა, რომელსაც მეფის ხელისუფლების უარყოფა „ფრანგულ რესპუბლიკანობად მიაჩნდა". არჩილ ჯორჯაძე სამართლიანად აკრიტიკებს დიმიტრი ყიფიანს იმისათვის, რომ იგი თვლის, თითქოს საქართველოს რუსეთთან შეერთება მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ინიციატივა იყოო. ამ შეცდომის აღნიშვნა საჭიროდ მიგვაჩნია, რადგან ამ შეცდომის წყალობით, რომელიც აშკარაა, უნებური იყო დიმიტრის მხრივ, წარსული ისტორიის მეცნიერულად შეუსწავლელობის გამო, განსაზღვრული ელფერი მიეცა დიმიტრი ყიფიანის პოლიტიკურ აზროვნებას, რომელსაც იგი არ ღალატობდა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე და რომლის აღიარებამ ტრაგიკული ხასიათი მისცა მის მოღვაწეობას.

დიმ. ყიფიანის ამგვარი მოღვაწეობის ღრმა და ობიექტურმა ანალიზმა არჩილ ჯორჯაძეს ათქმევინა:

„დიმ. ყიფიანი პრინციპის და მოვალეობის კაცი იყო, როდესაც მან, სახელმწიფო სამსახურში შესვლის დროს (ვოლოგდიდან), სადაც გადასახლებული იყო, დაბრუნებისას გადაწყვიტა, რომ ქართველი ინტელიგენციის მოვალეობაა მეფის ერთგულება, რომ ეს ერთგულებაა მისი სამშობლოს განვითარებისა და აყვავებისა, მას ამ მოვალეობისათვის სიკვდილამდე არ უღალატნია, მაგრამ დ. ყიფიანი ჩვენთვის სრულიად არ იქნებოდა საინტერესო, ამ ერთგულების მეტი სხვა რამ რომ არა ყოფილიყო მის ცხოვრებაში აღსანიშნავი. დიმიტრი ერთგულებას სერიოზულად უყურებდა. მის თვალში ეს იყო საშუალება ქართული ეროვნების დაცვისა, და მან მოინდომა კიდევაც ეროვნების დაცვა ერთგულების საშუალებით და როდესაც ამგვარი მისი მოქმედება არ შეიწყნარეს, უკან არ დაიხია და „ფორმულის" გულისათვის „მამულს" არ უღალატა და მსხვერპლადაც შეეწირა".[3]

ამრიგად, არჩ. ჯორჯაძის რწმენაში დიმიტრი ყიფიანი ის ქართვე-

---

[1] მ. გაფრინდაშვილი, დახ. ნაშ. გვ. 68

[2] არჩილ ჯორჯაძე, წერილები, დ. ყიფიანი, 1989 წ. გვ. 407

[3] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძის, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 158-159

ლი ინტელიგენტი და მოღვაწეა, რომელსაც „მთავრობის სამსახური მიაჩნდა თავისი ერის სამსახურის საშუალებად“.[1] იგი დარწმუნებული იყო, რომ მთავრობას სიკეთე უნდოდა და ჰკისრულობდა, ამ აზრის მიხედვით, იმგვარი საქმეების მოწესრიგებას, რასაც ჩვენ დღეს ეჭვის, უნდობლობისა და გმობის თვალით ვუყურებთ.[2]

ამავე აზრს ანვითარებს დ. ყიფიანის შემდგომდროინდელი მკვლევარი შ. ჩხეტია. მან არაერთხელ განიცადა დევნა და შევიწროება... სწორედ მეფის ხელისუფლებისაგან, სწორედ მეფის კანონების სახელით. მოსალოდნელი იყო, რომ ახლა მაინც გამოიცვლიდა დ. ყიფიანი თავის აზრს მეფის კანონების შესახებ. მაგრამ... დ. ყიფიანი კვლავ მეფის კანონებისა და კანონიერების ნიადაგზე დგას და მათზე დაყრდნობით ცდილობს თავის გამართლებას და თავის მოწინააღმდეგეთა (კავკასიის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა) გამტყუნებას. მას იმედი აქვს, რომ ამ უკანასკნელთა დანაშაული გაირკვევა და ის გამართლებული იქნება, ამის გარანტიად მას მეფის მართლმსაჯულება მიაჩნია“.[3]

არჩილ ჯორჯაძე თავის მსჯელობაში, პირდაპირ თუ მინიშნებით, აქცენტს აკეთებს იმ გარემოებაზე, რომ დიმიტრი ყიფიანი, როგორც მეფის ერთგული მოხელე, თავისუფალი იყო ყოველგვარი სეპარატისტული განწყობილებისაგან და გამოხატავდა ქართველი თავადაზნაურობის პოლიტიკურ აზროვნებას: „ერთგულება ღვთისა“, „ქვეშევრდომობა ხელმწიფე იმპერატორისა და სამშობლოსათვის თავდადება“. დიმიტრის ღრმად სწამდა, რომ ამ ფორმულის ელემენტებს შორის სრული ჰარმონია და თანხმობაა, ქვეშევრდომობა არ ეწინააღმდეგება სამშობლოსათვის თავგანწირვას, საქართველო და რუსეთის თვითმპყრობელობა ერთმანეთს აძლევენ ხელს და ურთიერთის საფუძვლად ისახებიან.[4]

დ. ყიფიანი, ისე როგორც, ს. დოდაშვილი, არ იზიარებდა შეიარაღებული აჯანყების და სისხლისღვრის ტაქტიკას და ლიტერატურულ-განმანათლებლურ პროპაგანდას აძლევდა უპირატესობას. ქართველი ხალხის ეროვნული ჩაგვრაში დ. ყიფიანი ბრალს დებდა არა თვითმპყრობელობას, არამედ საქართველოს ადმინისტრაციას. მისი აზრით, უვარგისი იყო არა სისტემა, არამედ პოლიტიკა, ამიტომ დ. ყიფიანი ებრძოდა არა მონარქიზმს, არამედ მონარქისტ მოხელეებს, რომლებსაც ვითომდა არ ესმოდათ ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები. ამ გულუბრყვილობის შედეგიც იყო მისი ერთი მხრივ, თავდადებული

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 161

[2] იქვე გვ. 160-161

[3] შ. ჩხეტია, მასალები დ. ყიფიანის მკვლელობაზე, საისტორიო მოამბე, 1947

[4] არჩილ ჯორჯაძე, წერილები, დ. ყიფიანი, გვ. 561

სამსახური ტახტისადმი და მეორე მხრივ, თაგანწირული ბრძოლა იმავე ტახტის მიერ საქართველოს მმართველებად დანიშნულ საერო და სასულიერო მოხელეთა წინააღმდეგ.[1]

ზემოთქმულის გამო, იგი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მისაღები მოხელე უნდა ყოფილიყო მეფის რუსეთის ადმინისტრაციული აპარატისათვის. მაგრამ ბოლომდე ვერც მისი არსებობა აიტანეს, ვინაიდან იგი არ ივიწყებდა არც საშშობლოს, მშობლიურ ხალხს და ზრუნავდა მის კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებასა და აღორძინებაზე, ამგვარმა ვითარებამ ბოლოს ის—„მოტყუებული რაინდიც"—გამოაფხიზლა, მიახვედრა თავის შეცდომას, რის შემდეგ მხოლოდ ისღა დარჩა, რომ მამულისათვის ეღალატნა ანდა მსხვერპლად შეწირვოდა. მან ეს უკანასკნელი გზა აირჩია.

არჩ. ჯორჯაძის შეხედულებით, დ. ყიფიანი ფიქრობდა, რომ „ჩვენ რუსეთის ქვეშევრდომნი ვართ და ამავე დროს, ქართველნი... ქართველობით გვინდა გამოვიდეთ კულტურულ ასპარეზზე, მაგრამ იცოდეთ კარგად, რომ „ქართველობა" მოითხოვს ქართულ საზოგადოებრივ დაწესებულებათა არსებობას, ქართული ენის უზრუნველყოფას სკოლებსა და ეკლესიაში. თუ ამას არ გვანებებთ, ჩვენი ქართველობა შეილახება და თუ შეილახება ქართველობა, შეილახება ჩვენი ერთგულების გრძნობაცაო. იმ ხანებში უფრო ფართოდ საკითხის დაყენება შეუძლებელი იყო. ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება ახლად ფეხადგმული იყო და საზოგადოებას არც ძალა, არც სიმწიფე, არც უნარი ჰქონდა ჯერ ხნობით პოლიტიკურ ეროვნულ მოთხოვნილებათა წამოყენებისათვის. დიმ. ყიფიანმა ალღო აუღო თავის დროის ვითარებას და უგნურ რაინდობას"...[2] მის წინაშე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დადგა „მწვავე და მძიმე განსაცდელი—ქედის მოხრა, უარყოფა პრინციპისა და მორჩილება უსიტყვო, დამამცირებელი, სინდისის და პატიოსნების შემლახველი, ამ ხანაში დიმიტრი უკვე 73 წლის მოხუცი იყო, და ამ მოხუცმა ქედის მოხრა არ მოინდომა".[3]

დიმიტრი ყიფიანს, როგორც ცნობილია, სიცოცხლის ფასად დაუჯდა ასეთი საქციელი, მაგრამ მისმა ამგვარმა სიკვდილმა დიდი გამოძახილი, შეშფოთება და დაფიქრება გამოიწვია. თავისი აღსასრულით მან უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხისა და მისი ინტელიგენციის გამოფხიზლებაში, რისთვისაც დიდმა ილია ჭავჭავაძემ „მადლის მქმნე-

---

[1] მ. გაფრინდაშვილი, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები, თბ. 1988 წ. III, გვ. 70.

[2] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 167.

[3] იქვე, გვ. 172.

ლი ადამიანი" უწოდა. ქართული პრესა და ქართველი საზოგადოებრიობა აშკარად მსჯელობდა მომხდარი ტრაგედიის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე. ამასთან დაკავშირებით, არჩ. ჯორჯაძე გარკვევით წერს: „ყოველივე აშკარა და ნათელი გახდა. ნათელი გახად არა მარტო ის, რომ მოკვდა პატიოსანი და კეთილშობილი მოხუცი, არამედ ისიც, რომ მასთან ერთად მოკვდა სხვა რამეც,—ის, რაც ინტელიგენციის მოქმედებას აზრს და შინაარსს აძლევდა. მოჰკლეს დიმიტრი, ხოლო ამასთან მოკლეს პოლიტიკური სარწმუნოების სიმბოლო, რომელზეღაც პირველ ადგილზე ერთგულ ქვეშევრდომის მოვალეობა ეწერა. ამ დროიდან იწყება ქართული ინტელიგენციის გულში ახალი სულიერი მუშაობა, ნების და მოქმედების ახალი ორიენტაცია".[1]

ამის თაობაზე წერს მ. გაფრინდაშვილი, რომ დიმიტრი ყიფიანი იყო შეუდრეკელი ოპოზიციონერი ქართული პოლიტიკური რომანტიზმისა, უკანასკნელი იდეოლოგი და პოლიტიკური რეალიზმის უპირველესი დამფუძნებელი, რომელმაც პრაქტიკულ პოლიტიკად აქცია ადრინდელი განმანათლებლური იდეები ერთსა და იმავე დროს მეფისა და ერისადმი სამსახურის, ფეოდალიზმის კონსერვატიულ მხარეთა უკუგდების და ქვეყნის ევროპიზაციის გზით ერთიანი და ძლიერი საქართველოს შექმნის თაობაზე. დიმიტრი ყიფიანის პოლიტიკური მსოფლმხედველობა მთელი ადრინდელი ქართველი განმანათლებლობის გვირგვინი იყო, თვითონ დიმიტრი ყიფიანი კი XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უკანასკნელი რაინდი.[2]

როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძე დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობასა და ტრაგიკულ სიკვდილს სრულიად სამართლიანად ანიჭებს ფართო საზოგადოებრივ და ეროვნულ მნიშვნელობას.

ძნელი მისახვედრი არაა, თუ რისი თქმა სურს მას დ. ყიფიანის პიროვნების დახასიათებით. მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ცარიზმის ერთგულებას არ შეუძლია რაიმე სიკეთე მისცეს კოლონიური ჩაგვრის ქვეშ მყოფ ქართველ ერს, ბრძოლისა და შემოქმედების უფრო რეალური გზა უნდა აირჩიოს, უფრო მეტად. იზრუნოს საკუთარი მეობის შენარჩუნებისა და პოლიტიკური თავისუფლებისათვის.

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძის, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 174-175

[2] მ. გაფრინდაშვილი, დას. ნაშ. გვ. 67

ილია ჭავჭავაძე
(1837–1907)

ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში XIX საუკუნე წყვდიადის განათებისა და ქართული ფენომენალური აზროვნების გაბრწყინების პერიოდია, ეროვნული სულის გაღვიძება-გაჯანსაღებისა და ამაღლების ხანაა. ამ დროისათვის არაერთი მწერალი თუ პროზაიკოსი-პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე გამოჩნდა შემოქმედებით ასპარეზზე. ილია ჭავჭავაძე იყო ის მამოძრავებელი ღერძი, რომლის გარშემოც დაირაზმნენ იმდროინდელი ქართველი ფენომენალები.

იშვიათია პიროვნება, რომელსაც იმდენი გაეკეთებინოს ერის სულიერი აღორძინების საქმეში, რამდენიც ი. ჭავჭავაძემ შესძლო. მისი ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობა უაღრესად ნაყოფიერი და მრავალფეროვანია: მწერალი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, აგრეთვე, პრაქტიკული საქმიანობა რედაქციაში, ბანკში, თეატრში, სასამართლოში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში და ა.შ. თავდაუზოგავი ბრძოლა სამშობლოს უკეთესი მერმისისათვის ლეიტმოტივად გასდევს ი. ჭავჭავაძის შემოქმედებითსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

მრავალი წერილი, სტატია, გამოკვლევა თუ მონოგრაფია დაიწერა ილია ჭავჭავაძის შესახებ. სათანადოდაა შეფასებული მისი უმდიდრესი მემკვიდრეობა, მაგრამ მაინც იმდენად ამოუწურავია მისი შემოქმედება, რომ მომავალ თაობებსაც ეყოფა შესასწავლად, საკვლევად და სააზროვნოდ.

იგი თავისი დროის შვილი იყო და, რა თქმა უნდა, მის პოლიტიკურ აზროვნებაზე ეპოქამ იქონია გავლენა. „ქართულ დვრიტასთან ერთად, ილიას პოლიტიკური მსოფლმხედველობის გამომუშავებაზე გავლენა იქონია რუსეთის რევოლუციური დემოკრატების პლეადამ (ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ბელინსკი, გერცენი), მწერალმა რუსეთის რევოლუციური დემოკრატების იდეები თავისი დამონებული სამშობლოს სპეციფიკურ ვითარებას შეუფარდა, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიას ერთ-ერთ ფუძედ დაუდო. ილია სტუდენტობის დროს არა მხოლოდ გაეცნო რუსეთის რევოლუციური დემოკრატების იდეოლოგიას, არამედ პირადი ნაცნობობაც აკავშირებდა

მათს ლიდერთან ნ. ჩერნიშევსკისთან. როდესაც ილია დაუახლოვდა ჩერნიშევსკისა და მის ჯგუფს, იგი ინტელექტუალურად დავაჟკაცებული მწერალი და მოაზროვნე იყო—ავტორი „აჩრდილის", „კაკო ყაჩაღის" და „გლახის ნაამბობისა". ბევრით ენათესაურებოდნენ ერთმანეთს ეს ორი მოაზროვნე: ჩერნიშევსკი—მეთაური რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობისა რუსეთში და ილია—წინამდგომი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა საქართველოში.[1]

ჭეშმარიტად, XVIII-XIX ს.ს. მიჯნაზე მოხდა ეპოქალური გარდატეხა ქართველი ხალხის ცხოვრების ისტორიაში. ძველ საქართველოსთან ერთად დასრულდა ქართული მწერლობისა და პოლიტიკური აზროვნების განვითარების კიდევ ერთი პერიოდი. XIX ს. პირველ ნახევარში ყალიბდება და გზას იკვლევს ახალი ეპოქის შესატყვისი ქართული ფენომენალური აზროვნება, როგორც მწერლობაში, ასევე პოლიტიკურ სფეროში, რომლის სათავეებთან, თანამოაზრეებთან ერთად, ილია ჭავჭავაძე იყო. ვინც იცნობს მის მრავალფეროვან შემოქმედებას, დარწმუნდება, რომ არ არსებობს ცხოვრების არც ერთი სფერო, რომელსაც მწერალი არ შეხებოდა და თავისი კომპეტენტური მოსაზრება და შეხედულება არ ჩამოეყალებინა. „ასეთი მრავალმხრივი მოღვაწე და მწერალი, ასეთი მრავალწახნაგოვანი, მრავალფეროვანი, მრვალსახოვანი, ზეგარდმო ნიჭით ცხებული პიროვნება ქართულ მწერლობას არც ჰყოლია და არცა ჰყავს. ილია ჭავჭავაძემ ქართველთათვის გულიდან და გონებიდან დააფრქვია იმ ღვთაებრივი ცეცხლის კორჩხლები და ნაპერწკალი, რაც პრომეთემ ადამიანებს მიუძღვნა. მისი ამდაგვარი მოქმედება ქართველთ მხოლოდ სიამაყის გრძნობით აღავსებთ. მისმა ენებიანმა ლტოლვამ თავისუფლებისაკენ ახალი სიხარულით დამუხტა და შეუდრეკელი ბრძოლის ჟინით აავსო მის თანამედროვე და მომდევნო თაობათა გონება და გულები".[2]

მან ჯერ კიდევ პეტერბურგში სწავლის დროს თავის გარშემო შემოიკრიბა სტუდენტი ახალგაზრდობა, რომელთაც შემდგომ ჩამოაყალიბეს „პირველი დასი". 1861 წელს იგი სამშობლოში ბრუნდება, კვლავ შეხვდება თერგსა და მყინვარს, იწერება მისი პუბლიცისტურ-მხატვრული შედევრი „ვლადიკავკასიდამ ტფილისამდე", ლელთლუნიას პირით საქვეყნოდ აცხადებს თავის სათქმელს. ესაა უმშვენიერესი წამი ჩვენს ცხოვრებაში, წამი, რომელმაც ერთბაშად გახადა ცნობილი ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება თავის ქვეყანასთან, მშობლიურ ხალხთან.[3]

1863 წელს იგი აარსებს „საქართველოს მოამბეს", რომელიც „პირ-

---

[1] ქართული მწერლობა, თბ. 1984 წ. გვ. 429.

[2] ე. მაღრაძე, მოძღვარი, თბ. 1987 წ. გვ. 3

[3] იქვე.

ველი დასის“ ანუ „თერგდალეულთა“ ტრიბუნად იქცა, მაგრამ ჟურნალმა, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთ წელიწადს იარსება.

1863 წ. ილია ჭავჭავაძე დაქორწინდა თადეოზ გურამიშვილის ასულ ოლღაზე. ამავე პერიოდში იწყებს სამსახურს. იგი დაინიშნა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან საგანგებო მინდობილობათა მოხელედ, 1864 წლის ნოემბრიდან კი მომრიგებელ შუამავლად გადაიყვანეს აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც რამდენიმე წელიწადს იმუშავა, ხოლო 1868 წლიდან დუშეთის მომრიგებელ მოსამართლედ ინიშნება. 1873 წელს თბილისში გადმოდის სამუშაოდ. მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ ბანკს. 1876 წელს დააარსა პოლიტიკურ-ლიტერატურული ყოველკვირეული გაზეთი „ივერია“, რომლის გარშემოც შემოიკრიბა ერის კულტურული ცხოვრების ყველა ძალა და მოუწოდა გაზეთთან ეთანამშრომლა ყველა მწერალს, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს, 1879-1880 წ.წ. ილიას თავგანწირვითა და დაუცხრომელი ზრუნვით აღდგა ქართული თეატრალური დასი. 1900 და 1901 წელს იგი ევროპაში იმყოფებოდა სამკურნალოდ. მწერალმა 1905 წლიდან ხელახლა წამოაყენა პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა. 1906 წლის მარტში პეტერბურგში ჩავიდა სრულიად რუსეთის თავადაზნაურობის საიმპერიო ყრილობაზე, როგორც საქართველოდან გაგზავნილი დელეგატი—ამომრჩეველი სახელმწიფო საბჭოსი. 1906 წლის აპრილში აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრად. 1907 წლის თებერვალში იგი კვლავ რუსეთს გაემგზავრა, სახელმწიფო საბჭოს სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

ილია თვითონ წერდა: „სახემწიფო საბჭოში მე ამომირჩია თავადაზნაურობამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო თავადაზნაურთა საჭიროებაზე ვილაპარაკებ. თუ ამას ჰფიქრობენ ზოგნი ჩემნი ამომრჩეველნი—ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში თუ თავადაზნაურთა სახელით შევდივარ, ეს მხოლოდ ფორმალური იურიდიული მხარეა. არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები“.[1]

ი. ჭავჭავაძეს საქართველოს პოლიტიკური თვითმმართველობის პროგრამაც მზად ჰქონდა, რომლის გატანასაც აპირებდა სესიაზე. „მე მომიხდება დავიცვა ფართე თვითმმართველობა კანონმდებლობითი უფლებით“—ამბობდა იგი. მას საკითხთა ფართო სპექტრი ჰქონდა დამუშავებული. მათ შორის, აგრარული საკითხი, სახელმწიფო საბჭოს მუშაობის რეგლამენტი და ა. შ.

---

[1] მ. ბოლქვაძე, ილია ჭავჭავაძე რუსეთში 1906, 1907 წ.წ. ჟურნ. „განათლება“, 1908 წ. №3-4 გვ. 108.

ილია სახელმწიფო საბჭოში მემარცხენე ფრთას წარმოადგენდა. არსებობს საბჭოს სესიებზე მისი ოფიციალური გამოსვლების მასალები. ის სახელმწიფო სათათბიროს ეროვნულ უმცირესობათა დეპუტატების კავშირმა მიიწვია როგორც სრულუფლებიანი წევრი და მონაწილეობას იღებდა კავშირის თათბირებში.

აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის განზრახვა—1907 წელს აპრილ-მაისის საბჭოს განახლებულ სესიებზე გამოსულიყო სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. ამ საკითხთან დაკავშირებით მასვე უკისრია ვრცელი მოხსენების გაკეთება. ამის თაობაზე იგი წერდა: „სამი რამ საბუთია წინააღმდეგ სიკვდილით დასჯისა: ა) აჩლუნგებს გრძნობას ბუნებრივს, რომელსაც სისხლი ეზიზღება და ხშირის ნახვით კი ყურიც ეჩვევა და გრძნობაც.

ბ) არყევს ზნეობას, რადგანაც ართმევს იმას, რის მიცემაც არ შეუძლიან.

გ) შეცდომა დასჯისა აღარ სწორდება და უდანაშაულოს ჰკლავს".[1]

ილია ჭავჭავაძის უმაღლეს საბჭოში მოღვაწეობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის მისი თანამედროვე ჟურნალისტი მ. ბოლქვაძე და ცნობილი რუსი მეცნიერ-იურისტი მაქსიმე კოვალევსკი, რომელიც ასევე უმაღლესი საბჭოს წევრი ყოფილა. მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ძირეული გარდატეხა შეიტანა პოლიტიკურ პარტიათა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლამ, მათ შორის—სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც ახალი იდეოლოგიისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოთავეებად გამოდიოდნენ როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში და რომელთა ძირითად მიზანს მონარქიული ხელისუფლების დამხობა, კერძო საკუთრების გაუქმება, სოციალური თანაბრობის დამყარება წარმოადგენდა. ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მათ პროგრამაში არ იყო გათვალისწინებული, პირიქით, ამ იდეით გამსჭვალულ პირებს მტრად მიიჩნევდნენ.

პოლიტიკურ პარტიათა დაპირისპირებულობამ, შექმნილმა არასტაბილურმა პირობებმა ასპარეზზე გამოიყვანა ბევრი ხელმოცარული უწიგნური. ბუნებრივია, ქართველ საზოგადოებას სჭირდებოდა საღად მოაზროვნე პიროვნება, რომელიც შეეცდებოდა პოლიტიკურ ძალთა სწრაფვა ერთი მიზნისკენ წარემართა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ყველას ფიქრად ექცია.

ილია ჭავჭავაძე ცდილობდა ამას. უნდოდა, ქვეყნის პოლიტიკურ მოძრაობაზე, და მათ შორის—სოციალ-დემოკრატებზეც მოეხდინა კეთილისმყოფელი გავლენა, ჩაეყენებინა ისინი ერის სამსახურში, მაგ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ., X, გვ. 465.

რამ ამ ცდებს შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, სოციალ-დემოკრატები შეუერთდნენ იმ ძალებს, რომლებსაც მიზნად ჰქონდათ დასახული ილია ჭავჭავაძის ავტორიტეტის შელახვა, მისი ღვაწლის განქიქება.

ერის მამად მოვლენილ ამ ჩვენს უპირველეს ერისკაცს „ბერდენკის" ტყვიით გაუმასპინძლდნენ. საინტერესო დეტალს იხსენებს ამ მხრივ არტურ ლაისტი: წიწამურის ტრაგედიის წინა დღეებში თითქმის მოუშორებლივ ილიასთან მომიწია ყოფნამ და ყველაზე ხშირი და ნიშანდობლივი სიტყვა, რაც ჩემს მეხსიერებას ჩარჩა მისგან, არის სიტყვა—„უმადურობა".

ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ მთელი საქართველო შესძრა. 9 სექტემბერს სიონის ტაძრიდან გამოასვენეს ცხედარი უკვდავი და სამარადჟამო იდეის მატარებელი პიროვნებისა.

კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „ძველი ბერძნები ამბობდნენ, სიკვდილამდე კაცს ნურც აქებ, ნურც აძაგებო, სიკვდილი უკანასკნელი წრთობაა სულისა, მისი სიმაღლისა თუ სიმდაბლის, სიმამაცის თუ სიმხდალის ბარომეტრი.

ილია ჭავჭავაძის სიკვდილს მოჰყვა დიდი აღტკინება ქართული სულისა. მან ამ გმირული სიკვდილით გამოისყიდა ჩვენი სიძაბუნე და სივაგლახე, იგი იყო ჭეშმარიტად „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი".

ვაჟა-ფშაველამ ასეთი შეფასება მისცა ილიას მკვლელობას: „ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, თვითონ საქართველოსაც მოჰკლავენ".[1]

ამჟამად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის ცხოვრება-მოღვაწეობისა და მისი ამოუწურავი შემოქმედების განხილვა-ანალიზი, შევეხებით მხოლოდ მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობის ზოგიერთ მიმართულებას, რადგანაც მისი პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები მონოგრაფიულად შეისწავლეს პროფესორებმა ვ. მეტრეველმა[2] და ვ. აბაშმაძემ,[3] ამიტომ მხოლოდ იმ კონცეფტუალურ საკითხებზე შევჩერდებით, რაც უშუალოდ ეხება სახელმწიფოსა და სამართლის ილიასეულ გაგებას.

როგორც ვ. მეტრეველს, ასევე ვ. აბაშმაძეს, სამართლიანად მიჩნიათ, რომ სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში ი. ჭავჭავაძე გარკვეულად უახლოვდება ბუნებითი სამართლის იმ წარმომადგენლებს, რომელნიც სახელმწიფოს წარმოშობის საკითხებს ხელშეკრულებითი თე-

---

[1] გ. შარაძე, ილია ჭავჭავაძე, წიგნი II, თბ. 1990 წ. გვ. 336.

[2] დაწ. იხ. ვ. მეტრეველი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, თბ. 1977 წ.

[3] ვ. აბაშაძე, ი. ჭავჭავაძე, სახელმწიფოს და სამართლის პრობლემები თბ. 1987 წ.

ორიით ხსნიდნენ, თუმცა ილია ჭავჭავაძის მოსაზრება ამ საკითხზე მთლიანად არ ემთხვევა მათ მსოფლმხედველობას. მართალია, იგი სახელმწიფოს კლასობრივი ბრძოლის პროდუქტად მიიჩნევს, მაგრამ, მისი აზრით, სახელმწიფო არის კლასთა მშვიდობიანი თანამშრომლობის იარაღი, ამ განსაზღვრებას, რა თქმა უნდა, საბჭოური მეცნიერება არ იზიარებდა. იმ პერიოდის ქართულ აზროვნებაში დამკვიდრებული თეორიისაგან განსხვავებით, ილია ჭავჭავაძე სახელმწიფოს თვლის მთელი ხალხის წარმატების, წინსვლის, ბედნიერების საშუალებად, რომელიც ერთნაირად უნდა ემსახურებოდეს ყველა წოდებას და ამით ეხმაურება დღევანდელობას. „სიმტკიცე სახელმწიფოს, რაც გინდ დიდი და ძლიერი იყოს, უნდა ემყარებოდეს ერთსულოვნებაზე და არა ერთსახეობაზე, ერთფეროვნებაზე".[1] მას მოსწონს ინგლისის სახელმწიფო, რომლის მთავრობა ზრუნავს ხალხზე და ცდილობს მოსახლეობის ნდობის მოპოვებას. „ინგლისის მთავრობის ხასიათი: ყოველთვის უთმობს ხალხს და არ უფრთხის ზოგიერთისამებრ, რომ -უღონობაში არ ჩამომართვანო".[2]

სახელმწიფოს ფორმის ცნებას იგი უკავშირებს სახელმწიფოში დამკვიდრებულ პოლიტიკურ რეჟიმს, ამ უკანასკნელში კი გულისხმობს როგორც სახელმწიფო წყობილების, ისე სახელმწიფო მმართველობის ფორმებს...

მმართველობის მიხედვით ილია ჭავჭავაძე იცნობს დემოკრატიული და ანტიდემოკრატიული (ბიუროკრატიული) ფორმის სახელმწიფოს. ანტიდემოკრატიული სახელმწიფოს შესახებ აღნიშნავს, რომ აქ ყველაფრის მოქმედია მთავრობა და არა ხალხი... დემოკრატიულ სახელმწიფოში კი ცენტრალურ ხელისუფლებას მთავრობა განაგებს, ხოლო ადგილებზე თვითმმართველობაა დამკვიდრებული, იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს თვითმმართველობით, მონარქიულ, წარმომადგენლობით და რესპუბლიკურ სახელმწიფოებს, რაც შეეხება სახელმწიფო წყობილებას, ილია ჭავჭავაძე იცნობს მარტივ (უნიტარულ) და რთულ (ფედერაციულ) სახელმწიფოს. მის იდეალს მარტივი ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენდა, მაგრამ ისტორიული რეალობიდან გამომდინარე, უშვებდა ფედერაციული სახელმწიფოს არსებობასაც.[3]

ფრიად მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის მოსაზრება სახელმწიფოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის თაობაზე. მის-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VIII. გვ. 159.

[2] საქ. მეცნიერებათა აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ი. ჭავჭავაძის, პირადი ფონდი, ხელნაწერი № 64, გვ. 1.

[3] ვ. მეტრეველი, დას. შრომა, გვ. 47-48.

თვის იდეალს დემოკრატიული თვითმმართველობა წარმოადგენს, რომელიც კი არ ასუსტებს ცენტრალურ ხელისუფლებას, პირიქით—აძლიერებს, ამის შესახებ იგი წერს: „თვითმმართველობა, ერთის აზრით, ადგილობრივ საქმეთა დამწყობია და გამრიგებელი, მეორეს მხრით, უმაღლესის ხელისუფალი ორგანოა... თვითმმართველობა ხელქვეითია... უმაღლესის მთავრობისა და საერთო კანონის ადგილობრივი მცველია და აღმასრულებელი...

ამგვარი მმართველობა მეტად ხელს უმართავს ქვეყნის კეთილდღეობას, ხალხს აფხიზლებს, ჭკვასა და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალისს უღვიძებს და საზოგადო საქმისათვის სწურთნის და ავარჯიშებს. ამგვარი მმართველობა ისეთის თვისებისაა, რომ საცა კი სურს ადამიანს, ყველგან და ყოველს ხალხში იხეირებს და ჩვეულებრივს ნაყოფს მოიტანს, იქ საცა მაგას გზა და აღგილი ჰქონია, ყველგან ცხოვრება ადამიანისა აუყვავებია“.[1]

სოფელი, სოფლის თვითმმართველობა და ჩვეულებითი სამართალი მიაჩნდა ილიას საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ელემენტად. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ როცა მოქმედი წესები და კანონები წინააღმდეგობაში არიან „ხალხის მიერ ისტორიულად დადგენილს სამართალთან“, მაშინ უპირატესობა სწორედ ამ უკანასკნელს უნდა მიენიჭოს. ეს განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როცა საქმე ეხება სათემო-სასოფლო მმართველობას, საოჯახო საომართალს და მიწის საკითხების გადაწყვეტას. ის აღნიშნავდა, რომ „...ჩვენში მოქმედი კანონები ვერ შეეფერება ვერც ჩვენს განსხვავებულს ყოფა-ცხოვრებას, ვერც ჩვენს ზნესა და ხასიათს...

კანონის შესავსებად, ჭეშმარიტის სამართლის საწარმოებლად, საჭიროა მოვიწვიოთ ჩვეულება მისთვის ფართო ადგილის მისაცემად... ხშირია შემთხვევა, რომელიც არ არის მოხსენიებული მოქმედს კანონებში, ან თუ არის, წინააღმდეგობაშია ხალხისაგან ცნობილ სამართლისა. მაგალითებრ, აუარებელი დავები შესახებ მიწისა, ტყისა, საძოვრების მფლობელობისა, გზებისა, ვენახებისა, სახლი-კაცობისა, ზელსიძობისა, ძმად-შესულობისა, ქალთა საკუთრობისა ოჯახში („სათავნო ქალისა“), სამემკვიდროსი, სამკვიდროსი, სამარხისა, საქვრივოსი, ნაცვალ-მარდობით მუშაობისა, გაყრილობისა და ბევრი ამისთანაები. ყოველს ამ შემთხვევაში ჩვენი ჩვეულება, ესე იგი, ხალხისაგან მამა-პაპით აღიარებული სიმართლე ერთს ამბობს და კანონები კი ან სულ არას ამბობენ, ან თუ ამბობენ, სულ სხვასა“.[2]

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ოხზ. ტ. VI. 1956 წ. გვ. 36-41

[2] იქვე, გვ. 94.

რაც შეეხება ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საერთო-სამართლებრივ და პოლიტიკურ საფუძვლებს, ისინი უნიტარიზმსა და ფედერალიზმს, ანუ ქვეყნის ცენტრალურ და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის გარკვეული თანაფარდობისა და პროპორციის დადგენაში მდგომარეობს. ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ საქართველოს სამომავლო განვითარებას სჭირდება როგორც საერთო ეროვნული მიზნებისა და ინტერესების განმხორციელებელი ცენტრალური მმართველობა, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება. პირველი აუცილებელია ქვეყნის თავდაცვისა და მთლიანობის უზრუნველყოფისათვის, მეორე კი—ხალხის თვითმოქმედებისა და თვითმმართველობის განვითარებისათვის. ამიტომ ქვეყნის კონსტიტუციაც და მისდამი ქვემდებარე კანონებიც ისე უნდა შესდგნენ, რომ გათვალისწინებული იქნას სახელმწიფოებრიობის ეს ორივე საწყისი და ისინი გონივრულად მოვარგოთ ერთმანეთს.

ილია ჭავჭავაძემ არა მარტო ზოგადად განსაზღვრა ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის კონცეფტუალური პრინციპები, არამედ კონკრეტული სახეც მისცა მათ. აი, მაგალითად, როგორ აყალიბებს იგი თვითმმართველობის პრინციპებს:

„უმთავრესი კუთვნილობანი თვითმმართველობისანი არიან:

1. ადგილობრივ საქმეთა ადგილობრივის გასამართლების უფლება. ამაზედ არის დამყარებული მცხოვრებთა პატივის, ღირსებისა და ქონების ნამდვილი მფარველობა და ხელშეუვალობა.

2. უმაღლესი მთავრობისაგან განწესებული ხარჯისა, ბეგარისა და სამსახურის ადგილობრივ მცხოვრებთა შორის განაწილება...

3. ადგილობრივის საჭიროებისათვის გადასახადის დადგენა, გაწერა და აქედამ შემოსულის ფულის თავისუფლად გამგეობა.

4. სხვადასხვა წესისა და რიგის დადგენის უფლება ადგილობრივის საზოგადოების კანონად, მაგრამ ისე კი, რომ... საყოველთაო კანონს არ ეწინააღმდეგებოდეს.

5. ადგილობრივის საზოგადოების სწავლის მოწყობა და გამგეობა.

6. ადგილობრივის საზოგადოებისთვის მზრუნველობა და ღონისძიებების მოხმარება.

7. ადგილობრივის საზოგადოების საზრდოობისათვის თადარიგის დაჭერა და ღონისძიებების მოპოვება.

8. ადგილობრივის გზებისა, ხიდებისა კეთება, მოვლა და თავისუფალი გამგეობა.

9. უმაღლესი მთავრობისადმი შუამდგომლობა... ადგილობრივ საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად“.[1]

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VI, თბ. 1956 წ. გვ. 42-43

მაგრამ ილია ჭავჭავაძე მარტო თვითმმართველობის კონკრეტულ პრინციპებს კი არ იკვლევდა, არამედ მათ არგუმენტაციას და სამართლებრივ და პოლიტიკურ საფუძვლებს გვაძლევს. აქედან ჩანს, თუ რა გადამწყვეტ მნიშვნელობას აძლევდა იგი თვითმმართველობას ქვეყნის სამომავლო განვითარებასა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მიღწევაში, ამიტომ წერს სტატიის ბოლოს თავისებური სინანულით: „ჩვენ... ვაჩვენეთ რამოდენადაც ჩვენ თვითონ შევძელით და შეგვაძლებინეს (ე.ი. ცენზურამ—გ. ლ.), ქება თვითმმართველობისა“.[1]

რაც შეეხება ადგილობრივი თვიმმართველობის საფუძვლებს, ილია მათ ასეთ თანმიმდევრობით გადმოსცემს:

„უმთავრესი საფუძველნი თვითმმართველობისანი არიან:

1. ხმა და არჩევის უფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებსა, რაკი სრულწლოვანია. მაშასადამე, ყოველს მოვალეობაშიც ყოველს მცხოვრებს წილი უნდა ედვას.

2. ადგილობრივის სამმართველოს ხელქვეითნი უნდა იყვნენ ყოველნი, ვინც კი სამმართველოს წრეში (ე.ი. ამ მხარეში, თემში ან სოფელში—გ.ლ.) სცხოვრობს. აქ წოდებათა შორის განყოფილობა... მავნებელია და თვითმმართველობის ბუნების წინააღმდეგია.

3. ადგილობრივი მოსამართლეები, აგრეთვე, მოხელენიცა უნდა ამოირჩიონ ადგილობრივთა მცხოვრებთა.

4. ყოველი ადგილობრივის თანამდებობის მქონე კაცი პასუხისმგებელი უნდა იყოს საზოგადო სამართლისა და. სამსჯავროსა და არა თვისთა უფროსთა წინაშე“.[2]

მაშასადამე, ილიასთვის თვითმმართველობის ბუნების წინააღმდეგია ის, რომ თვითოეული მხარის, თემის, სოფლისა და მთლიანად ქვეყნის მცხოვრებთა შორის არსებობდეს მცხოვრებთა შორის განყოფილება. აქედან აშკარად ჩანს „წოდებათა შერიგების“—სოციალური თანხმობისა და თანამშრომლობის, „საერთო ნიადაგის“ თეორიის მთავარი არსი და დანიშნულება—ერთიან სოციალურ და ამასთან ეროვნულ ორგანიზმად შეკრას და „შეადღეაბოს ქართველობა“. ამიტომაც იყო, რომ იგი ყველგან და ყველაფერში, ეროვნული ცხოვრების ნებისმიერი საკითხისა და ამოცანის გადაწყვეტას მჭიდროდ და ორგანულად უკავშირებდა „წოდებათა შერიგების“ და „საერთო ნიადაგის“ თეორიას, რაზედაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ შეხედულებებზე ნათლად მეტყველებს მის მიერ შედგენილი „ქართველ პროგრესისტთა ეროვნულ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VI, თბ. 1956 წ. გვ. 45

[2] ი. ჭავჭავაძე, იქვე, გვ. 44.

დემოკრატიული (კონსტიტუციურ-დემოკრატიული) პარტიის" პროგრამის ძირითადი მოთხოვნა: საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა ეროვნული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებებით.

„რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, საცა სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი სცხოვრობენ, და მერე ისე, თავიანთ მამა-პაპეულ მიწა-წყალზედ მიჯგუფებულნი და არა შიგა-და-შიგ გაფანტულნი. ამიტომაც ერთს უდიდესს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითაოდ, და მერე როგორ უნდა მოთავსდნენ სახელმწიფოსთან. დიდი ხანია მოსალოდნელი იყო ყველა თვალ ახილულ კაცისათვის, რომ დღესა თუ ხვალე ეს ფრიად რთული და მძიმე საგანი მთელი თავისის სიგრძით და სიგანით წინ აეყუდებოდა რუსეთს და მის გადაუწყვეტლად მისი წინსვლა შეფერხდებოდა. ყველას უნდა წინასწარ სცოდნოდა, რომ დღესა თუ ხვალე ეს საგანი თვისას მოითხოვდა; რომ დღესა თუ ხვალე რუსეთი იძულებული შეიქმნებოდა დაენიშნა საზღვარი სახელმწიფო მოქმედებისა საზოგადოდ და ეროვნებისა ცალკედ და ერთისა და მეორის მოედანი ცალ-ცალკე შემოეფარგლა. ამას მოითხოვდა არამც თუ ისტორიული მიმდინარეობა სამართლიანის აზრისა, არამც თუ მარტო შორსმხედველობა დამჯდარის ჭკუისა, არამედ თვითონ სახელმწიფოს პირდაპირი ინტერესიცა".[1] პროექტის მიხედვით, უნდა შექმნილიყო ქართული საკანონმდებლო დაწესებულება—პარლამენტი, რომელიც დაადგენდა კანონებს საქართველოსათვის: „ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლია მოვითხოვოთ, რომ კანონები, რომლებიც ახლა პეტერბურგში იწერება (რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნისათვის), აქვე, ადგილობრივ იწერებოდეს, მაგრამ ამით არა გვეშველება რა. მე ვთქვი და კიდევ ყველგან ვიტყვი: ჩვენის ქვეყნისათვის კანონები აქვე უნდა იწერებოდეს ჩვენის ქვეყნის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა კრებულისაგან".[2]

ეროვნულ-საკანონმდებლო ხელისუფლებასთან ერთად ილია მოითხოვს ქართულ აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომელიც განასახიერებს ერთიან ცენტრალიზებულ ერობად გაერთიანებული თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების, ბათუმის ოლქის, სოხუმისა და ზაქათალის ოკურუგების ერობებს ქ. თბილისში დაარსებული ცენტრალური ერობის მეთაურობით. ასევე უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი სასამართლო, ნა-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ V, გვ. 79-80

[2] ჟურნ. „დროშა", 1986, №11

ფიც მსაჯულთა სასამართლო და არჩევით მოსამართლეთა ინსტიტუტები, რომელთა სამუშაო ენა ქართული იქნება. იგი განახორციელებს ერვნულ სასამართლო ხელისუფლებას.

ამ პროგრამის პოლიტიკური მოთხოვნების განხორციელებისათვის 1905-1907 წლებში ილია აქტიურად იბრძოდა როგორც რუსეთში—სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროში, ასევე საქართველოში.

ილია ჭავჭავაძე იცნობს, როგორც მოქმედ—პოზიტიურ, დადებით სამართალს, ისე იდეალურს (ბუნებით სამართალს); ამასთან აიგივებს სამართალს სიმართლესთან, ანუ სამართლის კრიტერიუმად სიმართლეს მიიჩნევს. „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად, სთქვა ჩვენმა რუსთაველმა და მართალიც არის. სწორედ ასეთია ძლიერება და შემძლებლობა სამართლისა და ამიტომაც კვლავ ვიტყვით, სამართლის ქმნა მარტო სამართლის ქმნისათვის უნდა და არა რამ სხვამ არ უნდა აბრკოლოს მისი ყველასათვის სანუგეშო მოქმედება. სამწუხაროდ ჩვენდა, ეს ძირითადი და არსებითი მოთხოვნილება სამართლის ქმნისა ხშირად ავიწყდებათ ხოლმე ქვეყნის საქმეთა დამწყობთა და გამრიგებელთა"[1]—წერდა იგი.

„ბუნებითი სამართალი" იმ სიმართლედ მიაჩნდა, რომელიც ხალხის სინდისს შეეფერება, რაც ხალხს მამა-პაპით სიმართლედ უცვნია და დღესაც სიმართლედ სწამს. „კანონის შესავსებად, ჭეშმარიტის სამართლის საწარმოებლად საჭიოა მოვიწვიოთ ჩვეულება და მისთვის ფართო ადგილის მიცემა... ხშირად ჩვენი ჩვეულება, ესე იგი—ხალხისაგან მამა-პაპით აღიარებული სამართალი ერთს ამბობს და კანონები კი ან სულ არას ამბობენ, ან თუ ამბობენ, სულ სხვასა".[2] ილიას აზრით, კაცობრიობა თავის სანუკვარ სამართალს (ბუნებით სამართალს) ახორციელებს და ამკვიდრებს გარკვეული წესით, ზოგს წრასულიდან სესხულობს, ზოგს თვითონ შეიმუშავებს. „ცხოვრება და კანონში" წერდა: „ცხოვრება თვითრჯულია, იგი არ გამოიჭრება კაცისაგან მოგონილს რიკ-რიკაზედ"[3] და ჩვეულებას „ბუნებითი სამართლის" დედაბოძად თვლის: „ბუნებრივის სამართლით საქმის გადაწყვეტის თვისებაა გული და სული მოსამართლისა".[4]

დადებითი და პოზიტიური სამართლის არსის დახასიათებისას ილია სვამს კითხვას: რა უნდა ედოს სამართალს საფუძვლად, რა უნდა ამოძრავებდეს მას? ილია თვითონვე პასუხობს: მოქმედ სამართალს

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 6, გვ. 135
[2] იქვე, გვ. 94
[3] იქვე, გვ. 81
[4] იქვე, გვ. 97.

საფუძვლად სიმართლე უნდა ედოს და არაფერი სხვა. იგი გმობს მოსაზრებას, რომ სამართალს ძალა უნდა განსაზღვრავდეს: „საცა მართალი აშკარად უმცირესობისაკენ არის, უსათუოდ უმრავლესობამ უმცირესობა სძლიოს და ითაყვანოს, ეს ძალმომრეობა იქნება და არა იგი სამართალი, რომლითაც ადამიანი ადამიანობს, ვით ზნეობრივი არსება".[1] აქედან გამომდინარე, ილია ერთმანეთისაგან განასხვავებს დაწერილ კანონებს ანუ სამართალს დაუწერელი კანონისაგან—„ცხოვრებისაგან", რომელიც ობიექტურია და განსაზღვრავს პირველს: „ჩვეულებას იგი უპირატესობა აქვს დაწერილს კანონის წინაშე, რომ ყოველთვის ცხოვრების ჭეშმარიტის საჭიროების დანაბადია და ყოველთვის უტყუარი წამალიც არის ამ საჭიროებისა, თუ ყოველს დროს არა, პირველ ხანებში მაინც",[2] მაგრამ დაწერილი კანონების მნიშვნელობას სრულიად არ ამცირებს, პირიქით, ძალიან კარგად ესმის მათი დანიშნულება ცხოვრებაში. ილიას აზრით, ჩვეულებას, დაუწერელ კანონს „ერთი არსებითი ღირსება დაწერილის კანონისა კი აკლია. დაწერილი კანონი, მარტო იმით, რომ დაწერილია, მანამ არის—ისეა, რომ არას მიიწებებს, არას აიკრავს ზედა, რასაც აჩენს და ჰბაძავს ხშირად ხარბი ინტერესი წუთისა. ჩვეულება ამისაგან თავისუფალი არ არის, კანონი კი თავისუფალია. აი, დიდი ღირსება კანონისა, რომელიც ჩვეულებას აკლია".[3] ილია ჭავჭავაძის ღრმა რწმენით, „კანონი და სამართალი... თავისუფლების ციხე-სიმაგრეა", იგი დარწმუნებულია, რომ დაწერილი კანონი, დაუწერელ კანონთან შედარებით, სუსტია, მას წინ ვერ აღუდგება, მაგრამ ისე კი შეუძლია, რომ დაუწერელი კანონის მთელი ძალით მოქმედება შეანელოს.[4] საბოლოოდ სამართლის დანიშნულებად ილია ჭავჭავაძეს ადამანთა ცხოვრების დონის გაუმჯობესება მიაჩნია. მან ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალის ზრდას. სახელმწიფომ კანონების გამკაცრებით კი არ უნდა მართოს საზოგადოება, პირიქით, სამართლის პატივისცემა, სიყვარული უნდა იცავდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესრიგს: „სამართალი და სიყვარული ჰქმნის იმ ერთსულოვნებას, ერთგულებას, რომელიც ასე საჭიროა მაგრად და მკვიდრად დგომისათვის. ერთად-ერთი ზღუდეა, რომელსაც ყოველივე ავი და ბოროტი ზედ შეასკდება ხოლმე, როგორც სალსა კლდესა და ერთად-ერთი საწყაოა მმართველის ღვაწლისა".[5]

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 6, გვ. 154
[2] იქვე
[3] „ივერია", 1887, №129
[4] „ივერია", 1897, №49
[5] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. IX, გვ. 466

როდესაც სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ გამოდიოდა, სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში: „საბუთად მოყვანა იმისა, რომ სიკვდილით დასჯა ამრავლებს თუ აკლებს დანაშაულობას—არაფერს არ მოასწავებს, რადგანაც დანაშაულობის სიმრავლე სხვა ათასნაირ მიზეზზეა დამოკიდებული“.[1]

1879 წლის „ივერიის“ ფურცლებზე იგი წერდა; „ის სახელმწიფოა მარტო მაგარ ნიადაგზედ დამყარებული, საცა ყოველი კაცი დარწმუნებულია, რომ თუ არ უცილობლის, უეჭველის საბუთით, ჩემს ადამიანობას, ჩემს მშვიდობიანობას, ჩემს პატივს, ღირსებას, თავისუფლებას კანონი და უფლება არ შეეხებაო. ამ საჭიროებიდამ არის წარმომდგარი ის სახელოვანი აზრი, რომ სჯობს ათი მართლა დამნაშავე გამართლდესო, ვიდრე ერთი მართალი გამტყუნდესო; ამ დედა აზრზეა დაფუძნებული მეცნიერების კანონი, რომ ბრალდებულს ყოველი ღონისძიება უნდა მიეცეს, თავი იმართლოსო და ყოველივე საეჭვო საბუთი მის სასარგებლოდ უნდა აღსნილი იყოს და აღიარებულიო“.[2]

ილია ჭავჭავაძე სამართალს არ განიხილავს გაბატონებული კლასის ინტერესების დაცვის იარაღად, პირიქით—სამართალი სახელმწიფოში მიაჩნდა ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების და წესრიგის განმტკიცების საშუალებად, პიროვნების უფლებების, თავისუფლების და საკუთრების დაცვის გარანტად.

„მართლიერება, სამრთალი მთელის ერის განწმენდილი სინდისია, მთელის ერის განწმენდილი ნამუსია, და როგორ უნდა იკადროს ამ საყოველთაო ნამუსმა, ჯიბრში ჩაუდგეს უბედურს შემცოდველსა და „კბილი კბილის წილ და თვალი თვალის წილ“ მოსთხოვოს. აქ საჭიროა მორჯულება შემცოდველისა და არა ჯვარცმა და შანთით გლეჯა ხორცისა, ტანჯვა და წვალება“.[3] ასეთია მოკლედ დიდი ჰუმანისტის ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი, რომლის გაგრძელებასაც წარმოადგენს მისი „წოდებათა შერიგების“ თეორია, 70-იან წლებში რომ წამოაყენა. ძირითადი იდეები ამ თეორიისა ასახულია გამოკვლევაში „ცხოვრება და კანონი“. 1888 წელს დაწერილ წერილში „წოდებათა თანასწორობა“ ილიამ თავისი შეხედულებები ასე ჩამოაყალიბა: „ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი და გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფელად, დიდ-პატარაობის გაურჩევლად და გამოუკ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტV, გვ. 466.
[2] „ივერია“, 1879, №13.
[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VIII, 1957, გვ. 337.

ლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ჰცდილობს ცხოვრების გზა გაიკვლიოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად საყოველთაოდ. ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღლისა, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლხინისა თავისკენ და ჭირისა სხვისკენ, მარტო თავის-თავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრებისა და საცა ეს ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვია".[1]

როგორც ვხედავთ, „წოდებათა შერიგების" და თანასწორობის იდეას ილია ჭავჭავაძე ერის არსებობის პრობლემას უკავშირებდა, და ბუნებრივია, საერთო ნიადაგის ძებნას, უპირველეს ყოვლისა, თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის ცდილობდა, იმ დროისათვის ხომ ჯერ კიდევ არ არსებობდა ერთმანეთთან დაპირისპირებული სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფებანი და თუ არსებობდა, საზოგადოებისათვის ცნობილი არ იყო.

ილიასეულმა „საერთო ნიადაგის თეორიამ" მეტი მნიშვნელობა შეიძინა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, როცა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტია, ერთმანეთთან მკვეთრად დაპირისპირებული. ერის გამთლიანებისათვის თავდაუზოგავმა მებრძოლმა იგრძნო სერიოზული საფრთხე და შეეცადა, ეს ახალი იდეოლოგიური ძალა ერის სამსახურში ჩაეყენებინა. როგორც ვთქვით, ილია ჭავჭავაძე ყველაფერს აკეთებდა შერიგებისათვის, სოციალ-დემოკრატებთან ურთიერთობის ახალ გზებს ეძებდა. მან საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ნოე ჟორდანია „ივერიაში" მიიწვია და თანამშრომლობა შესთავაზა.

აქედან გამომდინარე, მტკიცება იმისა, როგორც ამას ილიას მოწინააღმდეგეები აკეთებდნენ, რომ ის მხოლოდ თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის ცდილობდა „ჩატეხილი ხიდის" აღდგენასა და მათ შერიგებას, ჩვენი აზრით, არ იქნება მართალი. ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრეები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ეპოვათ თანასწორი სამართლიანი საზოგადოების აშენების გზები და საშუალებები: „ტყუილად ჰფიქრობენ, ვითომც კაცთა ურთიერთობაში შესაძლებელი იყოს რომელიმე წოდებამ ცალკე ბინა გაიკეთოს, ცალკე ინტერესები შემოიღობოს, შემოიფარგლოს და ამით რაიმე ხეირი და სიკეთე ჰნახოს საბოლოოდ. ამისთანა წყობა და აგებულება საზოგადოებისა თუ ერისა, დიდხანს თავს ვერ დაიჭერს და ვითარც ქვიშაზე აგებული სახლი, პირველივე ქარის შებერვაზედვე დაიფუშება. ამის

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VIII, თბ., 1957 წ. გვ. 312-313.

მაგალითი და საბუთი ისტორიაში ერთი და ორი არ არის. ქვეყანაზედ მარტო იმ ერს გაუძლია, მარტო იმ ერს გამოუტანია თავი ათასგვარ განსაცდელისაგან, მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლიერებულა, რომელსაც თავის დროზედ შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთის რომელსამე წოდების წინ წაწევა არაფრის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც წინ არ წაწეულა, პირიქით, ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლია".[1] იგი სამართლიანად თვლის, რომ ნებისმიერი ქართველი, რა წოდებასა თუ სოციალურ ფენასაც უნდა ეკუთვნოდეს, სხვასთან წინააღმდეგობასა და ბრძოლაში კი არ უნდა ლევდეს წუთისოფელს, არამედ იზრუნოს შერიგებისა და ერის გამთლიანებისათვის. ზოგიერთი მკვლევარი ილია ჭავჭავაძეს საყვედურობს, რომ იგი ვერ გარკვეულა კლასთა ბრძოლის ნამდვილ მიზეზებშიო და მის თეორიას უტოპიურს უწოდებს.

რა თქმა უნდა, ილიასადმი მსგავსი საყვედურები უსაფუძვლოა, რადგან ილიაცა და მისი თანამოაზრეებიც ძალიან კარგად ხედავდნენ, რომ ევროპასა და რუსეთში, ასევე საქართველოშიც დაიწყო მწვავე კლასობრივი ბრძოლები. ქვეყნის მაჯისცემას მიყურადებული ერის სულიერი მოძღვარი კარგად გრძნობდა ფეოდალიზმის ჩამორჩენილობასა და დრმოჭმულობას, ამ ნიადაგზე კაპიტალისტური წყობის დამკვიდრების აუცილებლობას. „ბატონყმური დამოკიდებულობა უსამართლო საქმე იყო", წერდა იგი და მხატვრულ ნაწარმოებებსა და პუბლიცისტურ წერილებში დაუზოგავად ამათრახებდა. მხედველობიდან არ გამოჰპარვია საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, როგორც სოციალურ-პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურში მიმდინარე მოვლენები, მაგრამ სამართლიანად აფასებდა იმ ტრადიციულ ურთიერთობებსაც, რომლის გარეშე ერის არსებობა ვერ წარმოედგინა. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში, როდესაც წერდა: „ბევრი იმისთანა ახალია, რომლის მოსაპოვებლად ჭეშმარიტი კონსერვატორი სიცოცხლესაც არ დაზოგავს, და ბევრი იმისთანა ძველია, რომლის დღეგრძელობისათვის ჭეშმარიტად ლიბერალი თავის საკუთარ დღეს შეიმოკლებს".[2] სწორედ ეს აზრი ამოძრავებდა, როდესაც ცდილობდა და შესაძლებლადაც მიაჩნდა ყველა კლასის და წოდების შერიგება და ერის კონსოლიდაცია.

შეუძლებელია ეჭვი შევიტანოთ, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტის სირთულე კარგად არ ჰქონდა გაცნობიერებული ილია ჭავჭავაძესა და

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 8, თბ., 1957 წ. გვ. 312-313.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 5. გვ. 90.

მის თანამოაზრეებს, მაგრამ გაერთიანების შესაძლებლობის იმედს აძლევდათ საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობა. მათ სურდათ, რომ საქვეყნო საქმისათვის ბრძოლა ყველას უზენაეს მოთხოვნად ქცეულიყო და მაშინ დღის წესრიგში დადგებოდა გახლეჩილი ერის გამთლიანებისა და საერთო ნიადაგზე დგომის აუცილებლობა. „ჩვენდა სამწუხაროდ,—გულისტკივილით წერდა ილია,—ჩვენი თავადაზნაურობა ჯერ ამ მოძღვრებას ვერ მისწვდომია და როგორც ერთი ცალკე წოდება ჩვენის ერისა, ხშირად იწევს და ცალკე ითლის. ჩვენ კი ვიტყვით, რომ მისი დღეგრძელობა, კეთილდღეობა, ბედნიერება, სახელი და დიდება სწორედ და მთლად იმაშია, რომ ეს მოძღვრება გულში ჩაიჭედოს და ერთს წუთსაც გონებიდან არ მოიშოროს“.[1]

„საერთო ნიადაგის“, იგივე „წოდებათა შერიგების“ თეორიის ძირითადი დებულებებია: „მამული, ენა, სარწმუნოება“, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ და „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“, აი, ის ძირითადი პრინციპები, რითაც უნდა ეხელმძღვანელა ყველა წოდებას, ყველა კლასს, პოლიტიკურ პარტიასა თუ საზოგადოებრივ ძალას. „ეს უნდა ყოფილიყო სურვილი საქართველოს პოლიტიკური არსებობის აღდგენისა“.[2] ილია ჭავჭავაძემ ამ დებულებებით პირველმა სცადა ერის გამთლიანების კეთილშობილური საქმის განსახორციელებლად მეცნიერული და ფილოსოფიური საფუძვლები შეექმნა, ქვეყნის დარღვეული ტაძრის ასაშენებლად გზები ეჩვენებინა.

რა ფუნდამენტი იყო საჭირო, ილიას აზრით, მომავალი საქართველოს ასაშენებლად?—„მთელი საქართველოს ძალთა ერთად შეერთება, ყველა ქართველის, განურჩევლად წოდებისა, ერთად შეკავშირება, ერთი იდეალით გატაცება“.

წოდებათა შერიგებისა და „ჩატეხილი ხიდის“ თემას უკავშირდება საზოგადოებაში წარმოშობილი კიდევ ერთი საჭირბოროტო საკითხი. საქმე ეხება ადამიანთა უკონტაქტობასა და გაუცხოების პრობლემას.

ადამიანის მიერ საკუთარი ყოფიერების დაკარგვას არსებულ სოციალურ სამყაროში გაუცხოება ეწოდება.[3] ესაა ადამიანის ისეთი ტრაგიკული სულიერი (ფსიქოლოგიური) მდგომარეობა, როდესაც მისი არსება და არსებობა არაა იგივეობრივი და შესაბამისად „მე“ არ უდრის მის სულიერ „მეს“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პიროვნების შინაგანი ადამიანური და მოქალაქეობრივი უპირისპირდებიან, მტრობენ და უცხონი ხდებიან ერთმანეთისათვის.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 8. გვ. 313.

[2] ა. ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, გვ. 126-127

[3] გაუცხოების პრობლემას პირველად შეეხო ჟან ჟაკ რუსო, ასევე გოეთე. შილერი, ფიხტე, ჰეგელი, ფოიერბახი და კ. მარქსი.

ადამიანის გაუცხოების მიმართულებები შეიძლება დავყოთ: ფიზიკურ, სულიერ (ფსიქოლოგიურ), რელიგიურ გაუცხოებად. მისი რამდენიმე ასპექტია ცნობილი. გაუცხოება გამოწვეული ისეთი სოციალური ინსტიტუტებით, როგორიცაა ეკონომიკა, რელიგია, სახელმწიფო, სამართალი, მორალი, ოჯახი, ხელოვნება, მეცნიერება და ა.შ. ჩვენის აზრით, ამ ასპექტების გაერთიანება შესაძლებელია სამ ძირითად რგოლში: „ადამიანის ფიზიკურობაში", „რეალურ ცხოვრებაში" ეკონომიკური გაუცხოების სახით და „ცნობიერების სფეროში"—ეს უკანასკნელი ცნობილია რელიგიურის სახელწოდებით.[1]

ილია ჭავჭავაძემ გაუცხოების პრობლემა თავის თხზულებებში ყველა ასპექტში განიხილა.

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა „კაცია ადამიანი?" „ოთარაანთ ქვრივი" და სხვა. ამ უკანასკნელში ნაჩვენებია, რომ წოდებათა შორის ხიდია ჩატეხილი, ერთნი მდინარის გაღმა ნაპირას დარჩნენ, მეორენი—გამოღმა. ასე გათიშული და გაცალცალკავებული ადამიანები ცოდონი არიან.

„ოთარაანთ ქვრივის" საფუძვლიანი ანალიზით აკაკი ბაქრაძეს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ადამიანთა გაუცხოების საფუძველი მარტო წოდებრივი განსხვავება არ შეიძლება იყოს, „გაუცხოება ყოვლისმომცველია. ხიდი ჩატეხილია როგორც სხვადასხვა წოდების, ისე ერთი და იმავე კლასის წარმომადგენელთა შორის, უფრო მეტიც, დედასა და შვილს შორის".[2] ამის დამადასტურებლად მოთხრობიდან მრავალი ადგილი შეიძლება მოვიშველიოთ. წოდებრივ განსხვავებაზე რომ არაფერი ვთქვათ (რომელიც ასე თვალში საცემი და მრავალგზის განხილულია), განა ოთარაანთ ქვრივისა და თანასოფლელების, გიორგისა და მის გარშემო მყოფების ურთიერთობა არ მიგვანიშნებს, რომ ადამიანები ხშირად ერთმანეთისათვის უცხონი და მიუღებელნი არიან?

თანასოფლელებს ოთარაანთ ქვრივისა ეშინიათ და გაურბიან, მისი პირდაპირობა, სამართლიანობა, მადლი თუ სიკეთე ხშირად მათთვის გაუგებარია, ეუცხოებათ. იმასაც ამბობენ: „გულის მაგიერ ქვა უდევსო". რატომ, რისთვის! ახლა შვილი განსაჯეთ! ადამიანური ღირსებით შემკულს ზოგჯერ სოფელში მაინც ეჭვის თვალით უყურებენ. ვერ გაუგიათ, სიმართლისათვის თავგამოდებული ვის, ან რას ებრძვის. „ეს კაცი ან გიჟია, ან ერთი რამ ღვთის ნიშანია მაგის თავზედაო" და ა.შ.

---

[1] გ. გვაზავა, ასე ხომ არ აჯობებდა, 1993, გვ. 40

[2] ა. ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, გვ. 87

საიდან მოდიოდა სიკეთის დაუნახაობა, გაუგებრობა, უმადურობა? პასუხი ერთია—ადამიანთა გაუცხოებიდან. არჩილისათვის ეს ადვილად მისაგნებია—ოთარაანთ ქვრივი და გიორგი სხვა მასალისაგან არის შექმნილი, სხვა გვირისტით შეკერილნი, „იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის, და ბუნება, ხომ იცი, რა ოსტატია". მაგრამ სხვებს, „იმათს თონეში გამომცხვართ", რატომ არ ესმით ერთმანეთისა, რატომ მიაჩნია გიორგი ზოგს გიჟად, ზოგს კი ღვთის ნიშნის მატარებლად? დედა-შვილი რაღა ძალამ გათიშა და გაათვითეულა. რამ დაარღვია მათი ერთობა, რატომ ერთხელ მაინც არ იხედება სახლიდან წასული გიორგი უკან. „ჩემგან მიდის, თითქოს ძაფიც არ იჭერს, სხვაგან მიდის, თითქოს თოკით ეწევიანო". ნუთუ ყველაფერი იქ არის, იქ—კვნესის დედის გული. უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფლის წყევლა-კრულვიანმა საკითხავმა შესძრა ქვასავით გაუტეხელი დედაკაციც. „დედა-შვილობაში შენ-ჩემობა რად არის?—დედა-შვილობაში ორი თვალი რად უნდა იყოს? ნეტა დედას სხვასავით მაინც ორი თვალი არა ჰქონდა... თუ აქვს, რად უჭრის ერთი თავისად, მეორე შვილისად, გული რად იხედება გარეთ ორის თვალითა, რად? რატომ ერთი თვალი არ ებრმავის, როცა მეორე იყურება? ვინ ვისთვისაო,—რა საკითხავია დედა-შვილობაში?... ვაი, რომ საკითხავი ყოფილა! ამის ჭიდილია თურმე დედა-შვილობაცა!".

აკ. ბაქრაძემ დედა-შვილის გამთიშავ ძალად ფსიქოლოგიური ფაქტორი მიიჩნია და მივიდა დასკვნამდე, რომ „გაუცხოებას თურმე მრავალი მიზეზი უდევს საფუძვლად. ზოგჯერ ეს საფუძველი კლასობრივი სხვაობაა, ზოგჯერ—ადამიანური ღირსება, ზოგჯერ—სიყვარული და ზოგჯერ კიდევ, ვინ იცის, რა... გამოდის, რომ გაუცხოება ადამიანის არსებობის თვისება ყოფილა და მიზეზი თვით ადამიანის სულში იმალება. ძნელია ამ მიზეზის მიგნება, რადგან „კაცობრიობის არსებობის მარადიული საფუძველი სრულქმნილის და არასრულქმნილის ბრძოლაა, რომელშიც სრულქმნილს მსხვერპლის როლი აქვს დაკისრებული" (აკ. ბაქრაძე). ფიზიკურადაც რომ არ განადგურდეს, ყოველი გაუცხოებული მაინც მსხვერპლია და სულ ერთია, ეს ადამიანური ღირსებით იქნება გამოწვეული თუ ულირსობით, ერთნაირადაა განწირული ფიზიკურად გაუცხოებული ლუარსაბი და დარეჯანი („კაცია ადამიანი"), დათიკოც და გაბრიელიც, ერთს ტყვია ჰკლავს, მეორე კი შურისძიების გამო იხდის ამქვეყნიურ სასჯელს („გლახის ნაამბობი"), გულმხეცი ბატონი ტყვიის წერა ხდება, უდანაშაულო ზაქროს ტყეში მარტოკა გდება არგუნა ბედმა („კაკო ყაჩაღი"), დანაშაულის გზამ ერთი ძმა სარჩობელამდე მიიყვანა, შეორეს ქვეყანა და ადამიანთა მოდგმა შეაძულა,

და, თქვენ წარმოიდგინეთ, სრულიად უდანაშაულო მოხუცი პეტრეც არ დატოვა უვნებელი, სული აუფორიაქა („სარჩობელაზედ"). თვით წიწამურის ტრაგედიაც კი, მსხვერპლის ღირსებითა და ბოროტმოქმედთა უღირსობით გამოწვეული, მწერლის მიერ წამოჭრილი ამ საკაცობრიო პრობლემის ერთი ნათელი მაგალითია.

აკ. ბაქრაძის აზრით, ეს წყევლა-კრულვიანი პრობლემა რომ მოგვარდეს, კაცმა უნდა იწამოს,—ყოველი ადამიანის სული აბსოლუტური ღირებულებაა და ტოლფასოვანია უზენაესის წინაშე. გზა კი, რომელსაც ადამიანი აირჩევს, ტაძრისკენ უნდა მიდიოდეს და უახლოვდებოდეს იდეალს.[1]

რაც შეეხება რელიგიური გაუცხოების თემას, მას ილია ჭავჭავაძე შეეხო „განდეგილში".[2]

ილია ჭავჭავაძის „წოდებათა შერიგების", „ჩატეხილი ხიდის" თეორია უფრო გლობალურ, დიდ პრობლემასთან მიდის,—ეს არის წარსულსა და აწმყოს შორის გაწყვეტილი კავშირის აღდგენა.

„ერის პირქვე დამხობა, გათახსირება იქიდამ დაიწყება—წერდა ილია ჭავჭავაძე,—როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა ხსოვნა ეკარგება თავისი წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა, დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა".[3]

ქვეყნის მდგომარეობით ძილგამკრთალ მამულიშვილს სახელმწიფოს მოწყობის ფორმად ავტონომია მიაჩნდა და ოცნებობდა „ქართულ პარლამენტზე". ილიას ამ მოთხოვნას მხარს უჭერდა ქართველი თავადაზნაურობის პროგრესული ნაწილი, ამის დამადასტურებლად აკ. ბაქრაძე გაზეთ „ცნობის ფურცელში" გამოქვეყნებულ მასალას იშველიებს:

1905 წლის 2 აპრილის გაზეთი „ცნობის ფურცელი" იუწყებოდა, რომ პირველ აპრილს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრება ჩატარდა, ამ კრებამ რუსეთის იმპერატორს წერილი გაუგზავნა და ნიკოლოზ მეორეს ვაჟის შეძენა მიულოცა. ქართული თავადაზნაურობა საუკუნო ერთგულებას ეფიცებოდა იმპერატორს და გულმხურვალედ სთხოვდა—თავადაზნაურობა ზრუნავს რა სახელმწიფოს საზოგადო სარგებლის და საჭიროებისათვის, მტკიცედ დარწმუნებულია, რომ მშვიდობიანი და კულტურული განვითარება ქართველი ხალხისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს, რუსეთის სახელმწიფოს ამ განუ-

---

[1] ა. ბაქრაძე, ილია და აკაკი, გვ. 72

[2] დაწვ იხ. გ. გვაზავა, ასე ხომ არ აჯობებდა, 1993 წ. გვ. 40-56

[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. IV, გვ. 200

ყოფელ ნაწილს და ნებაყოფლობით იმასთან შეკავშირებულს, მიენიჭება უფლება საკუთარი კანონებით მართვა-გამგეობისა. ეს კანონები უნდა დადგენილ იქნას ადგილობრივ, წარმომადგენლობითი კრების მიერ... მთელი საქართველოს მცხოვრებთა საყოველთაო საიდუმლო და თანასწორი ხმის უფლებით.[1] ანალოგიური წერილები გაუგზავნა რუსეთის იმპერატორს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა და საქალაქო საბჭოს კრებამ. ამ მოთხოვნას შეუერთდა თითქმის სრულიად საქართველო.

ეს თხოვნა არსებითად ის იყო, რასაც საქართველოს ეროვნული ავტონომიის იდეა ითვალისწინებდა.

საქართველოს ავტონომიაზე ფიქრი ილია ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ ადრე დაიწო. ეს იდეა რომ მას ეკუთვნოდა, ამის შესახებ ოფიციალურ ცნობებს იძლევიან კიტა აბაშიძე, სამსონ ფირცხალავა, გიგო რცხილაძე, გიორგი ლასხიშვილი და სხვანი.

ილია ჭავჭავაძე დაკვირვებული, შორსმჭვრეტელი და ფრთხილი პოლიტიკოსი იყო, ითვალისწინებდა რა იმდროინდელ ვითარებას, აშკარად არ გამოდიოდა ავტონომიის მოთხოვნით. როცა სოციალ-ფედერალისტებმა თავის პროგრამაში საქართველოს ავტონომიის საკითხი შეიტანეს, ილიას ეს არ მოეწონა... ავტონომია გულში უნდა გვქონდეს, მისი საქვენოდ გამოცხადება ზიანს მოგვიტანს, მტრებს მოგვიმრავლებსო.[2]

ილია ჭავჭავაძე ოცნებობდა ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბებაზე, მან იცოდა, რომ ეს ადვილი არ იქნებოდა, მაგრამ მთავარი იყო პროცესის დაწყება, რომელიც მომავლის იმედს გამოაჩენდა. იგი ხალხში ეძებდა მომავლის გმირს, რომელსაც ქვეყნის სვე-ბედზე ფიქრი დღედაღამ არ მოასვენებდა. „საქართველოს ეროვნულ თავისუფლებაზე ლაპარაკობს ილია და მტკიცედ უკავშირებს ერთმანეთს ერის თავისუფლებასა და ზნესრული ადამიანის პრობლემას. არ იქნება ერი თავისუფალი, თუ მას არ ეყოლება ზნესრული, პირველხატს მიმსგავსებული ადამიანები".[3] მხოლოდ ასეთი ადამიანების მაღალი ზნეობით გამსჭვალული ერი შესძლებს დაკარგული თავისუფლების მოპოვებას, ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენასა და შენარჩუნებას. ილია გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „გრძნობა ადამიანის ღირსებისა, ადამიანის პატიოსნება, სინდისი და ყოველივე—რაც კი შეადგენს უძვირფასეს ზნეობის კუთვნილებას ადამიანისას, რაც უმეტეს ნაწილს კაცობრიობისას იმოდენად დიდ საგნად მიაჩნია, რომ მისთვის სიცოცხლის გაწირვა

---

[1] ა. ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, გვ. 126-127

[2] ს. ფირცხალავა, მოგონებათა ფურცელი, გვ. 71

[3] ა. ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, გვ. 7

თითქმის კანონად აქვს აღიარებული, ჩვენ სწორედ მჩვარად გაგვიხდია და ისე ვექცევით, როგორც ფეხის მტვერსა".[1]

მისი აზრით, ყოველ ქართველს თავი ეროვნულ მოღვაწედ უნდა მიაჩნდეს, ამიტომ ყველაფერი უნდა აკეთოს. მისი კეთილდღეობისათვის. თუ ასე მოვიქცევით, ერი ძლიერი, ამტანი და გამტანი იქნება. „ერთი ინდური თქმულებაა,—წერს ილია—ყრმაო, როცა მოდიხარ ამქვეყნად, შენ სტირი, შენს გარშემო კი ყველა ღიმილობს და მხიარულობს, ჰქმენ ისე, რომ როცა ამ ქვეყნიდან გადიოდე, შენ ღიმილობდე და შენს გარშემო კი ყველანი სტიროდნენ". მწერალს ამ თქმულების ქართული ვარიანტები შემოაქვს საკუთარი ქვეყნის შვილებისათვის, „როცა ადამიანი იბადება, მართალია, რომ სტირის, თითქო წინათგრძნობით, რომ მოდის ამქვეყნად ჯაფისათვის, შრომისათვის და ხშირად წამებისათვისაც და სხვანი კი მხიარულობენ, თითქო იმ იმედით, რომ ერთი მეომარი, ერთი მოღვაწე ემატებათ, ხოლო კაცურის კაცობისათვის ეგ საკმაო არ არის. ჰქმენ ისე, რომ როცა შენ ამ წუთისოფელს ეთხოვებოდე, შენ ღიმილი მოგდიოდეს და სხვანი კი სტიროდნენ. ამას მარტო იმისთანა კაცი შესძლებს, ვინც ქვეყანას კუთვნილი სამსახური გაუწია შეძლებისდაგვარად, ვინც თავისი ადამიანური ვალი გადაუხადა თავის ერს, თავის სამშობლოს"...[2] „მაგრამ, მამულო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებ, რომლისთვის ვსტირი, იგი აღარ გვყავს, მის მოედანი ჯაგით ავსილია, ვერანად ქმნილა, გმირის დამბადი დიდი საგანი ჩვენში სპობილა და წაწყმედილა",[3]—ეს კი ერის უბედურებაა.

მოღვაწე კაცების მოძიების, შემოკრებისა და საზოგადო საქმისათვის შეკავშირების ფიქრი მთელი ცხოვრების მანძილზე არ ასვენებდა ილიას. მწერლის ეპისტოლარული მემკვიდრეობა საინტერესო მასალებს გვაწვდის იმის თაობაზე, თუ როგორ ეხმარებოდა ის პირადი ბარათებით ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაბნეულ და საზღვარგარეთ მყოფ ჭეშმარიტ მამულიშვილებს. გაზეთ „ივერიაში" ვკითხულობთ: „შევხაროდეთ მარტო ამისთანა კაცებს, ჩვენი ქება-დიდება, ჩვენი საზოგადოებრივი მადლობაც ვით ჯილდო საქვეყნო, საზოგადო მარტო ამისთანა კაცებს უნდა ეკუთვნოდეს".[4] ამას, ალბათ, იმიტომ წერდა, რომ ხშირად ქვეყნისათვის თავდადებულ ადამიანებს არათუ აფასებდნენ, არამედ მათ ნამოღვაწარს ლაფში სვრიდნენ, „განაქიქებდნენ" და შეუ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ტ. 5, გვ. 166-167
[2] ივერია, 1899 წ. № 129
[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. I გვ. 185
[4] „ივერია", 1899 წ. №129

რაცხყოფდნენ. მას კარგად ესმოდა, ეკონომიკურად დაკაბალებული, ღარიბი ქვეყნის საზოგადოება არ იქნებოდა ზნეობრივი, ასეთ საზოგადოებაში უზნეონი და ფულიანნი უფრო აღწევენ თავიანთ მიზნებს ხალხის მოსყიდვის ხარჯზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, საერთო საქმეებშიც ახერხებენ მონაწილეობის მიღებას. ცრუ პატრიოტის ნიღაბს ამოფარებულნი, სხვისი ლანძღვა-გინებით ცდილობენ ყურადღების მიპყრობას. „თუ ჩვენდა საუბედუროდ—ამბობს ილია—აღვირაშვებული უკადრისობა თანდათან უფრო მეტს გავიდა, თუ ნაძირალთა გრძნობათა შემწეობით, ქადებით, ფულით, სხვადასხვა დაპირებებით, მოტყუებით, ზუთხებით და სადილ-ვახშმებით სხვისი გატანა მოვინდომეთ საზოგადო საქმეთა სარბიელზე, თუ ამისთანა ავზნეობას შევეჩვიენით და ჩვენში ფეხი მოვაკიდებინეთ, ვიღას იმედით მოვილოდინოთ ხვალე? რა ნუგეშითღა გავუსწოროთ თვალი მერმისს? რა პირითღა დავენახოთ ქვეყანას, რა სახელიღა გადავცეთ ჩვენთა მემკვიდრეთა, თუ ჩვენდა სამარცხვინოდ აგრე ვიარეთ, სად მივალთ და რა კლდე-ღრეში გადავიჩეხებით“?—ასე აყენებს საკითხს ილია ჭავჭავაძე. ის კარგად ხედავს ამ საყოველთაო სენის საშიშროებას და მოუწოდებს ყველას, „ვინც საზოგადო მოღვაწის სახელსა ნდომობს და საზოგადო საქმეთა სარბიელზე გამოდის საჭიდაოდ... რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ საქმეში კაცთა ჭიდილი ბუნებრივი მოვლენაა და აუცილებელიც, მაგრამ ჭიდილიც არის და ჭიდილიც. ამ ჭიდილში ყოველივე ღონისძიება ნამუსისა და პატიოსნების სასწორზე უნდა .აწონილიყოს“.[1]

ილია ჭავჭავაძემ თითოეული ადამიანის სულში ჩახედვა, ერის ყველა ტკივილს ჩვენება და სასწრაფო მკურნალობა სცადა, რათა იგი უკურნებელ სენად არ გადაქცეულიყო მომავალში. ეს ტკივილია გამოხატული ლექსში „ბედნიერი ერი“. ათასხუთასწლოვან ქართულ ლიტერატურაში „ბედნიერი ერის“ ბადალი სატირული ლექსი არ არსებობს—არ არსებობს არც გაბედულებისა და არც გულახდილობის, არც სულიერი ტკივილისა და ტანჯვის თვალსაზრისით. თითოეული სტრიქონი დაწერილია სისხლით. თითოეულ ფრაზას დავით აღმაშენებლის მოქნეული ხმლის ძალა აქვს.[2]

ილიას მსოფლმხედველობაში დიდი ადგილი უკავია ეროვნული ეკონომიკის ფორმირებისა და განვითარების პრობლემებს. მას მიაჩნდა, რომ სამრეწველო განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ეპოქაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური პოლიტიკის სწორი სტრატეგიული კურსის განსაზღვრას და

---

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 7. გვ. 440

[3] ა. ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, 1984, გვ. 73

მის პრაქტიკულ განხორციელებას. მხოლოდ ამ საფუძველზე მიიჩნევდა იგი შესაძლებლად საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სხვა პრობლემების გადაწყვეტას. სტატიაში „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?", იგი წერდა:

„...რამ გვიხსნა? როგორ გადავრჩით?... რამ გვაცოცხლა, რამ გვასულიერა?—მან, რომ ვიცოდით, იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა—ვაჟკაცნი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით... დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი...

ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა... ეს ომი შრომისაა და ვითარცა შრომა, პატიოსანია, ნამუსიანია და ისეთივე თავმოსაწონი და თავგამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლით ომის ვაჟკაცობაზე. „ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო"—იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედგამოჭრით, თუ მართალს ათქმევინებთ. რა გლეხკაცი! თითონ დღევანდელი დღე ამას გვეუბნება, ამას ჰღაღადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ღაღადი? ვაი რომ არა!"

„შრომის ახსნისაკენ", „ახალს ნერგზედ ახლად შობილი ქვეყნის აყვავებისაკენ" ილიას მოწოდება ნიშნავდა და დღესაც ნიშნავს იმას, რომ ქვეყნის განახლება და ჩვენი თავის ჩვენად ყუდნება შეუძლებელია განხორციელდეს, თუ ვერ შევძლებთ ეროვნული ხასიათისა და ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური პირობების შესატყვისი ეროვნული ეკონომიკის შექმნას. ამიტომ არის, რომ მისი „წოდებათა შერიგების", იგივე „საერთო ნიადაგის" თეორიის ყველაზე არსებითი და განმსაზღვრელი იდეები სწორედ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებს ეხება. განსაკუთრებით გამოკვეთილად არის ნაჩვენები ეს „ივერიის" სარედაქციო წერილების განთქმულ ციკლში—„ცხოვრება და კანონი", აგრეთვე—„კერძო და სათემო მიწათმფლობელობა", სადაც ილიამ მოგვცა „მიწისა და გუთნის საქართველოს" აგრარულ-ინდუსტრიული სტრატეგია და საქართველოში „ხოდაბუნური" სასოფლო-სამეურნეო კორპორაციების შექმნის იდეა. ამასთან იგი „ივერიის" გვერდებს ფართოდ უთმობდა იმ მოღვაწეებს, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა მხარეებში ასეთ კორპორაციებს ქმნიდნენ. ამის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ დიმიტრი მაჩხანელი და მის მიერ შექმნილი კორპორაციების საფუძველზე კახეთის რკინიგზის მშენებლობა. ჩვენი მოვალეობაც ის არის, რომ ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშე-

ნებლობის დღევანდელ გარდამავალ პერიოდში, როცა ასე აქტუალურად დადგა ეროვნული ეკონომიკის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ქვეყნის განვითარების საკითხები, სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი ამ მხრივ ილია ჭავჭავაძის თეორიული მემკვიდრეობის შესწავლისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების საქმეს. დღეს, როცა სულ უფრო აქტუალურად დგება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის შემუშავების პრობლემაც, რაც ქართული მეცნიერების გადაუდებელ ამოცანად განსაზღვრა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ილია ჭავჭავაძის 160 წლისთავის საიუბილეო სხდომაზე გამოსვლისას, „წოდებათა შერიგების" თეორიის, მისი ეროვნული იდეოლოგიის საფუძვლების კვლევა-ძიებამ კომპლექსური ხასიათი უნდა მიიღოს. მასში უნდა ჩაერთონ იურისტები და ისტორიკოსები, ეკონომისტები და ფილოსოფოსები, ფილოლოგები და პოლიტოლოგები—ერის მთელი ინტელექტუალური პოტენციალი, რამეთუ ილია ჭავჭავაძისა და არჩილ ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის" თეორია ეროვნული ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროს და ყველა პრობლემას მოიცავს.

ნიკო ნიკოლაძე
(1843–1928)

ნიკო ნიკოლაძე იმ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც გასცდა ეროვნულ საზღვრებს და სამოღვაწეო ასპარეზად რუსეთი და ევროპის განვითარებული ქვეყნები აირჩია, მაგრამ არასოდეს მოწყვეტია ეროვნულ ნიადაგს. მის მოღვაწეობას ყოველთვის ახასიათებდა სიახლეების ძიება, პრობლემებისადმი გაბედული და ორიგინალური მიდგომა. ამაში დიდად ეხმარებოდა საერთო თვალსაწიერის სიფართოვე, რუსული და ევროპული ენების ცოდნა, ის დიდი პრაქტიკული და თეორიული გამოცდილება, რაც ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე დააგროვა.

ნიკო ნიკოლაძე დაიბადა 1843 წლის 27 სექტემბერს ქალაქ ქუთაისში, მისი მომავალი ცხოვრების გზის განსაზღვრაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის დედას, ლიზა ლორთქიფანიძეს, რომელსაც ძალიან უყვარდა ქართული მწერლობა და დაინტერესებული იყო შვილისათვის სწავლა-განათლება მიეცა.

ნიკო ნიკოლაძე სამწერლო ასპარეზზე ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში გამოდის და ჟურნალ „ცისკარში" გამოქვეყნებული წერილებით სრულიად ახალგაზრდა იქცევს მკითხველთა ყურადღებას.

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ 1851 წლის სტუდენტთა დემონსტრაციებში აქტიური მონაწილეობის გამო ციხეში მოხვდა. ბევრი რამ შესძინა ახალგაზრდა სტუდენტს ამ მღელვარე დღეებმა, რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობასთან ურთიერთობამ, ნ. ჩერნიშევსკის ოჯახთან დაახლოებამ, ქართველ სტუდენტთა გაცნობამ და აკრძალული ლიტერატურის კითხვამ. იგი 1864 წელს ევროპაში მიემგზავრება, რათა უმაღლესი განათლებაც მიიღოს და თვითგანვითარებითაც ბევრი რამ შეიძინოს. მან სწავლა პარიზის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო, თითქმის ექვსი წელი დაჰყო საფრანგეთსა და შვეიცარიაში და მთელი ეს დრო გაატარა დაძაბულ გონებრივ მუშაობაში; ბევრს კითხულობდა და ბევრს წერდა, თანაც ევროპულ საზოგადოებრივ ცხოვრებას აკვირდებოდა, მის მოწინავე ადამიანთა თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობას სწავლობდა. პარალელურად ეუფლებოდა ფრანგ სოციალისტთა და ინგლი-

სელ ეკონომისტთა თეორიებს. ლაფარგთან ერთად გამოსაცემად მოამზადა ჟურნალი „მარცხენა ნაპირი“ (ფრანგულ ენაზე), იმავე პერიოდში გაეცნო კ. მარქსს, რომელმაც შესთავაზა ყოფილიყო პირველი ინტერნაციონალის წარმომადგენელი ამიერკავკასიაში.

ევროპაში იგი ახლოს გაეცნო რუსულ ემიგრაციას და მის წარმომადგენლებთან ახლო ურთიერთობა დაამყარა. იგი მალე დააფასეს ამ წრეებში. პირველი მისი დიდი გამარჯვება ამ მიმართულებით იყო ის, რომ იგი გერცენმა მოინახულა და „კოლოკოლში“ თანამშრომლობაზე შეუთანხმდა, რასაც შედეგად მოჰყვა გერცენთან და ოგარიოვთან დამყარებული ახლო ურთიერთობა, „კოლოკოლის“ ფურცლებზე მეტად საყურადღებო სტატიების გამოქვეყნება. „კოლოკოლის“ ფურცლებიდან მან თავის თანამემამულეთ მოუწოდა, არ აჰყოლოდნენ პოლონეთის მაგალითს, რადგან ქართველი ხალხის უკეთესი მომავლის ერთადერი გზა ჩაგრულ რუს ხალხთან ბედის გაზიარებაა. იგი საგანგებოდ მიუთითებს ამ გარემოებაზე, სწამს, რომ მხოლოდ რუს ხალხთან ერთად უნდა მიაღწიოს ქართველმა ხალხმა თავის სანუკვარ ოცნებებს, იგი ამ აზრის ერთგული დარჩა ბოლომდე და ცარიზმს ებრძოდა რუს რევოლუციონერ-დემოკრატებთან ერთად.

1868 წლიდან, ლ. ი. მეჩნიკოვთან ერთად, ნ. ნიკოლაძე ჟენევაში იწყებს ჟურნალ „სოვრემენნოსტის“ გამოცემას, რომელშიც აქვეყნებს მეტად საყურადღებო სტატიებს. გარდა ამისა, მან და მ. ელპიდინმა ჟენევაში გამოსცეს ნ. გ. ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი ტომი და მისივე რომანი „რა ვაკეთოთ?“, რომლებსაც ნ. ნიკოლაძის წინასიტყვაობები აქვთ წამძღვარებული.

1866 წელს შვეიცარიაში გამოცემულმა მისმა წიგნმა „მთავრობა და ახალი თაობა“[1] (რუსულ ენაზე) რევოლუციური წრეების ფართო ყურადღება მიიპყრო.

აღნიშნული ნაშრომი საყურადღებოა იმითაც, რომ ნ. ნიკოლაძე თავის გარკვეულ შეხედულებას გამოთქვამს როგორც სასურველ სოციალურ სისტემაზე, აგრეთვე ეროვნული თავისუფლების საკითხზე: „საზოგადოებრივი ცხოვრების ის წყობა, რომლის განხორციელებასაც ფიქრობს ახალი თაობა, დაფუძნებულია... ყოველგვარი პრივილეგიების მოსპობასა და იმაზე, რომ მიწა სამფლობელოდ გადაეცეს მშრომელ ხალხს და გადაეცეს ისე, რომ ამნაირ მოწყობილ სახალხო შრომას მინიჭებული ჰქონდეს კანონმდებლობის სამართლიანი მფარველობა“. ამასთან ერთად იგი ხაზგასმით მიუთითებს, რომ ახალი თაობის აზრით, „რუსეთს არავითარი უფლება არა აქვს იბატონოს იმ ქვეყანაზე,

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, პროფ. დ. გაბეზრდაშვილის რედაქციით, 1962, ტ. I

რომელსაც სურს თვითონვე იყოს თავისი ბატონ-პატრონი და თვითონვე გაუძღვეს საკუთარ საქმეებს".

საგულისხმოა, რომ ნ. ნიკოლაძემ ციურიხის უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „განიარაღება და მისი ეკონომკურ-სოციალური შედეგები" და მიენიჭა სამართლის დოქტორის ხარისხი, ნაშრომი შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოიცა 1868 წელს ჟენევაში ფრანგულ ენაზე.

ნ. ნიკოლაძე საქართველოში დაბრუნდა 1870 წელს და მაშინვე აქტიურად შეუდგა კრიტიკულ-პუბლიცისტურ და პრაქტიკულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას. შეიძლება ითქვას, რომ 70-იანი წლებიდან იგი წამყვანი პუბლიცისტია, რომლის გავლენა მთელ ქართულ მწერლობასა და აზროვნებაზე დიდი და აშკარაა. ამის შემდეგ იგი მუდამ ბეჯითად იღვწის როგორც ქართველი მოღვაწე და მოაზროვნე, მაგრამ მეტად აქტიურად თანამშრომლობს რუსულ ცენტრალურ პრესაშიც, საინტერესო ნაშრომებს აქვეყნებს საზღვარგარეთაც ფრანგულ ენაზე: „დეკადანსის პრესა", პოლიტიკური სტატიების კრებული „საახალწლო" და ავტობიოგრაფიული მოგონებები „ნახული და გაგონილი", რომელთაც გამოჩენილი ფრანგი მოღვაწეების (ლუი ბლანი, ჟერარდენი, ივ გიო და სხვა.) გამოძახილი და მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ნ. ნიკოლაძე, მართალია, ტიპური თერგდალეული და ქართველ სამოციანელთა საამაყო წარმომადგენელი იყო, მაგრამ ბევრ რამეში იგი არ ეთანხმებოდა და სერიოზულ პოლემიკასაც უმართავდა ცნობილ ქართველ სამოციანელებს. იგი გამოირჩეოდა რადიკალური შეხედულებითა და მებრძოლი ტემპერამენტით, რამაც მას საერთო აღიარება მოუტანა.

ასეთია ზოგიერთი შტრიხი ნ. ნიკოლაძის პოლიტიკური პორტრეტისა.

1901 წელს ჟურნალ „მოამბეში" გამოქვეყნდა არჩ. ჯორჯაძის დაუმთავრებელი სტატია „ნ. ნიკოლაძე", რომელიც შეტანილია მის თხზულებათა მეორე წიგნში[1] ავტორისეული შენიშვნით: „საუბედუროდ, ეს წერილი დაუმთავრებელი დამრჩა. ვათავსებ მას, რადგან შიგ მოიპოვება რამდენიმე ცნობა წარსული საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ".

ყოველი თვალსაზრისიდან გამომდინარე, ნ. ნიკოლაძეზე წერა და მისი დამსახურების ზედმეტ-ნაკლებად სრული დახასიათება ძალზე საპასუხისმგებლო საქმე იყო, ამიტომაა, რომ არც არჩილ ჯორჯაძე მალავს ამ გარემოებას და თავის სტატიას „ნ. ნიკოლაძე" საკმაოდ ემოციურად იწყებს: „არა ჩვეულებრივის აღელვებით ვიწყებთ ჩვენ

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 134-150

ნიკო ნიკოლაძის ნაწერების დაფასება-განმარტებას. ძველი გაზეთებისა და ჟურნალების გადაფურცვლამ, დავიწყებული ძველი ამბების მოგონებამ, წარსულის ცხოვრების, მოღვაწეობისა და თაობის გადასინჯ-გადათვალიერებამ რაღაც გაურკვეველი აღელვებით ააკსო ჩვენი გული, ააშფოთა ჩვენი გონება და ჩვენს ოცნებასაც მისცა მდიდარი საზრდო".[1]

ამგვარი მღელვარებისათვის არჩილ ჯორჯაძეს ბევრი სხვადასხვა საბაბი და საფუძველი ჰქონდა, მაგრამ ერთ-ერთი მათგანის შესახებ თვითონ გვიზიარებს აზრს, რასაც ჩვენთვის ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. „ჩვენ,—წერს ის,—ამჟამად წარსულისაკენ გვიჭირავს თვალები. იქ გვინდა მოვნახოთ კლიტე ახალი ცხოვრების ასახსნელად. ნ. ნიკოლაძის ნაწერები ამ შემთხვევისათვის კარგ იარაღს გვაძლევს ხელში, რადგან ჩვენი ცხოვრების სახე მკაფიოდ არის დაბნეული ამ წერილის გულში, რადგან ყველაფერმა, ცხოვრების სიხარულმა და ტანჯვამ, ერთის ღონით, ერთნაირის ძლიერებით დაასვა დიდი დაღი მის სულიერ პიროვნებაზედ".[2]

მაგრამ არჩილ ჯორჯაძე წარსულში ეძებს „კლიტეს ახალი ცხოვრების ასახსნელად", არა იმის გამო, რომ განსხვავებას არ ხედავს წარსულსა და თავის თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის, არამედ სწორედ ამ განსხვავების გამო და იმაზე მისათითებლად, რომ დიდი ქართველი სამოციანელების პოლიტიკური შეხედულებები, რომლებიც განსხვავებულ სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციაში იქმნებოდნენ, შესწორებასა და დამატებას მოითხოვენ. იგი საგანგებოდ მიუთითებს, რომ მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლებისათვის „საზოგადოებრივი განწყობილება სხვა ნიადაგზე იყო აშენებული, ლიტერატურასა და მწერლობას სხვა საგანი ჰქონდა გასარკვევად და ჩვენს პარტიათა ბრძოლასაც სულ სხვა ნიადაგი ედვა".[3] ეს ის დრო იყო, როცა ჯერ კიდევ არ ყოფილა გამოკვეთილი „პროფესიონალური კლასები" და მშრომელ ხალხს ჯერ კიდევ „არ ყვანდნენ თავიანთი წრის და წოდების იდეოლოგები".

არჩილ ჯორჯაძე იზიარებს ნ. ნიკოლაძის შეხედულებას იმის თაობაზე, რომ ახალმა თაობამ (სამოციანელებმა) ძველ თაობაზე გაიმარჯვა. პირველ ყოვლისა, თვით ცხოვრების ვითარების გამო, „შესანიშნავი და დაფიქრების ღირსი ის გარემოებაა, რომ ძველი თაობის ჩაქოლვის და დამხობის მიზეზი უფრო ცხოვრების და გარემოების ძალა იყო, ვინემ ახალი თაობის მოქმედება და ბრძოლა",[4] თორემ მას ბევრი რამ აკლდა

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ., გვ. 134
[2] იქვე, გვ. 135
[3] იქვე
[4] იქვე, გვ. 136

ცხოვრების წინააღმდეგობისათვის. ამ მიზნით იგი იმოწმებს ისევ ნ. ნიკოლაძის შემდეგ სიტყვებს: „ახალმა თაობამ არც საზოგადოებრივი მეცნიერება იცოდა თეორიითა, არც პრაქტიკული მდგომარეობა ჩვენი ხალხისა, არც ჩვენი საზოგადოების საჭიროება და სურვილი. იმას მარტო კეთილი გული და პატიოსანი სურვილი ჰქონდა, და გონების ბაირაღადაც იმას მარტო ორიოდე მეტნაკლებად ნათელი აზრი მოუძღოდა: გლეხების განთავისუფლების სამართლიანობა, ბატონყმობის უვარგისობა, მამულის სამსახური, და თუ ამ მცირედი იარაღით და ბარგით, ამ გამოუკვლეველი, ნისლიანი აზრებით მაშინდელმა თაობამ მაინც თავი გამოიჩინა და საზოგადოების თვალში უწინდელ თაობაზე უფრო მაღლა დადგა, ეს, ერთის მხრით, ჩვენი თაობის განუკურნებელ სიძაბუნეს გვიმტკიცებს და, მეორეს მხრივ, გვიჩვენებს, რა ადვილი იყო მაშინ ახალი მიმართულების გამარჯვება და ამაღლება“.[1]

ქართველ სამოციანელთა ტრაგედია, არჩილ ჯორჯაძის აზრით, ის იყო, რომ მისი სიტყვა ყოველთვის ვერ მიდიოდა ხალხთან, ანდა მის მხოლოდ მცირე ნაწილს ჰქონდა შესაძლებლობა მიხვედრილიყო, თუ ვინ იცავდა მშრომელი ხალხის ინტერესებს. „ხალხი შორს იდგა—ამბობს არჩილ ჯორჯაძე—მის ყურამდე არ აღწევდა მანუგეშებელი სიტყვა. ხალხმა არც კი იცოდა, რომ მას ყავდა მოსარჩლე“.[2] ავტორი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ „მესამოცე წლების დემოკრატიული მოძრაობა... არ გაცდენია თვით მოთავეების ვიწრო წრეს. რადგან ისინი, მიუხედავად იმისა, რომ მათი გული და გონება ხალხისაკენ მიისწრაფოდა, საქმით, მოქმედებით შორს იდგნენ ხალხზედ“.[3] ამგვარი შეფასება შეიძლება ცოტა ამუქებდეს ვითარებას, მაგრამ ნამდვილად არაა მოკლებული ჭეშმარიტებას. მშრომელი ხალხის განვითარების დონე და კლასობრივი შეგნება, მართლაც, არ იყო სახარბიელო. ეს გარემოება კი, პირველ ყოვლისა, თვით სამოციანელთა მოღვაწეობას ამძიმებდა და აკლებდა იმ აუცილებელ ძალას, რომელსაც საზოგადოების მხარდაჭერა მატებს.

მაგრამ ამჯერად, არჩილ ჯორჯაძისათვის, მთავარია ნ. ნიკოლაძის როლის გარკვევა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პოლიტიკურ აზროვნებაში. ამიტომაც იგი პირდაპირ სვამს კითხვას: რა შესძინა ლიტერატურას და საზოგადოებრივ ცხოვრებას ნ. ნიკოლაძემ? და აშკარად იგრძნობა, რომ მას ძალიან უძნელდება, და არ შეიძლებოდა არ გაძნელებოდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ვინაიდან ნ. ნიკო-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ახალი ახალგაზრდობა. იხ. ჟურნალი „კრებული“, 1873 წ. №1

[2] ციხულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 138

[3] იქვე. გვ. 138

ლაძის მოღვაწეობის სფერო და ხასიათი მეტად რთული და განსაკუთრებული იყო. სხვა რომ არაფერი, არჩილ ჯორჯაძისათვის, ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა თავი მოეყარა ნ. ნიკოლაძის ნაწერების თუნდაც ნახევრისათვის.

„უნდა ვსთქვათ, რომ ამ მწერლის დაფასება მეტად საძნელოა. ნ. ნიკოლაძეს, ქართულის გარდა, ბევრი რამ უწერია რუსულადაც—ზოგი აქაურ პრესაში, ზოგი პეტერბურგის ჟურნალებში. ამასთან, საზღვარგარეთ ყოფნის დროს მას მონაწილეობა მიუღია ფრანგულ გაზეთებში (შვეიცარიაში) და აგრეთვე ცნობილ ჰერცენის „კოლოკოლში", ყველა ამ მასალის შეგროვება მეტად მოუხერხებელია და იქნება შეუძლებელი ამჟამად. ამისათვის ჩვენ წინადაწინვე ვამბობთ, ამ ჩვენს წერილებს ბევრი ნაკლოვანებაც ექნება და სასურველი სისრულეც აკლდება. მხოლოდ არ უნდა დავიიწყოთ, რომ ჩვენი ავტორის არქართულ ნაწერებს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. აქაურ რუსულ ჟურნალ-გაზეთებში ნ. ნიკოლაძე ხშირად სწერდა ქართულ კითხვებზე. მათ ჰქონდათ მნიშვნელობა რუსებისთვის და ქართველი ინტელიგენციისათვის... რაც შეეხება რუსეთში და საზღვარგარეთ დაბეჭდილ ნაწერებს, მათი მნიშვნელობა უფრო განსაზღვრულია: ისინი უფრო ავტორის სულიერ პიროვნების დასახასიათებლად გამოდგებიან. სხვა მნიშვნელობა ქართველ საზოგადოებისათვის და ლიტერატურისათვის მათ არ ჰქონდათ. ჩვენც ამისდა კვალად მოვეკიდებით საქმეს. თავდაპირველად მივაქციოთ ყურადღება ავტორის ქართულ ნაწერებს. ისინი არამც თუ იმას დაგვანახვებენ, რა შესძინა ნიკოლაძემ ქართულ ლიტერატურას, არამედ როგორ სახავდა და ამტკიცებდა ავტორი თავის აზრებს".[1]

მართალია, არჩილ ჯორჯაძეს ვერ დავეთანხმებით ნ. ნიკოლაძის იმ სტატიების და წერილების შეფასებაში, რომლებიც გამოქვეყნებული ჰქონდა რუსეთის ცენტრალურ პრესაში და საზღვარგარეთ, მაგრამ, ამჯერად, ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. ჩვენთვის მთავარია იმის გარკვევა და გადმოცემა, თუ როგორ აქვს წარმოდგენილი მას ნ. ნიკოლაძის როლი მე-19 საუკუნის საზოგადოებრივი აზრის, კერძოდ—პოლიტიკური აზროვნების რევოლუციაში.

„ნ. ნიკოლაძე,—ამბობს არჩილ ჯორჯაძე,—იმ ახალგაზრდათაგანი იყო, რომელმაც ზურგი შეაქცია მესამოცე წლებში ძველ თაობას და ძველ საზოგადოებრივ წეს-წყობილებას. მისი აზრი, გრძნობა, მისწრაფება სულ მომავლისაკენ იყო მიქცეული და მიმართული. ამისათვის

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი II, 1911 წ. გვ. 140

იგი მკაცრ და მკვახე მსჯავრს სდებდა არამცთუ გადაბირებულ მოღვაწეებს, ახლებსაც და ხშირად ვერ ეწყობოდა, ვერ ურიგდებოდა თავის მედროვე ახალ თაობას, მოქმედმა, დაუღალავმა, შორსმჭვრეტელმა ნ. ნიკოლაძემ იმთავითვე შეიგნო ერთგვარი ცხოვრების ხასიათი, იგი სდეკნიდა ყოველგვარ გაუბედაობას, ლაჩრობას, „სენტიმენტალობას"... ნიკოლაძის მკვახე სიტყვა ბევრს ჭკუაში არ მოსდიოდა. მისი „რეალიზმი" აფრთხობდა და აშინებდა. ხოლო ჩვენი ავტორი მაინც თავისას იძახოდა. ცხოვრებასთან ხუმრობა ლაჩრობად ეჩვენებოდა".[1]

ნ. ნიკოლაძის ამგვარი დახასიათება არ ეწინააღმდეგება სინამდვილეს, პირიქით, მასში კარგადაა წარმოდგენილი გამოჩენილი პუბლიცისტისა და მოღვაწის პორტრეტი. ისიც ნამდვილია, რომ „ნ. ნიკოლაძის პირდაპირობა, მოურიდებლობა, ბევრ უსიამოვნებას ჰბადებდა თვით ახალგაზრდობის წრეებშიც".[2]

აღნიშნულზე ყურადღებას ამახვილებს ნ. ნიკოლაძის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებების მკვლევარი პროფ. ვ. მეტრეველი, რომელიც წერდა: „ნ. ნიკოლაძე მთელი თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე უშიშრად ამხელდა ცხოვრების განსაკუთრებულ მხარეებს, რისთვისაც უნდობლად უყურებდა მას მეფის მთავრობა. არც ზოგიერთ ქართველ და რუს მოღვაწეებთან ჰქონდა მას სიამტკბილობა თავის პირდაპირობის გამო".[3]

ამ გარემოებაზე, როგორც ცნობილია, ნ. ნიკოლაძეც ხშირად მიუთითებს და რაც მთავარია, მისი პუბლიცისტური მემკვიდრეობა აშკარას ხდის, რომ იგი არცთუ იშვიათად აკრიტიკებდა ს. მესხის, გ. წერეთლის, გ. თუმანიშვილის, ი. მაჩაბლის და სხვათა ცალკეულ შეხედულებებს თუ პრაქტიკული მოღვაწეობის კერძო ასპექტებს.

არჩილ ჯორჯაძის შეხედულებით, „ნიკოლაძე თითქმის ყოველთვის განცალკევებულად მოქმედებდა, ყოველთვის თავის საკუთარის გზით მიდიოდა, დამოუკიდებლად და უშიშრად".[4] ამ ნათქვამში ერთგვარი გადაჭარბებაა: ნ. ნიკოლაძე ყოველთვის განცალკევებულად არ მოქმედებდა. მაგრამ ის კი უდავოა, რომ მისთვის ამოსავალი და მთავარი იყო არა პიროვნება, თუნდაც მეგობარი, არამედ საქმის არსი, მოვლენის იდეური ფასეულობა, თვით მისი დამოკიდებულება ცალკეულ პე-

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი II, 1911 წ. გვ. 140-141

[2] იქვე, გვ. 141

[3] ვ. მეტრეველი, ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, 1980 წ. გვ. 6

[4] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 140-141

რიპეტიებთან და ცხოვრების სინამდვილესთან საერთოდ. არჩილ ჯორჯაძე ჩვეული ობიექტურობით საყვედურობს ნ. ნიკოლაძეს იმის თაობაზე, რომ გადააჭარბა ახალი თაობის (თანამედროვეების) შეფასებაში, იმოწმებს რა თვით ნ. ნიკოლაძის სიტყვებს: „ყოველ საზოგადოებაში თვითეულ თაობას თავისი საკუთარი ტვირთი აწევს და ისტორიულ ცხოვრებაში ყოველ თაობას უნდა შეეძლოს თქმა: ჩემი მხრით მე ეს ახალი სარგებლობა მოვუტანე ჩემს ხალხს, ეს ახალი სინათლე ვაჩვენე, ახალი ძალა შევძინე და ახალი გზა გავუხსენი უკეთეს ცხოვრებისაკენ,—შეუძლია ჩვენს ახალგაზრდობას გულზე ხელი დაიდვას და სთქვას ეს სიტყვები? მე დარწმუნებული ვარ, რომ არა“. სწორად ამით ხსნის არჩ. ჯორჯაძე, რომ მას ამ სიტყვების შემდეგ ბევრი მეგობარი აღარ შერჩებოდა და ამიტომაც უწევდა დამოუკიდებლად ემოქმედა. არჩ. ჯორჯაძე დიდ სიხარულს გამოხატავს იმის გამო, რომ ნ. ნიკოლაძემ თვითონვე აღიარა ახალგაზრდობის შეფასების დროს დაშვებული გადაჭარბება და ამბობს: „კაცი არ არის შეუცდომელიო“... მას სწამს, რომ „ამ თავის შეცდომის აღიარების შემდეგ მეტი ფასი ეძლევა იმას, რაც დაუწერია ნ. ნიკოლაძეს წინად თავის თანამედროვე ახალგაზრდა მოღვაწეებზე“.[1] თავის ამ მოსაზრებას ადასტურებს თვით ნ. ნიკოლაძის სიტყვებით: „რაც კი რამ იყო ჩვენში ახალგაზრდა მხარე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მასზედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს“. არჩილ ჯორჯაძემ სტატიაში („ნ. ნიკოლაძე“) მოასწრო იმის თქმაც, რომ მას სურდა გაერკვია, რით განსხვავდებოდნენ, როგორც მოაზროვნეები და მოღვაწეები, ილია ჭავჭავაძე და ნ. ნიკოლაძე, ამასთან იმის ჩვენება, თუ „რა გამოიტანა მწერალმა ევროპიდან და როგორ და რანაირად განმარტა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება“.[2] მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მიზანი აღუსრულებელი დარჩა. ამჟამად გაურკვეველი მიზეზების გამო, მას სტატია აღარ გაუგრძელებია და ნ. ნიკოლაძის მისეული პორტრეტიც დაუსრულებელი დატოვა, თუმცა თავის სხვა ნაშრომებში არაერთგზის ჩერდება მის შეხედულებებზე. კერძოდ, გამოკვლევაში „მეოთხმოციანნი“ და „მეოთხმოცდაათიანნი“, როდესაც იგი ქართველ ხალხოსანთა და მათ ლიტერატურულ ორგანოზე—ჟურნალ „იმედზე“ მსჯელობს, საგანგებოდ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ხალხოსნები, უბრალო ხალხის შვილები, ეჭვით იყვნენ განწყობილნი თავადაზნაურული წოდებიდან გამოსული თითქმის ყველა მოღვაწისადმი; თუნდაც უაღრესად მაღალი იდეალების მსახურნი ყოფილიყვნენ. რაც შეეხება ნ. ნიკო-

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი II, 1911 წ. გვ. 142

[2] იქვე, გვ. 149

ლაძეს,—შენიშნავს არჩილ ჯორჯაძე,—ხალხოსნებისათვის იგი სხვაგვარი მოაზროვნე და პუბლიცისტი იყო; „უნდა ვსთქვათ, რომ „იმედი“ დიდი თანამგრძნობი იყო ნ. ნიკოლაძისა“.[1]

მართალია, ამგვარი დამოკიდებულების მიზეზზე არჩილ ჯორჯაძე პირდაპირ არაფერს ამბობს, მაგრამ აშკარაა, რომ მისთვის იგი არ იყო უცნობი: ნ. ნიკოლაძე ერთ-ერთი პირელი ქართველი „რაზნოჩინელია“, რომელიც არაფრით არაა დავალებული ძველი პრივილეგიური წოდებით.

არჩილ ჯორჯაძემ თავისი სტატია „ნიკო ნიკოლაძე“, ჩვენის აზრით, ვერ დაასრულა, უპირველეს ყოვლისა, ნ. ნიკოლაძის სათანადო ნაწერების უქონლობის გამო. მაგრამ, ცხადია, მისთვის არ ყოფილა უცხო ის გარემოება, რომ ნ. ნიკოლაძე ქართველი ერის უკეთეს მომავალს, მის პოლიტიკურ თავისუფლებასა და სახელმწიფოებრივ ბედს სრულიად აშკარად უკავშირებდა მოწინავე რუსი ხალხის ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ. ჭეშმარიტი პატრიოტი და რევოლუციონერ-დემოკრატი არ იწონებდა იმ დროის არც ერთ პოლიტიკურ და სოციალურ სისტემას, არც ერთი ქვეყნის სახელმწიფოებრივ სახეს, რაზედაც აშკარად ლაპარაკობდა საერთოდ და კერძოდ, გაზეთ „დროშაში“ მოთავსებულ სტატიებში.[2]

ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობის რევოლუციურ-დემოკრატიული და პროგრესული ბუნება და ხასიათი საყოველთაოდ იყო ცნობილი, ამიტომაც მან ძველ მოღვაწეთაგან ყველაზე ნაკლებ განიცადა თავდასხმები „მარცხნიდან“, რაც ძალიან გახშირდა ოთხმოცდაათიან წლებში.

ძველი მოღვაწეების ერთ დამახასიათებელ თვისებაზე გიორგი ლასხიშვილი წერდა: „საზოგადო საქმით გამოწვეულს პოლემიკასა და კრიტიკას ისინი მეტწილად შეურაცხყოფად სთვლიდნენ და სამუდამოდ მოსისხლე მტრები ხდებოდნენ, მე მგონია, ამ მხრით ერთადერთ გამონაკლისს შეადგენდნენ ორი დიდი მოღვაწე—ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე, დანარჩენების მოღვაწეობის ან მოქმედების კრიტიკულად შეხება სწორედ უბედურება იყო და დიდ გამბედაობას მოითხოვდა“.[3]

ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, მონოგრაფიულად შეისწავლა პროფ. ვ. მეტრეველმა. მართალია, ნ. ნიკოლაძეს სპეციალური ტრაქტატი სახელმწიფოს შესახებ არ შეუქმნია,—წერს იგი —მაგრამ „სახელმწიფოს

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი II, 1911 წ. გვ. 13.

[2] იხ. ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით, ტ. III, 1963 წ. გვ. 19

[3] გ. ლასხიშვილი, მემუარები, 1928 წ. გვ. 150

საკითხებს ეხებოდა არა თეორიული ნაშომის შესაქმნელად, არამედ ცხოვრების პრაქტიკულ მოთხოვნებთან დაკავშირებით".[1]

ნ. ნიკოლაძე სახელმწიფოს წარმოშობას უკავშირებს ცივილიზირებული საზოგადოების ჩამოყალიბებას, როდესაც საზოგადოების თითოეულ წევრს უკვე გაცნობიერებული აქვს თავისი ადგილი და როლი საზოგადოებში და პირიქით—საზოგადოებას ესმის თითოეული მისი წევრის ფასი და ზრუნავს მისი ინტერესების დაცვისათვის: „მთელი საზოგადოება უნდა ცდილობდეს, რომ არც ერთი მისი წევრი არ დაიჩაგროს, არ წახდეს, სწორედ ისე, როგორც კაცი თითოეულ თავის თითს ან სხეულის ნაწილს უფრთხილდება".[2]

ერთ-ერთ სტატიაში ნ. ნიკოლაძე უშუალოდ სახელმწიფოს ცნებისა და არსის საკითხზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ სახელმწიფო არის კაცების კრება, შემდგარი იმისათვის კი არა, რომ მთავრებს მიუთვისებიათ ზოგიერთი უფლებები და დაუმორჩილებიათ ახლომახლო მცხოვრებლები და ხალხები. არა, ამ კრების საფუძველი, სიმაგრე და ნამდვილი ბუნებითი მიმზიდველი ძალა არის ის სარგებლობა, რომელსაც ჰპოვებენ „ერთად შეკრილი პირები ერთმანეთის დაცვაში და ხმაურში და ერთად ცხოვრებაში. ყოველთვის და ყველგან სახელმწიფოს მიზნად ჰქონია ადვილათ დაიცვას და ადვილათ აცხოვროს ის პირები, რომლისგანაც თვითონ შემდგარა"[3] ნ. ნიკოლაძის ამ ციტატის ანალიზიდან გამომდინარე, ვ. მეტრეველს მიაჩნია, რომ თუ ნიკოლაძისეული სახელმწიფოს ცნებას კარგად ჩავუკვირდებით, შევნიშნავთ: ფაქტიურად, იგი გვაძლევს არა მარტო არსებული სახელმწიფოს ცნებას, მიუთითებს იმის შესახებ, თუ რა უნდა იყოს სახელმწიფო მომავალში. ერთთავად ნ. ნიკოლაძე შეცდომას უშვებს, როდესაც აღნიშნავს, რომ ყოველთვის სახელმწიფოს დანიშნულება იყო იმ ხალხის ბედნიერება, რომელიც მოცემულ სახელმწიფოში შედიან. სახელმწიფოს ცნების არსის ნიკოლაძისეული ინტერპეტაცია არამარქსისტულიაო".[4]

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ პროფ. ვ. მეტრეველს ამ შეფასებაში. რადგანაც მიგვაჩნია, რომ ნ. ნიკოლაძის შეხედულებანი სახელმწიფოს არსის შესახებ ყველაზე მეტად უახლოვდება სახელმწიფოს ცნების შესახებ თანამედროვე მეცნიერულ განსაზღვრებას.

ილია ჭავჭავაძის მსგავსად, ნიკო ნიკოლაძე აყენებს წოდებათა შერი-

---

[1] ვ. მეტრეველი, ნ. ნიკოლაძის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, 1980, გვ. 53

[2] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, თბ. 1932 წ. ტ. II გვ. 357

[3] იქვე, გვ. 568

[4] ვ. მეტრეველი, დას. შრ. გვ. 54

გების თეორიას, მისი აზრით, სახელმწიფოში ქვეყნის შიგნით წოდებათა და პიროვნებათა შორის ჰარმონიის დამყარება სახელმწიფოს ძლიერების აუცილებელი პირობაა.

ნ. ნიკოლაძის აზრით, სწორედ ამ შეთანხმებაზე უნდა ვიზრუნოთ, „მოვახერხოთ შინაური ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესება, შრომით ეკონომიურ პირობათა გადაკეთება განათლების და მრეწველობის გავრცელებით და რაც გარეშე მდგომარეობას შეეხება—ქვეყნის წარმატება, ბუნების კანონების ძალა თავისთავად აღადგენს სიმართლის მეფობას“.[1]

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძე ბუნებითი სამართლის პოზიციებიდან განიხილავს თვით სახელმწიფოს ხელისუფლების სიმტკიცეს და გაძლიერებას. მისი აზრით, „ძლიერი ხელისუფლება დიდად უწყობს ხელს საზოგადოების წინსვლას“.[2]

მას კარგად აქვს გაცნობიერებული სახელმწიფოს სუვერენიტეტის მნიშვნელობა, მისი აუცილებლობა, მაგრამ ეეჭვება აბსოლუტური სუვერენიტეტის იდეა, რადგანაც მიაჩნია, რომ „მართალია სახელმწიფო სუვერენული უნდა იყოს, მაგრამ სუვერენიტეტის აბსოლუტურობა მიზანშეწონილი არ არის, ე.ი. მართალია, სახელმწიფო შიგნით და ქვეყნის გარეთ თვით უნდა ახორციელებდეს თავის ფუნქციებს, მაგრამ გარკვეულ ანგარიშს უნდა უწევდეს კაცობრიობის ინტერესებს“.[3]

ნ. ნიკოლაძე იცნობს სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ფორმას, რის შესახებაც იგი წერს: „სხვადასხვა სახელმწიფოში მმართველობის ფორმა სხვადასხვანაირია, უმთავრესი ფორმა კი ორგვარია: მონარქიული და რესპუბლიკური“. ნ. ნიკოლაძესთან სახელმწიფოს ფორმების საკითხზე ღრმა მეცნიერული ანალიზი გააკეთა პროფ. ვ. მეტრეველმა ზემოაღნიშნულ მონოგრაფიაში. გამოყოფილია მონარქიის შემდეგი ფორმები: 1. იმპერია, 2. საკარლო, 3. სამეფო, 4. საღერცოგო, 5. სამთავრო, 6. სასულთანო, 7. სახანო. ნ. ნიკოლაძე ასახელებს მონარქიის ორ სახეს: 1. მემკვიდრეობითი მონარქია და 2. არჩევითი მონარქია. გარდა ამისა, იგი მონარქიის სახეებს აჯგუფებს მმართველობის წესის მიხედვით: 1. დესპოტური მონარქია, 2. გარეშეუსაზღვრელი ანუ აბსოლუტური მონარქია, 3. გარეშესაზღვრული ანუ კონსტიტუციური მონარქია. მას მიაჩნია, რომ „აბსოლუტური მონარქია ჰქვია ისეთ მმართველობის წესს, საცა ყოველგვარი სახელმწიფო საქმეები მარტო ერთ კაცმონარქის, ე.ი. სახელმწიფოს ხელშია, რომელიც მისგანვე დაწესებულის

---

[1] ვ. მეტრეველი, დას. შრ. გვ. 56
[2] იქვე
[3] იქვე, გვ. 68-69

კანონებისამებრ სახელმწიფოს განაგებს".[1] იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს დესპოტიას და აბსოლუტურ მონარქიას: მონარქი კი არ უგულებელყოფს კანონებს, არამედ თავისი ნება-სურვილის შესაბამის კანონებს გამოსცემს, ამტკიცებს მათ და ამ კანონების ძალით თვითონ მართავს სახელმწიფოს...

რაც შეეხება დესპოტური მმართველობის დროს, დესპოტი არ უყურებს არავითარ კანონებს და ახორციელებს იმას, რაც მოესურვება.

ნ. ნიკოლაძე განიხილავს კონსტიტუციურ მონარქიას, რომელსაც სათავეში უდგას მეფე (ხელმწიფე), მასთან ერთად გარკვეული უფლებები გააჩნია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოებს. ნ. ნიკოლაძე კონსტიტუციური მონარქიის პირობებში უშვებს ხალხის ფართო მონაწილეობას ქვეყნის მართვა-გამგეობაში. მხედველობაში ჰყავს ხალხისაგან არჩეული წარმომადგენლები, რომელთა ხელშია საკანონმდებლო უფლება, ანუ „სჯულის და ნების". კონსტიტუციური სახელმწიფოს მნიშვნელობა სწორედ ამ სიტყვებით განიმარტება, ხელმწიფე მეფობს და არა მართავს. იმ წარმომადგენლობის საკრებულოებს, რომლის ხელშია სჯულისდამდები უფლება, პარლამენტი ეწოდება.[2]

ნ. ნიკოლაძე ახასიათებს ორპალატიან პარლამენტს, რომელიც არჩევით ორგანოს წარმოადგენს და ამისი არჩევის წესი განსაზღვრულია კონსტიტუციით: დეპუტატათა ან წარმომადგენელთა ქვედა პალატა და ლორდთა ანუ ზედა პალატა. ნ. ნიკოლაძე პალატათა განსხვავებასაც განიხილავს, ყურადღებას ამახვილებს პარლამენტისა და ქვეყნის გამგებლის, პარლამენტისა და მთავრობის ურთიერთდამოკიდებულების წესებსა და პარლამენტის კომპეტენციის ფარგლებზე.

.საბოლოო ჯამში, იგი მხარს უჭერს დემოკრატიულ რესპუბლიკას, თუმცა განასხვავებს არისტოკრატიულ და ოლიგარქიულ რესპუბლიკას. ნ. ნიკოლაძეს მხედველობიდან არ გამორჩენია სახელმწიფო წყობილების ფორმებიც. იგი განიხილავს მარტივს ანუ უნიტარულს და რთულს, ფედერაციულს, საუბრობს კონფედერციაზეც.

ისევე, როგორც პოლიტიკურ შეხედულებებზე, სამართლებრივ საკითხებზე ნ. ნიკოლაძეს ცალკე შრომა არ დაუწერია, მაგრამ იგი იურისტია და სხვადასხვა ნაშრომებში მნიშვნელოვან მოსაზრებებს გამოთქვამს კანონიერებაზე, დანაშაულსა და სასჯელზე, მარ-

---

[1] ნ. ნიკოლაძის დას. ნაშ. გვ 203

[2] მ. ცაცანაშვილი, თეზისები საქართველოს პოლიტიკურ და სამარლებრივ მოძღვრებათა ისტორიიდან, 1996 წ. გვ. 32

ოლმსაჯულებაზე, ადვოკატურაზე, ქალის უფლებრივ მდგომარეობაზე, საქორწინო-საოჯახო საკითხებზე და ა. შ.[1]

ნიკო ნიკოლაძე 85 წლის ასაკში გარდაიცვალა 1928 წლის 1 აპრილს, ხოლო „... 5 აპრილს მადლიერმა ქართველმა ხალხმა მთაწმინდის მიწას მიაბარა კიდევ ერთი თავისი რჩეული შვილთაგანი, მე-19 ს. უკანასკნელი მოჰიკანი, თავისი ერის საუკეთესო მომავალში ღრმად დარწმუნებული დიდი პატრიოტი ნ. ნიკოლაძე".[2]

---

[1] იხ. ვ. მეტრეველი, დას. შრომა

[2] დ. გამეზარდაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, გვ. 103

გიორგი მაიაშვილი (ზდანოვიჩი)
(1855–1917)

გამოჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე გიორგი მაიაშვილი (ზდანოვიჩი) წარმოშობით პოლონელი იყო. მისი ბაბუა სამსონი მთელი თავისი ოჯახით პოლონეთის 1830 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის საქართველოში გადმოუსახლებიათ. გიორგის მამა ფელიქსიც ვერ ასცდენია შემდგომში მთავრობის სასჯელს, სტუდენტთა საიდუმლო წრეებში მონაწილეობისათვის 1839 წელს გაურიცხავთ პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიული აკადემიიდან. მას ცოლად ჰყავდა ქართველი თავადის მანუჩარ მიქელაძის ასული მაია, ამდენად იგი ძალიან ახლობელია ნ. ნიკოლაძისა, რომლის დედა მანუჩარ მიქელაძის გერი იყო: „მაია მიქელაძის ქალი და დედაჩემი ერთ ლოგინში გაიზარდნენ და სიკვდილამდე მხურვალე მეგობრებად დარჩნენო",—წერს ნ. ნიკოლაძე თავის მოგონებაში „წარსულიდან". 1871 წელს გ. ზდანოვიჩმა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია დაამთავრა და პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა, შემდეგ კი, 1878 წ., პეტერბურგის სამედიცინო ქირურგიულ აკადემიაში გადავიდა, სადაც ადრე მამამისი ფელიქსი სწავლობდა.

1874. წლიდან გ. მაიაშვილი უკვე ებმება რევოლუცირ მუშაობაში, მალე იგი ხდება აქტიური წევრი და ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი იმ არალეგალური რევოლუციურ-ხალხოსნური ორგანიზაციისა, რომელიც „სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციურ ორგანიზაციად" იწოდებოდა. იგი შემდგომში ბევრ გამოჩენილ მოღვაწეს აერთიანებდა. 1875 წლის აპრილში მთავრობამ უკვე დააპატიმრა მისი წევრების ნაწილი: ივ. ჯაბადარი, პეტრე ალექსეევი, ს. ბარდინა, ლუკაშევიჩი, ს. აგაპოვი, პ. ნიკოლაევი და სხვები. ამის შემდეგ, როგორც ე. კოროლჩუკი წერს, ორგანიზაციის ფაქტიური ხელმძღვანელობა ხელში აიღო გ. მაიაშვილმა, სადაც მან ძალიან სერიოზული და სარისკო მუშაობა გასწია, მაგრამ, როგორც ცნობილია, იმავე წლის აგვისტოში ორგანიზაციამ ·ახლი დარტყმა განიცადა: დააპატიმრეს ვერა ფიგნერი და ვ. ალექსანდროვი, სექტემბერში კი თვით გ. მაიაშვილი, ლიუბატოვიჩი და ზლობინი.

გამოძიებამ, რომელიც ერთ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა, საბრალ-

დებო სკამზე დასვა ორგანიზაციის 51 წევრი, მაგრამ იმის გამო, რომ ერთი მათგანი (ბეტია კამინსკაია) ფსიქიურად დაავადდა, სასამართლოს წინაშე მხოლოდ 50 რევოლუციონერი წარსდგა. ამიტომაა, რომ რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში ეს პროცესი ცნობილია „50-ის პროცესის" სახელწოდებით, სწორედ ამ პროცესზე თავისი სიტყვით დიდი ყურადღება მიიპყრო გ. ზდანოვიჩმაც, რომელმაც ჭეშმარიტი რევოლუციონერის გაბედულებითა და რწმენით ილაპარაკა. მან ღრმად გააანალიზა იმდროინდელი საზოგადოებრივი მდგომარეობა, მშრომელთა გაერთიანების აუცილებლობა ერთიანი ბრძოლისათვის, რევოლუციური მოძრაობის დაწყების განმაპირობებელი მიზეზები და ხმამაღლა განაცხადა: „Одна народная партия имеет будущее как потому, что представляет интересы большинства, так и потому, что она стоит на высоте развития передовых идей нашего времени".

გ. მაიაშვილს სასამართლომ არ დაამთავრებინა თავისი სიტყვა, მაგრამ მას მაინც დიდი გამოძახილი მოყვა. მისი შანაარსი მკითხველისათვის მოუწოდებია ჟურნალ „ვპერიოდსაც". გ. ზდანოვიჩს სასამართლომ მიუსაჯა კატორღა 6 წლითა და 8 თვით. მძიმე სასჯელები მიიღეს სხვა რევოლუციონერებმაც, რომლებმაც საერთო ყურადღება და სიმპათია დაიმსხურეს. მათ ლექსები უძღვნეს ცნობილმა რუსმა პოეტებმა, მათ შორის—ნეკრასოვმა და პოლონსკიმ.

გ. მაიაშვილი არალეგალურ მუშაობას აგრძელებდა პატიმრობის დროსაც და შეძლებისდაგვარად ამყარებდა კავშირს გარეთ დარჩენილ რევოლუციონერებთან, წერდა მათ საინტერესო წერილებს. პატიმრებს მოუხერხებიათ ხელნაწერი ჟურნალის „Кара"-ს ხუთი ნომრის გამოცემა და გავრცელებაც. სხვათა შორის, ამ ჟურნალში მოთავსებულ წერილში გ. მაიაშვილი საგანგებოდ წერდა საქართველოსა და მის მომავალ ცხოვრებაზე.

1882 წელს გ. მაიაშვილი წერს სტატიას „წერილი ჩვენს საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ", რომელსაც ჟურნალ „ივერიას" უგზავნის გამოსაქვეყნებლად. ესაა უაღრესად პროგრესული წერილი და მის გამოქვეყნებას „ივერიაში", ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

იგი „ქართველ მოღვაწეთა გადაუდებელ ამოცანად მიიჩნევს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ღრმად შესწავლას და მის შესატყვისად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმართვას. იგი მოითხოვს, რომ მათ საფუძვლიანად გაარკვიონ თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა, გაითვალისწინონ ხალხის ეკონომიკური ინტერესები და ქვეყნის მომავალი სოციალური სახე, რათა გახდნენ ხალხის იდეა-

ლების ნამდვილი გამომხატველნი, მხარი გაუსწორონ ევროპისა და რუსეთის მოაზროვნეებს.

გ. მაიაშვილი საკუთარი პოზიციებიდან გამომდინარე დაასკვნის, რომ „როდესაც იურიდიული და პოლიტიკური ფორმები სრულიად შეეხამებიან მატერიალური ცხოვრების საძირკველს, ე.ი. რადგან იურიდიული და პოლიტიკური დაწესებულებანი არიან ერთგულნი გუშაგნი აწმყო ეკონომიური ცხოვრებისა... ამისათვის რა წამსაც შენიშნავს ხალხს ეკონომიური ცხოვრების შეცვლის სურვილს, მაშინვე ეს გუშაგნი სცემენ ნაღარას, ისხამენ აბჯარს და გამოდიან ეკონომიური ცხოვრების დასაცავად".

მთელი წერილი იმას მოწმობს, რომ მისი ავტორი არა მხოლოდ გაბედული რევოლუციონერია, პრაქტიკოსია, განათლებული მოაზროვნეც, რომელსაც სურს, ეპოქის მოწინავე იდეების შუქზე შეაფასოს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეების სამოქმედო პროგრამის ავკარგიანობა, მათი პოლიტიკური და ეკონომიკური შეხედულებების სუსტი და ძლიერი მხარეები.

ამიტომ იყო, რომ გ. მაიაშვილის ამ სტატიამ არა მარტო დიდი ინტერესი, არამედ ჩვენი მოღვაწეების სერიოზული დაფიქრებაც გამოიწვია, თვით სტატია „ივერიამ" ასეთი შენიშვნით დაბეჭდა: „რედაქცია საჭიროდ თვლის ამ დიად საყურადღებო სტატიის შესახებ ცალკე წერილში ვრცლად მოილაპარაკოსო". მაგრამ არავითარი ამის მსგავსი წერილი „ივერიაში" არ დაბეჭდილა, მაშინ დუმილი არჩიეს. რაც შეეხება გრ. ვოლსკისა და ესტატე მჭედლიძის გამოხმაურებებს, ისინი მეტად სუსტნი აღმოჩნდნენ, ამის თაობაზე საგანგებოდაც კი მიუთითა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა და იურისტმა ნ. ურბნელმა (ხიზანიშვილმა).

1883 წელს გ. მაიაშვილი კატორღიდან გაათავისუფლეს და საცხოვრებელ ადგილად მიუჩინეს სემიპალატინსკი, საიდანაც შემდეგ ტომსკში გადასახლდა და აქტიურად თანამშრომლობდა „სიმბირსკაია გაზეტაში", 1889 წელს კი სამშობლოში დაბრუნდა და ჟურნალისტური მოღვაწეობა გააგრძელა თბილისურ გაზეთ „ნოვიე ობოზრენიაში" და ბაქოს გაზეთ „კასპიაში". აღსანიშნავია მისი ნაშრომები „ძველი და ახალი თაობა და მათ გამო ლაპარაკი ჩვენში", სტატია ბელინსკიზე და სხვა. გარდა პუბლიცისტური, კრიტიკულ-ლიტერატურული მოღვაწეობისა, ის აქტიურ პრაქტიკულ საქმიანობასაც ეწეოდა—მუშაობდა ქუთაისის სამიწათმოქმედო ბანკში საზედამხედველო კომიტეტის წევრად, იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზო-

გალოების ქუთაისის განყოფილებისა და ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე. „მარგანეცის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარედ ამ საბჭოს დაარსებიდანვე იყო გიორგი ზდანოვიჩი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ზდანოვიჩის ენერგიისა, გამჭრიახობისა და ნიჭის წყალობით დადგა ფეხზე და გაიზარდა ეს ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი სამრეწველო საქმე".[1] ცარიზმის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი პუბლიციტი და საზოგადო მოღვაწე გ. მაიაშვილი 1917 წლის 30 ივლისს, 62 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია ქუთაისში, მწვანეკავილას პანთეონში.

გ. მაიაშვილი საყურადღებო პიროვნება და მოღვაწე იყო. მან გარკვეული წვლილი შეიტანა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. მართალია, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის შესასწავლი და გასარკვევი ამ საინტერესო მოღვაწესთან და მოაზროვნესთან დაკავშირებით, მაგრამ როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, მას შეუწავლელი არ შეიძლება ვუწოდოთ. 1969 წელს გამოქვეყნდა დ. კაკაბაძის წიგნი „გიორგი მაიაშვილი (ზდანოვიჩი)", 1967-1969 წლებში მ. ი. კანდელაკმა გამოსცა გ. მაიაშვილის „რჩეულ ნაწერთა" ორტომეული, რომელსაც დართული აქვს მისივე უაღრესად საინტერსო მონოგრაფია „გ. მაიაშვილი (ზდანოვიჩი)—ჟურნალისტი და კრიტიკოსი", აგრეთვე სხვადასხვა დროს დაბეჭდა ა. ბენდიანიშვილის, ა. ნორაკიძის საინტერესო სტატიები ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის" ფურცლებზე.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ რ. მაიაშვილის ღვაწლსა და დამსახურებას სათანადო შეფასება მისცა ცნობილმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ არჩილ ჯორჯაძემ.

ამ მიზნითაა დაწერილი სწორედ არჩილ ჯორჯაძის ნაშრომი—„მეოთხმოციანნი" და „მეოთხმოცდაათიანნი"[2] რომელიც, მართალია, მოგვიანებით (1911 წ.) გამოქვეყნდა, მაგრამ ცხადია, ავტორს იგი გააზრებული და შექმნილი ჰქონდა გაცილებით ადრე.

ამ ნაშრომის დასაწყისში არჩილ ჯორჯაძე საგანგებოდ მსჯელობს იმ გარემოებაზე, რომ ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორია არა მარტო ზედმიწევნით არაა შესწავლილი, არამედ გარკვეული არაა ამ ისტორიის ეტაპებიც, „რის გამო ნათლად არა სჩანს კავშირი სხვადასხვა, ერთმანეთთან დაშორებულ, იდეურ მიმართულებათა".[3]

არჩილ ჯორჯაძე სრულიად უკმაყოფილოა „დასთა" იმ კლასიფიკა-

---

[1] გ. ლასხიშვილი, მემუარები, 1934, გვ. 156

[2] ნაბეჭდი ტექსტი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წელი, „მეოთხმოციანნი" და „მეოთხმოცდაათიანნი", გვ. 1-78.

[3] იქვე, გვ. 1

ციით, რომელიც მოცემული ჰქონდათ პროფ. ალ. ხახანაშვილს თავის „ქართული სიტყვიერების ისტორიაში“ და ნ. ჟორდანიას—ბროშურაში „ქართული პრესა“, ეს უკანასკნელი, მისი შეხედულებით, „მიდგომილი და ცალმხრივი აზროვნების ნაყოფია. იგი უფრო ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ მნიშვნელობის დამცირების გულისთვის არის დაწერილი, ვიდრე სხვა რაიმე საპატიო და სალიტერატურო მოსაზრებით“.[1]

არჩილ ჯორჯაძე დარწმუნებულია იმაშიც, რომ ნ. ჟორდანიას მცდარმა კონცეფციამ, სამწუხაროდ, გარკვეული გავლენა მოახდინა პროფ. ალ. ხახანაშვილზეც, რის გამო მის „ქართულ სიტყვიერების ისტორიაში“ აშკარა წინააღმდეგობებთან გვაქვს საქმე თვით ილია ჭავჭავაძის დახასიათების დროსაც.

არჩილ ჯორჯაძე არ ეთანხმება თავის წინამორბედ მკვლევარებს არც იმაში, რომ თავიანთ კლასიფიკაციაში მათ ადგილი ვერ მოუძებნეს ხალხსნურ მიმართულებას, რომელმაც თავისი პერიოდული ორგანოს—ჟურნალ „იმედის“ საშუალებით გარკვეული სიტყვა თქვა. ამის გამო, „ის ხანა, როდესაც მესამოცე წლების მოღვაწეებს ოპოზიცია გაუჩნდა ჟურნალ „იმედის“ სახეში ვიდრე მარქსიზმის აღორძინებამდე, სრულიად დავიწყებული და უცნობია ჩვენი პუბლიცისტიკისათვის“[2].

მართალია,—ამბობს არჩ. ჯორჯაძე,—მცირე რამ ითქვა გ. მაიშვილისა და ლალის (გ. ლასხიშვილის) შესახებ, მაგრამ მათი უმეტესობა მოკლებულია სიმართლეს. აქედან გამომდინარე, იგი დაასკვნის, რომ „გარდა ზოგიერთი პირისა, არავინ იცის, რას ფიქრობდა ჩვენი საზოგადოება ოთხმოციან წლებში და რაგვარად მზადდებოდა იმ ხანებში ნიადაგი იმ იდეურ და საზოგადოებრივ მოძრაობისათვის, რომელიც შემდეგში აღმოჩნდა ჩვენს სამწერლო ასპარეზზედ. ქართულ „ნაროდნიკების“ შესწავლით, ერთის მხრივ, მესამოცე წლების ფიზიონომია ირკვევა უფრო გარკვეულის ნაკვთებით, მეორეს მხრივ, არა მარტო მარქსიზმის შემოსვლას ხდის გასაგებად ჩვენს მწერლობაში, არამედ იმ სოციალ-ეროვნულ მიმართულებასაც, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში აღმოცენდა ჩვენში“.[3]

ამიტომ მას მიზნად დაუსახავს თავისი შეხედულება გამოთქვას ჟურნალ „იმედის“ ჯგუფზე, ხალხსნურ მიმართულებაზე, გ. მაიაშვილზე, ლალზე (გ. ლასხიშვილზე) და იმ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებზე, როდესაც მარქსიზმმა იჩინა თავი ჩვენს ცხოვრებაში.

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 1-2

[2] იქვე, გვ. 2

[3] იქვე, გვ. 3

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არჩილ ჯორჯაძე არ იზიარებს წინამორბედთა იმ თეორიებს, რომლებსაც „დასების“ ისტორიის წარმოჩენა ჰქონდათ მიზნად. ამისთვის მას ბევრი საყურადღებო საბუთი აქვს, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი, რომლის გამო გაკვირვებასაც კი გამოთქვამს, ისაა, თუ რატომ მაინცდამაინც სამოციანი წლებიდან უნდა დავიწყოთ „დასების“ ისტორია და სრულებით დავივიწყოთ მთელი წინა ეპოქა?! „არ მესმის,—წერს ის,—რატომ უნდა იწყებოდეს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების და ქართული ინტელიგენციის ისტორია მესამოცე წლებიდან, როდესაც ჩვენმა ინტელიგენციამ უფრო ადრე დაიწყო მოქმედება და ჩვენს აზროვნებასაც მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში განსაზღვრული ფიზიონომია და ელფერი ჰქონდა. თუ დასობაზე მიდგა ლაპარაკი, რატომ უნდა დავივიწყოთ და ანგარიშში არ მიეიღოთ ის ხანა, როდესაც ჩვენმა ინტელიგენციამ ცნობილი „შეთქმულება“ მოახდინა, ხანა, როდესაც ჰყვაოდა ჩვენი რომანტიული ლირიკა, როდესაც დაარსდა ქართული თეატრი და ქართული პირველი ჟურნალი, როდესაც მოღვაწეობდნენ სოლომონ დოდაშვილი, გ. ერისთავი, პლატონ იოსელიანი, კერესელიძე და მიხეილ თუმანიშვილი, ხანა, როდესაც დანიელ ჭონქაძემ დასწერა „სურამის ციხე“ და ლავრ. არდაზიანმა „სოლომან მეჯღანუაშვილი“, ხანა, როდესაც სეპარატიულ ოცნებათა დამსხვრევის შემდეგ... აღმოცენდა ქართველი ინტელიგენციის წრეებში მთავრობასთან ერთად სოლიდარული მუშაობის აზრი და სურვილი, ხანა, როდესაც ჯერ კიდევ ბატონყმობა არსებობდა ჩვენში და როდესაც ამ ბატონყმობასაც გაუჩნდნენ მოსარჩლენი, მისწედათ თუ არა მათ ხმა თავისუფალ აზრისა და მოძრაობისა“.[1]

იმოწმებს რა ნ. ნიკოლაძის, ს. მესხის და სხვათა გამონათქვამებს, არჩილ ჯორჯაძე იმ დასკვნამდე მიდის, რომ დასების რიცხვი საქართველოში მეტი იყო, ვიდრე მათ ჩვენ აღვრიცხავთ. და თუ ობიექტურად შეეისწავლით იმ ეტაპებს, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის ისტორიამ განცლო, „აღმოჩნდება, რომ სადაც ჩვენ, ვთქვათ, მესამე დასს ვუწოდებთ, ნამდვილად მესამე კი არ არის, არამედ მეოთხე ან მეხუთე და ამგვარად სხვაც“.[2]

უნდა ითქვას, რომ არჩილ ჯორჯაძის შენიშვნები ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ეტაპების შესახებ, ძირითადად, მართებული იყო. ამიტომ შემდგომმა კვლევა-ძიებამ იგი ბევრ რამეში გაამართლა. გამოჩენილმა მკვლევარებმა (ს. ხუნდაძე, ვ. კოტეტიშვილი, ა. სურგულაძე, ლ. გორგილაძე, დ. გამეზარდაშვილი, ი. ბოცვაძე,

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 6-7.

[2] იქვე, გვ. 8.

ალ. კალანდაძე და სხვ.) მისი შენიშვნების სამართლიანობა თავიანთი პოზიტიური კვლევა-ძიებით დაადასტურეს.

არჩილ ჯორჯაძის შეხედულებით, სამოციანელები, რომლებიც „ახალი თაობის" სახელით გამოვიდნენ და მკაცი იდეური ბრძოლა გაუმართეს ძველ თაობას, რაც მათი ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა, 80-90-იან წლებში უკვე „ძველ თაობად" იწოდებოდნენ. ამ დროისათვის მათ „ახალი თაობის" სახელით დაუპირისპირდნენ „ოთხმოციანელები" და „ოთხმოცდაათიანელები", რომელთა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა აშკარად შეიცავდა სამოციანელთა შეხედულებების კრიტიკას. რამ გამოიწვია ასეთი ვითარება?

სამოციან წლებში მომხდარი სოციალური რეფორმები და რეფორმის შემდეგდროინდელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება, არჩილ ჯორჯაძის აზით, ვერ აღმოჩნდა საკმარისი ხალხის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და იმ იმედების გასამართლებლად, რომელსაც მასზე ამყარებდნენ. „მართალია გაჩნდა თეატრი, პრესა, მაგრამ ყველა ეს საკმარისი არ იყო კულტურის აყვავებისათვის. რაც საჭირო იყო, იმისი მოპოვება ძნელი და შეუძლებელი გახდა, და რაც ხელთ გვქონდა, შესამჩნევად ეროვნულ ცხოვრებას არ ამოძრავებდა და არც ცვლიდა. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ინტელიგენცია, უმეტესად თავადაზნაურობისაგან შემდგარი, დაშორებული იყო ხალხზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ ინტელიგენციას აღაფრთოვანებდა საუკეთესო იდეალები, მაგრამ იდეალი და მისწრაფება მოღვაწეების თითქმის ერთ წრეში ტრიალებდა, მოღვაწეების სოციალური მდგომარეობა კი სხვა წრეში იმოფებოდა. და აღმოჩნდა სიტყვისა და საქმის წინააღმდეგობა იდეალისა და სინამდვილისა, აღმოჩნდა, რომ საქართველო, როგორც წოდებრივ წყობილების ქვეყანა, ისე ადვილად ვერ გამთელდება და ვერ დაივიწყებს თავის შინაურულ მოუწყობლობას, რომლის მოწესრიგებისათვის თავად-აზნაურულ ინტელიგენციას ძალა არ შესწევდა".[1]

როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძემ საკმაოდ პრინციპული საკითხი დააყენა. იგი სრულიად გარკვევით ამბობს, რომ იმ პრობლემებს, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დადგა ჩვენი საზოგადოების წინაშე, ვერ გადაწყვეტდა თავადაზნაურული ინტელიგენცია და, რაც მთავარია, არ გადაწყდებოდა „წოდებრივი წყობილების ქვეყანაში". აქ ხედავს იგი სამოციანელთა ყველაზე სუსტ რგოლს, მათ უმწეობას, გადაეჭრათ ეპოქალური სოციალური პრობლემა, რომელსაც ცხოვრება ასე გადაუდებლად აყენებდა. ასე რომ, იგი საკმაოდ კანონზომიერად თვლის სამოციანი წლების „ახალი თაობის" გამოცხადებას „ძველ თაობად" ოთხმოც-ოთხმოცდაათიან წლებში.

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ., გვ. 9.

„ყოველივე ეს რომ აღმოჩნდა,—წერს ის,—და დროთა მსვლელობაში უფრო და უფრო მომწიფდა, გამოაშკარავდა ამასთან ისიც, რომ ისინი, ვინც მესამოცე წლებში მებრძოლ შვილების საქმეს ასრულებდნენ, მეოთხმოცე წლებში უკვე „მამების“ ადგილი დაიჭირეს, რომელთაც მოწინააღმდეგენი გაუჩნდნენ, ახალი თაობის წარმომადგენელნი. და ისევ გაჩაღდა ბრძოლა ძველსა და ახალს შორის და ისევ უკმაყოფილება ჩამოვარდა დასთა შორის, ასეთია ცხოვრების ულმობელი კანონი“.[1] მაგრამ იგი კატეგორიულად მოითხოვს, რომ სათანადოდ იყოს დაფასებული სამოციანელთა უდიდესი ამაგი ერის წინაშე და ნუ გახდიან მათ ცალმხრივი კრიტიკის ობიექტად. ამასთან ერთად, არჩილ ჯორჯაძე არც იმას ივიწყებს და ფარავს, რომ ამგვარ ბრძოლაში, ყოველთვის და ყველაფერში, ახალი თაობა როდი იყო მართალი, რასაც სათანადო გათვალისწინება სჭირდება.

ოთხმოციან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული ახალი თაობის მოთხოვნები, არჩილ ჯორჯაძის აზრით, იყო შედეგი იმ სოციალური ძვრებისა, რომლებიც უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ხდებოდა. თუ მანამ სამწერლო-სამოღვაწეო ასპარეზზე თავადაზნაურული წრიდან გამოსული ინტელიგენტების მეტს თითქმის ვერ ნახავდით, „ახლა გაჩნდნენ სხვა წოდებიდან გამოსული ინტელიგენტი დიაკვნის შვილები“. ამ ინტელიგენტების დემოკრატიზმი მწიგნობრივი აღარ იყო. მათ სისხლში სდუღდა პროტესტი და თითქოს თანშეზრდილი ჰქონდათ უნდობლობა თავად-აზნაურობისადმი, თუნდაც რომ ისინი ინტელიგენტები და დიდებული მგოსნები ყოფილიყვნენ. ეს ახალი სამწერლო დემოკრატია, თუმცა ტლანქი და უხეში, პირდაპირი და გულწრფელი მოსარჩლე იყო დავრდომილი ხალხისა, რომლის წრიდან თვითონვე იყვნენ გამოსულნი და რომლის დაქვეითებასა და დაცემას ასე კარგად გრძნობდნენ და ხედავდნენ. ამ გუნდს მწერლობისას დიდი მეცნიერული მომზადება არა ჰქონდა, ხელოვნებაში მათ არა გაეგებოდათ რა, პოლიტიკაში ხშირად ბეცნი იყვნენ, მაგრამ მათი ძალა ის იყო, რომ ერის მომავალს ისინი ხალხზე აფუძნებდნენ და ხალხის გარეშე ხსნას არსად არ ხედავდნენ. ეს ჯგუფი იყო „იმედის“ ჯგუფი“...[2]

ოთხმოციანი წლების სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციისა და „იმედის“ ჯგუფის ამგვარი დახასიათება, როგორც დღეს უკვე ცნობილია ჩვენს ისტორიოგრაფიაში, სინამდვილეს არ ეწინააღმდეგება. ასევე არ ეწინააღმდეგება სინამდვილეს არჩილ ჯორჯაძის არც ის შეხედუ-

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 9-10.

[2] იქვე, გვ. 10.

ლება, რომ „იმედის“ ნაროდნიკობა რუსეთის ნაროდნიკობას არა ჰგავდა, ესე იგი, რუსული მიმართულების სისრულემდე და დამთავრებულობამდე არ მისულა. „ეს ხასიათი ჩვენებურ ნაროდნიკობას არც შემდეგში მიეცა, თუმცა ლალის შესახებ დამყარებულია აზრი ჩვენს მწერლობაში, ვითომ იგი „ივერიაში“ (1895 წ.) მოღვაწეობის დროს ტიპური „ნაროდნიკი“ ყოფილიყოს“.[1]

არჩილ ჯორჯაძის თქმით, „იმედის“ მთავარი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ „იგი ყოველ ნაბიჯზე ხაზს უსვამს ჩვენი ცხოვრების წოდებრივობას და იმას, რომ ეს წოდებრივობა, როგორც წარსულისა, ისე აწმყოში, დიდი დაბრკოლებაა კულტურის განვითარებისათვის და ხალხის წელში გამართვისათვის“.[2] „იმედმა“ ბრძოლა გამოუცხადა მთელ „ძველ“ თაობას. კერძოდ, იგი ილაშქრებს „ივერიის“, „დროების“ და „შრომის“ წინააღმდეგ. როგორც არჩილ ჯორჯაძე წერს, „იმედი“ არ ეთანხმება „ივერიის“ ცნობილ ფორმულას, რომ ქართველ ხალხს მარტოოდენ მიწა და გუთანი იხსნის.[3]

აგრძელებს რა „იმედისა“ და მისი ჯგუფის სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისის დახასიათებას, არჩილ ჯორჯაძე მიდის იმ შეხედულებამდე, რომ „იმედს“ და მრეწველობის განვითარების საჭიროების აზრიც უტრიალებდა თავში, მხოლოდ პირდაპირ და გაბედულად განვითარების ამ გზას ვერ ემხრობა... „იმედმა“ დააღწია თავი მეურნეობის ინტერესების ფარგალს, იგი მზად იყო ელიარებინა სხვა ეკონომიური ფაქტორების მნიშვნელობის აღორძინების საჭიროება და მრეწველობის და მუშათა საკითხის შესასწავლად ემზადებოდა....[4]

არჩილ ჯორჯაძის შეხედულებით, ამგვარი ეკონომიკური კონცეფციიდან გამომდინარე, „იმედი“ ახალ ეკონომიკურ მოტივებს ატარებს ქართულ პუბლიცისტიკაში. მართალია, სოფელს და სოფლის მეურნეობას იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, მაგრამ არ ივიწყებს არც დეპოების, წვრილი საკრედიტო ამხანაგობების და სხვა ამგვარ დაწესებულებათა შემოღების საჭიროებასა და აუცილებლობას. მაგრამ ასეთი საკითხები ხომ ადრეც არ ყოფილა უცხო ჩვენი პუბლიცისტიკისათვის? ჟურნალი „მნათობი“ თუ გაზეთი „დროება“ ხომ საკმაოდ წერდა ამგვარ პრობლემებსა და თემებზე? ამას გრძნობს არჩილ ჯორჯაძეც და, სრულიად სამართლიანად, იქვე დასძენს: „ყველა ამაში „იმედი“ არაფერს ახალს არ ამბობდა“.[5]

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 11
[2] იქვე, გვ. 12
[3] იქვე გვ. 14
[4] იქვე, გვ. 16
[5] იქვე, გვ. 17

მაშ რაა ის მთავარი ეკონომიკური კატეგორია, რომლის წამოწევა „იმედის" ჯგუფის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ? არჩილ ჯორჯაძის თვალსაზრისით, „იმედი" „ახალ გზაზედ დგება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეკონომიურ სამართლიანობაზე, ეკონომიურ არა სამეურნეო ფაქტორებზე აქცევს მკითხველის ყურადღებას",[1] ე. ი. როცა იგი ეკონომიკურ პრობლემას პოლიტიკური პოზიციიდან აფასებს; როცა იგი ყველა ძველ მოღვაწეს ორ ჯგუფად ჰყოფს: „თავადაზნაურულ-თავადიშვილურ" და „აზნაურულ" ინტელიგენტებად, თუმცა არცერთს არ მიიჩნევს ხალხის ინტერესების ჭეშმარიტ გამომხატველად.

აშკარად იგრძნობა, რომ არჩილ ჯორჯაძეს საკმაოდ გაუძნელდა „იმედისა" და მისი ჯგუფის მიმართების გარკვევა სამოციანელებთან. ამ საკითხის გარკვევის მიზნით, მან ბევრი ფაქტი მოიხმო და ბევრ საკითხს შეეხო, მაგრამ, ვიმეორებთ, მაინც ბუნდოვნებითაა დადაღული მისი ეს მსჯელობა. ამიტომაა, რომ ბოლოს სრულიად კონკრეტულად დასვა კითხვა: მაინც როგორი სოციალ-პოლიტიკური, ეროვნული იდეალები აღაფრთოვანებდა ჟურნალ „იმედს"?

„იმედი"—წერს ის—მოწადინებული იყო კლასიურ (კლასობრივ—გ. ლ.) ორგანოდ გამხდარიყო. მაგრამ ამას ვერ ახერხებდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ თვით ცხოვრებაში ჯერ კიდევ ოდნავად სჩანდა კლასიურ საზოგადოების ჩასახვა, ნიშნები სჩანდნენ, ხოლო იმდროინდელი დემოკრატიისათვის „გლეხი" და „მუშა" ნათლად განსაზღვრული ცნებები ჯერ არ იყვნენ. „ხალხი"—აი ფორმულა დემოკრატიული მზრუნველობისა, ხოლო თუ კლასიურ ნიადაგზე დემოკრატი ჯერხნობით ვერ დგებოდა, სამაგიეროდ მას კარგად და თავისუფლად შეეძლო დადგომა წოდებრივ გლეხურ საფუძველზე, და აი სწორედ აქ დამკვიდრდა „იმედი".[2]

ამ განმარტებით კი, შეიძლება ითქვას, არჩილ ჯორჯაძემ მაინც შეძლო ეჩვენებინა „იმედისა" და მისი ჯგუფის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია, მისი კონცეფციისა და იდეალების სპეციფიკა, რომელიც განპირობებული იყო ჭეშმარიტი დემოკრატიზმით,—მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვის დიდი სურვილით, თუმცა ცნება „მშრომელი ხალხი" მათთვის, ძირითად, გლეხობას ნიშნავდა და მუშათა კლასის ბუნება, მშრომელი გლეხობის მასთან დამოკიდებულების პერსპექტივა ბუნდოვნი ან სრულიად გაურკვეველი იყო. რაც მთავარია, მან თვითონ აშკარად გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ვერც ერთი

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 17

[2] იხილე, გვ. 22

მოღვაწე, ვერც ერთი „დასი“ ვერ იტყოდა საბოლოო და ამომწურავ პასუხს მანამდე, სანამ მათ შეგნებული და გარკვეული არ ექნებოდათ საზოგადოებრივი განვითარების კლასობრივი ბუნება, მუშათა კლასის როლი და მისია მომავალ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს კი უდავო ჭეშმარიტება იყო.

ოთხმოციანელთა დახასიათებისას არჩილ ჯორჯაძე შენიშნავს: „ვინც მეოთხმოცე წლების მწერლობის ავკარგიანობას იკვლევს, არ შეიძლება გვერდი აუხვიოს გ. მაიაშვილს, საყურადღებო პიროვნებასა და დაკვირვებულ მწერალს“.[1]

როცა არჩილ ჯორჯაძე ამ სიტყვებს წერდა, გ. მაიაშვილი უკვე მისი პარტიული თანამებრძოლი და თანამოაზრე იყო, მაგრამ სურდა ეჩვენებინა მის მიერ განვლილი გზა და ის წვლილი, რომელიც შეიტანა ქართული პოლიტიკური აზროვნების ევოლუციაში.

არჩილ ჯორჯაძის თვალსაზრისით, გ. მაიაშვილი არცერთ ჯგუფს არ ეკუთვნოდა, იგი განმარტოებით იდგა, თუმცა, თავისი პოლიტიკური შეხედულებით, უფრო ახლოს იდგა „მესამე დასთან“. მისი დამსახურებაა ისიც, რომ „ივერიაში“ გამოქვეყნებული თავისი სტატიით ჩვეულებრივ „ხალხსნობას“ რუსული „ნაროდოვოლცესტვოს“ ელფერი მისცა. „ეს წერილი მით არის საყურადღებო, რომ აქ გარკვევით ისახება, როგორც ღირსება-ნაკლოვანებანი მესამოციან წლების მოღვაწეობისა, ისე ახალი დროის, ახალი პოლიტიკური ფორმულის აღიარების საჭიროება. ჩვენი მწერალი ძველ თაობას იმაში ედავება, რომ მას პოლიტიკური პროგრამა არა ჰქონდა“.[2]

უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, არჩილ ჯორჯაძის აზრით, ქართველ სამოციანელთა პოლიტიკური პროგრამა, თუ შეიძლება ასე ითქვას, გადატვირთული იყო „ეროვნული კულტურის საკითხების წინ წამოწევით, ეფუძნებოდა მისი აღმავლობისათვის ბრძოლას, მაგრამ გამოკვეთილი პოლიტიკური იდეალები არ ჩანდა, ამ შენიშვნას სამოციანელთა ნააზრევი ზედმეტ-ნაკლებად მართლაც იმსახურებდა, რასაც თავისი გამართლება და ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა. შინა პოლიტიკურ მიზეზებზე გამოკვეთილად მსჯელობა, პირველ ყოვლისა, გამართლებული არ იქნებოდა იმ დროისათვის, მეორეც, ამგვარი იდეალების საბრძოლო პროგრამად წამოყენება ჯერ კიდევ ნაადრევი იყო. ამიტომაც ისინი არ ჩქარობდნენ. მაგრამ ოთხმოციანი წლებიდან, განსაკუთრებით კი 90-იანი წლებიდან, პოლიტიკური პროგრამის გარეშე ყოველ მსჯელობას აზრი ეკარგებოდა. ამიტომაც გ. მაიაშვილის მიერ ყურადღების გამახვილება ამ მიმართულებით არა მარტო გამართლებულია, არამედ

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 15

[2] იქვე, გვ. 26

დროულიც. ამით აიხსნება ალბათ ის დუმილიც, რომელიც სამოციანელებმა ამჯობინეს გ. მაიაშვილის სტატიასთან დაკავშირებით.

80-იანი წლებისათვის გ. მაიაშვილი, როგორც არჩ. ჯორჯაძე შენიშნავს, მართლაც განცალკევებით დგას ჩვენს მოღვაწეთა შორის. იგი უფრო რუსული რევოლუციურ-ხალხოსნური პოზიციიდან აფასებს ჩვენს სინამდვილეს და ბევრ ნიშანდობლივ მხარეებზე ამახვილებს ყურადღებას. იგი „მსგავსად „იმედის" ჯგუფისა, აღარ კმაყოფილდება „ძველი თაობის" მოღვაწეობით, ხოლო წინააღდეგ „იმედისა", სრულიად არ უსაყვედურებს ძველ მოღვაწეებს იმას, რომ ისინი იცავდნენ ენას, თეატრს და სხვა ამგვარ ეროვნულ საქმეს, არამედ იმას უსაყვედურებს, რომ მოღვაწეთა ყურადღება მხოლოდ ამაზე იყო მიპყრობილი".[1]

როგორც არჩილ ჯორჯაძე წერს,—„გ. მაიაშვილი მართლაც რუსული კულტურის და პოლიტიკურ-სოციალური მოძრაობის დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა",[2] რაც სრულიად არაა მოულოდნელი, მაგრამ ისიც აშკარად უნდა ითქვას, რომ საკმაოდ კარგადაა ინფორმირებული იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ, და ჩანს, ურიგოდ არ იცნობდა ჩვენი მწერლობისა და ჟურნალისტიკის მიმდინარე ცხოვრებას.

გ. მაიაშვილი არ ღალატობდა სინამდვილეს, როცა ამბობდა: „გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ცოტა არ იყოს იმათივე (სამოციანელების—გ.ლ.) მოქმედების წყალობით მოძრაობამ მიიღო ერთგვარი ხასიათი, მეტის-მეტი ნაციონალური, მეტის-მეტი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, კულტურული და მხოლოდ მცირედ ხალხური".[3]

ცნება „ნაციონალური" გ. მაიაშვილის ამ მსჯელობაში, არც მეტი, არც ნაკლები, ეროვნული „კულტურის" გაგებითაა ნახმარი და იმას გულისხმობს, რომ სამოციანელებმა თავისი მოღვაწეობა თითქმის მხოლოდ ენის, სკოლების, თეატრის, ეროვნული მწერლობის და სხვა კულტურული ფაქტორების შესახებ ზრუნვით გადატვირთეს. მაგრამ არჩილ ჯორჯაძე იმ შეხედულებისაა, რომ ამ დროისათვის „არც ახალ თაობას (ოთხმოციანელებს, გ. ლ.) ჰქონდა ნათლად გარკვეული პოლიტიკური აზრი ნაციონალური პრობლემისა".[4]

პროფ. ი. სურგულაძე შენიშნავს, რომ გ. მაიაშვილი ეკონომიკურ წყობაში ხედავს საზოგადოებრივი განვითარების საფუძველს. მისი აზრით, რადგანაც საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელი არის

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 27

[2] იქვე, გვ. 27

[3] „ივერია", 1882, №7

[4] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 27

ეკონომიკა, ამიტომ უნდა ვაწარმოოთ ეკონომიკური ბრძოლა და არა პოლიტიკური.[1]

გ. მაიაშვილი ნაროდნიკია (ხალხოსანი) და ბუნებრივია, მისი მსოფლმხედველობაც გარკვეულწილად ეკონომიკური მატერიალიზმის პრინციპებიდან ამოდის, მაგრამ „იმავე დროს საზოგადოებრივ მოვლენებს ნაროდნიკულ-იდეალისტური თვალსაზრისით იხილავს",[2] გ. მაიაშვილს ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთობა ნაროდნიკული თვალსაზრისით ესმის. ამავე აზრს იზიარებს ლ. გორგილაძე, რომელიც თავის დროზე წერდა: „გ. მაიაშვილის მიერ საერთოდ ეკონომიკისა და პოლიტიკის საკითხები ნაროდნიკული პოზიციებიდან იყო გადაწყვეტილი.[3]

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში არჩილ ჯორჯაძე არ ცდება, ვინაიდან ოთხმოციანელებმა, მათ შორის გ. მაიაშვილმაც, მართალია, წინ წამოსწიეს ქვეყნის ეკონომიკური პრობლემების მნიშვნელობა და კრიტიკულად უყურებდნენ სოციალური ყოფის კანონზომიერებას, მაგრამ ყოველივე ამას ჯერ კიდევ არ იყენებდნენ წმინდა პოლიტიკური პროგრამის შესამუშავებლად და წარმოსადგენად: ისინიც, გარკვეულწილად, დროთა მსვლელობას ელოდებოდნენ და ჩქარობდნენ სამშობლო ქვეყნის მომავალ სახელმწიფოებრივ სახეზე მსჯელობას.

არჩილ ჯორჯაძემ სწორად შენიშნა ის გარემოებაც, რომ გ. მაიაშვილის სტატიის („წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ") მეორე საყურადღებო მოტივი იყო „გლეხურ-ხალხოსნური მოტივები", მაგრამ, ჩვენის აზრით, იგი გარკვეულად აჭარბებს გ. მაიაშვილის სოფლისადმი და ხალხოსნური „თემისადმი" დამოკიდებულების შეფასებაში. სხვა რომ არაფერი, გ. მაიაშვილის არალეგარული პრაქტიკულ-რევოლუციური მუშაობა იმის მაჩვენებელია, რომ მას არ შეიძლებოდა მხედველობიდან გამორჩენოდა მრეწველობისა და მუშათა კლასის როლი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, და, რაც მთავარია, ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნის საქმეში. ეს გარემოება შემდეგში მისმა პრაქტიკულმა საქმიანობამაც დაადასტურა—მთელი თავისი ენერგია მან ჭიათურის მარგანეცის წარმოების გაფართოებას შესწირა.

არჩილ ჯორჯაძის შეხედულებით, გ. მაიაშვილმა 1890 წლიდან, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისი მიმართულება უფრო დააზუსტა. ამის

---

[1] ივ. სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, 1986 წ. გვ. 370

[2] ო. ბაკურაძე, საქართველოში მარქსისტული ფილოსოფიის გავრცელების ისტორიიდან, 1954 წ. გვ. 7

[3] ლ. გორგილაძე, მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 116

საბუთად კი 1889 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№ 222-238) გამოქვეყნებული სტატია „ძველი და ახალი თაობა“ მიაჩნია. არც მისი ეს დაკვირვებაა მოკლებული ჭეშმარიტებას. და არა მარტო გ. მაიაშვილი, არამედ დიდი უმრავლესობა ხალხისნური იდეებით გატაცებული მოღვაწეებისა, 90-იანი წლებიდან იცვლიან სოციალურ-პოლიტიკურ კრედოს, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესითა და მარქსიზმის გავრცელებით იყო გამოწვეული.

გ. მაიაშვილი ყოველთვის იმ აზრის იყო, რომ ქართველ მოღვაწეებს ბეჯითად უნდა ედეკვნებინათ თვალი რუსული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მოწინავე რუსი მოღვაწეებისათვის, რათა უეჭველად გაეთვალისწინებინათ მათი შეხედულებები სოციალურ-პოლიტიკურ გარდაქმნათა შესახებ. მისი თქმით, „ჩვენი უპირველესი მოვალეობაა ფხიზლად და თვალ-გაფაციცებით ვადევნებდეთ თვალყურს და ვიძიებდეთ რუსეთის ცხოვრების ვითარებას, და, შეძლებისდაგვარად ჩვენც ხელს ვუმართავდეთ რუსეთში და ჩვენშიაც კეთილის ზნეობისა და უკეთესი ცხოვრების დამყარებას“.[1] ამგვარი შეხედულება ქართული საზოგადოებრივი აზრისათვის, ცხადია, უცხო არ ყოფილა. ამ გზას ადგნენ ქართველი სამოციანელები და, კერძოდ და განსაკუთრებით, ნიკო ნიკოლაძეც. ამიტომ ვერ დავეთანხმებით არჩილ ჯორჯაძეს, რომელიც გ. მაიაშვილის ამგვარ პოზიციას მხოლოდ რუს ნაროდნიკებთან მისი მჭიდრო კავშირით ხსნის და ამბობს: „გ მაიაშვილი, პირმშო შვილი „რუს-ნაროდნიკებისა“, წინააღმდეგი იყო ქართველი ახალგაზრდობის განცალკავებისა რუსეთის ახალგაზრდობისაგან“.[2]

რაც მთავარია, არჩილ ჯორჯაძე თვითონაც საგანგებოდ მსჯელობს სამოციანელთა ამგვარი კავშირისა და ურთიერთობის შესახებ. მისი შეხედულებით, „იმ ხანებში, როდესაც ხანგრძლივის ძილის შემდეგ (ე. ი. 60-იან წლებში—გ. ლ.) ჩვენში იწყებოდა ეროვნულ-კულტურული აღორძინება, ხოლო ქართული აზროვნება ჯერ კიდევ არ მისულა საკუთარის პოლიტიკურ-ეროვნულის ფორმულის აღორძინებამდე, რუსი ინტელიგენციის და საზოგადოდ რუსული კულტურის ზეგავლენა ჩვენს საზოგადოებაში, ჩვენს ახალგაზრდობაზე მართლაც და განუსაზღვრელი იყო. მართალია, ეს გავლენა შემდეგ ეპოქაშიაც ძლიერია, იქნებ უფრო ძლიერი, ვიდრე ოდესმე ყოფილიყოს ჩვენს კულტურულ წრეებში, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანაში უკვე შემუშავდა და მომწიფდა სხვა ძალაც, ნაციონალურ-პოლიტიკური შემეცნება, რომელიც ასე თუ ისე წინააღმდეგობას უწევდა ჩვენს ისედაც პირადობის და საკუ-

[1] გაზ. „ივერია“, 1889 წ. № 226

[2] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 33

თარ ვინაობის შეგნებას მოკლებულ ინტელიგენციას და აფრთხილებდა მას სრულ გათქვეფისაგან გარეშე კულტურის ატმოსფეროში, რომელიც ხშირად არ ეგუებოდა არც ჩვენ ინტერსს, არც ჩვენ მოთხოვნილებას"[1]. ეს ამონაწერი იმით იპყრობს ყურადღებას, რომ მასში გამოთქმულია გარკვეული შიში უცხო კულტურის ატმოსფეროში ჩვენი ახალგაზრდობისა და ჩვენი კულტურის სრული გათქვეფის შესაძლებლობის შესახებ. ძნელი მისახვედრი არაა არც ის, რომ ამ „უცხოში" იგულისხმება რუსული კულტურა, რომელიც, ავტორის აზრით, ყოველთვის არ ეგუებოდა ჩვენს იტერესებსა და მოთხოვნილებას. ამასთან, მითითებულია იმაზეც, რომ „უკანასკნელ ხანაში" მომწიფდა „ნაციონალურ-პოლიტიკური შემეცნება", რომელიც ამგვარი საშიშროების წინააღმდეგ იბრძვის.

არჩილი ჯორჯაძე, სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში არაა ზუსტი და ობიექტური ისტორიული სინამდვილისადმი. როგორც ცნობილია, რუსული კულტურის, რუსული ლიტერატურის გავლენის მნიშვნელობასა და ხასიათზე სრულიად ჭეშმარიტი შეხედულება ჰქონდა გამოთქმული ილია ჭავჭავაძეს, რომელიც ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ეს „გავლენა" სასარგებლო იყო მათთვის, ვისაც უნარი შესწევდა შემოქმედებითად და საკუთარი კულტურის სასარგებლოდ გამოეყენებინა იგი. ასე რომ, ამ გარემოებას ვერავინ მიუთვლის დამსახურებად იმ „ნაციონალურ-პოლიტიკურ შემეცნებას", რომელიც, არჩილ ჯორჯაძის თქმით, მხოლოდ უკანასკნელ ხანში შემუშავდა.

არჩილ ჯორჯაძე ბევრს წერს და მსჯელობს ეროვნული კულტურის შესახებ და ეს არაა შემთხვევითი. მისი აზრით, „გზა ეროვნული პოლიტიკის გამოსარკვევად, ოდნავად იწალდებოდა. ეს პოლიტიკა კულტურულ თავისებურობის აღიარებიდან იწყება. მომავალში იგი უნდა დამთავრებულიყო ეროვნული უფლებების აღიარებით".[2]

მიუხედავად გარკვეული „ცდუნებისა", არჩილ ჯორჯაძის შეხედულებით, გ. მაიაშვილი „გახდა დარაჯად საზოგადოებრივის და ქართულ კულტურის ინტერესებისა და ხან მწერლობაში და უფრო კი პრაქტიკული მოღვაწეობის დროს ყოველთვის იჩენდა ღრმა ცოდნას და დაკვირვებას ჩვენი ქვეყნის როგორც წარსულის, ისე აწმყო მდგომარეობისას".[3]

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 31
[2] იქვე, გვ. 34
[3] იქვე, გვ. 35

არჩილ ჯორჯაძე
(1872–1913)

არჩილ ჯორჯაძე მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის პირველი ათწლეულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეა. მან დიდი ზეგავლენა მოახდინა მე-20 საუკუნის დასაწყისის და შემდგომი პერიოდის ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. მისი თეორიული მემკვიდრეობა ბოლო დრომდე მხოლოდ ცალმხრივად განიხილებოდა, დასაშვები მხოლოდ მისი კრიტიკა იყო, ხოლო ყურადღებას ქართულ პარტიულ ლიტერატურაში ამახვილებდნეენ არჩ. ჯორჯაძის ანტიმარქსისტულ შეხედულებებზე. ეს ხდებოდა ალბათ იმიტომ, რომ საერთო ეროვნული საკითხი საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია და თანაც გადასაწყვეტად ურთულესი, ამავე დროს, მცირერიცხოვანი, დაჩაგრული ერისათვის ის ჩვეულებრივი, რიგითი პრობლემაა. უფრო ხშირად მეცნიერ-მკვლევარები მჩაგვრელი და ჩაგრული ხალხის ნაციონალიზმს ერთნაირად რეაქციულად თვლიდნენ. სიტყვა „ნაციონალიზმი" აღიზიანებდათ და ვინც ამ პრინციპს იცავდა, ერის მტრად აცხადებდნენ. ასეთ დამოკიდებულებას ვერც არჩილ ჯორჯაძე ასცდა.

იგი დაიბადა 1872 წელს 10 იანვარს თბილისში.

არჩილის მამა კონსტანტინე ჯორჯაძე სამხედრო პირი იყო. მათი ოჯახის ფუძე თელავის მაზრის სოფ. საბუედან იწყება. კონსტანტინე ჯორჯაძე, წოდებით პოდპოლკოვნიკი, მესანგრეთა ნაწილს ხელმძღვანელობდა.

1881-1885 წლებში ჯორჯაძეების ოჯახი ქ. ქუთაისში ცხოვრობდა, ამიტომ პირველდაწყებითი განათლება იქვე მიიღო, 1892 წელს კი თბილისის გიმნაზიის სრული კურსი დაასრულა და იმავე წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტებზე დაიწყო სწავლა. ცხოვრების მძიმე პირობებმა და პეტერბურგის ჰავამ ძალზე ცუდად იმოქმედა ახალგაზრდა არჩილზე, იგი ტუბერკულოზით დაავადდა და ექიმების რჩევით ვარშავაში გადავიდა—კვლავ იურიდიულ ფაკულტეტზე. ჯანმრთელობის გაუმჯობესების შემდეგ იგი კვლავ პეტერბურგში ბრუნდება და ამჯერად სწავლას ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე აგრძელებს. ამ პერიოდში იგი ბეჯითად ეუფლებოდა ფილოსოფიას და

სოციოლოგიას, გულმოდგინედ მეცადინეობდა ვოლინსკის ფილოსოფიურ წრეში, პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ ახალგაზრდობასთან ერთად აქტიურად იყო ჩაბმული სტუდენტურ მოძრაობაში. 1897 წლის შემოდგომაზე არჩილ ჯორჯაძე საზღვარგარეთ გაემგზავრა, სადაც ისმენდა ლექციებს პარიზისა და ლონდონის უნივერსიტეტებში. როგორც ლევ ტოლსტოის მოძღვრებით გატაცებული, სწავლობდა სოციოლოგიას, გარკვეულ პერიოდში ცხოვრობდა ტოლსტოელთა კოლონიაში (ინგლისის ესექსის საგრაფო, სოფ. პერლი კოკლასი), რასაც შედეგად მოჰყვა 1899 წელს საბუელის ფსევდონიმით „სევერნი ვესტნიკის" №12-ის ფურცლებზე გამოქვეყნებული მისი სტატია, რომლითაც დაინტერესდა ლევ ტოლსტოი და არჩილ ჯორჯაძეს წერილით მიმართა, დახმარებოდა საქართველოში გადასახლებულ იუსიბოვას ამერიკაში გამგზავრებაში.

დუხობორებისადმი მთავრობის დამოკიდებულებამ რუსეთის ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილში უკმაყოფილება გამოიწვია და მათ დასაცავად ხმა აღიმაღლა, სწორედ ეს გახდა საფუძველი, რომ რუსეთიდან გაემგზავრებინათ ბევრი მათგანი. არჩილ ჯორჯაძე ტოლსტოელთა კოლონიაში გაეცნო ტოლსტოის თანამოაზრეებს და უცხოელ მეგობრებს: ჩერტკოვს, ბირიუკოვს, ხილკოვს, ბელანჟეს, ინგლისელებს—მოოდს, კანკორდს და სხვებს, რომელთა დახმარებით 1200 კაცი გადასახლდა კუნძულ კვიპროსზე, შემდეგ კი კანადაში.

1900 წელს არჩილ ჯორჯაძე თბილისში ბრუნდება, ამ პერიოდიდან იწყება მისი ნაყოფიერი პუბლიცისტური და სამწერლო მოღვაწეობა. 1901 წელს ხდება გაზეთ „ცნობის ფურცლის" მუდმივი თანამშრომელი და რედკოლეგიის წევრი. გიორგი ლასხიშვილთან და სიმონ რცხილაძესთან ერთად იგი გაზეთისათვის ამზადებს მოწინავეებს, მიჰყავს რუბრიკა „პრესა" და „რუსეთის ქრონიკა".

1902 წლიდან არჩილ ჯორჯაძე აქტიურად მონაწილეობს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" საქმიანობაში, გამგეობამ ის ხაზინადრად აირჩია. ამავე წლის ბოლოს პარიზში მიემგზავრება. იქ გიორგი დეკანოზიშვილთან ერთად დაამზადა ქართული შრიფტი „პარიზული", მისივე რედაქტორობით საფრანგეთში ქართულ და ფრანგულ ენებზე იცემა გაზეთი „საქართველო და ულირჟი".

1904 წლის აპრილში ჟენევაში მუშაობა დაიწყო სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის დამფუძნებელმა კონფერენციამ, რომლის იდეური ხელმძღვანელი არჩ. ჯორჯაძე გახლდათ.

დაძაბულმა შრომამ და ცხოვრების მძიმე პირობებმა მისი ჯანმრთელობა ძალზე შეარყია. ერთხანს საფრანგეთში მკურნალობდა. 1904

წლის შემოდგომაზე შვეიცარიაში გაემგზავრა. 1905 წლის რევოლუციის დაწყებასთან დაკავშირებით ემიგრაციაში მყოფი ქართველების უმრავლესობა სამშობლოში დაბრუნდა, მათ შორის არჩილ ჯორჯაძეც.

მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, მას მუშაობა არ შეუწყვეტია და მომავლის იმედი არ დაუკარგავს. 1906 წ. ივნისში ფედერალისტებსა და ანარქისტებს შორის განხეთქილება მოხდა, ხოლო 1907 წლის ოქტომბერში. თბილისში გამართულ ფედერალისტთა III კონფერენციაზე საბოლოოდ გაემიჯნენ ყველა მიმდინარეობას და ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად. 1907 წლის ბოლოს არჩილ ჯორჯაძე ისევ საზღვარგარეთ გაემგზავრა, იმკურნალა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების შემდეგ კვლავ თბილისში დაბრუნდა.

არჩილ ჯორჯაძეს ეკუთვნის პირველი მონოგრაფია (ბიოგრაფია) დიმიტრი ყიფიანზე, რომელიც მძიმე ავადმყოფობის პერიოდში დაწერა და გამოაქვეყნა „სახალხო გაზეთის" ფურცლებზე. („სახალხო გაზეთი", 1913 წელი, №794-813).

იგი აპირებდა დაეარსებინა რვაგანყოფილებიანი სამეცნიერო-ლიტერატურული ჟურნალი, რომლის რედაქტორობასაც თვითონ კისრულობდა. ამ იდეას თანაგრძნობით შეხვდა ივანე ჯავახიშვილი და გადაწყვიტა, ამ ჟურნალში დაებეჭდა „ქართული სამართლის ისტორია". სამწუხაროდ, მისი გამოცემა უსახსრობის გამო ვერ მოხერხდა.

არჩილ ჯორჯაძე აქტიურად მონაწილეობდა ექიმ მიხეილ გედევანიშვილის მეთაურობით შექმნილ სარედაქციო კომისიის მუშაობაში, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ გ. აბაშიძე, ივ. ჯავახიშვილი, ივ. ზურაბაშვილი, ივ. გომართელი, გ. ლასხიშვილი, იაკ. ფანცხავა, გრ. ყიფშიძე, იოს. გედევანიშვილი. მათ მოამზადეს და 1914 წელს დასტამბეს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი გამოცემა, რაც დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში.

არჩილის დიდი სურვილი იყო ილიას თხზულებების ამ გამოცემისათვის მწერლის ბიოგრაფია დაეწერა, რისთვისაც საჭირო მასალები შეაგროვა, მაგრამ სიკვდილმა არ დააცალა ამ ოცნების განხორციელება, იგი 1913 წელს გარდაიცვალა ქ. ბათუმში, სადაც ავადმყოფობის გამო წაიყვანეს. მისი ცხედარი ბათუმიდან თბილისში გადმოასვენეს და დიდუბის პანთეონში დაკრძალეს.

არჩილ ჯორჯაძე გულწრფელად დაიტირა სრულიად საქართველომ და სათანადო პატივიც მიაგო მის ხსოვნას. არ დარჩენილა მაშინდელი პერიოდული პრესის არც ერთი დასახელება, სადაც არ იბეჭდებოდა

მასალები, რომელიც იუწყებოდნენ არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალებას.[1]

არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა ოთხივე ტომი 1911 წელს ავტორის სიცოცხლეშივე დაიბეჭდა. გამოსაცემად მომზადებული მისი ნაწერების მეხუთე ტომი 1914 წელს, გარდაცვალების წლისთავზე გამოვიდა. მე-6 წიგნისათვის გამზადებული მასალა დაუბეჭდავი დარჩა და გარდა ამისა, არქივში ინახება გამოუქვეყნებელი მასალებიც.

არჩილ ჯორჯაძე სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ

არჩილ ჯორჯაძის პოლიტიკური შეხედულებები ჩამოყალიბდა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულში, რომელიც რუსეთისა და საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოირჩეოდა თავისი სიმძაფრითა და ფართო მნიშვნელობის პოლიტიკური მოვლენებით. 1905 წლის წინა ხანის რევოლუციურ სიტუაციას და თვით რევოლუციას მოყვა მკაცრი რეაქცია. ასეთმა განწყობილებამ და შედეგებმა კი გარკვეულად იმოქმედეს ყოველი პარტიისა და მოაზროვნის სოციალურ-პოლიტიკურ პროგრამაზე. მეტ-ნაკლებად თითქმის ყველამ გადასინჯა თავისი პოლიტიკური შემოქმედების სტრატეგია და ტაქტიკა.

ამგვარ ისტორიულ ვითარებაში მოხვედრილი ახალგაზრდა მოაზროვნე არჩილ ჯორჯაძეც, ცხადია, მთელი რიგი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და ისიც მეტად გატაცებული და სათანადო კონცეფციით შეიარაღებული შეუდგა საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების შემუშავებასა და გადმოცემას, მაგრამ ამგვარი მიზნის ხორცშესხმა, ბუნებრივია, იოლი არ იყო, არა მარტო თვით პრობლემების სირთულის გამო, არამედ იმ მძაფრი პოლიტიკური უთანხმოების წყალობითაც, რომელიც მაშინ ჩვენს საზოგადოებრივ აზრში არსებობდა. თანამედროვე ისტორიოგრაფიაშიც კი სადავოა, თუ რა და რა მიმართულების პარტიებთან და ჯგუფებთან გვქონდა მაშინ საქმე, რამდენი განსხვავებული ხასიათის პოლიტიკური კრედო და კონცეფცია უპირისპირდებოდა ერთმანეთს. მაგრამ ერთი კი აშკარაა, ბრძოლის მთელ სიმძიმეს ინაწილებდნენ წინა თაობების წარმომადგენელი პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწენი, „მესამე დასელთა" ე.წ. უმრავლესობა და უმცირესობა. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ მარქსისტებს შორისაც არ იყო ერთსულოვნება, ბევრი მათგანი, ერთი მხრივ, წინამორბედ მოღვაწეთა დამსახურების ისტორიული თვალსაზრისით შეფასების საქმეში (ილია

[1] დაწ. იხ. გ. ლობჟანიძე, ნარკვევები არჩ. ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივ-სამართლებრივი ნააზრევიდან, ქუთაისი, 1992 წელი, გვ. 9-31.

ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეებისა) აშკარად ნიჰილისტურ და სუბიექ-ტურ პოზიციებზე იდგა, მეორე მხრივ, არასწორად განიხილავდნენ ეროვ-ნულ საკითხებს. ასეთმა ვითარებამ კი მეტად გაამწვავა საერთო სიტუ-აცია და გააძნელა სწორი ორიენტაციის მიცემა ქართველი საზოგა-დოებისათვის.

სწორედ ამ რთულ პოლიტიკურ ბატალიებში ჩაება არჩილ ჯორჯაძე და ბეჯითად ცდილობდა სიცხადე შეეტანა ყველასათვის საინტერესო საკითხების გაშუქებაში. თუ რამდენად წარმატებით შეძლო ამ ამოცა-ნის გადაწყვეტა, ამის თაობაზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა, მაგრამ ის კი უდავო ისტორიული ფაქტია, რომ თავისი სტატიებით მალე მიიპყრო როგორც ფართო მკითხველის, ასევე თანამოაზრე და აშკა-რად საწინააღმდეგო შეხედულებათა ავტორების ყურადღებაც. მისი პოლიტიკური მრწამსისათვის გვერდის ავლა შეუძლებელი იყო ყოვე-ლი პუბლიცისტისა და პარტიული მოღვაწისათვის.

მთავარი ფაქტორი, რომლის წყალობითაც იგი იმთავითვე იქცა საინ-ტერესო და ანგარიშგასაწევ პუბლიცისტად, იყო წინამორბედ ქართველ მოღვაწეთა, კერძოდ, გამოჩენილ სამოციანელთა დამსახურების ღირსე-ულად წარმოჩენა და მათი მოღვაწეობის ობიექტურად შეფასების ცდა. ამ გარემოებამ არჩ. ჯორჯაძეს მალე შესძინა დინჯი და გონიერი ეროვ-ნული მოღვაწის სახელი, მით უმეტეს, რომ ფართო საზოგადოებრიობა ამ დროს მეტად უკმაყოფილო იყო ნ. ჟორდანიას აშკარა ტენდენციური დამოკიდებულებით ილია ჭავჭავაძისა და სხვა ცნობილი ქართველი მოღვაწეებისადმი.

არჩილ ჯორჯაძე თავისი პოლიტიკური თვალსაზრისის გადმოცემას შეუდგა არა ერთბაშად და ერთი რომელიმე სტატიის საშუალებით, არამედ მეცხრამეტე საუკუნის ცნობილ ქართველ მოაზროვნეთა პოლი-ტიკური შეხედულებების შესწავლისა და შეფასების ფონზე. ამით იგი, ერთსა და იმავე დროს, ორ საქმეს აკეთებდა: თავისას მიუზღავდა ყველა წინამორბედს, მკითხველს დამაჯერებლად აჩვენებდა თითოეული მათგა-ნის ამაგს, ამასთან ერთად, უფრო გასაგებს ხდიდა ქართული პოლიტი-კური აზრის ევოლუციას გასულ საუკუნეში და აშკარად გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას. ამ მეთოდს იგი მიმართავს ბევრ სტატიასა და გამოკვლევაში, მაგრამ ძირითად მიზანს მიაღწია ისეთი ნაშრომების წყალობით, როგორიცაა: „თ-აზნაურული ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება მე-19 საუკუნეში“, „დიმიტრი ყიფიანი“, „პუბლიცისტი—ილია ჭავჭავაძე“, „ნ. ნიკოლაძე“, „მეოთხმოციანნი“ და „მეოთხმოცდაათიანნი“, „რეკოლუციის შემდეგ“, „სამშობლო და მამულიშვილობა“ და სხვა.

დასახელებულ ნაშრომებში არჩილ ჯორჯაძე წარმოგვიდგენს რო-გორც წინამორბედ ქართველ მოღვაწეთა პოლიტიკური შეხედულებების

შეფასებას, ასევე თავის დამოკიდებულებას მათთან და საკუთარ პოლიტიკურ კრედოს, რომლის ამოსავალია მისი შეხედულებები ქართველი ერის მომავალი ეროვნული ბედისა და ეროვნული სახელმწიფოს რაობის საკითხებზე.

მის თეორიულ მემკვიდრეობაში, ფილოსოფიური, სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და ეროვნული მსოფლმხედველობის გვერდით, ღირსეული ადგილი უჭირავს სამართლებრივ შეხედულებებს. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სამართლებრივ საკითხებს იგი საგანგებოდ არ იკვლევს და განიხილავს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს „ეროვნების პრობლემის გარკვევა".[1]

ქართველი ხალხის ერად ფორმირების პროცესის ანალიზისას ავტორი საჭიროდ მიიჩნევს შეისწავლოს პირველყოფილ-გვაროვნული წყობილების რღვევისა და სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზები, გვარის შესწავლასთან ერთად ადათს განიხილავს, სახელმწიფოსთან ერთად კი კანონის ბუნებას არკვევს. „გადავხედოთ საზოგადოებრივ ცხოვრების ორ დიდ ისტორიულ მოვლენას,—წერს არჩილ ჯორჯაძე,—გვარს და სახელმწიფოს. გვარის შესწავლასთან ერთად ადათს დავაკვირდეთ და სახელმწიფოს გათვალისწინების დროს კანონის თვისებას მივაქციოთ ყურადღება".[2]

იგი დაწვრილებით სწავლობს ადათისა და კანონის ურთიერთდამოკიდებულებას. განსაკუთრებით დიდ ადგილს უთმობს სახელმწიფოს როლის გარკვევას ეროვნული თვითშემეცნების ჩასახვა-განვითარების საქმეში. ეროვნების გაჩენას პირველყოფილი თემური წყობილების რღვევას და სახელმწიფოს ჩამოყალიბებას უკავშირებს. ძირითადად ამ მიზანს ემსახურება არჩილ ჯორჯაძის თხზულებების პირველი წიგნი, რომლის სათაურია „ეროვნულ პრობლემის გარშემო". ეროვნების შექმნას, მისი აზრით, ხელი შეუწყო სახელმწიფოსა და კერძო საკუთრების გაჩენამ. იგი თვლის, რომ სხვა მიზეზებთან ერთად „სახელმწიფო, აშკარაა, ერთი იმ ძალთაგანი იყო, რომელმაც შობიერების ხანაში ბებიობის საქმე გუწია ეროვნებას".[3]

არჩილ ჯორჯაძის სამართლებრივი შეხედულებების შესწავლიდან გამომდინარე, შეგვიძლია მივუთითოთ ორ მნიშვნელოვან გარემოებაზე:

---

[1] არჩილ ჯორჯაძის სამართლებრივი შეხედულებანი ქვეყნდებოდა 1907 წელს „ისარში" (34,35,36,38) სათაურით „ადათი და კანონი, საკუთრება და სახელმწიფო", შემდეგში, ოდნავი ცვლილებებით, ავტორმა იგი შეიტანა თხზულებათა პირველ ტომში სათაურით—„მასალები ეროვნების წარმოშობის ისტორიის შესასწავლად" და მისცა „სოციოლოგიური საუბრის სახე"

[2] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი პირველი, 1911 წ. გვ. 1

[3] იქვე, გვ. 2

ერთი ის, რომ სამართლებრივ საკითხებზე ნაწერები მოცულობით მცირე ადგილს იჭერს მის თეორიულ მემკვიდრეობაში. ავტორი გაცილებით მეტს წერს ფილოსოფიურ, ეროვნულ, სოციალურ-პოლიტიკურ, ლიტერატურულ საკითხებზე.

მეორე, საერთო ფილოსოფიურ კონცეფციასთან ერთად, არჩილ ჯორჯაძე სამართლებრივი პრობლემების ირგვლივ იძლევა არსებითად სწორ მეცნიერულ დასკვნებს. მისი სამართლებრივი შეხედულებების ღრმა ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი ენციკლოპედიურ ცოდნას ავლენს, კარგად იცნობს არსებულ წყაროებს სახელმწიფოს არსზე და მისი წარმოშობის მიზეზებზე, აგრეთვე—ადათისა და კანონის ირგვლივ მსჯელობისას დაკვირვებული თვალი კარგად შეამჩნევს, რომ ხშირად მეთოდოლოგიურად ამოსავალ დებულებებს იღებს მორგანის შრომიდან „პირველყოფილი საზოგადოება"; კრიტიკულად მიმოიხილავს ცნობილი ისტორიკოსის, ეთნოგრაფის და იურისტის მ. კოვალევსკის თვალსაზრისს ადათზე, კანონზე, სახელმწიფოსა და საკუთრებაზე; ფართოდ იყენებს ევროპელ ავტორებს, ბურჟუაზიული თეორეტიკოსების გამოკვლევებს, ფაქტობრივ მასალას.

არჩილ ჯორჯაძის სამართლებრივ შეხედულებებზე გავლენა მოახდინა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულმა პოლიტიკურმა აზროვნებამ, კერძოდ, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ წამოიჭრა ახალი პრობლემები, რომლებმაც განსაზღვრეს ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრების ძირითადი მიმართულებანი, ძირითადად ამ პრობლემებს წარმოადგენდა რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრის, ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობის ფორმის, ეროვნულ-სოციალური და სხვა საკითხები.[1] არჩილ ჯორჯაძე თავის პროგრამას აყენებს და ცდილობს ეროვნულ პრიზმაში, ქართულ სინამდვილეში აღიქვას და გაიაზროს სამართლებრივი საკითხები და მიუთითოს იმ სპეციფიკურობაზე, რაც ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან გამომდინარე ახასიათებდა სამართლებრივ ნორმებს. ამიტომ ავტორი ფართოდ იყენებს მასალებს საქართველოს ეკონომიკური, ეროვნული, სამართლებრივი და პოლიტიკური ისტორიიდან. დეტალურად აქვს შესწავლილი ნ. ხიზანიშვილის (ურბნელის) შრომები, რომლებშიც სამართლებრივი პრობლემების გვერდით დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს მთის ეთნოგრაფიულ საკითხებს, ეყრდნობა და გარკვეუ-

---

[1] ვ. აბაშმაძე, სამართლმცოდნე და ერისკაცი, ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი", 1985 წ. №5, გვ. 93

ლი ანალიზით განიხილავს ივანე ჯაჯახიშვილის სახელმწიფოებრივ კონცეფციას, იცნობს ნიკო მარის და სხვათა მოსაზრებებს. იგი მიჰ ყავება შემოქმედებითი კვლევის თავისებურ გზას, მისი სამართლებრივი მრწამსი შეიცავს მთელ რიგ ორიგინალურ დასკვნებს და, ბევრ შემთხვევაში, აღემატება რა თანამედროვეთა ნააზრევს, აქტიურად ეხმაურება დღევანდელობას. ამ აზრით არჩილ ჯორჯაძის სამართლებრივი შეხედულებანი ინტერესმოკლებული არ არის.

სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობას იწყებს ადათისა და კანონის ურთიერთდამოკიდებულების გარკვევით, თავიდანვე აყალიბებს თავის მოსაზრებას, რომლის ირგვლივაც ავითარებს შემდგომ მსჯელობას. „ადათი და კანონი,—წერს იგი—ერთი წყაროდან არ წარმოსდგებიან. მათ შორის ზოგიერთ პირობებში არის მსგავსება, ხოლო ისინი ერთი მეორისაგან პრინციპულად განირჩევიან.

ადათი საზოგადოებრივ ცხოვრების შედეგია, კანონი კი შედეგია პოლიტიკურ ცხოვრებისა. პირველი არა-სახელმწიფოებრივ ფორმებში ჩნდება, მეორე კი პირმშო შვილია სახელმწიფოსი, ვნახოთ, რამდენად სამართლიანია ჩვენი მოსაზრება“.[1]

ა. ჯორჯაძე კრიტიკულად განიხილავს იმ მეცნიერ-იურისტების შეხედულებებს, რომლებთანაც ადათი და კანონი გაიგივებულია და ამავე დროს უარყოფილია პრინციპული განსხვავება პირველყოფილ საზოგადოებრივ ორგანიზაციასა და სახელმწიფოს შორის. იგი დიდ ადგილს უთმობს ცნობილი იურისტის მაქსიმ კოვალევსკის შეხედულებების კრიტიკას, რომელიც, მისი აზრით, „ადათს და კანონს ერთი ერთმანეთისაგან ასე მკაცრად არ საზღვრავს“.[2] ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ისტორიის მაგალითზე მ. კოვალევსკი მიუთითებს, რომ მათ სამართლებრივ ნორმებზე, ადათზე დიდი გავლენა მოახდინა ირანმა, საბერძნეთმა, ბიზანტიამ, არაბებმა, ხაზარებმა, ჰუნებმა, მონგოლებმა, ქართველებმა, რუსებმა და სხვებმა. მათ მიერ შემოტანილი საკანონმდებლო ნორმები ადათს და ხალხის ჩვეულებებს ავითარებდა. მ. კოვალევსკი პრინციპულად არ განარჩევს ერთიმეორისაგან ადათს და კანონს, ამიტომ თვლის, რომ ყველა შემთხვევაში კანონი ადათს ავითარებს ან პირიქით—ადათი ატარებს „კანონისებურ“ ხასიათს. ამიტომ „წმინდა“ ადათის აღმოჩენა ძნელიაო.[3] თავისი მსჯელობის დასასაბუთებლად არჩ. ჯორჯაძეს მოჰყავს ვრცელი ციტატა მ. კოვალევსკის წიგნიდან („Законы и обычай на Кавказе“, т. I, ст. 200), რომე-

---

[1] ფხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი პირველი, 1911 წ. გვ. 2

[2] იქვე, გვ. 3

[3] იქვე, გვ. 3

ლიც დაწვრილებით ჩერდება სასამართლო პროცესის განხილვაზე ჩრდილოეთ კავკასიაში. „როდესაც ჩვენს სასამართლოებში კავკასიის ადათის მიხედვით ვსჯით საქმეებს,—წერს მ. კოვალევსკი,—ურიგო არ არის ჩავუფიქრდეთ იმ წყაროს, საიდანაც გამომდინარეობს ეს ადათი. განა სამწუხარო არ აღმოჩნდება ის გარემოება, რომ როდესაც ჩვენ ვამართლებთ იმგვარ წესს, რომელიც ჩვენს ზნეობას ეწინააღმდეგება, „ხალხურ შეხედულებას ჭეშმარიტებაზედ“ კი არ ვუქვემდებარებთ ჩვენს საკუთარს მსჯელობას, არამედ ფეხქვეშ ვუვარდებით ფანატიკურ მხეცობას აღმოსავლეთის რომელსამე მოგვისას ან კიდევ ვცემთ პატივს ხაზართა, ჰუნთა, სპარსელთა ან ყაბარდოელთა დესპოტის თაყხედობას, ჩვენი მდგომარეობა არა ნაკლებ უცნაური იქნება იმ შემთხვევაშიაც, როდესაც აღმოჩნდება, რომ ჩვენ მიერ მოწონებული ადათი მოსეს, რომაელთა, ბიზანტიელთა, სომეხთა ან ქართველთა სჯულიდან არის აღებული. ყველა ამ შემთხვევაში ჩვენ ვხდებით მსხვერპლად ნებაყოფლობითის დაბრმავებისა, ვხდებით მსხვერპლად ჩვენის სიყვარულისა იმისადმი, რაც ზეპირ გადმოცემაშია შენახული და არ არის ჩაწერილი და რაც ამის გამო ხალხის სიღრმიდან გამოსულ ჭეშმარიტებად გვეჩვენება. მეცნიერ იურისტებს, რომელნიც ცდილობდნენ რაციონალურად გაეგოთ კანონმდებლობის და სასამართლოს დანიშნულება, ბევრგვარი ცრუმორწმუნეობა ელობებოდათ გზაში. ყველა ამ ცრუმორწმუნეობასთან ერთად საჭიროა გვახსოვდეს ერთი ცრუმორწმუნეობაც—ეს არის „განუსაზღვრელი თაყვანისცემა ადათის წინაშე“. დროა შევიგონოთ, რომ ეგ ჩვეულება (ადათი) კანონისებრ შეიძლება შედეგი იყოს რელიგიოზურ ფანატიზმისა, ძალმომრეობისა და თვითნებობისა; დროა გავიგოთ, რომ ეგ ადათი ყოველთვის არ ჰქმნის კანონს, პირიქით, იგია ხშირად კანონის გამოსახულება, იმგვარ დაძველებულ კანონისა, რომელიც იცავს გადაბირებულ იურიდიულ და რელიგიოზურ აზრებსა და რომლის გაუქმება პროგრესისაკენ პირველი ნაბიჯი იქნება. დროა განიგოთ ისიც, რომ თანამედროვე კანონი და თანამედროვე სასამართლო და ადმინისტრაციული პრაქტიკა, რომელიც ძველ ჩვეულებებს ებრძვის, ნამდვილ კულტურულ საქმეს ასრულებს და საზოგადოებრივ განხორციელების საქმეში ძლიერი იარაღიცაა“.[1]

არჩილ ჯორჯაძე განიხილავს მ. კოვალევსკის ზემოთ მოყვანილ მსჯელობას და მიუთითებს, რომ ადათს დამოუკიდებელი განვითარების უნარი აქვს, ხოლო კანონი იმ შემთხვევაში იწვევს ადათის განვითარებას, როცა თვითონაც იმავე თვისებების არის, რა თვისებებისაც

[1] იხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი პირველი, 1911 წ. გვ. 3-4.

ადათია. ისტორიულად ცნობილია, როცა კანონი არსებითად განსხვავდება ადათისაგან, ხდება პირიქით, კერძოდ, ადათის მიმდევარი ხალხი ეწინააღმდეგება კანონის დამცველებს.

არჩ. ჯორჯაძე მიუთითებს, რომ ძველი სამართალი ახლოს იდგა გვაროვნულ წყობილებასთან და ამდენად, ადათის ელემენტებისაგან შედგებოდა. თავისი მსჯელობის დასასაბუთებლად იგი განიხილავს მუსულმანთა კანონს, კერძოდ, შარიათს, რომელიც ფართოდ გავრცელდა დაღესტანში. დაღესტნის ადათი შარიათის ზეგავლენით განვითარდა შემდგომ და უფრო მაღალ საფეხურს მიაღწია. გვარების თვითგასამართლების, გაუთავებელ შურისძიებათა და მკვლელობათა ნაცვლად შარიათმა წამოაყენა თანაბარი შურისძიების პრინციპი, იგი მხოლოდ წინასწარ განზრახვით მკვლელობას სჯიდა. მან შეცვალა ხალხის შეხედულება პატიოსნებაზე, რომლის კრიტერიუმი ადრე შეურაცხყოფის შურისძიებით მორეცხვა იყო. შარიათის თანახმად კი ადამიანის ღირსება და პატიოსნება მოითხოვს შეურაცხყოფის შენდობას. ამასთავაკე, იგი პასუხისმგებლობას აკისრებს იმ გვარს, რომლის წევრიც დანაშაულს ჩაიდენს. შარიათს და ადათს საერთო აზრი ჰქონდა ცოლქმრულ ურთიერთობებზე, ქმრის და მამის უფლებებზე, ცოლის ქონების ხელშეუხებლობაზე, განქორწინებაზე და სხვა. შარიათის მოძღვრება არსებითად არ ეწინააღმდეგებოდა ადათს. პირიქით, ჯორჯაძის აზრით, „შარიათი თურმე იგივე განვითარებული ადათი ყოფილა და ამიტომაც გავრცელდა იგი დაღესტანში...საყურადღებო ის არის, რომ იგი კანონის დამოუკიდებლადაც ვითარდება. ამერიკელ წითელ კანიანთა ცხოვრებაზე არავითარი დაწერილი კანონი არ მოქმედებდა, მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ამერიკული ველური ტომი შარიათის მსგავს მოძღვრებამდე ამაღლდა“.[1]

არჩილ ჯორჯაძის აზრით, ძველი ქართული სამართალი ძირითადად ორგვარი ელემენტისაგან შედგება: ერთი მათგანი გვაროვნული წყობილებიდან მომდინარე ადათები და ჩვეულებებია და იმ პერიოდში წარმოიშვა, როდესაც არ არსებობდა კერძო საკუთრება და სახელმწიფო, მეორე ელემენტი ძველ სამართალში ფეოდალურმა საზოგადოებამ შემოიტანა და ძირითადად მეფეთა და მთავართა დადგენილებებს შეიცავს.

თავისი შეხედულებების დასასაბუთებლად იგი მიმართავს კონკრეტულ მაგალითებს ქართული სამართლის ისტორიიდან. კენძოდ, ასაბუთებს იმ აზრს, რომ სამცხე-საათაბაგოში მოქმედი კანონი, სახელდობრ, ბექასა და აღბულას სამართალი, ძველი ადათების კრებულია და

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი პირველი, 1911 წ. გვ. 5-6.

იგი მჭიდროდ უკავშირდება ჩვენი წინაპრების ჩვეულებითი სამართლის ნორმებს.

ბექას სამართლით, შვილს ნება ჰქონდა გაჰყროდა მამას, მაგრამ მამულის გაყოფა კი აკრძალული იყო. ბექას სამართლის ამ დებულების ანალიზისას არჩილ ჯორჯაძე ეყრდნობოდა ცნობილი ისტორიკოსის და იურისტის ნ. ხიზანიშვილის (ურბნელის) მოსაზრებას. „სხვათა შორის—წერს ნ. ხიზანიშვილი,—გაყრაც გვიჩვენებს, თუ როგორ იყო მოწყობილი საათაბაგოს ოჯახი...საზოგადოდ აღიარებულია, რომ საგვარეულო ცხოვრება ხელს არ უწყობს გაყრას. ასე ყოფილა ძველად ყველგან, მაგალითად, ინდოეთში, ასეა ახლაც ჩვენს მთაში, ფეოდალობის დროს ევროპაში ხალხს უშლიდნენ გაყრას. ჩვენი სჯულმდებელი ვახტანგიც გაყრის წინააღმდეგი იყო და ამ აზრით დააწესა ბატონის სასარგებლოდ „გასამყრელო". რას ამბობს აღბუღა?—თუმცა ათაბაგი გაყრას არავის უკრძალავდა, მაგრამ ოჯახის განცალკევებაც არ მოსწონდა. შვილს ნება აქვს მამას გაეყაროს, მაგრამ „მამულის გაყრას არ ემართლებისო". რად არ შეიძლება მამულის გაყოფა? მიზეზი აქ ისაა, რომ საათაბაგოს ოჯახი დიდი და მრავალწევრიანი ოჯახია, რომელსაც მიუცილებლად საერთო და განუყოფელი მამული უნდა ჰქონოდა. ყველგან დიდი ოჯახობა საგვარეულო წყობილებისაგან წარმომდგარა და პატარა ოჯახი დიდისაგან გაჩენილა. განუყოფელი მამული საგვარეულო წყობილებისა და დიდი ოჯახის ხვედრია, პატარა ოჯახს, სახლს იგი არ მოეპოვება, რადგანაც აღბუღას დროს ოჯახი რომ არ დაპატარავებულიყო, მამულის გაყოფა არ შეიძლებოდა. სხვა გზით ვერ აიხსნება, თუ რატომ „შვილი მამულის გაყოფას არ ემართლების". თითქოს თვითონ აღბუღაც ამტკიცებს ჩვენს აზრს. მამულის გაყოფა ათაბაგს კერძო ჩვეულებად მიაჩნდა—„იქნების ალაგისა და გვარის წესი, რომ უმცროსს მამულოვნებით გაიყვანენ, თუ ცოლსა შეირთავსო". მაშასადამე, მამულით „გაყვანას" საზოგადო წესი უკრძალავდა და ამას იმიტომ, რომ დიდი ოჯახი შეადგენდა საზოგადო შინაურ წყობილებას, რომელიც მამულის გაყოფას უარყოფს. ვახტანგ სჯულმდებელი თანაუგრძნობდა დიდ ოჯახობას და გაყრაც ამ მიზეზით გააძნელა, მაგრამ მის დროს დიდი ოჯახის საზოგადო წესი არ ყოფილა და მხოლოდ სანატრელ წესად გადაქცეულა. საათაბაგოს სამართალი ცხადად ამტკიცებს, რომ რაც შემდეგში სანატრელი შეიქმნა, ის წინათ ცხოველს ჩვეულებას შეადგენდა".[1]

არჩილ ჯორჯაძე იმ მოსაზრებას ემხრობა, რომლის თანახმადაც

---

[1] ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი—ნ. ურბნელისა, 1890 წ. გვ. 179-181.

ე.წ. „დიდი ოჯახი“ (პატრიარქალური თემი) საგვარეულო წყობილების მეორე საფეხურზე დგას, ხოლო მესამე საფეხურია ინდივიდუალური, მონოგამიური ოჯახი, რომლის წარმოშობა ემთხვევა საგვარეულო წყობილების რღვევას. „საათაბაგოში პატრიარქალურ ოჯახსა ვპოვებთ და სამართალიც ამ ოჯახის ინტერესებს იცავს“.[1]

ძველ სამართალში ასევე ფართოდ აისახა შურისძიების ადათი. მან ამავე დროს სახე იცვალა და თანდათან დაემორჩილა გაბატონებული კლასების ინტერესებს. გვაროვნული წყობილების დროს არსებული სისხლის აღების წესი მოგვიანებით შეიცვალა ფულადი ჯარიმით, ანუ დაურვებით, ფულადი ჯარიმის გადახდის დროს გათვალისწინებული იყო სოციალური მდგომარეობა. შურისძიების გვაროვნულ წესს ასეთი ბედი ეწია უმრავლეს ქვეყნებში. მაგალითად, ძველ რუსეთში იაროსლავ ბრძენის სამართლის წიგნში „რუსკაია პრავდა“ (მიიღეს 1036 წელს) ჩაწერილი იყო, რომ დანაშაული გრინვებით—ფულადი ერთეულით ფასდებოდა. „რუსკაია პრავდაში“ ნათლად ჩანს სოციალური უთანასწორობა ერთის მხრივ ხოლოპის, სმერდის, რიადოვიჩის, ზაკუპის, და მეორე მხრივ, ბოიარის, უფლისწული მთავრის სისხლის შეფასებისას. იგივე მდგომარეობაა საქართველოშიც. „ჟამთა ვითარების გამო,—წერს ურბნელი,—საგვარეულო შურისძიებას ფრთები ეკვეცება, ნელ-ნელა ძალა აკლდება და სავარჯიშო მოედანი უმცირდება. შურისძიება გვარიდან ოჯახზე გადადის, მერე ოჯახს თავს ანებებს და ახლო ნათესავებს სდევნის და დასასრულ მარტო პირდაპირ დამნაშავეს ულესავს თავის მახვილს“,[2] ხოლო როცა მძვინვარე შურისძიება მოისპო, მაშინ გაჩნდა ე.წ. დაურვება (სისხლის მიცემა). „ძველ დროს დაურვება საზოგადო ჩვეულება ყოფილა“.[3] უეჭველია, რომ საათაბაგოშიაც დაურვება შურისძიების შემდეგ შემოიღეს. „ასე გასინჯეთ, დაურვების პირველნდელი ფორმაც კი ნაშთად შენახულა სამართალში და ცხადად ჩანს, რომ საათაბაგოშიაც დაურვებას იმავე გზით უვლია, როგორც სხვაგან... საათაბაგოშიაც ყველა დანაშაულს თავისი თეთრი გაუჩინეს და ამას გარდა, თეთრის მეტნაკლებობა „გვარსაზედ“ დააფუძნეს“.[4] მსგავსი პროცესი განვითარდა საქართველოს ყველა კუთხეში.[5]

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი პირველი, გვ. 8

[3] ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი—ნ. ურბნელისა, 1890 წ. 241

[3] იქვე, გვ. 250

[4] იქვე, გვ. 252-253

[5] გვაროვნული წყობილების დამახასიათებელი ნიშნები ყველგან ერთნაირად როდი შემორჩა, იმ დროს, როდესაც შურისძიება, სისხლის აღება, დაურვება და სხვა საკმაოდ დიდხანს შემოინახა სვანეთმა, ხევსურეთმა, თუში რაჭამ (ხოფ. ღები, ჭიორა, გლოლა), მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის ანალოგიური მოვლენები სხვაგან თითქმის აღარ არსებობდა

"Законодательство царя Вахтанга кровь каждой личности оценивает в соответствии с числом крепостных земель, крепостей, монастырей, находящихся в ее владении, а также знатностью рода, происхождением и занимаемой должностью. Исходя из этого, кровь знатного ("дидебули") оценена в 1536 туманов, среднего тавада—в 768 туманов, третьего тавада—в 384 тумана. Кровь приобретщего знатность азнаура—192, среднего—96, а низшего азнаура стоила 48 туманов.

ასევე სვანეთის ისტორიულ ძეგლებში, სამართლებრივ პრაქტიკაში იყენებდნენ ცნებებს „საპატიო სვანის სისხლი", ჯაფარიძის, იოსელიანის, ყიფიანის სისხლი და სხვა.[1]

არჩილ ჯორჯაძე სამართლიანად მიუთითებს კანონის კლასობრივ ხასიათზე და დაასკვნის, რომ სისხლის აღების ჩვეულება პირველყოფილ საზოგადოებაში ყველაზე თანაბრად ვრცელდებოდა, განურჩევლად იმისა, სამაგიეროდ მიზღვევას ჰქონდა ადგილი ტალიონის წესის მიხედვით, თუ რაიმე ფასეულობის გადახდის პრინციპით. სახელმწიფოს წარმოშობის შედეგად ეს ჩვეულება გამოიყენეს გაბატონებული კლასების სასარგებლოდ, კერძოდ, გაბატონებული კლასის წარმომადგენლის მოკვლისათვის უფრო მეტი გადასახადი იყო დაწესებული, ვიდრე „მდაბიო" ადამიანის სისხლისათვის.

არჩილ ჯორჯაძე შემდეგ განიხილავს სასამართლო პროცესს საქართველოში. იშველიებს რა აღბუღას და ვახტანგის სამართლის წიგნებს, იგი იმ აზრს ავითარებს, რომ სასამართლო პროცესშიც გამოისახა გვაროვნული წყობილებისათვის დამახასიათებელი ჩვევების მემკვიდრეობითობა. ცნობილია ის ფაქტი, რომ სასამართლო საქმის გასარჩევად მოწმეებს მიმართავს. მოწმე სამართლის განვითარების ყველა ეტაპზე ძირითად ფიგურას წარმოადგენს,[2] ხოლო ბექასა და ვახტანგის დროინდელი სამართალი მოწმისადმი უნდობლობას იჩენს.

ამის მიზეზს არ. ჯორჯაძე იმაში ხედავს, რომ ეს სამართლებრივი ნორმები საგვარეულო წესზე იყო აღორძინებული, გვარის წევრთა თვალში მოწმე და ჯაშუში ერთი და იგივე ცნებაა. მოწმეობა და-

---

[1] Г. Гасвиани, Социально-экономическая структура Сванетии в XI-XVIII вв., 1980 г. ст. 54-56

[2] ინგლისელი იურისტი და ფილოსოფოსი იერემია ბენტამი მოწმეს „მართლმსაჯულების თვალსა და ყურს უწოდებს": დაწვრილებით იხ. Н. Н. Розин, "Уголовное судопроизводство," 1914 г. ст. 361, ძველი აღმოსავლეთის სამართლის მიხედვით, როგორც სისხლის სამართლის, ისე სხვა საქმეებზე, დამამტკიცებელ საბუთებს შორის მოწმეთა ჩვენებებს მეორე ადგილი ეჭირა, დაწ. იხ. ი. დოლიძე, ძველი აღმოსავლეთის სამართალი, 1960 წ. გვ. 156

საძრახისად მიაჩნდათ, როგორც გვარის წევრის, ისე სხვა გვართა მიმართ. „აღბუღა თითქოს ძუნწობს და მოწმეს ორიოდე ადგილას იხსენიებს“,[1]—წერს ურბნელი, ხოლო ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის მე-13 მუხლში ვკითხულობთ: „მოწმით სამართლის ქნა არ არის, რომე მოწამე დიაღ სწამთ და იციან უფრო ბერძენთა, ფრანგთაცა და რუსთაცა, და წმინდა სახარებაც ბრძანებს, მაგრამ, აქ, ქართლში უფრო არ განუწესებიათ. ასრე იციან: კაცმან, თუ რასაც საქმეზე ასეთი მოწამე მოიყვანა, რომე, იმ მოწამეთ ღვთისა ეშინოდეს, სული იცოდეს, ჭკუა ქონდეს, ან საღმთო კაცი იყოს, ან სიმართლის ხმა ქონდეს დავარდნილი და კაცისაგან სანდო იყოს, უნდა დაუჯერონ. თუ არა—ერთისა და ორის ამ რიგის კაცის დაჯერება არ დაუწესებიათ. და ესომ მოგვიხსენებია: ამისთანას კაცს დაეჯერების და სხვა რიგი კაცი თუ არის ათსა და ოცსა, ან ერთპირ სოფელსა, მოწმობას დაუჯერებენ, თორემ ნაკლებს ძვირად გაუგონებენ“.[2]

ვახტანგ VI- ის სამართლის წიგნის მე-6 მუხლში ნათქვამია, რომ სასამართლოს პროცესში მტკიცებულობათა შორის პირველია ფიცი, მეორე—შანთი, მესამე—მდუღარე, მეოთხე—ხმალი, მეხუთე—მოწამე, მეექვსე—ცოდვის მოკიდება,[3] რაც ჩვეულებითი სამართლით დადგენილი წესებია, თუმცა მათ ნაკლებად იყენებდნენ, რადგანაც ამ სახეობის დამამტკიცებელი საბუთები ცხოვრებამ უარყო.

ბექასა და აღბუღას, ასევე ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით, სასამართლო პროცესში მოწმეს მართლაც არ გააჩნია მნიშვნელოვანი ადგილი მტკიცებულებათა შორის და ამდენად დასტურდება არჩ. ჯორჯაძის შეხედულება. მოგვიანებით კი, კერძოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოწმის ჩვენება პირველხარისხოვან მტკიცებულებად იქცევა. ამაზე მეტყველებს ჯერ კიდევ დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნი, სადაც ოთხი სახის მტკიცებულებათა შორის (მე-40 მუხლი) მოწმეს მეორე ადგილი უჭირავს. მე-18 ს. მეორე ნახევარში, წერილობით დოკუმენტებთან შედარებით, ზოგჯერ მოწმის ჩვენებას რომ მეტი ნდობა ჰქონდა გამოცხადებული, ამას თვითონ მოსამართლეებიც აცხადებდნენ, კერძოდ, „სარწმუნო მოწმის“ უპირატესობა აშკარაა ფიცთან და სხვა მტკიცებულებებთან შედარებითაც. როცა „ღირსეული“ მოწმე არ იყო, მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავდა სასამართლო მტკიცებულებათა სხვა სახეებს.[4]

---

[1] ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი—ნ. ურბნელისა. თბ., 1890 წ. გვ. 301

[2] ვახტანგ VI სამართლის წიგნი, 1955 წ. გვ. 53

[3] იქვე, გვ. 50

[4] მ. კეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოს რუსეთთან შეერთების წინ, 1981 წ., II, გვ. 181

ამრიგად, მოწმის როლი გაიზარდა სამართლის განვითარებასთან ერთად და XVIII საუკუნის მეორე ნახევარში იგი პირველხარისხოვან როლს ასრულებს სასამართლო პროცესში.[1] დავით ბატონიშვილი თავის „სამართალში", როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მოწმის ინსტიტუტზე და დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს სასამართლო პროცესზე მოწმეს. მისი აზრით: „უხმარნი, შეურაცხნი, ფიცსა გარდამავალნი, მღვდელმთავართაგან კრულნი, საზოგადოებისაგან პლუტად ცნობილნი, უაღსარებონი, მამულთა სამნისა შემრევნი, საზოგადოობის ორგულნი, განდევნილნი, დაშავებულნი, კაცის მკვლელნი, ცხადად მეძავნი, ყრმანი უასაკონი, ხელნი, სნეულნი, რომელთაცა არა აქვს ცნობაი უძლურებითა, უცხონი, რომელნიცა ჯერეთ მუნებურთაგან არა ცნობილ იყუნეს,—იგი მოწმედ ნუ შეიწყნარებიან".[2] ეს იმით უნდა აიხსნას, რომ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად კანონი უფრო შორდება ადათს და ჩვეულებებს, ყოველივე ეს კანონზომიერი პროცესია და ჯორჯაძისეული კონცეფციის დადასტურებას წარმოადგენს ადათისა და კანონის დამოკიდებულის თაობაზე.

არჩილ ჯორჯაძე განაგრძობს მსჯელობას ძველი სამართლის ადათობრივ ხასიათზე, მოაქვს მთელი რიგი მუხლები აღბუღას სამართლიდან, სადაც მითითებულია სასჯელის შეფარდებისას ადათობრივი ნორმების გამოყენების შესახებ. სისხლის დაურვების გვერდით, აღბუღას სამართალში სხვა სასჯელიც მოიპოვება. კვლავ ძალაშია „შიშველის უბან-უბან ტარება", „სანეხვეზე თრევა და გაშოლტვა", „თვალთა დაწვა", „ხელფეხის დაჭრა", „სხეულის ტკენა" და მრავალი სხვა.[3]

ამრიგად, არჩილ ჯორჯაძე საფუძვლიანად ასაბუთებს, რომ ძველი სჯულმდებლობა ადათზე იყო დამყარებული და მრავლად და მრავლად შეიცავდა ჩვეულებითი სამართლის ნორმებს. დროთა ვითარებამ, იურიდიული მეცნიერების შემდგომმა წინსვლამ დაადასტურა მისი შეხედულებების სისწორე, დღეს უკვე აღარ დავობენ იმის შესახებ, რომ აღბუღასა და ვახტანგის სამართლის წიგნების წყაროს ჩვეულებითი სამართალი წარმოადგენს. ამას ადასტურებენ აკად. ი. დოლიძის,[4] პროფ.

---

[1] XI-XII საუკუნეებში საქართველოში მოწმის ჩვენება მნიშვნელოვან მტკიცებულებად ითვლებოდა. ქართული სამართლისა და მათ შორის მტკიცებითი სამართლის განვითარების გზა ერთგვაროვანი არ იყო, განვითარებულ ხანას ზოგჯერ დაცემის ხანაც მოსდევდა

[2] სამართალი ბატონიშვილის დავითისა, 1964, გვ. 49-50

[3] ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი—ნ. ურბნელისა, თბილისი, 1890, გვ. 410-411

[4] ი. დოლიძემ 19-ს საქართველოს ჩვეულებითი სჯულის 74 მუხლს მიაკვლია. დაწვ. იხ. ი. დოლიძე, საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბ., 1960

მ. კეკელიას[1] და სხვათა გამოკვლევები. ამავე დროს, ჩვეულებითი სამართალი იმდენად მყარ ნიადაგს წარმოადგენდა ძველი სამართლის წიგნებისათვის, რომ მასზე უცხოურ კანონმდებლობას გავლენა ვერ მოუხდენია.[2] პირიქით, ჩვეულებით სამართალს მათი ზოგიერთი ნორმისათვის ეროვნული სული შთაუბერავს. საქმე იმაშია,—დაასკვნის პროფ. მ. კეკელია,—რომ უცხოური სამართლის ბევრი ნორმა თავიდანვე არ გაიზიარა როგორც ვახტანგის წიგნმა, ისე სასამართლო პრაქტიკამ, ზოგიერთიდან კი მათ მხოლოდ საჭირო მარცვალი აიღეს, შეუგუეს ქართულ სინამდვილეს, რის შედეგადაც ამ ნორმათა დისპოზიცია თუ სანქცია ისე ჩამოყალიბდა, როგორც ეს „ჩვეულებითი სჯულის“ ამა თუ იმ მუხლშია ჩაწერილი.[3]

სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ „ჩვეულებითი სჯულის გავლენა დიდი იყო ძველი სამართლის წიგნებზე და თითქმის იშვიათ შემთხვევაში სჯიდნენ საქმეს უცხოური სამართლის ნორმებით. ჩვეულებით სამართალს,—წერს ილია ჭავჭავაძე,—ჯერ კიდევ დიდი სამოქმედო ობიექტი გააჩნია, იმის გამო, რომ „ჯერ ეხლაც ხალხმა დაწერილი კანონისა არა იცის რა და სასამართლოში რომ მიხვიდეთ, შეიტყობთ, რომ მსაჯულები ადათითა და ჩვეულებით ხელმძღვანელობენ საქმის გადაწყვეტის დროს“.[4] ილიას ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებლად მიაჩნია ადათობრივი სამართლის გამოყენება, რადგანაც ხალხის ცხოვრების ზოგიერთი ნიუანსი ძნელია კანონით განისაჯოს. „ილია,—წერს ვ. მეტრეველი,—უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ადათებს და ჩვეულებით სამართალს ხალხის ისტორიის და ზნე-ჩვეულებების შესწავლის თვალსაზრისითაც“.[5]

არჩილ ჯორჯაძე შემდეგ იმ აზრს ავითარებს, რომ დროთა განმავლობაში კანონი კარგავდა ადათობრივ ხასიათს და იზრდებოდა განსხვავება ადათსა და კანონს შორის. უფრო სწორად, ერთიმეორეს უპირისპირდებოდა მათი შინაარსი, თანდათან იკვეთებოდა და ძლიერდებოდა ძველი სამართლის „კანონისებური“ თვისებები. მასში ახალ იურიდიულ და პოლიტიკურ ნორმებს ვპოვებთ, რომლებიც არ იყო ჩვეუ-

---

[1] მ. კეკელია, ზემო სვანეთის საზოგადოებრივი წყობილებისა და სამართლის საკითხები ადიშისა და მესტიის ოთხთავების მინაწერთა მიხედვით, თსუ შრომები, 1971, გვ. 78. მ. კეკელია, უჩვეულო მსჯელობა ჩვეულებით სამართალზე, ჟურნ. „მნათობი“, 1971, №1

[2] იგულისხმება ბერძენთა, ებრაელთა, სომეხთა და სხვათა კანონმდებლობა.

[3] მ. კეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წიგნი I, 1970, გვ. 98

[4] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 192

[5] ვ. მეტრეველი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, 1977, გვ. 93

ლებითს სამართალში. მცირდება რა ადათობრივი სამართლის ნორმები, ელემენტები, კანონი კიდევ უფრო მტკიცედ იცავს გაბატონებული კლასების ინტერესებს. აქედან გამომდინარე, ადათის ბედი ბევრად გახდა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება იგი მეფეთა და მთავართა ინტერესებს. თუ მთავრობის გაძლიერებისათვის სასარგებლოა ადათის განვითარება ადათს არ სდევნიან, პირიქით, მის განვითარებას ხელს უწყობენ. ხოლო თუ ადათი მთავრობის პრესტიჟს ძირს უთხრის, მას სდევნიან და ავიწროებენ.[1]

თავისი აზრის დასასაბუთებლად ა. ჯორჯაძე განიხილავს მეფის რუსეთის პოლიტიკას ჩრდილოეთ კავკასიაში. იგი მიუთითებს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების რუსეთის შემადგენლობაში შესვლამდე მეფის მთავრობა მხარს უჭერდა მაჰმადიანთა კანონს, შარიათს, რომელიც იგივე დაკანონებული ადათი იყო. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის თვითმპყრობელობის დამოკიდებულება შარიათის მიმართ პრინციპულად შეიცვალა. შამილის დამარცხების შემდეგ მთავრობამ დაიწყო შარიათის დევნა, რათა ამით შამილის კვალი და გავლენა აღმოეფხვრა და უკვე ადათს მფარველობდა. სვანეთში შამილობა არ იყო და იქ ადათს სდევნიდნენ. ამ გარემოებამ მეცნიერ-იურისტები საგონებელში ჩააგდო, რადგანაც შარიათი გაცილებით მაღლა დგას ადათზე,[2] დაღესტანში კი ადათს აძლევენ უპირატესობას. ადათის წინააღმდეგ გალაშქრება ხელსაყრელია სვანეთში, ხოლო მავნებელია დაღესტანში. იქ ადათს რომ დევნა დაუწყონ, შარიათი გამეფდება, შარიათი კი „შამილობაა" და საფრთხე... ნამდვილი მნიშვნელობა ამ პოლიტიკისა სწორედ ამნაირია: მას აქვს აზრად მმართველთა ძლიერების დამკვიდრება.[3]

არჩილ ჯორჯაძის აზრის დასამტკიცებლად შეიძლება დავიმოწმოთ პროფ. მ. კოვალევსკი, რომელიც აანალიზებს მეფის რუსეთის პოლიტიკას ჩრდილოეთ კავკასიაში:[4]

"Отношение русского правительства к горскому адату съ самого начала нашего владычества приняло характеръ решительного признания и явного покровительства. Причина побуждавшая русское начальство къ такой политике, лежить въ томъ соображении, что оппози-

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი პირველი, 1911 წ. გვ.12

[2] შარიათის გავლენა იმდენად ძლიერი იყო ჩრდილოეთ კავკასიაში, რომ საბჭოთა წყობილების დამყარების პირველ ხანებში ისინი მოითხოვდნენ შარიათით გასამართლებას. „თუ თქვენ გსურთ,—შიმართავს ს. კიროვი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს,—ასამართლეთ შარიათით. ეს თქვენი საქმეა".

[3] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი პირველი, 1911 წ. გვ. 13

[4] მ. კოვალევსკი ბოლომდე ვერ ხსნის კანონის კლასობრივ ხასიათს და გაკვირვებას გამოთქვამს რუსეთის საგარეო პოლიტიკის გამო.

ция нашему владычеству всегда выходила изъ сфер, благоприятных шариату.

Самые опасные противники на западъ—кабардинцы, и самые упорные защитники национальной независимости на востокъ—горцы Дагестана и чеченцы, временно объединеные Шимилемъ, придерживались, как мы сказали выше, преимущественно, если не исключительно, начал шариата".[1]

ქართული სამართლის წიგნებზე მსჯელობისას არჩილ ჯორჯაძე ხაზგასმით მიუთითებს, რომ ჩვენი სამართლებრივი ნორმები და კანონმდებლობა განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა და მრავალი დებულებით აღემატებოდა ზოგიერთი განვითარებული სახელმწიფოს სამართალს. ქართულმა სამართალმა ჯერ კიდევ ადრე პერიოდში უარყო ძველი შეხედულება დანაშაულობასა და ბოროტებაზე, რომლის ძალით დანაშაულობად მიაჩნდათ მხოლოდ ისეთი მოქმედება, რომელსაც რაიმე ზარალი მოაქვს. ქართულმა სამართალმა ახალი აზრი დაამკვიდრა, რამდენადაც იგი ყურადღებას აქცევს დამნაშავის ბოროტ წადილს. აღბუღას სამართალი ადგენს, რომ დამნაშავე უნდა დაისაჯოს იმისდაგვარადაც, თუ რამდენად ბოროტი გამოიხატა იმის მოქმედებაში და მარტო ზარალის მიხედვით არ უნდა მიეზღოს სამაგიეროო.[2] ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში შემდგომი განვითარება ჰპოვა ამ დებულებამ. კერძოდ, 59-ე მუხლში ვკითხულობთ: „თუ კაცი კაცს არას ემართლებოდეს, მოღალატედ ან გზაზე სადმე, ან სოფლად ღამით გამოსასვლელს ადგილს თუ სადაც იარაღით სასიკვდილოდ გამომეტებით დაუდგეს, და ის საქმე გამოჩნდეს, რომე, სდგომოდეს და მერმე იმ ხანად იმ კაცს აღარ გამოევლოს და წამოსულიყოს, თავის გუნებით სიკვდილი სდომებია, მაგრამ ღმერთსა და ბედს მოურჩენია, რომე იმ გზაზე აღარ გამოუვლია, ამისათვის მთელი სისხლი მოღალატემ იმ კაცს მისცეს, და თუ გაიაროს, და ან მოკლას და ან დაჭრას, ორკეცი სისხლი მისცეს: ერთი ღალატად დგომისათვის და ერთი სიკვდილისა. და თუ ამ უბრალომ კაცმან ის მოღალატე მოკლას, მისი სისხლი არ არის".[3]

ამრიგად, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 59-ე მუხლში ერთმანეთისაგან განირჩევა: მკვლელობის მცდელობა, რომელიც სისხლით ისჯება, წინასწარ განზრახული მკვლელობა—ორკეცი სისხლით, ხოლო მკვლელობა აუცილებელი მოგერიების დროს—სისხლით არ ისჯება.

---

[1] М. Ковалевский, Законы и обычай на Кавказе, т. I, 1890 г., ст. 279

[2] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი პირველი, 1911 წ. გვ. II

[3] ვახტანგ VI სამართლის წიგნი, გვ. 67

წინასწარ განზრახული მკვლელობისათვის კანონი კიდევ უფრო მკაცრ ხასიათს ღებულობს ერეკლე მეორის დროს, თუმცა ამ შემთხვევაშიც ხაზი ესმება კანონის კლასობრივ ხასიათს, რაც იმაში გამოიხატა, რომ ითვალისწინებენ მხარეთა სოციალურ მდგომარეობას.

ქართული სამართლის განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულზე კანონი შეღავათს არ ავრცელებს. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 93-ე მუხლში ვკითხულობთ: „ღვინოში რომ კაცმან ან კაცი მოკლას, ან დაჭრას თუ რაც უყოს, მთელს სისხლზე თუ არ მეტი, ნაკლები არ მიეცემის, ამისათვის, რომ ის რომ იცის, ღვინოში აჩქარებული არის, რატომ დალევს ამდენს, რომ ამგვარ საქმეს აქნევინებს".[1]

ამ მუხლიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიმთვრალე დამამძიმებელ გავლენას ახდენს დანაშაულზე, რაც იშვიათი იყო სხვა ხალხების იმდროინდელ სასამართლო პრაქტიკაში. „მსოფლიო სამართლის ისტორიაში,—წერს მ. კეკელია,—სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაული დიდხანს ითვლებოდა შემამსუბუქებელ გარემოებად და ის, რაც ამ მიმართულებით ვახტანგის სამართლის წიგნმა სცნო, გვიან აღიარეს, ამდენად ქართული სამართალი ადრიდანვე მეტად ორიგინალურ და მართებულ მიდგომას ამჟღავნებს სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისადმი".[2]

ამთავრებს რა მსჯელობას ადათისა და კანონის ირგვლივ, არჩილ ჯორჯაძე გვთავაზობს მნიშვნელოვან დასკვნებს, რომლებსაც გარკვეული ღირებულება აქვთ სამართლის ისტორიაში და დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალურობა:

1. ძველი მართლმსაჯულება, ძველი დაწერილი კანონი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ადათსა და ჩვეულებასთან, ხოლო რაც დრო გადიოდა, კანონსა და ადათს შორის განსხვავება იზრდებოდა;

2. კავშირი ადათსა და კანონს შორის ორგანული არ იყო, ადათი და კანონი არსებითად ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს, რაც იმას ნიშნავს, რომ ადათი საგვარეულო ცხოვრების ჩარჩოში აღორძინდა, კანონი კი პოლიტიკურ საზოგადოებაში;

3. ადათი იყო ზნეობრივი და გონებრივი გამოსახულება ხალხის მისწრაფებათა, რომელიც ერთგვაროვან მატერიალურ პირობებში ცხოვრობდა, კანონი კი ძლიერთა ხელში წარმოადგენდა იარაღს უმრავლესობის დამონებისა. კანონი ვითარდება იმგვარ საზოგადოებაში, რო-

---

[1] ვახტანგ VI სამართლის წიგნი, გვ.74

[2] მ. კეკელია, ეროვნულ ჩვეულებათა და ტრადიციათა ბუნებისათვის, 1982, გვ. 52

მელმაც პირვანდელი ერთგვარობა დაკარგა და ეკონომიკური უთანასწორობა დაეტყო;

4. თავდაპირველად მეფენი, მთავარნი, ადათს თავიანთი ძლიერების განსამტკიცებლად იყენებდნენ, ამიტომაც არის, რომ მათ ადათი გაიხადეს თავიანთი კანონმდებლობის საძირკვლად, ხოლო ამასთან ერთად, ამ კანონმდებლობაში შეაპარეს იმისთანა რამ, რაც ადათში არ იყო, რაც მას არღვევდა და ეწინააღმდეგებოდა და რაც იცავდა ახლად აღმოცენებულ წოდებათა და ბატონთა ინტერესებს.[1]

არჩილ ჯორჯაძე სწორად ხსნის იმ გარემოებას, რომ ქართული სამართლის უძველესი წყარო სწორედ ადათია. ადათობრივი ნორმები წარმოიშვა ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების დროს. ისინი წარმოადგენენ ქცევის საერთო წესს, რომელიც დამკვიდრდა ამა თუ იმ გვარში ან თემში ხანგრძლივი გამოყენების შედეგად. ქცევის საერთო წეს-ჩვეულებებით წესრიგდებოდა ადამიანთა ურთიერთობანი გვაროვნული წყობილების დროს, მაგრამ ადათების გამოყენება ემყარებოდა არა სახელმწიფოებრივ ძალას, რომლის არსებობა იმ დროს გამორიცხულია, არამედ გვარის ან თემის—საზოგადოებრივი ხელისუფლების ავტორიტეტსა და მისდამი პატივისცემას.

ამრიგად, არჩილ ჯორჯაძე სწორ მეცნიერულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს იძლევა ადათისა და კანონის ურთიერთდამოკიდებულების საკითხებზე და კონკრეტული მასალის საფუძველზე წარმოაჩენს კანონის კლასობრივ ბუნებას.

ილია ჭავჭავაძე მაღალ შეფასებას აძლევდა რა ჩვეულებითს სამართალს, ბუნებრივია, დაინტერესებული იყო მისი შესწავლით. „ჩვეულება,—წერს ილია,—ერისთვის იგივე სჯულია, იგივე კანონია, მხოლოდ დაუწერელი კი".[2] კანონის წარმოშობის მიზეზებს იგი განიხილავს მიწათმფლობელობის ერთ-ერთ ფორმასთან—ხიზნობასთან კავშირში: ხიზნობა სხვისი მიწით სარგებლობას ნიშნავდა. მიწათმფლობელობის ანალოგიურ ფორმებს სხვადასხვა სახელწოდებებით ვხვდებით გერმანიაში, იტალიაში, რუსეთში, საფრანგეთში, ნიდერლანდებში, ინგლისში, პორტუგალიაში. ბუნებრივია, საზოგადოებრივი ურთიერთობა მიწათსარგებლობის პროცესში საჭიროებდა გარკვეულ სამართლებრივ ნორმებს. ხიზნობის დასაწყის ეტაპზე,—წერს ილია ჭავჭავაძე,—საზოგადოებრივი ურთიერთობები მიწით სარგებლობის პროცესში რე-

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი პირველი, 1911 წ. გვ. 12

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 6, „ხიზნების საქმე", გვ. 154

გულირდება ჩვევებით,[1] შემდეგ კი ადათობრივი ნორმებით, ხოლო განსაზღვრული საფეხურის შემდეგ ადათობრივი სამართალი შეცვალა დაწერილმა კანონებმა, რამდენადაც კერძო საკუთრებას, რომელიც მომავალი საზოგადოების საძირკველი იყო, შეესაბამებოდა არა ადათი, არამედ კანონი.

„ილია ჭავჭავაძის აზრით,—წერს ვ. აბაშმაძე,—სამართალი წარმოადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების უმთავრეს იარაღს" (დაწვრილებით იხ. ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები, 1981, გვ. 550).

ილია ჭავჭავაძის აზრი კანონის წარმოშობასთან დაკავშირებით რამდენადმე ემთხვევა ჩერნიშევსკის და ინგლისელი მეცნიერის ჰ. მენის შეხედულებას, რომლებიც, როგორც ცნობილია, ბუნებითი სამართლის პოზიციაზე იდგნენ. ჩერნიშევსკის აზრით, არსებულმა ეკონომიკურმა წინააღმდეგობებმა აიძულა საზოგადოება ჩამოეყალიბებინათ ქცევის ნორმები, განესაზღვრათ თითოეული წევრის უფლება-მოვალეობანი.[2] ილია იზიარებს ჩერნიშევსკის შეხედულებას კანონის წარმოშობის მიზეზებზე და მიუთითებს, რომ კანონი ეკონომიკურმა მოთხოვნებმა წარმოშვა და დამოკიდებული არ არის ადამიანის ნებაზე, ე.ი. კანონის წარმოშობა ობიექტურ კანონზომიერებას წარმოადგენს, ამ აზრით იგი მატერიალისტურ მსოფლმხედველობას იცავს. იმავე დროს თავისებურად ხსნის სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზებს და მას საზოგადოებრივი შეთანხმების შედეგად თვლის. არ მიჯნავს კლასობრივ ბრძოლას და კანონის კლასობრივ ხასიათს. უნდა აღვნიშნოთ,—წერს ვ. მეტრეველი—რომ ილია ჭავჭავაძესთან სამართლის წარმოშობა მეორეს მხრივ განპირობებულია ზნეობრივი და სარწმუნოებრივი გრძნობით წარმომდგარი სამართლისაგანო (ისე როგორც ჰ. მენთან—გ.ლ.). სამართლის წარმოშობის ასეთი მიზეზი იდეალისტურია, ჩვენი აზრით და ბუნებითი სამართლის თეორიის ნათესაობას ამჟღავნებს. სწორედ ბუნებითი სამართალი განიხილავს პოზიტიურ სამართალს აბსტრაქტული სამართლიანობის გამოვლინებად. გარდა ამისა, ილია ჭავჭავაძე ერთმანეთთან აიგივებს სამართალს და სიმართლეს.[3]

გარდა ამისა, ზნეობა და ზნეობით დადგენილი სიმართლე კლასობრივ საზოგადოებაში არ არის ერთიანი, იგი გაორებულია, მე-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 6, „ხიზნების საქმე", გვ. 154

[2] Э. В. Шамарин, Государственное-правовые взгляды предшественников научного коммунизма в России, Киев, 1979 г., ст. 80

[3] В. Д. Метревели, Политические и правовые взгляды грузинских просветителей-демократов второй половины XIX начала XX вв., Докторская. дисс., ст. 66

ტიც—კლასობრივ საზოგადოებაში სიმართლის გაორების გამო, ის, რაც გაბატონებული კლასისთვის სიმართლეა, ჩაგრულ კლასს უსამართლოდ მიაჩნია.

პირველყოფილ საზოგადოებაში რომ არ არსებობდა სამართალი და იგი მხოლოდ კლასობრივი საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი, ეს ი. ჭავჭავაძესაც კარგად ესმოდა, ხოლო ზნეობა პირველყოფილ საზოგადოებაშიც იყო და ამდენად ზნეობით დადგენილი სიმართლე რომ განაპირობებდეს სამართლის წარმოშობას, იგი პირველყოფილ საზოგადოებაშიც იარსებებდა.[1]

საინტერესოა ნიკო ნიკოლაძის მოსაზრება კანონის წარმოშობის მიზეზებზე, არსზე. ნ. ნიკოლაძეს მიაჩნია, რომ შესაძლებელია კაპიტალისტური წყობილების ფარგლებში სამართალი არ გამოხატავდეს რომელიმე კლასის ინტერესებს, კანონი სრულიად დამოუკიდებლად არსებობდეს სახელმწიფოსაგან და ზეკლასობრივი იყოს. ამდენად, ნიკო ნიკოლაძე კანონზე მსჯელობის დროს თავისებურ პოზიციაზე იდგა.

ადათისა და კანონის ბუნების ურთიერთდამოკიდებულების შესწავლის შემდეგ ა. ჯორჯაძე დიდ ადგილს უთმობს სახელმწიფოს როლის გარკვევას ეროვნების ჩამოყალიბების საქმეში. ამ პრობლემის გაანალიზების პროცესში იგი კონკრეტულად არჩევს პირველყოფილი გვაროვნული წყობილების სტრუქტურას, ცალკე ეხება კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს როლს პირველყოფილი თემური საზოგადოების დაშლისა და კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში, განსაზღვრავს ექსპლოატატორული სახელმწიფოს კლასობრივ ბუნებას, არ იზიარებს ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფოებრივ კონცეფციას, აკრიტიკებს ძალადობის თეორიას, ამ თეორიის ერთ-ერთ დიდ თეორეტიკოსს ლუდვიგ გუმპლოვიჩს, რომელიც სახელმწიფოს წარმოშობას უკავშირებდა გარეშე ფაქტორებს; ხაზს უსვამს ანტაგონისტურ საზოგადოებაში სახელმწიფოს დაპყრობითს ხასიათს და სხვა.

კვლევისას იგი ეყრდნობა მორგანის შრომას „პირველყოფილი საზოგადოება", ფართოდ იყენებს ი. ჯავახიშვილისა და გუმპლოვიჩის შრომებს, ასევე დიდ ადგილს უთმობს გიუსტავ ერვეს, ჟორჟ რენარის, ვაშერ დე ლაპუჟის და სხვა ევროპელი ავტორების შეხედულებების განხილვა-ანალიზს.[2]

---

[1] ვ. აბაშმაძე, ილია ჭავჭავაძე—სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები, 1987, გვ. 225

[2] იხ. „სოციოლოგიური ნარკვევები"—ლ. გუმპლოვიჩი, გიუსტავ ერვე—„სოციალიზმი და პატრიოტიზმი". „სოციალისტური წყობა", ჟორჟ რენარი—„საზოგადოებრივი (სოციალური) შერჩევა". ვაშერ დე ლაპუჟი—და სხვა

წინასწარ გვინდა აღვნიშნოთ, რომ არჩილ ჯორჯაძე პირველყოფილი საზოგადოების და სახელმწიფოს პრობლემებზე ავლენს ღრმა მეცნიერულ ცოდნას, სწორი მეთოდოლოგიის საფუძველზე განიხილავს ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებს და იძლევა ორიგინალურ და დღევანდელობისათვის აქტუალურ დასკვნებს.[1]

* * *

არჩილ ჯორჯაძე სახელმწიფოს შესახებ მსჯელობას იწყებს პირველყოფილი თემური წყობილებისა და კლასობრივი საზოგადოების დახასიათება-ურთიერთდაპირისპირების შესწავლით. მორგანის შრომაზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ იყო დრო, როცა არ არსებობდა კერძო საკუთრება და სახელმწიფო. ასეთი საზოგადოებაა პირველყოფილი. თემური წყობილება, რომელიც ემყარებოდა საზოგადოებრივ საკუთრებას და ამდენად არ არსებობდნენ მქონებელი და ღარიბი კლასები. ეს საფეხური, ჯორჯაძის თქმით, ყველა ხალხმა გაიარა ან გადიან (ამერიკელი წითელკანიანები), ამდენად იგი საზოგადოების გაინვითარების კანონზომიერი ეტაპია. იზიარებს იმ აზრს, რომ კერძო საკუთრებამ და სახელმწიფოს წარმოშობამ განაპირობა გვაროვნული წყობილების დაშლა. იყო დრო,—წერს არჩილ ჯორჯაძე,—როდესაც სახელმწიფო არ არსებობდა. ესაა საგვარეულო წყობილების ხანა. ამ დროს ადამიანი ეკუთვნის თავის გვარს, გვარისეულთა ინტერესები თანაბარია, მათ საერთო მიწა აქვთ, ერთად ამუშავებენ და მიწის ნაყოფიც საერთოა. მიწის საერთო მფლობელობა და გვარი იყო საზოგადოებრივი შენობის ერთეული. აქ არ ყოფილა არც კერძო საკუთრება, არც ტერიტორია ადმინისტრაციული ერთეულის სახით. სახელმწიფო წარმოიშვა საგვარეულო წყობილების ნანგრევებზე, ე. ი. სახელმწიფოს არსებობა შესაძლო გახდა მხოლოდ მაშინ, როდესაც გაჩნდა კერძო საკუთრება და როდესაც ტერიტორიასაც ადმინისტრაციული ერთეულის ხასიათი მიეცა. შეუძლებელია,—დაასკვნის იგი,—პოლიტიკური საზოგადოების ან სახელმწიფოს დაფუძნება საგვარეულო წყობილებაზე. სახელმწიფო უნდა იყოს დამკვიდრებული ტერიტორიაზე და არა პიროვნებაზე, ქალაქზე, რომელიც პოლიტიკური სისტემის

---

[1] თავის დროზე გამოქვეყნდა ა. სურგულაძის, ალ. ბენდიანიშვილის, უ. სიდამონიძის, ფ. ნადიბაიძისა და ჩემ მიერ სხვა დროს მოხსენებულ ავტორთა გამოკვლევები. არჩ. ჯორჯაძის თეორიული მემკვიდრეობის შესწავლაში დიდი წელილი მიუძღვის პროფ. დ. გამეზარდაშვილს, რომელმაც გამოსაცემად მოამზადა მისი რჩეული ნაწერები და გადასცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“

ერთეულს შეადგენს, და არა გვარზე, რომელიც არის საზოგადოებრივი სისტემის ერთეული.[1]

არჩილ ჯორჯაძე დაწვრილებით განიხილავს ირიკეზების გვარის სტრუქტურას. იზიარებს რა მორგანის შეხედულებებს, მიუთითებს, რომ პირველყოფილი თემური წყობილების საფუძველი არის გვარი, რომელიც ნათესაურ კავშირს ემყარება. გვარის წევრები ერთ წინაპარს სცნობენ და თაყვანს სცემენ. გვარის შიგნით ქორწინება აკრძალულია, რადგანაც ერთმანეთის ნათესავებად ითვლებიან და ამიტომ ცოლი სხვა გვარიდან მოჰყავთ. გვარის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ქონება გვარის გამგებლობაში გადადის. გვარი იცავს თავის წევრებს. მოკვლის შემთხვევაში გვარი შურს იძიებს, გვარს შეუძლია იშვილოს გვარის გარეშე პირი. გვარს განაგებს ზახემა (მამასახლისი) და სარდალი. მათ ირჩევენ საზოგადო კრებაზე, სადაც ქალები და კაცები მონაწილეობენ, მხოლოდ სრული თანხმობით და არა უმცირესუმრავლესობით ხდება არჩევა. ასეთივე წესით გადააყენებენ მათ თანამდებობიდან, ამიტომ გვარში პიროვნება არ იზღუდება.

პირველყოფილი საზოგადოების მეორე საფეხურს შეადგენს „ფრატრია" (ძმობა ან თემი), რომელიც ორი ან სამი გვარის კავშირის საფუძველზე ყალიბდება. მას ჰყავს თავისი მამასახლისი და სარდალი. მკვლელობის შემთხვევაში „ფრატრია" არიგებს მოდავე მხარეებს, მესამე საფეხური იყო ტომი, რომელშიც ორი ან სამი თემი შედიოდა. მას საერთო ტერიტორია აქვს და ერთ ენაზე მოლაპარაკე თემებია შიგ გაერთიანებული. ტომი ამტკიცებდა გვარის მიერ არჩეულ ზახემას და სარდალს. აგრეთვე შეეძლო მათი თანამდებობიდან გადაყენება, ტომს საერთო საბჭო ჰქონდა, რომლის წევრები გვარის მიერ არჩეული მამასახლისები და სარდლები იყვნენ. საკითხები ყველას თანდასწრებით წყდებოდა, ამიტომ, ყველას მიერ მოწონებული გადაწყვეტილება იძულებითს ხასიათს არ ატარებდა.

ირიკეზებმა თავიანთი საზოგადოებრივი წყობილება ახალ საფეხურზე აიყვანეს, კერძოდ, მათ ერთ ენაზე მოსაუბრე ხუთი ტომისაგან (სენეკა, კაიუგა, ონონდაგა, ონეიდა და მოგაუკ) შექმნეს განსაზღვრული ფედერაცია. ეს იყო არა მარტო ტომების ერთობა, არამედ, აგრეთვე „ეროვნების წარმოშობის დასაწყისი".[2] მათ XVIII საუკუნეში დააფუძნეს, „საუკუნო კავშირი", რომელიც აღიარებდა თითოეული ტომის სუვერენიტეტსა და სრულ დამოუკიდებლობას. კავშირის ძირითადი ნიშნები

---

[1] არჩილ ჯორჯაძე იზიარებს ლ. მორგანის მოსაზრებას. იხ. Морганъ, Первобытное общество, С-Петербург, 1800 г., ст. 119

[2] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი პირველი, 1911 წ. გვ. 16

ასეთი იყო: მის სათავეში იდგა 50 მამასახლისისგან შემდგარი საბჭო. მას გამოჰქონდა საბოლოო გადაწყეტილება კავშირის ყველა საქმეზე. ყველა გადაწყვეტილება ერთხმად უნდა ყოფილიყო მიღებული, საბჭო ყველას თანდასწრებით იმართებოდა, სადაც ირიკეზელთა თითოეულ წევრს შეეძლო გამოეთქვა აზრი, მაგრამ გადაწყვეტილება საბჭოს გამოჰქონდა, კავშირს არ ჰყავდა პერსონალური უმაღლესი მეთაური, აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში მდგომი პირი, სამაგიეროდ ჰყავდა ორი თანასწორუფლებიანი სარდალი.

არჩილ ჯორჯაძე ირიკეზების ტომთა ფედერაციის მსგავს მოვლენებს ხედავს საქართველოში, კერძოდ, სვანეთში, ხევსურეთში, თუშეთში. იშველიებს რა მ. კოვალევსკის შრომებს, მიუთითებს, რომ „სვანეთში, მესტიის საზოგადოებაში ხალხი იკრიბებოდა საჯარო კრებებზე (ჯან-ნაზურან) და ირჩევდა მოხუც მამასახლისს (მახვშს). მახვშის გარდა კიდევ 12 კაცს ირჩევდნენ (მიბარებს), რომლებიც წესრიგს ადევნებდნენ თვალყურს. საერთო კრებას ესწრებოდა ყოველი სრულწლოვანი ქალი და კაცი. ყოველი გადაწყვეტილება დამსწრეთა სრული თანხმობით უნდა მიეღოთ,[1] ასე იყო დაღესტანშიც,[2] ამ მხრივ, ჯორჯაძის აზრით, ყველაზე საყურადღებო არის თუშების საზოგადოებრივი ორგანიზაცია. გვარები შეკავშირდნენ და შეადგინეს ოთხი თემი—წოვის, გამეწარის, პირიქითისა და ჩაღმისა. თემების მიერ ამორჩეული წარმომადგენლები სოფელ ღელში იკრიბებოდნენ საქმეების გასარჩევად. თითოეული თემი თავის მხრივ პატარა ნაწილებად (ხევებად) იყოფოდა, რომელთაც სათავეში ხევისბერები იდგნენ. ისინი არჩევდნენ სოფლებს შორის დავებს და თუ თემებს შორის გაუგებრობა იქნებოდა, მაშინ მას თემების მიერ არჩეული კაცები არიგებდნენ. თითოეული თემი 3 მსაჯულს ირჩევდა.[3]

საბერძნეთში ჰომეროსის დროიდან დაიწყო გვაროვნული საზოგადოების რღვევის ნიშნები. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნები ცივილიზაციის ზღურბლთან იდგნენ და სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის უკვე მზად იყვნენ, ენგელსი ჯერ კიდევ გვაროვნულ წყობილებას ხედავს შემდეგი ძირითადი ნიშნების არსებობის გამო: 1. საბჭო, ბულე, რომლებიც გვარის წევრებისაგან შედგებოდა. შემდეგ, სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად, იგი სენატად იქცა. 2. სახალხო კრებას („აგორას"), სუვერენულ ორგანოს, ხალხი ირჩევდა, ამდენად არ არსებობდა ხალხისაგან გამოთიშული საჯარო ხელისუფლება. 3. მხედართმთავა-

---

[1] М. Ковалевскй, Законь и обычай на Кавказе, т, 11, 1890 г., ст. 15

[2] იქვე, გვ. 134-147

[3] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი პირველი, 1911 წ. გვ. 17

რი ბასილევსი, რომელსაც საბჭო ირჩევდა და საერთო კრება ამტკიცებდა. ჯორჯაძე იზიარებს მორგანის აზრს, რომ ბასილევსობა მემკვიდრეობით არ გადადიოდა. მართლაც, იმ ეპოქაში, რომელიც აისახა ჰომეროსის „ილიადასა" და „ოდისეაში", ბასილევსი მეფეს არ ნიშნავდა. „ჰომეროსის პოემებში ბასილევსს ისეთი ძალაუფლება არა აქვს, როგორც მეფეს სახელმწიფოდ ორგანიზებულ საზოგადოებაში,—წერს პროფ. გ. ნადარეიშვილი... —ბასილევსი-მეფე ისევე მაღლა არ დგას ხალხზე, როგორც უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული კლასობრივი საზოგადოების მეფე... გვაროვნულ-პატრიარქალურ საზოგადოებაში ბასილევსი დიდ როლს თამაშობს განსაკუთრებით ომიანობის დროს, მაგრამ მშვიდობიანობის ხანაშიც მისი როლი არ მცირდება, მას დაკისრებული აქვს მოსამართლის როლი",[1] მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სიტყვა ბასილევსი მოგვიანებით იცვლის შინაარსს. ბერძნულ ენაში იგი იქცა ერთადერთ სიტყვად „მეფის" ცნების გამოსახატავად. ენგელსის შრომიდან ჩანს, რომ თუკიდიდე და არისტოტელე ერთმანეთისაგან ანსხვავებდნენ „ძველი" და „გმირული პერიოდის" და მომდევნო პერიოდის ბასილევსს, ჰეროდოტე ფარაონებს და მეფეებს ეძახის ბასილევსს. აგრეთვე სტრაბონისეული იბერიის ბასილევსი, არა მარტო ეტიმოლოგიურად, ქართულ „მეფეს" უდრის.[2]

ამრიგად, როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძე, ემყარება რა მორგანის შეხედულებებს, სწორად განსაზღვრავს პირველყოფილი წყობილების მთავარ ნიშანს: საერთო საკუთრების საფუძველზე დამყარებულ დემოკრატიას, რომელიც არ ზღუდავდა პიროვნებას. ასევე მართალია, როდესაც პირველყოფილი წყობილების დემოკრატიის ნიშნებს ხედავს საქართველოს მთაში. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მას მთელი რიგი სპეციფიკა და თავისებურებანი გააჩნდა.

არჩილ ჯორჯაძე ადარებს რა ერთმანეთს იროკეზებისა და ბერძენთა საზოგადოებრივ წყობილებას, მიუთითებს, რომ ბერძნებში მამის უფლებას მეტი ძალა მიეცა და მონოგამიულ ოჯახს დაედო საფუძველი. უნდა ითქვას, რომ იგი არ ცდება, რადგანაც ჰომეროსიდან იგრძნობა, უკვე შორს არის ის დრო, როდესაც საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში ქალს თვალსაჩინო და წამყვანი ადგილი ეკავა. იმ დროისათვის პატრიარქალიზმი მაღალ დონეზეა ასული და მამაკაცს საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური თვალსაზრისით უპირატესი ადგილი უჭირავს. მართალია, საზოგადოების განვითარება მონოგამიური ქორწინების განვითარებისაკენ მიდის, მაგრამ შეინიშნება წინამონოგამიუ-

[1] გ. ნადარეიშვილი, ნარკვევები სამართლის ისტორიიდან, 1986, გვ. 21-22
[2] ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, 1937, გვ. 9

რი ქორწინების ნიშნებიც, ვინაიდან მამაკაცს უფლება ჰქონდა ცოლთან ერთად ოჯახში მხევალიც ჰყოლოდა და მასთან შეძენილი შვილი მამის ქონების და სახელის მოზიარე ხდებოდა.[1] იგი იზიარებს მორგანისა და ენგელსის შეხედულებას იმის შესახებ, რომ „ძველ საბერძნეთში კერძო საკუთრება არ არსებობდა და ძალაუფლებაც დამოუკიდებელ ფუნქციად გამოყოფილი არ იყო".[2] რადგან სტრაბონის ცნობები იბერიის შესახებ ეხება ადრეფეოდალური ხანის ქვეყანას, ამდენად მეფე და ბასილევსი ამ შემთხვევაში იდენტურია, თუმცა სვანების სინამდვილეში სტრაბონის ბასილევსი ტომის მეთაურია.

ა. ჯორჯაძე ბერძენთა ტომების საფუძველზე არკვევს პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის მიზეზებს. იგი, პირველ რიგში, ასახელებს კერძო საკუთრების წარმოშობას, ხოლო ამის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევს ბრძოლას ეთნიკურ ჯგუფთა შორის.[3] საზოგადოებაში გაჩნდა უთანასწორობა,—წერს იგი,—სიმდიდრესთან ერთად სიღარიბეც. ეკონომიკურად ძლიერი კლასი სულ იმის ცდაში იყო, რომ სამუდამოდ დაეკანონებინა ამგვარი წესი და ეს რეფორმა კლისთენმა იკისრა (ძვ. წელთაღრიცხვით 509 წელს). მან ატიკა ას დემად დაყო და მოქალაქეები შედიოდნენ დემებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. აქვე იხდიდნენ გადასახადს. ათი დემი ერთ ოლქს შეადგენდა, ხოლო ათინის სახელმწიფოში ათი ოლქი შედიოდა. ეს უკვე დამთავრებული პოლიტიკური სხეული იყო: მას ჰყავდა სენატი, ეკლესია, არეოპაგი, არმია, ფლოტი.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ,—დაასკვნის ა. ჯორჯაძე,—პირველყოფილი საზოგადოების ორგანიზაცია დამყარებული იყო გვარსა, თემსა და ტომზე. პოლიტიკური ორგანიზაცია კი, რომელიც მოჰყვა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, დამყარდა ტერიტორიასა და საკუთრებაზე, პირველსა და მეორეს შორის არსებითი განსხვავებაა.[4] არჩილ ჯორჯაძე

---

[1] გ. ნადარეიშვილი, ნარკვევები სამართლის ისტორიიდან, 1986, გვ. 35,37

[2] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი პირველი, 1911 წ. გვ. 18

[3] არჩილ ჯორჯაძე სპეციალურად არ იკვლევს კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხებს. მას უფრო ის აინტერესებს, თუ რა მოვლენები მოჰყვება სახელმწიფოს წარმოშობას და რამდენად უწყობს ხელს იგი ეროვნებისა და მისი ცნობიერების ფორმირებას. ამიტომ არაფერს ამბობს კერძო საკუთრების წარმოშობის სხვა მიზეზებზე. მისი აზრით, ერის ჩამოყალიბებას წინ მხოლოდ პირველყოფილი თემური წყობილება უსწრებდა, სადაც არსებული ადათით ყველა ერთნაირად სარგებლობდა, შემდეგ კი წარმოიშვა პოლიტიკური ორგანიზმი—მიწათმფლობელობა, ადათი შეცვალა კანონმა. ეს კი იყო სახელმწიფოს წარმოშობის კონკრეტული გამოხატულება, რომელიც კერძო საკუთრების გაჩენის ნიადაგზე, გაბატონებული კლასის ინტერესების დასაცავად აღმოცენდა.

[4] თხზულებანი არჩ. ჯორჯაძისა, წიგნი პირველი, 1911 წ. გვ. 20

არ ეთანხმება ივანე ჯავახიშვილის და პროფესორ ელინეკის[1] სახელმწიფოებრივ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდება პირველყოფილი თემური წყობილების მმართველობა და სახელმწიფო ორგანიზაცია.

ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილი სახელმწიფოს არ განიხილავდა კლასობრივი ბატონობის იარაღად და ამდენად იგი არ მიჯნავდა ერთიმეორისაგან პირველყოფილ და მონათმფლობელურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებს: „გამოჩენილი ბერძენთა გეოგრაფის (სტრაბონის) აღწერილობა და ქართული წყაროებისა და ტერმინების შესწავლა გვარწმუნებს, რომ იბერიის ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი საგვარეულო წეს-წყობილებაზე ყოფილა დამყარებული",—წერს დიდი ისტორიკოსი,—რომაელების მიერ აქაურობის დაპყრობის დროს საქართველოში „მიწის კერძო საკუთრება არ არსებობდა და მთელი უძრავი ქონება საგვარეულოს ეკუთვნოდა... მთელი უძრავი ქონების გამგედ და მეურვედ გვარის უფროსი ითვლებოდა, რომელიც „მამასახლისად" იწოდებოდა. გვარი და საგვარეულო წყობილება მაშინდელი ცხოვრების დედა-ბოძი იყო... მაგრამ გვარიც არის და გვარიც. ზოგი მრავალრიცხოვანი დიდი გვარი იყო ხოლმე, ზოგი კიდევ—პატარა. რასაკვირველია, მრავალრიცხოვან გვარს მეტი ძალა და გავლენა ჰქონდა თავისი კუთხის დანარჩენ გვარებზე. დიდგვარიანი მამასახლისი თემის მეთაურად და გამგედ იყო. გამგეობის სათავეში მეფე მამასახლისი იდგა. იბერიის უზენაესი ხელისუფლება, მმართველობის უფლება ერთ საგვარეულოს ეკუთვნოდა. ამ საგვარეულოს უფროსი წევრი, მაშასადამე მამასახლისი, იმავე დროს ქვეყნის მეუფედ ითვლებოდა, როდესაც მეფე გარდაიცვლებოდა, ვინც განსვენებულის მომდევნო იყო წლოვანებით, ის ადიოდა სამეფო ტახტზე, ამგვარად, სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობა იმავე საზოგადო წესს მისდევდა, რომელიც თითოეულ საგვარეულოში სუფევდა".[2]

ივანე ჯავახიშვილი თავისი შეხედულებების დასაბუთებას ცდილობდა გვაროვნული და სახელმწიფო ადმინისტრაციული ტერმინოლოგიის მსგავსებით: „საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების შესწავლა გვიჩვენებს,—წერს ივ. ჯავახიშვილი შრომაში „სახელმწიფოებრივი წყობილება ძველ საქართველოსა და ძველ სომხეთში",—რომ მეფის გვარის ორგანიზაცია იგივე იყო, რაც ჩვეულებრივი გვარების ორგანი-

---

[1] პროფესორი ელინეკი აღნიშნავდა: „სახელმწიფო იგივე საგვარეულო წყობილებაა... საგვარეულო წყობილებაში უკვე არსებობს სახელმწიფო", თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი პირველი, 1911 წ. გვ. 20

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1979, ტ. I, გვ. 207-208

ზაცია, რომ ადმინისტრაციული სისტემაც იმავე საფუძველზე იყო დამყარებული. ანალოგიურ მოვლენას ვხედავთ ძველ სომხეთსა, სპარსეთსა და სირიელებში. აქაც სახელმწიფოებრივი ტერმინოლოგიის ანალიზმა მოგვცა ახალი საყურადღებო რამ. აქ ანალიზმა აღმოაჩინა, რომ სოფლის უფროსს, ქალაქის უფროსს და ქვეყნის მმართველს ყველას ერთგვარი სახელი აქვს, რომელიც ნიშნავს „სახლის მამას" ანუ „სახლის ბატონს". ქართველებში „მამასახლისი", სომხეთში „ტანუტერ", სპარსეთში—„კეთხუდა", ხოლო საქართველოს და სპარსეთის ტერმინოლოგიის შესწავლიდან ისიც გამომდინარეობს, რომ ამგვარი სახელი მეფესაც ერქვა... და თუ ტერიტორიულ ტერმინოლოგიის შესწავლაზე გადავედით, აქ უფრო საგულისხმო ფაქტებს ვნახავთ. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ყველა ერთეულს, პატარა ორგანიზმიდან მოყოლებული დიდებამდე, სოფელია იგი, ქალაქი, ოლქი თუ სახელმწიფო,—ყველას სახლის სახელწოდება ერქვა. ქართულად „სახლი", სომხურად „ტუმ", სირიულად —„ბეთ", არაბულად—„ბეით და დარ".

არჩილ ჯორჯაძე განიხილავს რა ივანე ჯავახიშვილის[1] ზემოთ მოყვანილ მსჯელობას, არ იზიარებს მის შეხედულებას. ტერმინოლოგიათა მსგავსება, ჯორჯაძის აზრით, არ ნიშნავს წესწყობილებათა მსგავსებას. ჯერ ერთი, მართალია, საგვარეულო ტერმინოლოგია გადმოიტანეს სახელმწიფოს ნიადაგზედ, მაგრამ აქედან სრულიად არ წარმოდგება გვარის და პოლიტიკური საზოგადოების მსგავსება. ტერმინოლოგიის მსგავსება მხოლოდ იმ ფაქტზე მიგვითითებს,—წერს იგი—რომ გვარი იყო პირველყოფილი ფორმა საზოგადოებისა, მხოლოდ სახელმწიფო გვარის შემდეგ დაარსდა. გვარმა დროთა განმავლობაში სახელმწიფოს ადგილი დაუთმო, ხოლო ძველმა სახელმწიფომ ბევრი რამ შეითვისა გვარისაგან (ტერმინოლოგია). ამავე დროს, გვაროვნული წყობილების ტერმინოლოგიას კლასობრივ საზოგადოებაში განსხვავებული შინაარსი მიეცა. მაგალითად, თავდაპირველად ქართული „სახლი" ქართველი ტომების ბინადარ ცხოვრებაზე, მიწათმოქმედებაზე გადასვლასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა. იგი გარკვეულ საზოგადოებრივ ერთობას ნიშნავდა. თავიდან „სახლის" სათავეში ქალი იდგა და ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას ნიშნავდა. „სახლის" და „დიდი ოჯახის" ცნება ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ერთიმეორეს ემთხვევა, შემდეგ „მატრიარქალური" სახლი შეცვალა „პატრიარქალურმა", ამ პერიოდში

[1] არჩილ ჯორჯაძე როდესაც კრიტიკულად შეეხო ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფოებრივ კონცეფციას, მაშინ ისინი დიდი მეგობრები იყვნენ, როგორც ჩანს, კრიტიკას არ გაუნაწყენებია ივ. ჯავახიშვილი და არჩილ ჯორჯაძის მიმართ საყვედური არ გამოუთქვამს

იწყება გვაროვნული წყობილების რღვევა. კლასობრივ საზოგადოებაში კი სახლი ერთი მხრივ გლეხურ მეურნეობას, მეორე მხრივ—ფეოდალურ მეურნეობას აღნიშნავდა. დღეს ეს ტერმინი უპირატესად საცხოვრებელ შენობას ჰქვია, ამიტომ, მართალია, არჩილ ჯორჯაძე, როცა წერს, რომ ტერმინოლოგიის მსგავსება შეცდომაში შეგვიყვანს, რადგანაც სხვადასხვა საზოგადოებაში მას განსხვავებული შინაარსი და მნიშვნელობა აქვს. იგი ხაზგასმით მიუთითებს, რომ არ მიაჩნია სწორად ჯავახიშვილის მოსაზრება, საგვარეულო წყობილება სახელმწიფოებრივ ელემენტებს შეიცავსო. ეს იმიტომ, რომ სახელმწიფო სრულიად ახალ ნიადაგზე დამყარდა. ტერმინოლოგიის მსგავსება კი არ არის მთავარი საზოგადოებრივი ტიპების გამოკვლევის დროს, არამედ ის, თუ რა უდევს საფუძვლად პოლიტიკურ საზოგადოებას. „სახელმწიფო ტერიტორიაზე, ქალაქის ერთეულზე და კომუნაზეა დაყრდნობილი, საგვარეულო წყობილებას კი სხვა ერთეული აქვს საფუძვლად, იგი იყო გვარი და პიროვნება. სახელმწიფოს არავითარი კავშირი არ აქვს პიროვნებასთან. სახელმწიფო იცნობს მოქალაქეს... სახელმწიფოს ახალი ელემენტი შემოაქვს—ტერიტორია და საკუთრება, რომელსაც არ ცნობს გვაროვნული წყობილება“.[1]

არჩილ ჯორჯაძე იძლევა სახელმწიფოს შემდეგნაირ განსაზღვრებას, თუმცა იგი არ უთითებს წყაროს: „სახელმწიფო არის ძალდატანებითი ორგანიზაცია უმცირესობის ბატონობისა უმრავლესობაზე“.[2] აგრეთვე, „სახელმწიფო არ აღმოცენებულა თანაბარ-უფლებიან საზოგადოების ნიადაგზე, სახელმწიფომ ამოჰყო თავი იქ, სადაც დაირღვა თანაბრობა, განმტკიცდა უთანასწორობა. სოციალურ ჯგუფთა შორის იმ თავითვე ბრძოლა გაჩაღდა. ერთმა ჯგუფმა (უმცირესობამ), ძალით დაიმონავა მეორე ჯგუფი (უმრავლესობა) და თავის ბატონობის დასაცავად მან შეჰქმნა ძალმომრეობითი ორგანიზაცია, რომელსაც ჰქვია სახელმწიფო“.[3]

ამრიგად, არჩილ ჯორჯაძე განიხილავს რა ივანე ჯავახიშვილის შეხედულებას სახელმწიფოზე, იძლევა სწორ მეცნიერულ დასკვნებს, რომელმაც გარკვეული აზრით, გავლენა მოახდინა ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაზე. უფრო სწორად, ჯორჯაძის მოძღვრებამ სახელმწიფოს შესახებ სწორი მეთოდოლოგიური მიმართულება მისცა შემდგომი პერიოდის ისტორიოგრაფიას.

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძის, წიგნი პირველი, 1911 წ. გვ. 22
[2] იქვე, გვ. 34
[3] იქვე, გვ. 25

მოგვიანებით ს. ჯანაშიამ განავითარა არჩილ ჯორჯაძის შეხედულებანი სახელმწიფოზე და გამოაქვეყნა ცნობილი შრომა „საქართველო ადრეული ფეოდალიზაციის გზაზე". უნდა ვიფიქროთ, რომ იგი იცნობდა ჯორჯაძის კონცეფციას. ჯერ ერთი, მან დაასაბუთა, რომ ტერმინოლოგია სხვადასხვა შინაარსს გულისხმობს კლასობრივ და გვაროვნულ საზოგადოებაში, მეორეც—კონკრეტული კვლევის საფუძველზე მეცნიერულად გააანალიზა რა სტრაბონის ცნობები იბერიის შესახებ, მიუთითა, შეცდომა არის იმის მტკიცება, იბერიაში რომ გვაროვნულ წყობილებას ვხედავთ. სინამდვილეში იბერია ადრეფეოდალიზმის გზაზე იდგა. „იბერიაში,—წერს ს. ჯანაშია,—ტომური ორგანიზაციის უკვე ყოველგვარი კვალი წაშლილია, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი სხვადასხვა მოდგმის ტომი ცხოვრობს. სტრაბონი იბერიის ქვეყანას, ცხადია, მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობით ხმარობს. იმ პერიოდში უკვე ტერიტორიული წყობაა, რომელმაც შეცვალა პირველყოფილი საზოგადოება და იმდენად შორს არის წასული, რომ უკვე გაჩენილია ამ მატერიალურ-პოლიტიკური ერთეულის ტერიტორიული სახელწოდება—„იბერია".[1] ტომური ორგანიზაციის დაცემა და მის ადგილას აღმოცენებული სახელმწიფოებრიობის პირვანდელი საწყისი პერიოდი ჯერ კიდევ იგუებს ძველ სახელწოდებას ძველი ფორმით. ეს არის ტომური სახელწოდება მრავლობითი რიცხვის ფორმით, მაგრამ სახელმწიფოსა და მისი ტერიტორიული წყობის შემდგომი განმტკიცება უკვე აჩენს ახალი ფორმის სახელწოდებას, რომელიც ახლა ტერიტორიას აღნიშნავს და არა ტომს. საფუძვლად მასაც ტომის სახელი უძევს... „სოციალურსა და პოლიტიკურ სფეროში ვხედებით გვაროვნული წყობილების ნაშთებს, მაგრამ ეკონომიკურად მაინც ამ ფენის უმრავლესობა წვრილ მესაკუთრე მწარმოებლებისაგან შესდგება".[2]

საქართველოში არჩილ ჯორჯაძემ ერთ-ერთმა პირველმა გაილაშქრა ძალმომრეობრივი სახელმწიფოს შექმნის თეორიის წინააღმდეგ, რომელიც ფართოდ გავრცელდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. ამ თეორიის თანახმად, ძალმომრეობის ესა თუ ის აქტი არის სახელმწიფოს წარმოშობის მთავარი მიზეზი. ძალმომრეობის თეორიის ერთ-ერთი პროპაგანდისტი ევგენი დიურინგი პოლიტიკურ ძალმომრეობას სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზად მიიჩნევს. თავის დროზე ფ. ენგელსმა გააკრიტიკა დიურინგის სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობა თავის ცნობილ შრომაში „ანტიდიურინგი". ამ თეორიის მქადაგებლად ითვლება კარლ კაუცკი. იგი ერთი

[1] ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, 1937, გვ. 16
[2] იქვე, გვ. 37

ტომის მიერ მეორის დაპყრობა-დამორჩილებას სახელმწიფოს წარმოშობას უკავშირებს. ე. ი., კაუცკის აზრით, გაბატონებული და ჩაგრული კლასები ეთნიკურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ძალმომრეობის ერთ-ერთ დიდ მქადაგებლად ითვლება პოლონელი პროფესორი, იურისტი და სოციოლოგი ლუდვიგ გუმპლოვიჩი,—წერს პროფესორი გ. ინწკირველი—რომელიც უმთავრესად ავსტრიაში მოღვაწეობდა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში. გუმპლოვიჩის შრომებში მიჩქმალულია სახელმწიფოს კლასობრივი ბუნება. იგი ამტკიცებს, რომ ისტორიის მამოძრავებელი ძალაა რასებს შორის ბრძოლა, რომ კაცობრიობა თავიდან დაყოფილი იყო რასებად, ეთნიკურ ჯგუფებად, რომელთა შორის წარმოებდა ბრძოლა. ამ ბრძოლის პროცესში უფრო ძლიერი ეთნიკური ჯგუფები, ტომები იპყრობენ სუსტებს და ამის შედეგად იქმნება სახელმწიფო, როგორც გამარჯვებული ტომების ორგანო დამარცხებულთა მიმართ ძალაუფლების განსახორციელებლად.[1]

არჩილ ჯორჯაძე განიხილავს გუმპლოვიჩის შრომას „სოციოლოგიური ნარკვევები" და არ ეთანხმება ავტორის შეხედულებებს სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. გუმპლოვიჩის აზრით, თითქოს სოციალური ჯგუფები ერთიმეორისაგან ეთნიკურად განსხვავდებოდნენ და ამ ბრძოლას ეთნიკური, რასიული ხასიათი ჰქონდა. ძლევამოსილი უმცირესობა ყოველთვის უცხოეთიდან მოსული ხალხი იყო. ერთი ეთნიკური ჯგუფი სხვა ეთნიკურ ჯგუფს იმონებდა. გუმპლოვიჩის განმარტებით, სახელმწიფო წარმოსდგა არა მარტო სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა ბრძოლისაგან.

არჩილ ჯორჯაძე მიუთითებს, რომ ეთნიკური ელემენტი ყველგან და ყოველთვის არ იყო სახელმწიფოს დაარსების შემოქმედი ძალა. სახელმწიფოს იგი კლასთა ბრძოლის შედეგად მიიჩნევს და ამდენად, იზიარებს იმ შეხედულებას, რომ სახელმწიფო ნაყოფია უმცირესობის მიერ უმრავლესობაზე ბატონობის, ხოლო ეგ უმცირესობა ყოველთვის არ განირჩეოდა ეთნიკურად უმრავლესობისაგან.[2] იგი იმ აზრს ავითარებს, რომ ძალმომრეობა, დაპყრობა, გარეშე ძალა აჩქარებს სახელმწიფოს წარმოშობის პროცესს იმ ქვეყნებში, სადაც მომწიფებულია საამისო წინაპირობები, მაგრამ მარტო ძალმომრეობით სახელმწიფო არსად შექმნილა და ამიტომ არასწორია გუმპლოვიჩის მოსაზრებანი ამ საკითხზე.

---

[1] გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, 1979, გვ. 39.
[2] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი პირველი, 1911 წ. გვ. 26.

არჩილ ჯორჯაძის სამართლებრივ შეხედულებებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს თანამედროვეთა შეხედულებების გვერდით. ილია ჭავჭავაძე თავისებურად ხსნის სახელმწიფოს კლასობრივ ხასიათს.

იგი იცნობს კერძო საკუთრების წარმოშობის ორ გზას:

ძალმომრეობითი—დაპყრობის გზით და პირადი შრომით. კერძო მიწათმფლობელები ხელში იგდებენ დიდი რაოდენობით მიწებს, მაგრამ არ შეუძლიათ მათი დამუშავება. მათ აუცილებლად ესაჭიროებათ მუშახელი, ამიტომ იძულებული არიან მოიწვიონ ისინი, უმიწონი ეკონომიკური მდგომარეობის გამო თანხმდებიან დაექირავონ მიწის მფლობელთ. ასე ჩაეყარა, ილიას აზრით, საფუძველი ბატონყმობას.

ამრიგად, ილია ლაპარაკობს მიწისმქონებელთა და უმიწოთა ურთიერთდაკავშირებაზე, მათ მორიგებაზე, რომ ეს მორიგება ბატონყმობის საფუძველს შეადგენდა, მაგრამ არსად მიუთითებს, რომ ამ გზით ჩამოყალიბდა სახელმწიფო. „ისმება კითხვა,—წერს ვ. მეტრეველი,—რა გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ მიწიანთა და უმიწოთა მორიგებაში ილია სახელმწიფოს წარმოშობას გულისხმობს? ჩვენი აზრით, რადგანაც ილია თითქმის თანამიმდევრულად აგვიწერს სახელმწიფოს წარმოშობის სტადიებს (გვაროვნული წყობილების რღვევა, კერძო საკუთრების და კლასების წარმოშობა, მათ შორის თანამშრომლობის დამყარება), სხვა დასკვნის გაკეთება არ შეიძლება და ამდენად ილიას სწორ წანამძღვრებს ლოგიკურად მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ზემოაღნიშნულ მსჯელობაში ილია სახელმწიფოს წარმოშობას გულისხმობს“.[1] რადგანაც „კლასობრივი საზოგადოება—მიუთითებს ი. სურგალაძე,—სახელმწიფოს გულისხმობს, უკანასკნელის გარეშე პირველი არ წარმოიდგინება. „უსახელმწიფო“ კლასობრივი საზოგადოება ისევე არ არსებობს, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, სიცოცხლის გარეშე“.[2] „თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,—განაგრძობს მსჯელობას ვ. მეტრეველი,—იგი სიტყვა სახელმწიფოს მაგივრად „ბატონყმობას“ ხმარობს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ილია მონათმფლობელობას არსად ახსენებს, მისთვის „ბატონყმობა“, ალბათ, პირველი კლასობრივი საზოგადოების სინონიმია... ხოლო სახელმწიფო კლასობრივი ზავის შედეგია“.[3]

---

[1] ვ. მეტრეველი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, 1977, გვ. 27-28

[2] ივ. სურგულაძე, სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, I, 101, შდრ. ვ. მეტრეველის დასახელებული ნაშრომი.

[3] ვ. მეტრეველი, იქვე, გვ. 28-30

არჩილ ჯორჯაძე, თანამედროვეებისაგან განსხვავებით, სწორად ხსნის კლასობრივ საზოგადოებაში სახელმწიფოს ბუნებას. იგი წერს, რომ რადგანაც სახელმწიფო გაბატონებული კლასების ინტერესებს ემსახურება, ამიტომ „სახელმწიფოს აზრი და მისწრაფება საზღვრების გაფართოვებაა და ახალ ერთა და ქვეყანათა დაპყრობა".[1] იგი სამართლიანად აკრიტიკებს იმ ყალბ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც საქართველოს სახლმწიფოს ისტორიის ზოგიერთ პერიოდში არ ატარებდა დაპყრობით ომებს და არ ავიწროებდა მეზობელ ხალხებს, რომ „ქართველების ეროვნულ მისწრაფებას აგრესიული ხასიათი არა ჰქონია, ქართველები ყოველთვის თავს იცავდნენ".[2]

საქართველოს ძლიერების ხანაში ჩვენი სახელმწიფო უმიზეზოდ აწიოკებდა მეზობელ სახელმწიფოებს, რადგანაც წარმატებულ ომებს დიდი მოგება მოჰქონდა. ა. ჯორჯაძეს მოაქვს ჩვენი ერის ისტორიის მაგალითები 1122 წლიდან 1226 წლამდე, ე. ი. 104 წლის განმავლობაში. „საქართველოს საზღვრებად შეიქმნა: კასპიის ზღვა, დარუბანდი, ჩაჩანი, ყიბჩაღეთი, ჩრდილო ოსეთი, ჩერქესი, ჯიქეთი, ტრაპიზუნტი, საცა თამარმა დააარსა ცალკე იმპერია და მისცა იგი ალექსი კომნენს, კორნე (არზურუმი), კარი (კარსი), დვინი, ანისი და არეზის მარცხენა მხარე კასპიის ზღვამდე. იტყვიან, რომ ყოველივე ეს საჭირო იყო ბუნებრივი საზღვრების გამაგრებისათვის, მაგრამ რა არის „ბუნებრივი საზღვარი?" ერთ შემთხვევაში იგი ერთგვარი ეთნოგრაფიული ელემენტების დასახლების ფარგალია, მეორე შემთხვევაში იგია მთა, ზღვა და უფრო ხშირად უსაზღვრო ლტოლვა, სივრცე-სიგანეში ლტოლვა, რომელიც ჩერდება და დგება იქ, სადაც მას ეღობებიან, წინააღმდეგობას უწევენ და გასაქანს აღარ აძლევენ. ბუნებითი საზღვარი მაშინ ამ „ძალადობის" ზღუდესთან წყდება და წინ წასვლას ვეღარ ჰბედავს. სწორედ ასე იყო ჩვენშიაც, მართალია, ისტორიის იშვიათ მომენტებში, მაშინ, როდესაც მეფობა ფეოდალებზე გამარჯვებული იყო და წელში გამაგრებული, „ბუნებრივი საზღვრების" ძებნამ თამარ მეფის დროს დიდძალი სიმდიდრე შესძინა სახელმწიფოს, ასე რომ სახელმწიფოს შემოსავალის ორი მესამედი შესდგებოდა ალაფისაგან და დაპყრობილ ქვეყნებზე დადებული ხარაჯისაგან.[3] იგი ეყრდნობა ივანე ჯავახიშვილის შრომას „საქართველოს ეკონომიკური ისტორია", სადაც მითითებულია, რომ „მუდმივმა გამარჯვებამ და დადძალმა დავლამ, რომე-

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი პირველი, 1911 წ. გვ. 34

[2] იქვე, გვ. 34

[3] იქვე, გვ. 34

ლიც რჩებოდა ხოლმე ქართველ ლაშქარს, იმდენად წაახალისა, გაიტაცა და გაათამამა ქართველი მეომრები, რომ სულ ომიანობის ნატვრაში იყვნენ ხოლმე... თამარ მეფის მამა გიორგი იძულებული იყო ყველა მეზობლისათვის ომი აეტეხა, რომ მთელ ლაშქარს ტყვეების და ნავარდის დაწყება შესძლებოდა... იქმნა ესე ვითარ უცხო ლაშქრობა, რომელ არა ოდეს ვის ეხილაო".[1]

არჩ. ჯორჯაძე იზიარებს ივ. ჯავახიშვილის აზრს იმის შესახებ, რომ გაუმართლებელი იყო დიდებულების და ლაშქრის საქციელი, რადგან მათ ომი სასიამოვნო ხელობად და გასართობ საქმედ გაიხადეს, ტყუილუბრალოდ გადაიკიდეს მეზობლები და ქართველების მიმართ სიძულვილი ჩაუნერგეს.

ამრიგად, არჩ. ჯორჯაძემ ბევრი საინტერესო მოსაზრება გამოთქვა სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა-განვითარების საკითხებზე და თავისი კონცეფციით მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ქართული სამართლებრივი აზრის განვითარების ისტორიაში.

* * *

არჩილ ჯორჯაძის სამართლებრივი შეხედულებების შესწავლა და მასზე სრული წარმოდგენის შექმნა შეუძლებელია იმ პოზიციის გარკვევის გარეშე, რომელიც მას ქალის უფლებრივი მდგომარეობის და საოჯახო სამართლის საკითხების სფეროში უკავია. ამ თვალსაზრისით, დიდ ინტერესს იწვევს, უპირველეს ყოვლისა, მისი შრომა „ქალის სევდა", რომელიც 1911 წელს დაწერა და შეიტანა თხზულებათა მესამე წიგნში.[2]

აღსანიშნავია, რომ არჩ. ჯორჯაძის მოსაზრებებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და ბევრის მხრივ ეხმაურება დღევანდელობას.

„ქართულ მწერლობაში ქალის შესახებ ლაპარაკი ფრიად იშვიათი მოვლენაა. და როდესაც კი ლაპარაკი ამ საგანზე ჩამოვარდებოდა ხოლმე, იგი ყოველთვის სასტიკად განსაზღვრულ კალაპოტში ტრიალებდა, ეს კალაპოტი იყო ქალის უფლებრივი მდგომარეობა და ამ უფლებრივ მდგომარეობის გაუმჯობესების საჭიროება".[3] ასეთი შეფასება სინამდვილეს არ ყოფილა მოკლებული. მართლაც, მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გარკვევისა და მისი გაუმჯობესების შესახებ ცოტას წერ-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი პირველი, 1907 წ. გვ. 70-71

[2] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მესამე, 1911 წ. გვ. 107. გარდა ამისა, ქალთა საკითხს შეეხო ნაშრომში „მესამოციანნი", წიგნი მეხუთე, 1914, გვ. 102

[3] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მესამე, 1911 წ. გვ. 107

დნენ და ლაპარაკობდნენ. თუმცა საკითხით უკვე სერიოზულად დაინტერესდნენ არა მარტო ჩვენთან, არამედ საერთოდ. ცხრაასიანი წლების დასაწყისში გრ. რობაქიძე ლექციებს კითხულობდა სიყვარულისა და სქესობრივი ურთიერთობის საკითხებზე, რასაც საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით ისმენდა, მაგრამ როგორც არჩ. ჯორჯაძე შენიშნავს, ეს იყო საკითხის ერთი მხარე. თუმცა ინტელიგენციას ქალთა პრობლემებზე მსჯელობის სურვილი აღძრა.[1]

„დიაღ, სურვილი ჩაფიქრებისა და სჯა-ბაასისა აღძრულია, მაგრამ უნდა გამოვტყდე, ამ საგანზე საჯაროდ ლაპარაკი მაინც ფრიად ძნელია, ძნელია იმიტომ, რომ ჩვენებური საზოგადოებრივი ფსიხიკა მეტის-მეტად ზერელეა, მეტის-მეტად ყალბად მორცხვია და ამასთანავე, მიუხედავად თავის რადიკალურის მიდრეკილებისა, საარაკოდ კონსერვატული და ტრადიციების მოთაყვანეა".[2]

არჩ. ჯორჯაძე იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც დაინტერესებული იყვენ ქალის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობით. მისი აზრით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა სქესს, მამაკაცების გვერდით, მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეჭიროს. ავტორი ავითარებს მოსაზრებას, რომ წარსულში თუ ქალი მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებას, მას უყურებდნენ როგორც ნივთს, არასრულყოფილ და არასრულფასოვან არსებას და იგი მამაკაცის სრულ საკუთრებას წარმოადგენდა, საზოგადოების შემდგომი განვითარების შედეგად ქალის საერთო უფლებრივი მდგომარეობა უმჯობესდება და თანდათან გამოდის საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე.

„დიდი ხანი არაა, რაც ქართველმა ქალმა ოჯახურ ინტერესებს გადააბიჯა და საზოგადოებრივ ცხოვრებას დაეწაფა... როდესაც შრომა და დამოუკიდებელი ეკონომიკური მდგომარეობა ცარიელი ოცნება იყო ქალისათვის. უკანასკნელ 15-20 წლის განმავლობაში ამ მხრივ ბევრი რამ შეიცვალა ჩვენში. ახლა ჩვენ განათლებულ წრეებში „მომუშავე

---

[1] 10 თებერვალს ბერლინში ქალებმა საპროტესტო კრება გამართეს... კრებამ მოითხოვა მთელი გერმანიისათვის ერთსაერო საკრებო კანონის გამოცემა, როგორც მამაკაცებისათვის, ისე დედაკაცებისათვის.—დანიის მუშა ქალებს მარტში პირველი კონგრესი ჰქონდა გამართული.—შვედია-ნორვეგიაშიც არის ქალების წინსვლის ამბავი. მაისის თვეში აქ ქალებს ქალაქების არჩევნებში მონაწილეობის და ხმის უფლება მიეცათ.—გერმანიაში მიიღო წელს ერთმა დოქტორის ხარისხი. მისი სახელი არის კაროლინა სტიუარტი.—პოლანდიაშიც დანიშნეს ამას წინათ გიმნაზიაში მათემატიკის და ბუნების მეტყველების მასწავლებლად ერთი ქალიშვილი, სახელად ვან დე კამარი, რომელსაც ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი აქვს მიღებული.—ავსტრიის სწავლა-განათლების მინისტრი აპირებს ქალებისათვის ლიცეუმების დაარსებას.—იაპონიაში ქალებს შესანიშნაი წინსვლა ეტყობა, ქ. ტოკიოში გაიხსნა ამ გაზაფხულზე ახალი უნივერსიტეტი ქალებისათვის (გაზ. „კვალი", 1901. გვ. 30)

[2] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი III, 1911 წ. გვ 108

ქალი“ ჩვეულებრივი მოვლენაა, ახლა მას თავისი საქმე და თავისი საკუთარი ინტერესი აქვს, ახლა იგი, ასე თუ ისე, ნივთიერად ოჯახთან დაკავშირებული აღარ არის და ამიტომ ის „ქალის უფლებაზე“ დიდი ხალისით აზროვნებს“.[1]

არჩ. ჯორჯაძეც ქალის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებზე მსჯელობისას ავითარებს აზრს, რომ კაცსა და ქალს შორის არავითარი განსხვავება არ უნდა არსებობდეს, რადგანაც იურიდიულად ქალიც იმსახურებს, საზოგადოებაში მოიპოვოს მამაკაცის თანაბარი მდგომარეობა. მას მიაჩნია, რომ ქალმა განათლებაც უნდა მიიღოს და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც ჩაებას. მისთვის სასიამოვნო მოვლენად რჩება, რომ ქართველი ქალები ეწაფებიან ცოდნას და ცხოვრების ასპარეზზე გამოდიან. „თუ ოცის წლის წინათ ჩვენი ქალის სურვილი და ნატვრა—მუშაობა, ადგილი, სამსახური იყო, ახლა მისი სურვილი, ნატვრა უმაღლეს სასწავლებლისაკენაა მიპყრობილი, თუ წინათ თითებზე ჩამოთვლიდით უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველ ქალებს, ახლა მათი რიცხვი შესამჩნევად გაიზარდა“.[2]

მისი აზრით, ქალის სამართლებრივი მდგომარეობა, მისი ადგილი და როლი საზოგადოებაში განპირობებულია ამა თუ იმ საზოგადოებივ ურთიერთობათა სისტემით. ავტორი აანალიზებს პირველყოფილი საზოგადოების რღვევის, კლასობრივი საზოგადოების შექმნის პროცესებს და მიაჩნია, რომ წარმოების განვითარებამ, ნამეტი პროდუქციის დაგროვებამ და კერძო საკუთრების წარმოშობამ, რასაც შედეგად მატრიარქატის პატრიარქატით შეცვლა მოჰყვა, ქალს წაართვა მამაკაცთან გათანაბრების საშუალება, რის შემდეგ მისი მდგომარეობა თანდათან უარესდება. „დედის უფლების დამხობა მდედრობითი სქესის მსოფლიო ისტორიული დამარცხება იყო. მამაკაცმა ოჯახშიც ხელთ იგდო გამგებლობის საჭე, დედაკაცმა კი დაკარგა თავისი საპატიო მდგომარეობა, იგი გახდა მსახური, მონა მამაკაცის ჟინისა, უბრალო იარაღი შვილოსნობისა“.[3] (გამოთქმას „ქალის (დედის) უფლებას“ ფრ. ენგელსთან აქვს მატრიარქატის მნიშვნელობა, ხოლო ი. ბახოფენთან, რომელმაც დაწერა წიგნი „Das Mutterecht“, ნიშნავს „დედის სამართალს“). ე. ი. ქალის უფლებები ოდითგანვე შეიზღუდა ჯერ კიდევ ხალხური წეს-ჩვეულებებით, შემდეგ რელიგიით, არსებული „მორალით“, მთავართა და მეფეთა შემოღებული კანონებით იგი იქცა სამართლის ნაწილობრივი ობიექტი და სუბიექტი, რამაც სხვადასხვა ქვეყ-

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი III, 1911 წ. გვ 108

[2] იქვე

[3] ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1953, გვ. 75

ნის კანონმდებლობაში ზედმეტნაკლებად ჰპოვეს ასახვა. ასეთი დამოკიდებულება ქალის უფლებრივი მდგომარეობის მიმართ დიდხანს შემოჰყვა კაცობრიობას.

არჩ. ჯორჯაძე ქართველი ერის ისტორიის მასალების განხილვის საფუძველზე ასკვნის, რომ საზოგადოების განვითარების შემდეგ ეტაპზე ქალის მდგომარეობა საერთოდ საგრძნობლად უმჯობესდება და მიუთითებს, რომ გაერთიანებული საქართველოს სოციალ-პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა ქალისადმი დიდი უფლებების მინიჭება და მამაკაცთან გათანაბრება, უფრო მეტად, ვიდრე საქართველოს მეზობლად მდებარე ზოგიერთ განვითარებულ ფეოდალურ ქვეყანაში. „ამ დიდებულ გვირგვინოსანის ღვაწლი და დამსახურება სამშობლოს წინაშე უსაზღვრო“ [1]—წერდა იგი თამარ მეფის შესახებ, თუმცა საერთოდ ქალის აბსოლუტური გათანაბრება არ მომხდარა არც მაშინდელ საქართველოში, რადგანაც, მართალია, „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდაც ხვადია“, მაგრამ ცხოვრების პირობები არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ქალი და მამაკაცი ერთმანეთს გათანასწორებოდნენ.

„გიორგი III დროს ქალის პოლიტიკური უფლებები ფართოვდება და ქალს, გამონაკლისის სახით, მაგრამ მაინც მიეცა უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება. აღიარებული იქნა, რომ ქალსაც შეუძლია მეფობა. მაგრამ სამოხელეო ასპარეზზე ქალებს, როგორც წესი, როგორც განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში, ასევე გვიან საუკუნეებშიც ნაკლებად ვხვდებით“,[2]—წერს პროფ. გ. ნადარეიშვილი. ე. ი. არჩ. ჯორჯაძე მართებულად დაასკვნის, როდესაც ამ მოვლენებს გამონაკლისად, ხოლო თანაბრობას—იდეალურად თვლის. ამ საკითხის ირგვლივ აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავდა, რომ „საშუალო საუკუნეებში, ფეოდალური ცხოვრების პირობებში, ქალს ფაქტიურად ვერც რუსთაველი გაათანასწორებდა მამაკაცთან, ისიც ვერ იტყოდა, რომ მათ შორის განსხვავება არაა. მაგრამ, როდესაც ის ქალის უარყოფითს თვისებებს უჩვენებდა, ამ თვისებებს ის სთვლიდა შედეგად მისი რეალური დუხჭირი ყოფა-არსებობისა, როდესაც ის „ქსლის მბეჭველის“ როლიდან ვერ გამოდიოდა, და არა თანდაყოლილ, იმანენტურ თვისებად მისი, როგორც ქალის ბუნებისა. ადამიანი, ქალი იქნება ის თუ კაცი, როგორც ქმნილება ღვთისა, ერთია, ამიტომ იდეურად ქალსაც შეუძლია შეასრულოს ის საქმე, რომელსაც მამაკაცი ასრულებს, სინამდვილეში კი, ცხოვრების პირობებთა ზეგავლენით, ეს მას შეუძლია

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 275

[2] გ. ნადარეიშვილი, ქართული სოჯახი სამართლის ისტორია, 1965, გვ. 54

მხოლოდ გამონაკლისის სახით. მაგალითად, მეფობისათვის ღმერთს, მისი აზრით, მარტო მამაკაცი არ შეუქმნია, მეფობა ქალსაც შეუძლია, თინათინი ქალია, მაგრამ მან „იცის მეფობა", მხოლოდ ის, რაც მან „იცის", შეუძლია განახორციელოს, როგორც გამონაკლისი („მართ ღმრთისა დანაბადია").[1]

აქვე აღვნიშნავთ, რომ მეფე-ქალი ყოფა-ცხოვრების სფეროში მამაკაცთან თანაბარი უფლებებით სარგებლობს, შეუძლია, ქმარი გააძევოს სახლიდან, განქორწინების შემთხვევაში მამაკაცის თანაბარი პოზიცია უკავია, მეფე ქალები ქმრებს ახალი დინასტიის დამკვიდრების უფლებას არ აძლევდნენ და ა. შ.

მართალი იყო არჩ. ჯორჯაძე, როდესაც მიუთითებდა, რომ ფეოდალურ საქართველოში ქალისა და მამაკაცის თანასწორობა გაბატონებულ ფენებში არ ნიშნავდა საერთოდ განსხვავების არარსებობას. „გლეხის ქვრივი რომ გათხოვილიყო, სიძეს ბატონისათვის უნდა მიეცა ფული შეძლებისდაგვარად (10-50 მანეთამდე „საქვრივო)", ამნაირადვე ფული უნდა გადაეხადა გლეხს თავის ქალის გათხოვების დროს („საჩექმე"). მებატონე მოახლედ გლეხის ქალს აიყვანდა ხოლმე, რომელსაც ხშირად ან მზითვად ატანდა, ან აჩუქებდა ვინმეს".[2] საყურადღებოა მისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქალის სამართლებრივ მდგომარეობას კონკრეტული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილება განსაზღვრავს.

საქართველოს წინაფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მასალები, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება, მაგრამ ცურტაველის „წამება შუშანიკისაში" ისეთ სამყაროზე ოცნება, „სადა არა არს რჩევა" მამაკაცისა და დედაკაცისადან მოყოლებული, ცვალებადობას განიცდიდა ქალის უფლებრივი მდგომარეობა.

ქართველ ისტორიკოსს ჯუანშერს აღწერილი აქვს ვახტანგ გორგასლის ლაშქრობათა ისტორია, სადაც მოცემულია მისი ანდერძი, რომელიც მორიგი ლაშქრობის წინ დაუტოვებია. ანდერძში მითითებულია, ვისზე უნდა გათხოვილიყო მისი და იმ შემთხვევაში, თუკი ცოცხალი ვეღარ დაბრუნდებოდა: „დაი ჩემი ხუარანძე შეირთოს მირიან".[3] თუკი ანდერძით ქორწინება მიღებული იყო მეფეთა და დიდებულთა წრეში, სადაც არ ჩანს მზითვის ინსტიტუტიც, ნათელი წარმოსადგენია საერთოდ ქალთა სამართლებრივი მდგომარეობა. როგორც აღვნიშნეთ, გა-

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, 1941, გვ. 183
[2] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეოთხე, 1911 წ. გვ. 197
[3] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. 1, 1955 წ. გვ. 51

ერთიანებული ფეოდალიზმის ეპოქაში გაფართოვდა არა მარტო ქალის პოლიტიკური უფლებანი, არამედ მათი ფაქტიური მდგომარეობა. IX საუკუნიდან მოყოლებული, საქართველოში ძლიერდება ქალთა მზითვის ინსტიტუტი, ეს კი მნიშვნელოვანი მომენტია მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. თუნდაც ის ფაქტი, რომ ოამარის გამეფებამდე საქართველოში ქვრივ ქალს მეორედ გათხოვების ნება არ ეძლეოდა, ხოლო, თამარის ბრძანებით, ეს უფლება მიენიჭათ, ლაპარაკობს იმაზე, რომ ქალის უფლებები სერიოზულად იყო შეზღუდული. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ეს შეზღუდვები ჯერ კიდევ წარმართობის პერიოდიდან უნდა მომდინარეობდეს. თამარის გამეფების შემდეგ, ბუნებრივია, ქალის უფლებრივი მდგომარეობა გარკვეულად გაუმჯობესდა, მაგრამ შემდგომ პერიოდებში ეს პროცესები სტაბილურობით არ ხასიათდებოდა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქალისა და მამაკაცის უფლებები საოჯახო პირობებშიც განსხვავებულია. ფეოდალური სამართლის მიხედვით, მეუღლეთა შორის ერთგულების დაცვის პრინციპის დარღვევისას საკითხები მამაკაცის სასარგებლოდაა გადაწყვეტილი. იგი არ ითვლება ცოლის წინაშე დამნაშავედ მრუშობისათვის, ხოლო საოჯახო ზნეობრივი დანაშაულის ჩადენისათვის ქალი სასტიკად ისჯება. რაც შეეხება ქონებრივი ურთიერთობის სფეროს, აქაც ცვლილებები ქალის სასარგებლოდ ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. მანამდე არსებული მამაკაცის განუსაზღვრელი პირადი და ქონებრივი ბატონობის პრინციპი იცვლება ქმრის ცოლზე მეურვეობის დაწესების ნორმით. „გვიანი შუა საუკუნეების ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში ქალის პროცესუალური უფლება-უნარიანობა აღიარებულია, მაგრამ, რიგ შემთხვევაში, შეზღუდულიც არის. ერთი შეხედვით, შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ მე-18 საუკუნემდე ქალის პროცესუალური უფლება და ქმედითუნარიანობის სფერო უფრო ფართო იყო, ვიდრე მე-18 საუკუნეში, ვახტანგის სამართალმა კი ქალს აუკრძალა ფიცის მიცემა".[1]

გვინდა ყურადღება ერთ მომენტზე გავამახვილოთ: საქართველოში საერთოდ ქალი შედარებით თავისუფალი იყო, მას სოციალური გარემო ისე მკაცრად არ ზღუდავდა, როგორც სხვა ქვეყნებში. ფაქტიურად, ქალთა სქესი ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებდა ერის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ჩვენამდე მოღწეული მასალები, რომლებიც სათავეს ჯერ კიდევ მითოლოგიურ-

[1] გ. ნადარეიშვილი, ქართული საოჯახო სამართლის ისტორია, 1965 გვ. 66

რელიგიური წარმოდგენებიდან იღებენ, შემდეგში კი მეცნიერთა გამოკვლევების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები.[1]

არჩ. ჯორჯაძე ყურადღებას ამახვილებს მამაკაცის ქალისადმი დამოკიდებულების საკითხებზე. ამისათვის მაგალითად მოჰყავს პრიბიშევსკის ფალკი, რომელსაც ერთდროულად ხუთი ქალი უყვარს და აკრიტიკებს ავტორს იმისათვის, რომ მის გმირს, ფალკს „ბრძენკაცი" უწოდა: „ეს ე. წ. „ბრძენი ადამიანი" მას შემდეგ, რაც ქალების არშიყობას და ტრფიალს გადაჰყვა, აღარაფერს აკეთებდა, მისი შემოქმედებითი ნიჭი (მწერალი იყო) თითქოს გაჰქრა. ნერვებ აშლილი, არაყს და კონიაკს ეტანებოდა მუდამ ჟამს".[2]

არჩ. ჯორჯაძე სასტიკად ილაშქრებს იმ დროს გამეფებულ „პიროვნების განვითარების ფილოსოფიის" ე. წ. „სანინიზმის", „გატიტვლებული ადამიანის", „თავხედი სიყვარულის", „სამსხვერპლო სიყვარულის" წინააღმდეგ, რომელსაც გატაცებით დაეწაფა მაშინდელი ახალგაზრდობა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა ქალები, რომელთა დიდ ნაწილზე ყოველივე ეს ცუდ გავლენას ახდენდა და სქესობრივი აღვირახსნილობისაკენ უბიძგებდა. არჩ. ჯორჯაძე ახალგაზრდობას იმდენად არ ადანაშაულებდა, რამდენადაც არსებულ სოციალურ ყოფას და წერდა: „ბრალს მათ ვერ დავდებთ, რაც დრომ მოიტანა, ის შეითვისეს და იმით ასაზრდოებენ თავიანთ სულსა და გულსა".[3]

სტატიაში „მუსაიფი" მეგობრის ენით იგი გარკვეულ რჩევა-დარიგებასაც იძლევა: „ქალი, ძმაო, განსაკუთრებული არსებაა. ქალი ფაქტიურ სინამდვილის მოტრფიალეა, ძალისა და ყოველთა უპირატესობის თაყვანისმცემელია. ძალასა და ფაქტს ქალი სამართალზე და სინდისზე მაღლა აყენებს. ათასჯერ მართალი იყავი, მაგრამ თუ სუს-

---

[1] „საქართველოში ძველით წესათ იყო, რომ ვისაც გასჭირებია შესახვეწრად ან დედისა ან ჯალაბს გაუგზავნიდეს, მეფენი და თავადნი პატივს დასდებდნენ" (ქართლის ცხოვრება, დასაბამიდან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწ. II, დ. ჩუბინაშვილის რედაქ. სპბ. 1854, გვ. 520.), „ქალი, როგორც სქესი და როგორც სოციალური არსება დაჩაგრული არ იყო და დიდი პატივით სარგებლობდა" (ი. ჭავჭავაძე, პატარა საუბარი, თხზ., ტ. 9. გვ. 245), შედარებით მაღალი მდგომარეობისა და პატივისცემის გამოხატულობას სვეტიცხოველ, აგრეთვე, ქართველ ხალხში დიდი ხნის განმავლობაში არსებულ ჩვეულებაშიაც, რომლის მიხედვითაც ქალის, მანდილოსანის გამოჩენა მეომარ მხარეთა შორის, როგორც მშვიდობის სიმბოლოსი, აუცილებლად მოასწავებდა მათ შერიგებას (გ. ნადარეიშვილი, ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, 1965, გვ. 57). ქართველი ქალები ზოგიერთი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებაშიც გარკვეულ როლს თამაშობდნენ (დაწ. იხ. დ. ჯანელიძე, ქართველი მზეთუნახავები უცხოეთში, 1983). „ქრისტიანობას ქალი არ დაუმცირებია საქართველოში, როგორც ამას ეხედათ ევროპაში" (ე. გურკო, გაზ. „საქართველო", 1915, 151) და ა. შ

[2] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 194

[3] იქვე, გვ. 195

ტი ხარ, ძმავ, ქალი ზურგს მოგიბრუნებს".[1] როგორც ვხედავთ, არჩ. ჯორჯაძე ქალის მიმართ მამაკაცების ყურადღებას, თანაგრძნობას მოითხოვს, არ ივიწყებს ისეთ მომენტებს, როგორიცაა რაინდობა, ვაჟკაცობა. მას მიაჩნია, რომ მამაკაცი ძლიერი უნდა იყოს, სიძლიერეში მარტო ფიზიკურ ძალას არ გულისხმობს, არამედ, აგრეთვე, პირად, სულიერ სიმტკიცეს, ჰარმონიას, რაც არ გამორიცხავს ფიზიკურ სრულყოფასაც.

არჩ. ჯორჯაძე აკრიტიკებს არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას და სწავლა-აღზრდის მაშინდელ სისტემას, რომელმაც ქალი არარაობად, უუფლებო არსებად აქცია. „სკოლებში ხომ ერთგვარად გვამახინჯებენ, მაგრამ ჩვენს ქალზე განსაკუთრებით მოქმედებს ეს დამახინჯების რეჟიმი".[2] მას მნიშვნელოვან მომენტად მიაჩნია ´ქალის აღზრდის პრობლემების გადაწყვეტა ინდივიდუალური და პიროვნული თვისებების გათვალისწინებით. ყურადღებას ამახვილებს იმ განსხვავებაზე, რაც არსებობს ქალისა და მამაკაცის სქესობრივ ტემპერამენტსა და ინტელექტს შორის. „ძირითადი განსხვავება სქესობრივ ტემპერამენტისა ქალისა და კაცისა მეტად თვალსაჩინოა. ინტელექტუალური და საზოგადოდ შემოქმედებითი ნიჭის თავისებურობაც ამ სქესობრივ ელუმენტზეა დამყარებული, ე. ი. სქესობრივად აქტიური ტემპერამენტი ინტელექტუალურადაც აქტიურია".[3] რა თქმა უნდა, არჩ. ჯორჯაძე ითვალისწინებს აღზრდის ფაქტორს, თელის, რომ „აღზრდას და პირობებს, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების შემუშავებაში, მაგრამ არის საზღვარი, სადაც ადამიანზე აღზრდის და პირობების გაელენა არა სწვდება".[4]

არჩ. ჯორჯაძე არ ცდებოდა, მაგრამ „მარტო წვრთვნა რას იზამს, თუ ბუნებამაც არ უშველა", წერდა აკ. წერეთელი.

უნდა ითქვას, რომ არჩ. ჯორჯაძე ქალისა და მამაკაცის საზოგადოებრივი მდგომარეობის გარკვევისა და შემოქმედებითი ნიჭის თავისებურებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს „სქესობრივ" როლს, რაც მკვეთრადაა წარმოდგენილი მის შრომებში.

ქალთა სწავლა-განათლების საჭიროებაზე ილია ჭავჭავაძე მიუთითებდა: „განა ქალიც არ უნდა გამოვზარდოთ იმის შესაფერისად, რასაც სიტყვა ადამიანი ჰნიშნავს მამაკაცის შესახებ? განა საჭირო არ არის ყოველი ჩვენი მეცადინეობა მივაქციოთ იმაზე, რომ ქალს გონება გავუხსნათ ჭეშმარიტების აზრებისათვის, აღვფრთოვანოთ გულისტკივი-

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 235.
[2] იქვე, გვ. 237
[3] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მესამე, 1911 წ. გვ. 114
[4] იქვე

ლი კაცობრიულის და მოქალაქეობრივის ინტერესებისათვის, გავაგებინოთ იგი ვალი, იგი თანამდებობა, რომელიც ამ ინტერესებს თან მოსდევს? ესეთის აზრებით, რწმენით და თვალთა მხედველობით დედაკაცი გაუთანასწორდება მამაკაცსა".[1]

საინტერესოა ნ. ნიკოლაძის შეხედულებანი ქალის უფლებრივი და ფაქტიური მდგომარეობის შესახებ, რომლის გარკვევასაც მან რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა.[2]

არჩ. ჯორჯაძე აანალიზებს ნ. ნიკოლაძის მოსაზრებას, რომელიც გამოთქვა 1864 წელს გაზ. „დროებაში" (38) გამოქვეყებულ წერილში „მოგზაურობა ფეხით და რკინის გზით". „მე მარტო ერთ რასმე გეტყვით ხელ-ახლად: როცა თქვენ, ქალები, მიხვდებით, რომ დამხმარებელი თქვენ თქვენი თავის მეტი არავინ გყავთ, მაშინ თქვენი ბედი სულ სხვა იქნება, მე თავი მომაბეზრა ქალების კვნესამ, და ნუ გეწყინებათ ჩემი სიტყვების სიმწარე, თქვენი ბედი საბრალოა, ამიტომ, რომ თქვენ არა იცით რა ჯდომისა, ღიმილისა და ნემსის ხმარების მეტი. თქვენ მუდამ პირდაღებული ზიხართ და მოელით საქმროს, რომელიც დაგეხმარებათ და გაგაბედნიერებთ, გამოსადეგი ხართ თქვენ ან მისთვის, ან თქვენი თავისთვის? გაჭირვებული კაცის მეტი, თქვენ ვინ ოხერი შეგიყვარებსთ, ვინ სულელი შეგირთავსთ? მოკლე დროისთვინ, მართალია, თქვენ არავინ გიწუნებთ, მაგრამ ვაი იმისთანა შეერთებას... იმნაირი რამე ისწავლეთ, რომ თქვენი თავის ხეირიანად რჩენა, თქვენი თავის მოვლა შეგეძლოთ... მოინდომეთ, ისწავლეთ, ეცადეთ, ერთმანეთს დაეხმარეთ და ბედნიერება თქვენ ხელში იქნება".[3]

არჩ. ჯორჯაძე იწონებს ნ. ნიკოლაძის ამ რჩევას, მაგრამ სამართლიანად მიუთითებს, რომ ქალთა ბედნიერებისათვის მარტო სწავლა-განთლება არ არის საკმარისი, ამის მაგალითად რუსეთის სინამდვილეში განათლებულ ქალთა ბედ-იღბალზე საუბრობს და ასკვნის: „აი, ჩვენს წინ ახალგაზრდა ქალი დგას, ვაჟურის მიხვრა-მოხვრით, შეკრეჭილი თმით, იგი ერთნაირის თაეგამოდებით სწავლასაც ეტანება, ხალხის სამსახურში შრომობს, მეცადინეობს და, როცა საჭიროება მოითხოვს, წარბშეუხრელად სიცოცხლესაც სწირავს, მაგრამ... ბედნიერება ამ ქალს არ უნახავს".[4]

არჩ. ჯორჯაძე, მართალია, პასუხს ბოლომდე არ იძლევა, თუ რა არის კიდევ საჭირო იმისათვის, რომ ქალი ბედნიერი იყოს, მაგრამ

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. 4, თბ., 1957, გვ. 281

[2] დაწ. იხ. ვ. მეტრეველი, ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, 1980

[3] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეხუთე, 1914 წ. გვ. 108

[4] იქვე

სხვა დროს გამოთქმული მისი მოსაზრებიდან გამომდინარე, ნათელია, სოციალური გარემოს შეცვლის გარეშე ქალთა საკითხი გადაუწყვეტელი დარჩება. მისი აზრით, ნ. ნიკოლაძის ამ მოწოდებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელი ქართველი ქალისათვის, რადგანაც „ქართლ-კახეთში სამოციან წლებშიაც ქალები ჩადრებში დადიოდნენ და არ გეგონოთ, რომ ეს ძველი ისტორიის ანდერძი ყოფილიყოს. არა, ეს უკანასკნელ საუკუნეებში შეძენილი ჩვეულებაა. დიახ, იმ დროინდელი ქალი ჩადრში იყო გახვეული და ამიტომაც არის, რომ იმ ხანებში საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსულ ქალებს (მიუხედავად მათი გაუნათლებლობისა) დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ამიტომაც, აღნიშნულ სიტყვებს, ნიკოლაძის წერილსაც, უნდა ჰქონოდათ და ჰქონდა კიდეც გავლენა და მნიშვნელობა“.[1]

არჩ. ჯორჯაძე აანალიზებს ახალგაზრდა მწერალ ნ. ინაშვილის მიერ თანგმნილ ჯონ სტიუარტ მილის ცოლის წერილს „ქალების განთავისუფლება“, და ავტორისეულ წინასიტყვაობას, რომელიც გამოქვეყნდა 1889 წელს ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე და მიაჩნია, რომ „ინაშვილის თარგმანი თავის ვრცელი წინასიტყვაობით უკვე სერიოზული შრომაა ჩვენს ნორჩ ლიტერატურაში“,[2] მოაქვს ციტატა წინასიტყვაობიდან, რომელიც მართლაცდა გაბედულად და გულწრფელად ესარჩლება ქალებს და მოითხოვს ქალისათვის თავისუფლების მინიჭებას, აღზრდის სისტემის შეცვლას, სამოღვაწეო ასპარეზზე ქალების დაშვებას და ა. შ.

არჩ. ჯორჯაძე იწონებას ამ მოსაზრებებს: „სავსებით ვეთანხმებით ავტორს... მართლაც აუცილებლივ საჭიროა უფლებრივი გათასწორება კაცისა და ქალისა. საჭიროა განათლების მისაღებად ერთგვარ პირობებში ჩაყენება. საჭიროა კარის გახსნა სამოქალაქო და საპოლიტიკო ცხოვრების ასპარეზზე“.[3] მას პროგრესულ მოვლენად მიაჩნია ქართველი ქალების სამწერლო-სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა, მოაქვს მაგალითები იმდროინდელი ქართული პრესიდან, სადაც ქალთა საკითხები შუქდებოდა ან ქართველი ქალების პუბლიკაციები და თარგმანები ქვეყნდებოდა.

იმდროინდელი ქართული პრესა კმაყოფილებას გამოხატავს იმის გამო, რომ ქართველმა ქალებმა გაბედეს და სამწერლო მოღვაწეობას მოკიდეს ხელი. არჩილ ჯორჯაძე იმოწმებს „დროებაში“ გამოქვეყნებულ მასალას: „ამ წიგნის გამოსვლა ჩვენს ლიტერატურაში და

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეხუთე, 1914 წ. გვ. 109

[2] იქვე, გვ. 136

[3] იქვე, გვ. 139

ჩვენს ცხოვრებაში შესანიშნავი მოვლენაა. თვითონ წიგნი მაინცა და მაინც არაფრით არის მაგდენით ყურადღების ღირსი. მაგრამ ყურადღების ღირსი ის არის, რომ ეს წიგნი გაღმოთარგმნილი და გამოცემულია ქართველ ქალებისაგან. როგორც სასიამოვნო არ უნდა იყოს ჩვენი საზოგადოებისათვის ის გარემოება, რომ ჩვენი ქალები, რომელნიც ამ უკანასკნელ დროებაში მხოლოდ სიყვარულზე, გათხოვებაზე, ცეკვა-თამაშზე და ტანისამოსზე ფიქრობდნენ, ჰკიდებენ ხელს ისეთ საქმეს, რომელსაც უეჭველია საზოგადოებისათვის რაიმე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს".

მართალია, არჩილ ჯორჯაძე კმაყოფილია ქალთა ცხოვრებაში მომხდარი ძვრებით, რადგანაც მას მიაჩნია, რომ ეს მოძრაობა ქალთა განთავისულებასთანაცაა დაკავშირებული, მაგრამ არ აკმაყოფილებს საერთო საზოგადოებრივი დამოკიდებულება ამ მოვლენებისადმი. ფიქრობს, რომ ქალთა სწავლა-განათლების საქმეს ჯერ კიდევ არ აქვს დიდი წახალისება. ამის საილუსტრაციოდ იშველიებს „დროებაში" დაბეჭდილ, პეტერბურგიდან გამოგზავნილ ელისაბედ ყაზბეგის წერილს: „როდის შევესწრებით იმ ბედნიერებას, როდესაც ჩვენი ძმები ათობით და ოცობით რომ ემგზავრებიან აქეთკენ და სხვაგან სასწავლოდ, ერთი ხუთიოდე (ამჟამად ამ მცირე რიცხვზე კმაყოფილი ვხდებით) ქალიც ერიოს. აი, ჩვენი ბედნიერება ქმარში კი არა, ამისთანა გონებითს ცხოვრებაში იქნებოდა, როდესაც ჭირში და ლხინში ჩვენ მოძმეებთან ერთად ვიქნებოდით და ერთნაირი სწავლის საშუალებით ერთნაირი თვალით შევხედავდით ჩვენს ცხოვრებას, ერთი მხედველობა გვექნებოდა მომავალში, ერთ საქმეს ვემსახურებოდით და შევიქმნებოდით ღირსი ჩვენი ძმებისა და მომავალი ქმრებისა".[1]

არჩილ ჯორჯაძეს ზემოაღნიშნულით იმის თქმა სურს, რომ სამოციანი წლებიდან ქართველმა ქალებმა დაიწყეს სწრაფვა გონებრივი განვითარებისაკენ, „რომელიც გამოისახა როგორც პრაქტიკულ მოქმედების ასპარეზზე, განთავისუფლების პრინციპის წამოწყებაშიც". მისი ასეთი დამოკიდებულება ქალთა სწავლა-აღზრდის და მათი სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების პრობლემებისადმი საკვლევით მისაღებია. ცნობილი ფაქტია, რომ რაც უფრო გაუნათლებელი და წიგნიერებას მოკლებულია ქალი, აღზრდილია ძველი წეს-ჩვეულებების პრინციპებზე, მეტადაა მიჯაჭვული ქმარზე, ოჯახზე და არსებულ საზოგადოებრივი ცხოვრების წესზე.

არჩ. ჯორჯაძის ნაწერების ანალიზიდან ჩანს, რომ ის ქალის ემან-

---

[1] „დროება", 1973 წ. №18

სიპაციის მომხრეა და ქალში ხედავს მამაკაცის თანასწორს, თვლის, რომ დედააზრი, ძარღვი ქალთა საკითხისა პიროვნების განთავისუფლებაა და მოითხოვს ქალის გათანაბრებას მამაკაცთან, მაგრამ, მისი აზრით, შეუძლებელია ყოველივე ამის მიღწევა არსებული გარემოს შეცვლის გარეშე. ქალი ბრძოლას უცხადებს ოჯახს, ამით კი ებრძვის არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ყოფას, „ამ ატმოსფეროში, ამ სულიერ კრიზისის ხანაში, თანამედროვე ქალს თავისი საკუთარი საქმეების მოწყობა და მოგვარება მოუხდა. გრძნობათა ქარტეხილით გარემოცული, საზოგადო ასპარეზიდან განდევნილი, ოჯახით სულშეხუთული და გულ-ნატკენი ქალი ხსნას ეძებს, სოცოცხლის ქარიშხლის ფერხულში ებმება, ტრადიციას, რწმენას, ჩვეულებას თაიდან იცილებს და შეუმჩნეველად, ხოლო აუცილებელ თანდათანობით, ახალ სულსა და სულიერს განცდას ითვისებს... და ცხოვრებაში საკალ გზას იადვილებს“.[1]

არჩ. ჯორჯაძე ქალის, როგორც პიროვნების, განთავისუფლებისათვის აყალიბებს შემდეგ მოსაზრებებს:

„პირველი გზა—კაცური პიროვნების და ინტელექტუალური კულტურის მოპოვება. ამ გზით სწარმოებს ფემინისტურ მოძრაობის სვლა. კაცსა და ქალს შუა არავითარი განსხვავება არ უნდა იყოს. სქესთა გათანასწორება იდეალია. მაგრამ ფემინიზმის ოცნებას არავითარი ნიადაგი არა აქვს, უფლებრივი გათანასწორება არ მოასწავებს პიროვნებათა გათანასწორებას და ამ პიროვნებათა გათანასწორებას, როგორც ვთქვი, ხელს უშლის სექსუალური ორგანიზაციისა და ფსიხიკის სხვადასხვაობა, ვინაიდან ინტელექტუალური აქტივობა და სექსუალური პასივობა ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან.

მეორე გზა—ქალური პიროვნების გაღრმავება და მასში ძებნა თვითგამორკვევის თვისებისა. არც ამ გზით სიარული ანიჭებს ქალს დამოუკიდებელი პიროვნების ძალას, რადგან აქაც უცვლელი რჩება ქალის ტემპერამენტი და პასივობა და მაშასადამე, უცვლელი რჩება მისი ინტელექტუალური ტემპერამენტიც.

მესამე გზა— სქესობრიობის დაძლევა და სექსუალობის ალაგმვა. ეს არის მეტაფიზიკურ-რელიგიური გადაწყვეტა საკითხისა. ამის განხორციელება ემპირიულ სინამდვილეში შეუძლებელია და ამ ფილოსოფიის გამარჯვება მოასწავებს ფიზიკური სიცოცხლის სიკვდილს. ასე რომ, ამ გზით ივლიან ისინი, ვისაც აღარ ჰხიბლავს ამა ქვეყნის მომხიბლავი ძალა“...[2]

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მესამე, 1911 წ. გვ. 121

[2] იქვე, გვ. 133-134

როგორც ვხედავთ, მისი აზრით, არც ერთი ამ დასახელებული გზით არ შეიძლება პრობლემის გადაწყვეტა, ამიტომ იგი წერტილს აქ არა სვამს და აგრძელებს მსჯელობას.

მის ნაშრომში „ქალის სევდა" მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქორწინო-საოჯახო სამართლის საკითხებს. აღსანიშნავია, რომ არჩ. ჯორჯაძე თავისი კონცეფციით ეხმაურება დღევანდელობას და მისი მოსაზრებანი ძირითადად არ ეწინააღმდეგება შესაბამის საკითხებთან დაკავშირებით თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაში ჩამოყალიბებულ დებულებებს. იგი კარგად იცნობს არა მარტო მშობლიურ, არამედ ევროპულ და საერთოდ უცხოურ ლიტერატურას და ზოგიერთი მათგანის განხილვით ცდილობს ნათელი მოჰფინოს კვლევის საგანს: „ეჭვის გარეშეა, ისე არავის უმუშავნია ქალთა საკითხის გაღრმავებისა და გარკვევისათვის, როგორც დიდებულ იბსენს.[1] ხელოვნურ კალმის გასმით და ფსიხოლოგიური ანალიზის შემწეობით, მან მოგვცა თანამედროვე ოჯახის ნამდვილი სურათი და გვანახა, საიდან წარმოსდგება, რაგვარ ფსიხიურ მოტივებისაგან იქმნება ის ხშირად უხილავი მწუხარება, რომელიც აიძულებს ქალს ქმართან ბრძოლას და ოჯახის მიტოვებასაც".[2]

არჩ. ჯორჯაძე არჩევს იბსენის „ზღვის ქალს", რომელიც აღნიშნული საკითხების გარკვევისათვის ნამდვილ შედევრად მიაჩნია. მაგალითად მოჰყავს ელლიდას (ცოლის) და ვანგელის (ქმრის) შემდეგი დიალოგი:

ელლიდა—შენ, რასაკვირველია (მიმართავს ქმარს), შეგიძლიან აქ დამტოვო, ამისათვის უფლებაცა გაქვს და საშუალებაც. და, რა თქმა უნდა, ესედაც მოიქცევი, მაგრამ ჩემს გრძნობებს, ყველა ჩემს აზრებს და უძლეველ მისწრაფებასა და სურვილებს—ყველა ამას ვერ შეჰბოჭავ. ისინი მარადის გამიტაცებენ და წამიღებენ იმ უცნობ სამეფოში, რომლისთვისაც მე დაბადებული ვიყავი და რომლის შესავალი კარები შენ გამომიხურე.

ვანგელ—(ნაღვლიანად) ვიცი, ვიცი, ელლიდა, თანდათან ხელიდან მიცურდები. შენი მისწრაფება უსაზღვროებისა, მარადისობისა...და მიუწვდომელისადმი ბოლოს და ბოლოს წყვდიადით ჰმოსავს შენს სულსა.

---

[1] არჩილ ჯორჯაძე ჰენრიკ იბსენის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ევროპაში გაეცნო, რადგანაც „იბსენის ზეგავლენა კავკასიონის უღელტეხილს არ გადმოსცდენია და არც ქართულ თეატრსა და აზროვნებაში შეუტანია იბსენს რაიმე წვლილი", წერდა კ. გამსახურდია (კ. გამსახურდია, ტომი 9, გვ. 391.)

[2] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მესამე, 1911 წ. გვ. 109-110

ელლიდა—ეგრძნობ, თითქოს შავი ფრთები შეუმჩნევლად დაჰქრიან ჩემს ზევით.

ვანგელ—მაგრამ ეს არ მოხდება, სხვა გზა უნდა ავირჩიოთ, მე ჩემი სიტყვა უკან მიმაქვს და ჩვენს ქორწინების პირობას ვარღვევ. შენ შეგიძლიან ახლა სრულიად თავისუფლად აირჩიო ის, რაც გსურს.

ელლიდა—(გაკვირვებული) მართალია, მართალია ეგ, რაც მითხარ? წრფელის და წმინდის გულით მელაპარაკები?

ვანგელ—მაშ, ახლა შენ ჩემთან ხარ, ჩემ სახლთან და ოჯახთან არაფერი გაკავშირებს. ახლა შეგიძლიან შენი სიცოცხლე შენს საკუთარს კალაპოტში ჩააყენო, რადგან ახლა თავისუფლად შეგიძლიან შენი საკუთარის პასუხისმგებლობით აირჩიო, რაც გინდა, ელლიდა.

ელლიდა—(აღელვებული, თავისუფლად და საკუთარის პასუხისმგებლობით). ჰო, ეს განახლების მომასწავებელია (გემიდან ზარის რეკვა ისმის).

უცნობი—გესმის, ელლიდა, უკანასკნელი ზარია, წამოდი რაღა.

ელლიდა—(მობრუნდება) არასოდეს ამის შემდეგ თქვენ აღარ გამოგყვებით...თქვენ ჩემზე აღარავითარი ძალა აღარ გაქვთ. თქვენ მკვდარი ხართ ჩემთვის... თქვენი შიში აღარა მაქვს და თქვენი მომხიბვლელობაც გამიქარწყლდა (უცნობი მიდის).

ვანგელ—ახლა თითქოს მიგიხვდი...შენი დიდი სევდა ზღვისადმი, შენი მისწრაფება იმ უცნობისაკენ—ეს იყო მხოლოდ შენში გაღვიძებული მოთხოვნილება თავისუფლებისა.[1]

და ელლიდა ბედნიერია იმის გამო, რომ მას თავისუფლება მიანიჭეს, ის არსად მიდის, რჩება ქმართან, ოჯახთან.

არჩ. ჯორჯაძეს ელლიდა ბედნიერ ქალად მიაჩნია, რადგან მას ქმარმა გაუგო, მიუხვდა გულის წადილს და გონივრული გადაწყვეტილება მიიღო. წინააღმდეგ შემთხვევაში, „ქმარს რომ ძალაც დაეტანებინა და არჩევის თავისუფლება არ მიენიჭებინა ელლიდასათვის, ამ შემთხვევაშიც იგი ვერ შეჰბოჭავდა მის სულიერ პიროვნებას, რადგან გარეგნულ საშუალებით იგი ვერ მოჰხრიდა მის ნებას, ვერ შეცვლიდა მის აზრს და გრძნობას. იგი მაინც თავისუფალი იქნებოდა, თავისუფალი—თავის შემეცნებაში, ხოლო იგი თავისუფლება დანაღვლიანებული და დასევდიანებული იქნებოდა. დაგუბებული მწუხარება და უკმაყოფილება კი ადვილად ხდება საბაბი დრამატული მოქმედებისა“.[2]

არჩ. ჯორჯაძეს ამით იმის თქმა სურს, რომ ოჯახში ცოლსა და

---

[1] დიალოგები მოგვყავს შემოკლებით

[2] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მესამე, 1911 წ. გვ. 112

ქმარს შორის ურთიერთგაგების და თანაგრძნობის ატმოსფერო უნდა სუფევდეს და ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც მათ შორის სიყვარულია. მან სწორად, სამართლიანად შეაფასა იმდროინდელი ოჯახი—„თანამედროვე ოჯახი გალიაა, რომელშიც მომწყვდეულია ქალი, ამ გალიაში ქმარიცა ზის, ხოლო კარის გასაღები ქმარს აბარია, როცა უნდა, სტოვებს გალიას, დადის და სტკბება თავისუფლებით და როდესაც ცოლიცა სთხოვს კარის გასაღებს, იგი გაოცებული და განრისხებულია. კანონი მის მხარეზეა, ნივთიერი შეძლებაც მის ხელშია და განა საკვირველი არ არის, რომ ოჯახიდან გასასვლელ კარების გასაღებსა სთხოვენ".[1]

არჩ. ჯორჯაძე გმობს ანგარების მიზნით დაქორწინებას, აკრიტიკებს ქორწინების იმდროინდელ წესს, რითაც ქორწინება და ოჯახის შექმნა სიყვარულთან კი არ იყო დაკავშირებული, არამედ, კერძო საკუთრების, დაგროვების, ანგარიშიანობის და საერთოდ, პატრიარქალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელ სხვა ნიშნებთან. მიაჩნია, რომ ქორწინებას საფუძვლად მხოლოდ და მხოლოდ ნამდვილი სიყვარული უნდა ედოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მეუღლეთა შორის არ არის სიყვარული, ასეთი ოჯახი უდღეურია, იგი დაინგრევა და ეს უფრო სამართლიანად მიაჩნია, ვიდრე მისი არსებობა, რომელსაც ადამიანების სულიერი და მორალური გაღატაკების, ტანჯვა-წამების მეტი არაფერი მოაქვს.

განქორწინების საფუძველი, მისი აზრით, მეუღლეთა შორის გაუგებრობა, სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის არარსებობაა. ამის მაგალითად კვლავ იბსენს იშველიებს. იბსენის ნორა რვა წლის განმავლობაში ცხოვრობდა ქმართან და როდესაც დარწმუნდა, რომ მისი ქმარი გელმერ არ ჰგავს იმ ადამიანს, რომელიც მას უყვარს, რომ ის ვიწროანგარიშიანი და ეგოისტი პიროვნებაა, გადაწყვიტა ოჯახის დატოვება: „მე ვიყავი შენი ტიკინა-ცოლი, ისე, როგორც მამიჩემის სახლში ტიკინა-ქალიშვილი ვიყავი",[2] —ეუბნება იგი ქმარს, გელმერს არ ესმის ნორას ფსიქიკური მდგომარეობა. იგი გაკვირვებული მიმართავს ცოლს—„როგორ, შენ გავიწყდება ცოლისა და დედის მოვალეობა?" ქალი ასეთ პასუხს აძლევს:—„მე მაქვს სხვა, უფრო ძვირფასი და სამღვთო მოვალეობა. მოვალეობა საკუთარ პიროვნებისადმი".—„უწინარეს ყოვლისა, შენ ცოლი და დედა ხარ":—„ეგენი მე აღარ მჯერა, მგონია, უწინარეს ყოვლისა, მეც ადამიანი ვარ, როგორც შენ. ყოველ

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მესამე, 1911 წ. გვ. 111

[2] იქვე, გვ. 112

შემთხვევაში, უნდა გავხდე ადამიანად, ვიცი, უმრავლესობა შენს მხარეზე იქნება, წიგნებშიაც შენ გაგამართლებენ, ხოლო მე აღარ მაკმაყოფილებს ის, რასაც უმრავლესობა ლაპარაკობს და რასაც სწერენ წიგნებში. მე თვითონ უნდა ავწონ-დავწონო და მოვისაზრო"—„მაშ აღარ გიყვარვარ?"—განცვიფრებით ეკითხებოდა თავის თავზე შეყვარებული კმაყოფილი ადამიანი. „თავი და თავი სწორედ ის არის, რომ აღარ მიყვარხარ",[1] —თამამად პასუხობს ნორა.

ადვილი მისახვედრია, რომ არჩ. ჯორჯაძე ასეთ ცოლქმრულ ურთიერთობაში განქორწინების მომხრეა და აკრიტიკებს ფეოდალური ხანის განქორწინების შეზღუდვას. სამართლიანად უჭერს ნორას მხარს, მისი აზრით, იგი სწორედ იქცევა, რადგანაც მეუღლის მიმართ პატივისცემის გრძნობა აღარ აქვს და ქმართან ცხოვრება მისთვის ტანჯვად იქცა. სხვადასხვა ეპოქაში, მონათმფლობელურ, ფეოდალურ თუ კაპიტალისტურ წარმოების წესთა არსებობის პირობებში, კანონმდებელი დგება, აგრეთვე, ერთგვარი ანტინომიის წინაშე, როდესაც, მისი აზრით, განქორწინება არის ბოროტება, მაგრამ ფორმალური განუქორწინებლობა მისი ფაქტიური დარღვევის პირობებში არასასურველ მოვლენად იქცევა. ამგვარ შემთხვევაში განქორწინების ამკრძალავ არავითარ იურიდიულ ბორკილებსა და ჯაჭვებს არ ძალუძთ საქმის შველა, ქორწინება იქცევა ფიქციად.[2]

არჩ. ჯორჯაძემ შესანიშნავი შეფასება მისცა ისეთ ოჯახს, სადაც ყველაფერია სიყვარულისა და პატივისცემის გარდა. „ოჯახი გარყვნილების ასპარეზად ხდება, როდესაც შიგ ჩამქრალია სიყვარული, სქესობრივი ურთიერთობა, სიყვარულის წყაროს დაშორებული, მტრობის და გათახსირების იარაღად იქცევა და რამდენი ოჯახია ამ ხასიათისა, სადაც „კანონიერი მრუშობაა გამეფებული და სადაც ჩვეულებრივ მოვლენად ხდება ის, რაც სიყვარულის გატაცებით და აღფრთოვანებით თუ გამართლდება".[3] როგორც ვხედავთ, იგი პროგრესულად აზროვნებს, როდესაც ოჯახს, ქორწინებას, ცოლქმრულ ურთიერთობას ამგვარად აფასებს. მისი აზრით, ქორწინების საფუძვლად მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული უნდა იყოს, ცოლქმრული ურთიერთობაც გამართლებული, ზნეობრივი იქნება, თუ სიყვარულის გრძნობას არ არის დაშორებული.

იგი აკრიტიკებს არა მარტო შუასაუკუნეობრივ ფეოდალურ, არა-

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მესამე, 1911 წ. გვ. 113.

[2] დაწ. იხ. ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, 1973; გ. ნადარეიშვილი, განქორწინება ქართული სამართლის მიხედვით, გვ. 302

[3] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მესამე, 1911 წ. გვ. 112

მედ მანამდე არსებულ, საერთოდ, კლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ოჯახს, მისი შექმნის მოტივებს და წერს: „ოჯახის ტრანსფორმაციასთან ერთად საკუთრების ეკოლუციაც სწარმოებდა. პირვანდელი ეკონომიური კომუნიზმი თანდათან კერძო საკუთრების სისტემად იქცევა. ამ საკუთრებაზე დამყარდა ოჯახი. გამოირკვა თუ არა „Patris Potestas" სისტემა (მამის უფლება), უკეთ მამასახლისობა და საკუთრების გამგებლობაც ამ „Potestas" ირგვლივ დამკვიდრდა მამაკაცთა სასარგებლოდ".[1] იგი თანამედროვე ოჯახშიც ხედავს სოციალურ-პოლიტიკური, ნივთიერი და იურიდიული თვალსაზრისით უპირატესობათა არათანაბარ განაწილებას. „ეს უთანასწორობა განსაკუთრებულის სიმწვავით მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში აღმოჩნდა, როდესაც საკუთრების მნიშვნელობამ შესამჩნევად აიწია და მისი ადგილი საზოგადოებრივ ბრძოლაში თვალსაჩინო გახდა. ამა ქვეყნის ბატონებად „მესაკუთრენი" გახდნენ და ქალიც, საკუთრებას მოკლებული და ეკონომიურად დამონებული, იმავ მესაკუთრის კუთვნილებად შეიქმნა. ასე მოხდა საზოგადოების მაღალ სარფულებში, ხოლო მუშათა წრეებში კაპიტალის გავლენა ოჯახსა და ქალის ბედზე უფრო ძლიერი იყო. ქარხნის სახით მან დაარღვია ოჯახი და ქმარიც და ცოლიც ცალ-ცალკე დაისაკუთრა".[2]

არჩ. ჯორჯაძემ თანამედროვეთაგან განსხვავებით კარგად დაინახა კლასობრივ საზოგადოებაში დასმული საკითხების მოწესრიგების შეუძლებლობა და შენიშნა, რომ სამართლებრივ სახელმწიფოს და საზოგადოებას შეუძლია გარკვეული თავისუფლება მიანიჭოს არა მარტო ქალს, არამედ, საერთოდ, ადამიანს. „ეს არის ის ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა თანამედროვე ფემინიზმი, სოციალისტურ სისტემის ის მოძღვრება, რომელსაც ქალთა საკითხის გადაწყვეტა სოციალურ საკითხის გადაწყვეტასთან აქვს დაკავშირებული. და ამიტომ, ეჭვს გარეშეა, რომ ფემინიზმსა დ სოციალიზმსაც[3] იმდენად აქვთ მნიშვნელობა, რამდენადაც ისინი მოახერხებენ და გააუქმებენ იმ უფლებრივ და ეკონომიურ უთანასწორობას, რომელიც დღევანდელ ოჯახის და საზოგადო ცხოვრების დამახასიათებელ თვისებად ჩაითვლება".[4]

უნდა აღინიშნოს, რომ არჩ. ჯორჯაძე მონათმფლობელური, ფეოდალური და კაპიტალისტური ცხოვრების წესთან შედარებით სოცია-

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მესამე, 1911 წ. გვ. 117-118

[2] იქვე, 118

[3] არჩილ ჯორჯაძეს, როგორც სოციალიზმ-ფედერალიზმის ლიდერს, სხვაგვარად წარმოედგინა სოციალიზმის იდეების განხორციელება, ვიდრე ეს პრაქტიკულად მოხდა ჩვენს სანამდელებში.

[4] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მესამე, 1911 წ. გვ. 118

ლიზმის პირობებში საქორწინო და საოჯახო ურთიერთობაში პროგრესს ხედავს, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ იძლევა თანამედროვე ეგალიტალური ოჯახის მოდელს, თუმცა კი აუცილებლად მიაჩნია ოჯახის არსებული ფორმის გაუმჯობესება. „მონოგამიური ოჯახი საუცხოოდ ეგუება კერძო საკუთრების პრინციპებზე დამყარებულ თანამედროვე სოციალურ წყობილებას და რამდენადაც სამართლიანი და მართებული ბრძოლაა ამ წყობილების წინააღმდეგ სოციალურ ასპარეზზე, იმდენად მართებულია იგივე ბრძოლა ოჯახური ფორმების გაუმჯობესებისათვის“,[1] მაგრამ ავტორი ქალის მთლიანად განთავისუფლებაზე ეჭვს გამოთქვამს: „ამ მხრივ მოსალოდნელია ნაწილობრივ გაუმჯობესება ქალის მდგომარეობისა. ვამბობთ, ნაწილობრივი, რადგან თვით კომუნისტური წესიც კი ვერ დასძლევს ყველა იმ დაბრკოლებათ, რომელთ შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი“.[2] სხვა მომენტებთან ერთად, პირველ დაბრკოლებად არჩ. ჯორჯაძე თვლის სქესობრივ განსხვავებას. „თუ დაჰკვირვებიხართ მტკიცე ხასიათის მქონე ქალის პიროვნებას, შეამჩნევდით, „ქალის სიმტკიცე“ კაცის სიმტკიცეს არა ჰგავს, რატომ? იმიტომ, რომ ქალსა და ვაჟს შორის ღრმა სქესობრივი განსხვავებაა. მაშინ, როდესაც ქალის სიმტკიცე, გაბედულება, პირდაპირობა და შეუპოვრობა მსხვერპლად ეწირება სხვა ძალას, უფრო მტკიცეს და უფრო დიადს, როდესაც ქალს თავისი „ძალა“ იმიტომ უნდა, რომ ამ „ძალით“ სხვა გააძლიეროს უფრო მეტად, როდესაც ხედავთ, რომ მტკიცენი და მაგარნიც ისეთისავე თავგანწირულობით აძლევენ თავს მამაკაცს, რომელიც მათ უყვართ და რომ ეს მამაკაცნი ეუფლებიან ქალს, რომელიც მათ უყვართ, ადვილად გასაგები ხდება, რომ თავი და თავი პრობლემა სქესთა ურთიერთობისა ამ მორჩილება-მფლობელობის თვისების გამორკვევაშია“.[3]

სტატიას „ქალის სევდა“ იმთავითვე გამოეხმაურა ქართველი ინტელიგენცია. „არჩილ ჯორჯაძე პუბლიცისტის სახელით დარჩება ჩვენს ისტორიაში,—წერდა გრ. რობაქიძე,—ამაში ვხედავ მე ბედის უკეღმართობას: იგი სრულიად არ იყო დაბადებული (არც მოწოდებული) პუბლიცისტიკისათვის. მისი ხვედრი სხვა იყო: ძიებანი ესთეტიურნი და ლიტერატურულნი. დააკვირდით: ყველა მის წერილებს „ქალთა საკითხი“ სჯობს, საცა პუბლიცისტიკის ნასახიც არ არის. ამ წერილში ყველაზე უფრო გამოისახა მისი მწერლობითი პროფილი“.[4] მიუხედა-

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მესამე, 1911 წ. გვ. 135

[2] იქვე

[3] იქვე, გვ. 115

[4] გრ. რობაქიძე, არჩილ ჯორჯაძე (მოგონებანი, ხუთი წლისთავი მიცვალებიდან), გაზ. „საქართველო“, 1918. 21. III 62

ვად აღნიშნულისა, არჩილ ჯორჯაძეს არ შეეძლო პრობლემის ბოლომდე ახსნა, იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური პირობების გამო, და არ შეეძლო ეჩვენებინა თანამედროვე ოჯახი, რომელიც იქმნება სიყვარულის, პირადი არჩევანის ნიადაგზე და ემყარება მეგობრობას, ურთიერთგაგებას, რომლის განხორციელების საფუძველს წარმოადგენს ქალისა და მამაკაცის სრული და ყოველმხრივი თანასწორუფლებიანობა, რაც გამოხატულებას პოულობს მატერიალურ და სულიერ სფეროებში. პრაქტიკამ დაადასტურა ამ თვალსაზრისის ცხოველმყოფელი ძალა, ქალისა და კაცის თანასწორობა, ურთიერთსიყვარული და ურთიერთპატივისცემა ჩვენი ცხოვრების დამახასიათებელ მხარედ იქცა.

ოჯახი საზოგადოების სოციალური უჯრედია, ამიტომაც იგი სახელმწიფოსა და მთელი საზოგადოების ინტერესების სფეროს წარმოადგენს, თითოეულ ოჯახის სიმტკიცეზე ბევრადაა დამოკიდებული საზოგადოების სიწმინდე, სახელმწიფოს სიძლიერე და მომავალი თაობის სიჯანსაღე.

სამწუხაროდ, არცთუ იშვიათია ნაადრევი, მოუფიქრებელი, შემთხვევითი ქორწინების შემთხვევები, რაც იწვევს ოჯახების მალე დანგრევას, ოჯახის დანგრევა და განქორწინება კი გავლენას ახდენს როგორც განქორწინებულ მხარეთა მორალურ მდგომარეობაზე, ასევე—ბავშვების აღზრდაზე.

გიორგი დეკანოზიშვილი
(1868–1910)

ისტორია ყოველთვის მოვლენათა სამართლიან შეფასებას მოითხოვს, როდესაც იგი მახინჯდება, არაობიექტურად იწერება, უკვე ისტორია აღარაა, რადგან დამახინჯებული ეპოქა არარეალურია და თავისთავად ისტორიულ კანონზომიერებაში აღარ თავსდება. სამწუხაროდ, კაცობრიობამ არაერთი სახეშეცვლილი ფაქტი თუ პერიოდი იცის, არც ჩვენ ჩამოვრჩით „მახინჯი" ისტორიის წერაში და თითქმის მთელი საუკუნე ისე „ჩავაბნელეთ", რომ დღემდე მასში რეალურად შეხედვა და მოვლენათა სწორი შეფასება არ ხერხდებოდა (თუმცა, რაც უნდა ამახინჯო ისტორია, ოდესმე სიმართლე მაინც ითქმება). სწორედ ამ სიბნელეში ჩაიკარგა ნამდვილი ისტორია და მასთან ერთად მრავალ ქართველ თუ არაქართველ საზოგადო მოღვაწეთა მთელი პლეადა. ამასთანაეე ძალიან მკრთალად და ცალმხრივად შუქდებოდა მე-19 ს-ის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის იმ ქართველ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა საქმიანობა, ვინც ბოლომდე არ იზიარებდა მარქსიზმის თეორიას. მათ შორის იყო ინჟინერი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი დეკანოზიშვილი. თუმცა უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნდა რამდენიმე წერილი,[1] პრესაში გამოითქვა კრიტიკული შენიშვნებიც იმის თაობაზე, რომ ქართველი ხალხი მის დამსახურებას საფუძვლიანად არ იცნობს, რაც ჭეშმარიტებას არაა მოკლებული. ჩვენი წერილის მიზანიც ის გახლავთ, ნაწილობრივ მაინც გაშუქდეს გიორგი დეკანოზიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, რადგან მას საზღვარგარეთ უკეთ იცნობენ, ვიდრე სამშობლოში.

გიორგი გაბრიელის ძე დეკანოზიშვილი დაიბადა 1868 წლის აგვისტოში ქალაქ სარატოვში,[2] რადგან მამამისი სამხედრო სამსახურში იყო (მაიორის ჩინით) და მისი ნაწილი, იმ დროს სარატოვში იდგა.

---

[1] აღსანიშნავია ა. მუჯირის სტატია ჟურნალ „მნათობში", 1988 წ. №12-ში, რომელიც გამოქვეყნდა გ. დეკანოზიშვილის დაბადების 120 წლისთავისათვის

[2] გ. დეკანოზიშვილის დაბადების ადგილად სხვადასხვა წყაროში სახელდება ქ. სარატოვი და ქ. პეტროვსკი (დაწ. იხ. „სახ. გაზ". 1910 წ. №154, 10 ნოემბერი, ა. მუჯირი, „მნათობი", 1988 წ. №12)

გიორგის მამა გაბრიელი (აზნაურიშვილი) წარმოშობით იყო ზემო ქართლის სოფ. რუისიდან. პატარა გიორგი შეიყვანეს თბილისის რეალურ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მიემგზავრება ქ. მოსკოვში, სადაც ერთხანს სამხედრო საქმეს ეუფლებოდა, მაგრამ საკავალერიო სკოლაში ვერ შეეგუა დესპოტურ რეჟიმს და შემდეგ სწავლა უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში განაგრძო, რომელიც არ დაუსრულებია, რადგან პეტერბურგის სამთამადნო ინსტიტუტში გადაიყვანა.

იქ მან დააარსა ქართველ და სომეხ სტუდენტთა კავშირი, რომელმაც გამოსცა და გაავრცელა რამდენიმე სალიტერატურო კრებული... თავისი ერის სიყვარულით გატაცებული გ. დეკანოზიშვილი ცდილობდა, ხალხისათვის მიეწოდებინა ადვილად საკითხავი და იაფფასიანი წიგნები მშობლიურ ენაზე.[1]

პეტერბურგის სამთამადნო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამშობლოში ბრუნდება ინჟინრის დიპლომით და აქტიურად ებმება საქველმოქმედო საზოგადოებების საქმიანობაში. ერთხანს ქართლში გაჩენილი ავადმყოფობის (ხოლერის) წინააღმდეგ მებრძოლ რაზმებში მონაწილეობდა, საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად იბრძოდა სხვების გადასარჩენად (თვითონ დაავადდა ხოლერით და გადარჩა ღვთისა და მეგობრების წყალობით—გ. ლ.), შემდეგ მუშაობა დაიწყო ჭიათურის შავი ქვის მოპოვების საწარმოში.

ჭიათურის მრეწველთა ძირითად მასას ქართველი თავადაზნაურობისა და გლეხთა წრიდან გამოსული საქმოსნები შეადგენდნენ, ხოლო მადნის შემსყიდველები, ექსპორტიორები კი უმთავრესად უცხოელები იყვნენ... ისინი ქართველი მრეწველებისაგან ჩალის ფასად იძენდნენ ურთულეს პირობებში მოპოვებულ მადანს, შემდეგ კი სპეკულანტურ ფასებში ყიდდნენ და მდიდრდებოდნენ... გამკითხავი არავინ იყო. ადგილობრივმა ქართველმა წვრილმა და საშუალო მრეწველებმა არც უცხო ენა იცოდნენ, არც კაპიტალი გააჩნდათ და ვერც უცხოეთის საბაზრო ფასებში ერკვეოდნენ, რითაც ისევ უცხოეთის ფირმები სარგებლობდნენ და ჯიბეებს ისქელებდნენ.

კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მუშები და გლეხები—სამუშაო დღის უმაგალითო ხანგრძლივობა, დაბალი ხელფასი, არაადამიანური საყოფაცხოვრებო პირობები... ვინც ახლომახლო სოფლებში ცხოვრობდა, ღამეს სახლში ათევდა, მაგრამ დაქირავებული

---

[1] თ. სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, 1984 წელი, გვ. 164-173

მუშების უმრავლესობას ნესტიან გვირაბებში ღამის გატარება უხდებოდა. უსაფრთხოების ტექნიკის დაცვაზე არავინ ფიქრობდა, ამის გამო ხშირი იყო უბედური შემთხვევები... ჭიათურაში არ ჰქონდათ არც ერთი სკოლა, სამაგიეროდ ბევრი იყო ბნელი და ნესტიანი სამიკიტნო, სადაც მუშები უკანასკნელ გროშებს ტოვებდნენ, რომ, თუნდაც დროებით, ალკოჰოლში ჩაეხრჩოთ თავიანთი დუხჭირი ცხოვრების მოგონება, ლოთობა და ჩხუბი ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა.[1] როგორც სამთო ინჟინერი და სპეციალისტი, გ. დეკანოზიშვილი სამუშაოდ მიიწვია შავი ქვის მრეწველმა ნიკო ღოღობერიძემ ჭიათურის შავი ქვის მადნეულის გამგედ. წარმოების რეზიდენცია შორაპნის მაზრის დაბა ზესტაფონში იყო მოთავსებული. გ. დეკანოზიშვილს ჭიათურაში ხშირად უხდებოდა ყოფნა და მოსახლეობაში დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა. მის მიერ წარმოებაში დანერგილმა ახალმა მეთოდებმა საწარმოოს დიდი მოგება მისცა. ჭიათურაში მას იცნობდნენ, როგორც განსაკუთრებული ბუნების ადამიანს, თავმდაბალს, გულკეთილსა და გაჭირვებულთა ყოველი საშუალებით დამხმარეს. მისი და სხვათა ინიციატივით 1894 წელს ჭიათურაში დაარსდა სასწავლებელი, გაზ. „ივერიამ“ გამოაქვეყნა გ. დეკანოზიშვილის ინფორმაცია სათაურით „შავი ქვის მრეწველობის შეწირულებით დაარსებული ერთკლასიანი სასწავლებელი, მისი გაფართოების საჭიროება“.[2]

იგი ისედაც მცირე ხელფასის ნახევარს პეტერბურგში მყოფ ქართველ სტუდენტებს უგზავნიდა. მისი ჭიათურაში მოღვაწეობის შესახებ ნათელ სურათს იძლევა მღვდელ ბესარიონ ვაშაძის მოგონება. „გიორგი ჭიათურლებმა გავიცანით 1893 წლის ზაფხულზე, როდესაც იგი, როგორც სამთო ინჟინერი, ღოღობერიძის შავი–ქვის სამადნო მამულების მართვასა და წარმოებას შეუდგა...

გიორგი თუმცა 3-4 წელიწადზე მეტი არ დარჩენილა ჭიათურაში, მაგრამ ამ მოკლე ხანშიაც დიდი სახელი და სიმპატია მოიხვეჭა ჭიათურის საზოგადოებაში, რადგანაც მან არა მცირედი შრომა დასდო ჩვენი დაბის კეთილდღეობას. მის მოსვლამდის ჭიათურაში სხვა ინჟინერი არ ყოფილა, არც იყო მანამდის წესიერი შავი-ქვის წარმოება. გიორგი პირველი ინჟინერი იყო ჭიათურაში, რომელმაც წესიერად და ტექნიკურად გამოაწყო არა მარტო ნ. ღოღობერიძის სამრეწველო, ამასთან თავისუფალ დროს დანარჩენ მწარმოებლებსაც დიდ შემწეობასა და ღახმარებას უწევდა შავი ქვის დამუშავებაში რჩევა-დარიგებით თუ გეგმების აღებითა და სხვა.

---

[1] დ. კაკაბაძე, გიორგი ბაიაშელი, 1969 წელი, გვ. 84-85

[2] გაზეთი „ივერია“, 1894 წელი, 17. 09. №197, გვ. 3

1893 წლის ზაფხულს ჭიათურაში ხოლერამ იჩინა თავი და მთლად ჭუსრი გაავლო ხალხს, განსაკუთრებით იხოცებოდა მომუშავე ხალხი. ამ დროს, შიშის გამო, ინტელიგენტების უმეტესი ნაწილი მოშორდა ჭიათურას, მხოლოდ გიორგი არ მოშორებია... თავგანწირვით ებრძოდა შეუბრალებელს, საშიშარს ეპიდემიას. ბევრი გადაარჩინა ხოლერის კლანჭებს ამ ერთგულმა საზოგადო მუშაკმა.

გიორგის მოსვლამდის ჭიათურაში სკოლაც არ იყო. 1894 წლის შემოდგომაზედ გიორგიმ შეადგინა ინტელიგენტთა ჯგუფი, აიღო ნებართვა სასულიერო ხელისუფლებისაგან, დაიქირავა სკოლისათვის შესაფერი შენობა, შეიძინა სასკოლო ავეჯი, მოიწვია მასწავლებელი და თავის ინიციატორობითა და მზრუნველობით გახსნა ჭიათურაში მშვენიერი ერთკლასიანი სამრევლო სკოლა სამი წლის კურსით.

გიორგის მოსვლამდის არც თეატრი იყო ჭიათურაში. 1895 წელს ითავა თეატრის გახსნა, დაიქირავა სახლი, შეკრიბა სცენის მოყვარულები, მოაწყო სცენა და გამართა წარმოდგენები, სადაც დამსწრე საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, პირველი წარმოდგენის დროს ახალგახსნილ თეატრში გიორგიმ სიტყვა წარმოსთქვა, აუხსნა ხალხს, თუ რა მნიშვნელობა აქვს თეატრს ადამიანის ცხოვრებაში.

1896 წელს გიორგისვე თაოსნობით გაიხსნა ჭიათურაში სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სადაც წერა-კითხვის მცოდნე პირები სარგებლობდნენ წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით. 1896 წელს სამუდამოდ დასტოვა ჭიათურა და ბაქოში გადავიდა. ჭიათურიდან წასვლის დროს ჭიათურის საზოგადოებამ ნიშნად პატივისცემისა და სიყვარულისა საზოგადო სადილი გაუმართა თავის საყვარელ მოღვაწეს და მრავალი საგრძნობიერო გამოსათხოვარი სიტყვაც უთხრეს".

1895 წელს გიორგი დეკანოზიშვილის თაოსნობით საფუძველი ეყრება ავჭალაში თეატრის ჩამოყალიბებას. ასევე აქტიურად თანამშრომლობს ჟურნალ „ივერიაში" გიორგი ლასხიშვილთან ერთად, რომელიც ეგონებდა... „ჩვენ მაშინვე შევუდექით „ივერიის" განახლებისათვის ზრუნვას... ტფილისში ვთხოვეთ დახმარება ზოგიერთებს, სხვათაშორის, ახალგაზრდა ინჟინერს გიორგი დეკანოზიშვილს".

1896 წლიდან 1897 წლამდე გ. დეკანოზიშვილი მუშაობს ქ. ბაქოში, ნობელის ნავთის წარმოებაში, საიდანაც საზღვარგარეთ მიემგზავრება ცოდნის გასაღრმავებლად. სამი წლის განმავლობაში იმოგზაურა იტალიაში, ინგლისში, გერმანიასა და საფრანგეთში, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აქტიურ პრაქტიკულ მონაწილეობას იღებს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში,

რომლის გამგეობის წევრიც იგი იყო. გარდა ამისა, გაზ. „ცნობის ფურცელი“ 1901 წ. 22 სექტემბერს იტყობინებოდა ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის ხაზინადრად გ. დეკანოზიშვილის არჩევას.

1900 წლიდან იწყებს არსებობას სოციალ-ფედერალისტების ჯგუფი, გიორგი დეკანოზიშვილი არათუ იზიარებდა მათ შეხედულებებს, არამედ ახლად შექმნილი ორგანიზაციის აქტიური წევრი და მათი ბეჭდვითი ორგანოს „ცნობის ფურცლის“ გამოცემის ერთ-ერთი ორგანიზატორიც იყო.

1901 წლის ბოლოს გ. დეკანოზიშვილს შავი ქვის მრეწველთა ყრილობის საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობდა გიორგი მაიაშვილი (ზდანოვიჩი) აგზავნის საზღვარგარეთ, კერძოდ, ბრაზილიაში, იქაური შავი ქვისა და ბაზრის შესასწავლად. გ. დეკანოზიშვილმა ბრაზილიიდან საინტერესო მასალები ჩამოიტანა, რის შესახებაც რუსულ ენაზე გამოაქვეყნა შრომა.

1901 წელს, არალეგალურ შეკრებაზე, ფარული კენჭისყრით აირჩიეს სოციალ-ფედერალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა... არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი, გიორგი ლასხიშვილი, ვლადიმერ ლორთქიფანიძე და ანდრო დეკანოზიშვილი:. ამასთანავე გადაწყდა, ევროპაში დაეარსებინათ საკუთარი გაზეთი, სადაც თავისუფლად ჩამოაყალიბებდნენ თავიანთ სამოქმედო პროგრამას. გიორგი ლასხიშვილი თავის მემუარებში წერდა: „1901 წლის შემოდგომაზე ჩვენი წრე შეუდგა საქმისათვის საჭირო თანხის შეგროვებას, ავირჩიეთ სამი კაცი: არჩ. ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი და ეკტეხი მამინაიშვილი, რომლებსაც დაევალათ ფულის შეკრების ორგანიზაცია.“ საჭირო თანხების შეგროვებაში მათ აქტიური დახმარება გაუწიეს ქართველმა ქალბატონებმა: მარიამ დემურიამ, ოლღა ღოლობერიძემ და ნინო ნაკაშიძემ.

1902 წლის გაზაფხულზე გიორგი დეკანოზიშვილი, როგორც ენერგიული ორგანიზატორი და დახელოვნებული პრაქტიკული მოღვაწე, არჩილ ჯორჯაძე თეორეტიკოსი და ორგანოს იდეური ხელმძღვანელი, ასოთამწყობი მიხეილ კიკნაძე, მაღალი დონის პროფესიონალი, საფრანგეთში გაემგზავრნენ და ბინა პარიზში დაიდეს. მათ მოახერხეს ქართული ასოების ჩამოსხმა, რომელსაც წყაროებში პირობეითად „პარიზულს“ უწოდებენ. აქტიური და დიდი შრომის ფასად 1903 წლის მაისში უკვე გამოვიდა გაზეთი „საქართველო“, რომელსაც ახლდა ფრანგული გამოცემაც (ლა ჟეორჟი). სტამბა მოთავსებული იყო მონმარტრის ბულვარზე. გაზეთს მფარველობას უწევდა ფრანგული გაზე-

თის „აკსიონ“-ის რედაქტორი ალელმანი. გაზეთის საშუალებით უკვე დაიწყო ლაპარაკი საქართველოზე, ქართველ ხალხზე, ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ევროპულ პრესაში ჩვენი ქვეყანა გამოჩნდა და მის პოლიტიკურ უფლებებზე ხმა გაისმა.

„გიორგიმ კავშირი გააბა რუსის უღლის ქვეშ მყოფ სხვა დაჩაგრულ ერთა წარმომადგენლებთან და შეეცადა, მათთან ერთად ეროვნული ბრძოლისათვის საერთო ფრონტი შეექმნა. უსახსრობის გამო ხშირად ჩვენი მოქმედება უცხოეთში საფრთხეს განიცდიდა, მაგრამ გიორგიმ ყოველთვის იხსნა ხოლმე მდგომარეობა. გიორგის კისრად აწვა მრავალი და მძიმე საქმიანობა: გაზეთის თანამშრომლობა და მისი გამოცემა, მისი ფარულად საქართველოში გაგზავნა, წამღების მონახვა და დარწმუნება, უცხოელებთან დაკავშირება, მიწერ-მოწერა, გაჭირვებულ თანამემამულეთა მეპატრონეობა და სხვა“.[1] გიორგი ლასხიშვილი თავის მემუარებში აღნიშნავდა, დიდის გაჭირვებით და მეცადინეობით მოახერხეს გიორგი დეკანოზიშვილმა და თედო სახოკიამ „საქართველოს“ პირველი ნომრის ჩვენში გამოგზავნაო.

გაზეთ „საქართველოს“ პირველსავე ნომერში დაიბეჭდა რედაქციის ღია წერილი „რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა მიმართ“, სადაც ვკითხულობთ: „ჩვენი სურვილი დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღდგენა არ არის, ნათლად და აშკარად ვამბობთ, ჩვენ პოლიტიკური სეპარატიზმის მომხრენი არა ვართ. ჩვენი წადილი და მისწრაფება—განსაკუთრებული, საქართველოს პირობებთან შესაფერი კონსტიტუციის მოპოვებაა. ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკურ ორგანიზმის ჩარჩოებში, მხოლოდ დამოუკიდებელნი, ერთი სიტყვით, ჩვენ გვსურს ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ“.[2] სოციალ-ფედერალისტებმა საქართველოს ეროვნული ავტონომიის საკითხი დაუკავშირეს რუსეთის სახელმწიფოს დეცენტრალიზაციის პრობლემას და თავისი იდეების ერთგულნი დარჩნენ. გაზეთი 1903-1905 წლებში გამოდიოდა და ბოლო ნომრებს თვითონ გ. დეკანოზიშვილი რედაქტორობდა.

1905 წლის ზაფხულისათვის მან ბრწყინვალედ დააგვირგვინა 1904 წლის ზაფხულში დაწყებული ფულისა და იარაღს შოვნის საქმე. ამის თქმა ადვილია... მაგრამ კარგად გასინჯეთ და დაუკვირდით მთელ იმ საქმის ორგანიზაციას, დასრულებას და დარწმუნდებით, რომ გიორგიმ პირდაპირ ზღაპრული ენერგია და ძალა გამოიჩინა, ის თითქმის მარტოდმარტო იყო. არც დამხმარე თავისიანი ხალხი, არც ფული, ვიმეორებ, მხოლოდ იმის საოცარ ენერგიას და ორგანიზაციულ ნიჭს შეეძლო

---

[1] ჟურნალი „კავკასიონი“, პარიზი, 1965 წელი, №10

[2] გაზეთი „საქართველო“, 1903 წელი, მაისი, №1

ამ მეტად მძიმე საქმის ასრულება,—წერს მარკოზ ტუღუში ჟურნალ „კავკასიონში“, რომელიც პარიზში გამოდიოდა. ლაპარაკია გიორგი დეკანოზიშვილის მიერ ამსტერდამში 597 ტონიანი გემის „სირიუსის“ შესყიდვაზე, რომელსაც ემსახურებოდა 19 კაციანი ეკიპაჟი (დაუჯდა 3. 725 გირვანქა სტერლინგი). აღნიშნული გემით გ. დეკანოზიშვილმა გამოაგზავნა და ფოთის ნავსადგურში შემოვიდა 1905 წლის 22 ივლისს ევგენო პოს მეშვეობით შვეიცარიის სამხედრო დეპარტამენტიდან შეძენილი 7.000 თოფი და 1.100.000 საბრძოლო ვაზნა. ეს იყო სოციალ-ფედერალისტური პარტიის ინიციატივით მოწყობილი საქმე. გ. დეკანოზიშვილს დახმარებას უწევდნენ თედო სახოკია, პ. ყიფიანი. გ. სიხარულიძე და ი. ბოღაშვილი.

1904 წლის მარტში გიორგის წყალობით გამოქვეყნდა ევროპულ პრესაში მოწოდება საქართველოს უფლებათა შესახებ, სადაც მოხდენილად იყო განმარტებული, თუ რატომ ვიბრძოდით ჩვენ...[1]

გიორგი დეკანოზიშვილი საფრანგეთში დაუახლოვდა ცნობილ მოღვაწეებს, ესენი იყვნენ ფ. დე პრესანსე, სებასტიონ ფორი, ჟ. გრავი, ე. პუჟე, ჟ. ალელმანი, ჟ. გიიო, დომელა ნიუვენჰოზი, ე. რუბანოვიჩი, ი. რეინაში, კონ ზილიაკური, კამილ ჰოისმანი და სხვები, რომელთა დახმარებითა და თანადგომით საქართველოსათვის ბევრი სასარგებლო საქმე გაკეთდა.

1906 წლის ივლისში გ. დეკანოზიშვილი ავად გახდა და იძულებული შეიქნა, დროებით შეეწყვიტა მოღვაწეობა. მკურნალობდა ქ. ლოზანაში, ექიმ ბურჟეს კლინიკაში. 1910 წლის 6 ნოემბერს იგი ტუბერკულოზით გარდაიცვალა. საფრანგეთიდან გიორგი დეკანოზიშვილის ცხედარი თბილისში ჩამოასვენეს და წმინდა ნინოს სასაფლაოზე დაკრძალეს[2].

გ. დეკანოზიშვილის გარდაცვალებამ დაამწუხრა ქართველი ერი, რაზედაც მეტყველებს მაშინდელ პრესაში გამოქვეყნებული მასალები:

„სახალხო გაზეთი“ იუწყებოდა: „ჩვენმა რედაქციამ ქ. პეტერბურგიდან შემდეგი სამძიმარი მიიღო. გულწრფელად ვწუხვართ კარგი ადამიანისა და სასარგებლო საზოგადო მოღვაწის გიორგი დეკანოზიშვილის უდროოდ დაკარგვას.. ევგენი გეგეჭკორი და კარლო ჩხეიძე.“ იგივე გაზეთი წერდა: „რედაქციამ ჭიათურიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „ნაცნობთა და მეგობართა გული დაგვწყვიტა გიორგი გაბრიელის ძის უდროოდ გარდაცვალებამ. დღეს, 11 ნოემბერს, მღვიმის მონასტერში განსვენებულის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადავიხადეთ. ნიკოლოზ ოთხმეზური“.

---

[1] „კავკასიონი“, პარიზი, 1965 წ. №10

[2] დაწ. იხილეთ ა. მუჯირის დასახელებული სტატია

„ნ ნოემბერს საფრანგეთის ქ. კანში ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებულის, სამთო ინჟინრის გიორგი გაბრიელის ძე დეკანოზიშვილის სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება პანაშვიდი ხუთშაბათს, 11 ნოემბერს, წმ. გიორგის ეკლესიაში“.

„სახალხო გაზეთის“ რედაქციამ მიიღო დეპეშა ქ. იურიევის ქართველ სტუდენტთა სახელით, რომელსაც ხელს აწერდნენ: იოსელიანი, არღიშვილი, აგლაძე და პაპავა, სადაც აღნიშნულია: „ცნობილ საზოგადო მოღვაწისა და ქართველ ერისა და კაცობრიობის უკეთეს მომავლისათვის მოწინავე მებრძოლის გიორგი დეკანოზიშვილის უდროოდ გარდაცვალებამ უზომოდ დაგვამწუხრა და გულიდან კვნესა ერთხმად აღმოგვხდა. ჩვენ, მგლოვიარეთ, გვანუგეშებსღა, რომ გიორგის მაგალითი არა ერთსა და ორს ჩვენგანს ძალას მისცემს, დარაჯად დაუდგეს საყვარელ მოღვაწის აღთქმას, რათა შეერთებულის ძალღონით ქართველთა საკეთილდღეოდ განხორციელდეს ის დიდებული საქმე, რომელსაც განსვენებულმა მთლად შესწირა ძალა, ენერგია და საუკეთესო დღენი თავის ხანმოკლე სიცოცხლისა“.

საქართველოს თითქმის ყველა ეკლესიაში გ. დეკანოზიშვილის სულის მოსახსენებლად გაიმართა პანაშვიდები. ფრანგული სოციალისტური გაზეთ „Le Petit Var“-ში დაიბეჭდა წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ „დღეს ნაშუადღევს, 2 საათზე სამოქალაქო წესით გაასვენეს რუსის (ქართველი) რევოლუციონერი დეკანოზიშვილი, რომელიც გუშინწინ გარდაიცვალა ქალ. კანში 42 წლისა.

დეკანოზიშვილი განახლების მოძრაობაში იღებდა მონაწილეობას საქართველოში და ბოლო დროს საფრანგეთში იყო გადმოხვეწილი. კანში სულ ერთი კვირის წინათ ჩამოვიდა, ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოსტაცა მისი თავი მის ძვირფას და ცრემლშეუშრობელ მეუღლეს და ორ პატარა შვილს, რომლებსაც განსვენებული აღმერთებდა.

ეს შეუდრეკელი მებრძოლი უბრალოდ გაასვენეს, მაგრამ ამ უბრალოდ და სადად გასვენებას დიდებულების დაღი მაინც ესვა. ბალდახინს გადაფარებული ჰქონდა წითელი მაუდი თავისუფალი აზრის გამომხატველი, ზევიდან მორთული იყო ყვავილებითა და გვირგვინებით. უკანიდან მიჰყვებოდნენ ქვრივი და განსვენებულის და, რომელთა მწუხარებისა და სასოწარკვეთილების გამოთქმაც შეუძლებელია. მათს უკან კიდევ ფრიალებდა დროშები თავისუფალ მოაზრეთა კანისა, მიუჟენისა, გრასისა, მისდევდნენ დელეგატები სოციალისტურ პარტიებისა კანისა, ვალორისა, ანტიბისა, ქალაქის საბჭოს ხმოსნები და ჩვენი ქალაქის რუსის კოლონიის წევრები.

რეინის გ'ხის სადგურ'ხე სიტყვები წარმოთქვეს სტაველბერგმა, ტეიემ, დენერიმ, ერთმა პოლონელმა მოღვაწემ, ერთმა რუსმა სოციალ-დემოკ-რატმა. განსვენებულის ოჯახის მეგობრებმა მხურვალე მადლობა გადაიხადეს მიცვალებულის გაპატიოსნებისა და ასეთ დიდებული მანიფესტაციის გამართვისათვის."

საინტერესოა გ. დეკანოზიშვილის უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის არჩ. ჯორჯაძის მოგონება, სადაც ნათლად ჩანს ის სათუთი დამოკიდებულება, რაც ამ ორ სასიქადულო მამულიშვილს ერთმანეთის მიმართ ჰქონია.

„ღღეს მე არ ვიწყებ სჯა-ბაასს რომელიმე საზოგადო საკითხის შესახებ. ღღეს მინდა ორიოდე სიტყვა ვუძღვნა ჩემს მეგობარს. შორეულ ქვეყანაში მყავდა ძვირფასი მეგობარი. ახლა იგი ცოცხალი აღარ არის. გამოემშვიდობა წუთისოფელს, ახლა იგი ცივს სამარეშია,—შორეულ ქვეყანაში... ყველას ჰყავს მეგობარი, ყველამ იცის, რა არის ტანჯვა მარტოობაში განცდილი და ჩემი გულისტკივილი მეგობრის დაკარგვის გამო ხამად არავის მოეჩვენება და არავისთვის გაუგებარი არ დარჩება.

არ შემიძლია გამოვამჟღავნო სახელი ჩემი მეგობრისა, არ შემიძლიან საჯაროდ რითიმე პატივი ვცე მის ხსოვნას, მე გულში უნდა ჩავიმარხო ჩემი სევღა, ჩემი სიყვარული, ჩემი აღშფოთება და გულის სიღრმეში უნდა ვატარო ჩემი მწუხარება და ჩემი ტანჯვა—მეგობრობა.

შემიძლია მხოლოდ ვსთქვა, რომ ეს იყო დიდი პიროვნება, დიდი სული სულ პატარა ადამიანის სხეულში მყოფი, ეს იყო ადამიანი, რომლისთვისაც არ არსებობდა პირადი სიცოცხლე, რადგან ყოველივე სხვას მისცა, სხვას გაუზიარა და ეს სხვა იყო მისი ტანჯული სამშობლო.

ამ მხრივ იგი ბედნიერი იყო, რადგან თავის სამშობლოსთან „კრებულად" ყოფნა მის სულს კმაყოფილებას ანიჭებდა და თავის ოცნების ქვეშ სთბებოდა მისი გული, სხვა მხრივ უნუგეშოდ დაობლებული და დაწყლულებული.

ღღეს იგი ცოცხალი აღარ არის, მას აღარ აწუხებს ის აზრი, თუ რატომ დარჩა აქ ობლად და რატომ გახდა მისი სიცოცხლე ეული და ლტოლვილი, ღღეს იგი გაკვირვებული აღარ არის, რომ მას გარშემო გულშემატკივარნი და მეგობარნი არ ახვეეიან. იგი ხომ სხვისთვის ცოცხლობდა და სხვებმა კი არ შეიწყალეს იგი, ღღეს მის გულში არ არის არც ეს გაკვირვება, არც ამისგან გამოწვეული გულისტკივილი, ღღეს იგი მკვდარია, ცივ სამარეშია, შორეულს ქვეყანაში, სადაც

უწყალოდ იტანჯება მისი სული და ხორცი... მშვიდობით, მეგობარო! არჩილ ჯორჯაძე".[1]

ულმობელმა სიკვდილმა ასე ნაადრევად წაიყვანა იმქვეყნად კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი, რომლის დამსახურება ქვეყნის წინაშე თვალსაჩინოა და სათანადო შეფასებას მოითხოვს. გ. დეკანოზიშვილის გარდა ჯერ კიდევ ბევრი პატრიოტი ელოდება მეისტორიეს და შესაფერი ადგილის დამკვიდრებას ერის ისტორიაში.

[1] „სახალხო გაზეთი", 1910 წელი, №164, 10 ნოემბერი

გიორგი ლასხიშვილი
(1866–1931)

XIX საუკუნის დასასრულის და XX საუკუნის დასაწყისის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიის კვლევისას გვერდს ვერ ავუვლით გიორგი ლასხიშვილის პიროვნებას, რომელიც სხვებთან ერთად აქტიურ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. მისი პრაქტიკული და პოლიტიკური მოღვაწეობა საქართველოს დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზების ძიებას უტრიალებდა, როგორც თვითონ აღნიშნავდა.

„მე არასოდეს არ დამვიწყებია, არც შემეძლო დამევიწყა, რომ მე მეფის მთავრობის მიერ დაპყრობილი და დაჩაგრული ქვეყნის შვილი ვიყავი, რომ სწორედ ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, ჩემი ერისა და ქვეყნის განთავისუფლების მიზანი და ამოცანა არ უნდა გამეშვა ყურადღებიდან“.[1]

გ. ლასხიშვილი არ იზიარებდა მარქსისტულ მოძღვრებას, მის საერთაშორისო სოლიდარობისა და კლასთა ბრძოლის თეორიას, ამიტომ მთელი თავისი მოღვაწეობით და მსოფლმხედველობით უპირისპირდებოდა მას.

იგი ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1885 წელს, ოდესაში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად, სადაც იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, მაგრამ, როგორც თვითონ იგონებს, „საუბედუროდ, უნივერსიტეტმა და უმეტესად იურიდიულმა ფაკულტეტმა ვერ გაამართლეს, ბევრი ილუზია მალე დამემსხვრა. ეს გამოწვეული იყო იმ რეჟიმის გამო, რაც 1884 წლის წესდებით იყო დამყარებული ოდესის უნივერსიტეტში“. ქართველ სტუდენტობას იქ საკუთარი სათვისტომო ჰქონდა, შექმნილი, სადაც კითხულობდნენ რეფერატებს. წრეს დიდხანს არ უარსებია, თუმცა იყო მცდელობა მისი პოლიტიკურ ორგანიზაციად გადაკეთებისა. გ. ლასხიშვილი ჯერ უახლოვდება ხალხოსანთა წრეს, შემდეგ მისი წევრი ხდება, შეხედულებებს ეზიარება, თუმცა მთლიანად არ ეთანხმება მათ პოლიტიკურ პროგრამას. მისი აზრით, უნდა მიეღწიათ იმისათვის, რომ რუსეთის ხელისუფლებას თავისსავე შიდა რეგიონებთან სამართლებრივად გაეთანაბრებინა საქართველო.

---

[1] გ. ლასხიშვილი, მემუარები, 1928, გვ. 3

გ. ლასხიშვილის დაკავშირება ხალხოსანთა წრესთან პოლიციისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. 1987 წლის დეკემბრეში იგი სხვებთან ერთად დააპატიმრეს და ოდესის ციხეში ჩასვეს, შემდეგ კი სამშობლოში გამოაძევეს. საქართველოში ჩამოსვლისთანავე დააპატიმრეს და საპყრობილეში ჩასვეს, ხოლო აქედან განთავისუფლების შემდეგ, 1888 წლის ივნისში, კვლავ ქუთაისში დაბრუნდა ნათესავის მარიამ მიქელაძე-ქორქაშვილის სახლში. აქ კვლავ აგრძელებს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. გ. ლასხიშვილმა სათავადაზნაურო ბანკში „შემფასებლის" თანამდებობაზე დაიწყო მუშაობა კონკურსის წესით. მას არ აპატიეს მთავრობის საწინააღმეგო გამოსვლებში მონაწილეობა, ისევ დააპატიმრეს და ციმბირის შორეულ კუთხეში—უსტკამენგორსკში გადაასახლეს.

ციმბირში ყოფნის პერიოდში გ. ლასხიშვილი აქვეყნებს წერილს გ. პლეხანოვის წიგნზე „ჩვენი უთანხმოებანი" (наша разноглося), რომელიც რევოლუციის მოთავედ პროლეტარიატს აღიარებდა. ხალხოსნები უპირატესობას გლეხობას ანიჭებდნენ, რადგანაც, მათი აზრით, ყველაზე მრავალრიცხოვანი ჩაგრული კლასი სწორედ გლეხობა იყო და ისინი იმთავითვე დაუპირისპირდნენ პლეხანოვის ამ იდეას.[1] გ. ლასხიშვილს ხალხოსნებთან კიდევ ჰქონდა ერთი შეუთავსებელი პრობლემა. ეს იყო ეროვნული საკითხი, რომელიც გახდა მიზეზი მისი ჩამოცილებისა ხალხოსნური მოძრაობისაგან. იგი ახალი მსოფლმხედველობის, ახალი მრწამსის და მიმართულებების შემუშავებას[2] შეუდგა. ამ პერიოდში ძირითადად ორი პოლიტიკური მოძრაობა იყო გამოკვეთილი საქართველოში—ე.წ. მოწინავე ინტელიგენცია, თავადაზნაურობის წრიდან გამოსული, რომლებსაც ჩინებულად ჰქონდა შეგნებული, რომ მამულს „ახალი", „სხვანაირი" სამსახური ესაჭიროებოდა, რომ თავადაზნაურობა ძველის უკან გამოკიდებით თავს ვერ გადაირჩენს, რომ საჭიროა დროისათვის ალღოს აღება და ახალ პირობებთან შეგუება, ხოლო თვით თავადაზნაურობა, მაშინ შეასრულებს თავის „მაღალ დანიშნულებას და მოწოდებას", როდესაც „ამ ახალ გზას" დაადგება ამ წრეში, ამ ბანაკში ცნობილი მოღვაწე და მწერალი ილია ჭავჭავაძე...

პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსული „მესამე დასი", რომელიც წარმოადგენდა რუსეთში ლეგალიზებული მარქსისტული მოძღვრების მიმდევართა წრეს, გ. ლასხიშვილისათვის მიუღებელი იყო, ამიტომაც არჩევანი არ გასჭირვებია. მან თხოვნით მიმართა ილია ჭავჭავაძეს და

---

[1] გ. ლასხიშვილი, მემუარები, 1934, გვ. 7

[2] იქვე, გვ. 8

იგი „ივერიის“ თანამშრომელი გახდა, თუმცა მისი მსოფლმხედველობა მთლიანად არ ემთხვეოდა ი. ჭავჭავაძის შეხედულებებს.

„გ. ლასხიშვილს სწამდა, რომ მისი „ეროვნული იდეალების“ (ქართველი ხალხის განთავისუფლება) განხორციელება შეიძლება არა რევოლუციური მოძრაობისათვის წინააღმდეგობის გაწევით და რევოლუციასთან ბრძოლით, არამედ რევოლუციური მოძრაობის უკან გაყოლით, რევოლუციური მოძრაობის ბანაკში მოქცევით“...

მისი პოზიცია მიზეზი გახდა „ივერიიდან“ წასვლისა და მან „ერთხელ კიდევ შეათვალიერა თავისი ძველი პოლიტიკური სამოსელის ნაფლეთები, სახარბიელო იქ ვერაფერი იპოვა. არც ის მართლმადიდებელი ხალხსნობა, არც მისი ესერულად შეცვლილი სახე ლასხიშვილს გულს ვერ უხარებდა“,[1] ამიტომ რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად დაიწყო ფიქრი ახალი პოლიტიკური პარტიის შესაქმნელად, რომლის მთავარი და უმთავრესი გადასაწყვეტი საკითხი ეროვნული წესდება იქნებოდა. „ასე და ამგვარად შეიქმნა და შეუდგა არსებობას ეგრეთწოდებული „ქართული სარევოლუციო პარტია სოციალისტ-ფედერალისტებისა“,[2] რომლის შექმნასა და ჩამოყალიბებას თითქმის ორი წელი მოანდომეს არჩ. ჯორჯაძემ, გ. ლასხიშვილმა, გ. დეკანოზიშვილმა, ვლ. ლორთქიფანიძემ, ანდრია დეკანოზიშვილმა.

როგორც უკვე მიუთითებდით, ოთხმოცდაათიან წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ახალი ჯგუფი, ე. წ. „მესამე დასელები“. რომლებმაც „აითვალწუნეს საზოგადო მოღვაწენი და მწერლები, ვინც მათ სოციალურ-პოლიტიკურ აზროვნებას არ თანაუგრძნობდა. ამ გარემოებაში გასაკვირი არაფერია. ჯგუფებსა და მიმართულებათა შორის იდეური შეტაკება და ბრძოლა ჩვეულებრივი საქმეა. მაგრამ, „საუბედუროდ, ამ შეტაკებას ყოველთვის არ ჰქონდა იდეური ხასიათი და მსხვერპლად მიდგომილ და უსამართლო კრიტიკის და დაფასების ობიექტად გახდა იმ ხანებში გ. მაიაშვილიც“.[3]

როგორც ვიცით, თავის დროზე არჩილ ჯორჯაძემ ამგვარი არაობიექტურობისათვის ნ. ჟორდანია გააკრიტიკა ილია ჭავჭავაძესთან დაკავშირებით. ამრიგად, ჩვენი მწერლობისადმი ნ. ჟორდანიას ნიჰილისტური და სუბიექტური დამოკიდებულების გამომჟღავნებას არჩილ ჯორჯაძე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს. თავის ამ შეხედულებას კონკრეტული ფაქტებიც ნათელყოფს და აშკარად ხდის ამ წინააღმდეგობებს, რომლებსაც შეიცავდა გ. მაიაშვილის ჟორ-

---

[1] გ. ლასხიშეილი, მემუარები გვ 9

[2] იქვე

[3] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 35-36

დანიასეული შეფასება,[1] საბოლოდ კი დაასკვნის: „მოუფიქრებელი და შემცდარი ნაბიჯით დაიწყო მოქმედება იმ ჯგუფმა, რომელსაც მოეთხოვებოდა მეტი აზრი, მეტი ჰუმანური გრძნობა, მეტი გამჭრიახობა და მეტი გულახდილობა, რადგან მას ჰქონდა პროლეტარიატის წარმომადგენლობის ამბიციები. და ამ გარემოებამ პირველ ხანებშივე დაჩრდილა და დაამდაბლა ახალი, სამართლიანი და ჭეშმარიტი მისწრაფებანი და მიდრეკილებანი იმ ჯგუფისა, რომელსაც ჩვენ სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში შესამჩნევი სამოქმედო ასპარეზი ჰქონდა მიზომილი".[2]

როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძე გარკვევით ხედავდა, რომ მესამე დასელებს ჰქონდათ „ახალი მისწრაფებანი", რაშიც, უდავოა, მარქსიზმსა და მისი მიმდევრობას გულისხმობს, მაგრამ მათთვის (ნ. ჟორდანიასა და „მესამე დასელთა" ე. წ. უმრავლესობისათვის) ვერ უპატიებია გამოჩენილ და ამაგდარ ქართველ მოღვაწეთა აბუჩად აგდება და დამცირება. ამ მხრივ კი ის არ ცოდავდა ისტორიული სინამდვილის წინაშე, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი, მაგრამ ამჯერად ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ნ. ჟორდანიას საპირისპიროდ, არჩილ ჯორჯაძე საგანგებოდ დაასკვნის: „გ. მაიაშვილი, „ლალი" (გ. ლასხიშვილი—გ. ლ.) და სხვანი იყვნენ პიონერები იმ სოციალურ-ეროვნული მიმართულებისა რომელმაც მეოცე საუკუნეში ფრთა გაშალა ჩვენს ცხოვრებაში და განსაზღვრული სოციალ-პოლიტიკური პოზიცია დაიჭირა".[3]

ამ შემთხვევაში იგი გულისხმობს სოციალ-ფედერალისტთა პარტიას, რომლის ლიდერიც თვითონ იყო, ხოლო გ. მაიაშვილი და გ. ლასხიშვილი—აქტიური წევრები.

არჩილ ჯორჯაძემ, ერთ—ერთმა პირველმა ჩვენს მეცნიერებაში ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, მათ შორის ისეთებსაც, როგორიც იყო „დროება", „ივერია", „მოამბე", „კვალი", არ ჰქონდათ გარკვეული მიმართულება 80-90-იან წლებშიც კი. უფრო სწორად, ყველა ეს პერიოდული გამოცემა პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულებისა იყო, მათში, ძირითადად, ყოველი საკითხი მოწინავე იდეების საფუძველზე შუქდებოდა, მაგრამ არ ჰქონდათ დაცული პარტიულობის პრინციპი, არ ექვემდებარებოდნენ და არ მისდევდნენ მტკიცედ განსაზღვრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროგრამას. ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯი გადადგა მხოლოდ

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. 36-45

[2] იქვე გვ. 46

[3] იქვე

გაზეთმა „კვალმა“, როცა თავისი ფურცლები დაუთმო „მესამე დასელებს“. მათ უკვე ჰქონდათ საკუთარი პოლიტიკური და ფილოსოფიური კრედო, რომლის მიხედვით და გამოყენებით აშუქებდნენ საკითხებს.

„მესამე დასელებს“, ეყრდნობოდნენ რა იმ დროისათვის ისეთ გავლენიან მსოფლმხედველობას, როგორიც მარქსიზმი იყო, ცხადია, არ უძნელდებოდათ ცხოვრებისეული მოვლენების ანალიზი, მსჯელობა ქვეყნის მომავალსა და პერსპექტივაზე, მაგრამ მათ ვერ შეძლეს მისი მართებულად გამოყენება ქართული სინამდვილის შესწავლისა და შეფასების საქმეში. ეს პუბლიცისტები საკმაოდ უხეშად შეცდნენ, რამაც, ცხადია, გარკვეული გავლენა მოახდინა მათ ავტორიტეტზე.

არჩილ ჯორჯაძე, ცხადია, სწორად შენიშნავს, რომ შეცდომა იყო „კვალის“ ფაქტიური რედაქტორის გ. წერეთლის მარქსისტად გამოცხადებაც. სწორად მიუთითებს იმაზეც, რომ „მესამე დასი“ საზოგადოებას თავისი პროგრამით პირველად ე. ნინოშვილის დასაფლავების დღეს წარუდგა და შეეცადა ეჩვენებინა თავისი პოლიტიკური სახე.

„ჩვენ არ ვხედავთ იმ ხანებში იმ ჟურნალ-გაზეთებს, რომელთაც განსაზღრული და გარკვეული ფიზიონომია ჰქონდათ. ამ განსაზღრული ფიზიონომიის შემუშავებამდე მხოლოდ „კვალი“ მივიდა 1895 წლიდან დაწყებული. მაგრამ უნდა ვთქვათ ისიც, რომ, მიუხედავად დაქსაქსულობისა და განუსაზღვრელობისა, „ივერია“ „მოამბეს“ აკავშირებდა ის, რომ ამ გამოცემათა მწერლები გალაშქრებული იყვნენ „კვალის“ წინააღმდეგ, მართალია, ეს გალაშქრება სხვა და სხვა მწერალთა მიერ სხვა და სხვა მოტივებით იყო ხოლმე დასაბუთებული და გამოწვეული, ხოლო ამისდა მიუხედავად ეს იყო მაინც საერთო რამ, საერთო ძველი ინტელიგენციის დაცვის საქმეში მაინც. მაგრამ უნდა ვსთქვათ ისიც, რომ კვალის მოპირდაპირეებს აკლდათ სიმძლავრე და გავლენა ერთის ორგანიზაციისა და ერთის მიმართულებისა. შეტაკების პირველ ხანებიდანვე თითქოს აშკარა იყო, რომ ახალ დასს ჰქონდა რაღაც უპირატესობა“.[1] როგორც ვხედავთ, გამოჩენილ ქართველ სამოციანელთა დიდი პატივისმცემელი და მათი ამაგის უდიდესი დამფასებელი, აშკარად აცხადებს, რომ ახალ დასს, წინა თაობებთან შედარებით, ჰქონდათ უპირატესობა, მაგრამ რაში მდგომარეობდა იგი? არჩილ ჯორჯაძის შეხედულებით, ამ უპირატესობის „ძალა და საფუძველი სწორედ ის იყო, რომ მან, შეიგნო რა ახალ სოციალურ სტრუქტურის შემუშავების პროცესი ჩვენს ქვეყანაში, მოახერხა თავისი პოზიციების გამაგრება ამ ახლად გამოსახულ სტრუქტურის ნიადაგზე“.[2]

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 51

[2] იქვე გვ. 51

კარგად ხედავს არჩილ ჯორჯაძე, რომ ილია ჭავჭავაძე, 90-იან წლებში, მარქსიზმით შეიარაღებულ მოღვაწეთა ფონზე, განსხვავებული პოზიციით გამოდის. „მუშათა კანონმდებლობა,—წერს ის,—იყო მუშათა მოძრაობასთან გამკლავების იარაღი. ილია ჭავჭავაძე კი ყველა ამას თითქოს არა ხედავდა. მისი აზროვნება შეიძლება კონსერვატორული ელფერისა იყოს იმ ხანებში. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ პერიოდში და სხვა რომელისამეში „ფეოდალობის" მოსარჩლედ არასოდეს გამოსულა... გარდა ამისა, ეხლა, როდესაც ხელში სხვა ფაქტებიცა გვაქვს და ვიცით, რა გვარის იმედებით განიმსჭვალა ილია ჭავჭავაძე წარსული „მოძრაობის" დროს, როდესაც სახელმწიფო საბჭოში მემარცხენეთა ჯგუფში ჩაჯდა და როდესაც იგი „ავტონომიის" პრინციპსაც მიეკედლა, შეგვიძლია უფრო სამართლიანად დავაფასოთ ამ მოდვაწის წარსული და ბევრში არ დავეთანხმოთ იმ ულმობელ კრიტიკოსებს, რომელთაც ყოველ საზღვარს გადააცილეს და დამსახურებულ მოღვაწეში არაფერ სიკეთეს ხედავდნენ".[1]

მოტანილი ამონაწერი მრავალმხრივაა საყურადღებო. პირველ ყოვლისა, მასშიც აშკარად იგრძნობა, რომ არჩილ ჯორჯაძეს უნდოდა თუ არა, ანგარიშგასაწევი გახდა „მესამე დასელთა" პოლიტიკური პროგრამა. მეორეც, იგი დიდად აფასებს, და ეს სრულიად ლოგიკურია, ილია ჭავჭავაძის პოზიციას სახელმწიფო საბჭოში, განსაკუთრებით კი მის „ავტონომიის პრინციპებთან მიკედლებას", რაც მას მიაჩნია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ილიას ამაღლებად ახალი ვითარების შესატყვის პოლიტიკურ დონემდე.

კვლავ უბრუნდება რა 90-იანი წლების ქართულ პრესაში შექმნილი ვითარების გარკვევას, არჩილ ჯორჯაძე შენიშნავს: „კვალის" მოწინააღმდეგე პრესამ იმ თავითვე აღნიშნა და დაასახელა საკამათო საგნები. პირველი საგანი იყო ინტელიგენციის გამოსარჩლება. მეორე საგანი იყო გაკვირვება იმის გამო, რომ გიორგი წერეთელი, ძველი თაობის მოღვაწე, გამოდიოდა ამ ახალ თაობის ბელადად. მესამე საგანი იყო გაურკვეველობა დასობის კლასიფიკაციის პრინციპისა, ხოლო მეოთხე დიდი და მთავარი საგანი კამათისა იყო კაპიტალისტური წყობილება და კლასთა ბრძოლა საქართველოში".[2]

სადავო საკითხთა ამგვარ წარმოჩენაში არჩილ ჯორჯაძე მეტნაკლებად მართალია და მათ შესახებაც ბევრ საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს, მაგრამ, ცხადია, მას კარგად ესმის, როგორც აღნიშნავს, ამ ოთხ სადავო საგანთა შორის უმთავრესი და არსებითი მხოლოდ

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 53

[2] იქვე, გვ. 54

მეოთხე იყო: კლასთა ბრძოლის საკითხი საერთოდ და კერძოდ საქართველოში, ხოლო მის ობიექტურობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი გარკვეით ამბობს: „დღეს დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ ამ კამათში სიმართლე ს. ჯიბლაძისა და მისი ამხანაგებისაკენ იყო..... ტენდენცია კაპიტალისტურ განვითარებისაკენ აშკარა გახდა და მისი არ დანახვა ჰნიშნავდა ჩვენი ცხოვრების ნიშნობრივ თვისებების არ დანახვას. სხვათა შორის, აქ არის საზოგადოებრივი მნიშვნელობა ახალი დასისა, რომელმაც ეს ახალი სიტყვა სთქვა ჩვენს ცხოვრებასა და მწერლობაში".[1]

ასე რომ, ამ საკითხშიც არჩილ ჯორჯაძე არ ღალატობს ობიექტურ სინამდვილეს, ჭეშმარიტებას, მაგრამ იმ აზრისაა, რომ ამ მართებული პოზიციიდან გამომდინარე, „მესამე დასელები" გაცილებით ჩქარობდნენ, ვიდრე ცხოვრების სინამდვილის ევოლუცია იძლეოდა ამის საფუძველს.

არჩილ ჯორჯაძეს კლასობრივი ბრძოლის თეორია სურს „მოათვინიეროს" „ეროვნულის" შესატყვისად, რაც ამ პერიოდისათვის განუხორციელებელი აღმოჩნდა. ბუნებრივია, როდესაც ეროვნული საკითხი წინა პლანზეა წამოწეული, იგი კლასობრივ ბრძოლაზე გავლენას ახდენს და გარკვეულად ფარავს მას.

თავის ნაშრომებში არჩილ ჯორჯაძე ხშირად ჩერდება „ლალის" დამსახურებასა და მისი პუბლიცისტიკის პოლიტიკურ საფუძველზე. ეს გარემოება, ცხადია, განპირობებულია როგორც ობიექტური საფუძვლით—„ლალი" ოთხმოცდაათიანი წლების ერთ-ერთი გამოჩენილი ქართველი პოლიტიკოსი და პუბლიცისტია, რომელიც ხშირად და საინტერესოდ წერდა ქართველი ერის აწმყოსა და მომავალზე,—ასევე სუბიექტური ფაქტორითაც—გ. ლასხიშვილი უკვე პარტიული და იდეური თანამოაზრე იყო არჩილ ჯორჯაძისა. ამ უკანასკნელსაც იმის ჩვენება უნდა, რომ იმის გარშემო თავს იყრიდნენ ჭეშმარიტი პატრიოტები და ეპოქის მოწინავე იდეების დონეზე მდგომი მოაზროვნეები.

სურდა რა წარმოეჩინა „ლალის" მოღვაწეობის ხასიათი 90-იან წლებში, არჩილ ჯორჯაძე წერს: „ლალის მსოფლმხედველობაში აშკარად მოჩანს ორი მომენტი, ერთი—პოლიტიკო-ეროვნული თავისუფლება, მეორე—სოციალური თანასწორობა. მისი აზრით, „უახლობლესი საფეხური" პოლიტიკო-ეროვნული თავისუფლება უნდა იყოს, ხოლო შემდეგი—სოციალური თანასწორობა. ამის მიხედვით, ლალი უპირატესობას აძლევდა ბრძოლის პოლიტიკურ მომენტს და ეს წითელი ხაზივით ატყვია ყველა მის ნაწერს... მის კონცეფციას იმ ხანებში

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, გვ. 62-63

ეკონომიური მატერიალიზმის ელფერი ჰქონდა, და მისი პოლიტიკო-სოციალური კრიტერიუმიც სრულიადაც არ იყო ის, რასაც „ნაროდნიკულ მსოფლმხედველობას“ უწოდებენ.[1]

არჩილ ჯორჯაძე არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ გარკვეული ცალმხრივობა შეინიშნებოდა ლალის სოციალურ—პოლიტიკურ პროგრამაში, მაგრამ ამგვარი ცალმხრივობა, მისი აზრით, არანაკლებ ნიშანდობლივი იყო „კვალელებისათვისაც“, რომლებიც მას სასტიკად აკრიტიკებენ. „კვალმა“,—წერს ის,—არ შეიწყნარა არც ერთი ლალის მიერ წამოყენებული დებულება. ლალის „პოლიტიკას“ მან თავისი „ეკონომიკა“ წამოუყენა წინ, და თუ იყო ცალმხრივობა ლალის პოზიციაში, არა ნაკლები ცალმხრივობა მოჩანდა მის მოპირდაპირეთა აზროვნებაში“.[2]

ლალის უბედურებად არჩილ ჯორჯაძეს ის მიაჩნდა, რომ იგი, როგორც გ. მაიაშვილი, განმარტოებულად იდგა სამწერლო ასპარეზზე, თანაც ბეჭდვა უხდებოდა „ივერიაში“, რის გამო „ივერიის“ ვითომდა ყველა „ცოდვას“ მას მიაწერდნენ; ამ გარემოებით საგანგებოდ სარგებლობდა ნ. ჟორდანია, რომელმაც ვერ გაიგო, დედააზრი ლალის პოზიციისა. ამის გამო იგი განსაკუთრებით წუხს, რადგან დარწმუნებულია, რომ თუ არა ამგვარი დამოკიდებულობა, „მესამე დასელებს“ სადავო თითქმის არაფერი უნდა ჰქონოდათ ლალისთან. „ლალის აზრით—შენიშნავს არჩილ ჯორჯაძე—ეროვნული იდეალი უნდა იყოს დამკვიდრებული მკვიდრ ეკონომიურ და სოციალურ საფუძველზე“.[3] ნ. ჟორდანია კი ამ ვითარებას სრულიად ვერ ამჩნევდა.

არჩილ ჯორჯაძე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ლალის შეხედულებები, სინამდვილეში, ბევრ რამეში ემთხვეოდა მესამე დასელთა სოციალურ-პოლიტიკურ თვალსაზრისს, მაგრამ ეს უკანასკნელნი, სრულიად შეგნებულად, ან საერთოდ სრულებით არ ხედავდნენ ამას. „ლალის პოზიციის დედააზრი—საერთო მტრის წინააღმდეგ საერთო იერიშის მიტანაა და კლასთა ბრძოლის პრინციპის შეგუებაა ამ საერთო საქმის მოთხოვნილებასთან. საყურადღებო ის არის, რომ ნ. ჟორდანიაც არსებითად ამ აზრისაა ამ საგნის შესახებ, ხოლო როდესაც მას აგონდება „ივერია“ და მისი თანამშრომელნი, მყისვე მეომრის გუნებაზე დგება და ბრძოლა-შეტაკების ქადაგებაშია“[4]—დაასკვნის არჩილ ჯორჯაძე.

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911 წ. გვ. 68

[2] იქვე, გვ. 72

[3] იქვე, გვ. 73

[4] იქვე, გვ. 74

ნ. ჟორდანიას მთავარ შეცდომად ლალის დაფასების საქმეში არჩილ ჯორჯაძეს ის მიაჩნია, რომ იგი მას თვლის რუსი ხალხოსნების მიმდევრად, რაც სიმართლეს არ შეეფერება.[1]

ასეთი ვრცელი ექსკურსის და მთავარი სადავო საკითხების გაანალიზებისა და შეფასების შემდეგ არჩილ ჯორჯაძე აკეთებს დასკვნებს, რომლებიც კიდევ უფრო გარკვევით გვიჩვენებენ მისი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროგრამის შინაარსს, იმ იდეალებს, რომლებსაც ის ემსახურება როგორც პუბლიცისტი და როგორც პარტიული მოღვაწე.

ქართული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური აზროვნება, არჩილ ჯორჯაძის შეხედულებით, ევოლუციას განსაკუთრებით განიცდიდა მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლებიდან და ამ ევოლუციის სურათი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: „მესამოცე წლებში ჩვენმა ლიბერალებმა ეროვნული, კულტურული და სოციალური პრობლემები წამოაყენეს. ოთხმოციან წლებში ცდილობენ სოციალური პრობლემების უპირატესობის აღიარებას, მაგრამ წოდებრივობას ვერ სცილდებიან, ხოლო, ამავე დროს, მოსჩანს პოლიტიკური აზროვნების პირველი ნაბიჯები. ორმოციან წლებში წოდებრიობა დარღვეულია. კლასიური საზოგადოების გამოსახვაა აღიარებული. ჩნდება იდეოლოგია კლასიური, რომელსაც ღრმა საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ კლასიურ იდელოგიას უჩნდება ოპოზიცია, ერთნი უარყოფენ მის არსებობას, მეორენი ამ სოციალურ მოვლენის შედეგებს უფრთხილდებიან, მესამენი, პოლიტიკო-ეროვნული დროშით ხელში, ცდილობენ „ეროვნული მთლიანობის“ დაცვას გაზვიადებულ კლასთა განხეთქილების წინააღმდეგ.

ამ აზრთა შეტაკებიდან და შეჯახებიდან საუკუნეში აუცილებლივ ახალი სოციალურ-ეროვნული სინტეზი უნდა დაბადებულიყო. ამ სინთეზს ერთი თვალი ლალისაკენ აქვს მიჩერებული, მეორე „კვალისაკენ“, ხოლო ამასთან ლალი არის ეტაპი, თუ რგოლი, რომელიც აკავშირებს მეოცე საუკუნეში აღმოცენებულ სოციალურ-ეროვნულ მოძრაობას მესამოცე წლებთან“.[2]

როგორ გავიგოთ არჩილ ჯორჯაძის ეს ნათქვამი? მის უკეთ გაგებაში დაგვეხმარება თვით მისივე შემდეგი სიტყვები: „ამგვარად, მესამოცე წლებიდან დღევანდელამდე ჩვენ წინ იშლება მხოლოდ სამი დიდი ორგანული მოვლენა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა—ნაციონალური ლიბერალიზმი მესამოციან წლებისა, მარქსიზმი მეოთხმოც-

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911წ. გვ. 75

[2] იქვე, გვ. 77

დააოიანი წლებისა და სოციალიზმ-ფედერალიზმი მეოცე საუკუნის დასაწყისისა. ყველა სხვა მიმართულებას ან დამოუკიდებელი, ზრდადამთავრებული ხასიათი არა ჰქონდა, ან კიდევ გარდმავალი იყო მათი საზოგადო მსოფლმხედველობა. არც მარქსიზმს, არც სოციალ-ეროვნულ მიმართულებას არ უთქვამთ თავიანთი უკანასკნელი სიტყვა. მოსალოდნელია ამ იდეურ მოვლენათა ევოლუცია მახლობელ მომავალში"[2]. ამგვარად, არჩილ ჯორჯაძეს დრო, ენერგია, ცოდნა და გამოცდილება არ დაუშურებია, რათა თავისი დროის მკითხველისათვის წარედგინა ქართული პოლიტიკური აზრის ხასიათი და მისი ევოლუცია მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე. ამ მიზნით მან ბევრი რამ გააკეთა და შესძინა ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის შესწავლის საქმეს. თანაც ამით მიაღწია თავის პოლიტიკურ მიზანსაც: მეტად ოსტატურად და მიმზიდველად გააცნო მკითხველს, თუ რა თეორიულ მემკვიდრეობას ეყდნობოდა ე.წ. „სოციალიზმ-ფედერალიზმი", რომელმაც მეოცე საუკუნის დამდეგს დაიწყო თავისი არსებობა და ცდილობდა „სინტეზი" გაეკეთებინა ყოველივე პროგრესულისა და ეროვნულისათვის. მაგრამ ამ საკითხის ჭეშმარიტად გარკვევისათვის საჭირო იქნება უფრო ღრმად ჩავიხედოთ მის პროგრამაში და პოლიტიკური იდეალების ნამდვილ არსში.

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, 1911წ. გვ. 77-78

ზურაბ ავალიშვილი
(1876–1944)

ჩვენს ქვეყანაში შექმნილმა ისტორიულ-პოლიტიკურმა სიტუაციამ ბევრი ღირსეული მამულიშვილი აიძულა სამშობლოდან გადახვეწილიყო და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ეძებნა თავშესაფარი. ასეთი ხვედრი არ ასცდა ცნობილ ქართველ იურისტსა და ისტორიკოსს, პროფესორ ზურაბ ავალიშვილს, რომელიც მთელი მისი ცხოვრება, უცხოეთში მყოფი, ერთგულად ემსახურებოდა ქართველი ერის ისტორიისა და კულტურის შესწავლის საქმეს.

მეცხრამეტე საუკუნის დამლევს და მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართული დემოკრატიული ინტელიგენციის რიგებს შეუერთდნენ თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწენი და მეცნიერები: ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ლასხიშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი, არჩილ ჯორჯაძე, კიტა აბაშიძე, გერონტი ქიქოძე, მიხაკო წერეთელი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ზურაბ ავალიშვილი და სხვები.

განსაკუთრებით გამოიკვეთა მათი როლი და პასუხისმგებლობა ჩვენი ერის სულიერ ცხოვრებაში იმ დროიდან, რაც წიწამურის ტრაგედიის შემდეგ პოლიტიკურ სარბიელს გამოაკლდა ილია ჭავჭავაძე.[1]

ზურაბ დავითის ძე ავალიშვილი დაიბადა 1876 წელს, განათლებულ და შეძლებულ ოჯახში, საშუალო ცოდნა მიიღო თბილისის ვაჟთა გიმნაზიაში, რომელიც 1894 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა და სასწავლებლად პეტერბურგში მიემგზავრება ივანე ჯავახიშვილთან, გრიგოლ რცხილაძესთან, იოსებ ბარათაშვილთან და სხვებთან ერთად. უნივერსიტეტში სწავლას აგრძელებს იურიდიულ ფაკულტეტზე.

სწავლაში განსაკუთრებული სიბეჯითით გამოირჩეოდა, მთელი მონდომებით ეუფლებოდა იურისპრუდენციას. გარდა ამისა, ლუარსაბ ანდრონიკაშვილთან და არჩილ ჯორჯაძესთან ერთად, ჩაბმული იყო ცნობილი რუსი კრიტიკოსის, ჟურნალ „Северный вестник"-ის რედაქტორის, ვოლინსკის ფილოსოფიურ წრეში. გაზეთი „ცნობის ფურცელი" იტყობინებოდა: „ს. პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის მე-4 კურსის სტუდენტმა ზურაბ ავალიშვილმა თხზულებაში „რუსის

---

[1] შ. ბადრიძე, ზურაბ ავალიშვილი, „კომუნისტი", 1989 წ. 22 თებერვალი

პოლიტიკური მოღვაწეობა“ ვერცხლის მედალი მიიღო. როგორც თხზულების დაფასებიდან ჩანს, პროფესორები, განსაკუთრებით ერთი მათგანი (იგულისხმება რუსი იურისტი ნ. მ. კორკუნოვი,—გ. ლ), იმ აზრისანი არიან, რომ ავტორი ფრიად ნიჭიერი და საღი ლოგიკის პატრონია. პროფესორის სიტყვით, ავალიშვილი უნივერსიტეტში იქნება დატოვებული, რომ თავის დროზე პროფესორის კათედრა დაიჭიროს. დავძენთ ამასთანავე, რომ ავალიშვილის ასეთი გამარჯვება ერთის მხრივ იმითაც აიხსნება, რომ კარგად იცის ენები: გერმანული, ფრანგული, და ინგლისურიც საკმაოდ“.[1] 1898 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტი უნდა დაემთავრებინა ზურაბ ავალიშვილის გარდა გამრეკელს, ზუბალაშვილს, გ. კანდელაკს, ი. თურქიას, კ. ქუთათელაძეს, მუხრანსკის, ფირცხალავას და ქიქოძეს. გაზეთი „ივერია“ წერდა: „წრეულ ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ მოწაფეთა შორის სწავლა უნდა დაემთავრებინა 9 კაცს, მაგრამ ავადმყოფობის გამო ორმა სახელმწიფო ეგზამენი შემდეგის წლისათვის გადადო, დანარჩენმა 7 კაცმა კი უკვე მიიღო დიპლომი.

ამათგან 4 პირველი ხარისხის ღირსად იქნა ცნობილი, ხოლო ზ. დ. ავალიშვილი უნივერსიტეტში იქმნა დატოვებული, როგორც ღირსეული, რომ შემდეგ კათედრა დაიჭიროს, ავალიშვილმა სასჯულო მეცნიერთა ფაკულტეტი შეასრულა“.[2]

ზურაბ ავალიშვილი პეტერბურგიდან საფრანგეთში მიემგზავრება ისთვის საინტერესო მასალების მოსაპოვებლად. საფრანგეთში 1903-1905 წლებში გამოდიოდა გაზეთი „საქართველო“, სადაც იგი თანამშრომლობდა იქ მყოფ სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად. „პარიზში იმ დროს იყვნენ ჩვენი თანამემამულენი: თედო სახოკია, ექიმი ალ. დიასამიძე, ზურაბ ავალიშვილი, ნოე ჟორდანია... ზურაბ ავალიშვილი იქ თავის განათლებას ამთავრებდა. ყველა ისინი ამა თუ იმ დახმარებას უწევდა ჩვენს ამხანაგებს; ზურაბ ავალიშვილმა პირველ ხანებში მიიღო მონაწილეობა გაზეთში“.[3]

ზ. ავალიშვილის თანამშრომლობა გაზეთთან შედარებით ხანმოკლე იყო, რადგანაც იგი მალე ბრუნდება საზღვარგარეთიდან და 1904 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში იცავს სამაგისტრო დისერტაციას თემაზე „დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობა საფრანგეთში“ და იწყებს ლექციების კითხვას. 1907 წელს აქვეყნებს გამოკვლევას: „Федерация и самоуправление“, ხოლო 1909 წლიდან, პროფესორად მიწ-

---

[1] გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1899 წ., 20 მარტი, № 487

[2] გაზეთი „ივერია“, 1899 წ. 12 ივნისი, №123

[3] გიორგი ლასხიშვილი, მემუარები, 1934 წ., გვ. 160

ვევის შემდეგ, სამუშაოდ გადადის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ადმინისტრაციული სამართლის კათედრის გამგედ. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ამ პერიოდში ბევრი საინტერესო შრომა და გამოკვლევა გამოაქვეყნა. მათ შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „Присоединение грузии к Росии", რომელიც 1901 წელს გამოიცა რუსულ ენაზე, საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავზე, ხოლო მეორედ 1906 წელს. „1901 году истекло сто лет со времени присоединения Грузии к России, но строго говория, не всей Грузии, а той ее части, которая играла более видную политическую роль XVII в. т. е. соединенного царства Картлийского и Кахетинского. Если же иметь в виду все части грузино-абхазской монархии, окончательно раздробившейся в XV веке __части и после связания единством культры и религии__то присоединение грузии в этом более широком смысле нельзя будет приурочить к одному какому-нибудь моменту, а придется рассматривать это присоединение, как серию исторических событий, как последовательнуя утрату независимости отдельными грузинскими царствами и владениями".[1]—წერდა შესავალში ზ. ავალიშვილი. აღნიშნულმა შრომამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიც. გაზეთმა „პეტერბურგსკი ვედომოსტმა" დაბეჭდა ბ. მაისკის რეცენზია, რომელიც გაზეთმა „ცნობის ფურცელმა" გადმობეჭდა. რეცენზენტი აღნიშნავდა: „ასი წელიწადია მას აქეთ, რაც რუსეთმა მშვიდობიანად გადაიარა კავკასიის ქედი და სისხლის დაუღვრელად შემოიერთა საქართველოს სამეფო, რომელიც თავის ნებით გადმოვიდა ჩვენს ხელში. მოულო რა ბოლო საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, რუსეთმა ჩვეულებისამებრ განაგრძო მსვლელობა იქითკენ, საითკენაც ისტორიის მისია იწვევდა. საქართველოს შეერთება მოხდა გზადაგზა, სხვა საქმის ასრულების დროს, ამისათვის რუსეთს როგორღაც არ ახსოვდა საქართველოს სვებედი. ამის შემდეგ ასმა წელიწადმა გაიარა.

საქართველო წინანდებურად რუსეთის სამეფოს ნაწილს შეადგენს, ხოლო რუსეთის საზოგადოება წინანდებულად არ იცნობს საქართველოს, არ აინტერესებს არც წარსული, არც აწმყო ქართველი ხალხისა".[2] ბ. მაისკი ამ საკითხში იჩენს ობიექტურობას და პირუთვნელად ლაპარაკობს იმ პოლიტიკაზე, ცარიზმი რომ ახორციელებდა საქართველოში. „საქართველო კი სრულიად განსაკუთრებულ კულტურას წარმოადგენს. სამეფოა, რომელსაც სახელოვანი წარსული ჰქონდა. საქარ-

[1] Авалов, присоединение грузии к росии, 1906 г., с

[2] „ცნობის ფურცელი", 1907 წ. 7 ნოემბერი, №1634

თველო კედელი იყო, რომელიც იცავდა ქრისტიანობას მაჰმადიანთ წინააღმდეგ. საქმე ისტორიკოსებსა, არქეოლოგებსა და ეთნოგრაფებში არ არის (არც ესენი არიან მრავალნი), საქმე რუსის საზოგადოებაშია, მის გულგრილობაში და ღრმა უცოდინარობაში, ყველა იმ კითხვის გადაწყვეტაში, რაც კი საქართველოს შეეხება. ლერმონტოვს რომ არ დაეწერა რამდენიმე ლექსი, რომელშიაც საქართველოს მშვენიერებას დამღერის, ტფილისი რომ არ ყოფილიყო, სადაც ჩვენ რამდენიმე წლობით რაიმე ადმინისტრაციული სამსახურისათვის მივდივართ ხოლმე, მთელი საქართველო რუსის თვალში რაღაც არაკად და თქმულებად რჩებოდა. მე არ უარვყოფ, რომ რუსეთის სახელმწიფოს აქვს უფლება არა რუსის ხალხები იარაღად გამოიყენოს თავისი მიზნის განსახორციელებლად, ვამბობ მხოლოდ, რომ რაც უფრო მეტს გაიცნობს უცხო ტომებს რუსეთის მმართველობა, მეტ სარგებლობას ნახავს მათგან... რუსეთის მისია ხომ მარტო სახელმწიფო ტერიტორიის გაფართოება არ არის, არამედ კულტურის გადაცემაც იმ პატარა ერთა შორის, რომელიც მასთან ერთად ცხოვრობენ, რუსეთის სახელმწიფო, ევროპულ საძირკველზე აგებული, შუამავლად უნდა იყოს ევროპასა და აზიას შუა. ამ მისიის ასასრულებლად კი მან კარგად უნდა იცოდეს ის ნიადაგი, რომელზედაც მუშაობა სჭირდება, და ჩვენ, რუსეთი, სწორედ არ ვიცნობთ კარგათ ამ ნიადაგს".[1]

ზ. ავალიშვილმა ნაშრომში ფაქტიურად უჩვენა, რომ გაუქმების წინ ქართლ-კახეთის სამეფო სუვერენული სახელმწიფო იყო. ამ თეზისს მომავლისათვის სათანადოდ გამოიყენებენ ეროვნულ-დემოკრატები, რომლებიც ცარიზმს სამართლებრივ დონეზე მოსთხოვენ ავტონომიის სახით საქართველოს სახელმწიფოებრივ რესტავრაციას.[2]

ზ. ავალიშვილის წიგნს დადებითი შეფასება მისცეს ილია ჭავჭავაძემ, არჩილ ჯორჯაძემ და სხვებმა.

კარგი წიგნი —იშვიათი მოვლენაა... ზურაბ ავალიშვილის წიგნი სწორედ ამნაირი წიგნია,—წერდა არჩილ ჯორჯაძე,—ავტორი, როგორც ისტორიკოს-იურისტი, თავის საგნის შესწავლას მეცნიერული მეთოდით შეუდგა. მეცნიერება ხომ მოვლენის მიუკერძოებელი შეგნება და დაფასებაა. მეცნიერება მოითხოვს სინამდვილის აღიარებას დაუმახინჯებლად—ამიტომ მეცნიერების მსაჯული თვით ჭეშმარიტებაა... წიგნის უმთავრესი კითხვა, რომელიც იქცევს მკითხველის ყურადღებას, ნათლად და მკაფიოდ არის დაყენებული... ავტორს, როგორც იურისტს, აინტერესებს, როგორ, რანაირად მოისპო საქართველოს პოლი-

[1] „ცნობის ფურცელი", 1907 წ. 7 ნოემბერი, №1634

[2] გაზეთი „კომუნისტი", 1989 წ. 22 თებერვალი

ტიკური დამოუკიდებლობა! ამ მოსპობას თან სდევდა რაიმე იურიდიული აქტი, ორმხრივი (საქართველოს და რუსეთის) თანხმობის ნაყოფი იყო დამოუკიდებლობის დაკარგვა, თუ ყველა ეს მოხდა ცალმხრივ ძალდატანებით? ეს საკითხი აინტერესებს ავტორს... იურიდიულ მეცნიერებაში ცნობილია სხვადასხვა ტიპი საერთაშორისო ურთიერთობისა, როცა რომელიმე ერი თავის ნებით და თავის უმთავრეს სამმართველო ორგანოს საშუალებით—ხელმწიფეა იგი თუ პარლამენტი—შეუერთდება მეორე სახელმწიფოს იმ პირობით, რომ ამ ორ შეერთებულ ერს ექნებათ ხელუხლებელი შინაური მმართველობა, ხოლო უმაღლესი ორგანო—მთავრობა კი საერთო ექნებათ. ამგვარ იურიდიულ აქტს მეცნიერები „უნიას" უწოდებენ. როდესაც ერთი ერი თავის ნებით ან ძალდატანებით მეორე სახელმწიფოს მფლობელობაში ყარდება, ამგვარ ცვლილებას მეცნიერები ინკორპორაციას უწოდებენ. კანონიერი ინკორპორაცია იმაში მდგომარეობს, რომ რომელიმე სახელმწიფო თავის ნებით უარყოფს თავის შინაურ დამოუკიდებლობას, ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანიზაციას და მეორე სახელმწიფოს მფლობელობაში თავისი სურვილით გადადის.

უკანონო „ინკორპორაცია" სახელმწიფოს, წინააღმდეგ მის სურვილისა, დაპყრობა და დაჭერაა (ომის ან სხვა გარემოებათა საშუალებით). რომელ ტიპს მიაგავს საქართველოს რუსეთთან შეერთების აქტი, ამ კითხვას დაბეჯითებით იკვლევს ავტორი, აქ არის ისტორიული ცვლილების დედა ძარღვი... როგორც კითხვის დაყენებაში, ისე ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში გამოიჩინა სრული მიუკერძოებლობა და სითამამე. ამიტომ მისი დასკვნა დასაბუთებული და შემოწმებული, ნათელია როგორც დღე.—არჩ. ჯორჯაძე ჩვეულ ობიექტურობას არც აქ ღალატობს და პირუთვნელად გამოთქვამს თავის მოსაზრებას ზ. ავალიშვილის წიგნის ირგვლივ.—ავტორს აქვს თავისი პიროვნული შეხედულება, თავისი პოლიტიკური ფილოსოფია. გზადაგზა, მეცნიერულად გამოკვლეულ... ფაქტებს იგი აფასებს და განსჯის ამ თავის ფილოსოფიის მიხედვით. ავტორის პოლიტიკური ფილოსოფია არ არის ლოგიკურად დაკავშირებული წიგნის მესამე ნაწილთან. ეს ის სუბიექტური ელემენტია, რომელიც არღვევს წიგნის სიმრთელეს და ჰარმონიას. ამაშია თხზულების სისუსტე, საკვირველია ის, რომ ზ. ავალიშვილის მეცნიერულ საფუძველზე თქვენ თამამად შეგიძლიათ თქვენი საკუთარი ფილოსოფია ააშენოთ, სრულიად წინააღმდეგი ავტორის პოლიტიკური შეხედულებისა და ეს თქვენი პოლიტიკური ფილოსოფია, არამც თუ ლოგიკურად არ ეწინააღმდეგება თხზულების მეცნიერულ ნაწილს, პირიქით, უფრო შეესაბამება წიგნში აღნიშნულ და გარკვეულ ისტორიულ სინამდვილეს".

ცოტა ქვემოთ ა. ჯორჯაძე აღნიშნავს: „ავტორი ისეა გატაცებული რეალიზმით, რომ ამ რეალიზმს ანაცვალა სამართალი“.

ა. ჯორჯაძე დაასკვნის: „ავტორი მეცნიერი და ავტორი პოლიტიკოსი—ორი არსებაა—მათ შორის წინააღმდეგობაა.

სალამს ვუძღვნით ავტორ მეცნიერს“.[1]

ზ. ავალიშვილმა თავისი შრომა ქართულ ბიბლიოთეკებს გაუგზავნა საჩუქრად. „ნაძალადევის სახალხო ბიბლიოთეკის გამგე ქ-ნი დემურია მადლობას უძღვნის თავ. ზ. ავალიშვილს, რომელმაც ხსენებულ ბიბლიოთეკას შესწირა თავისი თხზულების (საქართველოს რუსეთთან შეერთება) ორი ეგზემპლარი“.[2] პეტერბურგში მოღვაწეობის პერიოდში „სათანადოდ შეაფასეს რა საფინანსო, საერთაშორისო, სამოქალაქო და სხვა დარგების სამართლისა და უცხოური კანონმდებლობის ენციკლოპედიური ცოდნა, აგრეთვე, გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენების სრულყოფილი ფლობა, რუსეთის იმპერიის ფინანსთა სამინისტრომ ზ. ავალიშვილი მიიწვია იურისკონსულტის უფროს თანაშემწედ. ეს ორი თანამდებობა, პროფესორისა და იურისკონსულტისა, ზ. ავალიშვილმა შეინარჩუნა 1917 წლამდე, ხოლო თებერვლის რევოლუციის შემდეგ დროებითმა მთავრობამ იგი დანიშნა პირველ სახელმწიფო დეპარტამენტში სენატორად“.[3]

1918 წ. ზ. ავალიშვილი სამშობლოში ბრუნდება და აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სამართლის პოლიტიკური კურსის შემუშავებასა და რეალიზაციაში, როგორც საერთაშორისო სამართლის აღიარებული ექსპერტი, 1918 წლის ივნისში იგი ნ. ნიკოლაძესთან ერთად მიემგზავრება გერმანიაში. მათი ამოცანა იყო გერმანიას ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და მოემზადებინათ ნიადაგი ეკონომიკური ხელშეკრულების გასაფორმებლად. მათ გერმანიის მთავრობას საქართველოს რესპუბლიკის მემორანდუმი გადასცეს, რომლის პოლიტიკური ნაწილი (საქართველოს საერთაშორისო უფლებები და საზღვრები) ეკუთვნის ზ. ავალიშვილის კალამს.[4] 1919 წ. დასაწყისში ზ. ავალიშვილი კ. გვარჯალაძესა და დ. ღამბაშიძესთან ერთად კვლავ პარიზშია, ისინი უფლებამოსილი იყვნენ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობისაგან, ეწარმოებინათ მოლაპარაკება პარიზის საზავო კონფერენციასთან, საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობის საკითხებზე (თუ რა დოკუმენტები წარუდგინეს პარიზის სა-

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1907, №1602

[2] ი:ქვე, 1907 წ. №1602

[3] გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, 1931, 335

[4] ჟურნალი „მნათობი“, 1989 წ. №6 გვ. 138

ზავო კონფერენციას, მკითხველი გაეცნო გაზეთ „კომუნისტში“ 1990 წ. 18 თებერვალს ილია ტაბაღუას მიერ გამოქვეყნებულ მასალებში). 1919 წ. სექტემბერში იგი ისევ საზღვარგარეთ მიემგზავრება საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხის მოსაგვარებლად, 7-9 სექტემბერს შვეიცარიაში შეხვდა ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს, რომლებსაც გადასცა ნოტა „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ“. მოლაპარაკებას აწარმოებს გერმანიისა და თურქეთის წარმომადგენლებთან. 1919 წ. სექტემბრის ბოლოს ჩადის გერმანიაში, ხვდება თალაფად ფაშას, საიდანაც მიემგზავრება კონსტანტინეპოლში გვაზავასთან ერთად, კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, რაც არ შემდგარა. 11 ნოემბერს კვლავ ბერლინში ბრუნდება, ხოლო იქედან მიემგზავრება პარიზში, ლონდონის გავლით. 1921 წლიდან ზ. ავალიშვილი ემიგრაციაშია. საერთაშორისო ურთიერთობებში საკუთარი მოღვაწეობის ეს მხარე მან ვრცლად აღწერა წიგნში „საქართველოს დამოუკიდებლობა“, რომელიც რუსულად გამოვიდა 1924, ხოლო ქართულ ენაზე 1926 წელს. ზ. ავალიშვილის ეს წიგნი არა მარტო სამართლებრივი თვალსაზრისითაა საინტერესო და საქართველოს საერთაშორისო ცნობისათვის ბრძოლის ისტორიის ქრონიკაა, არამედ იგი, ამასთანავე, მწვავე კრიტიკაა მენშევიკური საქართველოს მმართველი ელიტისა. მენშევიკური საქართველოს პოლიტიკური სისტემის მსხვრევას იგი მარტო საგარეო ფაქტორის მიზეზით კი არ ხსნის, არამედ თვით მაშინდელი საქართველოს მთავრობის უუნარობითაც ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფის საქმეში. საქართველოს მთავრობამ ქვეყანა რომანოვების პეტერბურგის იმპერიასთან საუკუნო კავშირის შემდგომ, ჯერ 1918 წ. ბერლინის გზას გაუყენა. 1919-ში ლონდონისას, ხოლო 1921 წ. კვლავ დაუმორჩილა მოსკოვის ძალაუფლებას, ამჯერად ლენინის მოსკოვს“.[1]

ეს თვალსაზრისი, რომელიც საზღვარგარეთის ქართულ წრეებში ახლაცაა გავრცელებული, ყველაზე ვრცლად პირველად ზ. ავალიშვილმა ჩამოაყალიბა.

ზ. ავალიშვილი, სანამ პეტერბურგში, რუსეთის იმპერიის სამსახურში იყო, თავის მაშინდელ სტატიებში იცავდა რუსეთის იმპერიაში შემავალ სახელმწიფოთა გარდაქმნის აზრს თანასწორუფლებიან ერთა ფედერაციად, რომელიც დამყარებული იქნებოდა თვითმმართველობის ფორ-

---

[1] ზ. ავალიშვილის, საქართველოს დამოუკიდებლობა, 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, 1990, გვ. 10

მებზე. მისი აზრით, „თვითმმართველობის ფორმები და ფარგლები არ შეიძლება იყოს ერთნაირი და თანაბარზომიერი სხვადასხვა „ყოფილ“ სახელმწიფოთა ორგანიზმში გაერთიანებული ნაციონალურ ერთეულებისთვის, რომ მინიმალური მოთხოვნილებაა—ადმინისტრაცია, სკოლა და სასამართლო მოქმედებდეს ადგილობრივი მოსახლეობის ენაზე“.[1]

გარდა ამისა, ნაშრომში განხილულია კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა ისტორიული წარმოშობის ურთიერთკავშირის საკითხები, პოლიტიკაში მათი სიახლოვე და ა.შ. ხაზი აქვს გასმული, რომ დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვამ საქართველოში რუსეთის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე იჩინა თავი.

მიუხედავად რუსული კულტურის ნაწილობრივ დამანგრეველი ხასიათისა, მან სასიკეთო გავლენაც იქონია საქართველოსათვის. ზ. ავალიშვილის აზრით, 1917 წლის რევოლუციამ გახადა შესაძლებელი, „წამოჭრილიყო საქართველოს საკითხი, როგორც საჯარო სამართლის საკითხი რუსეთში“. ავტორი დაწვრილებით განიხილავს დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოებულ საერთაშორისო პოლიტიკას 1918-21 წლებში. დეტალურად ჩერდება იმ მოლაპარაკებებსა და შეთანხმებებზე, რასაც აწარმოებდა და აღწევდა საქართველოს ხელისუფლება საბჭოთა რუსეთთან და ევროპულ სახელმწიფოებთან. იგი ობიექტურად აღნიშნავს, რომ დიდი სახელმწიფოები ყოველთვის კეთილგანწყობილნი როდი იყვნენ საქართველოსადმი ბოლშევიკური რუსეთის პოლიტიკის წყალობით. მისი აზრით, საქართველოს წარმომადგენლობითი დემოკრატია ძალიან სწრაფად და მოულოდნელად დაეცა. ავტორს ჰქონდა დრო და საშუალება, კარგად გაეანალიზებინა დამოუკიდებელი საქართველოს დაცემის მიზეზები და შესაბამისი დასკვნები გაეკეთებინა, გარდა მთავრობის ყურადღებისა, ქვეყნის თავდაცვის საქმეში სხვა მიზეზებსაც ასახელებდა: შეცდომებს საგარეო პოლიტიკაში, თითონ ქვეყნის შიგნით ეროვნული იდეოლოგიის ჩამოყალიბებას, რამაც ხელი შეუწყო მარქსიზმის მოძღვრებით მოსახლეობის დიდი ნაწილის გაბრუებას, სოციალური პრობლემების გადაუწყვეტელობა, რასაც დემაგოგიურად იყენებდა საბჭოთა მთავრობა და ა.შ. ზ. ავალიშვილი გულისტკივილით წერდა: „მოხდა ის, რაც გარდაუვალი და საბედისწერო იყო: ქართული დემოკრატია დაემხო სწორედ იმ მომენტში, როცა იგი თვითკმაყოფილი და თავდაჯერებული, შემოჯდა თავის პარტიული გამორჩეულობის დიდად მოწოწებული ლავგარდანზე, და 1921-ის იანვარში, საქართველოს დამოუკიდებლობის სრული

[1] გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, 1991, გვ. 356

[2] ზ. ავალიშვილი, დას. ნაშ. გვ. 15

საერთაშორისო აღიარების შემდეგ, ელოდა უფრო სრულად და არხეინად დამტკბარიყო თავისი, ბევრ რამეში ფასეული, შრომის ნაყოფით, აი, სწორედ ამ მომენტში-მეთქი სულ იოლად გადაუშვეს ძირს.

ღირს განა, დავუმატოთ, თუ როგორ უწყობდა ამას ხელს სრული უუნარობა იმისა, რომ მეზობლებთან საღავო საკითხების მოგვარების, მათთან ჯეროვანი კავშირის განხორციელების ტემპი შეეთანხმებინათ ისტორიის გამალებული რიტმისათვის? ანდა ესეც დავუმატოთ: სამწლიანი, ბევრ რამეში წარმატებული საგარეო პოლიტიკის შემდეგ, საქართველო ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს, რომ იგი აღმოჩნდა იზოლირებული და მოსკოვისა და ანგორის მუდმივი დარტყმის მუქარის ქვეშ? ანდა იმაზეც შევჩერდეთ, თუ როგორ გამოიყენა ერთიცა და მეორეც მოსკოვმა".[1]

ზ. ავალიშვილი საფრანგეთში რჩება, სადაც დაოჯახდება და იწყებს მეცნიერულ მუშაობას. მას ერთი წუთითაც არ დავიწყებია საქართველო და საზღვარგარეთ მყოფი ცდილობდა დახმარებოდა ქართველ მეცნიერებს თავისი ქვეყნის ისტორიისა და წარსულის შესწავლაში. ეს კარგად ჩანს წერილში, რომელიც 1923 წ. 4 დეკემბრითაა დათარიღებული და მისწერა ივანე ჯავახიშვილს (ზ. ავალიშვილის წერილის ნაწყვეტი გამოაქვეყნა თამარ ტაბლიაშვილმა პუბლიკაციაში „აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი" („საისტორიო მოამბე", №20, 21. 1987 წელი).

„დიდად პატივცემულო ბატონო ივანე! კარგა ხანია უკვე ზოგიერთ ჩემ ამერიკელ ნაცნობებთან მსჯელობა მქონდა იმის შესახებ, თუ როგორ სასურველი იყო, რომ მათ მეცნიერებს მონაწილეობა მიეღო საქართველოს სიძველეთა გამოკვლევაში—სახეში მქონდა განსაკუთრებით საარქეოლოგიო ძიება-თხრა. სხვადასხვა მოლაპარაკების და მიწერ-მოწერის შემდგომ მე ეხლა მყავს სახეში ერთი პირი, რომელსაც სურს შეუდგეს საარქეოლოგიო მუშაობას ნაქალაკევში (ჩემგან დასახულია საგანი ამ ძიებისა). ეს პირი დაახლოებულია პენსილვანიის უნივერსიტეტთან და ჩვენ ვცდილობთ ამ საქმით დავაინტერესოთ ხსენებული უნივერსიტეტი, ძალიან ცნობილი თავისი საარქეოლოგიო მუშაობით მესოპოტომიაში, ეგვიპტესა და პალესტინაში.

საეჭვოა, რომ ამ მიზანს მივაღწიოთ აწინდელ პირობებში, მაგრამ ამნაირმა ადრინდელმა პროპაგანდამ შემდგომში შეიძლება ნაყოფი მოიტანოს.

ჯერჯერობით კი განზრახულია, ასე ვთქვათ, წინასწარი თხრა-გამოკვლევა ნაქალაკევში, რა თქმა უნდა, ამ ცდაზე დამოკიდებული

[1] ზ. ავალიშვილი, დას. ნაშრ. გვ. 10

იქნება მომავალი უფრო ფართო მუშაობა ამერიკელების ამ დარგში, მაგრამ ნაადრევი იქნებოდა იმაზე წერა, რაც შემდგომში მოხდება (ანუ არ მოხდება).

სახეში მაქვს მხოლოდ და მხოლოდ ერთი პატარა საარქეოლოგიო ექსპედიცია, რომლის მიზანი იქნება არქეოლოპოლისის ნაშთების გამოკვლევა ნაქალაკევის ნანგრევებში.

ჩემი უმორჩილესი თხოვნა არის, შემატყობინოთ, რაც შეიძლება ჩქარა, შესაძლებლად მიგაჩნიათ თქვენ, რომ საქართველოს უნივერსიტეტმა იკისროს ზემოხსენებული მუშაობის პატრონობა და ამ შემთხვევაში რომ სათანადო ნებართვა აიღოს საქართველოს მთავრობისაგან?

ამ ფორმალურ მხარეს დიდი მნიშვნელობა აქვს. რა თქმა უნდა, ეს ამერიკელები მხოლოდ მაშინ წავლენ საქართველოში სამუშაოთ, როცა ამ ნებართვას მიიღებენ და რასაკვირველია თქვენთვის ადვილი იქნება ამ საქმის მოწესრიგება განათლების კომისარიატში (ანუ სადაც ჯერ არის).

თუ სხვა რაიმე დაბრკოლება არის, რომელიც მე აქ სიშორის გამო არ მეგულება, გთხოვთ შემატყობინეთ".

ზ. ავალიშვილის ოცნება იყო სამშობლოში დაბრუნება. თბილისის უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიურმა ფაკულტეტმა თავის სხდომაზე დააყენა საკითხი ზ. ავალიშვილის საზღვარგარეთიდან მოწვევის თაობაზე. გადაწყდა, აღეძრათ შუამდგომლობა რექტორატის სახელზე საკითხის ზემდგომ ინსტანციებში დაყენებისათვის.

ივანე ჯავახიშვილმა, რომელიც ცდილობდა მოეხერხებინა ზ. ავალიშვილის და სხვა ემიგრანტების დაბრუნება საქართველოში, ოფიციალური წერილით მიმართა საქართველოს განათლების სახალხო კომისარს: „უნივერსიტეტის გამგეობა გთხოვთ მისცეთ ნებართვა და ნივთიერი დახმარება საქართველოში დასაბრუნებლად საზღვარგარეთ მყოფ პროფ. ზურაბ ავალიშვილს და დოცენტ მიხეილ ყაუხჩიშვილს სახელმწიფო უნივერსიტეტში სამუშაოთ. პირველი სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის პროფესორად არის მოწვეული, ხოლო მეორე პოლიტექნიკური ფაკულტეტის ელექტროქიმიის დოცენტად. ზურაბ ავალიშვილის Curriculum vitte ჩვენს მიერ უკვე წარმოდგენილია, ხოლო დოცენტ ყაუხჩიშვილის Curriculum vitte და ფაკულტეტის დადგენილების ოქმიდან ამონაწერს ამასთანავე გაახლებთ.

რექტორი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი, 1924 წ. 7.11."

ივ. ჯავახიშვილის აღნიშნული წერილის საფუძველზე საქართველოს სახალხო განათლების კომისარს მიუმართავს საქ. კომისართა საბჭოსათვის, სადაც აღნიშნულია: „სახელმწიფო უნივერსიტეტმა მო-

იწვია სამუშაოდ პროფესორი ზურაბ ავალიშვილი, რომელიც ცხოვრობს ამჟამად პარიზში და დოცენტი მიხეილ ყაუხჩიშვილი (ცხოვრობს ბერლინში).

ვინაიდან ზემოთ დასახელებულნი პირნი მეტად საჭირონი არიან უნივერსიტეტისათვის, გთხოვთ ნებართვა მისცეთ საქართველოში დაბრუნების და აგრეთვე ნივთიერი დახმარება სამგზავრო ხარჯების დასაფარავად, აქვე გაახლებთ ცნობებს მათ შესახებ სამ ფურცელზე".[1] წერილს ხელს აწერს განათლების კომისარი. სამწუხაროდ, ივანე ჯავახიშვილის ცდა უშედეგო გამოდგა, ამიტომ ზ. ავალიშვილს არ ეღირსა სამშობლოში დაბრუნება. მიუხედავად ამისა, მან არაერთი საინტერესო მონოგრაფია, გამოკვლევა და სტატია გამოაქვეყნა საზღვარგარეთ ქართველოლოგიის დარგში. ყურადღების ღირსია პარიზში 1929 წელს გამოცემული წიგნი ზოგადი სათაურით „ჯვაროსანთა დროიდან", რომელიც ოთხი საინტერესო ნარკვევისაგან შედგება. მასში ერთ-ერთი, „გარშემო ერთი ომისა", დიდგორის ბრძოლას ეხება. „დავით აღმაშენებლის ეს ძლევამოსილი ბრძოლა მეცნიერს განხილული აქვს ჯვაროსნულ ომებთან კავშირში. ნიშანდობლივია, რომ ზ. ავალიშვილმა სწორად უჩვენა ის არსებითი განსხვავება, რომელიც ჯვაროსნულ დამპყრობლურ ომებსა და ქართველი ხალხის განმათავისუფლებულ ბრძოლას შორის არსებობდა".[2]

აღსანიშნავია, აგრეთვე, 1931 წელს გამოქვეყნებული გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის საკითხები", სადაც განხილულია რუსთაველის მსოფლმხედველობის თავისებურებანი, 1938 წელს გამოცემული წიგნი „თეიმურაზ I და მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა" და სხვა. ამ ნარკვევებით, არსებითად, ზ. ავალიშვილმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოს დასავლეთ ევროპულ სამყაროსთან ურთიერთობის მეცნიერულ შესწავლას. ამ საქმეში მას ქართულ ისტორიოგრაფიაში მხოლოდ მიხეილ თამარაშვილი თუ უსწრებდა.[3] ზ. ავალიშვილი ქართველ ემიგრანტებთან—ექვთიმე თაყაიშვილთან, მიხეილ თარხნიშვილთან, მიხეილ ყაუხჩიშვილთან, მიხაკო წერეთელთან, გიორგი გვაზავასთან, კალისტრატე სალიასთან და სხვებთან ერთად დიდ მუშაობას ეწეოდა საქართველოს ისტორიის და კულტურის პროპაგანდისათვის უცხოეთში.

იგი გარდაიცვალა 1944 წელს და დაასაფლავეს ქ. შვარცენფილდში. 1948 წ. №2 „ბედი ქართლისა", რომელიც პარიზში გამოდიოდა, იტ-

---

[1] ორცსა, ფონ. 300, აღწ. 2 საქ. №131, ფურც. 20

[2] რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, გვ. 43

[3] გაზ. „კომუნისტი", 1989 წ. 22 თებერვალი

ყობინებოდა: „ინგლისში მყოფ ქართველთა საზოგადოების გამგეობამ 11 ივლისს, ლონდონში, ბერძენთა ეკლესიაში გადაიხადა პანაშვიდი სპირიდონ კედიას, პროფ. ზ. ავალიშვილის, შალვა ამირეჯიბის, ლეო კერესელიძის, ლადო ახმეტელის და გიორგი ჯაჯანაშვილის მოსახსენებლად". ხოლო იგივე ჟურნალის 1954 წ. მეორე ნომერში ნინო სალია წერდა:

„ჩემმა მეგობარმა პროფ. ალექსანდრე ნიკურაძემ[1] შემომჩივლა, რა დაემართება ზურაბ ავალიშვილის საფლავს, როცა მე ჩემი ინსტიტუტით სხვაგან გადავალო". სათუთი გულის პატრონს ალ. ნიკურაძეს დღემდე არ უგრძნობინებია ქართველი მეცნიერისათვის მარტოობა და ობლად ყოფნა, მაგრამ მართლაც ვინ მიაკითხავს მას, როცა პროფ. ალ. ნიკურაძე შვარცენფილდს დატოვებს?!" ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ძალისხმევით 1994 წელს საქართველოს პარლამენტმა შექმნა საგანგებო კომისია, ზ. ავალიშვილის ნეშთი გერმანიიდან საქართველოში ჩამოასვენეს და დიდუბის პანთეონში მშობლიურ მიწას მიაბარეს.

[1] ა. ნიკურაძე იყო ფიზიკოსი (ატომის დარგში). გარდაიცვალა გერმანიაში

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია

შესავალი

1979 წლის 18 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია. იგი, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, ძალაში შევიდა 1981 წლის 3 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც მეოცე ქვეყანამ მოახდინა მისი რატიფიცირება. კონვენციის მეათე წლისთავისათვის, რომელიც 1989 წელს აღინიშნა, თითქმის ასმა სახელმწიფომ გამოხატა თანხმობა, დაეცვა მისი დებულებები.

კონვენციის შემუშავება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოს—ქალთა მდგომარეობის კომისიის 30 წელზე მეტი ხნის მუშაობის კულმინაციური მომენტია. ეს ორგანო დაარსდა 1946 წელს იმ მიზნით, რომ თვალყური ედევნებინა ქალთა მდგომარეობისათვის და ხელი შეეწყო მათ უფლებების განვითარებისათვის. კომისიის საქმიანობას განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ყველა იმ სფეროს გამოვლენისათვის, რაშიც ქალები მოკლებულნი არიან მამაკაცის თანაბარ უფლებებს. მისი ძალისხმევის შედეგად, რომელიც მიმართულია ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, მიღებულია მთელი რიგი დეკლარაციებისა და კონვენციებისა, მათ შორის—ცენტრალური და ყოვლისმომცველია კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ.

კონვენციას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანის უფლებათა სფეროში, იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების პრობლემათა რიგში, რომლებსაც აწყდება კაცობრიობის მდედრობითი ნახევარი. იგი თავის სულიერ საწყისს იღებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებიდან: განამტკიცოს რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, პიროვნების ღირსებისა და ღირებულებებისადმი, ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობისათვის. ამის გამო კონვენცია წარმოადგენს არა მარტო ქალთა უფლებების საერთაშორისო აქტს, არამედ მონაწილე სახელმწიფოთა პროგრამას ამ უფლებათა განხორციელების გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით.

პრეამბულაში კონვენცია არაორაზროვნად აღიარებს, რომ „ძველებურად ხდება ქალთა მნიშვნელოვანი დისკრიმინაცია“, და ხაზგას-

მულია, რომ ასეთი დისკრიმინაცია „არღვევს თანასწორუფლებიანობისა და ადამიანის ღირსების პატივისცემის პრინციპებს". I მუხლში მოცემული განსაზღვრის თანახმად, დისკრიმინაცია გულისხმობს „ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისობას ან შეზღუდვას სქესის ნიშნით... პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, მოქალაქეობრივ ან სხვა რაიმე სფეროში". კონვენცია სრულიად გარკვევით ამტკიცებს თანასწორობის პრინციპს, რომელიც შეიცავს მონაწილე სახელმწიფოებისადმი მიმართულ მოთხოვნას, მიიღონ „ყველა საჭირო ზომა, მათ შორის საკანონმდებლო, რათა უზრუნველყონ ქალთა ყოველმხრივი განვითარება და პროგრესი, მათ მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხორციელება და გამოყენება მამაკაცებთან თანასწორობის საფუძველზე" (მუხლი 3).

თოთხმეტ მომდევნო მუხლში დაკონკრეტებულია, თუ რა არის აუცილებელი გაკეთდეს თანასწორობის უზრუნველსაყოფად. კონვენციის პოზიციიდან, ქალთა მდგომარეობის მიმართ, გამოიყოფა სამი ასპექტი. გამახვილებულია ყურადღება ქალთა სამოქალაქო უფლებებსა და სამართლებრივ სტატუსზე. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა შესახებ სხვა ხელშეკრულებებისაგან განსხვავებით, კონვენცია ეხება, აგრეთვე, მოსახლეობის აღწარმოებისა და სქესთა შორის ურთიერთობაზე კულტურული ფაქტორის ზემოქმედების ასპექტს.

ფართო ყურადღება ეთმობა ქალთა უფლებრივ მდგომარეობას. ინტერესი პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ძირითადი უფლებებისადმი არ ნელდება 1952 წელს ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ კონვენციის მიღების დროიდან. ამის გათვალისწინებით, მისი დებულებები ასახულია განსახილველი დოკუმენტის მე-7 მუხლში, რომლის შესაბამისადაც ქალებს გარანტირებული აქვთ ხმის უფლება, სახელმწიფო პოსტების დაკავებისა და სახელმწიფო ფუნქციების შესრულების უფლებები. ამავე სფეროს განეკუთვნება ის უფლება, რომელიც საშუალებას აძლევს ქალს, თანასწორობის საფუძველზე წარმოადგინოს თავისი ქვეყანა საერთაშორისო დონეზე (მუხლი 8). გათხოვილი ქალის მოქალაქეობის შესახებ 1957 წელს მიღებული კონვენციის დებულებები ასახულია მე-9 მუხლში. იგი ითვალისწინებს ქალის მიერ თავისი მოქალაქეობის შენარჩუნებას, მიუხედავად მისი ოჯახური მდგომარეობისა. ამით კონვენცია ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ ხშირად ქალის უფლებრივი სტატუსი უკავშირდება მის ქორწინებას, რის შედეგადაც იგი უფრო ქმრის მოქალაქეობაზე ხდება დამოკიდებული, ვიდრე სრულუფლებიან მოქალაქედ რჩება. მე-10, მე-11 და მე-13 მუხლებში შესაბამისად მტკიცდება ქალის უფლება, დისკრიმინირებული არ იყოს

განათლების, დასაქმებისა და ეკონომიკურ, აგრეთვე, სოციალური ცხოვრების სფეროებში. ამ მოთხოვნებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოფელ ადგილას მცხოვრებ ქალთა მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელთა განსაკუთრებული პრობლემები და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური წვლილი, როგორც აღნიშნულია მე-14 მუხლში, მოითხოვს დიდ ყურადღებას პოლიტიკის დაგეგმვისას. მე-15 მუხლში დადასტურებულია ქალთა სრული თანასწორობა სამოქალაქო და კომერციულ საქმეებში. იგი შეიცავს აგრეთვე მოთხოვნას „გაუქმებულად ჩაითვალოს" ყველა დოკუმენტი, რომელიც მიმართული ქალთა უფლებაუნარიანობის შეზღუდვისაკენ. ბოლოს, მე-16 მუხლში კონვენცია კვლავ ეხება ქორწინებისა და ოჯახური ურთიერთობის საკითხს, როდესაც ადასტურებს ქალთა და მამაკაცთა თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს მეუღლის არჩევისას, მშობელთა ფუნქციების შესრულებისას შვილების მიმართ, პირად უფლებებს და ქონების განკარგვის უფლებებს.

სამოქალაქო უფლებების საკითხების გვერდით, კონვერციაში სერიოზული ყურადღება ეთმობა ქალებისათვის ისეთ უაღრესად მნიშვნელოვან ასპექტს, როგორიც არის მათი უფლებები აღწარმოების სფეროში. ამ საკითხთან დაკავშირებით ტონს იძლევა პრეამბულა, რომელშიც მითითებულია, რომ „ქალის როლი თაობის გაგრძელებაში არ უნდა იყოს დისკრიმინაციის მიზეზი". კონვენცია არაერთგზის უბრუნდება დისკრიმინაციასა და რეპროდუქციულ ქცევას შორის კავშირის თემას. მაგალითად, მე-5 მუხლში მითითებულია აუცილებლობა „უზრუნველყონ...დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის სწორი გაგება". იგი შეიცავს აგრეთვე მოთხოვნას, რომ ორივე სქესს შორის სრულად იყოს განაწილებული პასუხისმგებლობა შვილების აღზრდისათვის. ამის შესაბამისად, აღიარებულია დედობისა და ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული პრინციპები, როგორც ძირითადი. კონვენციის ყველა ნაწილი, რაზეც უნდა იყოს მასში საუბარი: დაქირავებაზე, ოჯახურ უფლებებზე, ჯანმრთელობის დაცვასა თუ განათლებაზე, შეიცავს დამატებით შენიშვნებს აღნიშნულის თაობაზე. რეკომენდირებულია და „არ ითვლება დისკრიმინაციულად" სპეციალური ზომები, რომელთა მიზანია დედობის დაცვა (მუხლი 4). კონვენცია ამტკიცებს აგრეთვე ქალის უფლებას, გააკეთოს არჩევანი ბავშვის დაბადების საკითხში. უნდა აღინიშნოს, რომ კონვენცია ერთადერთია ადამიანის უფლებათა შესახებ ხელშეკრულებებს შორის, რომელშიც მოიხსენიება ოჯახის დაგეგმვის საკითხი. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ოჯახის სიდიდის დაგეგმვის შესახებ კონსულტაციები შეიტანონ სწავ-

ლების პროცესში (მუხლი 10h) და შეიმუშაონ ოჯახური კოდექსები, რომლებიც გარანტიას მისცემენ ქალებს, ჰქონდეთ უფლება „თავისუფლად და პასუხისმგებლობით წყვეტდნენ შვილების რაოდენობისა და მათ დაბადებას შორის დროის შუალედების საკითხს და ჰქონდეთ ინფორმაციის, განათლების მიღებისა და იმ საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობა, რომლებიც ხელს უწყობს მათ ამ უფლების განხორციელებაში" (მუხლი 16)

მესამე ზოგადი მითითება, რომელზეც ორიენტირებულია კონვენცია, არის ადამიანის უფლებათა გაფართოებული გაგება. მასში ოფიციალურად აღიარებულია კულტურული გარემოსა და ტრადიციების როლი ქალთა მიერ თავიანთი ძირითადი უფლებების სრულად გამოყენების შეზღუდვასთან დაკავშირებით. ეს ძალები თავს იჩენენ ისეთი ფორმებით, როგორიცაა სტერეოტიპული წარმოდგენები, ჩვეულებები და ნორმები, რომლებიც მრავალრიცხოვან სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაბრკოლებებს ქმნიან ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების გზაზე. როდესაც აღნიშნავს ამ ურთიერთკავშირს, კონვენციის პრეამბულა ხაზს უსვამს, „რომ მამაკაცთა და ქალთა სრული თანასწორობის მისაღწევად საჭიროა საზოგადოებასა და ოჯახში, როგორც მამაკაცის, ისე ქალის ტრადიციული როლის შეცვლა". ამასთან დაკავშირებით, მონაწილე სახელმწიფოებს ევალებათ ეცადონ შეცვალონ მამაკაცთა და ქალთა ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები იმ ცრურწმენების აღმოფხვრისა და იმ ადათ-წესებისა და სხვა პრაქტიკის გაუქმების მიზნით, რომლებსაც საფუძვლად უდევს ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის, ან მამაკაცთა და ქალთა სტერეოტიპულობის იდეა" (მუხლი 5). შემდეგ, მე-10 მუხლის c) პუნქტით ევალებათ, გადასინჯონ სახელმძღვანელოები, სკოლის პროგრამები და სწავლების მეთოდები განათლების დარგში სტერეოტიპული კონცეფციების თავიდან აცილების მიზნით. ბოლოს, კონვენციის ყველა დებულება, რომელშიც დადასტურებულია ორივე სქესის თანასწორი მოვალეობანი, როგორც ოჯახურ ცხოვრებაში, ისე განათლებისა და დაქირავების სფეროში, სერიოზულად არის მიმართული კულტურის დარგში არსებული შაბლონების წინააღმდეგ, საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროს მამაკაცის პრეროგატივად რომ მიიჩნევს, ხოლო სახლს—ქალის საქმიანობის ასპარეზად. მთლიანად კონვენცია წარმოადგენს ყოვლისმომცველ სტრუქტურას და საშუალებას იძლევა, ბრძოლა გამოეცხადოს სხვადასხვა ძალას, რომლებიც ეწევიან ან მხარს უჭერენ დისკრიმინაციას სქესის ნიშნით.

კონვენციის შესრულების კონტროლს განახორციელებს ქალთა დის-

კრიმინაციის სალიკვიდაციო კომიტეტი. კომიტეტის მანდატსა და ხელშეკრულების შესრულების წესს განსაზღვრავს კონვენციის 17-30-ე მუხლები. კომიტეტი შედგება მთავრობების მიერ წამოყენებული და მონაწილე სახელმწიფოების მიერ არჩეული 23 ექსპერტისაგან, რომლებსაც „აქვთ მაღალი მორალური თვისებები და კომპეტენტურნი არიან სფეროში, რომელსაც ეს კონვენციას მოიცავს".

გათვალისწინებულია, რომ მონაწილე სახელმწიფოები კომიტეტს, სულ ცოტა, ყოველი ოთხი წლის შემდეგ მოხსენებას წარუდგენენ ქვეყნების შესახებ, რომლებშიც აცნობებენ მათ მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს კონვენციის დებულებათა შესასრულებლად. ყოველწლიურ სესიებზე კომიტეტის წევრები განიხილავენ ამ მოხსენებას მთავრობათა წარმომადგენლებთან ერთად და სწავლობენ კონკრეტული ქვეყნების შემდგომი მოქმედების გზებს. გარდა ამისა, კომიტეტს გამოაქვს საერთო რეკომენდაციები მონაწილე სახელმწიფოებისათვის ქალთა დისკრიმინაციის ლიკვიდაციის საკითხებთან დაკავშირებით.

ქვემოთ მოყვანილია კონვენციის სრული ტექსტი.

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია

ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც

ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებამ კვლავ განამტკიცა რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, ადამიანის პიროვნული ღირსებისა და ღირებულებებისადმი და მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობისადმი,

ითვალისწინებენ, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ადასტურებს დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპს და აცხადებს, რომ ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანაბარი თავისი ღირსებითა და უფლებებით და რომ ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება სრულიად განუსხვავებლად, მათ შორის სქესის განუსხვავებლად,

ღებენ მხედველობაში საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის ხელშეწყობის მიზნით დაიდო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და სპეციალიზებული დაწესებულებების ეგიდით,

ითვალისწინებენ აგრეთვე რეზოლუციებს, დეკლარაციებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებია-

ნობისათვის ხელშეწყობის მიზნით მიიღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და სპეციალიზებულმა დაწესებულებებმა,

ამავე დროს გამოთქვამენ წუხილს, რომ ამ სხვადასხვა დოკუმენტების მიუხედავად, წინანდებურად ხდება ქალთა მნიშვნელოვანი დისკრიმინაცია,

შეახსენებენ, რომ ქალთა დისკრიმინაცია არღვევს თანასწორუფლებიანობისა და ადამიანური ღირსების პატივისცემის პრინციპებს, ხელს უშლის მამაკაცთან თანაბრად ქალის მონაწილეობას თავისი ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, საზოგადოებისა და ოჯახის კეთილდღეობის ზრდას და კიდევ უფრო აძნელებს თავიანთი ქვეყნებისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ ქალთა შესაძლებლობის სრულად გამოვლენას,

შეწუხებული არიან, რომ სიღარიბის პირობებში ქალებს ნაკლებად მიუწვდებად ხელი სურსათზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, განათლებაზე, პროფესიულ მომზადებასა და შრომითი მოწყობის შესაძლებლობაზე, აგრეთვე სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე,

დარწმუნებული არიან, რომ თანასწორობისა და სამართლიანობის საფუძველზე ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წყობის დადგენა საგრძნობლად შეუწყობს ხელს მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის უზრუნველყოფას,

ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ აპარტეიდის, ყველა ფორმის რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის, აგრესიის, უცხოეთის ოკუპაციისა და ბატონობის და სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის აღმოფხვრა აუცილებელია მამაკაცთა და ქალთა უფლებების სრული განხორციელებისათვის,

ადასტურებენ, რომ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა მათი სოციალური და ეკონომიკური სისტემების მიუხედავად, საყოველთაო და სრული განიარაღება და, განსაკუთრებით, ბირთვული განიარაღება მკაცრი, ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლით, ქვეყნებს შორის ურთიერთობაში სამართლიანობის, თანასწორობის, ურთიერთსარგებლობის პრინციპების დამკვიდრება, უცხოეთის და კოლონიური ბატონობის ქვეშ მყოფი ხალხების თვითგამორკვევის და დამოუკიდებლობის უფლებების განხორციელება, აგრეთვე ეროვნული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა ხელს შეუწყობს სოციალურ პროგრესსა და განვითარებას, ეს კი, თავის მხრივ—მამაკაცებსა და ქალებს შორის სრული თანასწორობის მიღწევას,

დარწმუნებული არიან, რომ ქვეყნის სრული განვითარება, მთელი

მსოფლიოს კეთილდღეობა და მშვიდობის საქმე მოითხოვს ყველა სფეროში მამაკაცთა თანაბრად ქალთა მაქსიმალურ მონაწილეობას,

ითვალისწინებენ ოჯახის კეთილდღეობასა და საზოგადოების განვითარებაში ქალთა წვლილის მნიშვნელობას, რომელსაც დღემდე არ მოუპოვებია სრული აღიარება, დედობისა და ოჯახში ბავშვთა აღზრდაში ორივე მშობლის როლის სოციალურ მნიშვნელობას და შეგნებული აქვთ, რომ ქალის როლი თაობის გაგრძელებაში არ უნდა იყოს დისკრიმინაციის მიზეზები, ვინაიდან ბავშვის აღზრდა მოითხოვს მამაკაცთა და ქალთა და მთლიანად საზოგადოების ერთობრივ პასუხისმგებლობას,

აღიარებენ, რომ მამაკაცთა და ქალთა სრული თანასწორობის მისაღწევად საჭიროა საზოგადოებასა და ოჯახში როგორც მამაკაცის, ისე ქალის ტრადიციული როლის შეცვლა,

მზად არიან განახორციელონ ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის დეკლარაციაში გამოცხადებული პრინციპები და ამ მიზნით მიიღონ ზომები, რომლებიც საჭიროა ასეთი დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რა ფორმითაც უნდა ვლინდებოდეს იგი,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I

მუხლი I

ამ კონვენციის მიზნებისათვის ცნება „ქალთა დისკრიმინაცია" ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისობას ან შეზღუდვას სქესის ნიშნით, რომელიც ლახავს ან არარად აქცევს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, მოქალაქეობრივ ან სხვა რაიმე სფეროში მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ქალთა მიერ,—მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად,—ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლების აღიარებას, სარგებლობასა და განხორციელებას.

მუხლი 2

მონაწილე სახელმწიფოები გმობენ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმას, შეთანხმდნენ, ყველა საჭირო საშუალებით განუხრელად განახორციელონ ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის პოლიტიკა და ამ მიზნით კისრულობენ ვალდებულებას, რომ:

a) მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს შეიტანენ თავიანთ ეროვნულ კონსტიტუციებში ან სხვა შესაბამის კანონ-

მდებლობაში, თუ ეს ჯერ არ გაუკეთებიათ, და კანონის და სხვა შესაბამისი საშუალებებით უზრუნველყოფენ ამ პრინციპის პრაქტიკულ განხორციელებას;

b) მიიღებენ შესაბამის საკანონმდებლო და სხვა ზომებს, მათ შორის—სანქციებს, იქ, სადაც ეს საჭიროა, რომლებიც აკრძალავენ ქალთა ყოველგვარ დისკრიმინაციას;

c) დააწესებენ ქალთა უფლებების იურიდიულ ხელშეუხებლობას მამაკაცებთან თანაბარ საფუძველზე და კომპეტენტური ეროვნული სასამართლოების და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით უზრუნველყოფენ ქალთა ეფექტიან დაცვას დისკრიმინაციის ნებისმიერი აქტისაგან;,

d) თავს შეიკავებენ ქალთა მიმართ რაიმე დისკრიმინაციული აქტის ან მოქმედების ჩადენისაგან და უზრუნველყოფენ, რომ სახელმწიფო ორგანოები და დაწესებულებები მოქმედებდნენ ამ ვალდებულების შესაბამისად;

e) მიიღებენ ყველა საჭირო ზომას რომელიმე პირის, ორგანიზაციის ან საწარმოსადმი ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად;

f) მიიღებენ ყველა საჭირო ზომას, მათ შორის საკანონმდებლოს, იმ მოქმედი კანონების, დადგენილებების, ადათ-წესების და პრაქტიკის შესაცვლელად ან გასაუქმებლად, რომლებითაც დაშვებულია ქალთა დისკრიმინაცია;

g) გააუქმებენ თავიანთი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ყველა დებულებას, რომლებიც უშვებენ ქალთა დისკრიმინაციას.

მუხლი 3

მონაწილე სახელმწიფოები ყველა სფეროში, სახელდობრ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში, იღებენ ყველა საჭირო ზომას, მათ შორის, საკანონმდებლოს, რათა უზრუნველყონ ქალთა ყოველმხრივი განვითარება და პროგრესი, მათ მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხორციელება და გამოყენება მამაკაცებთან თანასწორობის საფუძველზე.

მუხლი 4

1. მონაწილე სახელმწიფოების მიერ დროებითი სპეციალური ზომების მიღება, რომელთა მიზანია მამაკაცთა და ქალთა ფაქტობრივი თანასწორობის დამყარების დაჩქარება, არ ითვლება, როგორც ეს განსაზღვრულია ამ კონვენციით, დისკრიმინაციულად, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იწვევდეს არათანასწორუფლებიანი ან

დიფერენცირებული სტანდარტების შენარჩუნებას; ეს ზომები უნდა გაუქმდეს, როცა მიღწეული იქნება შესაძლებლობათა თანასწორობის და თანასწორუფლებიანი ურთიერთობის მიზნები.

2. მონაწილე სახელმწიფოების მიერ სპეციალური ზომების მიღება, რომელთა მიზანია დედობის დაცვა, მათ შორის, იმ ზომების მიღება, რომლებსაც ეს კონვენცია შეიცავს, არ ითვლება დისკრიმინაციულად.

მუხლი 5

მონაწილე სახელმწიფოები ყველა საჭირო ზომას იღებენ, რათა:

a) შეცვალონ მამაკაცთა და ქალთა ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები იმ ცრურწმენების აღმოფხვრისა და იმ ადათ-წესების თუ სხვა იმგვარი პრაქტიკის გაუქმების მიზნით, რომლებსაც საფუძვლად უდევს ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის, ან მამაკაცთა და ქალთა სტერეოტიპულობის იდეა;

b) უზრუნველყონ, რომ ოჯახური აღზრდა შეიცავდეს დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის, სწორ გაგებას და მამაკაცთა და ქალთა საერთო პასუხისმგებლობის აღიარებას თავიანთი შვილების აღზრდისა და განვითარებისათვის იმ პირობით, რომ ყველა შემთხვევაში უმთავრესია ბავშვთა ინტერესები.

მუხლი 6

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას, მათ შორის––საკანონმდებლოს, ქალებით ვაჭრობის და ქალთა პროსტიტუციის ექსპლუატაციის ყოველგვარ სახეობათა აღსაკვეთად.

ნაწილი II

მუხლი 7

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად და; სახელდობრ, ქალებისათვის, მამაკაცებთან თანაბარ პირობებში, უზრუნველყოფენ უფლებას, რომ:

a) ხმა მისცენ ყველა არჩევნებსა და საჯარო რეფერენდუმებში და არჩეულ იქნენ ყველა საჯაროდ არჩეულ ორგანოში;

b) მონაწილეობდნენ მთავრობის პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში და დაიკავონ სახელმწიფო პოსტები, აგრეთვე, შეასრულონ ყველა სახელმწიფო ფუნქცია სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე;

c) მიიღონ მონაწილეობა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასო-

ციაციების საქმიანობაში, რომლებიც ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების პრობლემებზე მუშაობენ.

მუხლი 8

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას, რათა ქალებისათვის, მამაკაცებთან თანაბარ პირობებში და რაიმე დისკრიმინაციის გარეშე, უზრუნველყონ იმის შესაძლებლობა, რომ წარმომადგენლობდნენ თავიანთ მთავრობებს საერთაშორისო დონეზე და მონაწილეობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში.

მუხლი 9

მონაწილე სახელმწიფოები ქალებს ანიჭებენ მამაკაცებთან თანაბარ უფლებას, მიიღონ, შეიცვალონ ან შეინარჩუნონ მათი მოქალაქეობა. ისინი, კერძოდ, უზრუნველყოფენ, რომ არც უცხოელთან ქორწინება, არც ქმრის მოქალაქეობის შეცვლა ქორწინების დროს არ იწვევს ცოლის მოქალაქეობის ავტომატურად შეცვლას, არ აქცევს მას მოქალაქეობის არმქონე პირად და არ შეიძლება აიძულონ იგი მიიღოს ქმრის მოქალაქეობა.

2. მონაწილე სახელმწიფოები ქალებს ანიჭებენ მამაკაცებთან თანაბარ უფლებას მათი შვილების მოქალაქეობის მიმართ.

ნაწილი III

მუხლი 10

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას იმისათვის, რომ აღმოფხვრან ქალთა დისკრიმინაცია, რათა მათთვის უზრუნველყონ მამაკაცებთან თანაბარი უფლება განათლების სფეროში, კერძოდ, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ:

a) პროფესიის ან სპეციალობის არჩევაში ორიენტაციის, და როგორც სასოფლო, ისე ქალაქის რაიონებში ყველა კატეგორიის უმაღლეს სასწავლებელში განათლების დიპლომების მიღების ერთნაირი პირობები; ამ თანასწორობის უზრუნველყოფა ხდება სკოლამდელი, ზოგადი, სპეციალური და უმაღლესი ტექნიკური განათლების, აგრეთვე—ყველა სახეობის პროფესიულ მომზადების სფეროში,

b) ერთნაირი სასწავლო პროგრამების, ერთნაირი გამოცდების, ერთნაირი კვალიფიკაციის მასწავლებელთა შემადგენლობის, თანაბარი ხარისხის სასკოლო შენობების და მოწყობილობის მისაწვდომობა;

c) სწავლების ყველა დონეზე და ყველა ფორმაში მამაკაცთა და

ქალთა როლის ნებისმიერი სტერეოტიპური კონცეფციის აღმოფხვრა ერთობლივი სწავლების და სწავლების სხვა სახეობათა წახალისების გზით, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ მიზნის მიღწევას, და, კერძოდ, სახელმძღვანელოების და სასკოლო პროგრამების გადასინჯვის და სწავლების მეთოდების ადაპტაციის გზით;

d) განათლებისათვის სტიპენდიების და სხვა დახმარებების მიღების თანაბარი შესაძლებლობანი;

e) განათლების მიღების გაგრძელების პროგრამების, უფროსი ასაკის ადამიანთა შორის წერა-კითხვის გავრცელების პროგრამების და ფუნქციური წიგნიერების პროგრამების მისაწვდომობის თანაბარი შესაძლებლობანი, რომელთა მიზანია, კერძოდ, მამაკაცთა და ქალთა ცოდნაში ნებისმიერი განსხვავების რაც შეიძლება მალე შემცირება;

d) სკოლადაუმთავრებელ გოგონათა რიცხვის შემცირება და იმ გოგონებისა და ქალებისათვის პროგრამების შემუშავება, რომლებმაც ნაადრევად დაანებეს თავი სკოლას;

g) სპორტულ მეცადინეობებსა და ფიზიკურ მომზადებაში აქტიური მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობანი;

h) საგანმანათლებლო ხასიათის სპეციალური ინფორმაციის, მათ შორის—ოჯახის სიდიდის დაგეგმვის შესახებ ინფორმაციის და კონსულტაციების მისაწვდომობა ოჯახთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 11

I. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას დასაქმების სფეროში ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რათა მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ თანაბარი უფლებები, კერძოდ:

a) შრომის უფლება, როგორც ყველა ადამიანის განუყოფელი უფლება;

b) სამუშაოზე დაქირავებისას თანაბარი შესაძლებლობის უფლება, მათ შორის—დაქირავებისას შერჩევის ერთნაირი კრიტერიუმების გამოყენება;

c) პროფესიის ან სამუშაოს სახეობის თავისუფლად არჩევის, თანამდებობრივი დაწინაურების და დასაქმების გარანტიის, აგრეთვე სამუშაოს ყველა შეღავათის და პირობების გამოყენების, პროფესიული მომზადების და გადამზადების, მათ შორის—მოწაფეობის, გაზრდილი დონის პროფესიული მომზადების და რეგულარული გადამზადების უფლება;

d) თანაბარი ანაზღაურების, მათ შორის—შეღავათების, თანაბარი

ღირებულების შრომის მიმართ თანაბარი პირობების, აგრეთვე მუშაობის ხარისხის შეფასებისადმი თანაბარი მიდგომის უფლება;

e) სოციალური უზრუნველყოფის უფლება, კერძოდ, პენსიაზე გასვლის, უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, მოხუცებულობის და შრომისუნარიანობის დაკარგვის სხვა შემთხვევებში, აგრეთვე ანაზღაურებადი შვებულების უფლება;

f) ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხო პირობების, მათ შორის—თაობის გაგრძელების ფუნქციის შენარჩუნების უფლება;

2. გათხოვების ან დედობის გამო ქალთა მიმართ დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და მათთვის შრომის ეფექტიანი უფლების გარანტირების მიზნით მონაწილე სახელმწიფოები იღებენ საჭირო ზომებს, რათა:

a) სანქციების გამოყენების მუქარით აიკრძალოს სამუშაოდან დათხოვნა ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების საფუძველზე ან დისკრიმინაცია დათხოვნის დროს ოჯახური მდგომარეობის გამო;

b) შემოიღონ ანაზღაურებადი შვებულება ან შვებულება ორსულობის და მშობიარობის გამო შეპირისპირებადი სოციალური დახმარებით ადრინდელი სამუშაო ადგილის, უმცროს-უფროსობის ან სოციალური დახმარების დაუკარგავად;

c) წაახალისონ საჭირო დამატებითი სოციალური მომსახურების გაწევა, რათა მშობლებს მიეცეთ ოჯახური მოვალეობის შესრულების შრომით საქმიანობასთან შეთავსების და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალება, კერძოდ—საბავშვო დაწესებულების ქსელის შექმნისა და გაფართოების გზით;

d) უზრუნველყონ ქალთა განსაკუთრებული დაცვა ორსულობის პერიოდში იმ სახეობის სამუშაოზე, რომელთა მავნეობა მათი ჯანმრთელობისათვის დამტკიცებულია.

3. კანონმდებლობა, რომელიც ამ მუხლში აღნიშნულ უფლებათა დაცვას ეხება, პერიოდულად განიხილება სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის დონეზე, აგრეთვე გადაისინჯება, უქმდება ან ფართოვდება, რამდენადაც ამას საჭიროება მოითხოვს.

მუხლი 12

1. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რათა მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ სამედიცინო მომსახურების მისაწვდომობა, კერძოდ, ოჯახის სიდიდის დაგეგმვის საკითხში.

2. ამ მუხლის I პუნქტის დებულებებთან ერთად მონაწილე სახელ-

მწიფოები ქალებისთვის უზრუნველყოფენ შესაბამის მომსახურებას ორსულობის, მშობიარობის და მშობიარობის შემდგომ პერიოდში, როცა ეს საჭიროა, უწევენ უფასო მომსახურებას, აგრეთვე უზრუნველყოფენ შესაბამის კვებას ორსულობისა და მეძუძურობისას.

მუხლი 13

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ საჭირო ზომებს ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სხვა სფეროებში, რათა მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ თანაბარი უფლებები, კერძოდ:

a) საოჯახო დახმარების უფლება;

b) ფულადი სესხების, უძრავი ქონების გირავნობით სესხის და სხვა ფორმის საფინანსო კრედიტების მიღების უფლება;

c) დასვენებასთან, სპორტულ მეცადინეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებებსა და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში მონაწილეობის უფლება.

მუხლი 14

1. მონაწილე სახელმწიფოები ითვალისწინებენ განსაკუთრებულ პრობლემებს, რომლებსაც აწყდებიან სოფლად მცხოვრები ქალები, და მნიშვნელოვან როლს, რომლებსაც ისინი ასრულებენ თავიანთი ოჯახების ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფაში, მათ შორის—მათს საქმიანობას მეურნეობის უსაქონლო დარგებში, და იღებენ საჭირო ზომებს სოფლად მცხოვრები ქალების მიმართ ამ კონვენციის დებულებათა გამოსაყენებლად.

2. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას სასოფლო რაიონებში ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რათა მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ მათი მონაწილეობა სასოფლო რაიონების განვითარებასა და ასეთი განვითარებისაგან სარგებლის მიღებაში, და, კერძოდ, ასეთ ქალებს უზრუნველყოფენ იმის უფლებით, რომ:

a) ყველა დონეზე მონაწილეობდნენ განვითარების გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში;

b) სარგებლობდნენ შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით, მათ შორის—ოჯახის სიდიდის დაგეგმვის საკითხებზე ინფორმაციით, კონსულტაციითა და მომსახურებით;

c) უშუალოდ სარგებლობდნენ სოციალური დაზღვევის პროგრამების სიკეთით.

d) იღებდნენ ყველა სახეობის მომზადებას და ფორმალურ და არა-

ფორმალურ განათლებას, მათ შორის—ეუფლებოდნენ ფუნქციურ წიგნიერებას, აგრეთვე—სარგებლობდნენ სათემო მომსახურების ყველა საშუალებით, სოფლის მეურნეობის საკითხებზე საკონსულტაციო სამსახურით, კერძოდ, მათი ტექნიკური დონის ასამაღლებლად;

e) ჩამოაყალიბონ თვითდახმარების ჯგუფები და კოოპერატივები, რათა უზრუნველყონ ეკონომიკურ შესაძლებლობათა თანაბარი მისაწვდომობა დაქირავებული მუშაობით ან დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობით;

f) მონაწილეობდნენ ყველა სახეობის კოლექტიურ საქმიანობაში;

g) სარგებლობდნენ სასოფლო-სამეურნეო კრედიტებითა და სესხებით, გასაღების სისტემით, შესაბამისი ტექნოლოგიით და თანაბარი სტატუსით მიწისა და აგრარულ რეფორმებში, აგრეთვე მიწებზე დასახლების გეგმებში;

h) სარგებლობდნენ ცხოვრების ჯეროვანი პირობებით, განსაკუთრებით—საბინაო პირობებით, სანიტარული მომსახურებით, ელექტრო და წყალმომარაგებით, აგრეთვე ტრანსპორტით და კავშირგაბმულობის საშუალებებით;

ნაწილი IV

მუხლი 15

1. მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ კანონის წინაშე ქალების თანასწორობას მამაკაცებთან.

2. მონაწილე სახელმწიფოები ქალებს ანიჭებენ მამაკაცებთან თანაბარ სამოქალაქო უფლებაუნარიანობას და მისი განხორციელების თანაბარ შესაძლებლობებს. ისინი, კერძოდ, მათთვის უზრუნველყოფენ თანაბარ უფლებებს ხელშეკრულების დადებისას და ქონების მართვის საკითხში, აგრეთვე თანაბარ დამოკიდებულებას მათდამი სასამართლოებსა და ტრიბუნალებში გარჩევის ყველა ეტაპზე.

3. მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ ძალადაკარგულად ითვლება ყველა ხელშეკრულება და ყველა სახვა კერძო საბუთი, რომელიც თავისი სამართლებრივი შედეგით ზღუდავს ქალთა უფლებაუნარიანობას.

4. მონაწილე სახელმწიფოები მამაკაცებსა და ქალებს თანაბარ უფლებებს ანიჭებენ კანონმდებლობის მიმართ, რომელიც ეხება პირთა გადაადგილებას და საცხოვრებელი ადგილის არჩევას.

მუხლი 16

1. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის ყველა საჭირო ზომას, რომლებიც ეხება ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობას, და, კერძოდ, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყოფენ:

a) ქორწინების თანაბარ უფლებას;

b) მეუღლის თავისუფლად არჩევის და მხოლოდ თავისუფალი და სრული თანხმობით ქორწინების თანაბარ უფლებას;

c) ქორწინების პერიოდში და განქორწინების დროს თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს;

d) მამაკაცებისა და ქალების, როგორც მშობლების, თანაბარ უფლებებს, მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, ყველა საკითხში, რომლებიც მათ შვილებს ეხება; შვილთა ინტერესები ყველა შემთხვევაში უმთავრესია;

e) თანაბარ უფლებას და მოვალეობას, რომ თავისუფლად და პასუხისმგებლობით წყვეტდნენ შვილების რაოდენობისა და მათს დაბადებას შორის დროის შუალედების საკითხს და რომ ჰქონდეთ ინფორმაციის, განათლების მიღების, აგრეთვე იმ საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობა, რომლებიც ხელს უწყობს მათ ამ უფლების განხორციელებაში;

f) თანაბარ უფლებას და მოვალეობას, რომ იყვნენ ბავშვთა მეურვეები, მზრუნველები, მრწმუნებლები, მშვილებლები ან ახორციელებდნენ ანალოგიურ ფუნქციებს, როცა ისინი გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით; ყველა შემთხვევაში, უმთავრესია შვილთა ინტერესები;

g) ცოლისა და ქმრის თანაბარ პირად უფლებებს, მათ შორის—გვარის, პროფესიის და საქმიანობის არჩევის უფლებას;

h) მეუღლეთა თანაბარ უფლებას ქონების ფლობის, შეძენის, მართვის, გამოყენების და მისი უფასო და ფასიანი განკარგვის მიმართ.

2. ბავშვის ნიშნობას ან ქორწინებას იურიდიული ძალა არა აქვს და მიიღება ყველა საჭირო ზომა, მათ შორის—საკანონმდებლო, ქორწინების მინიმალური ასაკის განსაზღვრის და სამოქალაქო მდგომარეობის აქტებში ქორწინების სავალდებულო რეგისტრაციის მიზნით.

ნაწილი V

მუხლი 17

1. ამ კონვენციის შესრულების მიმდინარეობის განსახილველად ფუძნდება ქალთა დისკრიმინაციის სალიკვიდაციო კომიტეტი (შემ-

დგომში კომიტეტად წოდებული). იგი კონვენციის ძალაში შესვლის მომენტში შედგება თვრამეტი, ხოლო ოცდამეთხუთმეტე მონაწილე სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიკაცის ან მასთან შეერთების შემდეგ, ოცდასამი ექსპერტისგან, რომლებსაც აქვთ მაღალი მორალური თვისებები და კომპეტენტურნი არიან სფეროში, რომელსაც ეს კონვენცია მოიცავს. ამ ექსპერტებს ირჩევენ მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ მოქალაქეთაგან და მოქმედებენ დამოუკიდებლად, ამასთან, გაითვალისწინება სამართლიანი გეოგრაფიული განაწილება და ცივილიზაციის სხვადასხვა ფორმების, აგრეთვე—ძირითადი სამართლებრივი სისტემების წარმომადგენლობა.

2. კომიტეტის წევრებს ფარული კენჭისყრით ირჩევენ სიაში შეტანილ იმ პირთაგან, რომლებიც მონაწილე სახელმწიფოებმა დაასახელეს. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია დაასახელოს ერთი პირი თავის მოქალაქეთაგან.

3. თავდაპირველი არჩევნები ეწყობა ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან ექვსი თვის შემდეგ. ყოველი არჩევნების მოწყობის თარიღამდე, სულ ცოტა, სამი თვით ადრე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მონაწილე სახელმწიფოებს უგზავნის წერილს, რომელიც შეიცავს წინადადებას, წარმოადგინონ თავიანთი კანდიდატურები ორი თვის განმავლობაში. გენერალური მდივანი ადგენს სიას, რომელშიც ანბანური წესით შეაქვს ყველა წარმოდგენილი პირის გვარები იმ მონაწილე სახელმწიფოთა აღნიშნვით, რომლებმაც ისინი დაასახელეს, და ამ სიას წარუდგენს მონაწილე სახელმწიფოებს.

4. კომიტეტის წევრთა არჩევნები ეწყობა მონაწილე სახელმწიფოთა სხდომაზე, რომელსაც იწვევს გენერალური მდივანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებში. ამ სხდომაზე, რომლის ქვორუმსაც მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედი შეადგენს, კომიტეტში არჩეულ პირებად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ ხმათა ყველაზე მეტ რაოდენობას და სხდომაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას.

5. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ოთხი წლის ვადით, ოღონდ პირველ არჩევნებში არჩეული ცხრა წევრის უფლებამოსილებას ვადა გაუდის ორი წლის შემდეგ; პირველი არჩევნების მოწყობისთანავე ამ ცხრა წევრის გვარებს ასახელებს კომიტეტის თავმჯდომარე წილისყრით.

6. კომიტეტის დამატებითი 5 წევრის არჩევა ხდება ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების დებულებათა შესაბამისად ოცდამეთხუთმე-

ტე სახელმწიფოს მიერ კონვენციის რატიფიკაციის და მასთან შეერთების შემდეგ. ამრიგად არჩეულ ორ დამატებით წევრს უფლებამოსილების ვადა გაუდის ორი წლის შემდეგ; ამ ორის წევრის გვარს ასახელებს კომიტეტის თავმჯდომარე წილისყრით.

7. გაუთვალისწინებელი ვაკანსიების შესავსებად, მონაწილე სახელმწიფო, რომლის ექსპერტმა შეწყვიტა ფუნქციონირება როგორც კომიტეტის წევრმა, ნიშნავს სხვა ექსპერტს თავის მოქალაქეთაგან, იმ პირობით, რომ მას მხარს დაუჭერს კომიტეტი.

8. კომიტეტის წევრები იღებენ გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებულ გასამრჯელოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახსრებიდან, იმ წესითა და პირობებით, რომლებსაც ადგენს ასამბლეა კომიტეტის მოვალეობათა მნიშვნელობის გათვალისწინებით.

9. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უზრუნველყოფს საჭირო პერსონალსა და მატერიალურ საშუალებებს ამ კონვენციის შესაბამისად კომიტეტის მიერ თავისი ფუნქციების ეფექტიანი განხორციელებისათვის.

მუხლი 18

1. მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კომიტეტში განსახილველად წარუდგინონ მოხსენება საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მათ განახორციელეს ამ კონვენციის დებულებათა შესასრულებლად, და პროგრესის შესახებ, რომელსაც ამასთან დაკავშირებით მიაღწიეს:

a) დაინტერესებული სახელმწიფოსთვის ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან ერთი წლის განმავლობაში;

b) ამის შემდეგ, სულ ცოტა, ყოველი ოთხი წლის მერე და შემდგომში, როცა ამას კომიტეტი მოითხოვს.

2. მოხსენებაში შეიძლება აღინიშნოს ფაქტორები და სიძნელეები, რომლებიც გავლენას ახდენს ამ კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებაზე.

მუხლი 19

1. კომიტეტი პროცედურის თავის საკუთარ წესებს ამტკიცებს.

2. კომიტეტი თავის თანამდებობის პირებს ორი წლით ირჩევს.

მუხლი 20

1. კომიტეტი ყოველწლიურად მართავს სხდომებს, როგორც წესი, არაუხანგრძლივესს, ვიდრე ორკვირიანს, რათა განიხილოს ამ კონვენ-

ციის მე-18 მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი მოხსენებები

2. კომიტეტის სხდომები, როგორც წესი, იმართება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებში ან ნებისმიერ სხვა შესაფერის ადგილას, რომელსაც კომიტეტი განსაზღვრავს.

მუხლი 21

1. კომიტეტი ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით ყოველწლიურად წარუდგენს მოხსენებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას თავისი საქმიანობის შესახებ. შეუძლია შეიტანოს ზოგადი ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები, რომლებიც დაფუძნებული იქნება მონაწილე სახელმწიფოებისგან მიღებული მოხსენებებისა და ინფორმაციის შესწავლაზე, ასეთი ზოგადი ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები კლმიტეტის მოხსენებაში შეაქვთ მონაწილე სახელმწიფეობის შენიშვნებთან ერთად, თუ ასეთი რამ იყო.

2. გენერალური მდივანი კომიტეტის მოხსენებებს ინფორმაციისთვის უგზავნის ქალთა მდგომარეობის კომისიას.

მუხლი 22

სპეციალიზებულ დაწესებულებებს უფლება აქვთ წარმოდგენილი იყვნენ ამ კონვენციის ისეთ წინადადებათა განხორციელების საკითხთა განხილვაში, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროში შედის. კომიტეტს შეუძლია სპეციალიზებულ დაწესებულებებს შესთავაზოს, წარმოადგინონ მოხსენებები კონვენციის განხორციელების შესახებ ისეთ დარგებში, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროს ეკუთვნის.

ნაწილი VI

მუხლი 23

ამ კონვენციის არავითარი დებულება არ ეხება ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის მიღწევის უფრო ხელშემწყობ დებულებებს, რომლებსაც შეიძლება შეიცავდეს:

a) მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობა; ან

b) სხვა საერთაშორისო კონვენცია, ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომლებსაც ძალა აქვთ ასეთი სახელმწიფოსათვის.

მუხლი 24

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, ყველაფე-

რი იღონონ ეროვნულ დონეზე იმ მიზნით, რომ მიაღწიონ ამ კონვენციით აღიარებული უფლებების სრულ განხორციელებას.

მუხლი 25

1. ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ყველა სახელმწიფოსათვის.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი დანიშნულია ამ კონვენციის დეპოზიტორად.

3. ეს კონვენცია სარატიფიკაციოა. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

4. ეს კონვენცია ღიაა ყველა სახელმწიფოსთვის შესაერთებლად, რისთვისაც საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს შესანახად ჩაბარდეს დოკუმენტი შეერთების შესახებ.

მუხლი 26

1. ამ კონვენციის გადასინჯვის თაობაზე თხოვნის შემოტანა ნებისმიერ დროს შეუძლია ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რისთვისაც წერილობითი შეტყობინება უნდა გაეგზავნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა, თუ საჭიროდ ცნობს რაიმე ღონისძიების განხორციელებას, მიიღებს გადაწყვეტილებას, სახელდობრ, როგორი ღონისძიებებია საჭირო ასეთი თხოვნის გამო.

მუხლი 27

1. ეს კონვენცია ძალაში შედის ოცდამეათე დღეს მას შემდეგ, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს შესანახად ჩაბარდება მეოცე სარატიფიკაციო სიგელი ან შეერთების დოკუმენტი.

2. ყოველი სახელმწიფოსთვის, რომელიც რატიფიკაციას უზამს ამ კონვენციას ან მეოცე სარატიფიკაციო სიგელს თუ შეერთების დოკუმენტს ჩააბარებს შესანახად, ეს კონვენცია ძალაში შედის ოცდამეათე დღეს მას შემდეგ, რაც შესანახად ჩააბარებს სარატიფიკაციო სიგელს ან შეერთების დოკუმენტს.

მუხლი 28

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იღებს და ყველა სახელმწიფოს უგზავნის შენიშვნების ტექსტს, რომლებიც

სახელმწიფოებმა შემოიტანეს რატიფიკაციის ან შეერთების მომენტში.

2. შეუწყნარებელია ისეთი შენიშვნების შემოტანა, რომლებიც შეუთავსებელია ამ კონვენციის მიზნებთან და ამოცანებთან.

3. შენიშვნების უკან წაღება შეიძლება ნებისმიერ დროს, რისთვისაც შესაბამის შეტყობინებას უგზავნიან გენერალურ მდივანს, რომელიც შემდეგ ამას ამცნობს ყველა მონაწილე სახელმწიფოს. ასეთი შეტყობინება ძალაში შედის მისი მიღების დღიდან.

მუხლი 29

1. ამ კონვენციის განმარტებისა თუ გამოყენების თაობაზე ორი ან რამდენიმე მონაწილე სახელმწიფოს დავა თუ მოლაპარაკების გზით ვერ გადაწყდა, ერთ-ერთი მხარის თხოვნით საარბიტრაჟო განხილვისთვის გადაეცემა. თუ საარბიტრაჟო განხილვის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტიდან ექვსი თვის განმავლობაში მხარეები ვერ შეთანხმდნენ საარბიტრაჟო განხილვის მოწყობის თაობაზე, ნებისმიერ მხარეს შეუძლია აღნიშნული სადავო საკითხი შეიტანოს შესაბამისი სტატუსის საერთაშორისო სასამართლოში განცხადების შეტანის გზით.

2. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია ამ კონვენციის. ხელმოწერის თუ რატიფიკაციის, ან მასთან შეერთების დროს განაცხადოს, რომ თავს არ იბორკავს ვალდებულებებით, რომლებსაც ამ მუხლის პირველი პუნქტი შეიცავს. დანარჩენი მონაწილე სახელმწიფოები არ ასრულებენ მოცემული მუხლის აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს იმ მონაწილე სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც ასეთი შენიშვნა შეიტანა.

3. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელმაც შენიშვნა შეიტანა ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შეუძლია ნებისმიერ დროს უკან წაიღოს თავის შენიშვნა რისთვისაც შეტყობინება უნდა გაუგზავნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 30

ეს კონვენცია, რომლის თანაბრად ავთენტიკური ტექსტი შედგენილია არაბულ, ესპანურ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ და ჩინურ ენებზე, შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

რის დასტურადაც სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები ხელს აწერენ ამ კონვენციას.

РЕЗЮМЕ

Грузинское государство и право имеют многовековую историю. Грузинская культура веками создавалась и формировалась.

Юридические институты дошедшие до нас в книгах о грузинском праве, грамотах или в нормах обычного права свидетельствуют, что политико-правовые учреждения характерные для цивилизованного общества, зародились в грузинских племенах еще в конце второго тысячилетия до новой эры.

По большой дороге истории шел грузин, как мыслитель-политик, правовед, до этого "и грузин с незапамятных времен превращал в орудие труда или войны: камень, свинец, бронзу, железо; он тоже прошел оба рода и материнский и отцовский, с душой и телом, закаленными продолжительнейшим и тяжелейшим драматизмом преистории, вошел он во врата мировой цивилизации. Племена картвельского происхождения (иберы, колхи, тибернаны, мосиники, халибы и т. д.) создают раннеклассовое государство и право, они не создали собственный разговорный язык, оригинальную культуру и письменность, вместе с тем, они заложили основу многосторонних отношений с соседними народами. В последний период античности Грузия своей культурой была теснейшим образом связана с эллико-римским лиром, а точнее с собственно эллинистическим миром. В конце античного периода Грузия и территориально непосредственно граничила с эллинистической Грецией, а после официального принятия христианства она становится частью западного мира. И начиная с этого времени Грузия как своей древней культурой, так и магистральной линией своей истории политической целеустремленностью госурадства и идеалами цивилизации является неотъемлемой частью запада, европы, Мира.

О близости Грузии с эллинистическим миром говорит и легенда о плавании аргонавтов в Колхиду за залотым руном, легенда о Прометее-Амиране, который был прикован к горе на Кавказе. Эту легенду эллинистический мир позаимствовал у Грузии, она получила неповторимое художественное воплощение в гениальной трагедии Эсхила.

О связях Грузии, еще в древнейшую эпоху с восточными странами, в первую очередь с родственным хеттским миром как и с Вавилоном Ассирией, Урарту свидетельствуют сведения памятников хеттской эпохи, которые относятся ко второму первому тысячелетиям до н. э. С древнейших времен в Грузии создавались учебно-научные учреждения, которые имели связи с аналогичными центрами других стран. Прекрасным примером этого является деятельность в 3-6 вв. н. э. "академии" в Эгриси-Лазике, в городе Фазиси (Поти), где жили и работали не только грузинские ученые, но и иностранные в т. ч. греки и римляне. В этой академии изучались: философия, астрономия, астрология, геометрия, языкознание, риторика, которая практически представляла собой

юридическую дисциплину. Здесь получили образование известные греческие философы__отец и сын Евгениос Фемиетпос.

Грузинские ученые были знакомы с правом различных стран, в т. ч римским.

Грузинско-греческие культурные взаимоотношения, начиная с 4 в н. э., приобретают широкий размах. Не только греки (византийцы) учились в Колхидской академии, но и грузины уезжали в Византию, примером чему может служить переезд туда наследника тропа Бакура, который был там назначен начальником личной гвардии императора.Греческий писатель Геласий Вессарийский восхваляет Бакура и характеризует его как "потомка царя славного среди иберов".

Бакур имел тесную дружбу с философами и риториками, в частности с Либаниусом, которому он направил эпистолу. Правда, текст ее до нас не дошел, но из ответа Либаниуса очевидно что предметом послания Бакура были те философские вопросы, которые волновали неоплатоников, что послание Бакура было составлено с глубоким знанием и в безупречной форме, с высоким ораторским искусством.

Грузинские мыслители, воспитанные на богатых традициях Колхидской академии сыграли большую роль в распространении и утверждении античных и более поздних правовых. концепций в Грузии. С их помощью в Грузии началось мощное гуманистическое движение, была подготовлена почва для грузинского ренессанса и его идеологии, которая опиралась на богатые материальные и духовные предпосылки объединенной феодальной Грузии.

Реформы проведенные Давидом Агмашенебели упрочили внутреннее и внешнее положение страны, повысили ее культурный уровень.

Просветительская деятельность знаменитого царя объединила грузинских мыслителей, из разных стран приглашались ученые, возрадились Икальтойская и Гелатская академии, началась интенсивная научно-исследовательская работа. В источниках эпохи грузинского ренессанса нашли широкое отражение прогрессивные философско-политические взгляды известных мыслителей древнего востока и античных стран: Сократа, Платона, Аристотеля, Мо-дзы, Лао-дзы и других. Эти взгляды отразились в научных трудах, художественных произведениях Руставели, Шавтели, Чахрухадзе, Петрици, грузинских анонимов-историков и юристов.

Наглядным подтверждением этого может служить бессмертное произведение Шота Руставели "Витязь в тигровой шкуре", которое опирается на интеллектуальные феномены стран древнего востока и античности.

В памятниках эпохи грузинского ренессанса встречается сформулированное в соответствии с тогдашней грузинской действительностью оригинально переработанное политическое учение, которое свидетельствует о высоком уровне духовной жизни грузинского народа, о существовании оригинальной политической идеологии раздела властей в государстве.

Следует отметить, что в передовых рядах гуманистического движения. Византии рядом с греками были и грузины. Политическое разложение Грузии, ее раздробленность, которые были обусловлены главным образом внешними факторами, надолго затормозила развитие культуры грузинского народа, но она не деградировала, сумев выдержать испытание. Профессор В. Абашмадзе

в своем труде "Грузинские интеллектуальные феномены" отмечает, что уровень, достигнутый в результате гуманистического движения, не снижался в течение долгого времени.

В истории развития грузинского права и законодательства особое место принадлежит Вахтангу VI, который в начале XVIII в. провел огромнейую кодыфикационную работу. Создал превосходную книгу по праву, куда были внесены действующие греческие, армянские, еврейские и другие источники права, памятник права Бека-Агбуга "Уложение Георгия Блистательного и др. По его же указу был составлен величественный памятник грузинского государственного права "Дастурламали" и другие законодательные акты.

Передовые представители грузинской интеллигенции XIX в., знакомые с современной им философско-политической мыслью западной Европы, распространяли в Грузии учения Спинозы, Локка, Вольтера, Руссо, Монтесскье и других, переводили на грузинский язык их труды и в соответствии с их идеями, с учетом грузинской реальности создавали свои теории.

В борьбе за восстановление грузинской государственности, упраздненной в результате присоединения Грузии к России, они руководствовались прогрессивными идеалами европейских буржуа-зных революций и французских просветителей XVIII в., а также оригинальными идеалами грузинского ренессанса.

Хотя изучение истории грузинских политических и правовых учений не так уж давно началось в Тбилисском государственном университете им. И. В. Джавахишвили, здесь уже созданы свои традиции и возникла независимая, особая наука и учебная дисциплина.

Так, как и другие юридические дисциплины, история грузинских политических и правовых учений имеет собственный предмет исследования—теоретическую основу политического и правового познания, т. е. ту часть познания, которая выразилась в теоретически оформленных доктринах.

В своих взглядах на государство, право или политику каждая политическая правовая доктрина с различной долей абстрактности отражает современное ей государство, право или политику и, с этой точки зрения затрагивает интересы всех слоев общества.

Помимо этого, при изучении этих доктрин история грузинских политических и правовых учений обращает внимание на биографические сведения политических воззрений, на массовые движения и организации с тем, чтобы выявить суть и общественную роль политического и правового учения (доктрины). Иными словами история грузинских политических и правовых учений изучает не только политические портреты мыслителей, но и их жизнь в связи с идеей, доктриной или произведением.

В монографии подробно рассматривается долгий путь развития грузинской политической мысли, указывается на существование центров цивилизации и научно-культурных центров, которые превратили Грузию в страну значительных политических и правовых учений.

Мировая история знает различные формы концепций отдельных идеологий, в т. ч. теоретический трактат, философское сочинение, политический памфлет, проект конституции и т. д., но их всех объединяет то, что они представляют

собою решение основной теоретической проблемы государства и права, поэтому политико-правовая доктрина включает в себя три компонента: 1__логико-теоретическую, философскую и др. (религиозную основу; 2__ категорическое требование о происхождении государства и права, их развитии, формах, об основных принципах государственного устройства, права; 3__ програмные положения__оценку существу-ющего государства и права, политическую цель и задачу. История политических и правовых учений является непоследовательным процессом познания государства и права, а борьбой противопо-ложных мировоззрений, каждая из которых стремится найти опору в общественной мысли, оказать влияние на политическую практику и развитие права.

В политическом учении наряду совзглядами на государство могут объединяться и другие идеологические явления, в частности вопрос политической организации, влияния религиозных или нравственных норм на организацию государства и др. вопросы.

История политических и правовых учений тесно связана с такими юридическими дисциплинами, как: государственное право, история государства и права.

Теория государственного права изучает общественные явления, государство и право, общие закономерности происхождения и развития, с которыми имеем дело лишь на определенном этапе развития общества, в частности, после разложения первобытно_общинного строя, происхождения частной собственности и разделения общества на противоположные классы.

История государства и права Грузии изучает конкретные процессы возникновения и развития государства и права. История политических и правовых учений исследует развитие главнейших идей, доктрин, взглядов и теорий с древности по сегодняшний день. Поэтому она должна использовать то положение о сущности государства и права, которое дает теория государства и права, также должны быть учтены принципы историзма, что дает история государства и права.

Вышеизложенное показывает, что без данных и выводов указанных юридических дисциплин, невозможно изучение важнейших принципов, доктрин истории политических и правовых учений и наоборот.

Таким образом в настоящей монографии исследуется социально–политические и правовые учения, начиная с V века (Якова Цуртавели, Айета, Фартаз, Евстафия Мцхетели, Або Тбилели, Григория Хандзтийского, Евфимия и Георгия Мтацминдели, Давида Строителя (Воссоздателя), Хунтлу Арслана, Леонтия Мровели, Сулхан-Саба Орбелиани, Соломона Додашвили, Н. Бараташвили, Дм. Кипиани, И. Чавчавадзе, Нико Николадзе, Георгия Маиашвили, Георгия Ласхишвили, Георгия Деканозишвили, Арчила Джорджадзе, Зураба Авалишвили, участников заговора 1832 года) до 20_ых годов XX века. Проблематика предлагаемого исследования входит в сферу интересов таких научных дисциплин как политология, история, юриспруденция и может оказать помощь в углубленном изучении указанных вопросов.

SUMMARY

Georgian state and law have centuries-old history. Georgian culture has been created and developed through centuries.

In accordance with the assertion of the juridicial institutions. The law-governed relations existed in Georgian tribes even at the end of the second millenium B.C. which is proved by the ancient books and records on Georgian law.

Through centuries a Georgian man was known as shinker, politician and lawyer. Since the ancient times Georgians have used stone, copper, bronze and iron to make weapons and tools. Having experienced the hardships of prehistoric period went through matriarchal and patriarchal societies to become a part of world civilization.

Tribes of Georgian origin (Iberians, Cholkhs, Tiberians, Mosiniks, khalibs and others) formed preclass state and law. They created their own spoken and written language, distinctive culture, and established links with neighbouring people.

At the end of Ancient (Antique) period,Georgian culture was closely connected with Hellenistic-Romance, to be more exact with Hellenistic world and bordered on Hellenistic Greece. Not until Christiniaty was declared an official religion did Georgia become a part of the Western world.

Since those times Georgia with its ancient culture, its history development, state political alms and ideals of civilization has become an inseparable part of Europe and the entire world.

Reference to the close relationship of Georgia with the Hellenistic world is traced in the legends about the Greek Argonauts' voyage to Cholkhi in guest of the Golden Fleece and about Prometheus-Amiran, the titanic hero, chained to the Caucasian mountains. The latter was adopted by the Hellenes and then artistically realized in Aeschylus' famous tragedy.

The ancient links of Georgia with Eastern countries, firstly with neighbouring Khets, Babyloon, Asyria, Urartu etc, are reflected in Khetian hieroglyphic and cunei form historical documents dated back to the 2nd-1st millenia B.C. The scholastic and scientific institutions were set up in Georgia from times immemorial and they had links with the analogous centres in a number of foreign countries. The best illustration of this might serve the Phazisi Academy functioning in the early III-VI c in Egrisi-Lazeti where foreign scholars used to work alongside their Georgian colleagues. Among them there were Greek and Roman citizens. The main subjects taught in the Academy were phylosophy, astronomy, astrology, geometry, linguistics, rhetoric, which in fact represented the jurisdictial discipline,-The renowned Greek phylosophers fatherther and son Eugenius and Themistrus were educated at the Cholkheti Academy.

Georgian scholars were well acquainted with the laws of different countries

including Roman jurisdiction and observed their codification activities.

Since the 4th century the Greek-Georgian cultural relations have become more and more large-scaled. Not only Byzantines studied in Colcheti-Academy, but Georgian scholars travelled to Byzantine as well. The best proof of that is the Georgian prince Bakur's banishment to Byzantine where he was appointed commander-in chief of the king's army. The Greek writer Gelas praised Bakur and characterized him as "a king's descendant and eminent among the Iberians".

Bakur had close friendly relations with philosophers and rhetorics, especially with Libanius, to whom he sent epistolet. Though the text of the epistolet has not reached us, from the Libanius' response we know that epistolet dealt with some philosophy problems which caused great interest among Neoplatonic circles.

The epistolet was perfectly written and reflected the author's exquisite rhetorical skills.

Being brought up on the rich traditions of the Cholkheti Academy, Georgian scholars made great contribution to promoting and spreading the justice conceptions of the ancient and successive periods in Georgia. They made up a base for developing Georgian Renaissance. The scholars initiated a powerful humanist movement. The Georgian Renaissance ideology was based on the factual and spiritual heritage of the united feudal Georgia.

The reforms carried out by the great Georgian king David Agmashenebeli strengthened home and foreign conditions of the country, raised its cultural level. Educational social-work promoted by the famous king united Georgian scholars. Furthermore David Agmashenebeli invited scientists from different countries. Gelati and Ikalto academies were revived scientific and research activities began functioning intensively the resources of Georgian Renaissance period contain progressive philosophical and political teachings of the leading thinkers of ancient countries, Socrates, Plato, Aristotle, Mo-dzi, Laoidzi and others. Their teachings are reflected in the literary works written by Rustaveli, Shavteli, Chakhrukhadze laud in the works of anonymous Georgian historians and lawyers.

The proof of this is Shota Rustaveli's immortal poem "The Knight in the Panther's Skin" based on the intellectual phenomenon of ancient and oriental countries.

In the resources of Georgian Renaissance period we come across well-formulated, originally developed political doctrines, which testify to high spiritual level of the Georgian people's life.

It's worthy of note that Georgians alongside with Greeks were involved into the Bizantian Humanist Movement.

The political pertubation and disorder in feudal Georgia caused by external factors, interrupted the further development of the national culture for a long period. But despite this fact the Georgian Culture did survive.

As professor V. Abashmadze mentions in his work "Georgian Intellectual Phenomena" the achievements of the Humanist Movement didn't fade long time.

Vakhtang VI played an important role in the development of the Georgian Jurisprudence and law. At the beginning of the XVIII century he worked at the code and wrote a wonderful law book, based on functioning Greek, Armenian, Jewish law books, and Beka-Aghbugha's law Giorgi Brtskhinvale's "Dzeglisdeba" etc.

it was Vakhtang VI who ordered to create the book on Taw "Dasturlamali" and other Jurisprudencial acts.

Georgian intellectuals of the XIX century who were already acquainted with the Western European thought, spread Spinoza's, Loki's, Volter's, Ruso's, Monteskie's and others doctrines, translated them into Georgian created theories based on Georgian reality.

The concepts of Bourgeois Revolutions in Europe and of the 18th century. French Enlighteners, along with Georgian Renaissance views have guided Georgian patriots in their struggle for the restoration of the country's state system.

Although the History of Georgian Political and Legal Sciences, as a subject, has been only recently introduced at Javakhishvili State University, it has already developed as an independent discipline.

Like any other legal science, the History of Georgian Political and Legal Sciences has its certain subject for research; but its distinctive feature is the study of the theoretical basis For political and legal concepts.

Each legal and political doctrine describes the State organisation of its period and concerns the interests of various communities. Besides this, the History of Georgian Political and Legal Sciences focuses on biographical facts as the base for the development of political views and mass movements for the identification of the role the political and legal doctrine plays for the community. In other words, the History of Georgian Political and Legal Sciences studies the profiles of public figures, their ideas and activities.

The world history knows different forms of ideological conceptions-theoretical treaties, philosophical works, political pamphlets, constitutional drafts etc. That all of them try to solve basic fundamental and theoretical problems on the state and the law. The political and law doctrine includes three components: 1) logical-theoretical, philosophical, etc (religions) basis; 2) the origin of the state and law, their development,forms and the main principles of the state and law systems; 3) programme regulations, the appreciation of the existent state and law, political aims and problems. The history of the political and law teaching is not the consecutive process of perception of the state and the law. It is a struggle between the controversial ideologies, each of which intends to impact the public opinion and to exercise an influence upon the political practice and the development of the law.

In the political doctrine, besides the state opinion, other ideological phenomena, namely the problem of political organization and religious or ethical influence upon the state establishment may be united.

The history of the political and law doctrine is in close links with the following disciplines: the state law, the history of the state and the law.

The state law theory studies the general principles of the development of social events, state and law, on the basis of the evolution of human society on its definite stage, namely after the disintegration of the primitive tribal communities, formation of private property and division of society into the antagonistic classes.

Georgian state and law History deals with the particular processes of the origin and development of the Georgian law.

The history of the Political and Legal Teachings depicts the evolution of the

basic ideas, doctrines, concepts and theories about the state and law from the ancient times up to the present period. Considering this it should use those principles about the essence of state and Law theories, observing the historic principles of state and Law development. Proceeding from the above mentioned facts its impossible to study the most significant principles and doctrines of the Political and Legal History Teachings. Thus the given monograph studies the Georgian Political and Legal Teachings. from the fifth century to the beginning of the twentieth and it may present a great assistance to jurists, politicians, historians and the public at large interested in the Georgian Social-political and Legal Teachings.

(J.Tsurtaveli, Ajety, Phartadze, Eustati Mtskheteli, Abo Tbileli, Grigol Khandzteli, Ekvtime Mtatzmindeli, George Mtatzmindeli, Leonti Mhroveli, David Aghmashenebeli, the Law report of Ruis-Urbnisi "Dzeglisdeba", Khutlu Aslani's speech, Sulkhan-Saba Orbeliani, Vakhushti Bagrationi, the 1832's rebellion, Vakhtang Orbeliani, Solomon Dodashvili,N. Baratashvili,D. Khiphiani,Ilia Chavchavadze,Niko Nikoladze, George Maiashvili, George Laskhishvili, George Dekanozishvili, Archil Dgordgadze, Zurab Avalishvili).

ს ა რ ჩ ე ვ ი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა 3
შ ე ს ა ვ ა ლ ი 6
პ ო ლ ი ტ ი კ ურ მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა თ ა ი ს ტ ო რ ი ი ს ს ა გ ა ნ ი 11
სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ
აზროვნებაში 14
ბუნებითი სამართალი და მისი განვითარების ეტაპები 26
ქრისტიანული იდეოლოგია-პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა საფუძველი
საქართველოში 35
ა ი ე ტ ი 43
ფ ა რ ტ ა ზ ი 48
გ უ ბ ა ზ მ ე ფ ი ს მ კ ვ ლ ე ლ თ ა გ ა ს ა მ ა რ თ ლ ე ბ ა 57
ი უ ს ტ ი ნ ი ა ნ ე ს წ ე რ ი ლ ი 58
კ ო ლ ხ თ ა წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ე ბ ი ს ს ა ბ რ ა ლ მ დ ე ბ ლ ო ს ი ტ ყ ვ ა 59
გ უ ბ ა ზ ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი ს ს ი ტ ყ ვ ა 65
გ უ ბ ა ზ ი ს მ კ ვ ლ ე ლ თ ა დ ა ს ჯ ა 71
VI-IX საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური მოძღვრებანი 73
საქართველოს გაერთიანების პერიოდის პოლიტიკური მოძღვრება 90
მ ა რ თ ვ ა - გ ა მ გ ვ ე ო ბ ა 92
ეკვთიმე ათონელი (მთაწმინდელი) (955-1028) 100
გიორგი ათონელი (მთაწმინდელი) (1009-1065) 104
ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ნ ე ლ ი 109
დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ შეხედულებათა შესახებ 115
რ უ ი ს - ურ ბ ნ ი ს ი ს „ ძ ვ ე ლ ი ს წ ე რ ა “ 125
ეუთლუ-არსლანის პოლიტიკურ შეხედულებათა შესახებ 133
პ ი რ ვ ე ლ ი . ს ა ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ო პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა 142
1. მ წ ი გ ნ ობ ა რ თ უ ხ უ ც ე ს ი – ჭ ყ ო ნ დ ი დ ე ლ ი 147
2. ა თ ა ბ ა გ ი 151
3. ა მ ი რ ს პ ა ს ა ლ ა რ ი 156
4. მ ა ნ დ ა ტ ურ თ უ ხ უ ც ე ს ი 160
5. მ ე ტ ე ურ ტ ლ ე თ უ ხ უ ც ე ს ი 163
6. მ ს ა ხ ურ თ უ ხ უ ც ე ს ი 165
სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური შეხედულებანი 167
ვახუშტი ბატონიშვილის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი 177
რ უ ს ე თ - ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა მ ა რ თ ლ ებ რ ი ვ ი ურ თ ი ერ თ ობ ა და 1832 წ ლ ს შ ე ო ბ ა 191

სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი.....210
ვახტანგ ორბელიანი (1812-1890).....226
ნიკოლოზ ბარათაშვილის პოლიტიკური შეხედულებანი.....236
დმიტრი ყიფიანი (1811-1887).....248
ილია ჭავჭავაძე (1837-1907).....264
ნიკო ნიკოლაძე (1843-1928).....288
გიორგი მაიაშვილი (ზდანოვიჩი) (1855-1917).....301
არჩილ ჯორჯაძე (1872-1913).....316
არჩილ ჯორჯაძე სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ.....319
გიორგი დეკანოზიშვილი (1868-1910).....369
გიორგი ლასხიშვილი (1866-1931).....379
ზურაბ ავალიშვილი (1876-1944).....389
ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია.....401
Резюме.....421
Summary.....427

გამომცემლობის რედაქტორები:
თემურ ამყოლაძე
ელგუჯა თავბერიძე

კორექტორები: სოფიკო ლობჟანიძე
ლია შერგელაშვილი

გადაეცა წარმოებას 11.04.98, ხელმოწერილია დასაბეჭდად 1.06.98,
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 27, ქაღალდის ზომა 60X90 1/16
ტირაჟი 1500, შეკვეთის №821

ფასი -- სახელშეკრულებო